© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, 2020

Mikheil Kekelidze. *Memories*

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
Tbilisi 2020

მისამართი: გიორგი ჭანტურიას ქუჩა 8
ტელ.: +995 32 293 20 45

www.literaturemuseum.ge
info@literaturemuseum.ge

ყდაზე: მიხეილ კეკელიძე და შალვა დავითულიანი; კავთისხევი, 1938-1939 წლები

გამომცემელი: **ლაშა ბაქრაძე**
რედაქტორი: **მზია კეკელიძე**
გამოსაცემად მოამზადა: **თეა თვალავაძე**
დაკაბადონება და დიზაინი: **ფატი გაგულია**

დაიბეჭდა სტამბაში: ***სეზანი***

ISBN 978-9941-9595-3-0

მიხეილ კეკელიძე

მოგონებები

თბილისი, 2020

რედაქტორისგან

მიხეილ კეკელიძე 1911 წლის 7 აპრილს დაიბადა იმერეთის სოფელ ტობანიერში, ისტორიულ საჩინოში. 1918 წელს ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და მამამ, სევერიანე კეკელიძემ (აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ძმამ), იგი თავის დროზე ცნობილ „ბეროზაშვილის სკოლაში“ შეიყვანა. პატრიოტული სულისკვეთების ოჯახში გაზრდილი მიხეილ კეკელიძე, რომელიც თვითმხილველი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობის და ქვეყნის ბოლშევიზაციისა, მოწაფეობიდანვე ჩაება არალეგალურ ანტიბოლშევიკურ საქმიანობაში, კერძოდ, ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო“ და ამან 17 წლის ყმაწვილი ციხეებამდე და გადასახლებამდე მიიყვანა.

მიხეილ კეკელიძე თავის „მოგონებებში“ თანამიმდევრულად გადმოგვცემს საკუთარ ბიოგრაფიას, რომელშიც, გარდა ისტორიული თვალსაზრისით არაერთი საინტერსო ფაქტისა თუ მოვლენისა, ასახულია ის საზოგადო უბედურება, რომელიც ბოლშევიკურმა რეჟიმმა ქართველ ერს თავს დაატეხა.

მიხეილ კეკელიძე „მოგონებებში“ გაკვრით თავის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც ეხება, თუმცა ბელეტრისტულ მოღვაწეობაზე არსებითად არაფერს ამბობს (მხოლოდ ახსენებს თავის რომანს – „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“). ის სხვა ისტორიული რომანების ავტორიცაა: „ჯვარცმული ქვეყანა“ (1978, 2017) „შავი ღრუბლები“ (1994); გამოცემულია მისი კრებულებიც: „საბავშვო მოთხრობები“ (1949) და „მოთხრობები“ (1954).

მიხეილ კეკელიძე გარდაიცვალა 1996 წელს. მისი მდიდარი და მრავალფეროვანი პირადი არქივი (1065 ერთეული) ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ეს არქივი საინტერესო მასალას შეიცავს XX საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის და დროთა განმავლობაში, ალბათ, გამოქვეყნდება კიდეც.

მიხეილ კეკელიძის წინამდებარე „მოგონებებს“ აკლია ორი თავი: „წინასწარ სათქმელი“ და „ქართველების შიმშილი სოლოვკაში“. ეს თავები ჯერჯერობით არ იძებნება.

თავი „წინასწარ სათქმელი“ ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენდა წინამდებარე მოგონებების ავტორის პიროვნულ ვინაობასა და მოქალაქეობრივ პორტრეტს, თუმცა, როგორც ითქვა, იგი ჯერჯერობით დაკარგულია და, ეს დანაკლისი ასე თუ ისე რომ შევავსოთ, მკითხველს დანართის სახით ვთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მიხეილ კეკელიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მისგან აუღია ჯემალ კასრაძეს, აგრეთვე, მიხეილ კეკელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ წერილს, რომლის ავტორია ზურაბ ცუცქირიძე.

სარჩევი

სოფელი მდინარის ხეობაში ---------- 4
სოფლიდან ქალაქში. მოწაფეობის წლები ---------- 19
1921 წლის თებერვალი ---------- 50
1924 წლის აგვისტო ---------- 60
არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო“ ---------- 64
დაპატიმრება. „გრუზჩეკა“ ---------- 76
მეტეხის ციხეში ---------- 88
მოსკოვი. ბუტირკის ციხე ---------- 107
ირკუტსკის ციხე. ბრატსკი ---------- 114
3 წელი და 3 თვე კუნძულზე ---------- 123
ისევ ირკუტსკის ციხე. ენისეისკი ---------- 147
დაბრუნება ---------- 163
სოფლის მასწავლებელი ---------- 183
№18 ---------- 215
სკოლის გარეთ ---------- 218
ომში ---------- 229
„შენ ტკბილო ქართლო, კახეთო“ ---------- 260
„საქმე ცუდად არის“ ---------- 268
გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქციაში ---------- 272
„უძაღლესი საბჭოს თავმჯდომარე“ ---------- 275
მეფე და მხატვარი ---------- 278
„შენ რა, გინდა, დამიჭირონ და დამხვრიტონ?“ ---------- 284
ეზოში და ეზოს გარეთ გაგონილი ---------- 300
სახალხო განათლების მუზეუმში ---------- 306
„სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ---------- 315
უნდა ვიცოდეთ, თუ არ უნდა ვიცოდეთ? ---------- 324

სოფელი მდინარის ხეობაში

ეს სოფელი ტობანიერია, მდინარე კი – ყუმური. სოფელი მდებარეობს ქვემო იმერეთის იმ კუთხეში, რომელსაც ისტორიულად „საჩინო“ ეწოდებოდა. საჩინოს შესახებ მამაჩემი თავის „მოგონებაში“ წერს:

„ბათუმისკენ მიმავალი მგზავრი, რკინიგზის სადგურ რიონიდან სადგურ სამტრედიამდე რომ გაიხედავს, მარცხნივ, მდინარე რიონს გაღმა, დაინახავს თვალუწვდენელ ჭალებს, რომლებიც ახალციხე-აჭარის ქედის კალთებს ებჯინებიან. ამ მთებს „საბალახო მთებს“ ეძახიან ჩვენში, ვინაიდან ზაფხულობით აქ მორეკავენ საქონელს საძოვარზე. ამ მთების კალთებზე გაშენებულია სოფლები, რომელნიც ზემოდან დასცქერიან თავის მოსავლიანობით განთქმულ რიონის ჭალებს.

მთელ ამ არემარეს, მთელ ამ კუთხეს, თითქმის მეოცე საუკუნის დამდეგამდე შერჩენილი ჰქონდა ძველი სახელი „საჩინო“. ის მოხსენიებული აქვს ვახუშტისაც თავის „გეოგრაფიაში“ და თავად ჩიჯავაძეების კუთვნილებას შეადგენდა. მასში შედიოდა, ძველებური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, 22 სამამასახლისო საზოგადოება, დაწყებული დღევანდელი გომის თემიდან, რომელიც რკინიგზის სადგურ საჯავახოს ესაზღვრება, ბაღდადის რაიონის საზღვრამდე.

„საჩინო“ ამ მხარეს უნდა დარქმეოდა თავისი თვალწარმტაცი, გამოჩენილი მდებარეობის გამო. გომის თემში ერთ-ერთ სოფელს ახლაც ჰქვია „გამოჩინებული“. მთელი ეს მხარე განთქმული იყო სიმინდის უხვი მოსავლით, ღვინით, ხეხილით, ტყეებით, დვალიშვილებისა და ჭოკიანის სამკურნალო აბანოებით.

ცნობილია აქაური „ალადასტურის“ ღვინო, რომელიც არ ჩამოუვარდება განთქმულ კახურ „ქინძმარაულის“ ღვინოს.

„საჩინოს“ შესახებ ხალხში გავრცელებული იყო შემდეგი თქმა: „ქვეყანა დაიმშეს – საჩინომ არჩინოს, საჩინო დაიმშეს – ვერავინ არჩინოს“.

ტოპონიმი „ტობანიერი“, როგორც მკვლევრები (მ. ჯანაშვილი, ზ. ჭუმბურიძე) აღნიშნავენ, ტბასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩანს, ძველად აქ ტბა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება „ყუმურს“, მე მის შესახებ რაიმე მოსაზრება არ შემხვედრია, ამიტომ, რას ნიშნავს, ვერ გეტყვით. ვიცი მხოლოდ, რომ სპარსეთში არის ადგილი „ყუმი“, სადაც შაჰებს ასაფლავებდნენ. სხვათა შორის, იქ იქნა დასაფლავებული სპარსელთაგან მოწამლული ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე (არჩილ მეფის, გიორგი მეთერმეტისა და ლევან ბატონიშვილის მამა). წყალტუბოს რაიონშია ყუმისთავი („ყუმისთაველი“ ჰქონდა ფსევდონიმად ცნობილ პედაგოგსა და ლიტერატორს ალ. მიქაბერიძეს).

სიგელ-გუჯრებში ტობანიერის მოხსენიება მე არ შემხვედრია (შეიძლება, იყოს რომელიმეში, მაგრამ სად, არ ვიცი).

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ის შემხვდა გერმანელი სწავლულის, იოჰან გიულდენშტედტის, წიგნში „მოგზაურობა საქართველოში", რომლის თარგმანი და კომენტარები ეკუთვნის გ. გელაშვილს.

გიულდენშტედტი თბილისში მოვიდა 1771 წელს. 1772 წლის ივლისში იმერეთში გადავიდა, სადაც შეხვდა სახელოვან მეფეს, სოლომონ პირველს, რომლის ხელშეწყობითაც დაათვალიერა იმერეთი.

თავის დღიურში გერმანელი მეცნიერი წერს: „იმერეთის მხარე საჩინო მდებარეობს შუამთიდან მდ. ზებედაზე მთისწინეთის ძირას, ქვევით რიონამდე და აქვს შემდეგი სოფლები: 1. შუამთა, დანგრეული ციხე; 2. სებეკა; 3. ციხისუბანი, პატარა ციხე, სებეკიდან 6 ვერსზე აღმოსავლეთით, მთაზე; 4. დიხაშხო; 5. ვანი; 6. ონჯოხეთი; 7. დვალიშვილები; 8. გადიდი, კარგი ეკლესიით; 9. სულორი; 10. მუქედი; 11. საპაიჭაო, ციხე, შუამთიდან სამხრეთით, 4 ვერსზედ მთაში; 12. ტობანიერი; 13. ჭყვიში; 14. ისრითი ანუ ისრიზა, სადაც თბილი წყაროებია... საჩინოს მხარე, ისე, როგორც საჯავახო, ეკუთვნის მეფეს" (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. 1962, ტ. I, გვ. 305).

აქედან ჩანს, რომ საჩინოს მხარე მასში შემავალი სოფლებით სოლომონ მეფეს ეკუთვნოდა.

ტობანიერი დიდი სოფელია. ხალხი კეთილი და შრომისმოყვარეა. ამ სოფლის ის ნაწილი, სადაც კეკელიძეები ცხოვრობენ, მდინარის ხეობაშია. ცხოვრობენ მთის ზეგანზეც, რომელსაც სინამდვილეში, ბიძაჩემ კორნელი კეკელიძის თქმით, „კინწოულა" ჰქვია, ადგილობრივი მცხოვრებლები კი რატომღაც „კინტოულას" უწოდებენ.

მთები დაფარულია ტყეებით. აქ ბლომად არის: წაბლი, მუხა, რცხილა, ცაცხვი და ჭადარი (უფრო ეზოებში საჩრდილობლად), თხმელა, კვიპაროსი, კოპიტი, წიფელი, ხურმა და სხვ.

ხარობს თითქმის ყველანაირი ხილი: ვაშლი, მსხალი, კაკალი, ქლიავი, ლეღვი, ალუბალი, ბალი, ატამი, თხილი, ტყემალი, ბროწეული, ბია (კომში), ბჟოლა (თუთა), უნაბი (ეზოებში). ბოლო დროს გავრცელდა ჩინური ხურმა და, აქა-იქ, მანდარინიც, მაგრამ კარგად ვერ იხარა.

ჩემი ბავშვობის დროს მდ. ყუმურში თევზი ბლომად იყო. უმთავრესად წვერა, ქაშაპი, ღორჯო. სათავისკენ ხვდებოდათ კალმახიც. შეიძლება, თევზის სხვა სახეობაც იყო, მაგრამ მე არ ვიცი.

ვენახი თითქმის ყველა გლეხს ჰქონდა. ვაზის ჯიშებიდან გავრცელებულია: ალადასტური, ცოლიკაური, ციცკა, იზაბელა (ადესა).

მცხოვრებლებს რიონის ჭალებში ჰქონდათ საყანე ადგილები. მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, მუხუდო. ალაგ-ალაგ – ღომის ღომიც. სიმინდის წყალობით ინახავდნენ ძროხას, უღელ ხარს, ზრდიდნენ ღორებს, თხებს, ქათამს, იხვებსა და ბატებს. ერთი სიტყვით, საჭმელი არ აკლდათ.

შობა-ახალწლებისა და აღდგომის გარდა დღესასწაულობდნენ სხვადასხვა რელიგიურ დღეს: ღვთისმშობლობას, გიორგობას, მარიამობას და ა. შ. იყო ერთმანეთთან გადაპატიჟება და ლხინი.



მამა – სევერიანე კეკელიძე
თბილისი, 1910-იანი წლები
ფოტო: ჯავახაძე

ისტორიული ძეგლებით სოფელი ღარიბია. ცნობილი იყო მხოლოდ ერთი, მე-12 საუკუნეში აგებული, პატარა, ლამაზი სამების ეკლესია. იგი მთაზე იყო. 1912 წელს გაზ. „შინაურ საქმეებში“ (№10) დაიბეჭდა მამაჩემის წერილი „700 წლის ქალი“, რომელიც თამარ მეფის 700 წლის იუბილეს ეხებოდა. მასში ტობანიერის სამების ეკლესიაც არის ნახსენები (ეკლესიის აგებას თამარს მიაწერენ).

თავის მოგონებაში მამა წერს: „ტობანიერი ცნობილი იყო აგრეთვე უძველეს დროს აშენებული წმ. სამების სახელობის ეკლესიით, რომელსაც ძველი სამების ეკლესიას უწოდებდნენ. ხალხის გადმოცემით, ვითომ აქ გამოუვლია თამარ მეფეს თავისი ლაშქრით. ხსენებულ ადგილას შეუსვენებიათ და რადგან ნანვიმარზე ატალახებული ყოფილა, ფეხსაცმლები გაუწმენდიათ. მეფეს იმდენი ჯარი ჰყოლია, რომ მხედრების ფეხსაცმელთა ნაწმენდისაგან გორაკი შექმნილა. შემდეგში თამარ მეფეს ამ გორაკზე აუშენებია ტაძარი, რომელსაც გარს ქვის ორი გალავანი ჰქონია შემოვლებული: ერთი კედლებიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, ხოლო მეორე კი უფრო მოშორებით.

ეკლესია ერთ დროს ძვირფასი მხატვრობით ყოფილა შემკული, რასაც მოწმობდა აღმოსავლეთ კედელზე, საკურთხეველში, შემონახული მხატვრობა. აღმოსავლეთისაკენ ამ ეკლესიას ჩატანებული ჰქონდა ქვისგან გამოქანდაკებული ვერძის თავი. ეკლესია წარმოადგენდა ძვირფას ისტორიულ ძეგლს. საჭირო იყო მისი დაცვა-შენახვა, მაგრამ 1923 თუ მომდევნო წელს დაანგრიეს და მისი თლილი ქვები გამოიყენეს სოფ. შუამთაში მდინარე ყუმურზე ხიდის ასაგებად“.

ამ ეკლესიის დანგრევა იყო პირველი „საჩუქარი“, რომელიც ადგილობრივმა კომუნისტებმა ტობანიერელებს „მიუძღვნეს“. სამების ეკლესია მეც კარგად მახსოვს. კედელზე გადარჩენილი მხატვრობაც მახსოვს. მეზობლების გოგო-ბიჭებთან ერთად

რამდენჯერმე გვიყურებია ჯვრისწერისათვის ეკლესიაში, რაც ჩვენთვის მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა.

აი, ამ სოფელში დავიბადე მე 1911 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს (იმ წელს ხარებისა და აღდგომის დღესასწაული ერთმანეთს დაემთხვა).

სოფელში ვიზრდებოდი 8 წლამდე, ხოლო თბილისში გადმოსვლის შემდეგ, 1928 წლამდე, გარდა ერთი ზაფხულისა, ყოველ ზაფხულს ჩემს და-ძმასთან ერთად ბაბუა-ჩემისა და მამიდაჩემის ოჯახებში ვატარებდი. ასე რომ, სოფელი და ხალხი ძალიან კარგად მახსოვს.

მრავალთაგან მოვიგონებ რამდენიმე ფაქტს, რომლებიც მეხსიერებაში ჩამრჩა. ბაბუაჩემის ეზოს გვერდით ცხოვრობდა ერთი ჩვენი ნათესავი შარაძენიძე. იქ ქორწილს შევესწარი. ვიქნებოდი მაშინ 7-8 წლისა. მოდიოდნენ სტუმრები, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი. ბევრს ხმალი ეკიდა, ზოგს დამბაჩა-რევოლვერი (ტყავის ბუდეში), სატევარი (ხანჯალი) ხომ თითქმის ყველას ჰქონდა. ბევრი ცხენებითაც მობრძანდა. მათ შორის, როგორც შემდეგ გავიგე, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ცხენიც, უნაგირიც და მათრახიც მეზობლისაგან ჰქონდათ ნათხოვარი, მაგრამ მაინც თავმომწონედ და ამაყად გამოიყურებოდნენ. ბავშვები მათ ფეხქვეშ ვედებოდით, ზოგჯერ აღჭურვილობაზეც ვკიდებდით ხელს ჩუმად, რადგან იარაღი გვიტაცებდა. და აი, უცნაურობა, რომელსაც შევესწარი. დარბაზში შესასვლელ კარებთან მათ ხვდებოდა ერთი ჭაღარა მანდილოსანი და მეორეც – გასათხოვარი გოგო. ყოველ წუთს გაისმოდა: „რევოლვერი გვიბოძეთ", „ჩვენ შეგინახავთ". ხანჯალს მოხუცებულებს არ სთხოვდნენ, ახალგაზრდებს კი ატოვებინებდნენ. სტუმრებიც ყოველგვარი ჭირვეულობის გარეშე იყრიდნენ იარაღს და აძლევდნენ ჭაღარა მანდილოსანს. იგი, თავის მხრივ, ქალიშვილს აწვდიდა და იმას კიდევ გვერდით პატარა ოთახში შეჰქონდა და ტახტზე ალაგებდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი შარისა და ხიფათის თავიდან ასაცილებლად ხდებოდა.

როგორც ჩანს, ეს წესი, რომ სუფრასთან იარაღით არ დამსხდარიყვნენ, მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული. აი, მაგალითად, რას იგონებს ერთი ქართველი მანდილოსანი: „1920 წლის 14 იანვარს ჩემმა მამიდაშვილმა ნინო მეღვინეთუხუცესმა და მისმა მეუღლემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ნინოობაზე დაგვპატიჟეს. ისინი ყორღანოვის (ახლანდელი ქიაჩელის) 24-ში ცხოვრობდნენ.

მე და მარო რომ მივედით, სტუმრები უკვე სუფრასთან ისხდნენ. წინკარში მაგიდაზე ფაფახებთან ერთად ხანჯლებიც ეწყო. მე შევეკითხე ნინას, ხანჯლები აქ რატომ აწყვია-მეთქი? ნინამ მიპასუხა: აბა, სუფრასთან ხანჯლებით ხომ არ დასხდებიან, ეგ რა წესიაო!" (ნინო ავალიშვილი, მოგონებანი გარდასულ დღეთა, გაზ. „სამშობლო", 1991, №15).

ერთხელ ბაბუას ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. უზარმაზარი ჭადრის ქვეშ მაგიდა იდგა, სუფრაგადაფარებული. მას ხუთი დარბაისელი კაცი უსხდა, ზოგი შეჭაღარავებული, ზოგიც მთლად გათეთრებული. ხალხი ეზოში ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო და ცხარედ ლაპარაკობდნენ. საქმე შემდეგში გახლდათ – ერთი ოჯახი გაქურდეს, რაღაც-რაღაცა მოპარეს. ქურდს ეძებდნენ. ერთი დარბაისელი მოხუცი ადგა, ბოხოხი მაგიდაზე დადო და გამოაცხადა: ვისზედაც ეჭვი გაქვთ, ქაღალდზე მისი გვარი და სახელი დაწერეთ და ამ ქუდში ჩაყარეთო. ამ პროცესს საათ-ნახევარი დასჭირდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ყველას ერთ კაცზე მიეტანა ეჭვი. ამის შემ-



თინა, ალექსანდრე და მიხეილ კეკელიძეები
1910-იანი წლები

დეგ ადგნენ და თქვეს: იმ კაცს ჩვენ თვითონ ცალკე დაველაპარაკებითო. წავიდნენ, რა ელაპარაკეს, მე არ ვიცი, მაგრამ ამბობდნენ, ეჭვიმატანილს დაემუქრნენ, თუ ამ კუთხეში კიდევ რამე დაიკარგებოდა და ეჭვს ისევ მასზე მიიტანდნენ, სოფლიდან გაგაძევებდნენ. არ ვიცი, რამდენად სწორი განაჩენია, მაგრამ სოფლის „ბოიკოტისა“ და გაძევების რომ ყველას ეშინოდა, ეს კი ვიცი.

დაბოლოს, ერთ ჩემთვის საინტერესო ფაქტზე...

მამაჩემის ეზოს გვერდით ცხოვრობდა ჩვენი ნათესავი მოხუცი ცოლ-ქმარი. მათ ეზოში ბავშვები ხშირად ვიკრიბებოდით. ზოგი რთავდა, ზოგი წინდებს ქსოვდა და ათას რამეზე მასლაათობდნენ. ერთხელ რომელიღაც დედაბერმა ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე ჩამოაგდო სიტყვა. ჩვენ პირდაღებულნი ვუსმენდით მას. აღწერა სამოთხე, სადაც ნაკადულები რაკრაკებენ, ხეებს ოქროს ვაშლები და ფოჩიანი კანფეტები ასხია, ჩიტებს ოქროს ნისკარტი აქვთ და საამურად ჭიკჭიკებენ, ნაკადულებში ოქროსფერი თევზები დასრიალებენ, ირგვლივ მინდვრები ხასხასა მწვანე ბალახით არის დაფარული და ათასი ამგვარი რამ. ბოლოს ასეთი რამეც თქვა: „ბავშვები, რომლებიც შვიდ წლამდე მოკვდებიან, ყველანი სამოთხეში მოხვდებიან, რადგან ისინი უცოდველნი არიან. სასაფლაოზე სამი ანგელოზი რომაა გამოქანდაკებული, ისეთი პატარა ანგელოზები სამოთხეში მოხვედრილ ბავშვებს ეალერსებიან, ეფერებიან და ტკბილეულით უმასპინძლდებიან“.

მისმა ლაპარაკმა პირდაპირ გაგვაბრუა. წავედით სამების ეკლესიის სასაფლაოზე. ჩვენი სახლიდან შორს არ იყო. იქ, სხვადასხვა ადგილას, მართლაც ვნახეთ მარმარილოსაგან გამოქანდაკებული პატარა ფრთიანი სამი ანგელოზი, რომლებიც გარდაცვლილი ბავშვების თავთან იყო აღმართული. ანგელოზებიც და სამოთხეც ძალიან



კორნელი კეკელიძე ტობანიერის სახლში
1934 წელი

მოგვენონა. დავიჩოქეთ და ღმერთს შევსთხოვდით: „ღმერთო, მალე წაგვიყვანე, სამოთხეში მიგვიყვანე“. უცებ ერთმა ჩვენგანმა გულამოსკვნილი ტირილი დაიწყო: „მე რვა წლისა ვარ და სამოთხეში ვეღარ მოვხვდები, კიდეც რომ მოვკვდე“. ის ვერაფრით ვანუგეშეთ, ჩვენ კი გვიხაროდა, რომ სამოთხეში მოხვედრის შესაძლებლობა კიდევ გვქონდა, მაგრამ ღმერთმა უკეთ იცის, როგორ განსაჯოს საქმე, ადრე არ წავუყვანივარ და ოთხმოცი წელიც მომათავებინა. დიდი ცოდვები არ მიმიძღვის და იქნებ მეც მოვხვდე ბავშვობის დროს დახატულ სამოთხეში.

ახლა ცოტა რამ ტობანიერელი კეკელიძეებისა და ჩვენი ოჯახის შესახებ...

ეს გვარი საკმაოდ გავრცელებულია, განსაკუთრებით გურიაში, არის აგრეთვე აჭარაში და, ბიძაჩემის თქმით, მესხეთშიც. მისივე მოსაზრებით, კეკელიძეები საერთოდ მესხეთიდან გავრცელდნენ დასავლეთ საქართველოში. ტობანიერელი კეკელიძეები კი გურიის სოფ. ზოტიდან ლტოლვილი სამი ძმის: დავითის, გიორგისა და მარკოზის შთამომავლები არიან. ისინი თათრების შემოსევის გამო გადმოსულან ჯერ სოფ. საპაიჭაოში (ახლა ყუმური), შემდეგ კი – „კინწოულაზე“, ტობანიერში. ეს უნდა მომხდარიყო მე-18 საუკუნის ბოლო წლებში.

ბაბუაჩემი, სამსონ კეკელიძე, დავითის შვილიშვილია. ბებია თებრონე ჩოხატაურელი მღვდლის, ბესარიონ უშვერიძის, ასული იყო. არც ერთს მე არ მოვსწრებივარ, ადრე დაიხოცნენ. ბაბუას ათი შვილი ჰყავდა. აქედან შვიდი: აკვირინე, კორნელი, სევერიანე, ანდრო, მართა, ასინეთი (პროფ. სოლ. ყუბანეიშვილის დედა) და აკაკი ცოცხლები და დაოჯახებულნი მახსოვს. მათთან ახლო ურთიერთობა მქონდა. სხვები ადრე გარდაცვლილან.

დედაჩემი, ოლღა გიორგაძე (შინაურობაში დაფინესაც ეძახდნენ) ტობანიერელი



დედა – ოლღა (დაფინე) გიორგაძე
ბათუმი, 18 აპრილი, 1937 წელი

მღვდლის, გერმანე გიორგაძის, ქალიშვილი იყო. მას შინაურული განათლება ჰქონდა, რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ სკოლიდან გამოეყვანათ და ოჯახურ საქმიანობას უძღვებოდა გათხოვებამდე. საოცრად ნაკითხი იყო, განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და ბევრჯერ ისეთ კითხვებს მაძლევდა, რომ ჩიხში მომაქცევდა ხოლმე. კეთილი და გულჩვილი, ოჯახზე გადაყოლილი იყო.

საერთოდ, მამაც და დედაც წიგნის მაღმერთებელნი იყვნენ. კითხვა მათთვის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენდა. ეს თვისება მეც გამომიმუშავდა. ამისთვის ორივესი დიდი მადლობელი ვარ.

ბებიაჩემს დედის მხრივ, ტერეზა ტაბიძეს, მე არ მოვსწრებივარ, შედარებით ადრე გარდაიცვალა. იგი გალაკტიონისა და ტიციანის ნათესავი იყო. დედა მათ მამიდაშვილად მოხვდებოდა.

განსაკუთრებული სიყვარულით მინდა გავიხსენო ბაბუა გერმანე გიორგაძე. ეს იყო განათლებული მღვდელი და, ამავე დროს, მუყაითი გლეხიც, რომელმაც კარგად იცოდა ბარვა-თოხნაც, თესვაც, ვენახის გასხვლაც, შეწამვლაც და ყურძნის დაწურვაც. დაქერივების შემდეგ ძირითადად თავის თავს თვითონ უვლიდა, ჭადს აცხობდა და საჭმელსაც აკეთებდა. მშვენიერი ეზო ჰქონდა, ხეხილიანი. იგი ყუმურს გადაჰყურებდა. ეზოს ერთ კუთხეში ვაზი ჰქონდა გაშენებული, ასევე მისი კუთვნილება იყო ვენახი „რცხილარაში“, ერთი კილომეტრის დაშორებით. თვითონ უვლიდა და ჭურები ყოველთვის სავსე ჰქონდა წითელი და თეთრი ღვინით. ბოსტანში არ აკლდა მწვანილეული. მე მასთან ყოფნა მიყვარდა და რითაც კი შემეძლო, ვეხმარებოდი.

ერთ კვირადღეს ბაბუა ვენახში მუშაობდა, ვაზის ძირებს ბალახებს აცლიდა. მეც იქ ვიყავი. უცებ შარაგზიდან ვილაც ახალგაზრდა მოადგა ღობეს და ბაბუას ეუბნება:

– გერმანე, ღმერთი არ გიწყენს, ამ კვირადღეს რომ მუშაობ?

ბაბუამ სათვალე გაისწორა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და ოდნავ დაცინვით უპასუხა:

– ჯერ ერთი, პირველად „გამარჯობა“ უნდა თქვა. მეორეც, ღმერთს ის სწყინს, რომ შენსავით უსაქმურად ბევრი დაეხეტება შარაზე. მე მაშინ ვმუშაობ, როცა დრო მაქვს და ნამდვილად გეტყვი, ეს ღმერთს არ სწყინს.

– საწყენად არ მითქვამს, გერმანე.

– არც მე მითქვამს საწყენად.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

ბაბუა შესანიშნავი მებადური იყო. სათევზაოდ მეც დავყავდი. ერთი დიდი თუნგი ჰქონდა, ხუთ კილოგრამამდე თევზი ეტეოდა. ერთი ასეთი დღეც მინდა აღვწერო: დილით, 9-10 საათზე, სასროლ ბადეს ზურგზე გადაიკიდებდა და თავისი სახლიდან მდინარის დაყოლებით, ქვევით, 1-2 კილომეტრზე გაუყვებოდა. აქედან იწყებდა თევზაობას. სახლთან რომ ამოვიდოდით, თუნგი უკვე სავსე იყო და მისი ტარება მიჭირდა. როგორც ზევით აღვნიშნე, მაშინ მდინარეში ბევრი თევზი იყო. შემდეგ კი თევზის ჭერა დაიწყეს დინამიტით, მომწამვლელი ნივთიერებით და, ბოლოს, ელექტროდენითაც. ასეთმა ბარბაროსულმა მოქმედებამ თევზის რაოდენობა ძალიან შეამცირა.

აი, მოვედით შინ. თევზი ტაშტზე გადმოვყარეთ. ბაბუამ მათი გამოშიგნა მე დამავალა. თვითონ გობი გადმოიღო და ფქვილის ზელას შეუდგა. პალატში, კერაზე, ცეცხლია გაჩაღებული. პატარა კეცებზე დააკრა ჭადები. ჭადებს ქვეშ უფენდა შქერის, ნაბლის ან, ზოგჯერ, ჭარხლის ფოთლებს და მათვე აფარებდა ზევიდან. მერე თუჯის დიდ ქვაბს სამფეხაზე შემოდგამდა და ცეცხლს შეუკეთებდა. მე ბოსტნიდან მწვანილი უნდა მომეტანა: ქინძი, პრასა, ოხრახუში. განსაკუთრებით დიდი გასავალი ჰქონდა ქინძს. ბაბუა ქინძმარს ტაშტზე შეამზადებდა და მოხარშულ თევზს შიგ ჩაალაგებდა. გამოცხვა ჭადებიც. ხალმიდან ორ თავ იმერულ ყველს ამომაღებინებდა. თვითონ ძროხა არ ჰყავდა, მოვლა უჭირდა, მაგრამ შუამთაში ბაზრობაზე ოყობით (ორნახევარი გირვანქა) ყიდულობდა და ყველი ყოველთვის ჰქონდა. ამ საქმიანობაში ნაშუადღევიც მოვიდოდა. ჭურისთავებზე გასწევდა (იქვე, სახლთან ახლოს, ჰქონდა) და კოკით თეთრ ან წითელ ღვინოს მოიტანდა (კოკა ქართლში სხვა საწყაოა, იმერეთში დიდი დოქია, მასზე დიდია ჩაფი).

სადილი მზადაა. გრძელ, დაბალ სუფრაზე დალაგებულია ყველაფერი. ბაბუა დაბალ სკამზე ჯდება და პაპიროსის ქაღალდში თუთუნს ახვევს, აბოლებს და თანაც მე მაქებს: კარგი ბიჭი ხარ, დამიჯერე, შენგან კაცი გამოვაო!

რისთვის უნდოდა ბაბუას ყველაფერი ეს? ჩვენ ხომ მხოლოდ ორნი ვიყავით და ორი ჭადიც გვეყოფოდა. მაგრამ არა! მას სხვა წესი, თვისება და ჩვეულება ჰქონდა. უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ძმებს და მეზობლებს მასპინძლობდა.

თუ მისი რომელიმე ძმა – ივანე (ცნობილი მასწავლებელი), პიმენი ან ილია შინ იყო, პირველი მათ დამაძახინებდა, შემდეგ მეზობლებს, ელეფთერსა და ვიქტორს (ბიქტორიას). მეტყოდა:

– ბიჭო, ასე უთხარი, ბაბუა შეუძლოდ არის და გადმოდი-თქვა.

ყველამ იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს და სულ მალე სუფრას 3-4 კაცი უსხდა. დაილოცებოდნენ და იწყებოდა ათას რამეზე ლაპარაკი: როგორი პირი უჩანს მოსავალს, ყურძენი ხომ არ გააფუჭა ჭრაქმა და ა. შ.



ამფილოქე ცინცაძის ოჯახი
ტობანიერი, ივლისი, 1934 წელი

პალატის კარი ღიაა, გარედან ყველაფერი ჩანს. თუ კარგი ამინდია, სუფრას გარეთაც შლიან. ამ დროს ვიღაც ეზოს გადაჭრის. ცალი თვალი აქეთ აქვს, მაგრამ ისე, რომ არ შეამჩნიონ. ეშმაკობს. იცის, რომ გერმანე აუცილებლივ დაუძახებს და მას მართლაც მოესმის ბაბუას ხმა:

– ლაზარე, აქეთ შემოუხვიე, აქეთ!

ლაზარე შემოუხვევს. ყველას მიესალმება:

– აქა მშვიდობა!

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა. დაჯექი!

– აჰ, არ მცალია, ბატონო, საქმეზე მიმეჩქარება! ერთი ჭიქით კი გადღეგრძელებთ.

ტყუის ლაზარე – არსადაც არ ეჩქარება, მაგრამ რას იზამ, ასეთია წესი. ფეხზე მდგარი სვამს ერთ ჭიქას (მაშინ საღვინე ჭიქები იყო, იმითი სვამდნენ სადღეგრძელოებს და არა ჩაის ჭიქებით, როგორც ახლა, რაც ძალიან სამწუხაროა).

– დაჯექი, კაცო! ერთი ლუკმა დააყოლე.

– კაი, ბატონო! ცოტა ხნით ჩამოვიმუხლებ.

და იწყება ისევ ათას რამეზე ლაპარაკი. ცოტა ხნით „ჩამომუხლებული“ ლაზარე კი კარგად დაღამებულში ღიღინით მიდის სახლისაკენ.

ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ყოველ ზაფხულს მამიდაჩემ აკვირინეს ოჯახში ვატარებდი. იგი ცოლად ჰყავდა მღვდელ ამფილოქე ცინცაძეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის ძმას. ცხოვრობდნენ ტობანიერის იმ უბანში, რომელსაც „ეწერს“ უწოდებდნენ. შესანიშნავი, დიდი ეზო ჰქონდათ. ზაფხულობით აქ ვიყრიდით თავს მე, ჩემი და თინა, ბიძაშვილები (კორნელის ვაჟები: კოტე და ილია). თვითონ მრავალშვილიანი იყო და ეზო თამაშით აკლებული



მამიდა – აკვირინე კეკელიძე-ცინცაძე
18 მარტი, 1932 წელი

გვქონდა. მისი ერთი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა აბესალომ ტაბიძეს (გალაკტიონის ძმას). მათი შვილია ნოდარ ტაბიძე. მეორე – ვანელ ნოე ქავთარიას. მათი ვაჟია მიხეილ ქავთარია. ორივე ფილოლოგია. სხვებზე არაფერს ვამბობ. ყველამ კარგი ოჯახი შექმნა და ღმერთმა შთამომავლობა უდღეგრძელოთ.

მამიდა თხელ-თხელი, ლამაზი და ძალიან სანდომიანი სახის ქალი იყო, ჭკვიანი და ენერგიული. მამასა და ბიძაჩემ კორნელის ხშირად უთქვამთ: მას რომ კლასიკური განათლება მიეღო, ქვეყნის მმართველად გამოდგებოდაო. საკვირველია, როგორ ახერხებდა ეს ქალი დღეში სამჯერ იმდენი ჭადის გამოცხობასა და საჭმლის მომზადებას, რომ ყოველთვის 10-12 სული დავეპურებინეთ. საოცარი მოფერება იცოდა. მე მასთან ლაპარაკი მიყვარდა და ძალიან გამაოცა, როცა მისგან პირველად გავიგონე „ფოფინარე მთვარე" და „ქოთანი ფოფინარობს". როცა ვკითხე: მამიდა, ფოფინარე მთვარე რას ნიშნავს-მეთქი? – სავსე, გავსებულ მთვარესო; – ქოთანი-მეთქი? ისევ ისე მიპასუხა: – პირამდე სავსეს. როცა ქოთანში წყალი იხარშება და დუღილის დროს წყალი ქოთნის ნაპირებამდე აღწევს, ამას ჰქვია, „ფოფინობსო".

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შემდეგში სიტყვა „მფოფინარე" სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვნახე. საბა წერს: „მფოფინარე – ჩქარად მდუღარე". როგორც ჩანს, ძველად ეს სიტყვა ერთნაირად ესმოდათ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ბავშვებს გვიყვარდა ზაფხულობით სოფ. შუამთაში ბაზრობაზე წასვლა (ბაზრობა კვირაობით თუ პარასკეობით იმართებოდა, კარგად არ მახსოვს). აქ ბევრს ჰქონდა დუქანი, სახელოსნო, სადაც ოჯახებისთვის საჭირო წვრილმანი საქონელი იყიდებოდა. დახლებზე გამოფენილი იყო ყველი, კვერცხი, ბოსტნეული, თევზეული (გან-

საკუთრებით, ტარანი). ყიდდნენ ქათმებს, მსხვილფეხა საქონელსაც. იყო საყასბო დუქანიც, სადაც ახალი ხორცი მუდამ ეკიდა მოკაუჭებულ ჩანგალზე. ხალხი ბლომად იყრიდა თავს. მაგრამ ბაზრობას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. გამოპრანჭული ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დილიდან საღამომდე წრეს უვლიდნენ და ერთმანეთს ათვალიერებდნენ... ზოგი შეყვარებულიც იყო და აქ უფრო უმტკივნეულოდ ახერხებდა „გულისწორის" ნახვასა და გამოლაპარაკებას.

და აი, ერთ პარასკეობაზე მე და ჩემი მამიდაშვილი გიორგი (ჟორა) ცინცაძე წასასვლელად ვემზადებით. იგი ჩემზე 6-7 წლით უფროსი იყო. აქ ის უნდა შეხვდეს თავის მომავალ სატრფოს, მაგრამ მანამდე მისგან გაფრთხილებული ვარ, დავუწერო სასიყვარულო ლექსი და გადავცე „იმ გოგოს". ლექსებს უკვე ვწერდი და მეც გამოვაპოტიკე „გულის დამთუთქველი" რაღაც გრძელი ლექსი. სათაური არ მოეწონა და მეც ასე დავწერე: „ჩემს პისტის" (ჩვენს სოფელში იმ დროს გავრცელებული იყო ქალების ასეთი სახელები: პისტი, აღათი, კალისტრე, ეფროსინე, ფოტინე და ა. შ. ახლა მათ მაგივრად გავრცელდა: ლამარა, მზია, მანანა, ციური, ციალა, ლელა, მთვარისა და სხვ., თუმცა ბევრი ტრადიციული სახელი ისევ გვხვდება).

გიორგი მეუბნება:

– სხვა სახელი დავარქვათ.

– მაინც რა?

– აი, ასე: „ჩემს ელეონორას", „ჩემს ოფელიას" ან „ჩემს დეზდემონას".

დავის შემდეგ შევჩერდით „დეზდემონაზე". ხელმოწერა ინიციალებით: ჟ. ც. დავდივარ ბაზარში. ავუვლი და ჩავუვლი იმ ლამაზ, კოპწია გოგოს. ბოლოს გავბედე, გადავუდექი წინ და ძლივს ამოვილულღლულე:

– წერილი გამოგიგზავნეს.

კონვერტი, რომელშიც ჩადებული იყო ლექსი და წითელი ვარდის კოკორის სამი ფურცელი (მგზნებარე სიყვარულის ნიშნად!) ქალიშვილს ხელში შევაჩეჩე და სწრაფად გავეცალე.

ჩვენ ისევ განვაგრძობდით ბაზარში სიარულს, ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე. ვუთვალთვალებ, წაიკითხავს თუ არა? წაიკითხა. ორ გოგოსთან ერთად განცალკევდა და რაღაცას ცხარედ ლაპარაკობენ. მე სიარულს განვაგრძობ. გავიდა კაი ხანი. ვიღაცამ მხარზე ხელი მომკიდა. მივიხედე, ჩემ წინ პისტია ვიღაც ორ გოგოსთან ერთად. პისტი საკმაოდ თამამიც აღმოჩნდა და ნაკითხიც (ან სხვებისგან ჰქონდა ბევრი რამ გაგონილი).

– ჩემი მოკვლა უნდა ხომ იმას? დეზდემონა მისმა ქმარმა ხომ მოკლა?

მე არ ვიცი (წაკითხული არ მქონდა შექსპირის „ოტელო"), მოკლა თუ არ მოკლა დეზდემონა მისმა ქმარმა, მაგრამ შევატყვე, რომ საქმე ცუდად იყო და ჯიუტად ვუპასუხე:

– არ მოუკლავს!

– მოკლა, ნამდვილად ვიცი, რომ მოკლა!

– ტყუილია, არ მოუკლავს!

– არა, მოკლა, ნამდვილად მოკლა!

გავიქეცი და ჩემს მამიდაშვილს მოვუყევი ყველაფერი. მოილუშა, სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა და თქვა: შევცდიო, „ჩემს ელეონორას" უნდა დამეწერაო. დეზდემონა

შობელძაღლმა ქმარმა, მისი დედა ვატირე მე, მართლა დაახრჩო ის ძღაბი (ის „ძღაბი“ დეზდემონაა!) და მე აქ (შუამთის ბაზარში!) საქმე გამიფუჭაო. შემდეგ ისინი გაეცვნენ ერთმანეთს, კარგი რომანიც გაახურეს, მაგრამ მათი ქორწინება მაინც არ შემდგარა.

ჩემი მამიდაშვილი საყვარელი კაცი იყო. უყვარდა ცეკვა, დოლი, დაირა, წარმოდგენების გამართვა, სადაც ყოველთვის თვითონ იყო რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც. საკმაოდ წაიზარმაცებდა კიდეც. ერთი ცეკვა ჰქონდა აჩემებული, რომელსაც თვითონ „შამილის ცეკვას“ ეძახდა. დაიჩოქებდა, ხელებს ზევით აღაპყრობდა და წარმოთქვამდა:

შამილი შევიდა მეჩეთში,
ზეცას აღაპყრო ხელები.
ჰოი, ალახო, ალახო,
შენ მომეცი ძალ-ღონე,
რომ გავიმარჯვო რუსებზე,
აქ მოთრეულ ღორებზე.

მერე სწრაფად წამოხტებოდა და ისე დაუვლიდა, რომ პირდაპირ ცეცხლს ანთებდა. ამ ცეკვაში იყო რაღაც ილეთები „მწყემსურიდან“ და „მთიულურიდან“.

უვნებელი ტყუილების „დახეთქება“ იცოდა. ბევრ მსოფლიო ცრუპანტელას ამოუდგებოდა გვერდში. ვალაპარაკებდი და პირველად თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს მისი მჯეროდა. ისიც გატაცებით მიამბობდა ტყუილს.

მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. დაიჭრა, მარცხენა ხელი გაუფუჭდა, ცალხელი დაბრუნდა. ერთხელ მიყვება, ორდენი უნდა მიმელო, მაგრამ მამაძაღლებმა საბუთები დამიკარგესო.

ვეკითხები:

– რაზე უნდა მიგელო ორდენი? რა გმირობა ჩაიდინე ასეთი?

– თორმეტი გერმანელი ჯარისკაცი ოფიცრიანად დავატყვევე და შტაბში მივიყვანე.

– როგორ?


– როგორ და ასე! ჩვენი ნაწილი წინ გაიჭრა. მე უკან ჩამოვრჩი, რადგან მარცხენა ფეხზე ჩექმას ძირი გასძვრა, თოკით ვიმაგრებდი. სანგრის გასწვრივ მივდიოდი. უცებ თხრილში ექვსი გერმანელი დავინახე, არაყს სვამდნენ და რომელიღაც გერმანულ სიმღერას მღეროდნენ. წავადექი თავზე და ვუყვირე:

– ჰენდე ჰოხ! (ხელები მაღლა!). მაშინვე დაყარეს ავტომატები და ხელყუმბარები. ვუბრძანე, თხრილიდან ამოსულიყვნენ. ამოვიდნენ. დავამწკრივე და მე, ავტომატმომარჯვებული, მივყვები უკან. ცოტა ხნის შემდეგ თხრილში კიდევ დავინახე ექვსი გერმანელი. ისინიც არაყს სვამდნენ. იმათაც ვუყვირე:

– ჰენდე ჰოხ! („ჰენდე ჰოხ“-ს იგი ძალიან ხმამაღლა და სიამაყით შესძახებდა ხოლმე). მაშინვე დამემორჩილნენ და ფრთხილად ამოვიდნენ ზევით. დავამწკრივე ყველანი და შტაბში მივიყვანე. შემაქეს მამაცობისთვის და მითხრეს, ორდენს მოგცემთო.

– კი მაგრამ, გერმანელთა მეორე ჯგუფს რომ წააწყდი, პირველად დატყვევებულები სად იყვნენ ამ დროს?

– რას ჰქვია, სად იყვნენ? იმათ ვუბრძანე, მიწაზე დაწოლილიყვნენ და ხმა არ ამოეღოთ.



მამიდა – ასინეთ კეკელიძე-ყუბანეიშვილი

მე გულში მეცინება. სულ ტყუილია, რასაც იგონებს, მაგრამ თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მჯერა მისი ნათქვამი. საოცარია, მან იცის, ტყუილს რომ ამბობს და ისიც იცის, რომ მე ვიცი, ტყუილებით რომ „მბერავს“. მიუხედავად ამისა, ის ამით ძალიან კმაყოფილია და მპირდება, რომ კიდევ ბევრ რამეს მომიყვება, რაც ომში თავს გადახდა.

ღმერთო, მისი სული გაანათლე! ასეთი ტყუილები იცოდა, მაგრამ ეს ტყუილი არავის ვნებდა, მას კი სიამოვნებდა.

მეორე მამიდა ასინეთი ცოლად ჰყავდა ივლიანე ყუბანეიშვილს (მათი ვაჟი იყო პროფ. სოლომონ ყუბანეიშვილი). იმ მამიდასთანაც მიყვარდა მისვლა, მაგრამ ამას უფრო იშვიათად ვახერხებდი, რადგან მათი სახლი საკმაოდ შორს იყო ბაბუას სახლიდან. კარგის მეტი არც ამ ოჯახიდან მახსოვს. მესამე მამიდა მართა ბაღდადში იყო გათხოვილი და მას მხოლოდ იშვიათად ვხვდებოდი თბილისში.

რაც შეეხება ბიძებს, კორნელი თბილისში ცხოვრობდა, ანდრო და აკაკი კი – ბათუმში. ანდრო ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, აკაკი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი იყო.

ახლა კი საკუთრივ ჩვენი ოჯახისა და მამაჩემის შესახებ...

ბაბუა სამსონს ხის სახლი მდინარის ფერდობის ზევით ჰქონდა. იგი მდინარე ყუმურს მარჯვენა ნაპირიდან გადაჰყურებდა. სახლის წინ პატარა ეზო იყო, ვაკე ადგილი. ხელმარჯვენივ უზარმაზარი, ასწლოვანი წიფელი იდგა (ბოლოს მეხი დასცემია და გამხმარა. ახლა მისი კვალიც აღარ ჩანს). ხელმარჯვნივ იდგა ასევე დიდი მსხალი, რომელსაც „კაცისთავას“ ეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ სიდიდით უზარმაზარ მსხლებს ისხამდა. აქვე, მოშორებით, ვაზი იყო გაშენებული, მგონი, ალადასტურის ჯიშისა. მცირე ფართობი ეკავა. მდინარისაკენ დასაშვებ ფერდობზეც ვენახი იყო,



სევერიანე კეკელიძე საველე სათადარიგო ჰოსპიტალის თანამშრომლებთან
განჯა, 7 ივლისი, 1916

მაგრამ ისიც მცირე ოდენობით. კინწოულაზე ჰქონდათ კიდევ პატარა მიწის ფართობი, რომელზეც მთლიანად თხილი იყო გაშენებული.

ბაბუა სამსონი სამების ეკლესიის დიაკვანი თუ მნათე იყო. ამის წყალობით ის სასულიერო წოდებას მიეკუთვნა და ამიტომ შეძლო, თავისი ვაჟები: კორნელი, სევერიანე და ანდრო ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიებარებინა, შემდეგ – ქუთაისის სასულიერო სემინარიაში (ვიდრე გააუქმებდნენ; კორნელი კი თბილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა). აქ უნდა შევნიშნო, რომ ახლო ნათესავები (გამონაკლისის გარდა) სულ სასულიერო პირები იყვნენ: ბაბუა სამსონი (მამის მხრივ) – დიაკვანი, ბაბუა გერმანე (დედის მხრივ) – მღვდელი, მამის ბიძაშვილი მეთოდე – მღვდელი, მამიდაჩემის ქმარი ამფილოქე – მღვდელი, მისი ძმა კალისტრატე – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ბიძია კორნელი – დეკანოზი; თვით მამაჩემიც 1910 წლიდან 1917 წლამდე მღვდელმსახურებას ეწეოდა. ასე რომ, წოდებრიობაზე თუ მიდგება საქმე, მგონი, სასულიერო წოდებას ვეკუთვნი.

მამა სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ – სემინარიაში. 1902 წელს სემინარიაში მოხდა დიდი არეულობა, გაფიცვა, რომლის აქტიური მოთავეები (მათ შორის, მამაჩემიც) სემინარიის დამამთავრებელი მე-5 კლასიდან გარიცხეს. შემდეგ მოახერხა მასწავლებლის ადგილის შოვნა ზემო სვანეთის სოფ. ფარში (1903 წელს). 1905 წელს ბესარიონ ნიჟარაძესთან კონფლიქტის გამო იქ მასწავლებლობას თავი დაანება (ამ კონფლიქტთან დაკავშირებით მამას წერილი

მოუთავსებია გაზ. „ცნობის ფურცელში“, რასაც რამდენიმე წერილით გამოეხმაურა ცნობილი პუბლიცისტი სტ. ჭრელაშვილი – ფსევდონიმი „სანო“. თვით ბესარიონ ნიჟარაძეს მწერლობაში იცნობდნენ „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით. კონფლიქტის მიზეზი ქართული ენის სწავლების საკითხი იყო. ამაზე მამა უფრო ვრცლად ლაპარაკობს თავის „მოგონებაში“). შემდეგ პედაგოგობა განაგრძო სენაკის მაზრის სოფ. სამიქაოში. 1910 წლიდან მღვდლად ეკურთხა. დააარსა ერთკლასიანი სასწავლებელი მუქედში. მასწავლებლობდა იქ და საპაიჭაოს სკოლაში გახსნა სამკითხველო-ბიბლიოთეკა, საკრედიტო ამხანაგობა, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „საჩინო“, ხელს უწყობდა სახალხო წარმოდგენების გამართვას და სხვ. ამავე დროს, თანამშრომლობდა პრესაში.

ერთხელ ვკითხე:

– მამა, რატომ ეკურთხე მღვდლად? რა მიზანი გქონდა?

მოკლედ მიპასუხა:

– ხალხთან დაახლოების მიზნით. მისი ჭირ-ვარამის გასაგებად. ხალხში კულტურული საქმიანობის გასაჩაღებლად. განათლებული მღვდელი მაშინ ხალხს სჭირდებოდა.

რა პარტიას ეკუთვნოდა მამა ახალგაზრდობაში, არ ვიცი. მართალია, მან 1907 წელს თარგმნა სოციალისტ-რევოლუციონერის (ესერის) ვ. ჩერნოვის ნარკვევი „კლასობრივი მდგომარეობა თანამედროვე გლეხობისა“, რომელიც იმავე წლის გაზ. „ისრის“ ნომრებში დაიბეჭდა, მაგრამ არა მგონია, რომ ის ამ პარტიას ეკუთვნოდა.

როცა წამოვიზარდე და პარტიულობის შესახებ ვკითხე, მიპასუხა:

– მე ყველა იმ პარტიას ვეკუთვნი და დავუჭერ მხარს, რომლებიც საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებენ.

დანამდვილებით ვიცი, რომ „ყველა პარტიაში“ არ შედიოდა ბოლშევიკების პარტია, რომელიც მას სიკვდილამდე საქართველოს დამღუპველად მიაჩნდა.

მამა თბილისში გადმოსვლის შემდეგ შევიდა ახალგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მაგრამ არ დაუმთავრებია; მეორე კურსიდან გამოვიდა, რადგან ოჯახის შენახვა გაუჭირდა. სინანულით იტყოდა ხანდახან, სწავლას თავისი დრო აქვს, ახლა ეპისკოპოსი კირიონიც ვერ მიშველიდა, ოჯახს მოკიდებული ვიყავი.

რატომ ახსენებდა კირიონს, მაშინ არ მიკითხავს. თავის „მოგონებაში“ კი კირიონის შესახებ წერს: „როდესაც კორნელი სემინარიას ამთავრებდა, მას სემინარიის ხელმძღვანელობა კიევის სასულიერო აკადემიაში უპირებდა გაგზავნას სწავლის გასაგრძელებლად, მან კი უარი განაცხადა, რადგან უმცროს ძმებს პატრონობა სჭირდებოდა. მე კი სახელმწიფო ხარჯზე ვიზრდებოდი, თვეში მაძლევდნენ 12 მან. და 50 კაპიკს. ეს ამბავი გაეგო ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილს) და კორნელისათვის აღეთქვა: შენს უმცროს ძმებს (ანდროს და ბესარიონს) მე გავუგზავნი ყოველთვიურად 8-8 მანეთს, შენ კი აკადემიაში წასვლაზე უარი არ თქვაო. კორნელიც დაეთანხმა და, მართლაც, კირიონი რამდენიმე წელიწადს თავის დანაპირებს პირნათლად ასრულებდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კარგა ხნის შემდეგ, როდესაც „უწმიდესმა სინოდმა“ კირიონი დასაჯა და ქალ. ორიოლში გაამწესა, ე. ი. გადაასახლა ეპისკოპოსად, ჩემი ძმა ანდრო მასთან ჩავიდა, იქ სემინარიაში შევიდა და ამ პერიოდში მას მთლიანად კირიონი ინახავდა“.



ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი)
ორიოლი, 1904 წელი
ფოტო: ი. ვარენიკ

ნათელი დაადგეს დიდი მამულიშვილისა და სწავლულის, ვერაგულად მოკლული კირიონის (გიორგი საძაგლიშვილის) სახელს! ბედნიერებაა, რომ ასეთი ქართველები გვყავდნენ. ის რომ არა, ვინ იცის, კორნელის ცხოვრება და მომავალი როგორ წარიმართებოდა.

სოფლიდან ქალაქში. მოწაფეობის წლები

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მამაჩემი თბილისში გადმოვიდა, თან წამოიყვანა უფროსი ვაჟი ალექსანდრე. თვითონ საბაჟოში დაიწყო სამსახური, შვილი კი მეორე ვაჟთა გიმნაზიაში შეიყვანა. 1918 წელს მამამ სოფელში მამისეული სახლი გაყიდა და ყველანი თბილისში წამოგვიყვანა. სახლში აღებული ფულით მან ყოფილ შერემეტევის (ახლა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის) ქუჩაზე შეიძინა ძველი ერთსართულიანი სახლი, რომელიც ვიღაც რუს კოჟაკოვს ეკუთვნოდა. იგი რუსეთში საცხოვრებლად მიდიოდა (აქ უნდა შევნიშნო, რომ იმ პერიოდში რუსები ბლომად მიდიოდნენ რუსეთში, სომხები – სომხეთში. თბილისის „გაქართველება" სწორედ იმ დროიდან დაიწყო).

ის უბანი, სადაც ჩვენ დავსახლდით, მაშინ თითქმის გარეუბანს წარმოადგენდა. ჩვენი სახლის წინ და ანდრეევის (ახლა თევდორე მღვდლის) ქუჩის ბოლოს ცარიელი მინდვრები იყო, სადაც ბავშვები თავისუფლად ვთამაშობდით. მერე დრო შეიცვალა, ქალაქს ახალი შენობები ემატებოდა და მინდვრებიც ქრებოდა. ჩვენ რომ წამოვიზარდეთ, მამას ხანდახან ვუსაყვედურებდით: რამ გაყიდინა აქ სახლი, ქალაქის ცენტრში რატომ არ იყიდე ბინა? და სხვა ამდაგვარი რამ. ისიც გვიპასუხებდა:



ანდრო კეკელიძე
იაროსლავლი, 12 ივლისი, 1910 წელი

– ცენტრში ბევრი ფული უნდოდა, რაც მე არ მქონდა. აქ კი სახლი იმიტომ ვიყიდე, რომ აქედან ბაზარიც (ე. წ. დეზერტირის) და ვაგზალიც ახლოა, 20 წუთში მიხვალ კაცი. თქვენ თუ აქაურობა არ მოგწონთ, ხელი და თავი გაანძრიეთ და უკეთეს ადგილას შეიძინეთ ბინა. მე უკეთესი ვერ შევძელი.

სოფლიდან წამოსვლა დედაჩემისთვის, ჩემთვის და ჩემი დისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნა. ვტიროდით, ძალიან გვენანებოდა შეჩვეული კარ-მიდამოს, ეზოს, ვენახის, ტყიანი ფერდობებისა და მდინარე ყუმურის დატოვება. სამაგიეროდ წამოსვლის შემდეგ სიყვარული ჩემი სოფლისადმი უფრო გაგვიმძაფრდა და ყოველ ზაფხულს (გარდა ერთი შემთხვევისა) 1923 წლამდე ბავშვები სოფელში ვატარებდით, ხან ბაბუასთან (ვიდრე ცოცხალი იყო), ხან მამიდაჩემთან. ნათესავებიც და მეზობლებიც, ყველანი სიყვარულით გვიღებდნენ. ჩემი სოფლის სიყვარული აქამდე ძალუმად შემომრჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებ ჩასვლას და აღარც ახალი თაობაა ისეთი, როგორიც ძველად იყო. მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია წუთისოფელი.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა საშუალოდ, ზოგჯერ გაჭირვებულადაც, მაგრამ ეს მარტო ჩვენი ოჯახის ხვედრი არ ყოფილა. მსოფლიო ომმა მძიმე კვალი დააჩნია საქართველოს სოფლისა და, განსაკუთრებით, ქალაქის მოსახლეობას, მაგრამ რუსეთთან შედარებით ჩვენში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამოთხე იყო. ამას კარგად გვიჩვენებს ერთი ბროშურა, რომლის ავტორიც, მგონი, სეით დევდარიანი უნდა იყოს. მას იმ წლებში მოუნახულებია რუსეთი და აღწერს იქ არსებულ საშინელ, შემზარავ ვითარებას. სიკვდილის პირას მისული მშიერი ხალხი ადამიანის ხორცის ჭამასაც არ ერიდებოდა.

1918 წელს სკოლაში მიმაბარეს. ეს სკოლა კოოპერაციის ქუჩაზე, ჩვენთან ახ-



„ტფ. ქართ. მუშათა მომღ. მგალობ. გუნდი“ დაარსება. 1912 წ. მიხეილ კავსაძის მიერ.

მიხეილ კავსაძე მის მიერ 1912 წელს თბილისში დაარსებული მგალობლების გუნდის წევრებთან

ლოს, მდებარეობდა, ბეროზაშვილის სკოლას უწოდებდნენ, მერე კი, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 32-ე თუ 33-ე შრომის სკოლად მონათლეს. აქედან წერა-კითხვის შესწავლის გარდა (მასწავლიდა არეთა კობახიძე) მხოლოდ ორი მომენტი დამამახსოვრდა. გალობას გვასწავლიდა ძალიან ლამაზი, კოხტა კაცი მიხეილ კავსაძე. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ჯგუფში შემოვიდოდა, ცოტას წაგვამღერებდა და მერე სიმღერისა და, საერთოდ, მუსიკის შესახებ საინტერესოდ გველაპარაკებოდა. ამ სკოლაში მესამე ჯგუფში ვიყავი, როდესაც გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მასწავლებელთან მივედი და განგებ ვკითხე, „დიდებას“ რატომ არ გვასწავლით-მეთქი (რასაკვირველია, ვიცოდი, რატომაც არ გვამღერებდა „დიდებას“). ხელი მომხვია და ცალკე, კუთხესთან, გამიყვანა. ერთხანს გაჩუმებული იყო, მერე შემეკითხა:

– დედ-მამა გყავს?

– დიახ, მყავს.

– სად ცხოვრობენ?

– აქვე, ახლოს.

– აი, რა გითხრა, ყმაწვილო, ასეთი კითხვები აღარც მე მომცე და აღარც სხვას, თორემ მეც დამიჭერენ და შენს მშობლებსაც. ახლა სხვა მთავრობაა. მოვა დრო და მერე იმღერებენ „დიდებას“. ჭკვიანად იყავი, თორემ ცუდი რამ შეგემთხვევა.

ცუდი იყო თუ კარგი, შემემთხვა კიდეც, მაგრამ ამაზე შემდეგში.

მეორედ ასეთი რამ მოხდა. ჩვენთან ერთი მოსწავლე იყო – ფულარიანი, წყნარი, ბუნჩულა ბიჭი. შუა გაკვეთლზე მასწავლებელს სთხოვა, გარეთ გაეშვა. არ გაუშვა მასწავლებელმა: ახლა შემოხვედი და გარეთ საცუღლუტოდ მიდიხარო. რამდენიმე



ჯგუფის „შევარდენი“ წევრები
ცენტრში: თამარ და გიორგი ნიკოლაძეები, გიორგი ეგნატაშვილი

წუთის შემდეგ ბავშვმა ისევ სთხოვა, გარეთ გაეშვა. მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია. ბავშვმა ტირილი დაიწყო, წამოვარდა მერხიდან და კარებისკენ გაექანა. მერხებს შორის რომ მიდიოდა, იატაკზე წვეთს ტოვებდა. მოწაფეები იცინოდნენ. ვიღაცამ წამოიძახა: ქვეშაფსია ყოფილაო.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ზოგიერთ მასწავლებელს, განსაკუთრებით, დაწყებითი კლასებისას, მოვაგონო, ფრთხილად იყონ, ნუ ჰგონიათ, რომ ბავშვი ყოველთვის საყალთაბანდოდ თხოულობს გარეთ გასვლას. ფულარიანი ჩვენს ჯგუფში აღარ დაბრუნებულა, მშობლებმა ის სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

ამ სკოლიდან შემრჩა ორი გულითადი მეგობარი: ვლადიმერ წოწელია და დავით კობალავა. პირველი ნიჭიერი ლიტერატორი დადგა, მეორე ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორი გახდა. თანამოაზრენი ვიყავით. ვიდრე სულს ზეცას მიაბარებდნენ, ყოველთვის გულთბილი მეგობრობა გვქონდა.

მეოთხე ჯგუფში გადასვლისთანავე მამამ მე და ჩემი და ამ სკოლიდან გამოგვიყვანა და თბილისის მე-9 შრომის სკოლაში (ყოფილი ეპარქიული სასწავლებელი) მიგვაბარა. ამ სკოლასა და მის მასწავლებლებზე აქვე ვიტყვი ყველაფერს, რაც მახსოვს. მანამდე კი 1918 წლის, ჩემთვის და ალბათ ბევრი სხვისთვის დაუვიწყარი, ამბავი მინდა მოვიგონო – საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. წლის თავზე ვაკის მიდამოებში ამ დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი გაიმართა. ჩემი აზრით, ეს დაახლოებით იმ ადგილას უნდა ყოფილიყო, სადაც ახლა ვაკის პარკია. მამაჩემმა ყველანი წაგვიყვანა ამ ზეიმზე. დიდუბიდან უნივერსიტეტამდე რა ტრანსპორტით მივედით, არ მახსოვს. უნივერსიტეტიდან კი ყველანი ფეხით გავუყევით გზას. ჩვენთან

ერთად უამრავი ხალხი მოდიოდა. უნივერსიტეტიდან პარკისაკენ მიმავალი გზა თითქმის დაუსახლებელი იყო, თითო-ოროლა შენობა ჩანდა მხოლოდ და აგურის ქარხნის მილები. ამინდი მშვენიერი იყო, მშრალი, მზიანი. ცხელოდა კიდეც. როცა დანიშნულ ადგილას მივედით, დაბლობშიც და ფერდობზეც (გზის გასწვრივ) უკვე ზღვა ხალხი დაგვხვდა მისული. გზაში ჩვენ შემოგვიერთდა მამაჩემის ერთი ნაცნობი, აისორი ინტელიგენტი, რომელიც ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა და დიდ სიხარულს გამოხატავდა. ეს იმიტომაც დამამახსოვრდა, რომ, როცა სიცხისგან ბავშვებს პირი გვიშრებოდა, სადღაც გაქრა და ორი ბოთლი ლიმონათი მოგვიტანა. სული მოვითქვით. დაბლობიდან ისმოდა სიმღერა, ცეკვავდნენ, მგონი, „შევარდენი" საჩვენებელ ვარჯიშებსაც ასრულებდა. ვიღაც სიტყვას ამბობდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გვესმოდა. უცებ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და, ფერდობზე ვინც ვიყავით, გზისკენ გავიხედეთ. აისორმა მამას მიმართა:

– სევერიანე, აქეთ, აქეთ, დაინახე, ვინ მოდის!

ჩვენ ყველანი გზას მივაწყდით. გვესმოდა ტაშისცემა, შეძახილები: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!", „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" მალე გამოჩნდა ეტლი. ცხენები ყვავილებით იყო მორთული. ძალიან ნელა, თითქმის ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა წინ. ეტლის სახურავი გადაწეული იყო და კარგად ჩანდა შიგ მჯდომი კაცი, თითქმის მთლად გათეთრებული წვერ-ულვაშით (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა). მოხდა ისე, რომ ეტლი სწორედ იქ შეჩერდა რამდენიმე ხანს, სადაც ჩვენ ვიდექით. ატყდა მქუხარე ტაშისცემა, ეტლს ყვავილებს ესროდნენ და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ჟორდანიას!", „გაუმარჯოს საქართველოს!"

ბავშვებმა გავიგეთ, ეს კაცი ნოე ჟორდანია ყოფილა. გაოცებულნი მივჩერებოდით. საოცრად სათნო, მშვიდი სახე ჰქონდა. დამოუკიდებლობის წლებში გამოვიდა ნოე ჟორდანიას თხზულებათა სამი ტომი. ერთ მათგანს ახლავს მხატვარ კოტე ქავთარაძის ნახატი – ჟორდანიას პორტრეტი. სავსებით ზუსტად იყო გადმოცემული მისი სახე, სწორედ ისეთი, როგორც მე დამამახსოვრდა. ასეთივე დამამშვიდებელი სახე ჰქონდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესაც, რომელიც ჩვენ გვეწათესავებოდა და ბევრჯერ მინახავს.

ნოე ჟორდანია ეტლში მარტო იჯდა, მგონი, არც დაცვა ახლდა და არც ვინმე მეგობარი. იგი ხანდახან ხელის აწევით ესალმებოდა ხალხს. მერე ეტლმა გზა განაგრძო. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ნახვა ცოცხალი ნოე ჟორდანიასი. ისე კი მისი ხსენება ჩვენს ოჯახში, მთელ საქართველოშიც ხშირი იყო. მასში ქართველი ხალხი თავისუფალი საქართველოს სიმბოლოს ხედავდა და არა პარტიულ მოღვაწეს. მეც, მთელი ჩვენი ოჯახიც, ალბათ ქართველთა დიდზე-დიდი უმრავლესობაც, კიდევ ვიმეორებ, მასში საქართველოს თავისუფლების სიმბოლოს ხედავდა და ამიტომაც უდიდეს პატივს სცემდა. ასეთივე შეხედულების დავრჩი სიბერეშიც.

მახსოვს, როცა ჩვენს ოჯახში მამა თავის მეგობრებს ვახშამზე იწვევდა (ეს უკვე თავისუფლების დაკარგვის შემდეგ), სტუმრები ერთხანს პოლიტიკაზე ლაპარაკს გაურბოდნენ, მაგრამ რამდენიმე ჭიქის შემდეგ ნელ-ნელა იწყებდნენ ღიღინს:

მიყვარს ვარდი, მიყვარს ია,
მიყვარს ნოე ჟორდანია.
გაზაფხულზე მოვა ია,
მას მოჰყვება ჟორდანია.



ნოე ჟორდანია

შემდეგ საქართველოში გაზაფხულზე ბევრჯერ მოვიდა ია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჟორდანიას ჩამოსვლა არ ღირსებია, ისე დალია სული უცხოეთში.

იგი უაღრესად პოპულარული და პატივსაცემი პიროვნება იყო. ამასვე ადასტურებს გრიგოლ რობაქიძეც ნ. ჟორდანიასადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც ქართულმა რადიო „თავისუფლებამ" გადმოსცა და მე მოვისმინე იმ პერიოდში, როცა გადმოცემებს ახშობდნენ და ცუდად ისმოდა. ასევე დიდ შეფასებას აძლევს მას სახელგანთქმული მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე მიხაკო წერეთელიც.

ამ ბოლო დროს ბევრი დიდი ილიას სახელის მოხსენიებით და დამოწმებით უსინდისო სპეკულაციას ეწევა. მაშინვე მიუთითებენ იმ კამათზე, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის წარმოებდა და აღნიშნავენ, რომ ამ კამათში ილია მართალი იყო და ჟორდანია სასტიკად ცდებოდაო.

დეე, იყოს ასე! მაგრამ განა ეს იმის საფუძველია, რომ „მეუმცირესენი" ილიას მოკვლას მოითხოვდნენ?

ილია ზოგიერთ საკითხში მწვავედ ეპაექრებოდა არა მარტო ჟორდანიას, არამედ არჩილ ჯორჯაძესაც, ივანე მაჩაბელსაც, ივანე გომართელსაც და ბევრ სხვას. განა ეს კამათი უფლებას აძლევს ვინმეს, რომ ამათ დავაბრალოთ, ესენიც ილიას ფიზიკურ განადგურებას მოითხოვდნენო? ეს სისულელეა! ასევე სისულელეა, პროვოკაციულია, თითქოს ჟორდანია და მისი პარტია მოუწოდებდნენ ქართველ ბოლშევიკებს, თქვენ ილია მოკალით, ჩვენ კი საიდუმლოს შეგინახავთო (ბოლშევიკებს ასეთი „მოწოდება" არ სჭირდებოდათ. ისინი იყვნენ ორგანიზატორები და ფიზიკური შემსრულებელნი დიდი ილიას მკვლელობისა).

ბოლო დრომდე ნოე ჟორდანიას სახელს ბოლშევიკების მხრიდან ტაბუ ჰქონდა

დადებული. ლანძღვით კი, იცოცხლე, ენა ჰქონდათ გატლეკილი. ახლა კი დრო შეიცვალა. ნ. ჯორდანიას რამდენიმე ნაშრომი უკვე გამოვიდა ქართულად, არც მისი გვარისა და სახელის ხსენება არის საშიში. უფრო უკეთეს დროს უნდა ველოდოთ, არც ის უნდა იყოს შორს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს სკოლას. მამამ რომ იქ მიმიყვანა, სადარბაზოს შესასვლელთან შემხვდა სკოლის გამგე ალექსანდრა ნებიერიძე, ჭაღარამორეული, ინტელიგენტი მანდილოსანი. მე შორს ვიდექი. ისინი იცნობდნენ ერთმანეთს, რაღაც ილაპარაკეს და გაიცინეს. მერე სკოლის გამგემ დამიძახა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: აბა, შენ იცი, როგორ კარგად ისწავლიო. ამ დროს დერეფნის კართან გამოჩნდა ერთი ჩემხელა ბიჭი, პატარა ჩექმები ეცვა, თეთრი ხალათი, ქამარშემოჭერილი. გამგემ დაუძახა და უთხრა: შენს ჯგუფში შეიყვანეო. კიბეზე რომ ავდიოდი, ხელში პატარა ჯაყვას ვათამაშებდი. მთხოვა, მაჩუქეო, რაზედაც ცივი უარი ვუთხარი. გული მოუვიდა, ხმა აღარ ამოუღია, ისე შევყევი ჯგუფში. რამდენიმე ხანს არ მელაპარაკებოდა. მერე კი ძალიან მაგრად დავმეგობრდით და ეს მეგობრობა მის გარდაცვალებამდე უანგაროდ გაგრძელდა. ჩემთან ერთად გამოსცადა ციხეებიც და გადასახლებაც. ეს ბიჭი რაჭველი გრიშა სვანი იყო, სოფელ ფუტიეთიდან. მისი მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ.

იმ ჯგუფში, რომელშიც გრიშა სვანს შევყევი, მასწავლებელს მარი ზახაროვნას ეძახდნენ, გვარად გარსიაშვილი იყო. იგი კარგად იცნობდა კორნელისა და ბიცოლაჩემ მინადორა კასრაძეს ჯერ კიდევ ეპარქიული სასწავლებლიდან. ვფიქრობ, მათ დაახლოებაშიც გარკვეული წვლილი მიუძღოდა. რომ დამინახა, გვარი მკითხა. ვუთხარი. – იმ ბიჭს თუ იცნობ? – შემეკითხა კიდევ და ბოლო მერხზე მჯდომ ბიჭზე მიმითითა. დავინახე ჩემი ბიძაშვილი ილიკო კეკელიძე (კორნელის უმცროსი ვაჟი). იგი ეშმაკურად იყურებოდა და ილიმებოდა. როცა თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ვიცნობ-მეთქი, მასწავლებელმა განაგრძო:

– მაგან ხომ ჭლექი გამიჩინა თავისი მოუსვენრობით და ახლა შენც თუ მას აჰყევი, ორივეს სკოლიდან გაგაგდებთ.

ეშმაკობით მართლაც ბევრს ვეშმაკობდით, ბევრჯერ გავაბრაზეთ ჩვენი მასწავლებელი, მაგრამ არსად გავუგდივართ. რამდენჯერმე ვნახე კორნელისთან სადილზე. ჩვენ შესახებ სიტყვა არ დასცდენია.

ერთი ჩვეულება ჰქონდა. გაკვეთილის დაწყების წინ ხელებს მერხზე დაგვალაგებინებდა, ფრჩხილებს დახედავდა, ყურშიც ჩაგვხედავდა და, თუ რომელიმეს შეამჩნევდა უსუფთაობას, მაშინვე შინ ისტუმრებდა და მიაძახებდა, ხელები დაიბანე, ფრჩხილები დაიჭერი და ყურები გამოიბანე, თორემ კლასში არ შემოგიშვებო.

ამ სანიტარულ შემოწმებას რომ დაამთავრებდა, შემდეგ გვიბრძანებდა, ცხვირსახოცები ამოგველო. ზოგს ჰქონდა, ზოგს – არა. კარგა ლაზათიანად მიგვალანძღავდა და გვეტყოდა: ხვალ ქათქათა ცვირსახოცებით გამოცხადდებით, თორემ თქვენს მშობლებს გამოვიძახებო.

მშობლების გამოძახება მაშინ ძალიან იშვიათად ხდებოდა. ახლა სხვა დრო დადგა. ბევრ მასწავლებელს ავადმყოფობად გადაექცა მშობლის გამოძახება, კვირაში, მგონი, 2-3-ჯერაც იძახებენ. მაგრამ რა? ისე შეეჩვია მოწაფეც, მასწავლებელიც და მშობელიც სკოლაში დაბარებას, რომ არავითარ გავლენას ახდენს არც მოსწავლეზე და არც მშობელზე.



სხედან: ანა ხახუტაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მესხი; დგანან: ანა ღვინიაშვილი, მარიამ ალექსიძე (მარიჯანი), დარია ახვლედიანი, საფო მგელაძე, ნინო ტყეშელაშვილი, ლიდია მეგრელიძე
თბილისი, 1920-იანი წლები
ფოტო: ევტიხი ჟვანია

შვიდი ჯგუფი დავამთავრე. ვსწავლობდი საკმაოდ კარგად, მაგრამ ყველა საგანს ერთნაირი გულისყურით არ ვეკიდებოდი. განსაკუთრებით მიყვარდა ქართულის, გეოგრაფიისა და ისტორიის გაკვეთილები. ქართულს პირველად მარიამ ჩორბაძე გვასწავლიდა. ქართული ენის (გრამატიკის) გაკვეთილები სრულიად არ ტარდებოდა, თუმცა ცხრილში „ქართული ენა“ ეწერა და არა – „ქართული ლიტერატურა“. მხოლოდ ერთხელ, მახსოვს, მასწავლებელმა შემოიტანა სილოვან ხუნდაძის ქართული ენის სახელმძღვანელო და ბრუნვები დაგვაზეპირებინა. ამით დამთავრდა ჩვენი გრამატიკის ცოდნა. შემდეგ ჩორბაძე შეცვალა ანა ხახუტაშვილმა, მწერლობაში „ცქვიტის“ ფსევდონიმით ცნობილმა. კარგი მასწავლებელი იყო. გულთბილად მეპყრობოდა, ზოგჯერ მაქებდა კიდეც, მაგრამ ერთხელ ძალიან გავაჯავრე. აკაკის რომელიღაც ლექსი მოგვცა საზეპიროდ. მე საერთოდ ლექსის ზეპირად სწავლა არ მიყვარდა. თუ წავიკითხავდი ლექსს, მოსაწონი სტროფი თუ ტაეპი თავისთავად მამახსოვრდებოდა, შრომა-ენერგიის დახარჯვის გარეშე. აკაკის ლექსიც არ მისწავლია. ვიზარმაცე, მხოლოდ ორიოდე სტროფი დავიმახსოვრე. გაკვეთილი მკითხა, ლექსი არ ვიცოდი.

მასწავლებელი კოჭლობით წამოვიდა ჩემკენ (ბავშვობაში ხიდან თუ კიბიდან ჩამოვარდნილიყო და დაკოჭლებულიყო).

– შენა, ბიჭო, რატომ არ ისწავლე ლექსი?

– ძნელი იყო, მასწავლებელო! – ვიცრუე უტიფრად.

– შენა, არ გამაგიჟო ახლა! აკაკის ლექსია ძნელი, აკაკისა?

ხმას არ ვილებ.

– მსუქან ორიანს გამოგაყოლებ, თუ არ ისწავლი, კარგად დაიმახსოვრე.

გავიდა დრო. არაფერი უკითხავს. ბეჯითად ვსწავლობდი. ვიფიქრე, ყველაფერი გადაავიწყდა-მეთქი. მიმდინარე გამოკითხვისას მაღალ ნიშნებსაც მიწერდა. მეოთხედი თუ სემესტრი იწურებოდა (არ მახსოვს, როგორ იყო დაყოფილი სასწავლო წელი), გამომიძახა, რაღაც-რაღაცები მკითხა და მერე მომთხოვა აკაკის ის ლექსი, რომელიც თავის დროზე არ ვისწავლე. დავიწყე, მაგრამ რაც არ ვიცოდი, რას ვიტყოდი. არაფერი უთქვამს, წადი, დაჯექიო. მეოთხედის ბოლოს ქართულში „ორიანი" გამომაყოლა. ჩემს სიცოცხლეში ეს იყო ერთადერთი „ორიანი", რომელიც მოწაფეობის წლებში მივიღე ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ საბოლოოდ ჩემმა კეთილმა მასწავლებელმა მაინც „ხუთი" თუ „ფრიადი" გამომაყოლა (არ მახსოვს, ნიშნები ციფრებით იწერებოდა, თუ სიტყვებით).

ანა ხახუტაშვილის დასამახსოვრებელ საქმეთაგან ორი მინდა გავიხსენო. ერთხელ ბავშვები დიდუბის მწერალთა პანთეონში წაგვიყვანა. სკოლაში არსებული სახელოსნოდან ორ მოწაფეს ბარი და თოხი წამოაღებინა. გვიკვირდა, რაში უნდა დაგეჭირვებოდა ბარი და თოხი? პანთეონში რომ შევედით, პირველად იაკობ გოგებაშვილის საფლავთან მიგვიყვანა. მოუველი იყო.

– აი, თქვენ რომ „დედაენას" სწავლობდით, ამ კაცმა დაწერა. აბა, კარგად გაუწმინდოთ, – თქვა მასწავლებელმა.

მივცვივდით, გამოგვადგა ბარიც და თოხიც. ნახევარ საათში ყველაფერი გავასუფთავეთ.

– აი, ახლა მის მეგობარ ნიკოსაც[1] მივხედოთ.

იმასაც მოვუარეთ.

– აქა არჩილ ჯორჯაძე ასაფლავია. იმასაც მივხედოთ.

ასე ჩამოვუარეთ ათამდე საფლავს. გვასუფთავებინებდა და თითოეულ მათგანზე მოკლედ საუბრობდა. ბოლოს გიორგი წერეთლის საფლავთან მიგვიყვანა. ეს საფლავი პანთეონში კი არა, როგორც მახსოვს, ეკლესიის ეზოში იყო. მასზედაც მოკლედ ილაპარაკა და ფრიად კმაყოფილი ბავშვები სახლებში გაგვისტუმრა. შესანიშნავი გაკვეთილი იყო ჩვენთვის.

მეორეჯერ მან ეკატერინე გაბაშვილთან წაგვიყვანა, ცოცხალი მწერალი უნდა განახოთო. შინ დაგვხვდა გაბაშვილი, ღრმად მოხუცებული, თმაგათეთრებული, სმენადაქვეითებული, თითქმის დაყრუებული. მასწავლებელმა ტუჩები ახლოს მიუტანა ყურთან და ხმამაღლა უთხრა:

– კატო, ესენი ჩემი მოწაფეები არიან. შენი ნახვა უნდოდათ.

გაეღიმა ეკატერინეს და უპასუხა:

---

[1] იგულისხმება ნიკო ცხვედაძე (1845–1911) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დაკრძალული იყო დიდუბის პანთეონში. ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში განისვენებს – რედ. (აქ და ქვემოთ: სქოლიოში ჩატანილი განმარტებები და რუსული სიტყვებისა თუ ფრაზების თარგმანი ეკუთვნის რედაქტორს).

– აბა, ბებიის ნახვა რა საინტერესოა? რასა ვგევარ, ხომ ხედავთ? განა სულ ასეთი ვიყავი! უფრო ლამაზი ვიყავი წინათ.

ნელა წავიდა კარადისკენ და გამოიღო ერთი სქელი წიგნი. ეს გახლდათ მწერლის თხზულებანი, რომელიც 1909 თუ 1910 წელს გამოვიდა. წინ ავტორის ახალგაზრდობის სურათი ჰქონდა დართული. ყდა გადასწია, სურათზე მიუთითა და გვითხრა:

– აი, ასეთი ვიყავი, ბალღებო! ახლა კი რას ვგევარ?

ჩვენ გაგვეღიმა, არაფერი გვითქვამს, რა უნდა გვეპასუხა?

ქალბატონი ეკატერინე ახლა მასწავლებელს მოუბრუნდა:

– ანიკო! აი, იქ მურაბები მაქვს ქილებში. მე ნუ გამრჯი, გაუმასპინძლდი ყმაწვილებს.

ანას გაეცინა.

– შენი მურაბა ამ თხუთმეტ ბიჭსა და გოგოს რას ეყოფა? მათ სხვა რამ აინტერესებთ. აი, მაგალითად, როდის დაიწყე წერა, ახლა თუ წერ რამეს, ხომ არ გამოდის შენი მოთხრობების წიგნი?

მოკლე პასუხებს გვაძლევდა. იქ საათ-ნახევარს დავრჩით, გავუშინაურდით და რაღაცები მოწაფეებმაც ჰკითხეს. გამომშვიდობებისას ასე დაგვმოძღვრა:

– ბალღებო! კარგად ისწავლეთ, მაგრამ რაიმე ხელობას აუცილებლად დაეუფლეთ. აი, ჩემი შვილი რეზო[1] ახლა პარიზშია და იქიდან მწერს, შოფრობა ვისწავლე და თავს ამით ვირჩენ, პარიზში თორმეტი ათასი ქუჩაა და ყველას ადვილად ვაგნებო. ჰო, ხელობა ისწავლეთ რამე. ვინ იცის, სად გამოგადგეთ.

მართალი გვითხრა ქალბატონმა ეკატერინემ. რაიმე ხელობა რომ მცოდნოდა, ისე არ გამიჭირდებოდა ციმბირში. სამწუხაროდ, არაფერი ვიცოდი, გარდა წიგნების კითხვისა. მაგრამ ეს ჩვენი ბრალიც არ იყო, ჩვენ ისეთ დროს დაგვაპატიმრეს, რომ არც მუშა ვიყავით, არც გლეხი, არც ინტელიგენტი. დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავის რჩენისა არაფერი გაგვეგებოდა.

შვიდი ჯგუფი რომ დავამთავრე, სკოლამ პროფილი შეიცვალა, პედაგოგიური განხრა მიეცა. ცხრანლედს დაემატა ერთი წელი და ჯგუფის ნაცვლად კურსი უწოდეს. კიდევ უნდა გვესწავლა სამი წელი (I, II და III კურსი), რის შემდეგაც დაწყებით სკოლაში მასწავლებლობის უფლება მოგვეცემოდა. მაგრამ მე ეს უფლება არ მომცემია, რადგან II კურსის დამთავრებისას ჯერ „გრუზჩეკას“ სარდაფში და მერე მეტეხის ციხეში ამომაყოფინეს თავი. III კურსის დამთავრება კი არა, II კურსის დასრულების ცნობაც არ მომცეს ერთი მასწავლებლის წყალობით. ამაზე შემდეგ.

შეიცვალა მასწავლებლები. დირექტორად თუ გამგედ დანიშნეს კონსტანტინე კაპანელი. რუსულს გვასწავლიდა გაქართველებული რუსის ქალი, ქართველის ცოლი, შესანიშნავი და კეთილი ადამიანი ელენე ფალავანდიშვილი; ფსიქოლოგიას და პტოლოგიას დავით ასათიანი, საქართველოს ეკონომიკას (თუ წიაღისეულს) ვარლამ ძიძიგური (მგონი, დ. თოფურიძის წიგნით), ქიმიას – გრიგოლ საღარაძე, ვასო პაპიტაშვილი, მათემატიკას – გაბრიელ პაპიტაშვილი და ელენე ბუტულაშვილი, ბოტანიკა-ზოოლოგიას – მარიამ ყაუხჩიშვილი.

---

[1] იგულისხმება რევაზ (რეზო) გაბაშვილი (1882–1969) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გარდაიცვალა ემიგრაციაში, პარიზში. იქვეა დაკრძალული.

საოცარია, კარგად ვეღარ მომიგონებია, რას გვასწავლიდა ჩვენი კლასის ხელმძღვანელი, ჩვენზე დედასავით მზრუნველი ვერა გალდავა (მგონი, ისტორიას), სიმღერა-გალობას – ია კარგარეთელი, ტანვარჯიშს – იტალიელი ინოჩენცი (მ. ჭიაურელის რომელილაც ფილმში იტალიელი ოფიცრის როლსაც თამაშობდა), გეოგრაფიას – ანტონინა ბუიღლიშვილი, გერმანულს – კოტე ნემსაძე, საზოგადოებათმცოდნეობას (თუ რაღაც ამდაგვარ საგანს) – ილია სოლომონია, ხატვას: ჯერ მოსე თოიძის ცოლი, შემდეგ – კორნელი სანაძე.

ყველანი მეტ-ნაკლებად კარგი მასწავლებლები იყვნენ, თავიანთი საქმის საფუძვლიანად მცოდნენი. ასე რომ, მე და მაშინდელ ჩემს ამხანაგებს სასაყვედურო არაფერი გვაქვს, ცუდ ნიშანს თუ ვიღებდით, ეს ჩვენივე ბრალი იყო.

მე ყველა მასწავლებლის დახასიათებას არ შევუდგები, რამდენიმეზე კი მინდა ყურადღება შევაჩერო.

კონსტანტინე კაპანელი განათლებული, ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. იგი საბჭოთა მთავრობას შერისხული ჰყავდა, ბურჟუაზიის იდეოლოგად მიიჩნევდა და მის გვარსაც მხოლოდ ლანძღვით იხსენიებდნენ. კაპანელი ავტორია რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნისა („ორგანოტროპიზმი“, „სული და იდეა“, „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ და სხვ.). საშუალო სიმაღლის, შეიძლება, ცოტათი დაბალიც იყო, ჯმუხი, ჩაკირული, პატარა ულვაშებით, შავგვრემანი.

როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა. ღმერთმა ქნას, ყველა სკოლას ისეთი მასწავლებელი ჰყოლოდეს, როგორიც ის იყო. შემოვიდოდა, ძალიან საინტერესოდ გვესაუბრებოდა (დიახ, გვესაუბრებოდა!), ვთქვათ, დავით გურამიშვილზე, ბარათაშვილზე, ილიასა და აკაკიზე. ზოგადად მოხაზავდა მათი ცხოვრების მთავარ მომენტებს, ლიტერატურულ მოღვაწეობას, შემდეგ გადავიდოდა მის ნაწარმოებზე და იტყოდა: ჩემი აზრით, ეს ნაწარმოები ასე უნდა გავიგოთო.

მახსოვს, ერთხელ გურამიშვილზე გველაპარაკებოდა და მერე „სწავლა მოსწავლეთა“ გაგვაცნო (როგორც ჩანს, ეს ნაწარმოები შესასწავლად პროგრამით იყო გათვალისწინებული). თვითონ წაიკითხა, ზოგიერთ სტროფს კომენტარი გაუკეთა და დაგვავალა, შინ დაგვეწერა თემა: „რა არის „სწავლა მოსწავლეთას“ დედააზრი“. ვადად მოგვცა ერთი კვირა. ყოველივე ამას ნახევარი გაკვეთილი (შეიძლება, ცოტა მეტიც) მოანდომა. შემდეგ გველაპარაკებოდა სულ სხვა საკითხებზე, მაგალითად, როგორი ცხოვრებაა საფრანგეთში, რა აინტერესებთ ფრანგებს, როგორი დიდი ლიტერატურა აქვთ მათ და ა. შ.

კაპანელი, მგონი, საფრანგეთში სწავლობდა, ბრწყინვალედ იცოდა ფრანგული ენა. ერთხელ შევესწარი, თუ რა თავისუფლად ესაუბრებოდნენ ის და ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარი ნინო კელენჯერიძე სკოლაში სტუმრად მოსულ სამ ფრანგს – ორ კაცს და ერთ ქალს. როგორც შემდეგ ნინო კელენჯერიძემ გვითხრა ბავშვებს, ფრანგები დაინტერესებული იყვნენ კაპანელის „ორგანოტროპიზმით“ და მისი თარგმნის შესახებ ელაპარაკებოდნენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ დასაწერად მოცემულ თემას. ერთი კვირის შემდეგ, გარდა რამდენიმესი, ყველამ მოიტანა დასაწერი თემა. მასწავლებელმა წაიღო ნაწერები და შემდეგი გაკვეთილი რომ გვქონდა, დაიწყო წერითი ნამუშევრების ავ-კარგის შეფასება. მთელი გაკვეთილი ამას დაუთმო. თან ამბობდა, მთავარია, საკუთარი აზრი გქონდეთ ნაწარმოებზე, ყოველთვის ბრმად მეც არ უნდა მენდოთო.



სხედან: ნატალია აზიანი, თედო სახოკია, დუტუ მეგრელი, ნიკო შიუკაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე კაპანელი; დგანან: გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე სულავა, შალვა დადიანი, რაჟდენ გვეტაძე, სიმონ ჩიქოვანი

თბილისი, 1930-იანი წლები

დაიტოვა სამი ნაწერი, დანარჩენი მოწაფეებს დაუბრუნა და თან ისევ გაიმეორა:

– მთავარია, საკუთარი აზრი, საკუთარი შეხედულება გქონდეთ. შეიძლება შეგეშალოთ რაიმე, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება.

დატოვებული სამი ნაწერიდან ერთი ჩემი იყო. გამომიძახა და მკითხა:

– კეკელიძე, მერეჟკოვსკის რა წაგიკითხავს?

– არაფერი.

– აბა, ეს ციტატები საიდან გაჩნდა შენს ნაწერებში?

საქმე ისაა, რომ მე გურამიშვილის აზრი, ნუ გენანებათ ყმაწვილის გაკეპვლაო, „გავაკრიტიკე“ და შემდეგ რატომღაც, რასთან დაკავშირებით არ მახსოვს, დ. მერეჟკოვსკის მოსაზრება რუსი კაცის ხასიათის შესახებ დავიმონმე და ქართველისას მივუსადაგე. ციტატა ამოვიღე ერთი წიგნიდან, რომლის შემდგენელი, მგონი, კატო ბაქრაძე თუ მიქელაძე იყო და რომელშიც სხვადასხვა მწერლისა თუ მოღვაწის ბრძნული და საინტერესო მოსაზრებანი იყო გადმოცემული (რასაკვირველია, ქართულად თარგმნილი). როგორც იყო საქმე, ვუთხარი. კარგი გიქნიაო, მომიწონა. ეს სამი ნაწერი იმ კარადაში შეინახა, რომელიც კლასში იდგა.

შემდეგ, მოწაფეები რომ დაგვიჭირეს, ჩემს განუყრელ მეგობარს, ნიკო ტატიშვილს, ჩემი ნაწერი ჩუმად წამოელო და თბილისში ენისეისკიდან დაბრუნებულს გადმომცა. სამწუხაროდ, გამებნა და დამეკარგა, ისე კი, საინტერესო იყო ჩემთვის, უკვე ზრდადასრულებულისათვის, მცოდნოდა, როგორ ვწერდი და ვაზროვნებდი.

ჩვენი კურსის მოწაფეებიდან კაპანელმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და 4-5 მეცადინეობა თვითონ ჩაგვიტარა. წრეში



შალვა ნუცუბიძე
1920-იანი წლები

განსახილველი საკითხები სრულებით არ შეიცავდა საპროგრამო საკითხებს. იქ შეტანილი საკითხები მოიცავდა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასაც და ყველაფერი ძალიან საინტერესოდ ტარდებოდა. მეექვსე მეცადინეობიდან წრის ხელმძღვანელობას თავი დაანება, შეგვარჩია ორი-სამი ბიჭი და გვითხრა:

– ახლა წრეს თქვენ უთავეთ. თუ რამ გაგიჭირდეთ, მე შემეკითხეთ.

ასეც მოვიქეცით და წრე მუშაობას განაგრძობდა. ვიკრიბებოდით სამ კვირაში ერთხელ.

მოწაფეებთან ახლო ურთიერთობას არ გაურბოდა. ბევრჯერ მინახავს სკოლის ეზოში მოწაფეებით გარშემორტყმული. ათას კითხვას აძლევდნენ და ისიც ყოველ შეკითხვაზე სავსებით სერიოზულ პასუხს იძლეოდა.

ერთხელ ასეთ კამათსაც შევესწარი ეზოში. კაპანელი თავის წიგნში „ქართული სული ესთეტიურ სახეებში" გრიგოლ ორბელიანის შესახებ წერს (და ამას გაკვეთილზეც ამბობდა ხანდახან), რომ მისი პატრიოტიზმი ეს ღვინის და ჭამა-სმის პატრიოტიზმიაო. მოწაფეთა ერთი ნაწილი (მათ შორის, მეც) არ დავეთანხმეთ ავტორს და ეს პირში ვუთხარით. ძალიან დინჯად და ყურადღებით გვისმენდა. ბოლოს გვითხრა:

– საოცარია, ჩემმა ქალიშვილმა, მარიმ (ჩვენივე სკოლის მოწაფე იყო) თმები კინაღამ დამაგლიჯა, გრიგოლ ორბელიანზე ეს როგორ დაწერეო. აი, ხომ გითხარით, საჭიროა, საკუთარი აზრი გქონდეთ და ბრმად არავის ენდოთ-მეთქი.

დაფიქრებული წავიდა შინ (ჩვენი სკოლის მეოთხე სართულზე ცხოვრობდა). რამდენიმე ბიჭთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მაგალითად, მე ხშირად მაგზავნიდა ოპერის პირდაპირ მდებარე წიგნის მაღაზიაში ერთ კაცთან (გვარი არ მახსოვს), რომელიც მისი რომელიღაც ნაშრომის კორექტურას აკეთებდა. საკორექტურო ფორმები მიმქონდა და მომქონდა.

იმ დროს გავრცელებული იყო აზრი, რომ შალვა ნუცუბიძე და კონსტანტინე კაპანელი რატომღაც გადაკიდებული იყვნენ ერთმანეთზე. და აი, ერთხელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინიშნა პაექრობა თვითმკვლელობის შესახებ. მოწვეულთა შორის ძალიან ცნობილი პიროვნებანი იყვნენ, მათ შორის, ნუცუბიძეც და კაპანელიც. ძალიან გვაინტერესებდა მათი გამოსვლა და კამათი (რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ერთმანეთს შეეკამათებოდნენ).

მე და გრიშა სვანი ადრე წავედით. შესასვლელთან ზღვა ხალხი დაგვხვდა. აღარ მახსოვს კარგად, შესვლა, მგონი, მოსაწვევი ბარათებით თუ საშვებით იყო. მე და ჩემი მეგობარი არ შეგვიშვეს. ვდგავართ დაღონებულები კიბის ქვემოთ. უცებ დავინახეთ, ჩვენი მასწავლებელი მოდის. გადავუდექით წინ და ჩვენი გაჭირვება მოვახსენეთ. ყურადღებით გვისმენდა. მერე გვითხრა:

– ძალიან გინდათ დაესწროთ ამ დისპუტს?

– ძალიან.

– რატომ?

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით, მაგრამ მაინც სიმართლე ვუთხარით:

– ძალიან გვაინტერესებს თქვენი და ნუცუბიძის კამათი. გვაინტერესებს ვიცოდეთ, გამართლებულია თუ არა თვითმკვლელობა. თვითმკვლელი ვაჟკაცია თუ მშიშარა.

გვისმინა. ოდნავ გაელიმა და თქვა:

– გააჩნია, რა მიზნით ხდება თვითმკვლელობა ან რა მიზეზებით.

მომყევითო, გვითხრა და წინ გაგვიძღვა. კარებთან რომ მივედით, ვიღაცამ გაგვაჩერა, აღარ გვიშვებდა. მოუბრუნდა შვეიცარს და გაბრაზებულმა უთხრა: ვერა ხედავ, ჩემთან არიანო. შეგვიშვეს. დარბაზში ერთი მიყუჩებული ადგილი მოვნახეთ და ველოდებით პაექრობის დაწყებას. დავინახეთ, კაპანელი პრეზიდიუმში ზის. დიდხანს ველოდეთ საღამოს დაწყებას. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა ერთი კაცი, გვარად, მგონი, ძიძაძე იყო. შესავალი სიტყვა თქვა, შეეხო ანტიკურ სამყაროს, ახსენა რომის იმპერია, საბერძნეთი, გაგვაცნო, როგორ უყურებდნენ თვითმკვლელობას ძველად და როგორ უყურებენ ახლა. შემდეგ გამოვიდა სამი მოპაექრე, მაგრამ ხალხს, როგორც შევატყვე, ნუცუბიძის და კაპანელის გამოსვლა აინტერესებდა. სამწუხაროდ, ნუცუბიძე არ მოვიდა. კაპანელმა მოკლედ თქვა რამდენიმე წინადადება და წავიდა, დატოვა პრეზიდიუმი.

ჩვენ უკმაყოფილონი დავრჩით, ალბათ მთელი დარბაზიც, მაგრამ რას ვიზამდით?

ახლა რომ ვუკვირდები, დიდად განათლებული და ორიგინალური, ღრმად მოაზროვნე ჰყავდა საქართველოს. კომუნისტურ მთავრობას არ მოსწონდა მისი მოღვაწეობა და ნააზრევი.

როცა კაპანელი გარდაიცვალა, ერთი სამარცხვინო ფაქტი მოხდა. მაშინდელმა ლიტერატურულმა გაზეთმა (კარგად არ მახსოვს, რა ეწოდებოდა მაშინ გაზეთს) გაბედა და პატარა, უღიმღამო ნეკროლოგი გამოაქვეყნა მის შესახებ. ამას გაზ. „კომუნისტში“ მოჰყვა ღვარძლიანი რეპლიკა, ეგ რა ღირსი იყო, რომ მასზე ნეკროლოგი დაბეჭდოთო და სხვა ამგვარი „ხოტბა-დიდება“ გარდაცვლილი კაპანელის მიმართ. რეპლიკას ხელს აწერდა ბ. ეკალაძე (როგორც შემდეგ გავიგე, „ეკალაძე“ ბენო თათარიშვილის ფსევდონიმი იყო. იგი მაშინ გაზეთის რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა).

ასეთი ღვარძლი და გინება კაპანელის სახელს ვერაფერს დააკლებს. რაც დრო გავა, ქართველი ხალხი მით უფრო დააფასებს მას.



ია კარგარეთელი
1920-იანი წლები

ორიოდე სიტყვა დავით ასათიანზე. იგი ფსიქოლოგიას გვასწავლიდა. კარგი მასწავლებელი გახლდათ. ჟურნ. „განათლების მუშაკში" წერილებსაც აქვეყნებდა. მისი ფსევდონიმი „ფანქარი" იყო (ეს ვერა გალდავამ მითხრა). უცნაური ჩვეულება ჰქონდა. გაკვეთილს როცა ხსნიდა, უცებ შეწყვეტდა და ისეთ რამეს ჰკითხავდა რომელიმე მოწაფეს, რასაც გაკვეთილთან არავითარი კავშირი ჰქონდა. დამამახსოვრდა ერთი ასეთი მომენტი. უცებ გამოიძახა მოსწავლე გოგონა.

– აქ ვარ, მასწავლებელო.

– რაზმაძე, საიდან ხარ?

– მცხეთიდან, ბატონო.

– არსენა ოძელაშვილი თქვენთან მარხია?

– დიახ, ბატონო.

გაჩერდებოდა და იტყოდა:

– აფსუს, კაი ვაჟკაცი იყო! აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა. აბა, განვაგრძოთ გაკვეთილი.

ჩვენ ამაზე გვეღიმებოდა. არ ვიცი, იქნებ, ამას განგებ აკეთებდა, დაღლილობიდან ჩვენი გამოყვანა სურდა.

განსაკუთრებით გვიყვარდა მოწაფეებს სიმღერა-გალობის (მგონი, ასე ეწერა გაკვეთილების ცხრილში) მასწავლებელი ია კარგარეთელი. საშუალოზე მაღალი იყო, თმაგათეთრებული, სიმპათიური, კოჭლობდა. 1905 თუ მომდევნო წელს მას ჟანდარმერიის აგენტები თავს დაესხნენ მოკვლის მიზნით, დაჭრეს, დაუნდობლად ცემეს, სადღაც ხევში გადააგდეს. სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ სამუდამოდ დაკოჭლდა და ერთი ხელიც გაუფუჭდა. აღარ მახსოვს ახლა, რომელი: მარჯვენა თუ მარცხენა. ჯოხს განუყრელად ატარებდა. შემოვიდოდა კლასში, წაგვამღერებდა რამდენიმე

სიმღერას. განსაკუთრებით უყვარდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „შენ რაღას ფიქრობ, არაგვო, გვითხარი, გაგვიზიარე“ (არ მახსოვს, რომელი სიმღერიდან არის). სამაგიეროდ დამამახსოვრდა ერთი სტროფი სიმღერიდან (ამ სიმღერას რადიოთი ხშირად ასრულებდნენ):

ლაჟვარდ ცაზე მზემ სხივები გასტყორცნა
და ის სხივი ველს გაეკრა, გაჰკოცნა,
შეკრთა მიწა და მის გულზე ნელ-ნელა
გაიფურქჩნა ია, ვარდი, ენძელა.

მაგრამ ყველაზე უფრო უყვარდა „აღსდექ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს“. არც ერთი გაკვეთილი ისე არ ჩატარდებოდა, რომ ეს სიმღერა არ გვემღერა (იგი შექმნილია შესანიშნავ ლექსზე, რომლის ავტორად მიჩნეულია გოდერძი ფირალიშვილი).

– აბა, ერთი დავაგუგუნოთ! – გვეტყოდა ხოლმე, – და დაიწყებდა თვითონ (ძალიან კარგი ხმა ჰქონდა):

აღსდექ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილსა ჩვეულ როდი ხარ,
მიგვიხმე უნჯნი ყმანია.
არ განახოს მტერმა ძაბუნად,
ვსდევნოთ, ვაკვეცნოთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი
ზოგთაგან ოთხნი ძმანია.

შემდეგ ლაპარაკობდა ერეკლე მეორეზე, მის გმირულ ბრძოლებზე გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ, საქართველოს მძიმე მდგომარეობაზე და დაასრულებდა მოწოდებით, ჩვენც ისე თავდადებულად გვებრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის, როგორც იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპანი.

დაჟინებით მოითხოვდა, ყველას ემღერა. ერთხელ ერთი მოწაფე გაბუტულივით იჯდა თავისთვის და პირს არ აღებდა. კარგარეთელი ეკითხება:

– შენ რატომ არ მღერი?

– ხმა არ მაქვს, მასწავლებელო.

– იცი რას გეტყვი, ვაჟო? აქ მე ოპერა და კონსერვატორია კი არ მაქვს. აქ ყველამ უნდა იმღეროს. სიმღერა წამალია, კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. პირი გააღე და იმღერე.

არ უყვარდა, როცა სიმღერა ყვირილში გადადიოდა.

– ნელა, ღიღინით იმღერეთ. ყვირილი სიმღერა არ არის, ყვირილი რომ სიმღერა იყოს, მაშინ სახედარი ყველაზე დიდი მომღერალი იქნებოდა.

სიმღერას და ასეთ ლაპარაკს ნახევარ გაკვეთილს ანდომებდა. შემდეგ ისევ იწყებოდა ჩვენი დამოძღვრა-აღზრდა. ლაპარაკობდა საქართველოზე, თავდადებულ გმირებზე, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ და მოულოდნელად დაგვიწყებდა „ლანძღვას“:

– თქვენც ქართველები ხართ, რაღა! თქვენმა თავის გახეთქვამ, თქვენც თა-

ვი არ დასდოთ რაღა საქართველოსთვის! თქვენა ხართ ლაჩრები! სამშობლო რომ შეგიგინოთ, ხმას არ ამოიღებთ, შიშისაგან ჩაისვრით. აბა, ერთი ფინელს შეუგინე სამშობლო! თავს შეგაკლავს, სიკვდილისა არ ეშინია. თქვენ კი ვინა ხართ, რის მაქნისი ხართ, რა სარგებლობა უნდა მოუტანოთ საქართველოს? გართობა, თამაში და სიზარმაცე – აი, რა გიყვართ თქვენ. თქვენ ფინელებისგან ისე შორს დგახართ, როგორც ცა დედამიწისაგან.

ეს „ლანძღვა" ჩვენ არ გვწყინდა, ვიღიმებოდით, ვიცინოდით და გულში კი ვფიქრობდით: არც ეგრეა საქმე, ჩვენო საყვარელო მასწავლებელო. აი, ნახავთ, ჩვენც ქართველის გული გვაქვს, ფინელზე ნაკლებ როდი გვიყვარს სამშობლო.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ კარგარეთელს გამორჩეულად უყვარდა ფინელები. არ ვიცი, იქ ნაცხოვრები იყო, თუ ისე, ქვეყნის გასაცნობად ნამყოფი. ძალიან ხშირად ახსენებდა ამ მამაც პატარა ხალხს. მამაცობა და გმირობა მან საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომშიც დაამტკიცა, როცა ყველასაგან მიტოვებული 4 მილიონი ფინელი თავს გააფთრებით იცავდა 200 მილიონი „საბჭოელისაგან". ამ ომში ფინეთმა დაკარგა ვიბორგის მხარე, ჩრდილოეთით – პეტსამო, მაგრამ თავისუფლება მაინც შეინარჩუნა და მოვა დრო, ღმრთის წყალობით, დაკარგულსაც დაიბრუნებს, რადგან სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს.

მახსოვს ასეთი შემთხვევაც. რამდენიმე სიმღერის შემდეგ დაჯდა, 2-3 წუთი დუმდა და ძალიან დაკვირვებით შეგვათვალიერა ყველანი. მერე ბოლო მერხზე მჯდომ ერთ ჩვენს ამხანაგს მიმართა:

– გიორგი, ზეზე ადექი!

გიორგი დგება.

– დღეს სამასწავლებლოში სულ შენზე იყო ლაპარაკი. გეოგრაფიაში – ორი, ქართულში – ორი, ალგებრაში – ორი, ისტორიაში – ორი. კიდევ რაში გაქვს ორი?

გიორგი ხმას არ იღებს.

– ვისთან ცხოვრობ აქ?

– ბიძასთან, მასწავლებელო.

– დედ-მამა გყავს?

– მყავს, მასწავლებელო, სოფელში არიან.

– აქ რატომ გამოგიშვეს, განა თქვენს სოფელში სკოლა არ არის?

– ქალაქში უკეთესი სწავლააო.

– ჰოო, ქალაქში უკეთესი სწავლააო, არა? აკი ამიტომაც გაუმართლე იმედი, შე დოყლაპიავ, მშობლებს. საწყალი დედაშენი ყოველდღე ბანზე დგას და ჩიტებს ემუდარება: ჰე, ჩიტებო, ჩიტებო, მალხაზებო და ქოჩორებო, გაფრინდით, ჩემს გიორგის მიუჭიკჭიკეთ: ჯანსაღად იყოს, კარგად ისწავლოს და გაგვახაროს. ეს რა არის, დედაშენი ქადებსაც აცხობს შენთვის, გიორგის ძალიან უყვარსო, ჭრელ წინდებსაც ქსოვს, ზამთარში ჩემს გიორგის ფეხთ არ შეცივდებაო, თურაშაულ ვაშლებსაც გინახავს, პაპაშენის დარგული ვაშლის ხეზე მოკრეფილს, შაქრად შეერგოს გიორგის და აქაურობა ღმერთმა არ დაავიწყოსო. ახლა მითხარი, შენ რა ღმერთი გიწყრება, შე რეგვენო, შენა? ვადას გაძლევ ორ თვესა, თუ ეგ შენი ორიანები თავიდან არ მოგიშორებია, მე ვიცი, რასაც გიზამ. ხო არ გგონია, მოგერიდები. ამ ჩემი ცაცია ხელით ისეთს გაგილაწუნებ ყბაში, რომ თვალებიდან სულ ნაპერწკალი გცვივოდეს!

შეჩერდა, კარგა ხანს დუმს. მერე მოულოდნელად ეკითხება ჩვენს ფერდაკარგულ გიორგის:

– შენა ქართველი ხარ?

გიორგი სულ დაიბნა, ხმას ვერ იღებს.

– გეკითხები, ქართველი ხარ?

ძლივს ამოილუღლუღა:

– ქართველი ვარ.

– შენს სამშობლოს რა ჰქვია?

– ჩემი ქვეყანა.

– ჩემი ქვეყანა! ეგ სახელი არაა.

ვილაცამ წამოიძახა:

– საქართველო!

გიორგი იმეორებს:

– საქართველო!

– ჰოო, სა-ქართ-ველო! საქართველოში ბევრი დადის შენსავით უვიცი. არც გლეხური საქმე გეცოდინება, არც მუშური. ვერც ექიმი გახდები და ვერც აგრონომი. ცოდნა არ გექნება და ამიტომ რაში უნდა წაადგე საქართველოს, შე ოხერო, შენა? ისწავლი?

– ვისწავლი, მასწავლებელო.

ზარი დაირეკა. გულმოსული კარგარეთელი ოთახიდან გავიდა. პირველ ხანებში მისი ასეთი „გამოხტომები“ ჩვენ გვაფრთხობდა, მაგრამ მალე მივხვდით და ვიგრძენით, რომ საქართველოზე ძვირფასი მისთვის არაფერი არსებობდა და ამასვე შთაგვაგონებდა ჩვენც.

ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული!

ბატონი ვარლამ ძიძიგურიც თავისებურად ატარებდა გაკვეთილს. როგორც ზევით აღვნიშნე, ცხრილით მას საქართველოს ეკონომიკა თუ რაღაც ამის მსგავსი საგანი ჰქონდა. პირველად რომ შემოვიდა, წიგნი შემოიტანა, გადაფურცლა და გვითხრა: ამ წიგნში ჩამოთვლილია ის სიმდიდრენი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს, თუმცა ახლა მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ერთი სიტყვით, ჩვენ საკმაოდ მდიდარი ქვეყანა ვართ, საჭიროა მხოლოდ მათი დამუშავება.

მეტი შემდეგ ამ საკითხს (უფრო სწორად, საგანს) მხოლოდ რამდენჯერმე დაუბრუნდა, ჩვეულებრივ ქართული ზეპირსიტყვიერების გაკვეთილებს გვიტარებდა და ჩვენ ამიტომ მისი დიდი მადლობელი ვიყავით, ბევრ საკითხში გაგვარკვია.

ერთხელ ხალხურ პოეზიაში არსებულ პარალელიზმზე (ასე თქვა, იქნებ მე არ მახსოვს კარგად) გველაპარაკებოდა. ნიმუშად მოიტანა ეს სტროფი:

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება.
ქალი რად გინდა უცხო მხრის,
დასნეულდება, მოკვდება.

რაღაც კომენტარი გაუკეთა და ბოლოს მოულოდნელად დაასკვნა:

– მსგავსი მსგავსს უნდა ეძებდეს, სხვა ერის ქალისაკენ არ უნდა გაურბოდეს

თვალი, თორემ როგორც ლექსშია ნათქვამი, „დასნეულდება, მოკვდება“, რადგან ქართულ ადათ-წესებს, საჭმელებს ვერ შეეგუება, ტყემალში ამოწობილ შემწვარ გოჭის ხორცს ბლინებს ამჯობინებს.

ამას მოულოდნელად ასეთი საუბარი მოჰყვა. ჩვენთან ერთი კახელი ბიჭი სწავლობდა – გვარად ბედენაშვილი. კარგი შესახედაობისა და საოცრად გულწრფელი იყო. ხელი ასწია, წამოდგა და მასწავლებელს შეეკითხა:

– მე რომ რუსის ქალი მინდოდეს ცოლად მოვიყვანო, არ უნდა მოვიყვანო?

გოგო-ბიჭებს გაეცინათ. მაშინ 16-17 წლისანი ვიყავით და ასეთი საუბარი გვახალისებდა. გაეცინა მასწავლებელსაც.

– შეგიძლია, მოიყვანო, მაგრამ რუსეთში რას გარბიხარ? განა ქართველი ქალები ღმერთმა გაწყვიტა? კარგად დაფიქრდი, ვიდრე უცხო ტომის ქალს ცოლად მოიყვანდე. მე კი გირჩევ, ქართულ მიწაზე მაგრად დაადგი ფეხი. შენი ბაღის ტყემალი გერჩიოს სხვისი ბაღის პირშუშხას.

– ორივე გემრიელია, – წამოიძახა ვიღაცამ.

– მე ჩემი გითხარით და დანარჩენი თქვენ იცით.

ისევ გაეცინა მასწავლებელს და გადახედა გოგოებს, რომლებიც ჩუმად ქირქილებდნენ. მერე სერიოზულად ჰკითხა ჩვენს ამხანაგს:

– ბედენაშვილო, მაინც რა მოგწონს რუსი ქალების?

– წვივმაგრები არიან, მასწავლებელო. ორფუთიან გოდრებს ადვილად წამოიკიდებენ და კაცივით მუშაობენ. ფეხი არ უკანკალებთ.

– საიდან იცი?

– აი, ჩვენს სოფელში ერთ კაცს ჰყავს ცოლად რუსი ქალი, დუსია. ქართულიც კარგად იცის და ქმარსაც მუშაობაში არ ჩამოუვარდება.

– განა ქართველი ქალები ნაკლებად მუშაობენ?

– რუსები სჯობიან, უფრო წვივმაგრები არიან. ქართველ გოგოებს კი მაკარონივით წვრილი ფეხები აქვთ, აი, ისეთი, ჩვენს ქეთინოს რომ აქვს. ერთი ვედრო წყალი რომ აწიონ, მაშინვე წელში გადატყდებიან.

ისევ სიცილი, ხარხარი გაისმა. ქეთინო ჩვენი კლასის მოწაფე იყო, ლამაზი გოგო. განაწყენდა და ბედენაშვილს გაბრაზებით მიაძახა:

– მეხი კი დაეცეს იმას, ვინც შენ ცოლად გამოგყვეს, შე ჯოჯოვ, შენა!

იყო ასეთი შემთხვევებიც ჩვენს გაკვეთილებზე და როგორ არ უნდა მოვიგონო?

რაც შეეხება ბედენაშვილს, მას მათემატიკის გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, ჰუმანიტარული საგნები კი უჭირდა: მაგათ გემოს ვერ ვატანო. მერე ჩვენ დავშორდით ერთმანეთს, ყველამ თავისი გზა-კვალი აირჩია ცხოვრებაში. რამდენიმე წლის შემდეგ მითხრეს, რომ მას უმაღლესი წარჩინებით დაემთავრებინა, ქართველი ქალიც შეერთო ცოლად და კარგი ოჯახი შეექმნა. მთელ ამ ამბავში უცნაურობა ის იყო, რომ მისი ცოლი სწორედ ის ქეთინო გახდა, რომელსაც ოდესღაც ლამაზი ფეხები დაუწუნა კარგმა ბიჭმა.

ჩვენს პირველ კურსს პარალელურიც ჰქონდა. იქაც კარგი ბიჭები იყვნენ. უნდა აღვნიშნო, ჩვენს დროს IV-V ჯგუფიდანვე ყველა მოწაფე ბევრს კითხულობდა. ჩვენს სკოლას ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა (ყოფილი ეპარქიული სასწავლებლიდან გადმოყოლილი). ამ ბიბლიოთეკას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა და პატრონობდა ქალბატონი ნინო კელენჯერიძე, განათლებული და სათნო ადამიანი.



სხედან: გენო ყიფშიძე (მესამე), ტერეზა ხელაძე (მეხუთე)
დგანან: ილია სიხარულიძე (მეორე), ვარლამ ძიძიგური (მეოთხე), პავლე მეტრეველი (მეხუთე)
თბილისი, 1929 წელი

ის გვირჩევდა და გვამარაგებდა წიგნებით. ბიბლიოთეკას დიდ ყურადღებას აქცევდა დირექტორი კონსტანტინე კაპანელიც. ერთხელ ასეთ საუბარს შევესწარი:

– ნინო, კითხულობენ ბავშვები?

– კითხულობენ, ბატონო კონსტანტინე.

– არ მოგატყუონ. ზოგჯერ წიგნს ნაიღებენ და წაუკითხავად უკანვე აბრუნებენ. შინაარსი გამოჰკითხე ხოლმე.

ნინოს გაეცინა და უპასუხა:

– ჩემი მოტყუება ადვილი არ არის. ამ საქმეში დავბერდი.

როცა წამოვიზარდენით, წიგნების გარდა გაზეთებსაც დავეწაფეთ. ზოგიერთი გაზ. „მოწაფის ხმაში“ (გამოდიოდა ასეთი გაზეთი) ლექსებსა და პატარა კორესპონდენციასაც აქვეყნებდა. პოლიტიკა უკვე ძალიან გვაინტერესებდა. იყვნენ ზარმაცებიც, რომლებიც არც კითხულობდნენ და არც სწავლაზე იკლავდნენ თავს, მაგრამ ასეთები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს. ყველა ცდილობდა ესწავლა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველანი ერთნაირი დონის იყვნენ და ერთნაირად „ხუთებს“ (თუ „ფრიადებს“) იღებდნენ. ზოგი მათემატიკურ საგნებში იყო ძლიერი, ზოგიც – ჰუმანიტარულში. პირადად მე ყოველთვის ნარევი ნიშნები მქონდა. ჰუმანიტარულ საგნებში ძლიერი ვიყავი. მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში გაჭირვებით „სამებზე“ ვსწავლობდი. ეს მხოლოდ უნიჭობის ბრალი არ გახლდათ. იმ დროს, მათემატიკას რომ სჭირდებოდა, მე ქართული ლიტერატურისა და ისტორიისათვის ვიყენებდი. დრო მაინც არ მყოფნიდა.



ანა ღვინიაშვილი
1920-იანი წლები

ზევით აღვნიშნე, რომ ჩვენ ძალიან ბევრს ვკითხულობდით. მეც ამით ვიყავი დასნეულებული. ამ მიზნით გაკვეთილებიც ძალიან ბევრჯერ გამიცდენია. მე და გრიშა სვანი, გარდა სკოლაში არსებული ლიტერატურული წრისა, ჩაწერილი ვიყავით ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის ლიტერატურულ წრეშიც, რომელსაც ძალიან სიმპათიური ქალი ანიკო ღვინიაშვილი ხელმძღვანელობდა. თემებს გვაძლევდა, გველაპარაკებოდა გასარკვევ საკითხებზე და მერე ნაწერს წრეში გვაკითხებდა, რასაც მოჰყვებოდა სჯა-ბაასი წერითი ნამუშევრის ავკარგიანობის შესახებ. იმ დღეებისაც დიდი მადლობელი ვარ.

ერთხელ გაკვეთილები გავაცდინე და ამ ბიბლიოთეკას დილის რვა საათზე მივადექი. გაზეთები მაშინ ძალიან ადრე მიჰქონდათ, მაგრამ ბიბლიოთეკა ცხრაზე იღებოდა. მაინტერესებდა, რით დამთავრდა ლეიბორისტებისა და კონსერვატორების ბრძოლა არჩევნებში. დავდივარ ფილაქანზე შესასვლელის წინ და ველოდები კარების გაღებას. ვხედავ, მოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, საკმაოდ შელანძღული თხელი პალტო და ტანსაცმელი ეცვა. გაუპარსავი, ქერა. ისიც ჩემსავით დადის და ელოდება კარის გაღებას. ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ საოცრად სევდიანი თვალები ჰქონდა და შევატყვე, ნერვიულობდა კიდეც. მომიახლოვდა და მკითხა:

– საათი არა გაქვთ?

– არა.

– ხშირად დადიხართ ბიბლიოთეკაში?

– როცა დრო მაქვს.

– აქაური ხართ?

– არა, ვანის რაიონიდან ვარ, ტობანიერიდან.



ტერენტი გრანელი
1920-იანი წლები

ეს რომ ვუთხარი, სახე გაუნათდა.

– ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ხართ! გალაკტიონიც ხომ იქიდან არის! იცნობთ გალაკტიონს?

– პირადად არა. ისე, დედაჩემს ენათესავება კიდეც.

– ღმერთო ჩემო, რა დიდია, რა დიდია გალაკტიონი! იმან თავისი სიდიდით გაგვსრისა ჩვენ!

გაჩერდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

– მე ტერენტი გრანელი ვარ. გაგიგონიათ?

ახლა ჩემი გაოცების ჯერი დადგა. სიხარულით ვუპასუხე:

– როგორ არ გამიგონია! ლექსებიც წამიკითხავს და ძალიან მომწონს კიდეც.

– ჩემს ლექსებს ახალგაზრდები კითხულობენ?

– კითხულობენ, ბატონო, სიამოვნებით კითხულობენ.

– გრანელს კითხულობენ, გრანელს კითხულობენ! ძალიან კარგი. არ დამივიწყებენ.

უცებ, მოულოდნელი კითხვა:

– როდის კითხულობთ ლექსებს?

გაოცებული ვარ. მხრები ავიჩეჩე.

– როცა დრო მაქვს.

– არა, მასე არა, ჩემი ლექსები მაშინ წაიკითხე, როცა მარტოდმარტო დარჩები შენს თავთან და რაღაც სევდა შემოგაწვება. მე დარდი მაწერინებს ლექსებს. რაღაც მინდა, ვერ მივწვდები და მაშინ ვწერ ლექსებს.

ისევ კითხვა:

– ქრისტე გწამთ?



კალისტრატე და ამპილოქე ცინცაძეები
ფოტო: დიმიტრი ერმაკოვი

გავჩერდი. არაფერი ვუპასუხე.

– ქრისტე ჩვენი ცოდვებისათვის ეწამა, მაგრამ ჩვენ მაინც ცოდვილნი დავრჩით.

მეორეჯერ მე ის ვნახე იმ დროს, როცა სომხეთში, ყოფილ ალექსანდრეპოლში, მიწისძვრა მოხდა და ბევრი ადამიანი დაიღუპა. სამკითხველო დარბაზში, დილით, ჩვენ გარდა არავინ იყო. ის ცალკე იჯდა, მე – ცალკე. უცებ წამოვარდა და იყვირა:

– ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება მომხდარა!

მომიახლოვდა და გაზეთის ის ადგილი მიჩვენა, სადაც ცნობა იყო გამოქვეყნებული მიწისძვრისა და მსხვერპლის შესახებ. ღელავდა და სულ იმეორებდა:

– ღმერთო ჩემო, რამდენი ხალხი დაიღუპა! ალბათ ბავშვებიც გაისრისებოდნენ ნანგრევებში.

თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ადგა და წავიდა. მერე მე ის არსად შემხვედრია. უბედურად დაასრულა თავის სიცოცხლე, მაგრამ ბრწყინვალე პოეზია დაგვიტოვა. სამწუხაროდ, როგორც ღირსია, ისე არ არის დაფასებული.

მე და ჩემი ამხანაგები არ ვაცდენდით ისეთ შემთხვევებსა და საღამოებს, რომლებიც ლიტერატურას ან პოლიტიკას შეეხებოდა. ერთხელ იმ სასამართლო პროცესზე დასწრებაც მოვახერხე, რომელიც კათალიკოს ამბროსის, კალისტრატე ცინცაძეს და სხვებს ასამართლებდა. მივედი ნაძალადევის მუშათა კლუბში (შემდეგ მას რატომღაც პლეხანოვის სახელობისა უწოდეს). ხალხი დგას რიგში. აჩვენებენ საშვს და შედიან დარბაზში. რიგში დავინახე ბიძაჩემი კორნელი ცოლითურთ. მივედი მათთან და უკან დავუდექი. როცა დამინახა, კორნელიმ მითხა:

– რა გინდა, ბიჭო, აქ?

– ძალიან მაინტერესებს სასამართლოზე დასწრება.

– აქ სპეციალური საშვებით უშვებენ. მე ვერაფერს გიშველი. სცადე, თუ გამოძვრები.

ვერ გავძვერი, გამაჩერეს და ხელისკვრით უკან გამომაგდეს. მაგრამ მეორე დღეს მე მაინც მოვახერხე შეპარვა. ქანდარაზე ავედი. დარბაზიც და ქანდარაც ხალხით იყო სავსე. გავოცდი, როცა ათამდე რუსი ახალგაზრდა ერთ კუთხეში შეჯგუფებულიყო, რუსულად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ლაზღანდარობდნენ. რა უნდა ამათ აქ? – გულში ვფიქრობდი. ესეც მალე გავიგე. იმ საღამოს პროცესზე სიტყვით გამოდიოდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატი, იურისტი კირილე ნინიძე და ასევე სახელოვანი ვექილი ოსიკო ბარათაშვილი. ისინი ბრალდებულებს იცავდნენ. პროკურორი, სხვათა შორის, ქართველ სამღვდელოებას ბრალს სდებდა ღალატში, რომ ის რუსეთის ცარიზმის ყურმოჭრილი მონა იყო და საქართველოს ბედი ფეხებზე ეკიდა. ამის საპასუხოდ კირილე ნინიძემ წარმოთქვა ძალიან ძლიერი სიტყვა. ვიდრე სიტყვას დაიწყებდა, ქანდარაზე ვიღაც მივიდა რუს ახალგაზრდებთან და რაღაც უთხრა. იმავე წამს იმათ დაიწყეს ფეხების საშინელი ბრახუნი და ყვირილი:

– დალოი ნინიდზე! დალოი ნინიდზე! ვონ იზ ზალა![1]

ნინიძემ ქანდარისკენ გაიშვირა ხელი და სასამართლოს თავმჯდომარეს (მგონი, გვარად ჩხეიძე იყო) რაღაც უთხრა. სანამ არ დაწყნარდნენ ხულიგნები, სიტყვა არ დაუწყია. მერე მკაფიოდ შეეხო ქართველი სამღვდელოების ისტორიას და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული 1820 წლის იმერეთის აჯანყებას და მასში ქუთათელი მიტროპოლიტისა და ექვთიმეს მონაწილეობას შეეხო, რომლებიც რუსეთის ადმინისტრაციამ და ჯარმა აწამა, ტომრებში დააღრჩო და ხევში გადაყარა.[2] ნინიძემ ხელი გაიშვირა პროკურორისკენ და შესძახა:

– და ამის შემდეგ თქვენ ამტკიცებთ, რომ ქართველი სამღვდელოება სამშობლოს ღალატობდა?

ამაზე დარბაზში ძლიერი ტაში გაისმა. ნინიძისა და ბარათაშვილის გამოსვლა ისე მომეწონა, რომ შემდეგ კარგა ხანს იურისტობაზე ვოცნებობდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ლიტერატურამ გადამძალა.

კორნელი ყოველ სხდომას ესწრებოდა, როგორც მაყურებელი. ერთხელ, როცა ეს შემთხვევა მოვიგონე, მითხრა:

– მაშინ ჩემს გულს კანკალი გაჰქონდა. ყოველ წუთს ველოდი, რომ ჩემს გვარს ახსენებდნენ, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ამისი ყველაზე დიდი მადლობელი მე კათოლიკოს ამბროსისა ვარ, ვაჟკაცურად მოიქცა.

ვერ გავბედე მეკითხა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მას ამბროსისთან და რა ვაჟკაცობას გულისხმობდა. შემდეგში ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა (ამაზე ქვემოთ მექნება ლაპარაკი).

თუ არ ვცდები, 1928 წელს გაიმართა ერთი ლიტერატურული შეკრება ახლანდელი სასტუმრო „თბილისის“ ქვედა დარბაზში. მაშინ ეს შენობა თუ მარტო დარბა-

---

[1] – ძირს ნინიძე! ძირს ნინიძე! გააგდეთ დარბაზიდან!

[2] 1819-1820 წლებში იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დაპატიმრებული დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) რუსებს გორთან შემოაკვდათ და ცხედარი ანანურის ეკლესიაში დაფლეს, ექვთიმე გაეწანათლმა კი რუსეთში ჩააღწია და 1822 წელს იქ გარდაიცვალა (ოლონეცის გუბერნიაში, წმ. ალექსანდრე სვირელის მონასტერში).



მიხეილ ჯავახიშვილი
თბილისი, 1928 წელი

ზი, სადაც ახლა რესტორანია, პროფკავშირებს ეკუთვნოდა. განიხილებოდა საკითხი „ქართული ლიტერატურა გასულ წელს". მოხსენება გააკეთა პლატონ ქიქოძემ. ლაპარაკობდა ღვარძლიანად, თითქმის „გაანადგურა" გინებით ცისფერყანწელები, „კავკასიონისა" და „არაფიონის" გარშემო ადრე დაჯგუფებული მწერლების ნაწარმოებები (წინანდელიც და ახალგამოსულიც). დარბაზი სავსე იყო ხალხით. წინა რიგში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით ისხდნენ მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, სხვების გვარები არ ვიცი. სულ უკან, კედელთან, ფეხზე იდგნენ ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი. პრეზიდიუმში პლ. ქიქოძე, ნოე ზომლეთელი (ქურიძე), მოსკოვიდან ჩამოსული ი. ვარდინი (მგელაძე), ბენიტო ბუაჩიძე და პროლეტარული მწერლობის სხვა წარმომადგენლები. დაიწყო კამათი. ნოე ზომლეთელი შეეხო „ჯაყოს ხიზნებს" და თქვა, რომ ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს და რასაც გულისხმობს ჯავახიშვილი, როცა ურემზე გამართულ სცენას გვიხატავსო (გულისხმობდა ჯაყოს მიერ მარგოს გაუპატიურებას), ეს ნაწარმოები კონტრრევოლუციურია, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ეს მკითხველს კარგად უნდა გავაგებინოთო.

საპასუხო სიტყვაში მიხეილ ჯავახიშვილმა დაახლოებით ასე თქვა:

– ზომლეთელს ლიტერატურა და მისი დანიშნულება სულ არ ესმის ან ძალიან ცუდად ესმის. მას ჰგონია, რომ რასაც ნაწარმოებში პერსონაჟები ამბობენ ან სჩადიან, ეს ავტორისეული მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა. მე რომ ორსული ქალის მდგომარეობა აღვწერო მშობიარობის დროს, გამოხტება ზომლეთელი და იყვირებს, საიდან იცის ეს ჯავახიშვილმა, თუ თვითონ ორსულობა არ განუცდიაო.

ამას დარბაზში ხარხარი მოჰყვა. ზომლეთელმა რაღაც რეპლიკა ესროლა, მაგრამ ვერ გავიგონე.

პლ. ქიქოძემ სხვებთან ერთად მწვავედ გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდია და აღნიშნა, რომ იგი აქტიურად არ მონაწილეობდა საბჭოთა მწერლობაში, თანამედროვე თემებს შეგნებულად გაურბისო. გამოვიდა გამსახურდია, რომელმაც ქიქოძის განცხადებას ცილისმწამებლური უწოდა და აღნიშნა, რომ უკანასნელ წლებში მან შვიდი თეთრი წიგნი გამოაქვეყნა (მწერალი აქ გულისხმობდა „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულ წიგნებს, რომლებსაც უმრავლეს შემთხვევაში თეთრი ყდა ჰქონდა). ამაზე ვარდინმა რეპლიკა ესროლა:

– საქმეც ის გახლავთ, მოქალაქე გამსახურდია, რომ თქვენი წიგნები თეთრია და არა წითელი!

პრეზიდიუმში ამას ტაშით შეხვდნენ. ამაზე გამსახურდიამ უთხრა:

– უბედურება მაშინ იწყება, როცა წიგნებს მათი ყდის ფერის მიხედვით აფასებენ. ვარდინი კი უნდა მიმხვდარიყო, რატომაც ვთქვი „თეთრი წიგნებიო“.

მაგრამ ხალხს, შევატყვე, რობაქიძის გამოსვლა აინტერესებდა. როგორც ზევით აღვნიშნე, ის ოთხეული ისევ კედელთან იდგა, არ დამსხდარან (არ ვიცი, რატომ). რობაქიძე წმინდა ევროპული ტიპის ქართველი იყო. სუფთად გაპარსული, ეცვა თხელი საზაფხულო პიჯაკი, უჯრებიანი. ქიქოძეს დამსწრეებმაც მოსთხოვეს, რომ რობაქიძე გამოსულიყო თვითანგარიშით. იგი დაიძრა ადგილიდან და, რომ ვფიქრობდით, სცენისკენ მიდიოდა, უცბად გაუხვია, კარებიდან გავიდა და დარბაზი დატოვა. მას მიჰყვნენ გაფრინდაშვილიც, ტაბიძეც და იაშვილიც. ხალხი ხმაურობდა, იშლებოდა.

ვიღაცას კიდევ უნდოდა გამოსვლა და ქიქოძე ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა, დაწყნარებულიყვნენ. მოულოდნელად გამოვიდა ჩვენი სკოლის მე-7 ჯგუფის მოსწავლე გიორგი ლომიძე, მოკლე შარვლით. გაზეპირებულივით წარმოთქვა სიტყვა, რომ ის და მოსწავლე ახალგაზრდობა პროლეტარულ მწერლობას უჭერენ მხარს. პრეზიდიუმი ამას ტაშისცემით შეხვდა. ხალხი ფეხზე წამოდგა და რაღაც მწარე-მწარე რეპლიკებს ისროდა. ლომიძე შემდეგ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. როგორც ამბობდნენ, იქ წაიყვანა რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მაშინდელმა მოადგილემ, ანდრია ლეჟავამ (რაღაც ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი). გახდა ლიტერატურათმცოდნე და ახლაც მოსკოვში განაგრძობს მოღვაწეობას, საქართველოსკენ პირი აღარ უქნია.

დავიშალეთ. მე და ჩემი მეგობრები ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. ჩვენთვის ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოც იყო და სასარგებლოც.

მუშტაიდის პარკის გვერდით ტრამვაელთა კლუბი არსებობდა პატარა ბაღით. ბოლოს იქ მუსკომედიის თეატრმა დაიდო ბინა. შესვლა თითქმის უფასო იყო და იქ ხშირად დავდიოდი. ამ კლუბში მოდიოდნენ მწერლები, პოეტები და ლექსებს კითხულობდნენ. მოდიოდნენ აგრეთვე მაშინდელი მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელები და აკეთებდნენ მოხსენებებს საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო ვითარების შესახებ.

ერთხელ ლიტერატურულ საღამოს დავესწარი. მოვიდნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და ეგრეთ წოდებული მუშა-პოეტები: სიო ხიდისთაველი, გიორგი შინატეხელი, შაქრო ნავთლუღელი და, მგონი, გიგო ხეჩუაშვილიც. ძალიან მაინტერე-



გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ილიკო ქურხული
თბილისი, 1928 წელი

სებდა გ. ტაბიძის გამოსვლა. პირველად მან წაიკითხა რამდენიმე ლექსი. მათ შორის, ბოლოს „მთაწმინდის მთვარე". სრულიად გამოიცვალა. თუ პირველად შედარებით დინჯად იყო, ამ ლექსის კითხვისას ნერვიულობა დაეტყო, ჯერ მხრები შეუთამაშდა, მერე მთლად აცახცახდა, ალაგ-ალაგ კითხვის ტემპს ისე მოუმატა, რომ სიტყვების დაჭერაც ძნელი გახდა და, ბოლოს, დაამთავრა წყნარად: „ჯერ არასდროს არ ყოფილა, მთვარე ასე წყნარი". დიდი ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ მე გაოგნებული ვიყავი, თითქოს რაღაცას მეტს მოველოდი. მე მგონია, ის ისე ვერ კითხულობდა თავის ლექსებს, რისი ღირსიც ეს მშვენიერი, ბრწყინვალე ლექსები იყო; უფრო ზუსტად: არ იყო კარგი დეკლამატორი. შეიძლება, მე ვცდები, მაგრამ შეცდომა ცოდვად არ ჩამეთვლება.

როგორც ზევით აღვნიშნე, ამ კლუბში ხშირად მოდიოდნენ მთავრობისა და პარტიის ლიდერები: ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო თოდრია, შალვა ელიავა, საშა გეგეჭკორი და სხვანი. მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა მიხეილ კახიანი. მისი ყოველი გამოსვლა სავსე იყო ქართველი „მენშევიკების", ნაციონალისტების, შოვინისტების, უცხოეთის აგენტების, კონსერვატორების, ჩემბერლენის, კაუცკისა და საერთოდ პირსისხლიანი კაპიტალისტების გინებით, იმის დაპირებით, რომ მათ ყველას კბილებს ჩაუმტვრევს და როგორც მკბენარებს, ისე მოსპობს საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი უძლეველი პარტია.

ამის მოსმენას მე შეჩვეული ვიყავი, მაგრამ იგი თავის გამოსვლებში ხშირად ისეთ ფაქტებსაც იმოწმებდა, რომლებიც პრესაში არ ქვეყნდებოდა და რომელთა აზრიც ასეთი იყო: ბურჟუაზიული, კაპიტალისტური სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი, ჩვენ წინააღმდეგ საომრად ემზადება. საქმეს ისე ხატავდა, რომ ახლო მომავალში თითქოს ომი გარდუვალი იყო. ამ შეხედულებით განვიმსჭვალე მეც და მაშინ გადავ-



ანდრო და სევერიანე კეკელიძეები
ბათუმი, 11 აპრილი, 1928 წელი

წყვიტე, რომ მოსალოდნელ ომს, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლივ წითელი, დამპყრობელი რუსეთის დამარცხებით დამთავრდებოდა, ჩვენ, ქართველი ახალგაზრდები მომზადებული უნდა შევხვედროდით, საჭირო იყო რაღაც ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნა და ჩემს მეგობრებთან ერთად შევქმენით კიდეც. ვიდრე მის შესახებ მოგითხრობდეთ, მინდა, 1921 წლის თებერვალს და 1924 წლის აგვისტოს შევეხო.

სანამ მათზე ვიტყოდე რამეს, მინდა გავიხსენო სამი პირი, რომელთა მოსვლაც ჩვენს ოჯახში და მათთან ყოფნა ძალიან მიყვარდა. ესენი არიან ბიძაჩემი ანდრო კეკელიძე, ექიმი ლავრენტი სალარიძე და მამაჩემის ბავშვობისდროინდელი მეგობარი, ტობანიერელი ვასო გოგოძე. ბიძაჩემზე შეიძლება სხვა ალაგასაც მომინიოს ლაპარაკი, ახლა კი ერთ საუბარს ვიხსენებ, რომელიც მეხსიერებაში ჩამრჩა.

ერთხელ იგი სადილად იყო ჩვენთან. მამამ და მან ბევრი ილაპარაკეს და გული მოიფხანეს მთავრობის გინებით. მერე ბიძამ ასეთი რამე თქვა:

– კაცო, გუშინ ბესო ჭიჭინაძე შემხვდა (ცნობილი ინჟინერი, ზაჰესის მშენებელი) და ასეთი რამ მითხრა: ჩვენში, საქართველოში, ისეთი ვითარებაა, რომ ქართველები რაც შეიძლება ბლომად უნდა შევიდნენ პარტიაშიო (ბოლშევიკების პარტიას გულისხმობდა).

– რატომ-მეთქი, – შევეკითხე.

– იმიტომ, რომ ეს პარტია ისეთია, რომლის კარი ღიაა ყველა გადამთიელისთვის, მასში შედიან თათრებიც, სომხებიც, რუსებიც და სხვა ათასი ძაღლი და მამაძაღლი. მათ ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოც და ქართველებიც. ჩვენს ქვეყანაში დიდ თანამდებობებს იკავებენ და თავიანთ საქმეებს აკეთებენ. უხარიათ, რაც მეტ ქართველს დაიჭერენ, გადაასახლებენ ან დახვრეტენ. უმჯობესია, დიდი და ხელმძღვანელი ადგილები ქართველებმა დაიკავონ. რაც არ უნდა იყოს, ისინი მაინც ქართველები არიან

და მთლად არ გასწირავენ სამშობლოს, მეტ პატიოსნებას გამოიჩენენ და ჩვენს ინტერესებს უფრო დაიცავენო.

მამაჩემი დაფიქრდა.

– ეგ მოსაზრება ძალიან ანგარიშგასაწევია. იქნებ, მართლაც ასე ჯობდეს.

ბიძია ანდრო აფეთქდა:

– რას ამბობ, კაცო, შენ? პარტიაში შესვლამდე ქართველი კაცი შეიძლება მართლაც პატიოსანი იყოს, მაგრამ, როგორც შიგ შევა, უნდა თუ არ უნდა, ადრე თუ გვიან, მაინც გაირყვნება, დედ-მამასაც გაჰყიდის და სამშობლოსაც. ჩეკისტი ყოველთვის ჩეკისტია, რა რჯულისაც არ უნდა იყოს. შეიძლება, ქართველი უარესიც გამოდგეს. ასეთი კაცი მე დამინდობს და შენ? მე ეს არა მჯერა და შენ, თუ გინდა, დაიჯერე.

– არც მე მჯერა, ჩემო ძმაო, მაგრამ რა გზას დავადგეთ, რომ არ ვიცი? ცოტა ხნის შემდეგ სხვა ამბებზე გადავიდნენ.

ამ ლაპარაკის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა მე პირადად იმ აზრისა ვარ, რომ (ჩეკისტებს და შპიონებს არ ვგულისხმობ) კომუნისტურ პარტიაშიც იყვნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც პარტიაში ან ძალით, ან რაღაც სხვა მიზეზით „შეათრიეს" თუ „შეიყვანეს". მე ბევრ მათგანთან მეგობრობაც მაკავშირებდა. ესენი უნდა განვასხვავოთ კომუნისტური პარტიის ელიტისაგან. ერთი რამეც შევამჩნიე. გაუსწორებელი „მამალი" ბოლშევიკ-კომუნისტები 1921 წლის პირველ ხანებში ბრძანდებოდნენ და ასეთებად დარჩნენ ბოლომდე, ვიდრე ერთმანეთს არ დაერეოდნენ და ერთმანეთს კონტრრევოლუციონერებად არ მონათლავდნენ. სწორედ ესენი შემოუძღვნენ რუსის ჯარს საქართველოში.

შემდეგ, როცა ახალგაზრდა თაობების წარმომადგენლებმა „შეავსეს" პარტია, ბევრი მათგანის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე საკმაოდ შეიცვალა, თუმცა ამას აშკარად ვერ ამჟღავნებდნენ, შინაგანად კი მათ უკვე აღარ სჯეროდათ არც სოციალიზმი-კომუნიზმი, არც ის, რომ „აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა" დაამხეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა. ისინი უკვე კარგად ხედავდნენ, რომ საქართველოს დამპყრობელი წითელი რუსეთი იყო და ამ რუსეთის წინააღმდეგ სიძულვილითაც იმსჭვალებოდნენ.

ბოლო წლებში ბიძაჩემი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს განთავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ საერთაშორისო ძალები (რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი) ბოლშევიკურ რუსეთს სამხედრო ძალით გაანადგურებდა. ამ მომენტით უნდა ისარგებლოს საქართველომო. არა მარტო ის, არამედ ქართველების უმრავლესობაც, მგონი, ამ აზრისა იყო მაშინ.

ფრიად საყვარელი კაცი იყო ჩვენთვის ექიმი ლავრენტი სალარიძე. არ ვიცი, როდის დამეგობრდნენ მამაჩემი და ის. შესანიშნავი ექიმი, დახვეწილი ინტელიგენტი, ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარი. ის იყო ჩვენი მკურნალი ავადმყოფობის დროს. ისედაც იცოდა ჩვენთან შემოვლა, ხან სადილზე და ხანაც – ვახშამზე. ლაპარაკობდა სწრაფად, ტემპერამენტით და გულიანად ლანძღავდა ბოლშევიკებსა და მათ მთავრობასაც. ყოველი წინადადების შემდეგ დაატანდა: „ჰა, ასე არ არის, სევერიანე?"

მამაჩემიც თავს უქნევდა მორჩილად. ერთხელ ვერ მოითმინა და შეეპასუხა:

– ლავრენტი, მეც მალაპარაკე ცოტა, კაცო! სულ ხომ შენ არ უნდა ილაპარაკო?

გაიცინებდნენ და მერე გიყვარდეს, იყო გაუთავებელი გინება ფილიპე მახარაძის,

ორჯონიკიძის, ორახელაშვილის, კახიანის და ძმათა მათთა. ბოლოს იმედს გამოთქვამდნენ, რომ საქართველო ადრე თუ გვიან მაინც განთავისუფლდებოდა ტირანიისაგან, რომ თუ ომი დაიწყებოდა, ინგლისი აუცილებლად დაამარცხებდა წითელ რუსეთს.

ერთ დღეს მამა ძალიან დაღონებული მოვიდა. დედაჩემის შეკითხვაზე, რა მოხდაო, უპასუხა: ეს ერთი თვეა, ლავრენტი სალარიძე დაიკარგა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგოო.

ორი კვირა გავიდა ამ ლაპარაკიდან და ჩვენდა გასახარად მოულოდნელად გამოგვეცხადა ექიმი ლავრენტი, გამხდარი და ფერდაკარგული. გადაეხვია მამაჩემი და ეკითხება:

– რა მოხდა, კაცო, რას დაგვზაფრე ყველანი?

– სად ვიქნებოდი, არ იცი? გამიტაცეს ამ ძაღლიშვილებმა. უკვე დაბნელებული იყო. ჩემთან ერთი კაცი შემოვიდა (მალაკნის ბაზრის ახლოს ცხოვრობდა და ავადმყოფებსაც იღებდა შინ). მითხრა, ძალიან მძიმე ავადმყოფი გვყავს და გთხოვთ, ერთი საათით გამოგვყვეთო. დაბლა რომ ჩავედით, იქ კიდევ ორი კაცი შემოგვხვდა. მომკიდეს ხელი, მითხრეს, ხმა არ ამოიღოო და თვალები მაინც ამიკრეს. მივხვდი ყველაფერს. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარეთ. სადღაც ეზოში შემიყვანეს და ერთ ბნელ სარდაფში შემაგდეს. თვალებიდან ნაჭერი მომხსნეს და მითხრეს: კარგად იფიქრე და ყველაფერი გვითხარი, თორემ მზის სინათლეს ველარასოდეს იხილავო.

– მაინც სად წაგიყვანეს? – შეეკითხა მამა.

– არ ვიცი. მგონი, ავჭალის მხარეს ვყავდით სადღაც.

– მერე?

– ორი დღე გავიდა, კაცი არ მაკითხავს. არც ის ვიცი, რას მაბრალებენ. ერთი კვირის მანძილზე მარტო წყალსა და პურს მაძლევდნენ. მერე ღამით მეორე სართულზე ამიყვანეს. ფანჯრებზე ფარდებია ჩამოფარებული. მაგიდასთან ვიღაც ფორმიანი კაცი ზის. მაშინვე მივხვდი, ეს ჩინოსანი ჩეკისტია. სკამიც არ შემოუთავაზებია, მეკითხება: – ორი თვის წინათ შენთან შემოვიდა ხელში დაჭრილი კაცი. შენ ჭრილობა შეუხვიე. მერე ის ბანდიტი კიდევ ორჯერ იყო შენთან. რა ურთიერთობა გაქვს მასთან და რა გვარია?

მაშინვე მივხვდი, ეს მოჭორილი ამბავი იყო. მათ სულ სხვა რამ აინტერესებთ, მაგრამ რა?

უარი ვუთხარი – ჩემთან არავინ დაჭრილი არ ყოფილა-მეთქი.

– ჩვენ ვიცით, რომ იყო!

– არავინ ყოფილა.

დამაბრუნეს ისევ სარდაფში. გავიდა ერთი კვირა, კაცი არ მაკითხავს. ბოლოს იმ ჩეკისტთან ამიყვანეს ისევ. ზრდილობიანად მელაპარაკება. სკამიც შემომთავაზა.

– თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან გამოცდილი ექიმი ხართ. ჩვენ გვჭირდება ასეთი სპეციალისტი. იმუშავეთ ჩვენთან.

– სად უნდა ვიმუშაო?

– ჩვენთან.

– ჩეკაში სამუშაოდ მე არ ვვარგივარ.

– არა, თქვენ კარგად ვერ გამიგეთ. ჩვენ ჩვენი საავადმყოფო გვაქვს. იქ იმუშავეთ. ჯამაგირიც კარგი გექნებათ და სხვა მხრივაც დაგაკმაყოფილებთ.

ჩემი ჩათრევა უნდოდათ იმ ძაღლის გაგდებულებს! ჩეკისტს ვუპასუხე:



სევერიანე კეკელიძე და ვასო გოგოძე
თბილისი, ნოემბერი, 1932 წელი

– მე ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვარ, ხელფასიც და შემოსავალიც მყოფნის თავის შესანახად.

კარგად იფიქრეთო, მითხრა და ისევ სარდაფში ჩამიყვანეს. მერე მე ის აღარ მინახავს. ერთი კვირის წინათ ღამით სარდაფიდან გამომიყვანეს, ისევ შავ მანქანაში შემაგდეს და დავიძარით. ვაგზალთან მიმიყვანეს და მითხრეს, გადადიო. გადავედი. ისინი გაუჩინარდნენ. მე, დასუსტებულმა, მაგრამ გახარებულმა, შინისკენ გავწიე.

ლავრენტი სალარიძე სხვა დროსაც ყოფილა დაპატიმრებული, ამაზე ცნობას გვაწვდის მარიკა ბარათაშვილი თავისი ძმის, ვახტანგის, შესახებ დაწერილ გახსენებაში. ქობულეთში დაპატიმრებული ვახტანგი „რამდენსამე თვეს თბილისის ციხეში ჰყავდათ. ცხადია, პატიმრებისაგან მოითხოვდნენ ორგანიზაციის წევრთა და მათი საქმიანობის გაცემას და ვახტანგი რომ ვერ გატეხეს, სასტიკად აწამებდნენ და ნაცემ-ნაგვემს სატრფარეშოში ამწყვდევდნენ. ბოლოს, 17 დღის ნაშიმშილები, გრძნობადაკარგული, საკანში შეაგდეს, სადაც იმჟამად პოლიტპატიმარი, ექიმი ლავრენტი სარალიძე, ეჯდათ (ზოგი წერს „სარალიძე", ზოგიც – „სალარიძე" – მ. ბ.). მხოლოდ მისი დიდი მოვლა-მზრუნველობის წყალობით გადარჩა ჩემი ძმა" (გაზ. „ერი", 1991, 24 იანვარი).

ლავრენტი სალარიძე რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. მის შესახებ, მგონი, გაზ. „სოფლის ცხოვრებაში" პატარა ნეკროლოგი იყო გამოქვეყნებული, მაგრამ მის რამდენჯერმე დაპატიმრებაზე ერთი სატყვაც არ ყოფილა თქმული, თუმცა ეს არც არის გასაკვირი. მაშინ სხვა დრო და რეჟიმი იყო.

მამაჩემისა და ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარი იყო ვასო გოგოძეც. იგი ჩვენს ახლოს, გორის ქუჩაზე, ცხოვრობდა. ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და წიგნებით მამარაგებდა. „რევოლუციის მატიანის" ყველა ტომი მისი ბიბლიოთეკიდან მომ-

ქონდა და სულმოუთქმელად ვკითხულობდი. მაინტერესებდა, რა ხდებოდა ძველად და როგორ იბრძოდნენ ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ. ბევრ საინტერესო ფაქტსაც გავეცანი.

ერთხელ მამაჩემი რაღაც კონფლიქტის ნიადაგზე ოთხ თვეს უმუშევრად იყო. ყოველი ჯამაგირის დროს ვასო გოგოძე მოვიდოდა ჩვენთან და ჯამაგირის მესამედს ძალიან ტაქტიანად მამას უტოვებდა და იტყოდა:

– არაფრის შეგეშინდეს, სევერიანე! მე აქა ვარ, მალე გნახავ. ახლა კი მშვიდობით.

უაღრესად ნათელი ადამიანი იყო. ღმერთო, მისი სული გაანათლე!

1921 წლის თებერვალი

იმ წელს ზამთარი მთელ საქართველოში ძალიან ცუდი იყო. ცუდი იყო თბილისშიც: თოვლ-ჭყაპი, ხანდახან სუსხიანი ქარი, მოსალოდნელზე მეტი ყინვა-სიცივე. ხალხი უმთავრესად სახლებში იყო შეყუჩული და თავიანთი საყოფაცხოვრებო საჭირბოროტო საკითხებით გახლდათ დაკავებული.

თებერვლის პირველ რიცხვებში ჩვენთან მოვიდა ბიძაჩემი ანდრო კეკელიძე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო პროკურატურაში მსახურობდა და შემაშფოთებელი ამბავი მოიტანა: არის ნიშნები, რომ რუსი ბოლშევიკები სომხეთ-აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენს საზღვრებთან ჯარებს თავს უყრიანო.

მამაჩემის კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ომი, გვიპასუხა: დანამდვილებით არ ვიცი, რუსეთთან ჩვენ სამშვიდობო ხელშეკრულება გვაქვს დადებული და რა განზრახვით აქტიურობენ, ჯერ ვერაფერს ვიტყვიო. ჩვენი დაზვერვის ცნობით ჯარებს რომ საზღვრებთან თავს უყრიან, ეს კი ფაქტიაო. სამიოდე დღის შემდეგ ისევ მოვიდა, სამხედრო ტანსაცმელი ეცვა (ის ოფიცერი იყო) და თქვა, ალბათ ომი მოგვიწევსო.

მაშინ მე ცხრა-ნახევარი წლისა ვიყავი და რაც დამამახსოვრდა და რაც განვიცადეთ, იმას მოგახსენებთ.

ათ თუ თერთმეტ თებერვალს რუსეთმა პროვოკაციული საბაბით ჩვენს წინააღმდეგ ომი დაიწყო (თითქოს „აჯანყებული“ ქართველების დასახმარებლად). აქამდე სახლებში შემყუდროებული ხალხი გარეთ გამოვიდა, აღელვებული, შეშფოთებული იყო და ცდილობდა, ახალი ამბები გაეგო. უკვე ყველამ იცოდა, რომ რუსის ჯარს წინ მოუძღოდნენ ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, კ. ცინცაძე და ქართველი ხალხის სხვა მოღალატენი, ჩვენი სამშობლოს გამყიდველნი.

მაშინვე გავრცელდა ოთხსტრიქონიანი ლექსი:

საქართველომ გამოზარდა
ოთხი მოღალატე შვილი,
მახარაძე, ელიავა,
ბუდუ, ორახელაშვილი.

მამა რატომღაც ფიქრობდა, რომ თბილისთან და თვით თბილისშიც სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართებოდა და ამიტომ გადაწყვიტა, ჩვენ გავეხიზნეთ დედაჩემის ბიძა პარმენ გიორგაძესთან, რომელიც ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა და რომელსაც დიდი სარდაფი ჰქონდა. მოგვხვია ხელი და იქ წაგვიყვანა ყველანი, თან

წავილეთ ერთი ღორის ბარკალი და ერთი ფუთი სიმინდის ფქვილი. დედის ბიძასთან მხოლოდ სამი დღე დავრჩით. მამამ გადაიფიქრა და ისევ უკან დაგვაბრუნა შინ. თვითონ ყოველდღე დადიოდა სამსახურში, მაგრამ არა სამუშაოდ, არამედ მეგობრებთან და თანამშრომლებთან შესახვედრად და ფრონტზე მდგომარეობის გასაგებად.

ყველგან ისმოდა ჟორდანიას, გენერლების: ოდიშელიძის, კვინიტაძის, მაზნიაშვილის, აგრეთვე, გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელისა და სხვათა სახელები. ხალხში განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია მთავარსარდლად გენერალ კვინიტაძის დანიშვნამ. რატომღაც ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი მთავარსარდალი ბოლშევიკების არმიას დაამარცხებდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ერთ დღეს მამამ თან წამიყვანა. რუსთაველის პროსპექტზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლია, სააფიშო მრგვალი ბოძი (ქვითკირით ნაშენი) იდგა. ხალხი შეჯგუფულიყო და ახალგამოკრულ კარიკატურას უყურებდა. მასზე გამოსახული იყვნენ ლენინი და ტროცკი, რომლებიც ერთმანეთს თავში სტაფილოს ურტყამდნენ. ჰქონდა რაღაც წარწერა, მაგრამ არ მახსოვს – რა. მივედით ჩვენც. უცებ ვილაცამ მამას ხელი ხელში მოჰკიდა და ჰკითხა:

– მოგწონს, სევერიანე?

– ოჰ, კოლია, გამარჯობა! უცებ ვერ დაგინახე. ნახატი კარგია. ვინ გააკეთა?

– ჩემი ნახელავია. სხვა კარიკატურებიც უკვე გამოაკრეს.

ამ დროს პროსპექტზე ჩამოატარეს ორმოცამდე ტყვე რუსი ბოლშევიკი ჯარისკაცი. მათში ბევრს სამხედრო ტანსაცმელი არ სცმია. ტყავის „ტუჟურკები“, ტყავის ქუდი, გალიფე და ჩექმები. აი, ეს იყო ზოგიერთი მათგანის სამოსი. ახლა რომ ვფიქრობ, ესენი „კომისრები“ და „აგიტატორები“ გახლდნენ. მათ ბადრაგად გვარდიელები მიჰყვებოდნენ.

ბოლშევიკების დანახვაზე ჩემთვის უცნობმა კარიკატურისტმა ჩაილაპარაკა:

– დედა გეტირებათ, თქვე ძაღლიშვილებო!

ლაპარაკით გაჰყვნენ სამხედროებს ტაძრისაკენ („სობორო“). დავინახეთ, მთაწმინდის ფერდობს ქართველ ჯარისკაცთა მწკრივები მიჰყვებოდა. ეტყობოდა, გზას იმოკლებდნენ კოჯორ-ტაბახმელისაკენ, მაგრამ მაშინ მე არ ვიცოდი, სად მიდიოდნენ.

როცა მარტო დავრჩით, მამას ვკითხე, თუ ვინ იყო მასთან მოსაუბრე.

– ეგ კოლია სირბილაძეა, ნიკოლოზ სირბილაძე, მწერალი ნიკოლო მიწიშვილი.

აი, ასე დამამახსოვრდა ის და შემდეგ რაც მოხდა მის ცხოვრებაში, ჩემთვის ყოვლად გაუგებარია. გასაოცარია, წავიდა (თუ გააგზავნეს) საფრანგეთში. ამბობდნენ, იქ გრიგოლ ვეშაპელის გაზ. „ახალ საქართველოში“ დაიწყო მუშაობაო. ვეშაპელის მოკვლის შემდეგ თბილისში დაბრუნდა, ჟურნალ „ქართულ მწერლობას“ რედაქტორობდა და საგამომცემლო საქმეებში მონაწილეობდა. აქებდა კომუნისტებს და, განსაკუთრებით, ს. ორჯონიკიძეს (ლექსიც კი უძღვნა. იქნებ შიშით? არ ვიცი). მაგრამ მაინც არაფერმა უშველა, ისიც მსხვერპლი გახდა ნითელი ტერორისა.

25 თებერვლამდე სამი დღით ადრე მამა ფრონტზე წავიდა. წავიდა მოხალისედ რამდენიმე მეგობართან ერთად. ნაბდისაგან შეკერილი სახელოებიანი პალტო ჩაიცვა, ჯიბეში თავისი „ბრაუნინგი“ ჩაიდო და დამშვიდობებისას გვითხრა – მალე გნახავთო. მართლაც ასე მოხდა. ორი დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. დედაჩემის შეკითხვაზე, თუ რა მოხდა, თქვა:



ნიკოლო მიწიშვილი
თბილისი, 1920-იანი წლები

– სადახლოში ჩავედით, მაგრამ უფროსმა ოფიცერმა არ მიგვიღო, ფრონტი გარღვეულია, ჯარი უკან იხევს და აბა, თქვენ სად უნდა გაგანაწილოთო. ისე კი, დიდი მადლობა მამულიშვილური გრძნობის გამოჩენისათვის, მაგრამ განა მადლობისათვის მივდიოდით?

ამ დღეების ერთი მომენტიც მინდა გავიხსენო. ერთხელ, საღამო ხანს, მამას ვკითხე, თუ როგორ იწერებოდა ლექსი. ჯერ გაკვირვებით შემხედა, მერე ხელები გაშალა და თქვა:

– აბა, რა ვიცი, როგორ წერენ ლექსებს.

– მაინც როგორ წერენ?

– აი, მუზა რომ ეწვევა კაცს, ის აწერინებს ლექსებს.

– ვინ არის მუზა?

– მუზა? წერის სურვილი რომ გაუჩნდება კაცს, ის არის მუზა.

არ დამაკმაყოფილა პასუხმა. ისევ გავიმეორე:

– ძალიან მინდა, ვიცოდე, როგორ წერენ ლექსს.

მამა ისევ მიყურებს გაოცებით.

– აი, ბიჭო, დაუგდე ყური.

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები.
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები.

ხედავ? როცა ერთნაირი ბგერებით თავდება პწკარები, ლექსი გამოვა. „ბგერა“ არ

ვიცი, რა არის, მაგრამ მე ასე მივხვდი: თუ ერთნაირი ასოებით დამთავრდება სიტყვები, ლექსი გამოვა. მეორე დღეს მამაჩემს ჩემი „შემოქმედების“ პირველი ნაცოდვილარი ნავაკითხე:

გაუმარჯოს ჟორდანიას,
გაუმარჯოს მინისტრებსა,
გაუმარჯოს საქართველოს
მებრძოლ გმირებს, ვაჟკაცებსა.

თან ვკითხე:

– ლექსია?

– ჰო, ლექსია, ლექსსა ჰგავს. კარგია, განაგრძე წერა.

შემდეგში მეც განვაგრძობდი და ვწერდი. ვწერდი და ვხევდი უამრავ რვეულს, რადგან ხან ლექსი არ მომეწონებოდა, ხან გადაწერისას სიტყვა შემეშლებოდა და ახალ რვეულში ვიწყებდი გადაწერას.

ეს ისე, სხვათა შორის, ჩემი მაშინდელი განწყობილების გადმოსაცემად.

ფრონტი კი დედაქალაქს უახლოვდებოდა. ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით გააფთრებული ბრძოლებისას ქვემეხების გრიალი უკვე ისმოდა ქალაქში. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართველმა იუნკრებმა. ერთხანს მტერი უკუაგდეს კიდეც, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, დროებით. მტერი მრავალრიცხოვანი იყო და ისევ განაახლა შემოტევები. ჩვენი ქუჩის ქართველი მოსახლეები შეშფოთებით იყრიდნენ თავს გარეთ, ლაპარაკობდნენ, ვარაუდობდნენ და ბჭობდნენ, თუ რითი დამთავრებოდა ეს ბრძოლები.

ერთ დღეს დედაჩემი ნამტირალევი მოვიდა. ახლანდელი უზნაძის ქუჩაზე რომ მეორე საავადმყოფოა, იქ ყოფილიყო ერთი ნათესავის სანახავად.

მამამ ჰკითხა:

– გარდაიცვალა ის საწყალი?

– არა.

– აბა, რა დაგემართა?

ასეთი რამ გვიამბო:

– საავადმყოფოს ეზოდან ბრძოლებში დაღუპული ჩვიდმეტი ჯარისკაცის კუბო გამოასვენეს. შავით მოსილი ქალების, კაცებისა და ბავშვების მრავალრიცხოვანი პროცესია მიაცილებდა. საშინელება იყო. ჰკიოდნენ: „მამა“, „ძმაო“. ვერ გავუძელი ქალების მოთქმას. ბევრი ვიტირე.

მძიმე დუმილი ჩამოვარდა. მეტი არავის არაფერი უთქვამს. საქმე რომ ცუდად იყო, ეს უკვე აშკარად იგრძნობოდა. 24 თებერვალს ხმა გავრცელდა, მთავრობა თბილისიდან წავიდაო. ზოგს სჯეროდა, ზოგს – არა, მაგრამ სინამდვილე აღმოჩნდა.

25 თებერვალს წითელი ურდოები თბილისში შემოვიდნენ. დაახლოებით დღის თორმეტ თუ პირველ საათზე ყოფილ ანდრეევის (ახლა თევდორე მღვდლის სახელობის) ქუჩაზე, იქ, სადაც შერემეტევის ქუჩა (ახლა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის) ანდრეევის ქუჩას ჭრის, გამოჩნდა რუსის ჯარი. ქუჩის ბოლოს მაშინ მინდვრები იყო და იქ დასაბანაკებლად მიდიოდა. ხალხი გარეთ გამოვიდა და უყურებდა მათ, ქართველები ბოღმით სავსენი, რუსები – სიხარულით და ტაშის ცემით. რუსმა ქალებმა

ვედროებით წყალი და საჭმელები გამოიტანეს და მოღიმარნი სთავაზობდნენ რუს ჯარისკაცებს, რომლებსაც ძაბრის მსგავსი ქუდები ეხურათ. ისინიც გაბღენძილნი, ამაყად გამოიყურებოდნენ. მაყურებელთა შორის მეც ვიყავი. ჩემ გვერდით მეზობელი სახლის ერთი მცხოვრები, ვასია დაროვსკი, ასე 20–22 წლისა, წინ ამეყუდა, ტაშს უკრავდა და ყვიროდა:

– და ზდრავსტვუეტ როდნაია როსსია![1]

მერე მე მომიბრუნდა:

– უბირაიტეს ოტსიუდა, კატიტეს ვ კუტაისი! ტიფლის ნაშ![2]

შინ შემოვედი და მამას ვუამბე ეს ეპიზოდი. მერე მკითხა:

– შენ რა ჰქენი?

– რა უნდა მექნა?

– უნდა გაგერტყა.

– ის დიდი იყო.

– მაინც უნდა გაგერტყა. ქვა აგეღო და თავში გეთხლიშა, შე მამაძაღლო!

გულმოსული მეორე ოთახში გავიდა.

ქართველობა გლოვობდა. გლოვა იყო ჩვენს ოჯახშიც. მტერმა თბილისი აიღო და დასავლეთისკენ მიიწევდა. კარგად ვერ გამეაზრებინა, მაგრამ ალღოთი ვგრძნობდი, რომ რაღაც ძვირფასი, ყველაფერზე უფრო ძვირფასი რამ დავკარგეთ. ახლა უკვე ვიცი: ეს ძვირფასი – საქართველოს თავისუფლება, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო.

უცხო ძალები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ ჩვენს გასათელად, სიკვდილის ცელი ხელთ ეპყრათ და რას ჩაიდენდნენ, კაცმა არ იცოდა (ახლა კარგად ჩანს, რაც ჩაიდინეს 70 წლის ბატონობის პერიოდში).

ეს ნაამბობი კოლაუ ნადირაძის ლექსით მინდა დავამთავრო. იგი მას დაუწერია 1968 წლის 25 თებერვალს:

თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილღვიძლად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი სცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს,
გაპობილ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,

---

[1] – გაუმარჯოს მშობლიურ რუსეთს!

[2] – წაეთრიეთ აქედან, მოუსვით ქუთაისში! თბილისი ჩვენია!

თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედას ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

ჩვენც ჩვენი ჭკუით და შესაძლებლობით ვებრძოდით იმ საკვდილის ცელს, რომელიც ხელთ ეპყრათ ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს გასანადგურებლად. თეთრ ცხენზე მჯდომი კი გახლდათ პირსისხლიანი ბატონი სერგო ორჯონიკიძე.

სხვათა შორის, ეს ტკივილით სავსე ლექსი ამ ოციოდე წლის წინათ მე და ჩემმა მეგობარმა ჯოდორ დადიანმა მოვისმინეთ თვით კოლაუ ნადირაძისაგან რესტორან „ევროპაში“, სადაც სუფრას ვუსხედით. ლექსის ავტორი კოლაუ ნადირაძე, პოეტი ოთარ ჭელიძე, ჯოდორ დადიანი და მე. შეიძლება იყო კიდევ ვინმე, მაგრამ არ მახსოვს. ამ ლექსს მაშინ ვინ დაბეჭდავდა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთ წიგნში გამოქვეყნდა ავტოგრაფის სახით (ამბობდნენ, შალვა დემეტრაძის არქივში ნახესო). ცენზურამ (მთავლიტმა) გაიგო და ის ფურცელი, რომელზედაც ლექსი იყო, ამოხიეს. მაგრამ ტირაჟის ნაწილში მაინც გავიდა. ერთი ცალი გიორგი ჩაკვეტაძეს ეშოვა და მე მისახსოვრა (ახლა ჩემს ბიბლიოთეკაშია). ლექსი მაშინ ბევრმა ზეპირად ისწავლა, მათ შორის, ჯ. დადიანმაც და შინაურ წრეში იცოდა თქმა.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ნიჭიერი პოეტი კოლაუ ნადირაძე ღირსეულად არ არის დაფასებული. ხშირად ისმის იაშვილის, ტაბიძის, გაფრინდაშვილისა და სხვათა გვარები. მას კი იშვიათად ახსენებენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის მისი ნამდვილი ფასი. ეს ლექსი სახელმძღვანელოებში უნდა შეიტანონ და ასწავლონ ჩვენს ბავშვებს. განა მასწავლებელს ცოტა ექნება სათქმელი ჩვენს უბედურებაზე?

მოკლედ, 1921 წლის თებერვალი ჩემს უფროს თაობას, ჩემს თაობას და შემდგომ თაობასაც მძიმე ტკივილად დააჩნდა.

თბილისის დატოვებამ ხალხი სასოწარკვეთილობაში ჩააგდო. ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მთავრობის მიმართ. ზოგჯერ გაიგონებდით:

– ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს მტერს. გაიქცნენ და თავს უშველეს.

– ჩვენ ჯალათების ხელში დაგვტოვეს, თვითონ კი წავიდნენ.

– რას აკეთებდა ჯარი, რას აკეთებდა გვარდია? რატომ ვერ შეაჩერეს მტერი?

რამდენად სწორია ეს საყვედურები, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ჯარიც და გვარდიაც, იუნკრებიც თავდადებულად, თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ხოლო, თუ რატომ ვერ შეაჩერეს მტერი, ჩვენს მაშინდელ სამხედრო ხელმძღვანელობასა და მთავრობას



კოლაუ ნადირაძე
თბილისი, 1920-იანი წლები

უნდა ვკითხოთ და იმათაც გულწრფელად (და არა ერთმანეთზე გადაბრალებით) გვიპასუხონ. საუბედუროდ, ისინი ცოცხლები აღარ არიან. რა ნაწერებიც დაგვიტოვეს, საჭიროა მათი ობიექტური და კრიტიკული შესწავლა, რადგან, როგორც სამართლიანად წერს ბატონი გურამ ყორანაშვილი (და არა მარტო ის): „მემუარულ ლიტერატურაში ყოველთვის ჭარბად აქვს ადგილი ისტორიულ მოვლენათა სუბიექტურ ასახვასა და შეფასებას. ავტორები, ჩვეულებისამებრ, ცდილობენ მეტი მიიწერონ, ვიდრე ეს ნამდვილად იყო ან არის. შესაბამისად, აკნინებენ სხვათა როლს“ (გენერალ გ. კვინიტაძის „ჩემს პასუხზე“ დართული ნინასიტყვაობიდან – „მხედარმთავრის შესიტყვებანი პრეზიდენტის მოგონებებზე“, 1990, „მეცნიერება“).

პირადად ჩემი ახლანდელი შეხედულებით, მტერმა რიცხვით დაგვჯაბნა. ისინი გვიტევდნენ არა მარტო სამხრეთიდან და აზერბაიჯანიდან, არამედ მამისონის უღელტეხილიდან და სოხუმის მხრიდანაც. ძნელი იყო ყოველი მხრივ გამკლავება.

რაც შეეხება თბილისის დატოვებას, ერთი ცნობით, ეს მოხდა არა მთავრობის ინიციატივით, არამედ მთავარსარდალ გ. კვინიტაძის მოთხოვნით. არ მახსოვს, რომელ თბილისურ გაზეთში დაიბეჭდა საზღვარგარეთ გამოქვეყნებული იმნაძის მოგონება, რომელიც ეხებოდა თბილისის დატოვების საკითხს (გაზეთი სადღაც გამებნა, თუ დამეკარგა). მახსოვრობით მინდა აღვადგინო „მოგონების“ ის ადგილი.

თათბირს ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია, მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე, გენ. ოდიშელიძე, კიდევ რამდენიმე პირი და „მოგონების“ ავტორი იმნაძე.

გენერალ კვინიტაძეს განუცხადებია: თბილისის დატოვება აუცილებელია, რადგან მოსალოდნელია მტერმა უკან დასახევი გზა მოგვიჭრას, გავმაგრდებით მცხეთასთან თუ სურამის უღელტეხილთანო. აღელვებულ ჟორდანიას უკითხავს გენ. ოდიშელი-

ძისათვის: შეიძლება თუ არა, არ დავემორჩილოთ ასეთ გადაწყვეტილებასო? ოდიშელიძეს უპასუხნია:

– ომის დროს მთავარსარდლის გადაწყვეტილება და ბრძანება უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, ეს კანონია!

მთავრობაც დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და დატოვა თბილისი. ამ ფაქტს ადასტურებს ნ. ჟორდანიაც. თათბირიდან „გამოვედი, გამომყვა ოდიშელიძე. ვკითხე: – უფლება აქვს სარდალს, ასე პიროვნულად ასეთი დიდი გადაწყვეტილება მიიღოს? კანონით უფლება აქვსო, – მომიგო მან“ (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990, „სარანგი“, გვ. 122-123).

გენ. გ. კვინიტაძემ 1921 წლის თებერვლის ამბებთან, კერძოდ, თბილისის დატოვების საკითხთან დაკავშირებით 1954 წელს პარიზში გამოაქვეყნა ნ. ჟორდანიას „ჩემი წარსულის“ წინააღმდეგ მიმართული ნაშრომი „ჩემი პასუხი“. იგი ბრალს სდებს მაშინდელ მთავრობას და მის მეთაურს, ნ. ჟორდანიას, რომ ისინი თავდაცვისათვის სრულებით არ ზრუნავდნენ. როცა კვინიტაძის „ჩემი პასუხი“ გამოვიდა, ჟორდანია მაშინ უკვე გარდაცვლილი იყო და არავინ იცის, რა პასუხს გასცემდა ყოფილ მთავარსარდალს.

გენერალი წერს: „თვითონ ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უბრძოლველად. მე ვიყავი, რომ შევაჩერე და ვუთხარი მას: მომეცით ათასი კაცი და შევებრძოლები მტერს, თბილისის დატოვება უბრძოლველად შეუძლებელია.

და აი, აქ, პარიზში, სპ. კედიამ მომაგონა და დასწერა კიდეც თავის გაზ. „გუშაგ“-ში.

ნ. ჟორდანია თურმე მისულა დამფუძნებელ კრებაში და იქ გამოუცხადებია, რომ უნდა დავტოვოთ ქალაქი უბრძოლველად და რომ ეს არის მთავარსარდალის აზრიო.

სპ. კედიამ არ დაიჯერა და რამდენიმე წევრის თანხლებით მოვიდა ჩემთან და მკითხა: „მართალია, რომ ვტოვებთ თბილისს უბრძოლველად?“ ჩემი პასუხი იყო: „ტყვიას დავირტყამ თავში, ვიდრე დავუტოვებ მტერს დედა-ქალაქს უბრძოლველად“ (გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, 1990, „მეცნიერება“, გვ. 18).

აი, აქ ორიოდე შენიშვნა მინდა გავაკეთო:

„ნ. ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება“. ომი დაიწყო 11 თებერვალს და მაშინვე უნდოდა მთავრობის თავმჯდომარეს თბილისის დატოვება? ყოვლად დაუჯერებელია. მან ხომ ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ განვითარდებოდა ომი და რატომ უნდა გადაეწყვიტა თბილისის დატოვება? ვთქვათ, „დასაწყისში“ პირველსავე დღეს (ან დღეებს) არ ნიშნავს და გულისხმობს „პირველად უნდოდა“. ესეც რომ დავუშვათ, ისე გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრს „პირველად უნდოდა“ ქალაქის დატოვება, შემდეგ კი აღარ უნდოდა.

მთავარსარდალი ეუბნება ნ. ჟორდანიას: „მომეცით ათასი კაცი და შევებრძოლები მტერს, თბილისის დატოვება უბრძოლველად შეუძლებელია“. საოცარია! მთავარსარდალი ეხვეწება ნ. ჟორდანიას – „ათასი კაცი მომეცითო“, მაშინ, როდესაც მის განკარგულებაში ათასობით ჯარისკაცი იყო!

ბევრი რამ არის, ჰორაციო, გაუგებარი!

გენ. კვინიტაძე საქართველოს დამარცხებას ამ ომში მთლიანად მთავრობას და გვარდიას აბრალებს. „ნ. ჟორდანია ყველგან აქებს გვარდიას. სინამდვილეში კი სწორედ ეს ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი დაღუპვისა“.

თბილისის დატოვების შემდეგ რუსეთის წითელი არმიის შეკავება ვერ მოხერხდა



გიორგი კვინიტაძე
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც მცხეთასთან, ვერც გორთან და, რაც ყველაზე უფრო სავალალო იყო, ვერ მოხერხდა ხაშურ-სურამის მიდამოებში, სადაც ბუნებრივი პირობებიც ხელს უწყობდა დამპყრობთა ურდოების შეჩერებას.

რატომ?

გენ. კვინიტაძის სიტყვით, ამაში ბრალი მიუძღოდა სახალხო გვარდიას, რომელიც თვითნებურად ტოვებდა პოზიციებს, მასობრივად დეზერტირობდნენ, სურამიდან კი დაუკითხავად მიატოვეს ყველაფერი და წიფაში გადავიდნენ.

ვთქვათ, ეს ასეა ყველაფერი. მაგრამ აქ მებადება კითხვა: სახალხო გვარდია ხომ ჯარის მცირე ნაწილი იყო. მან ვერ იბრძოლა თუ არ იბრძოლა, მაგრამ რას აკეთებდა ჯარის დიდი ნაწილი, რომელსაც გამოცდილი ქართველი გენერლები და ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ? ამ ჯარის გამოყენებით ხომ შეიძლებოდა ფრონტის გახსნა მცხეთასთან, გორთან, სურამთან? ეს ჩემთვის გაუგებარია.

1924 წლის აგვისტო

ჩვენი სახლის გვერდით, ახლანდელი ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე, ცხოვრობდა ერთი ქართველი ძველი სოციალ-დემოკრატი თომა ლორია თავის ოჯახით. იგი რკინიგზაზე მსახურობდა და საკმაოდ ნაკითხი, გათვითცნობიერებული ინტელიგენტი იყო. მამაჩემი და ის მეგობრობდნენ, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და ბოლშევიკების ლანძღვა-გინებით გულს იოხებდნენ. მახსოვს ასეთი შემთხვევები: მამა ღია ფანჯარასთან ზის, გამოივლის თომა და გაიმართება საუბარი.

– როდემდე უნდა იყონ ეს ოხრები ჩვენს ქვეყანაში?

– ინგლისთან მაგათი ურთიერთობა გამწვავებულია. თუ ომი ატყდა, უეჭველია, რუსები დამარცხდებიან და ამათ ბატონობასაც ბოლო მოელება.

საქართველოს განთავისუფლებას არა მარტო ესენი, არამედ ქართველი ხალხის უმრავლესობაც წითელი, სისხლიანი რუსეთის დამარცხებასა და დანგრევას ევროპის ქვეყნებთან ომს უკავშირებდნენ. ეს რწმენა ქართველების შეგნებაში მეორე მსოფლიო ომის დროსაც მძლავრად იყო გამჯდარი. ასე მჯეროდა მეც, როცა 13-14 წლისა ვიყავი და შემდეგაც. ამიტომაც გვიხაროდა, როცა ინგლისში კონსერვატორები იმარჯვებდნენ, რომელთა ერთ-ერთი ლიდერი ოსთინ ჩემბერლენი საქვეყნოდ ემუქრებოდა ბოლშევიკურ რუსეთს.

არც მამა და არც მეზობელი თავიანთ გულისნადებს არ მალავდნენ, არც მე მერიდებოდნენ და, როცა ისინი ლაპარაკობდნენ, ერთხელაც არ უთქვამთ, წადი, ბიჭო, აქედანო! ყოველივე ამის გამო პოლიტიკით და საქართველოს გათავისუფლების სურვილით ბავშვობიდანვე ვიყავი გამსჭვალული. ამიტომ ხშირად ვნატრობდი გმირობას – ხან სააკაძეობას, ხან ერეკლეობას და, რა ვიცი, კიდევ ვის, რომ ჯარს წინ წავძღოლოდი და დამპყრობელი რუსეთი თავიდან მოგვეშორებინა. ჩემს საყვარელ გმირებს სიმონ ქვარიანის პოპულარული „საქართველოს ისტორიით" გავეცანი. ყმაწვილობაში ეს წიგნი ბევრჯერ მაქვს წაკითხული და ყოველთვის მაღელვებდა. მას სიამოვნებით კითხულობდნენ ჩემი ტოლები.

აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მამამ და ჩვენმა მეზობელმა ლაპარაკს მოუხშირეს, მაგრამ ახლა ხმადაბლა, ჩურჩულით. შევატყვე, უკვე მეც მერიდებოდნენ და, როცა მათთან აღმოვჩნდებოდი, ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე გადაიტანდნენ საუბარს. ვგრძნობდი, რაღაცას მიმალავდნენ, მაგრამ როგორ უნდა გამეგო მათი საიდუმლო მაშინ? ეს მერე შეიქნა ჩემთვის ცნობილი.

ერთხელ ბენია ჩხიკვიშვილის, ნოე ხომერიკისა და კიდევ ვიღაც სხვების დაპატიმრებაზე ლაპარაკობდნენ და მაშინ გავიგე, რომ ისინი საქართველოში საზღვარგარეთიდან აჯანყების მოსაწყობად იყვნენ არალეგალურად ჩამოსული. მათი და არა მარტო მათი განსაკუთრებული აღელვება და შეწუხება გამოიწვია ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებამ. როგორც ამბობდნენ, იგი აჯანყების საერთო ხელმძღვანელად ყოფილიყო დანიშული. ჯუღელმა დაპატიმრების შემდეგ განცხადებით მიმართა ქართველ ხალხს (გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა) და მოუწოდებდა, აჯანყებისაგან თავი შეეკავებინა, რადგან აჯანყების მთელი სამზადისი გაცემულია, მთავრობამ და „ჩეკამ" მისი დეტალებიც კი იცისო. ხალხმა ეს რჩევა არ მიიღო, ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ეს „ჩეკას" მიერ მოწყობილი პროვოკაციააო და სხვ. როგორც ჩანს, ქართველი ხალხი ფსიქოლოგიურად ამბოხებისთვის იყო განწყობილი, თავი ჰქონდათ განწირული და თავისუფლებისთვის სიკვდილს უკვე არაფრად აგდებდნენ.

თავის განცხადება-მიმართვაში ჯუღელი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი ჩამოსვლა საქართველოში მხოლოდ ერთმა კაცმა იცოდა და ისიც გამცემი აღმოჩნდაო. შემდეგ ამბობდნენ, რომ ეს გამცემი იყო ვიღაც გიორგაძე. ქალაქში გავრცელებული ხმების მიხედვით, იგი მოკლა ტერორისტმა კოლუაშვილმა (არ ვიცი, სწორად მახსოვს თუ არა გვარი).

გიორგაძე მთავრობამ დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაასაფლავა. რატომ? კაცმა არ იცის. ეს ამბავი მე ასე დამამახსოვრდა. უფრო ზუსტად, ყველაფერი „ჩეკას" არქივებში იქნება დაცული, თუ არქივი განადგურებული არ არის.



ალექსი კეკელიძე იასონ გაბილაიას ოჯახის წევრებთან
1924 წლამდე

ახლა ხშირად ლაპარაკობენ და წერენ აგვისტოს აჯანყებაზე, მაგრამ კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ ეს საკითხი ღრმად შეესწავლა და დოკუმენტები გამოექვეყნებინა. ის წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ესა თუ ის პირი აგვისტოს აჯანყების მონაწილე იყო და დახვრიტესო, მხოლოდ მასალაა საერთო სურათისა და ვითარების წარმოსაჩენად.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ოჯახს. აგვისტოს შუა რიცხვებში ჩვენთან მოვიდა ჩემი ბიძაშვილი ალექსი კეკელიძე (კორნელის უფროსი ვაჟი). შესანიშნავი ტანწერწეტა ახალგაზრდა იყო, საშუალოზე მაღალი. ეცვა თეთრი ხალათი, ქამრით შემოჭერილი, ნახევრად გალიფე-შარვალი და ფეხზე ინგლისური „ბატინკები", ისეთი, როგორსაც ინგლისელი ჯარისკაცები ატარებდნენ თბილისში ყოფნის დროს. ალექსი მე ძალიან მიყვარდა და მასაც უყვარდა ჩვენთან მოსვლა, მოესიყვარულებოდა ყველას და დედაჩემს ეტყოდა:

– ბიცოლა, ლობიო ვჭამოთ?

დედაც ღიმილით აძლევდა პასუხს:

– რამდენიც გინდა, ჩემო კარგო! ცხელი ჭადიც მაქვს და ცოტა ყველიც.

და აი, იმ დღესაც რომ მოვიდა და საღამოს წასვლა დააპირა, მითხრა, წამოდი ჩემთან, შინ მარტო ვარო (ბიძაჩემი ზაფხულს ქემერტში ატარებდა, ცოლოურს, მინადორა კასრაძის ოჯახში). წავყევი. კორნელი მაშინ გუნიბის ქუჩაზე, რამდენადაც მახსოვს, კუთხის სახლში ცხოვრობდა, ალექსის ცალკე ოთახი ჰქონდა სადად მოწყობილი: ლოგინი, სამიოდე სკამი, მაგიდა და დიდი კამოდი.

რაღაც-რაღაცები მელაპარაკა და მითხრა: კამოდის ქვედა უჯრები გამოსწიეო. გამოვწიე და გავშტერდი. კამოდი სავსე იყო სხვადასხვა სისტემის რევოლვერებითა და ვაზნებით. შევეხვეწე, ერთი რევოლვერი მაჩუქე-მეთქი. ახლა არაო, მიპასუხა,

ორი კვირის შემდეგ გაჩუქებო. ის ღამე მასთან გავათიე. მეორე დღეს გულდაწყვეტილი წამოვედი შინ. ნაწყენი ვიყავი, ერთი რევოლვერი ვერ გაიმეტა ჩემთვის-მეთქი, თუმცა დანაპირებს მაინც ველოდი ორი კვირის შემდეგ. მაგრამ მეტი ის აღარ მინახავს. 27 თუ 28 აგვისტოს ღამით მის ოთახში თავი მოეყარათ 5-6 ახალგაზრდას, რომლებიც აჯანყების დაწყების ნიშანს ელოდნენ. ნიშანი არ ჩანდა, ხოლო სულ მალე მათ თავს დაესხნენ ჩეკისტები. როგორც ამბობდნენ, რამდენიმემ მოასწრო გაქცევა. ერთი მათგანი ყოფილა ვახტანგ ბარათაშვილი, მწერალ მარიკა ბარათაშვილის ძმა. მათთან ყოფილა აბაშიძეც (სახელი ვერ გავიგე).

თვითონ ალექსი საწვიმარ მილს ჩაჰყოლია დაბლა, მაგრამ იქაც აგენტები დახვდნენ და დაიჭირეს. მეორე თუ მესამე დღეს საკანში დაეხვრიტათ სხვებთან ერთად. მაშინ იგი 18 წლისა იყო. როგორც ჩანს, ეს ჯგუფი გაცემული იყო მათივე რომელიღაც ამხანაგისაგან.

მაგრამ დავუბრუნდეთ თომა ლორიას და მამაჩემს. მგონი, 27 აგვისტო თენდებოდა. წინა დღით რაღაც ბევრი ილაპარაკეს. თომა გამოემშვიდობა მამას და წავიდა. მამაჩემს ის ღამე თითქმის არ უძინია. საგანგებო არაფერი მომხდარა. გამოუძინებელი წავიდა სამსახურში. ნაშუადღევს ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა სახეალეწილი, აღელვებული და დედაჩემს და მე, რომლებიც დერეფანში ვისხედით, გვითხრა:

– საქართველოში აჯანყება დაიწყო. მგონი, გვეშველოს, აჯანყებულები თბილისისაკენ მოიწევენ!

ჩანს, ეს ახალი ამბავი მამამ სამსახურში გაიგო. ვღელავდით ყველანი, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდით.

აჯანყება კი დაიწყო, მაგრამ არა იმ დღეს, რომელზეც დანიშნული იყო. ჭიათურამ, სამწუხაროდ, ერთი დღით ადრე დაასწრო გამოსვლა, რამაც უკუღმა შეატრიალა აჯანყების ბედი. ბოლშევიკებმა კი იცოდნენ, რომ აჯანყება მზადდებოდა, მაგრამ ზუსტი თარიღი მათთვის უცნობი იყო. ჭიათურის გამოსვლამ მათ საშუალება მისცა, თბილისში საგანგებო ზომები მიეღოთ.

რაც შეეხება თომა ლორიას, მას ორ სხვა პირთან ერთად დიდი მისია ჰქონია დავალებული. უნდა შესულიყვნენ რკინიგზის სახელოსნოებში და ოთხ თუ ხუთ საათზე საყვირით ნიშანი მიეცათ აჯანყების დაწყების შესახებ. რკინიგზის სახელოსნოები ჩვენს ქუჩასთან ახლოსაა. იქ გორის ქუჩის ბოლოს არსებული გადასასვლელი ხიდით 15–20 წუთში შეიძლება მისვლა. ხიდს რომ მიახლოებია თომა, დაუნახავს ჯარისკაცები და სამოქალაქო პირებიც (ალბათ გადაცმული აგენტები). მიხვდა, რომ აქედან სახელოსნომდე მიღწევა არ შეიძლებოდა. სირბილით წასულა, რომ ნაძალადევის მხრიდან შესულიყო, მაგრამ იქ კიდევ უფრო მეტი ჯარისკაცი დაუნახავს. გამობრუნებულა უკან და შემდეგ, როცა დრო გავიდა, მამაჩემს ეუბნებოდა: ყველაფერი გაცემული ყოფილა, ნეტავ, სად იყვნენ ამდენი მოღალატენი და ჯაშუშებიო.

მართლაც, სად იყვნენ ან ვინ იყვნენ ისინი?

ყველაფერი „ჩეკას" არქივებს ეცოდინება. ახლა ბევრს წერენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ. ამ საკითხზე, რამდენადაც ხელი მიმიწვდებოდა, ემიგრანტულ ლიტერატურასაც გავეცანი და ერთი უცნაურობა შევამჩნიე: თუ ეროვნულ-დემოკრატი იგონებს, ის წერს, რომ მისმა პარტიამ ყველაზე მეტი დანაკლისი განიცადა აჯანყების დროს, ის იყო მეთაური აჯანყებისა და სხვა პარტიები თითქოს მათ ხელს უშლიდნენ და ა. შ. ასევე იქცევიან სხვა პარტიების წარმომადგენლებიც.

ხოლო ჩვენში „პატრიოტული მგზნებარებით“ აღვსილი ავტორები იმისდა მიხედვით, თუ რომელ პარტიას უთანაგრძნობენ, ჩირქს სცხებენ სხვა პარტიებს (ყველაზე მეტი სოციალ-დემოკრატებს ხვდებათ) და ყოველ მარცხში მათ სდებენ ბრალს. ეს უზნეობაა. აჯანყებაში მონაწილენი, უპირველეს ყოვლისა, იყვნენ ქართველები, საქართველოს თავისუფლებისათვის უანგაროდ იბრძოდნენ და მსხვერპლადაც შეეწირნენ ამ ბრძოლას. ხოლო თუ მაინცდამაინც სურთ გაიგონ, რომელმა პარტიამ რა მსხვერპლი გაიღო, შეისწავლონ არქივები, გაეცნონ ლიტერატურას და ყველაფერი ობიექტურად გამოჩნდება.

მაგრამ განა ამისათვის იბრძოდნენ 1924 წლის აჯანყებაში დაღუპულნი?

ღმერთო, დაგვიფარე ყოველგვარი უკეთურობისაგან!

არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო“

თებერვალმა და აგვისტომ ქართულ ოჯახთა უმრავლესობას მოუშუშებელი ტკივილი მიაყენა. იმ ქართველ ახალგაზრდებს – მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებთანაც მე მიხდებოდა ჩვენს ოჯახში, აგრეთვე, სხვადასხვა ადგილას შეხვედრა და მათი ლაპარაკის მოსმენა, გული ბოღმით და დარდით ჰქონდათ სავსე და მზად იყვნენ ქართველი და რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ რა გზით, ბევრისთვის გაურკვეველი იყო. გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი მეც, სანამ დამოუკიდებლად, სხვებისაგან ჩაუგონებლად არ მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა, რათა ერთგვარად მომზადებული შევხვედროდით მოსალოდნელ საერთაშორისო გართულებებს, ომს და საბოლოოდ საქართველოს განთავისუფლებას. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ჩვენი ნათესავი სტუდენტები და მათი მეგობრები, რომლებიც დროდადრო ჩვენთან იკრიბებოდნენ ხან ვახშმად, ხან სადილად, ვატყობდი, რაღაც ფარული ორგანიზაციების წევრები იყვნენ, მაგრამ ჩემთვის ეს აშკარად არავის გაუმჟღავნებია.

ვიდრე ჩვენ მიერ დაარსებულ არალეგალურ ორგანიზაციაზე ვიტყოდე რაიმეს, მანამ მსურს გაგაცნოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ჩვენს სკოლაში. ეს არის 1928 და 1929 წლები და შეეხება ყოფილი მე-9 შრომის სკოლის I- და II-კურსელებს (როგორც ზევით აღვნიშნე, ჩვენს სკოლას პედაგოგიური განხრა მიეცა და მერვე ჯგუფის ნაცვლად უწოდებდნენ I კურსს, II-ს და მომავალში III იქნებოდა. ესე იგი, ფაქტობრივად, ჩვენ ვიყავით მე-8 და მე-9 კლასის მოწაფეები).

ამ VIII და IX კლასელებს შორის 1928 წლის მეორე ნახევრიდან მკვეთრად გამოიკვეთა ორი ჯგუფი კომკავშირელებისა და არაკომკავშირელებისა. პირველს მეთაურობდნენ ლ. ვანიძე, გ. პაპუაშვილი, ალ. ბილანიშვილი და მათთან დაახლოებული გ. ლომიძე, აგრეთვე, ორი-სამი პირი კიდევ, რომელთა გვარები არ მახსოვს. ესენი, რომ იტყვიან, „პირნავარდნილი კომკავშირელები“ იყვნენ, მომავალში – პარტიის „ერთგული შვილები“. გვეკამათებოდნენ ილიასა და აკაკის შესახებ, რომ ისინი თავადაზნაურობის დამცველნი არიან, აიდეალებენ საქართველოს წარსულს (მაგალითად მოჰყავდათ „დიმიტრი თავდადებული“, „თორნიკე ერისთავი“), ბატონყმობის მომხრენი იყვნენ (ამას ილიასა და აკაკიზე ამბობდნენ! პირდაპირ საოცარია, ახლა რომ ვიგონებ), რომ „პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო“ და სხვა ამდაგვარი.

ეს ბიჭები პარალელურ კლასში სწავლობდნენ. უნიჭონი არ ყოფილან, კითხულობდნენ

საკმაოდ ბევრს, მაგრამ კომუნისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლიტერატურას, სხვას ყველაფერს უნდობლად ეკიდებოდნენ, საყმაწვილო ჟურნალებსა და „ახალგაზრდა კომუნისტში“ ხანდახან „იდეოლოგიურად გამართულ“ ლექსებს და, მგონი, მოთხრობებსაც ბეჭდავდნენ. ასე, მაგალითად, პაპუაშვილმა გაზეთში დაბეჭდა ლექსი, რომელშიც გადმოცემული იყო, თუ როგორ გადმოყარეს ეკლესიის ზარები და მისგან გააკეთეს ტრაქტორი. მანვე სერგეი ესენინიც გამოლანძღა და „უძღვნა“ ასეთი სტრიქონები:

შენ ცხოვრება, ესენინ, სამიკიტნო გეგონა,
ღამის ქურდი იყავი და ქუჩების ავარა.

ყველაფერი ეს პროლეტარული მწერლების ჩაგონებით ხდებოდა. რას იზამთ, ასეთი იყო მაშინ ვითარება. ვანიძე უფრო მოპუბლიცისტო წერილებით იყო გატაცებული. მათგან გამოირჩეოდა ალ. ბილანიშვილი. კამათში იშვიათად ერეოდა, გულკეთილი იყო და ჩვენთანაც გულწრფელად მეგობრობდა. მან ფილოსოფიაში დისერტაცია დაიცვა. ადრე გარდაიცვალა, ისევე, როგორც პაპუაშვილიც.

ჩვენ ხშირად ვკამათობდით ლიტერატურისა და პოლიტიკის საკითხებზეც. ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, როცა სკოლის ეზოში ბურთის თამაშით გული ვიჯერეთ (ჩვენი საყვარელი თამაში მაშინ იყო ფეხბურთი, ლახტი და ჭადრაკი. ფეხბურთისა და ჭადრაკის სიყვარული სიბერემდე გამომყვა. ყველაზე პოპულარული გუნდები მაშინ იყო „დურუჯი“ და „დინამო“), ვინც როგორ მოახერხა, დასასვენებლად დავსხედით და ჩვეულებრივი ლაპარაკი გავაბით.

ამ დროს მოვიდა პაპუაშვილი, ამოიღო გაზეთი და გვითხრა, ჩემი ლექსია დაბეჭდილიო. რომელიღაც ჩვენთაგანმა მოურიდებლად მიახალა: კომკავშირსა და პარტიას თუ უკანალში ენას ამოუსვამ, ყველაფერს დაგიბეჭდავენო. ამაზე მაგრად ნაკინკლავდნენ.

– წერას და ბეჭდვას ნიჭი უნდა, რომელიც თქვენ არა გაქვთ.

გული მომივიდა და ვუპასუხე:

– თუ მთავრობას შენსავით ქებას დავუწყებ, მეც დამიბეჭდავენ-მეთქი.

– აბა, სცადე და მაშინ გამოჩნდება, რა ბიჭიცა ხარ!

კარგი-მეთქი, ვუპასუხე. შევცდი. იმავე საღამოს დავწერე პატარა მოთხრობა „ნოემბრის დილა“, რომელიც ჩვენს „გამაბედნიერებელ“ ოქტომბერს მივუძღვენი. საოქტომბრო ის იყო, რომ სცენაზე გამოსული პაპა თორღვას შვილიშვილი ლექსს ამბობს:

ოქტომბერი, ოქტომბერი
მოდის ჩვენკენ, მოიმღერის (ღმერთმა ჩვენს მტერს „მოუმღეროს“ ისე, როგორც ჩვენ „მოგვიმღერა“!).

გადავწერე სუფთად და ჩუმად მივიტანე „ოქტომბრელის“ რედაქციაში. დამხვდა ნინო ნაკაშიძე. წაიკითხა და მითხრა, დაგიბეჭდავო. მართლაც დაიბეჭდა და ჰონორარიც მომცეს 9 მან. 20 კაპ. ნიშნი მოვუგე ჩვენს მოწინააღმდეგეებს და „პურმარილზეც“ დავპატიჟეთ. უარი არ უთქვამთ (კრემიანი ფუნთუშა ღირდა 5 კაპ., ეგრეთ წოდებული განჯის ყურძენი – გირვანქა 20 კაპ., ხალვა – 30 კაპ).

მერე შემრცხვა, ასეთ ანკესზე როგორ წამოვეგე-მეთქი, მაგრამ საერთოდ მოთხრობა არ იყო ცუდი და შემდეგ, როცა „საბლიტგამმა“ ჩემი მოთხრობების კრებული გამოსცა, იქ შევიტანე „საახალწლო დილის“ სახელწოდებით. მასში ყველაფერი შეცვლილია. ამით გამოვისყიდე ჩემი შეცოდება.



მიხეილ, სევერიანე, ოლღა და თინა კეკელიძეები
თბილისი, 19 თებერვალი, 1928 წელი

ასეთი მტერ-მოყვრული დამოკიდებულება გვქონდა „მამალ კომკავშირელებთან", რაც, ბოლოს და ბოლოს, მტრობითა და დაუნდობლობით დამთავრდა.

1928 წლის დასაწყისში ფარული ორგანიზაციის შექმნის იდეა გავუზიარე ჩემს მეგობარს, თანაკლასელ გრიშა სვანს. სიხარულით დამეთანხმა. ერთი თვის შემდეგ ჩვენ მემოგვიერთდა ვაჟა აპოლონის ძე ავალიშვილი, ვარა ვასილის ასული ყვავილაშვილი, გივი ქავთარაძე (მამის სახელი არ მახსოვს), ნიკო ალექსანდრეს ძე ტატიშვილი და ანტისა მანასეს ასული გოგუაძე, მოგვიანებით – დავით კობალავა (მაგრამ ეს სხვა სკოლაში სწავლობდა). ეს ორგანიზაცია, როგორც ზევით აღვნიშნე, სხვისი შთაგონებით ან ხელმძღვანელობით არ შეგვიქმნია. ამიტომაც რომელიმე პარტიის ცეკასთან ან უფროსების საიდუმლო ორგანიზაციებთან კავშირი არ გვქონია (უფრო სწორად, ვერ მოვასწარით, თუმცა ამის სურვილი კი გვქონდა).

ჩვენი სკოლის ეს ექვსეული ვიყავით, რომელიც ვიწრო არალეგალურ საქმიანობას ვხელმძღვანელობდით. პირველი კრება ჩემს ოჯახში შედგა. არც დედაჩემს, არც მამას არ გაჰკვირვებია, აქ რომ თავი მოვიყარეთ. მანამდისაც ბევრჯერ ყოფილან ჩემთან და ეს თავმოყრაც მათ ჩვეულებრივ ამხანაგურ შეხვედრად მიიჩნიეს. პირველ საკითხად დავსვით და გავარკვიეთ ჩვენი მიზანი. ბრძოლა დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს გათავისუფლება ბოლშევიკებისაგან. მეორე საკითხი იყო, თუ რა გვეწოდებინა ჩვენი არალეგალური ორგანიზაციისათვის. შევიტანე წინადადება, გვეწოდებინა: „ახალგაზრდა მარქსისტების არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო". მე ჩემებურად დავასაბუთე, რატომ უნდა მოვქცეულიყავით ასე, თუმცა მარქსისა და მისი მიმდევრების მოძღვრებისა არაფერი ვიცოდით, გვძულდა კიდეც, რადგან ვერაფრით შევრიგებოდით იმ აზრს, რომ „პროლეტარიატს

სამშობლო არა აქვს". როგორ? – ვფიქრობდით ჩვენ, – პროლეტარიატიც ხომ ადამიანებისგან შედგება? რანაირად შეიძლება, რომ ადამიანს სამშობლო არ ჰქონდეს?

მაგრამ მაინც ახალგაზრდა მარქსისტებად ვარჩიეთ თავის გასაღება.

რატომ?

ამაზედაც მოგახსენებთ. მამაჩემის ბიძაშვილის შვილი სტუდენტი ვანო კეკელიძე საინჟინროზე სწავლობდა, მეტალურგიის ფაკულტეტზე. იგი ხშირად დადიოდა ჩვენთან და თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა მთავრობისადმი და ბოლშევიკების პარტიისადმი აშკარად გამოხატავდა. თანაც ხშირად იმოწმებდა ქართულ ემიგრაციულ პრესას, იქ ამა თუ იმ საკითხზე ასე სწერენო. დიდი წვალება არ იყო საჭირო, რომ მივმხვდარიყავი, იგი ემიგრანტულ პრესას რაღაც გზით შოულობდა და კითხულობდა. ბოლოს მამაჩემს გაუტყდა, ახალგაზრდა მარქსისტების წრეში ვმუშაობო. მახსოვს, მამამ გააფრთხილა: ვანო, არ დაგავიწყდეს, ქვეყანა ჯაშუშებით სავსეაო.

ჩვენ, ექვსეულს, უფროსებთან დაკავშირების არავითარი გზა არ გვქონდა, გარდა ვანო კეკელიძისა. ის კი ახალგაზრდა მარქსისტი იყო. მისი ნდობა და მხარდაჭერა რომ მოგვეპოვებინა, ჩვენც ახალგაზრდა მარქსისტებად გამოვაცხადეთ თავი. ამ ვარაუდმა გაამართლა. ერთხელ ვთხოვე, საზღვარგარეთული პრესიდან მოეცა რამე ჩემთვის წასაკითხად, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ ჩვენ არალეგალური ორგანიზაცია გვქონდა შექმნილი. ათი დღის შემდეგ მომიტანა პარიზში გამომავალი „ბრძოლის" რომელიღაც ნომერი, თანაც გამაფრთხილა, არავისთვის მეთქვა, თუ საიდან ვიშოვე ეს და წაკითხვის შემდეგ ნომერი უკანვე დამებრუნება.

„ბრძოლა" ყველა ჩვენმა წევრმა წაიკითხა. შემდეგში ჩემი ნათესავი მამარაგებდა არალეგალური ლიტერატურით. „ბრძოლის" გარდა მაძლევდა გაზეთებსაც, მიუხედავად მათი პარტიული მიმართულებისა. თუ არ ვცდები, ერთ მათგანს „დამოუკიდებელი საქართველო" ეწოდებოდა. ასე გრძელდებოდა ჩვენს დაპატიმრებამდე. გადასახლებაშიც არ დავივიწყებივარ და ციმბირში კიევიდან გამომიგზავნა ათამდე დასახელების წიგნი (ცხადია, არა ემიგრანტული).

მას (თუ მასთან ერთად სხვებსაც), ჩანდა, შენახული ჰქონდა არალეგალური ლიტერატურა წინა წლებისაც. ასე წავიკითხეთ ჩვენ „ბრძოლის" ის ნომერი, რომელიც მიძღვნილი იყო კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობისა და დაკრძალვისადმი. ჟურნალში გამოქვეყნებული იყო ევროპის გამოჩენილ მოღვაწეთა სიტყვები და წერილები, დეპეშები. დამამახსოვრდა კერენსკის სიტყვა, რომელშიც იგი სხვათა შორის ამბობდა: როცა შენს ცხედარს აქედან საქართველოში წაასვენებენ, გთხოვთ, ეს რუსეთის გავლით მოხდეს, რათა რუსეთმა კიდევ ერთხელ მოიდრიკოს მუხლი მის წინაშე და ამით პატივი სცეს თავისუფლებისათვის დიდი მებრძოლის, კარლო ჩხეიძის, ნათელ ხსოვნას.

ჩხეიძის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენში იმ დროს ასეთი ხმა გავრცელდა: „ახალი საქართველოს" რედაქტორმა, გრიგოლ ვეშაპელმა ვიღაცის დახმარებით მოჰპარა ჩხეიძის ოჯახს რაღაც მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ამან ისე იმოქმედა ჩხეიძეზე, რომ სამართებლით ყელი გამოიჭრა. რამდენად სწორია ეს ხმა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია ერთი რამ: რამდენიმე ხნის შემდეგ ვეშაპელი პარიზში მოკლა ქართველმა ემიგრანტმა ტერორისტმა (გვარი არ მახსოვს).

ახლა რომ არ დამავიწყდეს, აქვე ვიტყვი კიდევ ორიოდე სიტყვას ვანო კეკელიძეზე. კარგი სპეციალისტ-მეტალურგი დადგა (გიორგი ნიკოლაძის მოწაფე იყო).



ვანო კეკელიძე (მარცხნივ)
ფოტო: ალექსანდრე მიხაილოვ

პირველად მუშაობდა დიდუბის ფეროს საცდელ ქარხანაში, შემდეგ ზესტაფონის ფეროქარხანაში, ჯერ ინჟინრად, მერე მის დირექტორადაც.

გადასახლებიდან რომ დავბრუნდი, გავიგე, რომ იგი კომუნისტურ პარტიაში შესულიყო. გაოცებული ვიყავი და სულ ვიმეორებდი: „ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე?" სად ვანო კეკელიძე და სად კომუნისტური პარტია?

ერთხელ, ჩვენთან რომ იყო და მარტო დავრჩით, ვკითხე:

– პარტიაში რამ შეგიყვანა?

ძალიან სერიოზულად მიპასუხა:

– მე არ გამოვცვლილვარ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ასე იყო საჭირო.

– მაინც რა?

– დიდუბეში საცდელ ფეროქარხანაში მუშაობის შემდეგ (ამ ქარხანას გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა) ზესტაფონის ფეროში დავიწყე მუშაობა რიგით ინჟინრად. ქარხნის დირექტორი დაიჭირეს. ხმა გავრცელდა, რომ დირექტორად ვიღაც სომეხს თუ რუსს ნიშნავდნენ. ეს მუშებსა და ინჟინრებს არ მოეწონათ, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ. მოულოდნელად ტელეფონოგრამა მოვიდა ჩემს სახელზე, სასწრაფოდ ბერიასთან უნდა გამოვცხადებულიყავი. ჩემმა მეგობრებმა გამომიტირეს. მეც ვიფიქრე, მიჭერენ-მეთქი, მაგრამ მაოცებდა, ჩემს დაჭერას ბერიასთან გამოუცხადებლადაც ხომ შეძლებდნენ?

– მერე?

– მაშინვე წავედი. კომენდატურაში საშვი მომცეს. ბერიას კაბინეტთან ვიღაც ჩინოსანი იდგა. საშვი ვაჩვენე. უხმოდ გამიღო კარი და შევედი. კარიც დაიხურა. კაბინეტი დიდი იყო. ძალიან გრძელი მაგიდა იდგა. ამ მაგიდის თავში საწერი მაგიდა

იდგა. მასთან ზის ბერია და რაღაცას წერს. ერთი შემხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ადგილიდან ვერ ვიძვრი. ბოლოს გავბედე და საწერ მაგიდას მივუახლოვდი. ვიდექი ასე 2-3 წუთი.

– შეგეშინდა?

– ძალიან. თან ვფიქრობ, რაზე უნდა დამიჭირონ?

ბოლოს ცივად მითხრა:

– დაჯექით, დაჯექით!

მკითხა, რამდენი წელია, რაც ფეროში ვმუშაობ. ვუთხარი.

მერე მეუბნება:

– ჩვენ დაგნიშნეთ ფეროქარხნის დირექტორად. წადი და იმუშავე!

დავიბენი. პირი გავაღე, რაღაცის თქმას ვაპირებ.

ისევ ცივად მკითხა:

– რა გნებავთ?

ძლივს ამოვღერღე:

– მე უპარტიო ვარ, ჯერ დიდი გამოცდილება არა მაქვს.

ისეთი თვალებით შემომხედა, ტანში გამაჟრჟოლა.

– პარტიული ხარ, თუ უპარტიო, შენზე კარგად ვიცი. წახვალ, იმუშავებ და პარტიაშიც შეხვალ! ახლა წაბრძანდი და საქმეს მიხედე. ლაპარაკი დავამთავრე, გასაგებია?

– დიახ.

წამოვედი და გახარებული ვიყავი, იმის გამო კი არა, რომ დირექტორად დამნიშნეს, რომ დაჭერას გადავრჩი. ამის შემდეგ ვანოსთან მე პოლიტიკაზე აღარ მქონია საუბარი. ჩვენს ოჯახთან კი ისევ გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ორგანიზაციას. შევქმენით რაღაც უცნაური საიდუმლო ანბანი. ამ ანბანით ვწერდით შეკრების ოქმებს და ვინახავდით. ჩვენი ორგანიზაციის წევრებს დაევალათ (თუკი საშუალება ექნებოდათ), სხვა სკოლებში გამოენახათ სანდო მოსწავლე და მისი მოთავეობით შეექმნათ ჯგუფი „ახალგაზრდა საქართველოში“. თანაც ჩვენ არ ვთხოულობდით ყველას სახელსა და გვარს, ის მხოლოდ მე მეტყოდა რაოდენობასა და სკოლას, სადაც ჯგუფი ჩამოაყალიბა. ამ საქმეში ძალიან აქტიურობდნენ ნიკო ავალიშვილი, გივი ქავთარაძე და ნიკო ტატიშვილი. ამან ძალიან გვიშველა, ჩემთვის ისინი უცნობებად დარჩნენ, მხოლოდ ჩვენი გაუფრთხილებლობით, უფრო სწორად, გამოუცდელობით, მათ ჩვენი არქივიდან ხელთ იგდეს 17 მოსწავლის სია, სახელისა და გვარის აღნიშვნით. ეს სია ჩვენს არქივში ინახებოდა. ჩვენი დაპატიმრების დროისათვის „ახალგაზრდა საქართველოში“ (სხვა სკოლების ჩათვლით) 30-მდე მოსწავლე ითვლებოდა. მე მათი, როგორც აღვნიშნე, არც გვარი ვიცოდი და არც სახელი.

როგორ ჩავცვივდით, ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შემიძლია.

ჩვენი სკოლის სადარბაზო შესასვლელთან იყო ერთი პატარა ოთახი, რომელსაც არაფერში იყენებდნენ. ერთმა მოსწავლემ, გვარად ბერუაშვილმა, სთხოვა დირექტორს თუ მის მოადგილეს: თბილისში ბინა არა მაქვს, ნახევარჯერ ქუჩაში ვათევ ღამეს, ნება დამრთეთ, ამ პატარა ოთახში დავბინავდე, თანაც შიკრიკადაც ვიქნებიო. სრულიად მოულოდნელად ნება დართეს. ეს ძალიან გაუხარდა ვაჟა ავალიშვილს. იმანაც შესჩივლა სკოლის ხელმძღვანელობას, მეც ბერუაშვილის დღეში ვარ, მეორე ლოგინიც დაეტევა იქ და ნება მომეცით, იმ ოთახში ღამე გავათიოო. ასეც მოხდა.

თუ რატომ გაუხარდა ავალიშვილს ეს, ახლავე მოგახსენებთ.

ოთახის პირდაპირ კანცელარია იყო. იქ მუშაობდა მდივან-მემანქანე ქეთო წივწივაძე. ავალიშვილი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა მანქანაზე ბეჭდვას. წინადადება მოგვცა, დაგვებეჭდა პროკლამაციები და ამ მიზნით მოგვეპარა საბეჭდი მანქანა, რათა უფრო ადვილად გამოგვეყენებინა ის. ამაზე ყველამ სასტიკი უარი განაცხადა. ჩვენ მას ვურჩიეთ, როცა სკოლაში მეცადინეობა არ იყო (კვირა და უქმე დღეები), ჩუმად შესულიყო კანცელარიაში და ებეჭდა ჩვენ მიერ წინასწარ შედგენილი პროკლამაციის ტექსტი. ამას მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი და დაბეჭდა სხვადასხვა სახის ათამდე პროკლამაცია, თითოეული ოც-ოც ეგზემპლარად, რომლებსაც ავრცელებდნენ ნიკო ტატიშვილი და ვარა ყვავილაშვილი, ძალიან ყოჩაღი გოგო. ზოგს ქუჩაში, განსაკუთრებით, სკოლების ახლოს აკრავდნენ, ზოგსაც საფოსტო ყუთებში ყრიდნენ ვილაც-ვილაცის სახელზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, პატრიოტები იყვნენ.

გადავწყვიტეთ, 1929 წლის 26 მაისი როგორმე აღგვენიშნა პროკლამაციითა და ლიტერატურული დილის მოწყობით. პროკლამაცია დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო:

ახალგაზრდა ქართველებო!

ახლოვდება 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. 1921 წლის თებერვალში მოღალატე სერგო ორჯონიკიძე რუსის ჯარს შემოუძღვა და დაიპყრო საქართველო, რუსეთის მონად აქცია ის. მაგრამ დამპყრობლებმა ვერ შეძლეს მონად ექციათ ქართველი ხალხი. 26 მაისის სული ისევ ცოცხლობს ჩვენში. თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მალე მოვიპოვებთ. იყავით მხნედ და იმედიანად.

ძირს დამპყრობელი რუსეთი!

ძირს მოღალატენი!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

პროკლამაცია კი დაიბეჭდა, მაგრამ მას გავრცელება არ ეწერა. ბერუაშვილს დაუნახავს, რომ ავალიშვილს ხელთ ეკავა ერთი მისი ეგზემპლარი და ეკითხა, ეგ რა არის, წამაკითხეო.

ავალიშვილს ეპასუხა:

– როგორ უნდა წაგაკითხო? ჩემს შეყვარებულ გოგოს წერილს ვწერ და შენ რატომ უნდა წაგაკითხო?

ბერუაშვილს წართმევა მოენდომებინა, ავალიშვილს ხელი ეკრა მისთვის, გარეთ გავარდნილიყო და დაბეჭდილი ეგზემპლარები მოესპო. ეს თვითონ მოგვიყვა შემდეგ. რას ვიზამდით? დაგვრჩა ლიტერატურული დილის მოწყობა. მაგრამ რასთან დაკავშირებით?

მამაჩემს კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბლომად ჰქონდა ქართული და რუსული წიგნები, მათ შორის, ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა ათი ტომი, რომელიც, მგონი, ჟურნ. „Нива“-ს მოჰყოლოდა დამატების სახით. მინდოდა მომენახა ისეთი მწერლის ბიოგრაფია, რომლის დაბადების ან გარდაცვალების თვე და რიცხვი 26 მაისს მიუახლოვდებოდა. გადავშალე ჰიუგოს პირველი ტომი, რომელსაც დართული ჰქონდა ვრცელი ბიოგრაფია, საიდანაც ამოვიკითხე, რომ ჰიუგო გარდაიცვალა 24 მაისს (თუ დაასაფლავეს), რომ მის სამგლოვიარო პროცესიას ნახევარი მილიონი კაცი მიჰყვე-

ბოდა და მთელი საფრანგეთი გლოვობდა. ჩავავლე ამ თარიღს ხელი და კონსტანტინე კაპანელს მოვახსენე:

– 24 მაისს ჰიუგოს გარდაცვალების დღეა და გვინდა, ეს თარიღი აღვნიშნოთ-მეთქი.

– ჰიუგო ძალიან დიდი მწერალია. რა პროგრამა გაქვთ?

– პირველად მოკლე ბიოგრაფიის და შემოქმედების გაცნობა. შემდეგ ჰიუგოს პატარა მოთხრობის „კლოდ გე"-ს წაკითხვა. მერე ჰიუგოს ლექსების წარმოთქმა.

კარგიო, მითხრა და დილის მოწყობის ნება დაგვრთო. ძალიან მონდომებულად შევუდექით მუშაობას. მთელ ამ პროგრამაში ბიოგრაფია და „კლოდ გე" ჰიუგოს ეკუთვნოდა, ლექსები კი ჰიუგოს სახელით გასაღებული ჩვენი საკუთარი პატრიოტული ლექსები იყო. ამ ლექსებში ზოგჯერ შენიღბულად, ზოგჯერ აშკარად ნათქვამი იყო, თუ როგორ ხვრეტდნენ საბურთალოსა და ვაკეში თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს. ბოლოს მთავრდებოდა ერთი ლექსით, რომელსაც „მეუდაბნოე" ერქვა, მიძღვნილი იყო ჟორდანიასადმი. იგი ჩემს დას, თინა კეკელიძეს, ჩემს ქალალდებში ენახა და რომ დავბრუნდი გადასახლებიდან, გადმომცა. ლექსი ძალიან მჭექარედ წაიკითხა ავალიშვილმა. ლექსიდან რამდენიმე სტროფს მოვიყვან (ყურადღებას ნუ მიაქცევთ მის პოეტურ უსუსურობას, ჩვენთვის შინაარსი იყო მთავარი). დედნის რამდენიმე სიტყვა, წინასწარი შეთანხმებით, წაკითხვის დროს ავალიშვილმა შეცვალა.

მეუდაბნოეს

ვის გაუწირავს თავი ასე დაჩაგრულთათვის,
როგორც მარადის დაუვიწყარ მეუდაბნოეს.
დეე, დაეცეს ის საათი მოსაგონარი,
როს საქართველოს მწუხარება გადმოათოვეს.
ღმუოდა ქარი და ქარის დროს ჩრდილიან ღრუბლებს
კვლავ გაემართათ სასიკვდილო ღამის აღლუმი.
ვერ შეაშინებს გამოჭედილ მებრძოლთა გულებს
ნითელი მტრისგან მონატყორცნი მძიმე ლაღუმი.
მეუდაბნოევ, ძველებურად ჩამოჰკარ ზარებს,
გვწამს, გაცოცხლდება ყვავილები ფეხქვეშ თელილი,
გვწამს, აეწყობა მომავალში კაცის ცხოვრება,
დროშა გვექნება უცნაური, ცით მოვლენილი.
ვის გაუწირავს თავი ასე დაჩაგრულთათვის,
როგორც მარადის დაუვიწყარ მეუდაბნოეს.
დეე, დაეცეს ის საათი მოსაგონარი,
როს საქართველოს მწუხარება გადმოათოვეს.

და მოულოდნელად დაამთავრა ასე: დიდება ნოეს, დიდება ნოეს!

დილამ, რომელმაც გაკვეთილების დამთავრებისთანავე გაიმართა, საკმაოდ კარგად ჩაიარა. ახლა შეცდომად მიმაჩნია, რომ „კლოდ გე" მთლიანად წავიკითხეთ. ამან ცოტათი დაღალა მაყურებლები, რომელთა შორის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარდა, ბლომად იყვნენ მშობლებიც და ტაშიც არ დაუშურებიათ.

ახლა უნდა მოგახსენოთ ერთ შემთხვევაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „დილის“ მოწყობამდე. დაახლოებით 15 მაისს, ნაშუადღევს, მოწაფეები სკოლის ეზოში ვიყავით და ათას რამეზე ვლაპარაკობდით. უცებ გამოჩნდა ვანიძე თავის მწვანე პლაშჩით და შემოგვიერთდა. ხელში ეჭირა მცირე ფორმატის თხელყდიანი წიგნი, 40 გვერდამდე იქნებოდა.

– რა წიგნია, ბიჭო? – შევეკითხე ვანიძეს.

– ერნსტ მახის ნაშრომია, რუსულად თარგმნილი.

მაჩვენე-მეთქი. მომცა. გაეშალე წიგნი და შიგ რვეულის ფურცლის მეოთხედ ნაწილზე რუსულად ეწერა ერთი სტრიქონი:

ДК. Прошу пропустить гр. Ванидзе без звонка.[1]

რაღაც გაურკვეველი ხელმოწერა ჰქონდა.

– რა არის ეს?

არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

– სახელგამში ბარონ ბიბინეიშვილთან ვიყავი. ვუთხარი, მახის ეს ნაშრომი მინდა ვთარგმნო ქართულად და თუ შეიძლება მისი დაბეჭდვა-მეთქი. მომიწონა, თუ რაიმე გაურკვეველი საკითხი გქონდეს, პირდაპირ ჩემთან მოდი, შიკრიკი ამ საშვით დაუბრკოლებლად გამოგატარებსო.

მთლიანად დავიჯერე მისი ნათქვამი. მეც მოვუწონე, ძალიან კარგი ჩანაფიქრია-მეთქი. მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა საქმე. ციხეში ყოფნისას რომ გავიხსენე ეს „ДК“, რომელიც მერე თანდათან მაეჭვებდა, გამოცდილმა პოლიტიკურმა პატიმრებმა მითხრეს, ეს „Дежурный комендант“-ს[2] ნიშნავსო. ყველაფერი გაიშიფრა. ბარონ ბიბინეიშვილთან კი არა „ჩეკას“ გამომძიებელთან დადიოდა ეს ყმანვილი, თანაც გაფრთხილების გარეშე, ისე, რომ ზარიც კი არ იყო საჭირო.

ახლა ვასკვნი: ჩვენი ორგანიზაცია გაცემული იყო არა მარტო მაისის თვეში, არამედ აპრილშიც (შეიძლება უფრო ადრეც) და ჩვენს შესახებ „ჩეკას“ სისტემატურად აწვდიდნენ ცნობებს. მაგრამ ვინ იყო გამცემი? ჩვენი წრიდან ეს სრულიად გამორიცხული იყო, ვარაუდს კი ქვემოთ მოგახსენებთ.

„დილა“ რომ ჩატარდა, რაღაც შევატყვეთ, ზოგიერთი მასწავლებელი და კომკავშირელი ძალიან გვაკვირდებოდა. ანტონინა ბუიღლიშვილმა, გეოგრაფიის მასწავლებელმა, ერთხელ დიდი დასვენების დროს დერეფანში მარტო მნახა (ეზოში არ ჩავსულვარ) და მკითხა:

– მიშა, კომკავშირში რატომ არ შეხვედი?

ამ მასწავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ, მგონი, პარტიის წევრიც იყო, მე პატივს ვცემდი, საერთოდ ჩვენთან და ჩემთანაც სათნო დამოკიდებულება ჰქონდა. არ მოვრიდებივარ და ვუპასუხე:

– კომკავშირი არ მაინტერესებს. შიგ მეტიჩარა გოგო-ბიჭები შედიან.

– ვინმე დაჭერილი ხომ არ გყავს ახლა?

– არა.

– წინათ?

---

[1] გთხოვთ მოქ. ვანიძე გამოატაროთ ზარის გარეშე.

[2] მორიგე კომენდანტი.

– ერთი ჩემი ბიძაშვილი დახვრიტეს.

მიყურა კარგა ხანს და ჩუმად მითხრა:

– ძალიან ფრთხილად და ჭკვიანად იყავი.

ეს საუბარი რაღაც არ მესიამოვნა. ჩემს მეგობრებს ვუთხარი: ჩვენ მიერ ჩატარებული „დილის" შესახებ, მგონი, რაღაც იყნოსეს. შეიძლება მასწავლებლებმა დაგვკითხონ, მაგრამ საშიში არაფერია, ლექსები, რომლებიც ჰიუგოს მივაწერეთ, მოსპობილია. მასალებში ქართველი პოეტების ლექსები ჩავდეთ. მოდი და ამტკიცონ ახლა, ჰიუგოს ლექსები ვთქვით, ჩვენი საკუთარი თუ ქართველი პოეტებისა. მოვემზადეთ, რა პასუხი უნდა გაგვეცა, თუ ამ „დილაზე" დაგვიწყებდნენ ლაპარაკს. მაგრამ საქმე თურმე უფრო სერიოზულად იყო, ვიდრე ჩვენ გვეგონა (ეს შემდეგ გამოჩნდა).

აქ ერთი რამეც უნდა გავიხსენო, რაც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა. ერთხელ დათიკო კობალავა მოვიდა ჩემთან (როგორც ზევით აღვნიშნე, იგი სხვა, 32-ე, სკოლაში სწავლობდა) და მეუბნება:

– მიშა, ერთი კარგი ბიჭი შევიძინეთ. იგი მზადაა, ცალკე ჯგუფი ჩამოაყალიბოს, მაგრამ ჩვენი გაცნობა სურს.

ცივი უარი ვუთხარი:

– თუ საშუალება აქვს, ჯგუფი ჩამოაყალიბოს, მისი წევრების სახელი და გვარი მარტო მას ეცოდინება. კავშირი კი მარტო შენთან ექნება. მაინც რა გვარია ეს ჩვენი თანამოაზრე?

– დევდარიანია. სხვათა შორის, თქვა, სეით დევდარიანის ნათესავი ვარო. ის საზღვარგარეთიდან ემიგრაციულ ლიტერატურას იღებს და საშუალება მაქვს, აკრძალული ლიტერატურა ვიშოვოო.

გავიდა ხანი. ჩვენ ერთხელ საიდუმლო შეკრებაზე გადავწყვიტეთ, რადგან საერთაშორისო ვითარება ძალიან დაიძაბა, საჭირო ხომ არ იყო იარაღის შეძენაზეც გვეზრუნა. კობალავას დევდარიანისთვის ეთქვა, იარაღის შეძენას ვაპირებთო. მესამე თუ მეოთხე დღეს დევდარიანს „ნაგანის" სისტემის რევოლვერი მოეტანა და ეთქვა, კიდევ შემიძლია ვიშოვოო. რაღაც არ მესიამოვნა ასე სწრაფად, გაუჭირვებლად იარაღის შოვნა, მაგრამ არაფერი მითქვამს. პირადად მე და არც ჩვენი ჯგუფის სხვა წევრები მას არასოდეს გავცნობივართ, მაგრამ ჩვენი არსებობის შესახებ მან კარგად იცოდა. ერთხელ ის დათიკო კობალავამ შორიდან დამანახა. დიდხანს ვუყურებდი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სადღაც პანაშვიდზე დავინახე, მერე იგი ცხოვრებაში არ შემხვედრია. არც დაუჭერიათ, მაშინ, როცა მისი მეგობარი კობალავა დააპატიმრეს და სამი წლით ვორონეჟში გადაასახლეს.

აი, ახლა ისევ ვუბრუნდები საკითხს: ვინ გაგვცა? აქ მე ორი ვარაუდი მაქვს. ზევით აღვნიშნე, რომ ავალიშვილი სკოლის ერთ ოთახში ბერუაშვილთან ერთად ცხოვრობდა. ვფიქრობ, ავალიშვილს გაუფრთხილებლობით რაღაც ქაღალდები ბალიშქვეშ ან ლეიბქვეშ დარჩა, რაც ჩუმად გაჩხრიკა და წაიკითხა ბერუაშვილმა, რომელმაც ყველაფერი ეს ვანიძის ჯგუფს აცნობა. ისინი ჩეკას დაუკავშირდნენ და შემდეგ, როგორც ჩანს, თვალყურს გვადევნებდნენ. ეს ერთი. მეორეც, ამას დაემატა დევდარიანის საეჭვო საქციელი. ვფიქრობ, ისიც ჩეკასთან იყო დაკავშირებული. სხვადასხვა მოსაზრებით გვადროვეს და გვითვალთვალებდნენ, მაგრამ როდემდის? ეს უნდა დამთავრებულიყო და 1929 წლის ივნისში დამთავრდა კიდეც.

დაპატიმრება. „გრუზჩეკა“

მოსალოდნელ დაპატიმრებას ჩვენ წინასწარ ვგრძნობდით, მაგრამ, ჩვენი აზრით, მიზეზი იქნებოდა ლიტერატურული დილის მონყობა და არა ფარული ორგანიზაციის არსებობა. ამ ორგანიზაციის მთელი მასალები შესანახად გადავეცით ანტისა გოგუაძეს. ჩვენც წინასწარ მომზადებული ვიყავით, რა უნდა გვეთქვა ამ დილასთან დაკავშირებით. ივნისის პირველ რიცხვებში დააპატიმრეს ვაჟა ავალიშვილი, გივი ქავთარაძე და გოგუაძე. საოცარია, ჩემი დაპატიმრების რიცხვი არ მახსოვდა, მაგრამ მამაჩემის ჩანაწერით გავიგე, რომ ეს მომხდარა 8 ივნისს.

იმ დღეს საღამოს შვიდ საათზე მოვედი შინ. ჭიშკართან ძმა დამხვდა და მითხრა: ორი საათის წინ ვილაც სამი კაცი მოვიდა, შენ გიკითხეს და დაიბარეს, არსად წავიდეს, მისი ამხანაგები ვართ, საქმე გვაქვსო. მამაჩემი მაშინვე მიმხვდარიყო, ვინც იქნებოდნენ (აბა, ჩემთან რა ამხანაგობა შეიძლება ჰქონოდათ 30-35 წლის მამაკაცებს?).

შუა ოთახში რომ შევედი, ყველანი დუმილით შემხვდნენ. მერე მამამ მითხრა: საჭმელი ჭამე და პატარა ოთახში დაისვენე, ვილაც ოხრებს შენი ნახვა უნდათო. მე არაფერი მიპასუხნია. ორიოდე ლუკმა გადავყლაპე და გავედი განაპირა, მომცრო ოთახში. წამოვწექი ლოგინზე და ველოდები დაუპატიჟებელ სტუმრებს. გახდა ცხრა საათი, ათი, თერთმეტი. არავინ ჩანს. შიში არ მიგრძვნია, მხოლოდ ლოდინის გრძნობა იყო საშინელი. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მერე წამთვლიმა კიდეც. გამომეღვიძა მაშინ, როცა შუა ოთახიდან ლაპარაკი მომესმა. მამა ვიღაცას ეუბნებოდა: ახლავე გავაღვიძებ, გამოვაო. გამოვედი. ოთახში სამი უცნობი ზის. ერთი მათგანი, ჭაღარაშერეული, მილიმის და მეუბნება:

– ჩხრეკას არ ჩავატარებთ. შენ თვითონ გამოიტანე შენი წიგნები და რვეულები.

გავედი და გამოვიტანე სახელმძღვანელოები, რამდენიმე რვეული და, მათ შორის, ჩატარებული „დილის“ მასალები (განგებ ვქენი, მასალებში ხელმოსაკიდი არაფერი იყო, ყველაფერი ადრე შევცვალეთ).

უფროსმა გადაფურცლა წიგნებიც, რვეულებიც, მასალებიც და გვერდზე გადადო, ესენი არ გვაინტერესებსო. მაშინ ერთმა მხლებელმა უთხრა: ეს მაინც წავიღოთ („მასალებზე“ მიუთითა), ჩხრეკა რომ ჩატარდა, იმის დასტურიაო. გადადეს ცალკე.

უფროსი მეუბნება:

– ჩვენთან უნდა წამოხვიდე, პატარა საქმე გვაქვს გასარკვევი.

აქამდე მამა ჩუმად იყო. მხოლოდ ახლა იკითხა:

– სად მიგყავთ?

– გრუზჩეკაში.

– მე რომ ამბავის გაგება მინდოდეს, ვინ ვიკითხო?

დაასახელეს თავიანთი გვარები: რაზმაძე, ზარგინავა და ცაავა თუ ცანავა (შემდეგ ეს უკანასკნელი, რედაქციიდან განათლების სამინისტროში რომ დავდიოდი, კომენდატურაში მხვდებოდა. ეტყობოდა, იქ მუშაობდა. მე რას მიცნობდა, ჩემისთანებმა ალბათ ასობით და ათასობით გაიარა მის ხელში. მე კი ვიცანი: დასისხლიანებული თვალები ჰქონდა და წითელი იყო).

მამაჩემი ისევ ეკითხება რაზმაძეს (ის ამ სამეულში უფროსად ჩანდა):

– ქვეშაგები წამოიღოს?

– ლეიბი და თხელი საზაფხულო საბანი. მალე გამოვუშვებთ.

გამიმზადეს ლეიბი, საბანი, ჩადეს „მაფრაშაში“ და გავედით გარეთ. იქ მანქანა გველოდებოდა. გამოსვლისას მამამ თუმნიანი ჩამიდო ჯიბეში. დაიძრა მანქანა. უკვე ღამის პირველი საათია. მივდივართ. ძველი ვაგზლის მოედნის წინ მანქანა შეჩერდა. მერე რაზმაძემ შოფერს უთხრა, მალაკნის ბაზრისაკენ წასულიყო. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ გრუზჩეკა მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა, მაგრამ სად, წარმოდგენა არ მქონდა. მალაკნის ბაზართან მანქანა რკინიგზის ლიანდაგის ქვეშ გაკეთებულ გვირაბში გაძვრა და რომელიღაც ქუჩაზე აუხვია. ცოტა ხნის შემდეგ ერთ სახლთან შეჩერდა. ახლა მივხედი, ვარა ყვავილაშვილის ბინას მიადგნენ. შიგ ზარგინავა და რაზმაძე შევიდნენ, მესამე ჩემთან დარჩა და მათ ლოდინი დაუწყო. არ დაუგვიანიათ. დაახლოებით ორმოცი წუთის შემდეგ გამოიყვანეს ყვავილაშვილი, უკან გამოჰყვნენ მშობლები. რომ დამინახეს, თითქოს გაუხარდათ, ვარასაც გაელიმა და მკითხა:

– მიშა, შენც აქა ხარ?

– აბა, მარტო ხომ არ გაგიშვებდი? – ვითომ გავეხუმრე, მაგრამ ხუმრობის გუნებაზე სულაც არ ვიყავი. ზარგინავამ შემოგვიღრინა: ლაპარაკს თავი დაანებეთო.

დაახლოებით ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ყოფილ ძერჟინსკის ქუჩაზე გრუზჩეკაში (საქართველოს საგანგებო კომისია) მიგვიყვანეს. გრუზჩეკას გარდა არსებობდა „ზაკჩეკაც“, რომელიც ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას ემსახურებოდა, მაგრამ ქართველების საქმეს ძირითადად გრუზჩეკა იძიებდა. შენობაში რომ შევედით, ყვავილაშვილი დამაშორეს და პირდაპირ საკანში წაიყვანეს, მე რაზმაძემ მეორე თუ მესამე სართულზე ამიყვანა, ბადრაგს გამოუძახა და უბრძანა: იქ შეიყვანეო! ეს „იქ“ აღმოჩნდა იმავე სართულზე პატარა საკანი. ეტყობოდა, წინათ ტუალეტი იყო. საკანი ისეთ ადგილზეა, რომ ელნათურა ოდნავ ბუჟუტავს. დავჯექი ჩემს ბარგზე და თავისუფლად ამოვისუნთქე. მაშინ დაპატიმრება არც ისეთი საშინელება მეჩვენა, როგორც მანამდე ვფიქრობდი.

როდემდე ვიჯექი ბარგზე, არ მახსოვს. დავიღალე, გავშალე ლოგინი და წამოვწექი. დაბლა, კედელთან, კარნიზის ქვეშ, შევამჩნიე, რაღაც თეთრად ჩანს. გამოვიღე და ხელში შემრჩა ემიგრანტული ქართული გაზეთი. რა ეწოდებოდა, არ მახსოვს. ვეცადე წამეკითხა. მაგრამ სინათლე ისე ბუჟუტავდა, რომ ასოებს ძლივს ვარჩევდი. როგორც იქნა, ერთი პატარა მასალა წავიკითხე. ბრძოლისკენ მოუწოდებდა ქართველ ხალხს. მე ეს მოწოდება აღარ მჭირდებოდა, ჩემებურად უკვე ვიბრძოდი თავისუფლებისათვის. გაზეთი ისევ თავის ადგილას შევაცურე. როგორ მოხვდა პარიზული გაზეთი აქ? ალბათ ვიღაც პატიმარი მოიყვანეს და გაუჩხრეკავად ამ საკანში შეაგდეს. შემოტანილი გაზეთი იმ უცნობმა კარნიზის ქვეშ მოათავსა.

გადის დრო, კაცი არ მეძახის. დავმშვიდდი და მერე მკვდარივით ჩამეძინა. რამდენ ხანს მეძინა, არ ვიცი, ან რა დროა, ვერაფრით გავიგე. ვწევარ და ველოდები. კარის გასაღებმა გაიჩხაკუნა, ვიღაც ფორმიანი ახალგაზრდა მომადგა და მეუბნება, წამომყევი, დაკითხვაზე გეძახიანო. ერთ დიდ ოთახში შემიყვანა. ჩემი ნაცნობი რაზმაძე მაგიდასთან ზის და ნათურის შუქზე რაღაც ქაღალდებს შლის. მაინც კარგად ვერ გავიგე, რომელი საათია. ჩანს, ის ღამე საკანში გავათიე. მეორე დღეც მიიწურა და ღამეც დადგა, სხვანაირად ვერაფრით ავხსენი. რაზმაძე ძალიან თავაზიანად მეკითხება:

– შენთან საჭმლის მოტანა მაგ მამაძაღლებს დაავიწყდათ. გშია?

არა-მეთქი, ვუპასუხე. მერე დაინყო:

– შენ ძალიან კარგი ბიჭი ყოფილხარ. სკოლაში ვისაც ეკითხეთ, ყველა გაქებს. მაგრამ მიკვირს, როგორ შეცდი ასეთი ჭკვიანი კაცი? თუმცა შენ არაფერ შუაში ხარ. შენ ვიღაც უფროსებმა შეგაცდინეს. მომიყევი ახლა, ვინ იყვნენ ისინი. პირობას გაძლევ, ხვალვე გაგიშვებ და ორშაბათს უკვე სკოლაში იქნები.

მიყურებს და ჩემს გამომეტყველებას აკვირდება. ასე ვუპასუხე:

– არ ვიცი, ვისზე რა უნდა მოგიყვეთ.

– აი, თქვენს ამხანაგებზე, რას აკეთებდით და ვისთან დადიოდით. ვინ იყო თქვენი ხელმძღვანელი, რომელმა მასწავლებელმა წაგაქეზათ.

– ჩემი ამხანაგი ყველა დაპატიმრებულია. კარგი მეგობრები ვართ. კინოში და თეატრშიც თითქმის ყოველთვის ერთად დავდიოდით. რომელ მასწავლებელს რაში უნდა წავექეზებინეთ, არ ვიცი. ყველანი გვეუბნებოდნენ, წესრიგი არ დაარღვიოთ და კარგად ისწავლეთო.

ახლა მე ვუყურებ რაზმაძეს ძალიან დაკვირვებით. თანდათან სიბრაზე ერევა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა.

– ბიჭო, ჩვენ ყველაფერი ვიცით. რას ილუპავ თავს? თქვი, ვინ იყო თქვენი ხელმძღვანელი და პატიოსან სიტყვას გაძლევ, ხვალვე გაგიშვებ აქედან.

– არ მესმის, რა ხელმძღვანელზე მელაპარაკებით.

– რომელი მასწავლებელი მოგწონთ უფრო?

– ყველანი.

– მაინც?

– კაპანელი, ძიძიგური, გალდავა, ფალავანდიშვილი, საღარაძე და სხვებიც.

– კაპანელთან და ძიძიგურთან სახლში თუ ყოფილხარ?

ეს კითხვა არ მესიამოვნა, რადგან დაპატიმრებამდე ხუთი დღით ადრე მე და გრიშა სვანი ვარლამ ძიძიგურთან ბინაში ვიყავით მაშხალის ქუჩაზე (ეს ქუჩა სასტუმრო „ივერიის“ გვერდით ჩადიოდა. შემდეგ, მგონი, ინაშვილის ქუჩა უწოდეს. ახლა აღარ არსებობს). ძიძიგური ჩვენთან კარგად იყო და მას შევჩივლეთ: ლიტერატურული დილა რომ მოვაწყვეთ, იმასთან დაკავშირებით ზოგიერთები ხმებს ავრცელებენ, რომ ჰიუგოს ლექსები კი არა, თავიანთი საკუთარი ანტისაბჭოთა ლექსები წაიკითხესო. ახლა ჩვენ გვინდა, ჰიუგოს პატრიოტული ლექსები თუ არის თარგმნილი, იქნებ მოგვინახოთ და მოგვცეთო. შინ მაშინ შოთა ძიძიგურიც იყო. ბატონმა ვარლამმა დაავალა მას, ყველაფერი გადაათვალიერე, თუნდაც სხვისი, იქნებ გამოადგეთო. ერთ საათს ეძებდა შოთა წიგნებში ასეთ მასალას, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. ხელმოცარული წამოვედით. ახლა რომ მკითხა, კაპანელთან და ძიძიგურთან შინ თუ ხართ ნამყოფიო, ვიფიქრე, რომ საგულდაგულოდ გვზვერავდნენ. მაინც ცივი უარი ვუთხარი. ისე, მთელი დაკითხვების პერიოდში ვგრძნობდი, ჩვენს საქმეში კაპანელის და ძიძიგურის ჩათრევაც უნდოდათ.

ბოლოს რაზმაძე წამოდგა და თითქმის დაცინვით მითხრა:

– შენ არც ისე გულუბრყვილო და მიამიტი ბრძანდები, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. იფიქრე კარგად და თუ ყველაფერს მოგვიყვები, გაგათავისუფლებთ.

საიდანაც გამომიყვანეს, ისევ იმ საკანში შემაგდეს. ძალიან დაბნეული და გაოცებული ვიყავი. კონკრეტულად არაფერს მეუბნება არც „დილაზე", არც „ახალგაზრდა საქართველოზე". რაშია საქმე?

ის ღამეც საკანში გავათიე. მეორე დღეს ჯამით საჭმელი მომიტანეს და მერე მთელი დღე არავის შევუწუხებივარ. როცა კვლავ დაკითხვაზე გამიყვანეს, ღამე იყო. ეტყობოდა იქ წესად ჰქონდათ ღამით მუშაობა. შეიძლება იმიტომაც, რომ ღამე, საოცარი სიჩუმე დერეფნებსა და ოთახებში, რაღაც დამთრგუნველად მოქმედებს პატიმარზე.

– რა ქენი? – მეკითხება გამომძიებელი რაზმაძე.

– რა უნდა მექნა?

– მოყვები ყველაფერს თუ არა?

– რა უნდა მოვყვე, არ ვიცი.

– რომელი მასწავლებელი იყო თქვენი ხელმძღვანელი. ვინ გაძლევდათ არალეგალურ ლიტერატურას, რას მამაძაღლობდით კიდევ. აი, ამაზე მოყევი.

ამ კითხვებიდან ყველაზე უფრო შემაშფოთა არალეგალური ლიტერატურის დასახელებამ. საქმე ის გახლდათ, რომ რამდენჯერმე ავალიშვილი, ქავთარაძე და სვანი ვანო კეკელიძესთან მახლდნენ და კარგად იცოდნენ, რომ საზღვარგარეთულ ლიტერატურას ის მაძლევდა. ნუთუ რომელიმემ დაასახელა ის?

ისევ ჯიუტად გავიმეორე:

– არ ვიცი, რა უნდა მოვყვე?

– არ იცი? აბა, ახლა გეცოდინება. მაგიდასთან ახლოს მოიწი. შენს ხელნაწერს იცნობ?

– ვიცნობ.

უჯრა გამოაღო და ათამდე ფოტო ჩემ წინ გაშალა. ფოტოზე გადაღებული იყო ჩვენი ორგანიზაციის მასალების ნაწილი, ჩვენი ხელით დაწერილი, მათ შორის, რამდენიმე ჩემიც. ერთ ფოტოზე სია 17 ჩვენი ამხანაგისა (ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც მოგვივიდა. რად გვინდოდა სია ან მისი შენახვა? გამოუცდელი ვიყავით. კიდევ კარგი, სხვების შესახებ არაფერი იყო ფიქსირებული ჩვენს ქაღალდებში).

– იქნებ ფიქრობ, რომ ეს ჩვენი მოგონილია? აი, მათი დედნებიც.

ახლა უჯრიდან მთელი ჩვენი „ქონება" ამოიღო და მაგიდაზე დაყარა. გაშტერებული ვარ. როგორ, რანაირად? ეს ხომ ყველაფერი გოგუაძეს ჰქონდა მიბარებული ჩუმად შესანახად?

ახლა ვვარაუდობ, ჩეკისტებმა ან თვითონ მიაგნეს ყველაფერს ჩხრეკის დროს, ან გოგუაძე შეაშინეს და თვითონ მოატანინეს ყველაფერი.

გამომძიებელი ლიტერატურულ „დილაზე" სიტყვას არ ძრავს, არც აინტერესებს, საქმე ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველოს" ეხება.

მეკითხება:

– ახლაც არ იცი, რაზე დაგიჭირეს?

– არა, ყველაფერი გასაგებია.

ისევ მიმეორებს:

– ვინ იყო თქვენი ხელმძღვანელი? ვინ გაძლევდათ აკრძალულ ლიტერატურას?

– ხელმმძღვანელი მე ვიყავი. აკრძალული ლიტერატურა თვალითაც არ გვინახავს.

– კიდევ ვინ ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციას?

– ყველანი, ვინც დაჭერილები ვართ.

– რას აპირებდი?

– საქარველოს განთავისუფლებას.

თავს დიდხანს აქნევდა აქეთ-იქით.

– შენ ხელმძღვანელი იყავი. დაწერე ჩვენება, რასაც აკეთებდით.

– მაგ ქაღალდებიდან ყველაფერი ჩანს, რასაც ვაკეთებდით.

– როცა ჩვიდმეტივე შენს ამხანაგს გვერდით მოგისვამთ, მაშინ დაწერ.

– ეგ მოწაფეები არაფერ შუაში არიან. ეს ჩვენ მაგათ დაუკითხავად შევიტანეთ სიაში.

– მაგას გამოვარკვევთ. აი, ქაღალდი და დაწერე ჩვენება.

მეც დავწერე სულ რამდენიმე სტრიქონი ასეთი შინაარსისა: 1929 წლის დასაწყისში ჩვენ სკოლაში ჩამოვაყალიბეთ არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო". ჩვენი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით საქართველოს აწმყოსა და მომავალზე. ამ ფარული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვიყავი მე და ჩემი დაჭერილი ამხანაგები.

წაიკითხა და გულმოსულად მეუბნება:

– მეტი არაფერი?

– მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა ჩვენ? უბრალოდ, გატაცებული ვიყავით ასეთი საქმიანობით.

– ასეთი გატაცებისათვის ბევრი ციმბირში გავგზავნეთ და იმათ მიგაყოლებთ თქვენც.

– ჩვენ ისეთი არაფერი დაგვიშავებია.

– ამაზე მეტი არც სხვებს დაუშავებიათ, მაგრამ სასტიკად დაისაჯნენ.

მერე მოლბა, დაწყნარდა.

– აი, რომ გაგიშვათ ახლა აქედან, კიდევ დაიწყებ ჩვენ წინააღმდეგ ჩხირკედელაობას?

– არა.

– აბა, შენს ჩვენებას მიაწერე ეგ, რაც თქვი.

მივაწერე: თუ გამათავისუფლებენ, პირობას ვდებ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი მოვიმოქმედო.

ჩვენება უჯრაში ჩადო. ადგა, გაიარ-გამოიარა და მეუბნება:

– შენ პასუხისგებაში ხარ მიცემული 58-ე მუხლით და მე-10 და მე-11 პუნქტით. ესე იგი შენ და შენს ამხანაგებს გბრალდებათ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მასში აქტიური მონაწილეობა და ხელმძღვანელობა.

წამიყვანეს ისევ იმ საკანში. გასვლისას რაზმაძემ ვიღაც უმცროს თანამშრომელს, რომელიც დერეფანში ოთახის კარებთან იდგა, დაავალა, ხვალ ფოტოგრაფთან მიიყვანეთო. ამის შემდეგ მე ის აღარ შემხვედრია.

მომდევნო დღეს, იქნებოდა 12 საათი, ერთ ოთახში შემიყვანეს. აქ იყო ფოტოგრაფი, რომელმაც დამსვა სკამზე, მარცხენა მკლავზე გამიკეთა ნომრები და გადამიღო სურათი. მე ადრე წაკითხული მქონდა გრიგოლ გიორგაძის წიგნი „რევოლუცია და თვითმპყრობელობა" (მგონი, ასე ერქვა) და ბარონ ბიბინეიშვილის „მეოთხედი საუკუნის მანძილზე", რომლებშიც მოთავსებული იყო ზოგიერთი პოლიტპატიმრის სურათი. მათ ჟანდარმერიის მიერ ასეთივე ნომრები ჰქონდათ გაკეთებული მარცხენა მკლავ-

ზე. ამ წესს ჩეკაშიც იყენებდნენ. ერთგვარი სიამაყის გრძნობაც კი ვიგრძენი. ჩანს, ჩვენც რაღაცად გვთვლიან!

ნაშუადღევს ჩამიყვანეს პირველ სართულზე და მომათავსეს საერთო საკანში. როცა შიგ შევედი, საკმაო სინათლე იყო (დიდი ფანჯრები ჰქონდა) და კარგად გავარჩიე, მარცხენა და მარჯვენა მხარის „ნარებზე" პატიმრების უმრავლესობა წამოწოლილი იყო, ნაწილიც – ჩამომჯდარი და რაღაცას საქმიანობდნენ. უცებ ერთი მათგანი წამოხტა, გადამეხვია და მეუბნება:

– მიშა, შენც მოგიყვანეს?

ჩემი მეგობარი ვაჟა ავალიშვილი იყო. ძალიან გავიხარეთ და დიდხანს ვლაპარაკობდით ჩვენს „ჩავარდნილ" საქმეზე. შევთანხმდით, რომ მტკიცედ გვეთქვა, სიაში შეტანილმა 17 მონაფემ ჩვენი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის. ამ საერთო საკანში გავიცანი გრიშა ჯაში, გაბო ივანიაძე, მიშა არველაძე, მიშა ჩიგოგიძე და კიდევ სხვანი. დამავიწყდა მეთქვა, რომ მარცხენა მხარის „ნარებზე" სულ პოლიტიკურები იყვნენ, მარჯვენაზე მყოფთ სხვა ბრალდებები ჰქონდათ (ყალბი ფულის მოჭრა, გაფლანგვა და ა. შ.). ესენი ძალიან დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ პოლიტიკურებს. უფროსი ამხანაგები გვარიგებდნენ, რომ ღმერთი არ გაგვწყრომოდა და არ დაგვესახელებინა ის ამხანაგები, რომლებიც ჩეკასათვის უცნობებად დარჩნენ. მაგრამ ამის დარიგება ჩვენ აღარ გვჭირდებოდა, კარგად ვიცოდით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით.

მეორე დღეს, საღამო ხანს, ავალიშვილი დაკითხვაზე გაიყვანეს. დაბრუნდა საათნახევრის შემდეგ და მოგვიყვა: რაზმაძე სულ მეკითხებოდა, თქვენი ხელმძღვანელი ვინ იყოო. მერე მითხრა: შენი ამხანაგები ყველანი გარეთ არიან და სწავლას განაგრძობენ, შენ კი აქ ჩალპებიო. მე ვკითხე: კეკელიძეც გარეთ არის? – დიახ, გარეთ არისო. მაშინ მე ვუთხარი: რას მატყუებ, კეკელიძე ჩემთან ერთად ზის საკანში-მეთქი. მართლაო? – გაეცინა. – არ ვიცოდი, თუ დაჭერილი იყოო.

ვუსაყვედურე, ჩემი გვარი რად ახსენე-მეთქი. სხვებმაც უსაყვედურეს, არ უნდა გეთქვაო. თქვენ ერთ საქმეზე ხართ დაპატიმრებული და ერთმანეთს აუცილებლივ დაგაშორებენო. მეორე დღეს, დილით, მართლაც გადაიყვანეს ჩვენგან ავალიშვილი. ამ საერთო საკანში ათი დღე დავრჩი. ძალიან დავუახლოვდი ზევით ჩამოთვლილ პოლიტპატიმრებს. ბევრ რაიმეს ჭკუის სასწავლს მეუბნებოდნენ. არც იყო გასაკვირი, ზოგიერთი მათგანი ორ-სამჯერ იყო დანაპატიმრები.

ათი დღის შემდეგ ერთკაციან საკანში გადამიყვანეს („ადინოჩკა"). საკანი ერთი პატიმრისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მასში 2-3 და მეტ კაცსაც ათავსებდნენ (ალბათ მაშინ, როცა ბევრს ატუსაღებდნენ). საკანში რომ შევედი, დავინახე იატაკზე გაშლილი ლეიბი, რომელზედაც წამოწოლილი კაცი წიგნს კითხულობდა. უხმოდ თავი დავუქნიე და ბარგზე დავჯექი. პატიმარმა კითხვას თავი დაანება და მკითხა:

– აქაური ხარ თუ რაიონიდან?

– აქაური.

– მეც აქაური ვარ, თბილისელი. საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობ.

– საგურამოს ქუჩა ჩვენთან ახლოსაა. იქ ფოსტაში ბევრჯერ ვყოფილვარ.

– რა გვარი ხარ?

– კეკელიძე.



პოლიტპატიმრები – ლეონტი რევია, გაბო ივანიაძე, კვაჭაძე
რუსეთში გადასახლებულები 1930 წლის 15 თებერვალს

– მე ლეონტი რევია ვარ, წარმოშობით სამტრედიიდან. ჩემიანები რევიშვილებად ეწერებიან, მე კი რევიად.

– ეს როგორ?

– დაბადების მოწმობაში რევიშვილის ნაცვლად რევია ჩაეწერათ და მერე გამყვა ასე.

ლეონტი რევია მათემატიკის მასწავლებელი იყო, ძალიან კარგი სპეციალისტი. ეს მე შემდეგ ბევრჯერ სხვებისგანაც გავიგონე. ნაკითხი კაცი, გულთბილი და ტკბილი. მისი ქვისლიც (გვარად, მგონი, წულაძე) პოლიტიკური ბრალდებით გადასახლებული იყო ციმბირში.

ლეონტი რევიასთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა, ვიდრე ბუტირკის ციხიდან ერთმანეთს არ დაგვაშორეს. იგი, მგონი, ურალში გადაასახლეს. განთავისუფლების შემდეგ სრულიად მოულოდნელად მას შევხვდი რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში (იქ დირექტორად ალი ცინცაძე იყო, ჩვენი შორეული ნათესავი). მათემატიკას ასწავლიდა. ძალიან გავიხარეთ და ბევრი ვილაპარაკეთ.

გავიდა რამდენიმე დღე. დაკითხვაზე იმავე სართულზე ამიყვანეს, რომელზედაც პირველად ვიყავი, მაგრამ სხვა ოთახში შემიყვანეს. ოთახში ფეხზე მდგარი კაცი დამხვდა. ჩექმები, გალიფე, თეთრი ხალათი. ქამარზე ჰკიდია მაუზერი – ხის ბუდეში, მივიდა კარებთან, თვითონ ჩაკეტა შიგნიდან და მიბრძანა, დადექი კედელთანო! დავდექი.

– შე ლაწირაკო, მასხრად ვის იგდებ? ვინ იყო თქვენი ხელმძღვანელი?

– ხელმძღვანელი არ გვყოლია.

მომიახლოვდა და ისეთი გამარტყა ყბაში, რომ თავი კედელს შევახეთქე. ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე სილა. ცხვირიდან სისხლი წამომივიდა. ტკივილი არ მიგრძვნია, სიბრაზისგან კი გული კინაღამ გამისკდა.

– ამას ხედავ? – ხელი მაუზერზე დაიდო. – აქვე მიგახვრეტ, შე ძაღლიშვილო.

მისი მუქარა არაფრად ჩამიგდია. ვიცოდი, ასეთ ოთახებში არ ხვრეტდნენ კაცს. შევატყვე, ჩემი შეშინება უნდოდა.

– ვინ იყო ხელმძღვანელი, იტყვი თუ არა?

– ხელმძღვანელიც და ინიციატორიც მე ვიყავი, – ვუპასუხე ჯიუტად.

– მამა გიცხონდა, დაგიჯერე, აი! ორი დღის ვადას გაძლევ, ყველაფერს გულახდილად მომიყვები, თორემ ჩემი ხელით დაგხვრეტ. შენისთანებს ბევრს მოვუგრიხე კისერი.

ხელისკვრით დერეფანში გამაგდო და იქ ბადრაგს ჩემი თავი ჩააბარა. დამაბრუნეს ისევ საკანში. ის კაცი კი, ვინც მე დახვრეტით დამემუქრა, გვარად სულთანიშვილი იყო, სახელად, მგონი, კლავდიოსი ერქვა. დღეები გავიდა, მაგრამ მას აღარ გამოვუძახებივარ.

გავიდა კარგა ხანი. ერთხელაც კიდევ ამიყვანეს მეორე თუ მესამე სართულზე. ერთ ოთახთან შემაჩერეს. გარედან დიდი ასოებით აწერია „СЕКО“. მერე გავიგე, ეს თურმე ნიშნავდა „სეკრეტნოე ოტდელენიეს“ (საიდუმლო განყოფილება). მაგიდასთან ზის შუახანს გადაცილებული კაცი და მეორეს რაღაცას ელაპარაკება. ეს მეორე მაშინვე ვიცანი – ჩვენი სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე (ვანო) კაჩუხაშვილი იყო. რამდენიმე სიტყვა კაჩუხაშვილზე. მისი ქალიშვილი ჩვენი თანაკლასელი გახლდათ. კარგი დამოკიდებულება გვქონდა. მათ ოჯახშიც სამ-ოთხჯერ ვყოფილვართ. ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ცხოვრობდნენ. ივანე კაჩუხაშვილს საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში საკმაოდ დიდი თანამდებობები ეკავა. ემიგრაციაში იყო წასული თუ არა, არ ვიცი. სიმპათიური შესახედობისა გახლდათ. „სახალხო განათლების“ რედაქციაში მუშაობის დროს განათლების სამინისტროში შევხვდი მის ნათესავს თოთა კაჩუხაშვილს (სამინისტროში მუშაობდა) და ვკითხე: ბატონი ივანეს შესახებ რა იცი-მეთქი. ასე მიპასუხა: ერთ დღეს იგი გავიდა სახლიდან, შინ დატოვა პასპორტი და სხვა საბუთები, იმის შემდეგ დაიკარგა და მისი ასავალ-დასავალი აქამდე ვერ გავიგეთო. რამდენად სწორია ყველაფერი ეს, არ ვიცი.

მაგრამ დავუბრუნდეთ „საიდუმლო განყოფილების“ ოთახს. მითხრეს, მაგიდასთან დავმჯდარიყავი. ჩემთვის უცნობი კაცი მეკითხება:

– რა გინდათ თქვენ? რატომ არ ისვენებთ? მაინცადამაინც გინდათ ციხეში ჩაკვდეთ?

მე ხმას არ ვიღებ. იგი განაგრძობს:

– ძალიან გინდოდათ, ჩვენი მტრების ჟურნალ-გაზეთები წაგეკითხათ? აი, შეხედე იმ თაროებს.

ინსტინქტურად მივიხედე უკან. მთელი კედლის გასწვრივ თაროები გაზეთებით და ჟურნალებით იყო სავსე.

– რაც საზღვარგარეთ გამოდის ქართულად და რუსულად, ყველაფერი აქა მაქვს. თუ ძალიან გინდოდა, მოსულიყავი ჩვენთან და წაგეკითხა, რამდენიც გსურდა. რას აპირებ ახლა?

მე ისევ ვდუმვარ. უცებ ისტერიკასავით დაემართა. თმაში ხელები წაივლო და იყვირა:

– ჭლექი გამიჩინეს ამ ცხვირმოუხოცავმა ლაწირაკებმა, ჭლექი!

მერე ხელებს დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა. აქამდე ივანე კაჩუხაშვილი ლაპარაკში არ ერეოდა. ახლა ძალიან წყნარად მითხრა:

– კეკელიძე, ამ მთავრობამ ააშენა ზაჰესი, მაუდ-კამეოლის ფაბრიკა, ქალაქშიც რამდენი ახალი სახლი შენდება. ბოლშევიკები რომ წავიდნენ, ყველაფერი ეს საქართველოში არ დარჩება? ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ და თან არ წაიღებენ? გიფიქრია ამაზე?

არც მისთვის გამიცია პასუხი. შევატყვე კი, იგი თანაგრძნობით მიყურებდა. ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. რა მიზნით ამიყვანეს ზევით, არ ვიცი. შეიძლება, კაჩუხაშვილმა სთხოვა უფროსს. ვფიქრობ, მას ჩვენი ბედის შემსუბუქება უნდოდა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი. ის უცნობი კი, ვისაც ჩვენ და ჩვენისთანებმა „ჭლექი“ გავუჩინეთ, „საიდუმლო განყოფილების“ უფროსი მელიქაძე თუ მელქაძე გახლდათ (ეს გვარი მერე გავიგე პატიმრებისაგან. სახელი არ მახსოვს).

გავიდა ორი კვირა, კაცი არ მაწუხებს და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მე და ლეონტი რევია კითხვით ვერთობით და ათას რამეზე ვლაპარაკობთ. უცებ, მოულოდნელად ისევ დაკითხვაზე მეძახიან. მომბეზრდა ამდენი დაკითხვა და ერთი მაგრად შევიგინე. რა გზა მქონდა, გავყევი ბადრაგს. მან მეორე სართულზე ამიყვანა, გამატარა მთელი დერეფანი და კუთხის ოთახში შემიძღვა. მაგიდასთან ვხედავ ვილაც კაცს და მის გვერდით მამაჩემს. გაოცებისაგან თვალები კინალამ გადმომივარდა. საიდან? როგორ?

მაგიდასთან მჯდომი, უეჭველია, გამომძიებელია, მაგრამ რატომ ელაპარაკება მამას ასე შინაურულად?

– ა, სევერიანე, მოგიყვანე შენი რევოლუციონერი შვილი. ხომ ხედავ, კარგად არის!

მამა მიყურებს და ხმას არ იღებს. გამომძიებელი სიცილით მეკითხება:

– ხომ არ გცემდნენ, ბიჭო?

– არა.

ახლა ამოილო ხმა მამამ:

– როგორ, აქ ცემენ პატიმრებს?

– ხანდახან, ჩემო სევერიანე, ხანდახან. ისე აქ ყველაფერი იციან.

შემდეგ იგი ადგა და დაგვტოვა. გასვლისას თქვა:

– თხუთმეტ წუთში დავბრუნდები.

ცხადია, ის განგებ გავიდა გარეთ, რათა მარტო დავრჩენილიყავით. ბევრი ვერაფერი ვილაპარაკეთ. მითხრა, რომ შინ ყველანი კარგად არიან და შენ როგორ ხარო. ჩემი პასუხიც სტანდარტული იყო:

– კარგად ვარ.

ბოლოს ვეკითხები:

– ვინ არის ეს კაცი?

– ეს პლატონ ლეჟავაა, ბიძაშენ ანდროს ქვისლი. მან მომიხერხა შენთან შეხვედრა. ა, შენ ფული. იქნებ დაგჭირდეს სადმე.

გამოვართვი და ჯიბეში ჩავიდე. დაბრუნდა გამომძიებელი.

– საზღვარგარეთ ერთი კეკელიძეა, ფედერალისტი. თქვენი რამე ხომ არაა?

– არა! შეიძლება ეგ გურული კეკელიძე იყოს. ჩვენ ქვემო იმერეთიდან ვართ.

– იგი ტუბერკულოზით არის ავად, მძიმე მდგომარეობაშია.

გაოცებული ვიყავი, ისიც კი იციან, რომელი ემიგრანტია ავად და რომელი ჯანმრთელი! როგორც ჩანს, ჩვენს ემიგრაციაში თავისი აგენტები ჰყავდა. დაახლოებით 30-40 წუთის შემდეგ დავშორდით ერთმანეთს. ისევ დამაბრუნეს საკანში. მერე, როცა

პატიმრებს შევხვდი ციხეში, გავიგე, რომ პლატონ ლეჟავა ფედერალისტების გამომძიებელი იყო. როგორც ჩემთვის შემდეგ გასაგები გახდა, სოციალ-დემოკრატებს, სოციალ-ფედერალისტებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს (ესერებს), ეროვნულ-დემოკრატებს, ახალგაზრდა მარქსისტებს – ყველას თავ-თავისი გამომძიებლები ჰყავდა გამოყოფილი.

მიდის დღეები. საკანში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, გულიც უფრო დაწყნარებული მაქვს. ერთხელ საკანში ახალგაზრდა შემოიყვანეს ბარგიანად. როგორც ყოველთვის, ასე ხდება ხოლმე, მალე გავეცანით ერთმანეთს. გრიშა ჩხარტიშვილი აღმოჩნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი (არ აურიოთ მეორე გრიშა ჩხარტიშვილში, რომელმაც ციხეც და ციმბირიც გამოსცადა, დაბრუნდა და შემდეგ უნივერსიტეტში დისერტაციაც დაიცვა. ისტორიკოსი იყო. მე მას ახლოს ვიცნობდი). ეს მეორე ჩხარტიშვილი ხალისიანი, იუმორით სავსე ახალგაზრდა აღმოჩნდა. მოგვიყვა: ჩეკისტები და მე კატა-თაგვობანას დიდხანს ვთამაშობდით. ბოლოს მაინც გამაბეს ხაფანგშიო. ვიცი, ვისი წყალობითაც, მაგრამ ახლა რა პასუხი შემიძლია მოვთხოვო, ისე კი მაგის დროც დადგებაო. ვინმეს გვარი არ უხსენებია. იგი სამი დღის შემდეგ ჩვენგან გადაიყვანეს.

12 ივლისს წაიყვანეს ლეონტი რევიაც. დავრჩი მარტო, მოწყენილი, მაგრამ დიდხანს არც მე გავუჩერებივართ. 14 თუ 15 ივლისს ბარგიანად გამომიყვანეს და დახურულ მანქანაში შემაგდეს. ჩემ გარდა იქ ოთხი პატიმარი იყო. მათი ლაპარაკიდან გავიგე, მეტეხის ციხეში მივყავდით.

მეტეხის ციხეში

მანქანა ქვაფენილზე ჯაყჯაყით მიდის. მაშინ თბილისში მხოლოდ ზოგიერთი ქუჩა იყო მოასფალტებული. კარგა ხანს მივდიოდით. რომელი ქუჩები გავიარე, არ ვიცი, რადგან დახურული მანქანიდან არაფერი ჩანს. მანქანაში ერთ ადგილას, ზევით, პატარა სარკმელია დატანებული, მაგრამ იქიდან რას დაინახავ, ან ვინ მოგცემს ამის ნებას. ბოლოს აღმართს შევუყევით. შემდეგ გავიგე, ეს მეტეხის აღმართი იყო. მალე ჭიშკარს მივადექით. გადმოგვიყვანეს მანქანიდან და ეზოში შეგვიძღვნენ. იქ ვიღაცებს გამოუძახეს, რაღაც ქაღალდები მისცეს და წავიდნენ. ეზო შემოზღუდულია და საკმაოდ დიდი. იგი ქვის კედლით გაყოფილია ორ ნაწილად. ამ კედელში დატოვებულია პატარა კარი, რომელთანაც ზედამხედველი დღედაღამ დგას. ეზოს შესასვლელ ნაწილში რამდენიმე კორპუსია, იქითა მეორე ნაწილშიც კორპუსებია და ეკლესიაც იმ ნაწილშია მოქცეული. პირველად შეგვიყვანეს ეგრეთ წოდებულ საკარანტინო საკანში. იქ დაგვხვდა ათამდე პატიმარი, რომელთაც კარანტინი უნდა გაეცლოთ და იმათ ჩვენც მიგვამატეს. ამ კარანტინში, როგორც გვითხრეს, ორი კვირა უნდა დავრჩენილიყავით. ამ ხნის განმავლობაში გამოირკვეოდა, რაიმე გადამდები სენით ხომ არ ვიყავით დაავადებული და, თუ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მერე გადაგვიყვანდნენ მუდმივად სამყოფ საკანში. ეს არ გვესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდით. დავყარეთ ჩვენი ბარგი და, როგორც იქნა, იატაკზე მოვეწყვეთ. ჩვენს საკარანტინო საკანში წინათ დანაპატიმრები პირებიც აღმოჩნდნენ და მათგან გავიგეთ, რომ ეკლესიის მხარეს არსებულ კორპუსებში პოლიტიკურები ისხდნენ, აქეთა მხარეს – არაპოლიტიკურე-

ბი, სისხლის სამართლის დამნაშავენი. აქეთ იყო აბანო, პატარა სავაჭრო ჯიხური და ერთი კორპუსი თუ კორპუსის ნაწილი, რომელშიც პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრებული ქალები ისხდნენ. სხვათა შორის, აქ იხდიდნენ სასჯელს ჩემი კლასელები ვარა ყვავილაშვილი და ანტისა გოგუაძე. ციხეში ყოფნის დროს ორ-სამჯერ მოკლე დროით მათი ნახვაც მოვახერხე, მაგრამ დაწვრილებით ჩვენს საქმეზე ვერ ვილაპარაკეთ, ამის საშუალება არ მოგვეცა.

ეს, რაც ახლა მე აგიწერეთ, გახლდათ ცნობილი მეტეხის ციხე. ოდესღაც ამ კორპუსებში ყაზარმები ყოფილა, თვითმპყრობელობის ჯარი იდგა, შემდეგ კი საპატიმროდ გამოიყენეს. ასობით და ათასობით პოლიტიკურ პატიმარს გაუვლია ეს ციხე. საკარანტინო საკანი ბინძური, უსუფთაო იყო და ორი კვირის იქ გატარება არავის სიამოვნებდა, მაგრამ ბედს შევურიგდით. მოულოდნელად საქმე სხვანაირად დატრიალდა. მესამე დღეს ჩვენთან მოვიდა საშუალოზე მაღალი, ენერგიული სახის ახალგაზრდა, მზემოკიდებული. ჩემი აზრით, იქნებოდა 25-26 წლისა. თან ახლდა ციხის ზედამხედველი. მოგვესალმა და გვკითხა, პოლიტიკური ბრალდებით ვინა ხართო. ასეთი რვა კაცი აღმოჩნდა. მათ შორის, მეც. წავიდა. ვის მოელაპარაკა, არ ვიცი, მაგრამ უკან დაბრუნებულმა გვითხრა, პოლიტიკურები ვინცა ხართ, წამომყევითო. წავყევით და შეგვიყვანა ეზოს მეორე ნაწილში, რომელიც მთლიანად პოლიტპატიმრებს ჰქონდათ დაკავებული. ყველანი კორპუსებში გაანაწილა, მე კი მესამე სართულზე ამიყვანა, №43 საკანში მომცა ბინა. საკანი ძალიან დიდი იყო, 35-40 რკინის „კრაოტი" იდგა. პატიმრები გარს შემოეხვივნენ და რაღაც-რაღაც კითხვებს აძლევდნენ. მერე იგი წავიდა. როცა ლოგინი გავშალე და სული მოვითქვი, ერთ პატიმარსა ვკითხე, ვინ არის ეს კაცი-მეთქი. ესო, პოლიტიკურების მამასახლისია. რაჟდენ ჯალაღანია. მერე გავიგე, მეოთხე თუ მეხუთე კურსის სტუდენტი ყოფილა (შეიძლება უმაღლესი დამთავრებულიც ჰქონდა, არ მახსოვს). ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. ბოლოს მე ის დამიახლოვდა, როცა გაიგო, რომ ჩვენ, მე და ჩემი ამხანაგები, მონაფეები ვიყავით, ჯერ სკოლაც არ გვქონდა დამთავრებული. ძალიან გულთბილად გვეპყრობოდა და ხშირად გვამხნევებდა, არაფრის შეგეშინდეთ, ყოჩაღად იყავით, ხომ ხედავთ, კარგი ხალხი ყველანი ციხეში ვართო.

ჯალაღანია რომ წავიდა, პატიმრები ახლა მე მომცვივდნენ. დამიწყეს გამოკითხვა: სადაური ვარ, ვინა ვარ, მშობლები თუ მყავს, რა ამბავია გარეთო და ასე გაუთავებლივ. ყველას პასუხს ვაძლევდი, ხოლო გარეთ ქალაქში რა ამბავია, არ ვიცი, თვე-ნახევარია ჩეკაში ვყავდით და ახლა იქიდან მომიყვანეს-მეთქი. ამით ისინი დაკმაყოფილდნენ, მაგრამ სულ მალე ყველა კორპუსიდან მოდიოდნენ პატიმრები და იმავე კითხვებს მაძლევდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ყველას აინტერესებდა, ახალი პატიმარი ნათესავი, მეგობარი ან, უბრალოდ, ნაცნობი ხომ არ იყო. ამ განამაწიაში რომ ვარ, მოულოდნელად გამომეცხადნენ ჩემი თანაკლასელები გივი ქავთარაძე და ვაჟა ავალიშვილი. ისინი ჩემზე ადრე გადმოეყვანათ მეტეხში. დამიწყეს კოცნა, გამიყვანეს ცალკე კუთხეში და დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ მოხდა ყველაფერი, რაც ჩვენ თავზე დაგვატყდა და მიზეზებს ვეძებდით, მაგრამ ჩვენი მოსაზრებანი მხოლოდ ვარაუდები იყო.

ცოტა ხნის მერე ჩემთან მოვიდნენ ლეონტი რევია, გრიშა ჯაში, გაბო ივანიაძე და მიშა არველაძე. კარგად არ მახსოვს, იყო კიდევ რამდენიმე კაცი. მამხნევებდნენ და

სიცილით მეუბნებოდნენ, აქ ყოფნა გაცილებით უკეთესია, ვიდრა ჩეკაშიო. ეს სიმართლე იყო. მერე მითხრეს, ძალიან კარგი ამინდია, ეზოში ჩამოდი, მუხლები გამართეო, მაგრამ მე იმ დღეს №43 საკანს და ჩემს ლოგინს არ მოვშორებივარ; არაფერი მინდოდა, აფორიაქებული ვიყავი. მიხაროდა კი, რომ აქ ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც იყვნენ და მათთან შინაურული ურთიერთობა შეიძლებოდა.

გავიდა ერთი კვირა. თანდათან გავიცანი ახალ-ახალი პატიმრები: პოეტი ვანლერ დაისელი (ბაბუაძე), მიშა კანკავა (შემდეგში ის თბილისის ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი იყო), თადე კუხალაშვილი (თუ კუხალეიშვილი), გიორგი შაყელაშვილი, გიორგი გელაშვილი, გრიშა მჟავია, არჩილ კეკელია, ნესტორ საბაშვილი, გრიშა სიმონია და მისი ძმა სანდრო, ნიკო ხახიშვილი, შალვა ღაღანიძე, ალექსანდრე ქურასპედიანი და ბევრი სხვა, რომელთა გვარებს ახლა ველარ ვიხსენებ.

ჩემი კორპუსი და კიდევ, მგონი, ორი კორპუსი (სულ სამი) მეტეხის აღმართს გადაჰყურებდა. ამ კორპუსის ფანჯრებიდან კარგად ჩანდა ქუჩაში მოსიარულე ხალხი. ქუჩაში ხშირად იდგნენ პატიმრების ჭირისუფლები, რომლებიც ფანჯრებს მისჩერებოდნენ და იქიდან ახლობელი პატიმრების გამოჩენას და დანახვას ელოდნენ. ეს ხშირად ხერხდებოდა და მეც შემდეგ რამდენჯერმე შევძელი დედაჩემისა და მამაჩემის დანახვა, ხელის დაქნევაც. ისინი ჩემს გამოჩენას ელოდნენ და, როცა დამინახავდნენ, მერე შინ დამშვიდებული ბრუნდებოდნენ.

ეკლესიაში ჩემს დროს ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული, საკმაოდ მდიდარი წიგნების ფონდით. ბევრი წიგნი პატიმართა თაობიდან თაობაზე გადადიოდა, მათ გადასახლებაში მიმავალი პატიმრები ტოვებდნენ. წიგნების შემოგზავნა არ ყოფილა აკრძალული, ცხადია, თუ ის ანტისაბჭოური ხასიათისა არ იყო. ამ მხრივ წიგნების შიმშილს არ განვიცდიდით.

საჭმელსა და სხვა ნივთებს კვირაში ერთხელ იღებდნენ ეგრეთ წოდებული „გადაცემის" („პერედაჩა") დროს. ამ მხრივ თბილისელი პატიმრების მდგომარეობა უფრო უკეთესო იყო, ვიდრე სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოყვანილი ტუსაღებისა. მართალია, დაუწერელი წესი იყო, „გადაცემის" მიმღები სურსათ-სანოვაგეს ყოველთვის უანგაროდ უნაწილებდა ნაცნობ და მეგობარ პატიმრებს, ერთად სადილობდნენ ან ვახშმობდნენ, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლიდა, არათბილისელი პატიმრები საჭმლის ერთგვარ ნაკლებობას მაინც განიცდიდნენ და დანაკლისს ეზოს პირველ (შესავალ) ნაწილში მოთავსებული ჯიხურიდან ინაზღაურებდნენ (იქ პურიც იყიდებოდა, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით).

ახლობლების ნახვის უფლება პატიმრებს ორ კვირაში თუ თვეში ერთხელ ჰქონდათ. შეგვიყვანდნენ ამისთვის განკუთვნილ ერთ მოზრდილ ოთახში, რომელიც მავთულის ბადით იყო გადატიხრული. აქეთ ჩვენ ვდგავართ, იქით ისინი – ჩვენი ჭირისუფალნი. ხანდახან ისეთი ხმაური იყო, რომ ლაპარაკს კარგად ვერც გაიგებდით. ნახვის დრო ნახევარი საათით განისაზღვრებოდა.

ჩემს დროს მეტეხის ციხეში (1928 წლის მეორე ნახევარი) – ოთხასამდე პატიმარი იმყოფებოდა. სტატისტიკამ ტუსაღებმა მითხრეს, რომ ზოგჯერ ეს რიცხვი მეტსაც აღწევდა.

გადასახლებაში მიჰყავდათ პოლიტიკურთა ერთი პარტია, სანაცვლოდ მათ ად-



პოლიტპატიმარი არჩილ კეკელია (მარჯვნივ) რუსეთში გადასახლებული 1929 წლის 10 დეკემბერს

გილს იკავებდა პოლიტპატიმართა მეორე ნაკადი. თვეში ერთხელ (ზოგჯერ სამ კვირაში ერთხელ) ციხიდან გადიოდა თითო „ეტაპი". საგუბერნიო ციხის გავლით ყველას მოსკოვში, ბუტირკის ციხეში, უყრიდნენ თავს. იქ კი „ოგეპეუ" იზოლატორს ან გადასახლების ადგილს უჩენდა პატიმარს.

ერთ-ერთი ეტაპის გამგზავრებაზე უნდა გიამბოთ. 1929 წლის ივლისის მეორე ნახევარში ხმა გავრცელდა, რომ დიდი ეტაპი მზადდებოდა. პატიმრებს ჯერ ორთაჭალის ციხეში წაიყვანენ, მერე სადგურ ნავთლუღში, სადაც დგას სტოლიპინის ვაგონებიო. ეს ხმა გამართლდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეტეხში მართლაც შემოვიდა 15-მდე მებადრაგე („კონვოი"). მათ ხუთი ჩინიანი ჩეკისტი შემოუძღვა. სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ. 50-მდე პოლიტპატიმარს გამოუძახეს – ბარგიანად ეზოში ჩამოდითო. პატიმრებმა დაიწყეს ლოგინების შეკვრა, ჩემოდნებში საჭირო ნივთების ჩალაგება და ეზოში ჩავიდნენ. ყველა ნერვიულობდა. ადვილი არ იყო საქართველოსთან განშორება.

აქ უნდა შევნიშნო – როცა ეტაპის შესახებ ხმა გავრცელდა, ვანლერ დაისელს გადაეწყვიტა გამოსამშვიდობებელი მიტინგის მოწყობა. წინასწარ მოლაპარაკებოდა რამდენიმე პირს და, მათ შორის, მეც მკითხა, ხომ არ გამოხვალო.

ვუპასუხე:

– გამოსვლა კი მინდა, მაგრამ სიტყვას ვერ ვიტყვი, საჯაროდ არასოდეს გამოვსულვარ, ლექსს კი ვიტყოდი, მაგრამ მრცხვენია-მეთქი.

ვანლერმა გაოცებით შემომხედა:

– რისი გრცხვენია?

– ვაითუ შემეშალოს და ბორძიკი დავიწყო.

მომატანინა ლექსი და წაიკითხა:

– არა უშავს, ზეპირად თუ ვერ იტყვი, დაწერილი წაიკითხე!

განშორების ჟამიც დადგა. ეკლესიის იმ კედელს, რომელიც ეზოს გადმოჰყურებს, კლდოვანი ბექობი ებჯინება. ამ ბექობზე ავედით დაისელი, კიდევ სამი კაცი, ნიკო ხახიშვილი და მე. ხახიშვილი ჟორდანიას მთავრობის ყოფილი დიპლომატიური კურიერი იყო. სამოც წელს გადაცილებული, ციხეებსა და გადასახლებაშიც ნამყოფი. ბევრი საინტერესო ამბავი უამბნია ჩვენთვის. პატიმრებს ასე მიმართა:

– ბევრი თქვენგანი პირველად მიდის რესეთის ციხეებში და გადასახლებაში სასჯელის მოსახდელად. არ შეშინდეთ, გული არ გაიტეხოთ. არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც ხატავენ. ჩვენ აუცილებლივ გავიმარჯვებთ, იმედიანად იყავით.

მოკლე-მოკლე სიტყვები წარმოთქვეს სხვებმაც. ბოლოს დაისელმა გამოაცხადა:

– ახლა თქვენ ლექსით მოგმართავთ ახალგაზრდა პოლიტპატიმარი (დაასახელა ჩემი სახელი და გვარი).

ძალიან ვღელავდი, მაინც საკმაოდ კარგად წავიკითხე ეს ლექსი. პოეტური თვალსაზრისით ეს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მკაფიოდ გამოხატავს ჩემს მაშინდელ განწყობილებას და ამიტომაც გთავაზობთ აქ:

თქვენ დაბრუნდებით

მიდიხართ ძმები შორს, ჩრდილოეთში,
მიგყვებათ დარდიც და სიხარულიც,
არ დაივიწყოთ ჩვენი ქვეყნის მზე
ოქროს სხივებად გადმოღვარული.
იქ ცივა, ცივა... ყინვაა, სუსხი,
ვერ ნახავთ ვარდებს და ზილფაროზებს,
მაგრამ დაიწყებს აყვავილებას
ფიქრები ძვირფას საქართველოზე.
დგახართ კლდესავით გაუტეხელნი,
შეუდრეკელნი, გაუბზარავნი,
თქვენ ვერ გაშინებთ ჯალათთა ტყვია,
მზად ხართ, სამშობლოს შესწიროთ თავი.
ციხის კარებთან გულის კარს ხსნიდით,
იმედის წყაროს სვამდით თასებით
და თქვით: არასდროს არ ელირსება,
მტერმა მებრძოლნი მოსპოს სავსებით.
ჩვენ თუ ციმბირში დავიხოცებით,
დაიბადება სხვა ათასები,
იმავ ფიქრით და იმავ აზრებით,
თქვენ დაბრუნდებით თქვენი წარსულით,
ჩვენი დროშით და ჩვენი ალმებით.
თქვენ მოესწრებით თავისუფლებას,
მშობლიური ცის გასხივოსნებას
და სიამაყით მოუთხრობთ ყველას,
როგორ აღსრულდა ჩვენი ოცნება.

როცა ლექსის კითხვა დავამთავრე, ბექობზე ამოვარდა გადასასახლებლად გამზადებული ერთი გურული პატიმარი, სახელად მირიანი (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს) და მომაძახა:

– გენაცვალე, ბიჭო! ჩვენ დავბრუნდებით, აუცილებლივ დავბრუნდებით! მოვესწრებით თავისუფალი საქართველოს ხილვას!

ლექსი გამომართვა და წაიღო, ჩემს მეგობრებს უნდა გადავაწერინოო.

მე სიხარულისაგან გაბრუებული ვიყავი. კოცნით და შეძახილებით გავაცილეთ ისინი. კონვოის და ჩეკისტებს ამ მიტინგისათვის ხელი არ შეუშლიათ. ცნობისმოყვარეობითაც კი უყურებდნენ და უსმენდნენ ყველაფერს.

წავიდნენ, მაგრამ ბევრი კი დაბრუნდა? ბევრი კი მოესწრო თავისუფალი საქართველოს ხილვას? სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ვნატრობდით.

მიტინგი რომ დამთავრდა, ვანლერ დაისელმა მხარზე ხელი მომხვია, ცალკე გამიყვანა და მითხრა:

– მაგ ლექსით შენ ჩვენს მეგობრებს მოუწოდებ, რომ გაუტეხელნი და უშიშარნი იყვნენ, ხომ ასეა?

– კი, ასეა, მაგრამ არ ვიცი, შევძელი თუ არა ეს.

ვანლერი დაჟინებით მიცქერის. რა უნდა ნეტავ, ვფიქრობ გულში.

– ეგ მოწოდება შენც შეგეხება. შენც გაუტეხელი და უშიშარი უნდა იყო. ახალგაზრდა ხარ და არ მოგატყუონ ამ ძაღლებმა. არ დაიჩოქო და მუხლი არ მოუდრიკო წითელ ჯალათებს, ჩვენს მტრებს და მოღალატეებს. მათი ქება-დიდებით არ დაამთავრო შენი სიცოცხლე, თორემ შეჩვენებული იქნები. გესმის?

– მესმის! შევეცდები, ისე მოვიქცე, როგორც ამბობთ.

– შევეცდები კი არა, ასე იზამ! „შევეცდები" პასუხი არაა!

– ასე ვიზამ!

ასეთი იყო ეს ნიჭიერი პოეტი, რომელმაც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა თავი.

მუდმივ სასჯელს მეტეხის ციხეში მხოლოდ 4-5 პატიმარი იხდიდა. მათ შორის დამამახსოვრდა გიორგი გელაშვილი, შესანიშნავი ვაჟკაცი, რომელსაც შვიდი წელი ჰქონდა მისჯილი და ნახევარზე მეტი უკვე მოეხადა. დანარჩენებისათვის მეტეხის ციხე დროებითი ბინა იყო. აქ ელოდნენ სასჯელის გამოცხადებას და შემდეგ მიჰყავდათ მოსკოვში, იქიდან კი გზავნიდნენ ციმბირში ან რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, თავისუფალ გადასახლებაში ან იზოლატორებში (ციხეებში) სასჯელის მოსახდელად.

აქ გამომიცხადეს მე სასჯელიც – ორი წლით პატიმრობა, ყვავილაშვილს და გოგუაძეს ორ-ორი წელი, ქავთარაძეს და ავალიშვილს სამი წლით გადასახლება. გრიშა სვანი და დათიკო კობალავა ჩვენზე მოგვიანებით დააპატიმრეს და მათაც სამ-სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს. საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. თუ ვინმე სასტიკად დასასჯელი იყო, მე უნდა ვყოფილიყავი და არა ჩემი მეგობრები. აქ კი სიურპრიზი – ყველაზე ნაკლები სასჯელი მე. ვღელავდი და ვერაფრით ამეხსნა ჩემდამი ასეთი მოწყალება. მერე კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ზევით რომ პლატონ ლეჟავა ვახსენე, ბიძაჩემ ანდროს ქვისლი, როგორც ჩანს, დამეხმარა, პროტექციამ ჩეკაშიც გაჭრა. საქმე შემდეგ სხვანაირად შეტრიალდა, გადასახლებულთა შორის მეც მოვხვდი, მაგრამ ახლა უკვე სხვა მიზეზით. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

მეტეხში ჩემს დროს სხვადასხვა სოციალური ფენის – ინტელიგენციის, მუშების, გლეხების წარმომადგენლები ისხდნენ. მათგან ზოგი სოციალ-დემოკრატებს, ახალგაზრდა მარქსისტებს, ზოგიც სოციალ-ფედერალისტებს ან ეროვნულ-დემოკრატებს აკუთვნებდნენ თავს. უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები და ახალგაზრდა მარქსისტები შეადგენდნენ. იყვნენ უპარტიოებიც, რომლებიც, თუმცა აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ აწარმოებდნენ, მაგრამ რომელიმე პარტიას მაინც თანაუგრძნობდნენ ან, უბრალოდ, რაღაც დახმარებას უწევდნენ.

ასეთი მაგალითი შეიძლება გავიხსენო: ციხეში მოიყვანეს ორი დიღმელი გლეხი – გენებაშვილი და მამუჩაშვილი. მათი დანაშაული ის იყო, რომ ვიღაც მისულიყო მათთან და ეთხოვა, პოლიტპატიმრების დასახმარებლად შეძლებისდაგვარად ფულადი შემწეობა გაეწიათ. მათაც 25-25 მანეთი გაელოთ. უცნობს მიეცა ქვითარი, რომ გენებაშვილისა და მამუჩაშვილისაგან მიიღო ზემოთ აღნიშნული თანხა. არ ვიცი, რანაირად, ეს ქვითრები უპოვეს მათ და ამის საფუძველზე სამ-სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს (ირკუტსკამდე „ეტაპით“ ჩვენთან ერთად იმგზავრეს, მერე დავშორდით ერთმანეთს). ვერ გეტყვით, ეს წინასწარ მოწყობილი პროვოკაცია იყო, თუ, უბრალოდ, გაუფრთხილებლობის ან გამოუცდელობის შედეგი (ისე, როგორც ჩვენ დაგვემართა).


დამოკიდებულება პოლიტპატიმრებს შორის ძალიან მეგობრული იყო და მე არ მახსოვს, ჩემი იქ ყოფნის დროს პოლიტიკურ შეხედულებათა ნიადაგზე მათ შორის წაკინკლავებას ან დამდურებას ჰქონოდეს ადგილი. ყველანი თავს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლებად თვლიდნენ. საქართველოს ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ და სამშობლოსადმი ეს სიყვარული მტკიცედ აერთიანებდა მათ.

საჭმელად პატიმრებს აძლევდნენ ლობიოს, ზოგჯერ წვნიანს, რომელშიც ერთი პატარა ნაჭერი ხორცი იყო. პურს დაახლოებით 400–500 გრამს. დილით და საღამოს ჩაის (უშაქროდ). როგორც მახსოვს, ეს ულუფა პატიმრებს არ ჰყოფნიდათ და მხოლოდ გარედან მოსული „გადაცემები“ ამსუბუქებდა მდგომარეობას.

პატიმრების უმრავლესობა ზაფხულში ხის ქოშებს ატარებდა. ბევრჯერ მინახავს, საღამო ხანს, ეზოში განუწყვეტლივ ისმოდა ტაკა-ტუკი. ეს ხისქოშებიანები ან ბოლთას ცემდნენ, ან წრეს ურტყამდნენ. ზოგჯერ ისე სწრაფად და სერიოზულად, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდათ და დანიშნულ ადგილას დროზე უნდა მიესწროთ. ჩანს, ორგანიზმი მეტ მოძრაობას მოითხოვდა.

გასართობი პატიმრებისათვის იყო წიგნების კითხვა, ჭადრაკი და ნარდი. ძალიან უყვარდათ სიმღერაც, ხან ხმამაღლა, ხან ღიღინით. ამ სიმღერით ჩემს დროს თავი ისახელეს ჭიათურიდან მოყვანილმა პოლიტპატიმრებმა – უჩა და გიორგი საყვარელიძეებმა, დემნა დადიანმა და სოქილა ცომაიამ (მგონი, ეს ის ცომაიაა, რომელიც განთავისუფლების შემდეგ ჭიათურის თეატრში მოღვაწეობდა). საოცარი ბანი ჰქონდა უჩა საყვარელიძეს. პატარა ტანისა იყო, მაგრამ ისე დასჭექდა „მრავალჟამიერს“, რომ თითქმის ყველა კორპუსში ისმოდა. მას აჰყვებოდნენ სხვა პატიმრებიც და ამით გულს იოხებდნენ.

კითხულობდა თითქმის ყველა და მერე ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს უზიარებდნენ. გარდა ამისა, ხანდახან ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები („საღამოს“ ვამბობ, თორემ სინამდვილეში ეს ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, ხდებოდა).



ვანლერ დაისელის წიგნის „გუშინ და ხვალ“ ყდა
თბილისი, 1928 წელი

ერთხელ ასეთ საღამოში მეც მივიღე მონაწილეობა. მისი ინიციატორები იყვნენ მიხეილ კანკავა და ვანლერ დაისელი. კანკავამ დამავალა ქართულ რომანტიზმზე დამეწერა რეფერატი და მერე წამეკითხა. დამისახელა ლიტერატურაც, რომლითაც მამაჩემმა გარედან მომამარაგა. კანკავას ხელმძღვანელობით ამ საქმეს თავი კარგად გავართვი.

„საღამო“ შესავალი სიტყვით კანკავამ გახსნა, ზოგადად ილაპარაკა საერთოდ რომანტიზმზე და მერე სიტყვა მე მომცა. ჩემ შემდეგ გამოვიდა დაისელი, რომლის მოხსენების თემაც იყო ქართული ფოლკლორის მნიშვნელობა ჩვენი მწერლობისათვის. ამას მოჰყვა ლექსების თქმაც. ათამდე პატიმარი (მათ შორის, ავალიშვილიც) გამოვიდა და წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები. ლექსები წაიკითხა დაისელმაც. რა შინაარსის იქნებოდა, თქვენ თვითონ მიხვდებით და სიტყვას ვრცლად აღარ გავაგრძელებ (უაღრესად ცხარე, პატრიოტული მიმართულებისა იყო).

ახლა ორიოდე სიტყვა მიხეილ კანკავასა და ვანლერ დაისელზე. კანკავა, ჩემი ვარაუდით, მაშინ იქნებოდა 28-29 წლისა. სულ ფრანგულ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს დაატარებდა და კითხულობდა ბეჯითად. როგორც მან მითხრა, დაიჭირეს საზღვარზე არალეგალურად გადასვლის მცდელობისას. აპირებდა საფრანგეთში წასვლას. მისჯილი ჰქონდა 2 თუ 3 წელი. როცა განთავისუფლების შემდეგ ერთმანეთს შევხვდით, ჩვენ შორის უფროს-უმცროსული მეგობრობა გაგრძელდა. გარეგნულად მიუკარებელი, ცივი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში ძალიან კეთილი, გულთბილი და ჰუმანური ადამიანი იყო. როცა სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ყოფილი პუშკინის სახელობისა) დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გადაუხადეს, მეც დამპატიჟა. ბანკეტზე შესანიშნავი პატრიოტუ-

ლი სიტყვა წარმოთქვა. თუ ვინმემ ჩაინერა, კარგ საქმეს იზამდა. ჩემთან შეხვედრების დროს ციხის გახსენება უყვარდა და ზოგიერთ პატიმარს სიყვარულით იგონებდა.

ვანლერ დაისელი, რომლის ნამდვილი გვარი ბაბუაძეა, ჩემთვის ცნობილი იყო ლექსების პატარა წიგნით, რომელიც ვაგზლის კიოსკში მქონდა ნაყიდი. წიგნს ეწერა: ვანლერ დაისელი და მასში ორი პოეტის ლექსები იყო მოთავსებული. ვინ იყო ის, არ ვიცი.[1] დაისელი კი პირადად ციხეში გავიცანი, ისიც დაახლოებით იმავე ხნისა იქნებოდა, როგორც კანკავა. კარგად არ მახსოვს, მგონი, ნაყვავილარი იყო. მე მასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა. ერთხელ ეკლესიის კედელთან კლდეზე ვისხედით. ჯერ ჩემი ამბავი გამომკითხა დაწვრილებით, მერე მე ვკითხე:

– ბატონო ვანლერ, რა საქმეზე დაგიჭირეს?

– დაჭერით ეს მეორეჯერაა, რომ დამიჭირეს. პოემა დავწერე ერთი 1924 წლის აჯანყებაზე, ვალიკო ჯუღელზე.

– რა ჰქვია თქვენს პოემას, იქნებ წაკითხული მაქვს?

– არა, არ გექნება. ის, გამოვიდა თუ არა, მაშინვე აკრძალეს. პოემას კი ვუწოდე „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე".

– მერე რა მოხდა?

– როცა გამჩხრიკეს, ამ პოემის პირვანდელი ავტოგრაფი ნახეს, რომელშიც ვალიკო ჯუღელი და გოგიტა ფალავა მყავდა მოხსენიებული. ჩემმა მტკიცებამ, რომ „ბალადა ვეფხვზე" მართლა ტფილისთან ახლოს მოკლულ ვეფხვს ეხება-მეთქი, არ გასჭრა.

გაეცინა, მეტისმეტად გაუფრთხილებლად მოვიქეციო. ნაბეჭდ ტექსტში ჯუღელისა და ფალავას გვარების ხსენება აღარ არის. ვთხოვე, რამე წაეკითხა ამ პოემიდან. უარი არ უთქვამს: აი, ასე იწყებაო. მე როგორც დამამახსოვრდა, ისე ვწერ ამ დასაწყისს, თუმცა, შესაძლებელია, ზუსტად ვერ აღვადგინო და ჩემი სიტყვებიც გაერიოს შიგ. მაგრამ რას ვიზამ, ეს ხომ 61 წლის წინათ მოვისმინე:

ღრუბელო აზიისა,
რა თეთრი და მჩატე ხარ,
მობანავე ქალივით
ცის ლურჯ ზღვაში ცურაობ.
ვეფხვის მღვრიე თვალებში
მზემ შუქები ჩატეხა
და დარდები გულიდან
თითქოს ამოსწურაო.

წამიკითხა სხვა ადგილებიც. ძალიან მომეწონა. საერთოდ კარგი ლექსები ჰქონდა. ერთხელ ბიძაჩემის კაბინეტში წიგნებს ვათვალიერებდი. გავშალე ერთი მოზრდილი წიგნი და რას ვხედავ! შიგ ეს პოემა არაა ჩადებული? გარეკანზე ვეფხვის ტანი იყო დახატული, თავი კი არ უჩანდა, ღრუბლებში იყო გახვეული. ერთი ვიფიქრე, ჩუმად წამეღო, მაგრამ ეს არ ვკადრე ბიძაჩემს. იქნებ, სჯობდა წამეღო. აი, ეს ნიჭიერი პოეტი, საქართველოსთვის თავდადებული, მივიწყებულია ათეული წლების მანძილზე და

[1] აქ ნახსენები „პატარა წიგნი" არის ვანლერ დაისელისა (ივანე ბაბუაძე) და „სილეო-რეანის" (შალვა კაშმაძის ფსევდონიმია) მიერ 1927 წელს გამოცემული პოეტური კრებული „გული და დღეები".

მისი აღარაფერი გამოცემულა. იქნებ, „ბალადა ვეფხვზე" ვინმეს ჰქონდეს და კარგს იზამს, თუ გამოაქვეყნებს. ისე, კარგი ქნა ბატონმა სოლომონ ხუციშვილმა, რომ ის გაიხსენა და „საქართველოს რესპუბლიკაში" მასზე წერილი დაბეჭდა (1990, №10). ბოლო დროს არხანგელსკში ყოფილა გადასახლებული და ვინ იცის, სად და როგორ დალია სული.

ჩვენ რომ დაგვიჭირეს, 17-18 წლისანი ვიყავით და პატიმრები გულთბილად გვეპყრობოდნენ. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი კახელი ბიჭი, რომელიც სასჯელს მეტეხში იხდიდა, 16 წლისა დაეტუსაღებინათ და ამით ჩვენი ახალგაზრდობის „რეკორდი" მოხსნა. არ მახსოვს მისი გვარი და სახელი. საოცარი „ფილოსოფია" ჰქონდა და პირველად ამით მიიპყრო ჩემი ყურადღება. ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე რაც სულიერია, ღმერთის გაჩენილია და, მაშასადამე, მათი არსებობაც საჭიროა; მათი მოკვლა, მოსპობა უდიდესი ცოდვააო. ამ ნიადაგზე ერთ პატიმარს, რომელიც ბაღლინჯოებს ებრძოდა და სპობდა, დიდი საყვედური უთხრა: ეგ მწერები ღმერთის გაჩენილია და უფლება არავის აქვს, ძალით სიცოცხლე მოუსწრაფოსო. ამ ახალგაზრდას ღიმილით უსმენდნენ, მაგრამ მის რჩევას არავინ ასრულებდა (ბაღლინჯოები საკმაოდ გავრცელებული იყო და მათ მოსასპობად პატიმრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ).

ბიჭს ზევითა სამი კბილი ჩამტვრეული ჰქონდა. ერთხელ ეკლესიის კედელთან ვისხედით და ვკითხე, კბილები სად დაკარგე-მეთქი. მიპასუხა:

– კი არ დავკარგე, დამაკარგვინეს.

– ეს როგორ?

– როცა დამიჭირეს, სასტიკად მცემეს. სახეში რაღაცას მირტყამდნენ და კბილებიც მაშინ ჩამილეწეს.

აი, ასეთი რამე მიამბო. მამა პოლიტიკურ ნიადაგზე ტყეში ყოფილა გაქცეული რამდენიმე მეგობართან ერთად. კვირაში ერთხელ კალათით მათთან საჭმელი დაჰქონდა. ვილაცებმა გაიგეს და დააბეზღეს. დაატუსაღეს და ჯერ მოფერებით ცდილობდნენ, გაეგოთ გაქცეულთა ადგილ-სამყოფელი, მერე ცემით და წამებით, მაგრამ ამ კახელმა ბიჭმა ყველაფერს გაუძლო. არ გასცა არც მამა, არც მისი მეგობრები. სულ იძახოდა თურმე: მე არაფერი ვიცი, სად არიან გაქცეულნი, მე ვინ მეტყოდაო. ამ დაკითხვა-წვალებაში გასულა რამდენიმე თვე, ბოლოს ჩეკისტებს თავი დაუნებებიათ. ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

ნაცემი და ნაწამები პატიმრები სხვებიც შემხვდნენ. ერთს მაუზერის ყუით თავის ქალა ჰქონდა გატეხილი, შეუხორცებელი ჭრილობიდან ჩირქი სდიოდა და თავი გაუწყვეტლივ ბინტით ჰქონდა შეხვეული. აბანოში ვნახე სამოც წელს მიღწეული კაცი, რომელსაც მთელი ტანი ლურჯი ლაქებით ჰქონდა დაფარული. რომ ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი, ასე მიპასუხა:

– ეს ჩეკისტების საჩუქარია. ისე უმოწყალოდ მცემდნენ, რომ მთელი ტანი ლილისფერი გამიხდა. ახლა კიდევ არა უშავს, ლურჯ-შავი ფერი თანდათან გადადისო.

ახალციხიდან თუ ახალქალაქიდან მოიყვანეს ერთი ქართველი პატიმარი, გვარად კანკავა, მასწავლებელი. მის მიმართ წამების ბარბაროსული ხერხი გამოეყენებინათ. გაეძროთ შარვალი და საცვალი. ხელგაკრული დაესვათ საჯდომაგლეჯილ სკამზე და წყლით სავსე ბოთლი მამაკაცის კვერცხებისათვის გამოებათ. ამბობდა, პირველად ვერაფერი ვიგრძენი, მაგრამ მერე ისეთი ტკივილი დამეწყო, რომლის მსგავსი ვერ

წარმომედგინაო. როდემდე იყო ასე, არ ახსოვდა. მერე გრძნობა დაეკარგა. როცა გონს მოვიდა, ცივ იატაკზე ეგდო. დაემართა ანთება და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მეტეხის ციხე ჩემთვის სამოთხეაო, ამბობდა სიხარულით.

ახლა თითებზე ფრჩხილსა და ხორცს შორის საკმაოდ ღრმად ქინძისთავის ან ბამბუკის კანის ანათალით ჩხვლეტა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და, ვინ იცის, რამდენჯერ! გაუძელი, თუ ვაჟკაცი ხარ! უძლებდნენ და არ ტყდებოდნენ!

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ახლა ბევრს ჰგონია, თითქოს წამება კიროვის მოკვლის შემდეგ გავრცელდა, 1937 წლიდან უფრო საშინელი სახე მიიღო, ხოლო „გულაგებში" უარესი ხდებოდაო. არა, ბატონო! წამების სხვადასხვა სახე ჩეკას ჯურღმულებში თავიდანვე არსებობდა და რამდენი პოლიტპატიმარი შეეწირა წითელ ჯალათებს, ვინ მოთვლის!

საოცარი ის არის, რომ ზოგიერთი ნაჩეკისტარი დღის სინათლეზე გამოძვრა და ამტკიცებს, თითქოს მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყოს და თითქმის თავისუფლებისათვის მებრძოლად ასაღებს თავს.

სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბრის პირველ რიცხვებში მამაჩემმა მითხრა, რომ ექიმთან მივსულიყავი და საავადმყოფოში გადაყვანა მომეთხოვა. ჩემს პასუხზე, რომ არაფერი მტკივა და მაწუხებს (გარდა იმისა, რომ თმებმა დამიწყო ცვენა და პირველად ამას ძალიან განვიცდიდი), მან მიპასუხა, შენ მიდი და დანარჩენი ექიმმა იცის, დაისვენე ერთი ათი დღითო. მივედი ციხის პირველ ნაწილში, იქ იყო ამბულატორია. დამხვდა ჩემთვის უცნობი ექიმი ქალი. გვარი რომ გაიგო, გაეღიმა და მკითხა: რა გტკივაო? მეც ვუპასუხე, განუწყვეტლივ თავბრუხვევა მაქვს-მეთქი. მანუგეშა: ნუ გეშინია, ნერვიულობის ბრალია, საავადმყოფოში ცოტა ხნით დაისვენეო.

ეს ქალი ჩვენი ოჯახის მეგობრის, ექიმ ლავრენტი სალარიძის, ნათესავი თუ ნაცნობი აღმოჩნდა. ცხადი იყო, ჩემი საავადმყოფოში გაგზავნა სალარიძის დახმარებით მოხდა. წამიყვანეს ყოფილ საგუბერნიო ციხის საავადმყოფოში. აქ რამდენიმე ჩემი ნაცნობი პატიმარიც დამხვდა, მათ შორის, გრიშა სიმონია. ჩემს შეკითხვაზე, რა გტკივა-მეთქი, ჩუმად მიპასუხა: უნდა დავამტკიცო, რომ მე ტუბერკულოზით ვარ ავად და იქნება ადრე გამათავისუფლონო. ტუბერკულოზით მართლაც ინვა საავადმყოფოში რამდენიმე კაცი და მათგან ჩუმად უნდა „ესესხა" ჩემს მეგობარს კოხის ჩხირები. ეს მან გააკეთა და, მგონი, რაღაცაში დაეხმარა კიდეც.

საავადმყოფოში ჩემ გვერდით ინვა ერთი პატიმარი, გვარად გეორგიევსკი (წარმოშობით სომეხი. გეორგიევსკი, მგონი, ფსევდონიმი იყო). იგი სამოც წელს იქნებოდა მიღწეული და გამეცნო როგორც მომღერალი. ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ იგი თურქეთში იყო ნაცხოვრები და „შპიონობას" აბრალებდნენ. მაგ ბრალდებით თუ ვინმე იყო პატიმარი, მათი ბედი თითქმის გადაწყვეტილად ითვლებოდა, დახვრეტა არ აცდებოდათ. ძალიან შფოთავდა და მეუბნებოდა, რომ არავითარი დანაშაული მიმიძღვის და ეგენი კი ათას რაღაცას მაბრალებენო. ვამხნევებდი, რომ სიმართლე არ დაგეკარგება-მეთქი, მაგრამ ჩემი ნათქვამისა მე თვითონ არ მჯეროდა. იმედი კარგია, მაგრამ ასეთივე ბრალდებით დააპატიმრეს და, მგონი, დახვრიტეს კიდეც ცნობილი მომღერალი სანდრო დოლონაძე, არაფერმა უშველა,

გამახსენდა, 1927 თუ 1928 წლებში აფიშებზე ხშირად შემხვედრია სანდრო დოლონაძის სახელი და გვარი, მგონი, ბარიტონი იყო. დაეჭირათ და მერე მისი ხსენება



მიხეილ კეკელიძე (დგას მარცხნიდან მესამე) პოლიტიკურ პატიმრებთან საგუბერნიო ციხეში თბილისი, დეკემბერი, 1929 წელი

არსად შემხვედრია, არც ახლანდელ დროში, როცა წარსულში რეპრესირებული ბევრი ადამიანის ხსოვნას მოსაგონარი წერილები უძღვნეს. სინამდვილეში რა ბედი ენია მომღერალ დოღონაძეს, არავინ იცის.

იმ ორ კვირას, რაც მე საავადმყოფოში ვიყავი, კარგი ამინდები იდგა და ხშირად ხალათმოხმული ეზოში ჩავდიოდი (ამას არ გვიშლიდნენ). ეზოში გავიგე, რომ მეტეხიდან მოყვანათ ორმოცამდე პატიმარი „საეტაპოდ“ გამზადებული, ძალიან მინდოდა მათი ნახვა, მაგრამ საავადმყოფოს ხალათით შორს ვერ წავიდოდი. აღელვებული ვიყავი და არ ვიცოდი, რა მექნა. ამ შფოთვაში რომ ვარ, მოულოდნელად საავადმყოფოს ვიღაც ოთხი კაცი მოადგა და გამომიძახეს. გამოვედი და რას ვხედავ? ავალიშვილი, ქავთარაძე, სვანი და ივანიაძე შემრჩნენ ხელთ. ძალიან გავიხარეთ და მითხრეს, რომ მათთან წავსულიყავი, მაგრამ ხალათით შორს არ გამიშვებდნენ. წავიდნენ ჩემი მეგობრები და ერთ საათში მომიტანეს ქუდიც და სამოქალაქო ტანსაცმელიც (თავიანთი ბარგიდან). გავყევი მათ და თითქმის ყველას შევხვდი, ვისთანაც კი მეტეხში ნაცნობ-მეგობრობა მქონდა. ასე ვიყავი მათთან ყოველდღე რამდენიმე საათით, მაგრამ მათი წაყვანის დრომაც მოაწია.

ყველას კოცნით ვემშვიდობებოდი. ჭიშკართან პატიმრებმა მიტინგი მოაწყვეს. ავალიშვილმა ეროვნული სამფეროვანი დროშა ააფრიალა და მის ერთგულებაზე ყველამ დაიფიცა. ამბობდნენ პატრიოტულ სიტყვებს და გამოთქვამდნენ იმედს, რომ მალე დაბრუნდებოდნენ თავისუფალ საქართველოში. სამწუხაროდ, ამ იმედის განხორციელებას ისინი ვერ მოესწრნენ, ზოგი ციმბირში ჩაკვდა, ზოგმაც ბუნებრივი

სიკვდილით, გაუხარებლად დალია სული. იქ ყოფნის დროს ბევრ სურათს ვიღებდით მეგობრები (ფოტოგრაფს შემოსვლის ნებას აძლევდნენ). რამდენიმე სურათი დღემდე შემრჩა. ორი კვირის შემდეგ ისევ მეტეხში დამაბრუნეს. პატიმართა ცხოვრება ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ წლის მიწურულში, თუ მანამდე უფრო ადრეც (საოცარია, თვე არ მახსოვს), ციხე აფორიაქდა: პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. რაჟდენ ჯალაღანიას ჩამოეწერა პატიმართა მოთხოვნები. ზუსტად არ ვიცი, რას მოვითხოვდით, მაგრამ ორი პუნქტი მახსოვს. პირველი, ან პურის გასაყიდი ჯიხური გაეხსნათ ჩვენს მხარეს, ან შესასვლელში არსებულ ჯიხურში იმდენი პური მოეტანათ გასაყიდად, რომ პოლიტიკურების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. აბანო უფრო ხშირად ყოფილიყო და სანიტარული პირობები გაეუმჯობესებინათ. სხვა პუნქტებზე ვერაფერს გეტყვით.

დილიდანვე საჭმლის მიღებაზე უარი განვაცხადეთ. ციხის ადმინისტრაცია შეშფოთდა და ჯალაღანიასათვის ეთქვათ, თქვენს მოთხოვნებს ჩეკას ვაცნობებთ, ახლა კი საჭმელი მიიღეთო. ამაზე პატიმრებმა უარით უპასუხეს. დაიწყო შიმშილობის პირველი დღე, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა. მეორე დღეს გარედან პატიმრებს „გადაცემები“ უნდა მიეღოთ. ციხის კარებთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა ციხეში, რატომ არ იღებდნენ მოტანილ საჭმელს. ამას ზედ დაერთო ხანძარი, რომელიც სამზარეულოში გაჩნდა და შავი კვამლი სულ ზევით და ზევით მიიწევდა. შეშინებულ ხალხში ვიღაცას ეთქვა, ციხეში პატიმრები დახოცეს, რომელიღაც კორპუსი იწვისო. გარედან გვესმოდა კივილისა და ყვირილის ხმა, შეძახილები: „ჯალათებო! ჯალათებო!“. როგორც იქნა, ჭირისუფლებს აცნობეს, პოლიტიკურები შიმშილობენ და საჭმელს ამიტომ არ იღებენ, არავითარი მსხვეპლი არ არის, მაგრამ ისინი ციხეს მაინც არ შორდებოდნენ და პატიმრების ნახვას მოითხოვდნენ.

ნაშუადღევს ჩვენს კორპუსში ოცდაათამდე ჩეკისტი შემოიჭრა. მათ ხელმძღვანელობდნენ „სეკოს“ (საიდუმლო განყოფილების) უფროსი მელიქაძე და გამომძიებელი სულთანიშვილი, აი ის, მე რომ დახვრეტით მემუქრებოდა. შედიოდნენ კორპუსებში, თან ახლდათ 10–12 ჯარისკაცი (ბადრაგი). როგორც ჩანს, წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით შერჩევით იძახებდნენ პატიმრებს, ბარგი შეკარით და წასაყვანად მოემზადეთო. სულთანიშვილი ჩვენს საკანშიც ამოვიდა. პატიმრები ლოგინებზე ისხდნენ. მერე მოულოდნელად მივიდა ერთ ბოძთან, რომელზედაც ფანერის ფირფიტა იყო ჩამოკიდებული, მასზე №43 საკანში მყოფი პატიმრების სახელი და გვარი იყო აღნიშნული.

უცებ დაიყვირა:

– სად არის კეკელიძე?

სწორედ მის წინ ვიჯექი და ვუპასუხე:

– აქა ვარ.

– ბარგი შეკარი და სწრაფად დაბლა! ერთი უყურეთ ამ ცხვირმოუხოცელს, შიმშილობით არ გვაშინებს ახლა?

რა უნდა მეპასუხა? შევკარი ბარგი და ეზოში ჩავედი. იქ დამხვდნენ სხვა პატიმრებიც, დაახლოებით ოცდაათ კაცამდე, მათ შორის, ჯალაღანიაც, რომელმაც გვითხრა: სადაც არ უნდა მიგვიყვანონ, შიმშილობას მაინც განვაგრძობთო. გაგვიყვანეს წინა (შემოსასვლელ) ეზოში. იქ სამი შავი დახურული მანქანა იდგა. შეგვყარეს შიგ და ისევ „გრუზჩეკაში“ ამოგვაყოფინეს თავი.



მიხეილ კეკელიძე საგუბერნიო ციხეში
თბილისი, 12 თებერვალი, 1930 წელი

პატიმრები ხუთ-ექვსკაციან ჯგუფებად დაგვყვეს და საკნებში მოგვათავსეს. საღამო ხანი იყო, როცა ეს პროცედურა დამთავრდა. ჩემთან ერთად იყვნენ გიორგი გელაშვილი, ქარსელაძე და კიდევ სამი კაცი, რომელთა გვარები არ მახსოვს. ერთიმეორის მიყოლებით ნარებზე გაეშალეთ ლოგინები და დაწექით. საკანში ერთ მხარეს არაპოლიტიკურები იყვნენ, მათ შორის, ინტელიგენტებიც. შუაღამისას რომელიღაც მათგანი ადგა და გელაშვილს ათამდე შაქრის ნატეხი მისცა. გელაშვილმა მხოლოდ ორი ნატეხი დაიტოვა, დანარჩენზე უარი თქვა, ის ორი ნატეხიც ჩუმად მე მომცა, როცა ძალიან გაგიჭირდეს, მაშინ შეჭამეო.

გათენდა შიმშილობის მესამე დღე. უჭმელობა მაწუხებს, მაგრამ არა ისე, როგორც წარმოდგენილი მქონდა. საღამო ხანს უცნაური რამ მოხდა. ჩემ გვერდით ქარსელაძე იწვა. ოცდაათ წლამდე იქნებოდა. უცებ დაიწყო წუწუნი: ვაი, დედა, მუცელი მეწვის, შიგნეული მეწვის, ნამდვილად ვკვდებიო. ხან წამოდგომას ცდილობდა, ხან პირქვე დამხობას. გელაშვილი ამშვიდებდა, ცოტაც გაუძელი და ყველაფერი გაგივლისო. არაფერმა გასჭრა, უფრო და უფრო მოუმატა წუწუნს, შეაწუხა მთელი საკანი. გულმოსული გელაშვილი მიუბრუნდა მას და უთხრა:

– არა გრცხვენია, კაცო? აგერ ყმაწვილი წევს ჩვენ გვერდით (ჩემზე მიუთითა) და ხმას არ იღებს, შენ რა დაგემართა? ვაჟკაცი არა ხარ?

– რა ვქნა, ნამდვილად მოვკვდები, მეტის მოთმენა არ შემიძლია.

გელაშვილს სიბრაზე თანდათან ემატებოდა. ბოლოს მკვახედ უთხრა:

– ახლავე შეწყვიტე შენი კვნესა, თორემ არავის მოვერიდები: ცხვირ-პირს ისე დაგინაყავ, რომ ვერავინ გიცნოს. შენ ხომ არ გგონია, რომ დაგინდობ? ვინ გაძალებდა შიმშილობას? თუ თავის იმედი არა გქონდა, თავიდანვე უარი ვერა თქვი?

წამოიწია გელაშვილი, ჩაავლო ხელი მოწუწუნე პატიმარს და ისე მაგრად შეანჯღრია რამდენჯერმე, რომ იმან მაშინვე ხმა გაიკმინდა. საოცარი რამ მოხდა, შემდეგ მისი კვნესა არ გაგვიგონია. გავიდა შიმშილობის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დღე. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე გვითხრეს, საჭმელს ხომ არ მიიღებთო, მაგრამ უარი ვუთხარით.

შიმშილობის მეშვიდე დღეს, საღამო ხანს, ერთ-ერთი საკნიდან საშინელი ყვირილ-ღრიალი მოგვესმა. გელაშვილმა თქვა, მგონი, ვიღაცას სცემენო. მაგრამ საქმე ასე არ ყოფილიყო. ეს შემდეგ გავიგეთ. ერთი საათის შემდეგ ჩვენთან შემოვიდა ვიღაც ჩეკისტი და გვითხრა, ჯალაღანიამ შიმშილობა შეწყვიტა და თქვენც შემოგითვალათ, ასევე მოიქციითო. ჩვენებმა არ დაიჯერეს და მოითხოვეს ჯალაღანიასთან შეხვედრა. ჩეკისტი ამას დაეთანხმა და გელაშვილი მას ბარბაც-ბარბაცით გაჰყვა. სიმართლე აღმოჩნდა, ჯალაღანიას შიმშილობა შეეწყვიტა. მიზეზი შემდეგ გავიგეთ.

ჯალაღანიასთან შესულიყვნენ ორი გამომძიებელი და თეთრხალათიანი კაცი და ქალი. მიეცათ წინადადება, შიმშილობა შეეწყვიტა, რაზედაც უარი მიიღეს. შემდეგ გაეყვანათ ცალკე ოთახში, რომელშიც ოთხი აყლაყუდა ჯარისკაციც ყოფილიყო და იქ ეთქვათ:

– შიმშილობას თუ არ შეწყვეტ, იძულებით გამოგკვებავთ, რეზინის მილით პირიდან და უკანალიდან იმდენ წვნიანს მიიღებ, რომ შენი შიმშილობა ძალას დაკარგავსო.

ჯალაღანიას ისევ უარი ეთქვა. მაშინ ჯარიკაცებს პირქვე ტახტზე დაეკრათ ის და პრაქტიკულად შედგომოდნენ მუქარის განხორციელებას. ეს პროცედურა ითაკილა და ისირცხვილა ჯალალანიამ და შიმშილობა შეწყვიტა. ამის შემდეგ შიმშილობა შევწყვიტეთ ჩვენც.

ისე კი, არ ვიცი, ზემოხსენებული წესით შეიძლება თუ არა ადამიანის ხელოვნურად, ძალით გამოკვება.

ის ღამე ჩეკაში გავათენეთ. დილით მარტო მე გამომიძახეს. გასასვლელში შემხვდა ჩემი უფროსი მეგობარი ალიკო მაჭავარიანი (ის ფედერალისტი თუ ეროვნულ-დემოკრატი იყო). „შავ მანქანაში“ ჩასხდომის წინ თითო ცალი შავი პური მოგვცეს, ეს თქვენ გეკუთვნითო. უფროსი მეგობრებისაგან გაგონილი გექონდა, ნაშიმშილევზე ბევრი არ უნდა გეჭამა. ჩვენც პატარ-პატარა ყუა მოვატეხეთ პურს, მაგრამ ერთი-ორი ლუკმა რომ გადავყლაპეთ, სულ დაგვავიწყდა გაფრთხილება და თითო პური თითქმის მთლიანად შევჭამეთ გზაში. საბედნიეროდ, ცუდი შედეგი არ მოჰყოლია.

მივდივართ მანქანით. ჩვენთან ერთად კიდევ რამდენიმე პატიმარია. ვნატრობთ, მალე მივიდეთ მეტეხში, მაგრამ გზა არ ილევა. ბოლოს, როგორც იქნა, სადღაც გავჩერდით. მეტეხის ციხის ნაცვლად ყოფილ საგუბერნიო ციხეში მიგვიყვანეს. იქ საღამოსთვის მოიყვანეს ყველა სხვა პატიმარიც, რომლებიც შიმშილობდნენ. მეორე-მესამე დღეს ამათ დაემატა მეტეხიდან გადმოყვანილი ორმოცამდე ტუსაღიც. უკვე გავიგეთ – ჩვენ რუსეთსა და ციმბირში გვიპირებდნენ გადასახლებას.

ყოფილ საგუბერნიო ციხეში (ახლა მას, მგონი, ორთაჭალისას უწოდებენ) კარგა ხანს დავრჩით. დეკემბრის მეორე ნახევარი და იანვარიც მშრალი, მზიანი ამინდებით გამოირჩეოდა. გამოვდიოდით ეზოში (ამას არ გვიშლიდნენ) და ვეფიცხებოდით მზეს, თანაც ვნატრობდით, რომ გადასახლებაშიც ყველანი ერთად ვყოფილიყავით. მაგრამ ეს თურმე ოცნება იყო, „სადაურსა სად წაიყვანს“ საბჭოთა ხელისუფლება, ეს



მიხეილ კეკელიძე (მეორე რიგში მარცხნიდან პირველი) პოლიტიკურ პატიმრებთან საგუბერნიო ციხეში

თბილისი, 15 თებერვალი, 1930 წელი

მხოლოდ „ოგეპეუმ“ იცოდა, თუმცა იყო გამონაკლისიც, ძველი მეგობრები ხანდახან შემთხვევით ერთად ხვდებოდნენ ციხეშიც და გადასახლების ადგილზეც.

ციხის ეზოში პატიმრები სამახსოვრო სურათებს იღებდნენ. ერთ დიდ ჯგუფში მეც ვარ პირველი რიგის პირველ ადგილზე. კიდევ კარგი რამდენიმე სურათთან ერთად ესეც შემრჩა. სამწუხაროდ, ამ პატიმრებისაგან უმრავლესობის გვარი აღარ მახსოვს.

დეკემბერ-იანვარი, როგორც აღვნიშნე, მშრალი და თბილი იყო. ეს თვეები თბილისში გავატარეთ. იანვრის ბოლოს თუ თებერვლის პირველ რიცხვებში გამოგვიცხადეს, წასასვლელად მოვმზადებულიყავით. ეს დღეც დადგა. ციხის კარებთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. უმრავლესობა ჭირისუფლები იყვნენ. მოვიდნენ ჩემი მშობლებიც, და-ძმა, ბიცოლაჩემი მინადორა კასრაძე და ჩემი გულითადი მეგობარი ნიკო ტატიშვილი (ის არ დაუპატიმრებიათ, რადგან ჩვენზე უმცროსი იყო წლინახევრით და „ჩეკამ“ რატომღაც თავი შეიკავა მისი დაჭერისაგან). მოჰქონდათ საჭმელი და ხილი. ციხის კარებთან პატიმრებმა მიტინგი გამართეს და იმედს გამოთქვამდნენ, მალე დავბრუნდებითო. ტუსაღები შეუდრეკელი, გაუტეხელი და იმედით სავსენი იყვნენ. თავი სამშობლოსათვის ჰქონდათ გადადებული. მათ რიცხვში მეც ვერიე და ეს მიხაროდა.

ციხის კარებთან გულის კარს ვხსნიდით.
იმედის წყაროს ვსვამდით თასებით
და ვთქვით: ძვირფასნო, არ ელირსება –
მტერმა მებრძოლნი მოსპოს სავსებით.

ჩვენ თუ ციმბირში დავიხოცებით,
დაიბადება სხვა ათასები.
იმავ ფიქრით და იმავ აზრებით,
რომლითაც ეხლა ჩვენ ვართ სავსენი.

ასეთი იყო საერთო განწყობილება. და ეს როდის? როცა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან გასული იყო მხოლოდ ხუთი წელი. ამ პატიმრებიდან ზოგი აჯანყების მონაწილე იყო, ზოგს მამა ჰყავდა დახვრეტილი, ზოგსაც – ძმა, ნათესავი ან უახლოესი მეგობარი. მაინც არ გატყდნენ, მაინც არ მიეცნენ სასოწარკვეთილებას და ბრძოლას განაგრძობდნენ. ქართული სული ისევ ცოცხლობდა, ქართული გული ისევ განაგრძობდა ფეთქვას, მიუხედავად იმ სისხლის ზღვისა, რომელიც გარეშე და შინაურმა წითელმა ჯალათებმა საქართველოში დააყენეს, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილები უკვე გაჟლეტილი იყო.

მანქანებით სადგურ ნავთლულის რკინიგზის რომელიღაც ჩიხში მიგვიყვანეს. იქ იდგა რამდენიმე ვაგონი, რომელსაც „სტოლიპინის“ ვაგონებს ეძახდნენ. როგორც იქნა, ვაგონებში მოგვათავსეს. თითო კუპეში ოთხის ნაცვლად რატომ რვა-ათი არ შეგვყარეს. გაოფლიანდნენ და დაიღალნენ პატიმრები, ვიდრე ავად თუ კარგად ვაგონებში არ მოეწყვნენ. მახსოვს ერთი პატიმრის ნატვრა:

– ღმერთო, ერთი ჭიქა ცივი ბორჯომი დამალევინა ახლა და თუ უნდათ, ციმბირს იქით გამაგზავნონ.

ბადრაგი გზაში ძალიან ცუდად გვეპყრობოდა. გამთენიისას მატარებელი დაიძრა.

– მშვიდობით, თბილისო! მშვიდობით, საქართველო!

რამდენ დღეს ვიარეთ, არ მახსოვს.

მოსკოვი. ბუტირკის ციხე

ჩვენი მატარებელი დილის 6 საათზე რომელიღაც ჩიხში ჩააყენეს. ელნათურები აქა-იქ ბუუტავდა. მებადრაგეებმა გვიბრძანეს, ბარგი-ბარხანით გადმოვსულიყავით. სად ვიმყოფებით, აზრზე არა ვარ. ვიღაცამ დაიძახა, მოსკოვში ვართ, ბიჭებო. ახლალა გავიგე, იმპერიის დედაქალაქში რომ ვიყავით. ვაგონებიდან რომ გადმოვედით, ათამდე მუშა ქალმა შორი-ახლოს მოიყარა თავი. საშინლად გაბინძურებული, ლაქებიანი ტანსაცმელი და ვალინკები ეცვათ. ციოდა. 1930 წლის თებერვალი იყო, რიცხვი არ მახსოვს. კონვოის უფროსი ბაქანზე დგას და წამდაუწუმ ყვირის: „ბისტრეი! ბისტრეი!“[1] ქალები მოგვიახლოვდნენ და გაშტერებული გვიყურებენ. უფროსი მათს „განათლებას“ შეუდგა. ჩვენზე მიუთითა და ხრინწიანი ხმით ამბობს:

– ესენი კულაკები არიან, კონტრრევოლუციონერები, შეხედეთ, რა მდიდრები არიან! ამის გაგონებაზე მარკოზ გაბისონიამ მას გულიანად შეაგინა ქართულად.

– ჩეგო არიოშ?[2] – შეუბღვირა უფროსმა.

– ნიჩეგო! ტი დოლჟენ სკაზატ, ჩტო მი მილიონერი გრუზინი, ა ნე პროსტო ბოგაჩი![3]

---

[1] – სწრაფად! სწრაფად!

[2] – რა გაღრიალებს?

[3] – არაფერი! უნდა გეთქვა, რომ ჩვენ მილიონერი ქართველები ვართ და არა უბრალოდ მდიდრები!

რა სიმდიდრე გვქონდა? თითო ხელი ქვეშაგები და ერთი ჩემოდანი, ან სახურავიანი დაწნული კალათი, რომელშიც ელაგა პატიმრისათვის საჭირო ნივთები.

ახლა ორიოდე სიტყვა მარკოზ გაბისონიაზე... სამეგრელოს რომელი რაიონიდან იყო, არ ვიცი. შემოვიდნენ თუ არა წითლები თბილისში, მალე დაიჭირეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. მერე დაიჭირეს და გადაასახლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა თბილისში, ისევ დაიჭირეს და გადაასახლეს. დაბრუნდა და კვლავ დაიჭირეს. ახლა მესამედ მიდიოდა გადასახლებაში. საშუალოზე დაბალი იყო, თხელი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე. მგონი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. 1923 წელს გადასახლებულ ქართველ პატიმრებს რაღაც საპროტესტო განცხადება გაუგზავნიათ საბჭოთა მთავრობისთვის. ხელს აწერდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე და სხვანი, მათ შორის, მარკოზ გაბისონიაც. ამ განცხადებისა თუ დეკლარაციის ტექსტი ახლახან გამოქვეყნდა „სახალხო განათლებაში“ თუ „ლიტერატურულ საქართველოში“ (არ მახსოვს, არც გაზეთის ნომერი შემინახავს).

მარკოზ გაბისონიამ ერთხელ სიცილით მითხრა:

– რაც თავი მახსოვს, სულ მაპატიმრებენ და მასახლებენ. გადასახლებაშიც რამდენჯერმე დამიჭირეს, ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადამიყვანდნენ ხოლმე. ასე რომ, დაჭერა თითქოს არც უნდა მიკვირდეს და არც უნდა მაშფოთებდეს, მაგრამ მაინც ვერ შევეჩვიე. როცა მაპატიმრებენ, ჩემს გულს ყოველთვის ბაგა-ბუგი გააქვს. ერთხელ, გადასახლებაში ყოფნისას, შუაღამისას, კარებზე მომიბრახუნეს. გავიგონე, მაგრამ არ ავდექი. საბანი წავიხურე თავზე და გავიტრუნე. რატომღაც ვიფიქრე, წავლენ-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ჩეკისტები ასე ადვილად არასდროს მიდიან. კარები კინაღამ შემოამტვრიეს. რა გზა მქონდა, ავდექი და გავაღე კარი. შემოცვივდნენ და დამიყვირეს: კონტრას, დაპატიმრებული ხარ, სწრაფად ჩაიცვი და ბარგიანად გამოგვყევიო. ეს რომ გავიგონე, დავწყნარდი, გულიც საგულეში ჩამიდგა და ძალიან მშვიდად შევკარი ბარგი და გავყევი მათ. იცი, რა გითხრა? ათჯერ კი ვიქნები დაჭერილი და დაურწმუნდი, დაჭერის მოლოდინი უფრო მაშინებს, ვიდრე თვით დაჭერა. რომ დაგიჭერენ, მერე თავს უფრო დამშვიდებულად და ვაუკაცურად გრძნობ. შენც იცოდე ეს, პირველად მიდიხარ გადასახლებაში და, თუ იქაც დაგიჭერენ, არ შეგეშინდეს, ჩემი ნათქვამი მოიგონე და დამშვიდდები.

ვერ იტანდა ბოლშევიკებისა და რუსების სახელს. საქართველოსთვის თავდადებული ვაუკაცი იყო. მოსკოვის შემდეგ მე ის არსად შემხვედრია და არც მისი ამბავი გამიგია.

როცა ჩვენ ვაგონიდან გადმოვედით, დაახლოებით სამოცამდე ქართველი ვიქნებოდით. გვატარეს ლიანდაგის გასწვრივ ოთხას მეტრამდე. მერე გამოჩნდა „შავი ყვავები“ („ჩორნაია ვორონკა“). ამით პატიმრები გადაჰყავთ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე. ყოველმხრივ დახურულია, მხოლოდ ერთ მხარეს აქვს პატარა სარკმელი ჰაერისთვის. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარეთ. მერე სადღაც რკინის კარები გაიღო, კიდევ გვატარეს ცოტა ხანს და ჩვენც უზარმაზარ ციხეში აღმოვჩნდით. ჩვენთან იყო რამდენიმე ქართველი, რომლებიც წინათ ამ ციხეში მჯდარან და მათ „გაგვანათლეს“:

– ბუტირკის ციხეა, ბიჭებო, ბუტირკისა! თუ დაგვაცალკევონ, არ შეშინდეთ, ყოჩაღად იყავით!

აგვიყვანეს მეორე თუ მესამე სართულზე. არ დაგვაცალკევებივართ, ყველანი ერთ ვეებერთელა საკანში შეგვყარეს. თუ არ ვცდები, სიგრძე 60 მეტრი ექნებოდა, სიგანე

20–25. მოპირდაპირე მხარეებზე „ნარები“ იყო მოწყობილი, მაგრამ არა სართულებად, არამედ ერთ მწკრივად. ჩემი აზრით, ამ უზარმაზარ საკანში ასამდე კაციც კი დაეტეოდა შედარებით თავისუფლად. ჩვენ რომ შიგ შევედით, იქ ოცდახუთამდე პატიმარი დაგვხვდა სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის ქართველი არავინ ყოფილა. ყველა ცნობისმოყვარეობით მოგვაჩერდა. მერე ლოგინების გაშლაში მოგვეშველნენ. დაღლილ-დაქანცულები ლოგინებზე მივწექით. დილის 11 თუ 12 საათი იქნებოდა. ზოგს მიეძინა, ზოგიც საუბარს განაგრძობდა. ისე მოხდა, რომ ჩემი ლოგინი ერთი სიმპათიური მოხუცი პატიმრის გვერდით აღმოჩნდა. სამოცდაათი წლისა იქნებოდა. სუფთად ჩაცმული, მთლად გაჭაღარავებული. იჯდა თავისთვის და ძალიან გვათვალიერებდა, გვაკვირდებოდა. კარგა ხანს იყო მდუმარედ. მერე მითხრა:

– საიდან ხართ?

– საქართველოდან. ქართველები ვართ.

სახე გაუბრწყინდა და თქვა: „მოლოდცი გრუზინი, მოლოდცი!“[1] რაში ვიყავით ყოჩაღები, აღარ მიკითხავს. იმ ხნის განმავლობაში, რაც იქ ყოფნა მოგვიწია, მე მას ძალიან დავუახლოვდი. უკრაინელი ინჟინერი აღმოჩნდა კიევიდან. სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს. როცა გაიგო, რომ მე 18 წლის ვიყავი, გაოცდა და მერე მამაშვილურად მეპყრობოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვუთხარი, საქართველოში შევჩენკო, ლესია უკრაინკა და კოციუბინსკი ძალიან უყვართ-მეთქი. თავის მხრივ, ჩემი გული იმით მოიგო, რომ მან ჭავჭავაძე და წერეთელი ახსენა, ვიცი, თქვენი დიდი მწერლებიაო.

ერთხელ ფანჯარასთან მიმიყვანა, მრგვალი ფორმის კოშკი დამანახა და მითხრა: იქ პუგაჩოვი ჰყავდათ დამწყვდეული, პუგაჩოვსკაია ბაშნიას ეძახიანო. ბუტირკის ციხე დიდი ციხეა. ახლა აქ ათი ათასი ტუსაღია, მათგან ნახევარზე მეტი სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან. ციხეში ბევრი საამქროა, რომლებშიც პატიმრები მუშაობენ და სხვადასხვა საქონელსა და კვების პროდუქტებს ამზადებენო.

ამ კეთილ მოხუცს თანდათან შევეჩვიე და მეც გაებედე, შეკითხვები მიმეცა. ერთერთი საუბარი ასეთი გვქონდა:

– თქვენ რა საქმეზე დაგიჭირეს?

– რა საქმეზედაც თქვენ დაგიჭირეს.

– ეს როგორ?

– თქვენ საქართველოსთვის, მე ჩენი „როდნი“ უკრაინისთვის (საუბარში უკრაინული სიტყვების ჩარევა უყვარდა). ოთხი თვეა, აქ ვარ. წამიყვანენ დაკითხვაზე და ისევ აქ მომიყვანენ. მაბრალებენ, „მოსკალების“ (რუსების) წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდი, კონტრრევოლუციონერი ხარო. ვიყო კონტრრევოლუციონერი. სამწუხაროდ, ჩემი ხალხი გვიან ილვიძებს, თქვენ კი განუწყვეტლივ იბრძვით და ეს ძალიან კარგია. ამ ხნის განმავლობაში, რაც აქა ვარ, ამ საკანში ბევრმა ქართველმა გაიარა.

გახალისდა და ენერგიულად დაიწყო ლაპარაკი:

– უკრაინა ევროპაა. ევროპის ფერხულში უნდა ჩავებათ. მინა ნაყოფიერი გვაქვს, ქვანახშირი და სხვა წიაღისეული ბლომად გვაქვს, ხე-ტყე და ხილი უამრავი. ნავსადგურებიც გვაქვს. ოცდაათი მილიონი ვართ. როგორ, არ შეგვიძლია ცალკე არსებობა თუ? რატომ უნდა ბატონობდეს ჩვენზე მოსკოვი? რატომ არ უნდა ვიყოთ დამოუკი-

[1] ყოჩაღ, ქართველებო, ყოჩაღ!

დებელი სახელმწიფო? ეს მაწუხებს მხოლოდ, რომ ჩვენ ვერ ვიბრძვით კარგად. თქვენ კი არა გიშავთ, თავს არ იზოგავთ. ჩვენ ჯერ ხმელნიცკიმ გაგვყიდა, მერე თავისუფლება მოვიპოვეთ და „კაცაპებმა“ ისევ დაგვიპყრეს. ხომ გითხარი, 30 მილიონი ვართ და რას ვაკეთებთ?

– ჩვენ მხოლოდ სამი მილიონი ვართ.

– მით უმეტეს, მიხაილო! ამიტომ ხართ ყოჩაღები, ცოტანი ხართ და მაინც არ ეპუებით ჩრდილოეთის დათვებს.

ძალიან კარგი კაცი იყო. ვინ იცის, როდის და სად დაასრულა თავისი სიცოცხლე. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ გადასახლების პერიოდში ბევრი უკრაინელი შემხვდა. ქართველებს ყველასთან გულთბილი დამოკიდებულება გვქონდა. ამაზე გზადაგზა მექნება ლაპარაკი.

ბუტირკის ციხის საერთო საკანშიც იდგა სატუალეტო კასრი („პარაშა“). ეს არის საშინელება, ადამიანის პიროვნების შეურაცხმყოფელი. აბა, წარმოიდგინეთ, მოგჩერებია ამდენი ხალხი და შენ საჯაროდ უნდა მოშარდო ანდა გარეთ გახვიდე. ასეთ პირობებში პირველად მოხვედრილი პატიმარი სირცხვილისაგან იწვის, ითმენს და ითმენს, მაგრამ როდემდის? ბოლოს და ბოლოს, ისიც ეჩვევა ამ გარემოებას. დილით ნახევარი საათით გავყავდით სასეირნოდ, ჰაერის ჩასუნთქვასაც ვერ ვასწრებდით, რომ უკვე საკანში შემოვყავდით. საჭმელი ჩვეულებრივი იყო, წყალწყალა წვნიანი და ხანდახან ფაფისებური რაღაც. „გათვლაზე“ ფეხზე არ ვდგებოდით და არც გვაიძულებდნენ ამას. შემოვიდოდა ღამით ზედამხედველი და ითვლიდა პატიმრებს. აქედან ვინ სად უნდა გაქცულიყო?

ჩვენებს თბილისიდან გამოტანებული სურსათ-სანოვაგე კარგა ხანს ეყოთ და სხვებსაც უნაწილებდნენ. ასე მიდიოდა ერთფეროვანი დღეები.

ერთ დღეს, მარტის შუა რიცხვებში, საკანში შემოვიდა ვიღაც ჩინოსანი ჩეკისტი რამდენიმე კაცის თანხლებით, გაგვაფრთხილა, სიჩუმე დაიცავითო და დაიწყო ამოკითხვა:

– ივანიაძე (მერე სახელი და მამის სახელი) „ოგეპეუს“ კოლეგიის დადგენილებით მოგესაჯათ სამი წლით გადასახლება ურალში.

– ჯაში, მოგესაჯათ სამი წლით გადასახლება ენისეისკში.

– არველაძე, მოგესაჯათ სამი წლით პატიმრობა ურალის „იზოლატორში“ და ა. შ.

უმრავლესობას აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ჩემი გვარის ამოკითხვის დროს ასეთი რამე მოხდა:

– კეკელიძე, ვადამდე განთავისუფლებული იქნეს პატიმრობიდან.

აქ პაუზა გააკეთა. ამის გაგონებაზე ისტერიული სიცილი ამიტყდა. სიხარულისაგან გული ლამის ამომივარდეს. ვიღაცამ იმის თქმაც მოასწრო: მიშა, სახლში წერილს გაგატანო.

ჩეკისტი გაოცებით მიყურებს და კითხულობს:

– ჩევო ონ სმეიოტსია, კაკ სუმაშედში?[1]

მერე ისევ გადაფურცლა ქაღალდები და გაიმეორა:

– კეკელიძე, ვადამდე განთავისუფლებული იქნეს პატიმრობიდან და გადასახლებული იქნეს აღმოსავლეთ ციმბირში სამი წლით.

---

[1] – გიყვით რატომ იცინის?

ცივი წყალი გადამესხა ამის მოსმენის დროს. რა მოხდა? საქმე ის იყო, რომ „გრუზჩეკას“ მიერ მე მისჯილი მქონდა ორი წლით პატიმრობა მეტეხში. პატიმრობის ვადა არ მქონდა დამთავრებული. „ოგეპეუმ“ „მოწყალება“ გამოიჩინა. დარჩენილი პატიმრობის ვადიდან გამათავისუფლა და სამი წლით გადასახლება მომისაჯა.

ასეთ გადასახლებას იმ დროს „თავისუფალ გადასახლებას“ ეძახდნენ. რაში მდგომარეობდა ის? დანიშნულების პუნქტში, ვთქვათ, ირკუტსკში, ჩაგიყვანდნენ, შემდეგ რომელიმე რაიონის „ოგეპეუს“ განკარგულებაში გაგაგზავნიდნენ, ის კი რომელიმე სოფელში გაგაგზავნიდა, სადაც უნდა გეცხოვრა იმდენი წელი, რამდენიც მოსჯილი გქონდა. იყო ასეთი შემთხვევებიც: პოლიტიკურ პატიმარს ჯერ ციხეს მიუსჯიდნენ, სასჯელის მოხდის შემდეგ კი „თავისუფალ გადასახლებაში“ გზავნიდნენ.

ჩეკისტმა გამოგვიცხადა, რომ აღმოსავლეთ ციმბირში ვისაც გადასახლება გვქონდა მისჯილი, მეორე დილისთვის მზად ვყოფილიყავით წასაყვანად. ასეთი სულ 32 კაცი აღმოვჩნდით. სხვების საქმე ალბათ კიდევ ირჩეოდა და ბუტირკაში დავტოვეთ, გულთბილად გამოვემშვიდობეთ და იმაზე გვქონდა ლაპარაკი, დაშორების შემდეგ როგორ გაგვება ერთმანეთთან წერილობითი კავშირი. თავისუფალ გადასახლებაში მყოფთათვის მიმოწერა მაშინ აკრძალული ან შეზღუდული არ ყოფილა, თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, ზოგიერთ წერილს ჩეკა თვითონ იტოვებდა.

მეორე დღეს, საღამოს პირზე, დახურული შავი მანქანებით რკინიგზის ჩიხში მიგვიყვანეს. იქ სამი თუ ოთხი ვაგონი იდგა („სტოლიპინის ვაგონი“). შიგ მოგვათავსეს და გაძლიერებული ბადრაგი თავს დაგვაყენეს. შედარებით დავმშვიდდით, ბევრი მხიარულ გუნებაზეც კი დადგა. „ბიჭებო, თავისუფალი გადასახლება არც ისე საშიშია, როგორც თქვენ გგონიათ. მე ერთი გადასახლება უკვე მოვიხადე. ციხეში ყოფნას მაინც გარეთ ყოფნა სჯობს“, – ამბობს ვილაც. „ვნახოთ, ვნახოთ“, – უპასუხებს მეორე და ცდილობს დაიძინოს, მაგრამ ამაოდ, ყველა განერვიულებულია. – „დაიძრას მაინც ეს ოხერი მატარებელი!“ – ისმის მეზობელი კუპედან.

მთელი ღამე ჩიხში ვიდექით. როგორც იქნა, დილით მატარებელი დაიძრა. რამდენ დღეს ვიარეთ, არ მახსოვს. რომელიღაც ქალაქში მიგვიყვანეს და ციხეში მოგვათავსეს. მაშინ გავიგეთ, რომ ნოვოსიბირსკში ვიყავით. უფრო სწორად, ციხის საკანში კი არ მოგვათავსეს, არამედ უზარმაზარ ბარაკში, რომელსაც „პერეხოდნი პუნქტს“ (პატიმართა გამანაწილებელს) ეძახდნენ. ბარაკის ერთ მხარეს 20-მდე პატიმარი იყო, უმთავრესად ქურდი-რეციდივისტები და სხვა სახის დამნაშავენი. მგლებივით გვიყურებდნენ.

ნოვოსიბირსკის ბარაკში 10 დღე დავრჩით. იქ ყოფნა იმით დამამახსოვრდა, რომ მესამე დღეს რომელიღაც ჩვენს ამხანაგს შარვალი და ფეხსაცმელი მოპარეს. ატყდა ამაზე ჩხუბი. ჩვენ შორის ბევრი იყო მკლავღონიერი. ისე დაჟეჟეს ქურდები, რომ მათი ყვირილი „ნაჩალნიკ, პამაგიტე!“[1] ძალიან შორს ისმოდა. შემოვარდა ზედამხედველი და ქურდებს უყვირის:

– იაჟე გავარილ ვამ, სვოლოჩი, ჩტო ნი ტროგატ იხ? ონი ს კავკაზა ი ზარეჟუტ ვას! ია ზა ვას ნე ატვეჩაიუ![2]

---

[1] – უფროსო, გვიშველე!

[2] – ხომ გეუბნებოდით, თქვე ვიგინდარებო, მოერიდეთ-მეთქი, ეგენი კავკასიიდან არიან და აგჩეხავენ-მეთქი? მე ხელები დამიბანია!



პოლიტიკურ პატიმართა ჯგუფი:
გაბო ივანიაძე, მიხეილ კეკელიძე, გრიშა ჯაში, გრიშა ჩხარტიშვილი
თბილისი, საგუბერნიო ციხე
დეკემბერი, 1929 წელი

შარვალიც და ფეხსაცმელიც დააბრუნეს. მერე ახლოს არ გაგვკარებიან. ნოვოსიბირსკის ციხის დუქანში (იყო ასეთი ჯიხური-დუქნები ციხეებში, მეტეხშიც, სადაც პატიმრები რაღაც-რაღაცას ყიდულობდნენ) ვიყიდე მწვანე ფერის ემალირებული ხელიანი თუნუქის ჭიქა („კრუჟკა"), ორი ცალი. ერთი მათგანი დამეკარგა, მეორეს ახლაც ვინახავ იმიტომ, რომ ფილიპინოში (ჩემი გადასახლების სოფელში) არ დარჩენილა არც ერთი ქართველი, რომ ამ ჭიქით ჩაი არ დაელიოს. როცა ამ ჭიქას ახლა ხელს შევავლებ, მაშინვე თვალწინ ჩემი მეგობრები დამიდგებიან და მწარედ ვფიქრობ: „სად ხართ, ბიჭებო, ძმებო? გადარჩა კი რომელიმე თქვენგანი ცოცხალი დღემდე?"

ათი დღის შემდეგ ნოვოსიბირსკიდან ნაგვიყვანეს. განსხვავება ის იყო, რომ ახლა ჩვეულებრივ ვაგონებში მოგვათავსეს. ბადრაგიც ახალი იყო, ახალგაზრდა ბიჭებისაგან შედგებოდა. უფრო ჯარისკაცები იყვნენ, ვიდრე ჩეკისტები. 2-3 ბიჭი ძალიან დაგვიახლოვდა. ჩამოსხდებობდნენ ჩვენთან და გვეკითხებოდნენ, რატომ დაგვიჭირეს და რატომ გვასახლებდნენ ასე შორს. ჩვენც პასუხს ვაძლევდით.

ერთი მათგანი გამოგვიტყდა:

– მე უკრაინელი ვარ. სადაცაა სამსახურის ვადა მითავდება, მაგრამ სად წავიდე, აღარ ვიცი. ერთი ჩემი მეზობლისაგან წერილი მივიღე, თითქმის მთელი სოფელი, მათ შორის, ჩემი მშობლებიც და ჩემი უმცროსი და-ძმაც, როგორც კულაკები, აუყრიათ და ციმბირში წაუყვანიათ, რომელ ადგილას, არ ვიცი, თორემ ჩავაკითხავდი. მწერს, არ ჩამოხვიდეო, თორემ დაგიჭერენო. ეს რა უბედურებაა, ვერ გამიგია!

რით უნდა დაამშვიდო ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი? ვერაფრით, მაგრამ მაინც ვეუბნებოდით გაცვეთილ სიტყვებს: „არაფერია, ყველაფერი გამოსწორდება, ყველანი კარგად იქნებით" და ჩვენი ნათქვამისა, ცხადია, ჩვენც არ გვჯეროდა.

ეს ახალგაზრდა მებადრაგე ჩვენს თხოვნას ხალისით ასრულებდა. დიდ სადგურებში ჩვენთვის ყიდულობდა წეკოს („მახორკა"), პაპიროსებს (თუკი იქნებოდა), შინაურ გამომცხვარ პურს და შინნაკეთებ ძეხვს. ასეთი ძეხვი პირველად ვჭამე და მესამე დღეს გავიგე, რომ ცხენის ხორცისა იყო. ისეთი გულის რევა დამაწყებინა, რომ არაფერი შემარჩინა: საოცარია, მერე შევეჩვიე. კაცმა რომ თქვას, ღორზე უფრო სუფთა ცხოველია ცხენი, მისი ხორცის გემო კი რა მოგახსენოთ, თუმცა ერთი ინტელიგენტი ყაზანელი თათარი, რომელიც ფილიპოვოში იყო გადმოსახლებული, მიმტკიცებდა, რომ ცხენის, განსაკუთრებით, კვიცის ხორცი გაცილებით უფრო გემრიელია, ვიდრე თქვენი შემწვარი გოჭისაო (კარგად იცნობდა ქართველების ყოფა-ცხოვრებას). რას იზამ, კაცია და გუნება.

ჩვენი მატარებელი ნელა იმოკლებდა გზას, ერთი-ორჯერ რომელიღაც სადგურში მთელი ღამეც კი გაგვაჩერეს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ. ჩვენი უკრაინელი ჯარისკაცისაგან გავიგეთ, რომ უკვე ჩავედით დანიშნულების ადგილას – ქალაქ ირკუტსკში. აქ დაგეშილი ჩეკისტები დაგვხვდნენ და ირკუტსკის ციხეში გვიკრეს თავი.

ირკუტსკის ციხე. ბრატსკი

ციხე ქალაქის განაპირას იყო (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე მოგვეჩვენა). უზარმაზარი ტერიტორია ეკავა, ქვის კედლით შემოზღუდული. ეზოში იდგა ოთხ- თუ ხუთსართულიანი ციხე (მას „ირკუტსკის იზოლატორს" ეძახდნენ), იდგა საავადმყოფოს შენობაც და რაღაც სხვა ნაგებობანიც. მოგვათავსეს ერთ საკმაოდ მოზრდილ საკანში პირველ სართულზე. გავშალეთ ჩვენი ლოგინები და გვარიანად მოვეწყვეთ. იმ ღამესვე მოხდა ერთი დიდი ინციდენტი. ძილის წინ შემოვიდა ზედამხვედველი და გვიბრძანა – „პოსტროიტსია ნა პროვერკუ".[1]

ეს „პროვერკა" ნიშნავდა ყოველ საღამოს პატიმართა დათვლას. უნდა დავმდგარიყავით ფეხზე მწკრივში და მორიგე ზედამხედველი დაითვლიდა, რამდენი ვიყავით და ალბათ შემდეგ უფროსებს მოახსენებდა. ამას ქართულად „გათვლა" ეწოდება. როცა ჩვენთან ზედამხედველი შემოვიდა, ზოგი ჩვენთაგანი ჭადრაკს თამაშობდა (თვითნაკეთი ჭადრაკის ფიგურებით), ზოგიც კითხულობდა ნარზე წამოწოლილი. საკნის ერთი მხარე (კარების მხრივ) ამოკეცლილი არ ყოფილა, მაგრამ რკინის გისოსები ჰქონდა. ჩვენგან ყველაფერი ჩანდა, რაც დერეფანში ხდებოდა (ვინ მიჰყავდათ, მოჰყავდათ, ყარაულების საუბარიც კი გვესმოდა). ჩვენ წინასწარ მოვილაპარაკეთ: „გათვლის" დროს მწკრივში არ ჩავმდგარიყავით. ასეც მოვიქეცით. არც ერთი არ განძრეულა თავისი ადგილიდან. ზედამხედველმა ხმას აუწია და გაიმეორა:

– პოსტროიტსია ნა პროვერკუ!

ვილაც ჩვენთაგანმა უპასუხა:

– ჩვენ პოლიტიკურები ვართ და მწკრივში დგომა არ გვეხება. აქ ვართ ყველანი და დათვალეთ, თუ არა და მიბრძანდით აქედან!

გაბრაზებულია ზედამხედველი.

– ბუნტს აწყობთ, არა? მე თქვენ გიჩვენებთ!

---

[1] – შემოწმებაა, რიგზე დაეწყვეთ!

გავარდა გაცოფებული. ნახევარ საათში მოვარდა რამდენიმე ჩინოსნის თანხლებით. მათ შორის იყო ციხის უფროსის მოადგილეც. თვალები სიბრაზისაგან გადმოვარდნაზე ჰქონდა.

– რატომ არლვევეთ ციხის რეჟიმს?

მასაც უპასუხეს:

– ჩვენ პოლიტიკურები ვართ. მწკრივში დგომა ჩვენ არ გვეხება.

მოადგილე ვიღაცას მიუბრუნდა:

– ხვალ ამათ საჭმელი არ მისცეთ! არც გარეთ გაიყვანოთ სასეირნოდ!

– არც გვინდა თქვენი საჭმელი. ხვალიდან ჩვენ შიმშილობას გამოვაცხადებთ ციხეში მოპყრობის გამო.

ახლა ამას რომ ვწერ, მეცინება. შიმშილობის გამოცხადება ჯერ კიდევ აშინებდა ჩეკას, ციხის ადმინისტრაციას. წავიდნენ, ისევ დაგვემუქრნენ სასჯელით. მთელი ეს დავიდარაბა და აურზაური შუაღამემდე გაგრძელდა. მეორე დღეს საჭმელი მოიტანეს და ნახევარი საათით გარეთაც გაგვიყვანეს ჰაერის ჩასასუნთქად. „ჩვენებით“ კი მართლაც გვიჩვენეს. ჩვენი გარეთ ყოფნის დროს ციხის მუშაკებმა, ცხადია, ზედამხედველთა მონაწილეობით, გაჩხრიკეს ჩვენი ბარგი და, რაც მოეწონათ, წაიღეს (უმთავრესად ტანსაცმელი), მეც მომპარეს თბილი საცვლები და ახალთახალი ფეხსაცმელები. დიდი აურზაური აეტეხეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. იმას კი მივაღწიეთ, რომ „გათვლაზე“ მწკრივში დგომას აღარ გვთხოვდნენ.

მე უკვე აღვნიშნე, რომ გისოსებიანი კედლის მხრივ დერეფანში ყველაფერს ვხედავდით-მეთქი. ჩვენი საკნის მოპირდაპირე მხარესაც საკანი იყო პატიმრებით სავსე. მათ შორის პოლიტიკური არავინ ყოფილა, არც ქართველი, არც სხვა ეროვნებისა. ერთ დღეს ზედამხედველი მიადგა იმ საკანს და ხმამაღლა თქვა:

– იაშვილი, დაკითხვაზე!

ამოვიდა საშუალოზე მაღალი, ტიპური რუსულცხვირიანი ახალგაზრდა. დაკვირვებით ვუყურებთ, მაგრამ ქართველის იერი არა აქვს. მერე ჩვენ მოვახერხეთ მასთან გამოლაპარაკება.

– იაშვილი, ქართველი ხარ?

– არა, რუსი ვარ.

– გვარი ქართული გაქვს.

– ეგრე მოხდა, ქართული გვარი შემრჩა.

ასეთი რამ გვიამბო: ბაბუამისი ქართველი ყოფილა. ირკუტსკში ცხოვრობდა. საიდან მოხვდა მისი ბაბუა ამ ქალაქში, არ იცოდა. შეურთავს რუსის ქალი, მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავდა. იმასაც რუსის ქალი შეურთავს და იმის შვილი მე ვარო. მყავს ცოლი და ორი ვაჟიო.

– შენი ცოლი რუსია?

რუს იაშვილს იუმორის ნიჭიც აღმოაჩნდა. გაიცინა და გვიპასუხა:

– აბა, ინგლისელ პრინცესას მე ვინ გამომატანდა.

მაღაზიაში მუშაობდა თურმე და ფული დაკლებია თუ გაფლანგა, ეს კი ვეღარ გავიგეთ.

ახლა ვიგონებ მას და მწარედ ვფიქრობ: ასე იცის შერეულმა ქორწინებამ, რაც უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე ძალიან გავრცელდა ჩვენში. მიდიან რუ-

სეთში ქართველი ახალგაზრდები, იქ ქალს გაიცნობენ თუ არა, ჭკუას კარგავენ, ეს რა ვნახეო (თითქოს მზეთუნახავი ენახოთ) და ქორწინდებიან. თუ საქართველოში დაბრუნდნენ, კიდევ კარგი, მათი შთამომავლობა საყველპურო ქართულ ლაპარაკს მაინც ახერხებს, თუ არადა, იქ სამუდამოდ რჩებიან და ასე ჩნდებიან ქვეყანაზე რუსი იაშვილები. მერე ამ გვარსაც დაკარგავენ.

ეს დიდი უბედურებაა ჩვენთვის. ახლა, სიბერეში ღრმად რომ შევედი, სისტემატურად ვკითხულობ გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ სამგლოვიარო განცხადებებს: ღმერთო ჩემო, რა სჯულის ქალები არ მოჰყავთ ქართველებს და რა სჯულისას არ მიჰყვებიან ქართველი ქალები: რუსი, სომეხი, ოსი, იეზიდი, აზერბაიჯანელი! ბოლო დროს უცხოეთშიც ამოჰყვეს თავი!

არა, მე არ ვამბობ, რომ შერეული ქორწინება საერთოდ დაუშვებელია-მეთქი. მას ვერავითარი კანონი ვერ მოშლის. მე ვიცნობ არაქართველ ქალებსაც, რომლებიც სულით გაქართველდნენ, შეითვისეს ჩვენი ადათ-წესები და შესანიშნავი ქართული ოჯახები შექმნეს. მაგრამ, როცა ასეთი შერეული ქორწინება მასობრივ ხასიათს იღებს, ეს უკვე ჩვენისთანა პატარა ერისთვის საშიშია, ძალიან საშიში და ამაში ყველაზე დიდი ბრალი ქართველ მამაკაცებს მიუძღვით, რომლებიც გულზე ხელს იბრაგუნებენ და სამშობლოს საყვარულზე დღენიადაგ გაჰყვირიან, იმაზე კი არ ფიქრობენ, როგორ შთამომავლებს უტოვებენ საქართველოს.

მაგონდება ერთი ქართული ხალხური ლექსი (არსებობს მისი სხვა ვარიანტიც):

ერთი რამ ცხოველი არის
გორსა თუ ახალგორსაო.
სხვებისთვის ქოშებს აკეთებს
თავისთვის ოჩან ჯოხსაო.

სწორედ ასეა ჩვენი საქმე...

იმ ჩხუბის შემდეგ, „გათვლას“ რომ მოჰყვა, მესამე დღეს ასეთი რამ მოხდა. დილას დერეფანში შემოვიდა შავგრემანი კაცი, დაბალი შავი ბოხოხი ეხურა, ულვაშები ზევით აწკეპილი ჰქონდა, ეცვა ქულაჯა („პოლუშუბკა“), გალიფე და ჩექმები. მოვიდა ჩვენს საკანთან და გაოცებით დიდხანს გვიყურა. ჩვენც ცნობისმოყვარეობით ვუცქეროდით მას. მერე გაეღიმა და ქართულად მოგვმართა:

– ქართველები ხართ?

– დიახ, ქართველები ვართ.

– მეც ქართველი ვარ, სიმონ კალანდაძე, გურიიდან. ამ დილით რომ მოვედი, აქ მითხრეს, კავკასიელი „დიკარები“[1] მოიყვანეს და რეჟიმს არ ემორჩილებიან, ბუნტს აწყობენო.

გავაბით საუბარი და აი, რა გამოირკვა. სიმონ კალანდაძე საგზაო ინჟინერი იყო. ცხოვრობდა ირკუტსკში. რაღაც საქმეზე ათი წელი მიუსჯიათ, მერე გაუნახევრებიათ. იმდენად კარგი სპეციალისტი იყო, რომ უფლება მიუციათ სამსახური განეგრძო. ახლა რომელიღაც დიდი გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ცოლ-შვილიანი იყო. ნახევარჯერ ოჯახში ათევდა ღამეს, ნახევარჯერ ციხეში. რა დროსაც უნდოდა, მო-

[1] ველურები.

ვიდოდა, წასვლაც მის ნებაზე იყო. ციხის ყველა დარაჯიც და უფროსებიც კარგად იცნობდნენ და წასვლა-მოსვლაზე საბუთს არ სთხოვდნენ. ლაპარაკი დიდხანს გაგრძელდა და ისიც გამოირკვა, რომ ჩვენთან მყოფი პოლიტპატიმარი დუდუჩავა (სახელი არ მახსოვს) მისი შორეული ნათესავი აღმოჩნდა. დამშვიდობებისას გვკითხა:

– რა გიჭირთ ყველაზე უფრო?

ჩვენ ვუთხარით, რომ პური გვიჭირს, ოთხას-ოთხას გრამს გვაძლევენ და ისიც ტალახივითაა. „ბალანდას“ (ციხის საზიზღარ წვნიანს) კი უკვე შევეჩვიეთ. კიდევ ერთხელ გამოგვემშვიდობა და გაგვამხნევა:

– ყოჩაღად იყავით, ამ ძაღლებს არაფერი დაუთმოთ!

გავიდა ერთი დღე. მოვიდა სიმონ კალანდაძე და მოგვიტანა ხუთი ცალი გოგორა პური („ბუხანკა“) და ერთი ვედრო მოხარშული კარტოფილი. აპრილის ბოლომდე დავრჩით ირკუტსკის ციხეში და ყოველ მესამე დღეს მოჰქონდა ჩვენთან პური და კარტოფილი.

უხერხულად ვიგრძენით თავი და ბატონ სიმონს ფული შევთავაზეთ. იწყინა, მეორეჯერ ეგ არ იკადროთო, მე იმდენ ფულს კი ვშოულობ, რომ თითო-ოროლა პური მოგიტანოთო. ერთხელ რომელიღაც პატიმარმა ჰკითხა: – ბატონო სიმონ, როგორ ახერხებთ ასე თავისუფლად სანოვაგის შემოტანას? არყითო, – გვიპასუხა, ნახევარი ბოთლი არყისათვის ეგენი ყველაფრისთვის მზად არიანო. თქვენთვისაც მინდოდა მომეტანა არაყი, მაგრამ იმდენს ვერ მოვახერხებდი, ყველას გყოფნოდათ, ცოტაოდენის შემოტანას კი აზრი არა აქვსო.

აპრილში აღდგომა თენდებოდა (რიცხვი არ მახსოვს). ბიჭები ოცნებასა და ნატვრას მიეცნენ. ჩვენთან თითქმის ყოველი კუთხის ქართველები იყვნენ და იმ საჭმელებს ნატრობდნენ, რომლებიც მათ კუთხეში იყო გავრცელებული, მაგრამ წითელი კვერცხები და შემწვარი გოჭები ყველასთვის საერთო იყო. ვიღაც სააღდგომო გამორჩეულ საჭმელებს არ დაგიდევდათ, კარგად შემზადებულ ლობიოს, შემწვარ ან მოხარშულ ტარანს იხსენებდა, ტყემლის წვენში ამოვლებულს და გმინავდა: – ჰოი დედასა, ბიჭებო, სადა ვართ და ვის ხელში ვართ!

აღდგომის წინაღამე საჭმელების გახსენებაში გავატარეთ. გული დაგვწყვიტა მხოლოდ იმან, რომ ჩვენი საყვარელი სიმონ კალანდაძე მეოთხე დღე იყო, არ გამოჩენილა. გათენდა აღდგომის დილა. ვიღაც წამოხტა და დაიძახა:

– ახლა ჩვენთან ზარებს რეკავენ. ქრისტე აღსდგა, ბიჭებო!

ჩამოგვიარა და ყველა გადაგვკოცნა. ჩვენც შევაგებეთ:

– ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად აღსდგა!

აქ უნდა შევნიშნო, რომ ყველა ქართველი პოლიტპატიმარი, რა პარტიასაც არ უნდა კუთვნებოდა, გულში ქრისტიანი იყო და ჩვენი ტრადიციების შენახვას (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უღმერთოდ დაანგრიეს ეკლესიები და შეურაცხყვეს სამღვდელოება) თავის მოვალეობად მიიჩნევდა.

აღდგომას, ნაშუადღევს, უცებ გამოჩნდა სიმონ კალანდაძე და მოგვიბოდიშა (ნეტა რა ჰქონდა ამ უაღრესად კეთილ კაცს საბოდიშო?), რაღაც შეფერხებები მქონდა და ამიტომ ვერ გნახეთო. აღდგომა დღეს მისი წყალობით მივიღეთ ათი გოგორა პური, წებო, პაპიროსი და კარტოფილი, საღამოს კი – ორი ვედრო მოხარშული ანგარის თევზი.

გული აგვიჩუყდა ყველას და გადავწყვიტეთ, ჩვენი კეთილისმყოფელისათვის სა-

მადლობელო წერილი („ადრესი") მიგვერთმია. ადრესი ჩემი დაწერილი იყო და დაახლოებით ასეთი შინაარსისა გახლდათ:

„ძვირფასო სიმონ! ჩვენ, ქართველი პოლიტპატიმრები, რომლებიც ახლა ირკუტსკის ციხეში ვიმყოფებით, ვერასოდეს დავივიწყებთ თქვენს ქართველობას, გულკეთილობას და სათნოებას, რაც ჩვენს მიმართ გამოიჩინეთ.

იმედი გვაქვს, როდესაც თავისუფალ საქართველოში ვიქნებით, ყველას გავაცნობთ იმ ღვაწლს, რომელიც ჩვენ მიმართ მიგიძღვით.

ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ".

ოცდათორმეტივე პატიმარმა გარკვევით მოვაწერეთ ხელი.

ღმერთმა არ ისურვა ჩვენი შეხვედრა საქართველოში. ვერ გადავუხადეთ იმ ღირსეულ ქართველს ისეთი მადლობა, როგორიც ეკუთვნოდა. ის კი არა, მასთან გამომშვიდობებაც არ მოხერხდა. ერთ შუაღამეს 22 კაცი წამოგვყარეს ნარებიდან და სადგურის ჩიხში ჩაყენებულ ვაგონებში მოგვათავსეს. დანარჩენი 10 ამხანაგი ირკუტსკში დავტოვეთ. ჩანდა, სხვაგან აგზავნიდნენ. საით მივყავდით, კარგა ხანს ვერ გავიგეთ. მერე ერთ-ერთ მებადრაგეს დავაცდენინეთ, – ტულუნში მივდივართო. მაისის დასაწყისი იყო. ტულუნი ირკუტსკის დასავლეთით პატარა ქალაქია, ირკუტსკიდან 400 კილომეტრით დაშორებული იქნება. რა გვინდა იქ? უკან, მოსკოვში, ხომ არ გვაბრუნებენ? ასეთი ფიქრებიც გაუჩნდა ზოგიერთს. მატარებელი ტულუნში ღამით მივიდა. აქ გაირკვა, რომ 22 კაცს, მათ შორის მეც, მისჯილი გვქონდა თავისუფალი გადასახლება ბრატსკის რაიონში. ბრატსკის რაიონი, თუ სამდინარო ტრანსპორტით (ხომალდი) ივლით, ირკუტსკიდან ჩრდილოეთით 600-700 კილომეტრზეა. მაგრამ მდინარე ანგარა გაყინული იყო, მის გახსნას (ყინულების მსხვრევას, ყინულებისაგან მდინარის განთავისუფლებას) მაისის ბოლომდე არ უჩანდა პირი. ამიტომ „გეპეუს" გადაეწყვიტა, ტულუნიდან სახმელეთო გზით ჩავეყვანეთ ბრატსკის რაიონში. ამ პატარა ქალაქის რკინიგზის სადგურში ერთი დღე გაგვაჩერეს. მერე ტულუნ-ბრატსკის ტრასაზე გაგვიყვანეს. იქ ორი აღმასრულებელი („ისპოლნიტელი") დაგვხვდა. მეზობელი სოფლიდან იყვნენ. ორცხენიანი საზიდარა („პადვოდი") დაგვახვედრეს, დაგვალაგებინეს ზედ ბარგი და ჩვენ კი ფეხით გავუდექით თოვლიან გზას. მაისის პირველი რიცხვები იყო. ამ დროს ჩვენში ხეხილი ყვავის, ბალახი მწვანედ ხასხასებს. აქ კი გაზაფხულის მოახლოება ოდნავ თუ იგრძნობა. თითქმის სრულიად თავისუფლად ვგრძობდით თავს. არც მებადრაგენი, არც ჩეკისტები თავს არ გვადგნენ. ეს ჩვენი „აღმასრულებლები" ენაწყლიანი ახალგაზრდა ბიჭები აღმოჩნდნენ. რასაც კი შევეკითხებოდით, ხალისიანად გვაძლევდნენ პასუხს.

პირველ დღეს 30 ვერსტი გავიარეთ, ვიდრე მეორე სოფელს მივაღწევდით. ასე შორი-შორსაა აქ სოფლები. იქ ღამე გავათიეთ. მეორე დღეს ამ სოფლის „გზირებმა" ჩაგვიბარეს და ისევ შევუდექით გზას. მზიანი ამინდი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ციოდა, განსაკუთრებით ღამით. ასე ვიარეთ რვა დღეს და ბოლოს ჩავაღწიეთ ბრატსკიში. ეს იყო დაბა, რომელიც მდინარე ანგარისა და მდინარე ოკას შეერთების ადგილას მდებარეობს (ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ იგი მოზრდილ ქალაქად გადაიქცა). სახლები ხისაა, მორებისაგან აშენებული.

ჩავედით თუ არა, ერთი ჩვენი გამყოლი „გეპეუს" განყოფილებაში მივიდა. იქიდან გამობრუნებულს ვიღაც მოჰყვა და წაგვიყვანა ფანჯრებჩალეწილ და კარებმონ-

ჯღრეულ სახლში, რომელშიც არავინ ცხოვრობდა და ცეცხლსაც არავინ ანთებდა. უცეცხლოდ კი იქ გაძლება შეუძლებელი იყო. „შედით და იქ იცხოვრეთო", – გვითხრა ჩვენთვის უცნობმა ჩეკისტმა. გადასახლებულებმა სასტიკი უარი განაცხადეს იქ შესვლაზე და მოითხოვეს ნორმალური ბინის მოცემა. ვსხედვართ ჩვენი ბარგით ქუჩაში სახლის წინ. შუადღეა. კარგიო, – დაგვეთანხმა ის უცნობი, – უფროსს მოვახსენებო. ერთი საათის შემდეგ მართლაც მოვიდა „გეპეუს" უფროსი, ყოვლად საზიზღარი და უხეში კაცი, გვარად კარავაევი (გვარი შემდეგ გავიგეთ). დაცინვით გვკითხა:

– რას თხოულობთ თქვენ?

ჩვენ შორის ყველაზე უფრო გამოცდილმა, გადასახლებაში უკვე წინათ ნამყოფმა ერთმა ამხანაგმა უპასუხა:

– ჩვენ პატიმრები არა ვართ. ჩვენ პოლიტიკური გადასახლებულები ვართ და ჩვენი უფლებები გვაქვს. ნორმალურ ბინას ვთხოულობთ, გარეთ რომ არ გავიყინოთ.

პენსნეს ატარებდა „გეპეუს" უფროსი. მოიძრო, გაწმინდა და ისევ გვეკითხება:

– კიდევ რა გინდათ?

– პური და საღამოს ვახშამი.

– პურს ხვალ მიიღებთ. ბინად კი თქვენთვის ეს სახლია გამოყოფილი.

– ჩვენ ამ ბინაში არ შევალთ. გარეთ ქუჩაში დავრჩებით, – ერთხმად ვუპასუხეთ.

– რამდენ ხანსაც გინდათ, იმდენ ხანს დარჩით ქუჩაში. უყურე ერთი ამათ, სანატორიუმი არ მომთხოვეს ახლა?! – გაბრუნდა და წავიდა.

რა ვქნათ, აღარ ვიცით. უკვე მოსაღამოვდა. სიცივე თანდათან უფრო მატულობს. ჩვენმა ბიჭებმა აქა-იქ მიყრილ ფიცრის ნაჭრებს მოუყარეს თავი და გარეთ ორ ადგილას ცეცხლი გააჩაღეს. ვდავობთ, როგორ მოვიქცეთ. ამ დროს მოულოდნელად თავზე წამოგვადგა საშუალოზე მაღალი, შავ შინელში გახვეული კაცი. ქართულად გვეუბნება:

– გამარჯობა!

გაშტერებულებმა ძლივს ვუპასუხეთ:

– გაგიმარჯოს!

შავშინელიანი განაგრძობს:

– მითხრეს, აქ ქართველები მოიყვანესო და აი, მეც მოვედი.

– ვინ ბრძანდებით?

– მე ამ რაიონის მილიციის უფროსი ვარ, გვარად გელენიძე (სახელიც თქვა, მაგრამ არ მახსოვს).

მასთან ლაპარაკის შემდეგ ასეთი უცნაური ამბავი გამოირკვა: გელენიძე წარმოშობით ფოთიდან იყო. ჩვიდმეტი წლისას მეზღვაურობა დაუწყია. სავაჭრო გემებით მოუვლია მთელი ქვეყანა. ყოფილა ამერიკის, ევროპის და აზიის ბევრ ქალაქში. მერე ჩინეთში ჩარჩენილა (რა მიზეზით, არ უთქვამს). ცხოვრობდა შანხაიში, შემდეგ ხარბინში. ხარბინიდან ვლადივოსტოკში გადმოსულა. იქ პარტიაში შევედიო. იქიდან მოუვლია ხაბაროვსკი, ჩიტა, ირკუტსკი და, ბოლოს, ბრატსკის რაიონი. ცოლ-შვილი ჰყავდა თუ არა, არ გვიკითხავს. იქნებოდა ორმოც წლამდე.

– ქართული როგორ არ დაგავიწყდათ?

– ხარბინში ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ერთ ქუჩას ქართული ქუჩაც

კი ერქვა. სულ მათთან ვიყავი. ირკუტსკშიც ბლომად არიან ქართველები. ყველასთან ნაცნობობა მქონდა. ქართულადაც ხშირად ვულხენდით.

– საქართველოში ნათესაობა თუ გყავთ?

– როგორ არა, მაგრამ მათთან კავშირი დიდი ხანია გაწყვეტილი მაქვს. ისეთ მოხეტიალე ცხოვრებას მივდევდი, რომ მუდმივი მისამართი არასდროს მქონია.

აი, ამ კაცმა გვითხრა, რომ კარავაევთან მას კარგი დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ რაც შეიძლება, დაგეხმარებითო. მართლაც დაგვეხმარა. მისი ბრძანებით ჩვენთან გამოცხადდა ორი მილიციელი და გვითხრა, ყველას ერთად ვერ მოგათავსებთ, მაგრამ ხუთ ჯგუფად ხუთ სახლში შეგასახლებთო. რომელ მოსახლეს რა უთხრეს, ეს ჩვენ არ გაგვიგია, მაგრამ გელენიძის ავტორიტეტმა თუ შიშმა გაჭრა და ის ღამე ყინვაში გარეთ არ გაგვითევია. ოჯახებმა კარგად მიგვიღეს, ჩაიც მოგვიდუღეს და რალაც სანოვაგეც გვიწილადეს. დავმშვიდდით, თითქმის სრულიად თავისუფალი ვიყავით, ბრატსკის ქუჩებში (თუკი ქუჩები ეწოდებოდა მათ) ჩვენს ნებაზე დავდიოდით. ბრატსკიში მაისის ბოლომდე დავრჩით. მდინარეზე გადაკრულ ყინულს (მერე გავიგე, რომ ყინულს ერთ მეტრამდე სისქე ჰქონდა) ალაგ-ალაგ მოლურჯო ფერმა გადაჰკრა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სითბოსაგან ყინული ღღობას და მტვრევას იწყებდა. ერთ დღესაც საშინელმა გრუხუნმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ყინულები იმტვრეოდა და მდინარე მათ უზარმაზარ ნატეხებს ნაფოტებივით ქვევით მიაქანებდა. ვიდრე მდინარე ყინულებისაგან გაიწმინდებოდა, ერთი კვირა გავიდა. უკვე შეიძლებოდა ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირას ნავებით გადასვლა. მოგვიყარეს ყველას ერთად თავი და გამოგვიცხადეს, ამა და ამ სოფლებში წახვალთო. მე და ჩემს მეგობარ აქვსენტი ვასაძეს (ცალი ხელი მოკვეთილი ჰქონდა) მდინარის ზედა წელისკენ მოგვიწია წასვლა. მე – ბრატსკიდან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით სოფ. ფილიპოვოში, ვასაძეს – კიდევ ზევით ორმოც კილომეტრზე, სოფ. ბალშოი-მამირში, ძმები ბოკუჩავები (შალვა და შუქური) – მდინარის ქვემო დინებაზე, სოფ. პადუნში და ასე დაგვანაწილეს სხვადასხვა სოფელში. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ვასაძეც და მეც თითო-თითოდ გადასახლებული აღმოვჩნდით, სხვები ორი-სამი მაინც მოხვდნენ ერთად. ერთ დილას მე და ვასაძე ნავით მეორე ნაპირას გადაგვიყვანეს და საზიდარით მიგვიყვანეს: მე სოფელ ლუჩიხაში (აქ იყო სოფლის საბჭო), აქვსენტიმ კი განაგრძო გზა მამირამდე. ცრემლმორეულები დავშორდით ერთმანეთს.

საბჭოში ვიღაც კაცმა ჩემი სახელი და გვარი ჩაიწერა და მითხრა: აი, ხომ ხედავ იმ მოპირდაპირე სოფელს, იქ იცხოვრებო. დაუძახა ვიღაც ფილიპოველ ქალს, რომელიც რალაც საქმეზე საბჭოში მისულიყო და დაავალა, ნავით გადავეყვანე ფილიპოვოში (ნავის მართვა იქ ყველამ იცის). რალაცაზე ქუდი მოვიხადე და ოფლი მოვიწმინდე. მთლად გამელოტებული ვიყავი. ქალმა მკითხა:

– ვამ ნავერნო ტრიდცატ-ტრიდცატპიატ ლეტ?[1]

19 წლისა გავხდი. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი საშინელი მარტოობა. სად ხართ, ჩემო უფროსო მეგობრებო? სად ხართ, ჩემო ტოლებო?

მე სულ მარტოდმარტო დავრჩი ამ უცხო ქვეყანაში, სამშობლოს მოშორებული, მეგობრებს დაშორებული.

---

[1] – თქვენ ალბათ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა იქნებით?

3 წელი და 3 თვე კუნძულზე

გადავცურეთ ანგარა და ფეხი მის მარცხენა ნაპირს დავადგი. ანგარა აღმოსავლეთ ციმბირის დიდი მდინარეა, სოფელ ფილიპოვოსთან მისი სიგანე 400 მეტრი იქნებოდა. მაგრამ ეს მდინარის მხოლოდ ერთი ტოტი ყოფილა. მეორე ტოტი, ორი-სამი კილომეტრისა, ზევით ხმელეთს მეორე მხრიდან უვლის და ბოლოს მარჯვენა ტოტს უერთდება. ესე იგი, მე კუნძულზე ვარ, მისი სიგრძე 5-6 კილომეტრი იქნება, სიგანე ზოგან 2-3 კილომეტრი, ზოგანაც 4 კილომეტრი. ამ კუნძულზე 150 კომლი ცხოვრობს. სოფელს ერთი მთავარი გზა ორ ნაწილად ჰყოფს. სახლები, როგორც საერთოდ ციმბირის სოფლებში, ხის მორებისაგან მკვიდრად აშენებულია. ეს ყველაფერი ჩემი გამყოლი მენავე ქალისაგან გავიგე. მერე ვკითხე:

– ამ სოფელში გადმოსახლებული ქართველები თუ არიან?

პირველად ვერ მიხვდა, ვისზე ველაპარაკებოდი. შემდეგ კავკასია ვახსენე: როგორ არაო, – მიპასუხა, – აქ „სილნიხ კავკაზცევ მნოგოო".[1] გამიხარდა, რომ შეიძლება ამ კავკასიელებს შორის ვინმე ქართველიც იყოს. მერე ვთხოვე, ისეთ ვინმესთან მიმიყვანე, ბინის ქირაობა რომ შეიძლებოდეს-მეთქი. მართლაც მიმიყვანა ერთ-ერთ ოჯახში. დიასახლისს უარი არ უთქვამს: აი, ამ ოთახში მოთავსდითო. თვითონ სადღაც გაიქცა და ნახევარი საათის შემდეგ მოიყვანა ვიღაც კაცი, ხნიერი, თეთრი ულვაშები ლამის ყურებამდე აქვს გადაგრეხილი, ყოჩაღად გამოიყურება. მიყურებს, ვუყურებ. ბოლოს გაეღიმა.

– დიასახლისმა მითხრა, შენი ძმა ჩამოვიდაო. გამიკვირდა. მე ხომ ერთი ძმა კაცაპებმა დამიხვრიტეს და მეტი კი არ მყოლია. არა უშავს, გადმოსახლებული იქნები.

გავიცანით ერთმანეთი.

– საიდან ხართ?

– ქართველი ვარ, თბილისიდან.

– მე კიდევ მიკოლა ლისიაკი ვარ, უკრაინელი, კრემენჩუკიდან. ბიეში ოფიცერ პეტლიუროვსკოი არმიი![2]

ეს რიხითა და სიამოვნებით თქვა. თანაც სამხედრო წესის მიხედვით, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიტანა. მარჯვენა ხელის თითები მოკვეთილი ჰქონდა.

აი, ეს მიკოლა ლისიაკი მდგმურად იდგა იმ ოჯახში, სადაც მეც უნდა მეცხოვრა. მოვურიგდი დიასახლისს: დილა-საღამოს ჩაი, ნაშუადღევს სადილი. ფული რამდენი უნდა მიმეცა, აღარ მახსოვს. ამ ოჯახში თვე-ნახევარს დავრჩი, ცუდ პირობებში არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც შეზლუდულად ვგრძნობდი თავს. თანდათან გავეცანი სოფელს და გადავწყვიტე, ცალკე მექირავა ოთახი. ასეც მოვიქეცი და შედარებით კარგად მოვეწყვე.

ჩემმა მენავე ქალმა რომ მითხრა, აქ კავკასიელები ბლომად არიანო, სიმართლე არ გამოდგა. ის შეცდომით რატომღაც ყველა გადასახლებულს კავკასიელად თვლიდა. ლისიაკის გარდა აქ კიდევ იყვნენ უკრაინელები, 7-8 კაცი: ფედია ბუდაგოვსკი, ტარას ომელიანსკი, გავრილა და მიკოლა (გვარები არ მახსოვს), ერთი ახალგაზრდა

---

[1] – ძლიერი კავკასიელები მრავლად არიანო.

[2] – პეტლიურას არმიის ყოფილი ოფიცერი.

რუსი ოსმინცევი, პოლონელი ვლადიმერ ნეჩაი, ებრაელი ისააკ ზოლოტნიცკი (ლუჩიხაში ცხოვრობდა, მაგრამ მთელ დღეებს უმთავრესად ფილიპოვოში ატარებდა, საკმაოდ განათლებული კაცი იყო) და ერთიც ყაზანელი თათარი (გვარი არ მახსოვს). ზოგი მათგანი კონტრაბანდისტობაზე იყო დაჭერილი და გადმოსახლებული, ზოგიც „კულაკობისა“ და სხვა ბრალდებების გამო. მათთან სულ მალე ძალიან კარგი დამოკიდებულება დავამყარე. კეთილი ხალხი იყო, განსაკუთრებით უკრაინელები. მე ისინი ყოველმხრივ მჯობნიდნენ არსებობისთვის ბრძოლაში. ყველამ რაღაც ხელობა იცოდა: ზოგი დურგალი იყო, ზოგი დალაქი, ფოტოგრაფი, ეხერხებოდათ ცხენების მოვლა, მარხილში შებმა და ათასი სხვა საოჯახო საქმეები, რასაც იქ დიდი გასავალი ჰქონდა. მე კი მათ იმით „ვჯობნიდი“, რომ, შეძლებისდაგვარად, ვიცოდი რუსთაველი, შექსპირი, ილია, აკაკი და სხვებიც, მწერლებიც და პოლიტიკური მოღვაწეებიც, მაგრამ მათი სახელის ხსენებით და თუნდაც საფუძვლიანი ცოდნით ლუკმა-პურს ვერ ჭამს კაცი, მით უმეტეს, ციმბირში.

გადასახლებულთა უმრავლესობა თითქმის ოჯახურად იყო მოწყობილი, „ესიძებოდნენ“ ქვრივებს და არაქვრივებსაც ყოველგვარი ფორმალობის გარეშე და თავი შედარებით ადვილად გაჰქონდათ. მე ისინი ხშირად მპატიჟებდნენ და, რაც ჰქონდათ, ჩემთვის არ ენანებოდათ. შეიძლება, ვეცოდებოდი კიდეც, როცა ჩემს წლოვანებას გაიგებდნენ ხოლმე. თბილისიდან გამოტანებული ფული, რომელსაც გზაში ვიზოგავდი, თანდათან მელეოდა. სიძვირეც სულ უფრო და უფრო მატულობდა. კოლმეურნეობა აქაც ჩამოეყალიბებინათ, მაგრამ მოსახლეობა მას ვერ ურიგდებოდა, ხალხის გაბოროტებას იწვევდა. პურისა და სხვა სურსათ-სანოვაგის ფასი ყოველდღიურად მატულობდა.

სოფლის მცხოვრებლები ყველა ქრისტიანი იყო. ესენი ძირითადად რუსები არიან, მაგრამ თავიანთ თავს რატომღაც „ჩელდონებს“ ეძახიან. როცა ვკითხე, რას ნიშნავდა „ჩელდონი“, ხალხური ეტიმოლოგიით ამიხსნეს: „ჩელოვეკ ს დონა“,[1] ჩვენ დონიდან ვართ წარმოშობითო. ეს სწორი არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, აქაურიც და სხვა სოფლების მცხოვრებლებიც საუკუნეების მანძილზე ძალად გადმოსახლებული და დასჯილი ადამიანების შთამომავლებია.

ფილიპოვოში ხის ეკლესიის დანგრევა უკვე მოესწროთ, მხოლოდ სამრეკლო იყო გადარჩენილი. სოფელში არსებობდა დაწყებითი სკოლა. ხალხი კეთილია და სხვა ეროვნებათა მიმართ რაიმე სიძულვილს არ ამჟღავნებდა. ყოველ შემთვევაში, მე ეს არ მიგრძვნია იქ ყოფნის პერიოდში. შინაური ცხოველებიდან ჰყავთ ცხენი, ძროხა, ღორი. ცხენი მათთვის აუცილებლობას წარმოადგენს. სხვა სოფლებს მარხილით უკავშირდებიან. გატკეპნილ თოვლზე მარხილი ისე სწრაფად მისრიალებს, რომ დღეში ორას კილომეტრს, მეტსაც, გადიან ხოლმე. ქართველ კაცს იქ დროსა და სივრცეზე წარმოდგენა ეცვლება. აქ, ჩვენთან, ორმოცი, სამოცი, ასი კილომეტრი საკმაოდ დიდ მანძილად ითვლება. იქ ამ მანძილს არაფრად აგდებენ. რომ თქვა, ესა თუ ის სოფელი შორსაა, 60 კილომეტრია აქედანო, გაეცინებათ, რადგან ამ მანძილს ისინი 3 საათში ფარავენ. ზაფხულობით, როცა მდინარეები იხსნება (ყინულისაგან თავისუფ-

[1] ადამიანი დონიდან.

ლდება), აქაურები სხვა დასახლებულ პუნქტებს მდინარის ხომალდებით და ნავებით უკავშირდებიან. ხომალდები მიდიან ირკუტსკიდან ბრატსკამდე და მერე უკანვე ბრუნდებიან. მოსახლეობა უმთავრესად ცხოვრობს მდინარის ნაპირებთან ახლოს. მათ საჭმელს ძირითადად შეადგენს ხორცეული, თევზი, კარტოფილი, კარაქი, ხაჭო, არაჟანი.

ანგარა ძალიან მდიდარია თევზით. შემოდგომაზე (შემოდგომა იქ ადრე იწყება) მოსახლეობა ან ცალკე, ინდივიდუალურად, ან მეზობლებთან შეამხანაგებით ბადით უამრავ თევზს იჭერს, ბევრი ცალკე ამზადებს ქვირითს (ესეც თავისებური ხიზილალაა). ზოგიერთებს თევზი მთელ ზამთარს ჰქონდათ (გაყინული სახით), ზოგი ზამთარშიც იჭერდა თევზს. ყინულში აკეთებენ ნახვრეტებს – ნახევარი მეტრის სიგრძე-სიგანის („პრორუბ"). ანკესზე წამოაგებენ „მაკჩოს" (ასე ჰქვია თევზს, რომელიც მხოლოდ ერთ ციდამდე იზრდება), მაგარი ძაფით (მკედით) მიამაგრებენ ორი-სამი მეტრის სიგრძის ჯოხს, ჩაუშვებენ ყინულის ჭრილში და ასე იჭერენ გემრიელ თევზს „ნალიმს". იქაურებს მისგან ძალიან უყვართ „პეროგის" მომზადება (წარმოიდგინეთ ხაჭაპური, რომელშიც იმერული ყველის ნაცვლად ნალიმია ჩადებული თავის წვენში შემწვარი. ძალიან გემრიელი საჭმელია).

აცვიათ ჩვეულებრივად, მხოლოდ ზამთარში ყინვისაგან თავის დასაცავად (თუ შორს მიდიან) ნაბადივით მოიხურავენ „დოხას", რომელიც მგლის ან ძაღლის ტყავისაგან არის შეკერილი, ზოგი სახელოებიანია, ზოგიც არა – ნაბადივით მოსასხამია. როცა დიდი ყინვებია, სახეზე ისვამენ ბატის ქონს.

ქალები საკმაოდ თავისუფალ ცხოვრებას ეწევიან. ეს მაინცდამაინც დიდ ცოდვად არ ითვლება. უქმროდ ჰყავთ შვილები, მაგრამ ეს მათ გათხოვებაში ხელს არ უშლის. ზამთრობით უყვართ რომელიმე ოჯახში თავის მოყრა, ჭორაობენ და ხელსაქმობენ. არაყს სვამენ ქალებიც და კაცებიც, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ჩვენში შეიძლება ვინმეს ჰქონდეს წარმოდგენილი. კაცები თვრებიან, ქალები შეზარხოშდებიან. გამოვლენ გარეთ ქუჩაში, ჩააბამენ ერთმანეთს ხელს. ეს მათი ფერხულია („ხოროვოდ"). მასში თითქმის მთელი სოფელი მონაწილეობს, დიდიც და პატარაც. ამგვარ მხიარულებას განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულების დროს ეძლევიან.

შეშას ტაიგაში ამზადებენ და უამრავი აქვთ. ზამთარში თოვლზე მოაგორებენ ფიჭვებისა და ლარიქსების („ლისტვენიცა") უზარმაზარ მორებს, მოაქვთ სახლში, ხერხავენ და თითოეულ ოჯახს ბარე ორი წლის მარაგი აქვს ხოლმე სახლში. მამაკაცები, ხვნა-თესვის გარდა, ტაიგაში ნადირობენ სიასამურებზე, ციყვებსა და კვერნებზე, რომელთა ბეწვს მთავრობა იბარებს. ტაიგაში ბევრია კენკროვნები, რომელთაც მწიფობისას უმთავრესად ქალები და ბავშვები აგროვებენ. აქაური მცხოვრებლების ნამდვილი ჭირია ქინქლა (მოსკიტი) და კოლო. ქინქლა იმოდენაა, ჩვენში ღვინის ძმარს რომ დაესევა ხოლმე. შხამიანია და სისხლს უშრობს კაცს. ყველგან ძვრება: ცხვირში, თვალებში, ყურებში, სახელოებში. იკბინება, რაც საშინელ ქავილს იწვევს. მისგან თავს იცავენ ხელებზე კუპრის წასმით, სახეზე იფარებენ ჩითისაგან შეკერილ ნიღაბს, რომელსაც წინ პირის მოცულობისოდენა „ტული" (გამჭვირვალე ქსოვილი) აქვს ჩაკერებული. ის მხედველობას არ უშლის და ქინქლისაგან იცავს კაცს.

რაც შეეხება კოლოს, ის უმთავრესად ტაიგაშია, თითქმის ცერის ფრჩხილისოდენა, ზოგიერთი მეტიც, ბრეზენტის ტანსაცმელშიც კი ატანს მისი ისარი. მისი ნაკბენიც საშინელ ქავილს იწვევს. კიდევ კარგი, ციების გამავრცელებელი არაა.

ასეთი იყო ის სოფელი კუნძულზე, სადაც მე 3 წელი და 3 თვე მომინია ცხოვრება. ახლა ჩემ შესახებ და გადასახლებულთა ყოფაცხოვრებაზეც უნდა მოგითხროთ.

პირველ თვეს რაღაც გაბრუებული ვიყავი, ჯერ კიდევ კარგად არ მქონდა გაცნობიერებული, სად მოვხვდი. მერე, როცა უფრო დავმშვიდდი და ფიქრებს მივეცი, მით უფრო მომეძალა ნოსტალგია. ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილად, სრულიად მარტოდ ვიგრძენი თავი. მაშინ მივხვდი პირველად, თუ რა საშინელებაა, როცა ქართულად დამლაპარაკებელი არა გყავს გვერდით. ჯოჯოხეთსაც კი გაუძლებს კაცი, თუ შენიანი, შენი სისხლისა და ხორცის ქართველი შენთანაა. ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც ვერაფრით გაიგებს ადამიანი, თუ ამ საშინელ მარტოობას არ გამოსცდის. ჩვენ ამას იქ თითქმის ინსტინქტურად ვგრძნობდით და გადასახლებაში საოცარ სიყვარულს, თანადგომას, სულიერ ერთიანობას ვიჩენდით ერთმანეთის მიმართ. ნეტავ ისე შეკავშირებული იყვნენ ქართველები ერთმანეთთან საქართველოში, როგორც ჩვენ ვიყავით ციხეებსა თუ გადასახლებაში.

მე კი, როგორც აღვნიშნე, სულ მარტოდმარტო, ჩემიანებს მოწყვეტილი აღმოვჩნდი 19 წლის ჭაბუკი. ძალიან გამიჭირდა და პირველად ჩემს სიცოცხლეში გადავწყვიტე თავის მოკვლა. ერთი კვირა სულ ამ ფიქრით ვიყავი შეპყრობილი. და აი, ამ დროს თბილისიდან მივიღე დეპეშა მამისაგან – სამ თუმანს მიგზავნიდა და მამხნევებდა, ყოჩაღად იყავიო. თითქოს რაღაც უზარმაზარი ლოდი მოვიშორე გულიდან, დავწყნარდი. ამას მალე მოჰყვა წერილები ოჯახიდან და გადასახლებული ჩემი ამხანაგებისაგან. ყველანი მოკითხვას, კოცნას მიგზავნიდნენ და თან იმედს გამოსთქვამდნენ, რომ მალე ერთმანეთს კვლავაც შევხვდებით საქართველოში.

სიხარულით ავივსე, გული გამიმაგრდა და ძალა მომეცა. ღმერთო ჩემო, რა დროს სიკვდილია! ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ, აუცილებლივ უნდა ვიცოცხლოთ საქართველოს საკეთილდღეოდ და სადიდებლად!

ერთი წელი ვიყავი კუნძულზე. რა მევალებოდა, როგორც გადმოსახლებულს? სოფელში იყო ერთი ინტელიგენტური ოჯახი – კარნაუზოვების. ამათი დიასახლისი სოფლის საბჭოსაგან (ალბათ „გეპეუსთან" შეთანხმებით) გამოყოფილი იყო რწმუნებულად („უპოლნომოჩენი"). მეც და სხვა გადასახლებულებიც ვალდებული ვიყავით, კვირაში ერთხელ გამოვცხადებულიყავით მასთან და რვეულში ხელი მოგვეწერა, მაგრამ ამაზე ეს ქვრივი ქალი თავს არ იწუხებდა, ზოგჯერ თვეც გავიდოდა, „აღრიცხვაზე" არ ვცხადდებოდით. ამის გამო ეს ქალი არც ბრაზდებოდა და არც ვინმესთან გვაბეზღებდა. მას ჰყავდა ლამაზი ქალიშვილი, დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა. საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და წასაკითხად წიგნებს მაძლევდა. დავვახლოვდით. შემდეგ რომანიც გაიბა ჩვენ შორის.

სახლიდან 3 თუმნამდე ფულს მაწვდიდნენ. მამაჩემი ყოველ ორ კვირაში ერთხელ თბილისის გაზეთებს მიგზავნიდა „შეკვეთილი ბანდეროლით". წიგნებსაც მიგზავნიდნენ ჩემი გულითადი მეგობარი ნიკო ტატიშვილი და ვალერი მაჩაიძე. კიევიდან წიგნები გამომიგზავნა ვანო ჯანელიძემ, ჩვენმა ნათესავმა. მე სამყაროს მოწყვეტილი აღარ ვიყავი, ვიცოდი, რა ხდებოდა ქვეყნიერებაზე. ვკითხულობდი ძალიან ბევრს. სხვა საქმე რა მქონდა? რაიმე ხელობა მე არ ვიცოდი და არც რაიმე ინტელიგენტური შრომა შემეძლო.

ცალკე ოთახში რომ გადავედი, ჩემთან ხშირად მოდიოდა მიკოლა ლისიაკი. საი-

დანლაც მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს (საზიზღარი გემო ჰქონდა), გავაწყობდით პატარა სუფრას და ის გემრიელად შეექცეოდა სასმელს. მხიარული და ხალისიანი კაცი იყო. შემდეგ თავისი ბარიტონით დასჭექდა:

შჩე ნე ვმერლა უკრაინა
ი სლავა ი დოლია.

მერე „გოპაკს“ ჩამოუვლიდა და მეც მაძალებდა – „ლეზგინკა“ იცეკვეო. ცეკვა არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა, მაგრამ ძალით მაცეკვებდა. კიდევ კარგი, არავინ გვიყურებდა.

ზევით რომ ვანო ჯანელიძე ვახსენე, იმან კიევიდან გამომიგზავნა ჰაინეს რამდენიმე ტომი, ტარას შევჩენკოს წერილების კრებული და ვიღაც კოზორინის პატარა „მოთხრობები“ (უკრაინულ ენაზე). ეს კოზორინი, როგორც მოთხრობებიდან ჩანდა (ლისიაკის დახმარებით გავიცანი), მაგარი კომუნისტი იყო. ვუთხარი მიკოლას, უკრაინულის შესწავლა მინდა და დამეხმარე-მეთქი. როგორო? ვთარგმნოთ კოზორინის რომელიმე მოთხრობა. გაეცინა. ეგლა გვაკლია, მაგ მამაძაღლის ნაჯღაბნზე დრო დავკარგოთო. არ შევეშვი და დავიწყეთ მეცადინეობა. მე ვკითხულობდი და ის ჩემთვის გაუგებარ უკრაინულ სიტყვებს რუსულად მიხსნიდა. ასე ვთარგმნეთ მთლიანად ერთი პატარა მოთხრობა. მერე გადავათეთრე და მამაჩემს გავუგზავნე ტრაბახით: „უკრაინული იმდენად ვისწავლე, რომ მოთხრობა ვთარგმნე-მეთქი“. პასუხი მივიღე: „ძალიან კარგი, ასე განაგრძეო“. თვითონ კი „პიონერის“ რედაქციაში წაულია მოთხრობა და სრულიად მოულოდნელად დაბეჭდეს კიდეც. ასე გავხდი უნებლიეთ „კომუნიზმისთვის მებრძოლთა“ „მეხოტბე“. შემინდოს ღმერთმა!

სხვათა შორის, ჩვენი მეცადინეობის დროს მიკოლა ლისიაკს ვუთხარი:

– უკრაინულ ენაში ძალიან ბევრი რუსული სიტყვაა.

ამაზე ასე მიპასუხა:

– შენ რომ პირველად უკრაინული ენა შეგესწავლა და მერე რუსული, მაშინ იტყოდი: რუსულ ენაში ბევრი უკრაინული სიტყვაა. ეს სიტყვები საერთო სლავური წარმოშობისაა და ერთნაირად ეკუთვნით რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, პოლონელებს და ბევრ სხვასაც. ნამდვილ უკრაინულს ლვოვში, დასავლეთ უკრაინაში, ლაპარაკობენ, ჩვენი კი შერყვნილიაო.

მე რომ ხელახლა დამიჭირეს, ლისიაკი სოფელშივე დავტოვე. ალბათ ძვლებიც იქ ჩატოვა იმ პატიოსანმა უკრაინელმა, თუ ისიც სიკვდილამდე სხვა ადგილას არ გადაიყვანეს სასჯელის მოსახდელად.

ერთი წლის მანძილზე სულ მარტო რომ ვიყავი სოფელში, უკრაინელმა ბიჭებმა ერთხელ ბრატსკიში წამიყვანეს (ბრატსკიში ჩასვლის უფლება გვქონდა მხოლოდ დროებით). ლარიქსის ქერქით გემი უნდა დაგვეტვირთა. ზაფხულობით ამ უზარმაზარ ხეებს, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 60-70 მეტრს აღწევდა, ტაიგაში ჭრიან და ქერქს აცლიან. ამ ქერქს შეკრავენ ხოლმე (თითოეული შეკვრა წონით 5-6 ფუთამდეა), ჩაიტანენ ბრატსკიში და მერე გემებზე ტვირთავენ. ქერქს ტყავის დასამუშავებლად იყენებენ. მტვირთაობა ძალიან ძნელი სამუშაოა, მაგარი ჯანი უნდა ჰქონდეს კაცს. განსაკუთრებით ძნელია ტრაპზე ასვლისას. ტრაპი ირწევა და შეუჩვეველ ადამიანს თავბრუ ეხვევა. ორ დღეს გავუძელი, მერე ჩემს კეთილისმყოფელთ ვუთხარი, რომ მუშაობა

არ შემიძლია-მეთქი. – კარგი, შენ ნაპირზე დარჩი, ეს ცხენის ხორცი მოგვიხარშე და დანარჩენს ჩვენ მოვუვლითო. უნდა ვთქვა, რომ სოფელში გლეხები საქონელს გასაყიდად ალარ კლავდნენ. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს თითქმის სულ გაწყვიტეს. ვისაც 2-3 ძროხა ჰყავდა, მხოლოდ ერთი დაეტოვებინა. ღორებიც ასევე, მხოლოდ თითო სულს ასუქებდნენ ზამთრისთვის. გადმოსახლებული უკრაინელები ხანდახან ცხენს ყიდულობდნენ, კლავდნენ და მის ხორცს ჭამდნენ. მეც მიმაჩვიეს, თუმცა პირველად გული მერეოდა.

რაც დამავალეს, იმის შესრულება ადვილი იყო. ერთ კვირას დავრჩით იქ. მიღებული ფული, როგორც „არტელის" სრულუფლებიან წევრს, ისე მიწილადეს, თუმცა პირველად ცივ უარზე ვიყავი. შემომიტიეს და გამაჩუმეს. გულში გამეხარდა, შინიდან კი მიგზავნიდნენ ფულს, მაგრამ მეც ხომ უნდა მეშოვა რამე? დავუშვათ, არ მყოლოდა მშობლები, მაშინ?

ერთი სიტყვით, საჭირო იყო შავ სამუშაოს შევჩვეოდი. შევეჩვიე კიდეც. სხვათა შორის, ბრატსკიში უკრაინელებთან ყოფნის დროს გავიგე, რომ ხე-ტყის სამხერხაოში, რომელსაც პატარა სადურგლო საამქროც ჰქონდა, მუშაობდა ერთი ქართველი. ვეძებე და მივაკვლიე მას სადურგლოში. ალექსანდრე ხუხუნაიშვილი აღმოჩნდა ბათუმიდან, ჭაღარა კაცი, სამოც წლამდე იქნებოდა.

სამაგიდე ფიცრებს აშალაშინებდა. ის თვე-ნახევრის წინათ მოეყვანათ ბრატსკიში. იქ ეკითხათ, რაიმე ხელობა ხომ არ იციო და, როცა თანხმობა მიიღეს, სადურგლოში დააწყებინეს მუშაობა. ბევრი ვილაპარაკეთ. შემდეგ, როცა ბრატსკიში ყოფნა მომიწევდა ხოლმე, ღამეს მასთან ვათევდი.

სოფელ ლუჩიხის მხარეს, ტაიგის სიღრმეში, 15–20 კილომეტრზე, რკინის საბადო იყო. მას ადგილობრივი მცხოვრებლები „რუდნიკს" ეძახდნენ. მუშაობა იქ იმჟამადაც მიმდინარეობდა, მაგრამ იღებდნენ თუ არა მადანს ან რამდენს, მე არ ვიცი. მდინარის მარჯვენა ნაპირას თუჯის უზარმაზარი ზოდები ეყარა. ირკუტსკიდან ვილაც ჩამოვიდა და შეაგროვა მსურველები ჯართის დასამზადებლად. იმ ხანებში ლუჩიხაში ათამდე უზბეკი გადმოსახლებული ჩამოიყვანეს. დამიახლოვდნენ და ერთხელ მითხრეს (რუსულს ძალიან ცუდად ლაპარაკობდნენ, რამდენიმემ სრულებით არაფერი იცოდა):

– მიხაილ ბაი, ჯართის დამზადებაზე გვინდა ვიმუშაოთ, თუ თქვენ ჩვენთან იქნებით.

დავეთანხმე და დავიწყეთ მუშაობა. ზაფხულის ორი თვე ასე გავატარეთ. ძალიან მცირე ანაზღაურება გვქონდა, მაგრამ სულ არაფერს ეს სჯობდა. გარდა ამისა, ზოლოტნიკიმ მითხრა: დამამზადებელს ცნობა გამოართვი, რომ ფიზიკურად მუშაობდი. ეს განთავისუფლებისას გამოგადგებაო. ცნობა კი მომცეს, რომ კეთილსინდისიერად ვმუშაობდი, მაგრამ არ შეგჭამოთ ჭირმა, მე ის არაფერში გამომდგომია.

არ მინდა, დამავიწყდეს: პოლიტიკურებს ადგილობრივი კოოპერატივიდან (ლუჩიხაში იყო) თვეში გვაძლევდნენ კილო-ნახევარ ფქვილს ნაღდ ანგარიშზე, გვაძლევდნენ აგრეთვე 6 მანეთს ფულად, მაგრამ ორივე ეს „დახმარება" მალე შეგვიწყვიტეს. ფულისა და ფქვილის მოცემა ალბათ იმპერატორ ნიკოლოზისდროინდელი გადმონაშთი იყო. აქ მინდა, გავიხსენო მეტეხში მყოფი ერთი პატიმრის ნაამბობი. იგი ნიკოლოზის დროსაც ყოფილა გადასახლებული. მისი თქმით, პოლიტიკურ გადასახლებულებს მაშინდელი მთავრობა თვეში აძლევდა თავად-აზნაურებს – 10–12 მანეთს, სასულიერო

წოდებას მიკუთვნებულთ – 8-9 მანეთს, მდაბიოებს – 6-7 მანეთს (არ დაგავიწყდეთ, ეს იყო ოქროთი).

იმ პოლიტპატიმრის ნაამბობი რომ სწორი იყო, ამას ერთი ამონაწერიც ადასტურებს „არგუმენტი ი ფაქტიდან". მოსკოველი ი. ნოვიკოვა ეკითხება რედაქციას: „საინტერესოა, როგორ პირობებში იხდიდნენ გადასახლების სასჯელს პოლიტიკურები მეფის დროს?"

რედაქციამ ამას უპასუხა ვ. ლენინის დის, ა. ელიზაროვა-ულიანოვასა და ნ. კრუპსკაიას (ლენინის ცოლის) მოგონებებიდან ამონაწერით. აი, როგორ ცხოვრობდნენ ისინი გადასახლებაში:

„გადასახლება ვლადიმერ ილიჩისთვის შედარებით კარგად მიმდინარეობდა. დედის შუამდგომლობით, მას ნება დართეს, ჯანმრთელობის სისუსტის გამო სასჯელი მოეხადა ციმბირის ყველაზე უფრო ჯანსაღ ადგილას – მინუსინსკის მაზრაში. გადასახლების ადგილად მას მიუჩინეს სოფელი შუშენსკოე. სიიაფე შუშენსკოეში გასაოცარი იყო. ვლადიმერ ილიჩს თავისი „ხელფასით" – დახმარება რვა მანეთის ოდენობით – ჰქონდა სუფთა ოთახი, კვება, თეთრეულის რეცხვა და ამოკემსვა. მართალია, სადილი და ვახშამი კი უბრალო იყო".

როგორი იყო ეს „უბრალო" ვახშამი?..

„ერთი კვირის განმავლობაში ვლადიმერ ილიჩისათვის კლავდნენ ცხვარს, რითაც კვებავდნენ მას ყოველდღე, სანამ ხორცი გათავდებოდა, შემდეგ ერთი კვირის სამყოფ ხორცს ყიდულობდნენ. შემდეგ მოსამსახურე ქალი ვარცლში კეპავდა ნაყიდ ხორცს საკატლეტედ ვლადიმერ ილიჩისათვის. ესეც ერთი კვირის სამყოფად ილიჩისა და მისი ძაღლისთვის. მალე ჩვენ გადავედით სხვა ბინაში – ნახევარი სახლი ბოსტნიანად დავიქირავეთ 4 მანეთად. ოჯახურად მოვეწყვეთ. გაუჭირვებლად ვცხოვრობდით. 5-6 მანეთად ვურიგდებოდით ოჯახებს და სურსათით უზრუნველყოფილი ვიყავით" („არგუმენტი ი ფაქტი", 1991, №46).

აი, ასე ცხოვრობდა „ბელადი" გადასახლებაში იმპერატორ ნიკოლოზის წყალობით და მისი სამეფოც ამ „წყალობამ" დაანგრია.

ახლა კი ფილიპოვოში, როცა მთავრობა გლეხს უკანასკნელ მარცვალს ართმევდა, როცა საყიდლად პური არ იშოვებოდა ან, თუ იშოვებოდა, უკვე მამასისხლად ღირდა, ჩვენ ექვს-ნახევარი კილო ფქვილით უნდა გვერჩინა თავი და ისიც, როგორც აღვნიშნე, მალე შეგვიწყვიტეს. ძალიან გაჭირდა ცხოვრება, მაგრამ ფულს კიდევ ჰქონდა გასავალი და ეს გვშველოდა.

ერთი წელი რომ გავიდა, ჩემს სოფელში რომელიღაც მხრიდან მოიყვანეს პლატონ დანელია ცოლ-შვილით. ცოლი უკრაინელი ჰყავდა, ბავშვი წლინახევრისა იქნებოდა. თვითონ ფერშალი იყო და ამან ძალიან უშველა. სინჯავდა ავადმყოფებს, რეცეპტებსაც უწერდა (ერთი გასაცოდავებული აფთიაქი ბრატსკიში იყო) და გასამრჯელოდ ნატურით იღებდა პურს, ძროხის, ხაჭოს და არაჟანს. მეც სული მოვითქვი, ქართულად დამლაპარაკებელი კაცი რომ მყავდა.

ამის შემდეგ უცნაური რამ მოხდა. ბრატსკის „გეპეუმ" რატომღაც გადაწყვიტა, რომ სხვადასხვა სოფელში მყოფი ქართველების ერთი ნაწილისათვის ფილიპოვოში მოეყარა თავი. თანდათან მოიყვანეს ამ სოფელში პოლიტიკურები: მიხა ქურციკიძე (დუშელი), დიმიტრი კაჭახიძე (სამტრედიელი), იოსებ ბედელაშვილი (კახელი), ლევან

ბოჭორიშვილი (ჭიათურიდან თუ ტყიბულიდან იყო), დიომიდე ჭელიძე (რაჭველი), ვანო მარგალიტაძე (გურული), ძმები: შალვა და შუქური ბოკუჩავები (თბილისელები), ალექსანდრე (საშა) კილაძე (ქუთაისიდან), აროშიძე თუ არონიშიძე (სახელი არ მახსოვს), შოთა ბერძენიშვილი (მგონი, ცხემლისხიდელი).

ორი თვის შემდეგ ჩვენ შემოგვიერთეს ვარლამ ურატაძე ცოლ-შვილით (აცანელი, ცოლი რუსის ქალი იყო, ბავშვი 4 წლისა იქნებოდა). იგი ურალიდან ჯერ ბალშოი-მამირში მიეყვანათ (სადაც სასჯელს იხდიდა აქვსენტი ვასაძე) და მერე ჩვენს კუნძულზე მიუჩინეს ბინა. იყო კიდევ რამდენიმე კაცი, სამწუხაროდ, გვარებს ვერ ვიხსენებ (ყველაფერ ამას ხომ 60 წლის შემდეგ ვწერ. მგონი, უნდა მეპატიოს).

იმავე ხანებში სოფელში მოიყვანეს პეტერბურგელი ვოზნესენსკაია ქალიშვილით (ეს ქალიშვილი შემდეგ ცოლად შეირთო შუქური ბოკუჩავამ). ერთი სიტყვით, კუნძულზე ქართველების პატარა კოლონია შეიქმნა.

ვიდრე ამ ქართველებზე ვიტყოდე ორიოდე სიტყვას, მინდა, გავიხსენო ერთი შემთხვევა ჩემი იქაური ცხოვრებიდან. ზაფხული იყო. მოდის ჩემთან „აღმასრულებელი“ და მეუბნება: „გეპეუს“ უფროსი გიბარებს და უნდა წაგიყვანოო. წინანდელი უფროსი კარავაევი სხვაგან გადაეყვანათ. მის ნაცვლად მოგვეველინა კარელინი. მეორე დღეს მის კაბინეტში ვიყავი. ჩემ წინ იჯდა თხელ-თხელი კაცი, ინტელიგენტური სახისა, პიანისტის თითებით, ძალიან სუფთად ჩაცმული და დახვეწილი მანერებით. რომ შევედი, ფეხზე წამოდგა და დიდი თავაზიანობით მითხრა:

– დაბრძანდით.

დავჯექი.

უჯრიდან ამოიღო ყავისფერი კოლოფი, რომელსაც უცხოურად ეწერა: „რეკორდ“. შიგ საჩიბუხე თამბაქოა. მე ეს კოლოფი ვიცანი. იგი თბილისურია (მოწაფეობის დროს თბილისში მქონდა ნანახი). გახსნა და შემომთავაზა, მოწიეთო, თანაც პაპიროსის ქაღალდი გადმომაწოდა (თამბაქო თვითონაც პაპიროსის ქაღალდში გაახვია). მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, მე მახორკას შევეჩვიე და იმას ვეწევი-მეთქი. მეუბნება: თქვენებური თამბაქოა, ძალიან კარგიაო.

გუნებაში ვფიქრობ: „რა უნდა ამ კაცს ჩემგან?“ თანაც ვფხიზლობ. ციხეში შეხვედრილი პატიმრებისგან ვიცი, ხანდახან ამნაირი მოპყრობა იციან და ფრთხილად იყავი, რაიმე ანკესზე არ წამოგაგონო.

შემდეგ ჩვენ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– რამდენი წლის ხარ?

– ცხრამეტის.

– სახლი არ გენატრება?

– ძალიან მენატრება.

– სწავლა გინდა?

– ძალიან მინდა.

ადგა, გაიარ-გამოიარა, შემდეგ დაჯდა და ამბობს:

– მე შემიძლია ვადამდე შენი გათავისუფლება. თუ გინდა, თბილისში გაგიშვებ, თუ გინდა ირკუტსკში.

– ირკუტსკში რატომ?

– უნივერსიტეტში, იქ უმაღლეს განათლებას მიიღებ.

– მე უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს ვერ ჩავაბარებ, არა ვარ მზად.

– მაგაზე ნუ დარდობ. ყველაფერს კარგად მოგიწყობ.

უცებ საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა, ხან „თქვენობით“ მელაპარაკება, ხან „შენობით“.

– ჩაი ხომ არ დაგველია?

– გმადლობთ, არ მინდა.

– თეთრი პურით.

– გმადლობთ, მე ნასაუზმევი ვარ.

– შენი ნებაა. ახლა კიდევ ერთი კითხვა. მე რომ ახლა გაგათავისუფლოთ, კიდევ დაიწყებთ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას?

– არა, ხელისუფლების წინააღმდეგ კრინტსაც არ დავძრავ.

– ეს ძალიან კარგია. შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, შენ ახლა უნდა სწავლობდე. რად გინდა, აქ მოსკიტებსა და კოლოებს შეაჭმევინო თავი? დარწმუნებული ვარ, შენ ვილაცებმა მოგატყუეს, შეგაცდინეს და ჩვენ წინააღმდეგ აგამხედრეს. აი, შენ აქ მოხვედი, ისინი კი, ვინ იცის, სად ქეიფობენ და დროს ატარებენ. მე შენთან ერთი პატარა სათხოვარი მაქვს. თუ დამეხმარები, ჩვენ შეიძლება მეგობრებიც კი გავხდეთ.

აჰა, უკვე ვხვდები, რაღაც უნდა დამავალოს! გულს ბაგა-ბუგი გააქვს, როდის ამოლერწავს, რა აქვს სათქმელი? სისხლი სახეზე მაწვება. ვხვდები, ვხვდები ყველაფერს, საითკენაც მიყავს საქმე. მაგრამ მე ეს რეპეტიცია „გრუზჩეკაში“ უკვე გავლილი მაქვს და სხვა პატიმრებისგანაც – ბევრჯერ მოსმენილი.

– რით უნდა დაგეხმაროთ?

ღიმილით გამოაღო მაგიდის უჯრა, ამოიღო ორი კონვერტი, გახსნილი, და ღიმილით მეუბნება:

– აქ ქართული წერილებია. წამიკითხე და მითარგმნე, რა წერია შიგ. მეტს არაფერს ვთხოულობ შენგან.

ავდექი, სიბრაზისაგან ენა მებორკებოდა, მაგამ სათქმელი მაინც ვუთხარი:

– მაგ წერილებს მე არ წავიკითხავ. მე თქვენი შპიონი არასდროს გავხდები!

„შპიონის“ ხსენებაზე ეს აქამდე ცხვარივით და ანგელოზივით კაცი გაცოფდა და მიყვირა:

– მე რომ აქ ვმუშაობ, შპიონი ვარ? მითხარი, შპიონი ვარ?

მე უკე შედარებით დავწყნარდი:

– თქვენ რათა? თქვენ ბოლშევიკი ხართ და თქვენს საქმეს აკეთებთ. აი, როცა მეც ბოლშევიკი გავხდები, მაშინ სხვა საქმეა.

ტუჩები უკანკალებდა.

– შენ გამოუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ყოფილხარ.

– მე კონტრრევოლუციონერი კი არა, რუსების ტყვე ვარ.

იმ დროს პოლიტიკურ პატიმრებში ერთხანად გავრცელებული იყო, თავი „პატიმრად“ კი არა, „რუსეთის ტყვედ“ გამოგეცხადებინა. მეც ამიტომ (უფრო მეგობრების მიბაძვით) ვუპასუხე ასე.

კარელინმა ბრაზიანად მიბრძანა:

– წადი! რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალე!

მე მასთან კიდევ მომიწია შეხვედრა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა ჩვენი ბიჭების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთმანეთთან ძალიან კარგად ვიყავით. ვისაც კი როგორ შეგვეძლო, ერთმანეთს ვუზიარებდით, არაფერი გვეშურებოდა. ისინი სხვადასხვა პარტიას აკუთვნებდნენ თავს, მაგრამ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები და ახალგაზრდა მარქსისტები შეადგენდნენ. ერთი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: არასოდეს, არც გადასახლებაში, არც ციხეებში ჩემი ყოფნის დროს არ ყოფილა შემთხვევა, პარტიულობის ნიადაგზე ერთმანეთთან შეურაცხმყოფელი კამათი გაემართათ და ამას ნაკინკლავება და, მით უმეტეს, დამდურება მოჰყოლოდეს.

ჩვენთან იყო ქართველი პოლიტიკური პატიმარი და ქართველი პოლიტიკური გადასახლებული, ერთმანეთის გვერდით მდგომი, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ერთმანეთთან გაერთიანებული, დამპყრობელი წითელი რუსეთის წინააღმდეგ თავდაუზოგავად მებრძოლი.

ნეტავ, ასე იყოს ახლაც ქართველებს შორის!

ერთმანეთთან კარგად ვიყავით, მაგრამ უფრო ახლოს, ძალიან მეგობრულად მე ვარდენ ურატაძესთან, აკაკი უჩანეიშვილთან და შოთა ბერძენიშვილთან ვიყავი. პირველი ორი ჩემზე უფროსები იყვნენ 6-7 წლით, ბერძენიშვილი – ორი წლით.

ვარდენ ურატაძე აცანელი იყო (სოფელია ლანჩხუთის რაიონში). საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაეპატიმრებინათ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. მიუსაჯეს სამი წლის ციხე. სასჯელს იხდიდა ურალის რომელიღაც იზოლატორში. სრულყოფილად იცოდა რუსული, გერმანული და, ნაწილობრივ, ფრანგული ენა. ეს ყველაფერი ციხეში შეისწავლა. მისი თქმით, საკანში მასთან ისხდნენ პროფესორები, მსხვილი პოლიტიკური მოღვაწეები, იურისტები, რომელთა უმრავლესობას განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული. ისინი სიამოვნებით მასწავლიდნენ ენებსაც და საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიასაც. ციხეშივე შეისწავლა საბუღალტრო საქმეები. ციხიდან გამოსვლის შემდეგ რომელიღაც პატარა ქალაქში (შადრინსკი თუ შჩადრინსკი) მისცეს ცხოვრების უფლება („თავისუფალი გადასახლება“). იქვე შეირთო ცოლი და როცა ის ჩვენთან მოვიდა, როგორც ზევით ვთქვი, გოგონაც ჰყავდა. მისი ცოლი ვერა ალექსანდროვნა შესანიშნავი ადამიანი იყო. ქართველებს თავს გვევლებოდა და იშვიათი იყო შემთხვევა, რომ მასთან ოჯახში რომელიმე ჩვენთაგანი სადილად ან ვახშმად არ ყოფილიყო, მე კი – ყველაზე უფრო ხშირად. ზაფხულობით ერთი-ორი თვით საქართველოშიც ჩამოდიოდა ქმრის მშობლებთან.

ვარდენი ძმისწული იყო იმ გრიგოლ (გრიშა) ურატაძისა, რომელმაც ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას და რომლითაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ჰყავდა უმცროსი ძმა, რომელიც ომის დროს ტყვედ ჩავარდა, საფრანგეთში დარჩა ბიძის ოჯახში და შემდეგ გაზეთ „ფიგაროს“ კორესპონდენტი და თანამშრომელი გახდა. ამის გამო ბევრჯერ დამიბარეს ჩეკაში და მაწვალესო, ხშირად უთქვამს ვარდენს ჩემთვის.

ვარდენ ურატაძე ძალიან განათლებული კაცი იყო, ნაკითხი, დაუსწრებლად წარმატებით დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი და, ბოლოს, სიკვდილამდე, ადვოკატურაში მუშობდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. ჯერ ლარსის, შემდეგ კანდელაკის ქუჩაზე ცხოვრობდა. ორივე მისმა ქალიშვილმა თბილისში დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და შესანიშნავი ქართული ოჯახები შექმნეს (ერთი პედაგოგია, მეორე – ექიმი).

ერთხელი მითხრა: ომში რომ გამიწვიეს, როგორც გერმანულის კარგი მცოდნე, თარჯიმნად ვმუშაობდი. ომის შემდეგ რამდენჯერმე დავესწარი ფონ-პაპენის (ჰიტლერამდე გერმანიის რაიხსკანცლერი) დაკითხვას. მასზე ფართო განათლების ადამიანი მე იშვიათად შემხვედრია, ახლაც აღმერთებენ გერმანელი ახალგაზრდებიო.

ჩვენი შეხვედრების სალაპარაკო თემა ყოველთვის პოლიტიკა და ლიტერატურა იყო. ლიტერატურა და ისტორია კარგად იცოდა. როცა ვერმიშევის ქართველთა განმაქიქებელი რომანი გამოვიდა თამარ მეფეზე, 136 გვერდამდე პასუხი დაწერა და ერთი ეგზემპლარი სომეხთა კათოლიკოს ვაზგენს გაუგზავნა (ერთი ეგზემპლარი მეც მომცა და ახლა ჩემს ქაღალდებში ინახება).

აკაკი უჩანეიშვილი ზუგდიდიდან თუ ბათუმიდან იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ნაკითხი, ენერგიული და გაუტეხელი. ცეცხლში რომ მწვავდნენ, კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას მაინც არ შევწყვეტ, მაგათ ჯიბრზე მანამ ვიცოცხლებ, სანამ თავისუფალ საქართველოს არ ვიხილავ, მერე ჯანდაბას ჩემი თავიო.

სამწუხაროდ, არ გაუმართლა, განთავისუფლების შემდეგ ისევ მალე დაიჭირეს და სად დაილუპა, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

უჩანეიშვილმა კარგად იცოდა მეწაღეობა („საპოჟნიკობა"). სად ისწავლა, არ ვიცი. ფილიპოვოში ხელოსნობას მიჰყო ხელი. იმ გაჭირვების დროს შოულობდა რძეს, არაჟანს, კარტოფილს და ყოველთვის მინილადებდა ხოლმე. შესანიშნავი ადამიანი იყო.

შოთა ბერძენიშვილი ოზურგეთის რაიონიდან – ცხემლისხიდიდან – იყო. ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, როცა დაიჭირეს. ქერა თმით, მუდამ მოღიმარე თვალებით ყველას ყურადღებას იპყრობდა. საოცარი გულთბილობით გამოირჩეოდა. ფილიპოვოში კირენსკიდან მოიყვანეს. იგი ჩემთან ცხოვრობდა ოთახში და გაჭირვებასაც და დალხინებასაც ერთად ვიზიარებდით.

დიდი წამება ჰქონდა გადატანილი. ერთხელ რაღაცას ველაპარაკებოდი და პასუხი არ გამცა. მერე ხმამაღლა ვუყვირე: შენ რა, ხომ არ დაყრუდი? – ცალი ყურით დაყრუებული ვარო, მიპასუხა. თურმე „გრუზჩეკაში" საშინლად ეცემათ. წაქცეულს ჩექმებით ცემდნენ. მერე გრძნობა დაუკარგავს და, როცა გონებაზე მოსულა, უგრძვნია, რომ ყურიდან სისხლი სდიოდა. დაემართა ყურის ანთება და იმ დროიდან ერთ ყურში სმენაც დაკარგა. ამიტომ, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა, ჯანსაღი ყური უნდა მიეპყრო მისკენ.

შოთა ბერძენიშვილმა ასეთი რამეც მიამბო: კირენსკში გადასახლების დროს ერთი რუსის ოჯახში ვიდექი. როცა გაიგო, ქართველი ვიყავი, მითხრა, სამოქალაქო ომის დროს აქ ბევრი ქართველი იყო გადმოსახლებული. მაგრები იყვნენ. აქ რაზმები შეადგინეს და ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, ერთ რაზმში, რომელსაც დავით როსტომაშვილი უფროსობდა, მეც ვიყავი. ანარქისტებს ემხრობოდნენ. მეორე რაზმს ნესტორ კალანდარიშვილი მეთაურობდა, მაგრამ ვის ემხრობოდა, კარგად არ ვიციო. მერე როსტომაშვილისა და კალანდარიშვილის რაზმები დაეჯახნენ ერთმანეთს. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან – მეორე. ბოლოს როსტომაშვილმა გაიმარჯვა და კალანდარიშვილი თავის რაზმიანად თავის მიდამოებიდან გააძევა. მგონი, ირკუტსკისაკენ წავიდნენ. იმ დროს ბევრი ქართველი დაიხოცაო. შოთამ ბოლოს სინანულით თქვა: საოცარია ქართველების საქმე! ვისთვის ან რისთვის იხოცებოდნენ ის უბედურები?!

მეც ეს შემიძლია გავიმეორო: მართლაც ვისთვის იბრძოდნენ? მათი ბრძოლა საქართველოს რაში წაადგა?

ჩემს ოთახში თითქმის ყველა გადასახლებული იყრიდა თავს. შემომივლიდნენ ახალმოსული გადასახლებულნიც, რომლებიც გზას მამირისაკენ და კიდევ უფრო ზევით განაგრძობდნენ. ღამეც გამითენებინებია მათთვის. ერთხელ გარუსებული სომეხი მეწვია ლენინგრადიდან. გამეცნო, მითხრა, მონარქისტი ვარო. მე ვუთხარი, განა ახლა მონარქების დრო არის-მეთქი?

– რატომო? – შემეკითხა.

– ვთქვათ, ის მონარქი ჭკვიანი არ გამოდგა ან ტახტის მემკვიდრე აღმოჩნდა დებილი, მაშინ? ხალხი უნდა დაემორჩილოს სულელს?

მიპასუხა:

– ეგრე არა! ისე უნდა იყოს, როგორც ინგლისშია. მაშინ იმპერატორი და მეფე ხალხს ვერაფერს დაუშავებენ. პარლამენტი გამოასწორებს ყველა შეცდომას. რატომ უნდა ვიყო მონარქიის წინააღმდეგი? აი, წარმოიდგინე, შენ წინ დგას ორი ბოთლი კონიაკი. ერთს იარლიყი არა აქვს, მეორეს – კი. სიმართლე მითხარი, რომელს მოჰკიდებ ხელს? ეჭვი არ მეპარება, იარლიყიანს. რატომ? იმიტომ რომ ლამაზად გამოიყურება. კარგად გაფორმებულია. მონარქიც სახელმწიფოსთვის იარლიყია მხოლოდ. იყოს, ვის რას უშლის?

გამეცინა, არაფერი მიპასუხნია.

მეორეჯერაც ლენინგრადიდან ახალგაზრდა ყმაწვილი მეწვია. თქვენთან მომასწავლესო, მითხრა. ზამთარი იყო. ღუმელში ცეცხლი ღულუნებდა. მოვასვენე. ჩაი დალია მხოლოდ. სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. ვკითხე:

– რა საქმეზე გადმოგასახლეს?

– ქრისტეს გულისთვის.

– როგორ?

– ურჯულოებამ მოიცვა ქვეყნიერება. ხალხს ავიწყდება ღმერთი და ქრისტე. ჩვენ ვერ დავაფასეთ ქრისტე და მისი გულმოწყალება. მე ჩემს ამხანაგებში დავიწყე ქადაგება, რომ დაებრუნებოდით ქრისტეს მოძღვრებას. ბევრი თანამგრძნობი გამომიჩნდა. გამაფრთხილეს რამდენჯერმე. მე ჩემი არ დავიშალე და არც დავიშლი. ბოლოს დამიჭირეს და აქეთკენ გადმომასახლეს სამი წლით.

ოთახში ცარიელი ტახტი იდგა. შევთავაზე, ლოგინი გაეშალა და მოესვენა. სასტიკი უარი განაცხადა. დააგო თხელი ლეიბი იატაკზე, წაიხურა ასევე თხელი საბანი და მითხრა:

– აღთქმა მაქვს დადებული, ვიდრე ქრისტე კეთილი თვალით არ გადმოგვხედავს, ასე უნდა ვეწამო და ვიწვალო. ყოველმა ადამიანმა თავისი ტანჯვით უნდა გამოისყიდოს ის შეცოდება, რომელიც ქრისტეს წინაშე მიუძღვის.

კეთილად დავშორდით ერთმანეთს.

აქ ერთი შემთხვევაც უნდა გავიხსენო: 1931 წლის მარტში ლენინგრადიდან ფილიპოვოში ჩამოვიდა შვიდკაციანი ბრიგადა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა შეეკეთებინათ. სოფელში ათ დღეს დარჩნენ. მალე გამეცნენ. შესანიშნავი ახალგაზრდები იყვნენ. მათ შორის გამოირჩეოდა პეტრე გვოზდევი. იგი საღამოობით მოდიოდა ჩემთან და ათას რამეზე ვსაუბრობდით. რომელიღაც ინსტიტუტში მეოთხე კურსზე სწავლობდა და თანაც ქარხანაში მუშაობდა.

ერთხელ ვკითხე:

– რა ქენით, შეაკეთეთ რამე?

– რა უნდა შევაკეთოთ, რაც არ არის? აქ ერთი დამტვრეული ტრაქტორი გდია, რომლის შეკეთება ყოვლად შეუძლებელია.

– მოგეწონათ აქაური კოლმეურნეობა?

– რაც ხალხს არ უნდა, ის არც მოსაწონია. ეს კოლექტივები დაღუპავენ რუსეთს. თუ ხალხს პირადი ინტერესი არ ამოძრავებს, ის არაფერს შექმნის.

ძალიან დაინტერესებული იყო საქართველოთი. რაც შეიძლებოდა, ვუყვებოდი ყველაფერს. როცა 1924 წლის აჯანყების შესახებ მოვუყევი, თავის ქნევით მითხრა:

– ეგ ჩეკისტები ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. აი, კარელიაშიც დიდი აჯანყება იყო. უამრავი ხალხი გაიჟლიტა. ამის მონმე მე თვითონ ვარ. განა შეიძლება ხალხს თავისუფლება წაართვა?

მერე რელიგიურ თემაზე გადავედით. მეკითხება:

– ღმერთი გწამს?

– მწამს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც განაგებს სამყაროს.

– ქრისტე?

– უდიდესი პიროვნებაა.

– არა მარტო პიროვნება – ძე ღმერთია, თანაც დიდზე დიდი რევოლუციონერი.

– ქრისტე რევოლუციონერი? რანაირად?

– ყოველი არსი, რომელიც არსებული სიმახინჯეების, ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ იბრძვის, რევოლუციონერია. ზოგიერთი კეთილსინდისიერი ადამიანი სიმახინჯისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იარაღითაც იბრძვის, მაგრამ უშედეგოდ. ქრისტე კი გვასწავლის, რომ განწმენდა და სიკეთის დამყარება მხოლოდ მოყვასის სიყვარულით შეიძლება. როცა ადამიანები ერთმანეთს შეიყვარებენ, დედამიწაზე სიწყნარე და ბედნიერება დაისადგურებს. ყველა მშვიდობიანად გაივლის თავის სიცოცხლის გზას.

– მოყვასის სიყვარული გასაგებია და აუცილებელი, მაგრამ ჯერ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. ვისაც არ აქვს თავისუფლება, ის ბრძოლით უნდა მოიპოვოს. აი, შენ გიყვარს მეორე ადამიანი. მას არ უყვარხარ და დანას გიშვერს, სურს, მონად გაგიხადოს. როგორ მოვიქცეთ? მეორე ყბაც მივუშვიროთ? მათ წინაში მუხლი მოვიდრიკოთ და დავნებდეთ?

ერთხანს გაჩერდა, მერე მიპასუხა:

– მაინც სიყვარულს შეუძლია ყველაფერი, ყველა ადამიანში უნდა გავაღვიძოთ სათნოება.

– ძალიან კარგი, მაგრამ დედამიწაზე სატანაც ხომ დაძრწის? ეს სატანა ხომ ბევრ ადამიანს გულსა და ტვინში უზის და რამდენიც არ უნდა ესიყვარულო, მაინც ბოროტებას სჩადის? შევძლებთ ყველა ადამიანში სიყვარულის გამოწვევას და სათნოების გაღვიძებას? არ ვიცი.

ბრიგადის წევრები 24–28 წლისანი იქნებოდნენ. ისინი ძალიან გულთბილად გამომემშვიდობნენ. ტულუნიდან შვიდი წიგნი გამომიგზავნეს. ერთ-ერთ მათგანზე გვოზდევის მოზრდილი წარწერა იყო – ჯანმრთელობას, გამარჯვებას მისურვებდა. ამ ბიჭების გვარიც და სახელიც ცალკე მქონდა ჩამოწერილი, მაგრამ ქაღალდი დამეკარგა,

წიგნები გამებნა, მხოლოდ ერთი წიგნი შემრჩა – „ნემეცკო-რუსკი სლოვარ".[1] მას ნავაწერე „თბილისი". ეს სწორი არაა, უნდა ეწეროს „ტულუნი. ფილიპოვო". „თბილისი" სხვადასხვა მოსაზრების გამო დავაწერე (მე ჩემს თავგადასავალს ვმალავდი. უცხო ვინმეს რომ ენახა წიგნი, დაიწყებოდა გაუთავებელი კითხვები: რა გინდოდა ტულუნში? მათთვის ჩემი თავგადასავლის მოყოლა კი სრულებით არ მსურდა). ეს ლექსიკონი ახლა ჩემს ბიბლიოთეკაშია და როცა მას ხელს შევავლებ ხოლმე, ყოველთვის სიყვარულით ვიგონებ პეტია გვოზდევს და მის ამხანაგებს.

ნეტა ყველა რუსი იმნაირი იყოს.

იმავე წელს ერთი ქართველიც მესტუმრა სოფელ ლუჩიხიდან. ცხრა კილომეტრზე, ანგარის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია სოფელი კრასნოიარი.

– ქართველი ხარ, ჭოვ?

– ქართველი ვარ.

– მე იბრაგიმ სურმანიძე ვარ. ახლა კრასნოიარიდან მოვედი. მომასწავლეს რომ ამ სოფელში ქართველი ცხოვრობს.

აღარ მახსოვს, რომელი მითხრა, ბათუმიდან თუ მახინჯაურიდან იყო. ბევრი ვილაპარაკეთ. ის პოლიტიკური არ ყოფილა, კონტრაბანდისტობისთვის იყო. სამი წელი ჰქონდა მისჯილი. ვკითხე:

– არ გიჭირდა საზღვარზე გადასვლა?

– ისეთი ბილიკი ვიცოდი, იქ ჯარი არ იდგა. ადვილად მივდიოდი და მოვდიოდი. ხუთიოდე ქართველიც გამიყვანია თურქეთში, მერე სად წავიდნენ, არ ვიცი.

– რა საქონელი შემოგქონდა?

– ყველაფერი, რის წამოღებაც კი შეიძლებოდა: ინდიგო, შევიოტა, კოვერკოტი, პუდრი „ლორიგანი", ქალის წინდები „ვიქტორია" და სხვა რაღაც-რაღაცები.

გამახსენდა, რომ ჩემი ბავშვობის დროს სურმანიძის დასახელებული საქონლიდან სოფელ ტობანიერშიც კი აღწევდა ეს „კონტრაბანდა" და დიდი გასავალიც ჰქონდა.

მაგიდაზე წიგნები რომ დაინახა, მკითხა, ქართული წიგნები თუ გაქვსო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. რამე წამიკითხეო. გადმოვიღე ნიკო ტატიშვილის მიერ თბილისიდან გამოგზავნილი ტერენტი გრანელის წიგნი „მემენტო მორი". წავუკითხე სამიოდე ლექსი. კიდევო, მთხოვა. გადავშალე და წავუკითხე აი, ის ლექსი, რომელიც, მგონი, ასე იწყება (თუ სწორად მახსოვს):

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

ძალიან მოეწონა და მთხოვა, მაჩუქე ეგ ლექსებიო. ვაჩუქე. მერე მე ვკითხე:

– ქართული წერა-კითხვა იცი?

– გაჭირვებით. ჩემით ვისწავლე. წერა მიჭირს, კითხვა ისე არა.

მერე, რომ შემხვდებოდა, ყოველთვის ასე მესალმებოდა:

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

ბოლოს აღარ მახსოვს, მგონი, სადღაც გადაიყვანეს.

---

[1] გერმანულ-რუსული ლექსიკონი.

რას ვაკეთებდით, როგორ ვცხოვრობდით ამ სოფელში მას შემდეგ, რაც იქ თავი მოუყარეს ქართველების ერთ ჯგუფს?

ჭელიძემ და მარგალიტაძემ დურგლობა იცოდნენ, ბრტყელფსკერიან ნავებს აკეთებდნენ (ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე საქონლის გადასაყვანად სჭირდებოდა მოსახლეობას) და ასე ირჩენდნენ თავს, მაგრამ ასეთი სამუშაო იშვიათად ჰქონდათ. უროტაძემ „რუდნიკში“[1] იშოვა ბულალტრის ადგილი (ცოლ-შვილი სოფელში დატოვა), დანელია ფერშლობდა და ამით იმართავდა ხელს. ვაჭარაძე მოხუცი იყო და მუშაობა არ შეეძლო, სხვები გლეხებს ეხმარებოდნენ რაიმე საქმიანობაში და მდგომარეობას ამით იმსუბუქებდნენ. დროდადრო საქართველოდან ამანათსაც იღებდნენ (მეც მივიღე რამდენჯერმე და ოი, საკვირველებავ, ერთხელ ამანათში კარგად შეფუთული სამი ბოთლი კახური ღვინოც აღმოჩნდა. როგორც ზიარება, ყველა ქართველს დავალევინე ძალიან პატარა ჭიქით, მაგრამ აბა გენახათ, როგორი ქართული სიმღერები შემოსძახეს!).

თანდათან გაჭირდა ცხოვრება. კოლმეურნეობის მარწუხები სულ უფრო და უფრო უჭერდა გლეხობას. შეშინებული და გაბოროტებული იყვნენ. ბევრს უკვე ალარაფერი ჰქონდა გასაყიდი, მაგრამ ვისაც ჰქონდა, ისიც არ ჰყიდდა იმის შიშით, კულაკად არ მომნათლონო. შიმშილი უკვე გვაგრძნობინებდა თავს. ამას დაემატა ჩვენი ტანსაცმლის მდგომარეობა. თბილისიდან გამოტანებული თბილი ტანსაცმელი თანდათან ძველდებოდა და ცვდებოდა. ახლის შოვნა კი, განსაკუთრებით, „ვალინკებისა“ და დაბამბული შარვლისა, საშინლად გაძნელდა. ამ დროს ჩვენს სოფელში მოვიდა ვილაც კაცი ბრატსკიდან და მცხოვრებლებს მიმართა, გემებისთვის ტაიგაში შეშა დაემზადებინათ, კარგ ანაზღაურებას ჰპირდებოდა. ვილაც ჩვენი გადასახლებული შესწრებოდა ამ ლაპარაკს და ეკითხა, რას მოგვცემთ, ჩვენ რომ დავამზადოთო. იმასაც ფასი ეთქვა, საჟენში ამდენს და ამდენსო. არაო, – უპასუხა ჩვენიანმა, – ჩვენს საფასურში მოგვეცი თითო წყვილი ვალინკები და დაბამბული შარვლები. გემების აგენტი დათანხმებულიყო. გავაფორმეთ ხელშეკრულება და წავედით ტაიგაში მე, დიომიდე ჭელიძე, იოსებ ზედელაშვილი და ვანო მარგალიტაძე. ხერხები და ნაჯახები სოფლელებმა გვათხოვეს. წავიღეთ საჭმელად კარტოფილი, ცოტაოდენი ღორის ქონი („სალა“) და გამომცხვარი პურები. ანგარის მარცხენა ტოტი ნავით გადავლახეთ და შევედით ტაიგის სიღრმეში – ნაპირიდან 9-10 კილომეტრის დაშორებით. მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით, – იქ მგელიც იცის და დათვიცო. ღამით აუცილებლივ ცეცხლი დაანთეთო.

ჩვენც ასე მოვიქეცით: გავაკეთეთ მიწური და შევუდექით მუშაობას. ვჭრიდით უზარმაზარ ფიჭვებსა და ლარიქსებს. თითო ხიდან თითო საჟენი გამოვიდა და, ახლა რომ წარმოვიდგენ, ეს იყო ბარბაროსობა, მაგრამ ამით ტაიგას არაფერი აკლდებოდა, მილიონობით ჰექტარზე იყო გადაჭიმული. იქ ტყე თავის თავს თვითონვე აღადგენს ხოლმე. თვე-ნახევარს დავრჩით ტაიგაში, დავამზადეთ 270 საჟენი შეშა. მთელი ღამე ცეცხლი გვენთო, ნადირი რომ არ მოგვპარვოდა. იმათ მშვიდობიანად გადავურჩით, კოლოებმა კი შეგვჭამეს, სისხლი გამოგვწოვეს. საოცარია, როგორ უძლებს ეს მწერი

[1] მაღარო.

ციმბირის ყინვებს. ყინვები კი იქ 30-40 გრადუსი ჩვეულებრივია. ჩემს იქ ყოფნაში ერთხელ 52 გრადუსამდეც კი ავიდა. გლეხებმა გვითხრეს, რომ ზოგჯერ ისეთი ყინვებიც ყოფილა, რომ ფრინველები გაყინულები ცვიოდნენ ძირსო. მე არ შევსწრებივარ ასეთ რამეს. დავბრუნდით სოფელში. ბრატსკელ აგენტს შევუთვალეთ, შეშა დამზადებულია. იმასაც წაეყვანა ვილაც, ერთი ჩვენი ამხანაგიც იახლა და ოფიციალურად აზომა შეშა. კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ჩვენ დაგვტოვა ძალიან უკმაყოფილო. არც „ვალინკები“, არც თბილი შარვლები მოუცია. რა ვქნა, ირკუტსკი არ გზავნისო. რას ვიზამდით, დედამამის სულს აგინებდა მას დიომიდე ჭელიძე და ჩვენც ვუერთდებოდით მას.

ჭელიძე ჯმუხი გლეხკაცი იყო. თვითონ რაჭველი, უამრავ ანეგდოტს გვიყვებოდა რაჭველებზე და გვამხიარულებდა. ციმბირის შემდეგ რა ბედი ეწია, არ ვიცი. ისიც არ ვიცი, ჩამოვიდა კი საერთოდ საქართველოში ის და ბევრი სხვაც, რომლებიც ციხეებსა და გადასახლებაში შემხვედრიან?

დავბრუნდით სოფელში და შევუდექით ჩვეულებრივ ცხოვრებას. გულისფანცქალით ვითვლიდით, ვის რამდენი თვე დარჩა კიდევ სასჯელის ვადის გასვლამდე (თითქმის ყველას 3-3 წელი გვქონდა მოსჯილი. ეს იყო „მუშურ-გლეხური“ მთავრობის აფერისტობა, უსინდისო ტყუილი, პატიმრისა და გადასახლებულის უფლების აბუჩად აგდების უმსგავსო მაგალითი. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

ხანდახან მოწყენილობა და დარდი საოცრად იმძლავრებდა და ყველა თავის თავში ჩაიკეტებოდა, მარტოობა სურდა. მადლობა ღმერთს, ასეთი სულიერი დეპრესია მალე გაივლიდა ხოლმე. ზოგჯერ ლხინსაც ვმართავდით. ერთხელ ბიჭებმა არაყი ბლომად იყიდეს და გადაწყვიტეს, ექეიფათ, მაგრად დამთვრალიყვნენ.

შუქური ბოკუჩავას ნაქირავებ ბინაში მოეწყო ლხინი. საჭმელები, რის შოვნაც კი შეიძლებოდა, დიასახლისებს გააკეთებინეს და ზაფხულის ერთ საღამოს სადღეგრძელოების თქმა გახურდა. სადღეგრძელოს სიმღერა და ცეკვა ცვლიდა.

სოფლელები ღია ფანჯრებთან მოგროვდნენ, ინტერესით გვიცქეროდნენ და აღტაცებული იყვნენ, ერთმანეთს ხმამაღლა ეუბნებოდნენ: „ჩუდნო პოიუტ გრუზინი, ჩუდნო!“.[1] გავათენეთ და იმ ერთი ღამით ისევ საქართველოში ვიყავით. სიმღერასთან დაკავშირებით გამახსენდა. უკრაინელებიც ძალიან კარგად მღეროდნენ თავიანთ ხალხურ სიმღერებს. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ქართველები და უკრაინელები საღამო ხანს ანგარის ნაპირას მიდიოდნენ და რიგრიგობით მღეროდნენ ქართულად და უკრაინულად.

განსაკუთებით კარგი ხმა ჰქონდათ შალვა და შუქური ბოკუჩავებს (მათი ერთი ძმა, მგონი, თბილისის კონსევატორიაშიც სწავლობდა), ალექსანდრე კილაძეს, მიხა ქურციკიძეს და კიდევ რამდენიმე სხვასაც. მათ მიერ დაჭექილი „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „სულ ფარინა, ფარინა“, „ციცინათელა“ და, ბოლოს, თავისუფალი საქართველოს ჰიმნი „დიდება“ ახლაც ძვირფას მოგონებად დამრჩა.

1933 წლის მარტში სასჯელის მოხდის ვადა მითავდებოდა და მოუთმენლად ველოდი იმ დღის დადგომას. მანამდე კი ასეთი რამე მოხდა. იმავე წლის დასაწყისში ჩემი ბინის ფანჯრებთან ღამის 12 საათზე მარხილი გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ მოურიდებელი კაკუნი მოისმა. გავაღე კარი. შემობრძანდა „გეპეუს“ უფროსი კარელინი, ვილაც ახლდა. შეუთავაზებლად დაჯდა სკამზე და მითხრა, უნდა გაგჩხრიკოთო.

[1] – საოცრად მღერიან ქართველები, საოცრად!

თქვენი ნებაა-მეთქი, ვუპასუხე. ის აგენტი, კარელინს რომ ახლდა, პირველად ქვეშაგებს მიუახლოვდა და აშალ-დაშალა ყველაფერი. ბალიშის ქვეშ ჩემი მეგობრებისა და მშობლების წერილები მქონდა შენახული. როცა ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი, გამოვიღებდი და უკვე მერამდენედ ვკითხულობდი. კარელინი მაგიდას მიუჯდა, წერილები წინ დაიწყო და მეკითხება:

– რატომ გქონდათ დამალული წერილები?

– დამალვა რომ მდომებოდა, თავქვეშ არ ამოვიდებდი წერილებს.

– ეგ არის სწორედ, დაგიჯერე.

მაგიდაზე ქართული და რუსული წიგნები ბლომად ეწყო. იქვე იდო რამდენიმე რვეული, რომლებშიც ჩემი ზოგიერთი ლექსი, დღიური და შთაბეჭდილებანი მქონდა ჩაწერილი. ეს რვეულებიც თავის წინ დაალაგა:

– რა წერია ამ რვეულებში?

– ჩემი დღიურებია.

– ეტო ოჩენ ინტერესნო![1]

რვეულები გვერდზე გადადო. მერე აიღებდა რომელიმე ქართულ წიგნს და მეკითხებოდა:

– რა არის ეს?

მეც ვეუბნებოდი, რაც იყო. ბოლოს ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ერთი რომელიღაც ტომი აიღო (ყველა ტომი იქ არ მქონია). ატრიალებს ხელში, ფურცლავს:

– რა არის ეს?

მეც ვეუბნები, რაც არის.

– სტყუი!

– აბა, რა არის?

– ეს არის ნოე ჟორდანიას წიგნი. თქვენ კავშირი გაქვთ საზღვარგარეთ ჟორდანიასთან და ჩვენ მივაკვლევთ, როგორ გააბით ეს კავშირი.

იდიოტი! ჟორდანიასთან კავშირი საქართველოდანაც არ გვქონდა (ჩვენს ჯგუფს ვგულისხმობ) და ფილიპოვოდან საიდან დავამყარებდი? განა, მე რა ისეთი პოლიტიკური მოღვაწე ვიყავი, რომ ჟორდანიასთან კავშირი დამემყარებინა? მაგრამ არა! ის იდიოტი არ ყოფილა, იცოდა, რასაც აკეთებდა. ასეთი რამის შეთითხვნა „გეპეუს“ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ახალი ბრალდება წაეყენებინა იმ პოლიტიკურ გადასახლებულთათვის, რომელთაც სასჯელის ვადა უთავდებოდათ და მათი განთავსუფლება კი არ სურდათ.

კარელინმა ჩემი რვეულები, პირადი წერილები და კოტეტიშვილის ის ტომები წაიღო. ამის შემდეგ ძალიან ვერიდებოდი წერილების შენახვას და, მით უმეტეს, საკუთარი შთაბეჭდილებების ქაღალდზე გადატანას. საშიში მარტო ის კი არ იყო, რომ შენ რაღაცის ახალ საბაბს მისცემდი ჩეკისტებს (ეს ჯანდაბას!), არამედ ის, რომ წერილის გამომგზავნელისათვის არ მოედოთ რაიმე შარი, რომლის დიდოსტატებიც ბრძანდებოდნენ ათეული წლების მანძილზე „რევოლუციის მონაპოვართა“ სისხლისმსმელი ბანდიტი დამცველები.

---

[1] – ეს ძალიან საინტერესოა!

გავიდა მარტი, გავიდა აპრილი, მაისი, მაგრამ ჩემი განთავისუფლების შესახებ ჩამი-ჩუმი არ ისმის. ორჯერ გავუგზავნე განცხადება ბრატსკის „გეპეუს“, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიმილია.

ნერვები მეშლება. ამხანაგები მამშვიდებენ, რომ თუ მთლად არ გამათავისუფლებენ, „მინუს სამს“, ან „მინუს ექვსს“ მაინც მოგცემენო. რა იყო ეს „მინუს სამი“, „მინუს ექვსი“ და, ზოგჯერ, „მინუს თორმეტი“? ეს შემდეგი გახლდათ: პოლიტიკურ გადასახლებულს სამი რეგიონის (ქალაქის), ექვსი რეგიონის ან თორმეტი რეგიონის გამოკლებით შეეძლო აერჩია რომელიმე ქალაქი და თავისუფალი გადასახლება იქ გაეტარებინა.

საქართველო და მთლიანად კავკასია სამივე „მინუსში“ თავიდანვე გამორიცხული იყო. გამორიცხული იყო აგრეთვე საზღვრისპირა ზოლი. მინუსმიღებული ქართველი პოლიტიკური გადასახლებულნი საცხოვრებლად ირჩევდნენ შუა აზიის რესპუბლიკებს, აგრეთვე, ქალაქ ასტრახანს. ყველაფერი ეს სრულ თავისუფლებას არ ნიშნავდა, მაგრამ ერთგვარი შეღავათი მაინც იყო.

როცა ჩემი ბედის შესახებ ვერაფერი გავიგე, ამხანაგებმა მირჩიეს, შეკითხვა გამეგზავნა მოსკოვში ეკატერინე პეშკოვასათვის. ეს პეშკოვა მაქსიმ გორკის ცოლი თუ უკვე ცოლყოფილი იყო, რომელიც თავმჯდომარეობდა მაშინ ეგრეთ წოდებულ „პოლიტპატიმართა დამხმარე საზოგადოებას“ („ობშესტვო პომოშჩი პოლიტზაკლუჩიონნიმ“).

მიკვირს, ასეთი საზოგადოების დაარსების უფლება როგორ გაიმეტა სისხლით მოსვრილმა სტალინმა. თუმცა საზოგადოებას სხვა არაფერი უფლება ჰქონდა, გარდა იმისა, რომ შედარებით დროზე შეგატყობინებდა „ოგეპეუს“ გადაწყვეტილებას.

გავაგზავნე შეკითხვა. სამ კვირაში პასუხი მივიღე. მატყობინებდნენ: კონტრრევოლუციური მუშაობისათვის „ოგეპეუს“ ამა და ამ რიცხვის დადგენილებით თქვენ კიდევ დაგემატათ სამი წლით გადასახლებაო.

ესეც ასე – არც თავისუფლება, არც მინუსი! ცოტა ხანს ვიბორგე, მაგრამ მალე დავმშვიდდი. რამდენიმე ხნის შემდეგ კუნძულზე და სხვა სოფლებში მყოფ ქართველთაგან უმრავლესობა დაგვიჭირეს და მოგვათავსეს იმ საპყრობილეში, რომელშიც 1930 წლის აპრილ-მაისში ვისხედით.

ისევ ირკუტსკის ციხე. ენისეისკი

ბრატსკის საპყრობილეში ოცი დღე გაგვაჩერეს. შედარებით თავისუფლად ვიყავით, უფლება მოგვცეს, საჭმელები ჩვენ თვითონ მოგვემზადებინა, მაგრამ გასაკეთებელი ბევრი არაფერი გვქონდა. ეს საპყრობილე სხვებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ მასში „პარაშა“ არ იდგა და ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, გარეთ გავყავდით. მერე გემით ირკუტსკში ნაგვიყვანეს. ჩვენთან ერთად მოჰყავდათ დაპატიმრებული ბალშოი-მამირელი ათიოდე გლეხი. ჩვენს დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით ადრე მამირში მოხდა გლეხების მასობრივი გამოსვლები, დაუხურავთ კოლმეურნეობის კანტორა და სასტიკად ეცემათ თავმჯდომარისა და აქტიური პარტიულებისა და კომკავშირელებისათვის, რომლებიც გლეხების ბეღლებს ჩხრეკდნენ და უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ.

რამდენ დღეს ვიარეთ, არ მახსოვს. საღამო ხანი იქნებოდა, ირკუტსკს მივაღწიეთ. წარმოდგენა არ მაქვს, ის ღამე სად გაგვათევინეს. მახსოვს მხოლოდ ბნელი, ბინძური სარდაფი, შმორის სუნი და სიცივე. მეორე დღეს ისევ ირკუტსკის იზოლატორში მიგვიყვანეს. იქ ერთმანეთს დაგვაშორეს. უჩანეიშვილი ცალკე, ბოკუჩავებიც ცალკე, ბოჭორიშვილიც ცალკე და ასევე სხვებიც ცალ-ცალკე დაგვანაწილეს. ვიყავით პირველ სართულზე, მაგრამ არა იქ, სადაც 1930 წელს მომიხდა ყოფნა. მეორე მხარე უნდა ყოფილიყო. ტიპური ჩეკისტური რეჟიმი. დერეფანში, დაკითხვაზე რომ მივყავდით, თუ შენს მხარეს სხვა პატიმარი მოჰყავდათ, შენ გიბრძანებდნენ, კედლისკენ მიგებრუნებინა სახე, რათა შემთხვევით არ გეცნო ის, ვინც მოჰყავდათ. დერეფანში ლაპარაკობდნენ ჩურჩულით, დადიოდნენ ფეხაკრებით, ხშირად ისმოდა, სსსუ... არ იხმაუროთო. ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ პატიმრის ფსიქიკაზე ზეგავლენა მოეხდინათ, მას სულ ის უნდა ეფიქრა, რომ ამ საიდუმლო შენობაში რაღაც საშინელება იყო მოსალოდნელი, რაც ზოგიერთებზე დამრთგუნველად მოქმედებდა, მაგრამ ყოველივე ეს, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა გამოცდილი, გავლენას ვერ ახდენდა.

მე რომ საკანში შემაგდეს, იქ ერთი კაცი დამხვდა. შემდეგ გავიგე, გვარად აგეევი. რუსი არ იყო, მაგრამ რა რჯულის იყო, აღარ მახსოვს. „ანტისაბჭოთა ლაყბობისთვის" დაეპატიმრებინათ. სამი თვე სრულდებოდა, რაც მარტოდმარტო იჯდა. რომ დამინახა, გაუხარდა. საკანი პატარა იყო. ჭერთან სულ ახლოს ძალიან მომცრო სარკმელი იყო, საიდანაც დღისით სინათლე ძლივს ატანდა. ელნათურა კი მთელი ღამე ენთო (ეშინოდათ, პატიმრებს რაიმე არ ჩაედინათ). კარი რკინისა ჰქონდა, საიდანაც კაცის სიმაღლეზე დატანებული ჰქონდა „სათვალური" (ასე უწოდებს ჭოლა ლომთათიძე იმ ნახვრეტს, რომელიც კარზეა გაკეთებული და რომლიდანაც ზედამხედველები დღედაღამ ზვერავენ პატიმრებს).

პირველი კითხვა, რომელიც აგეევმა მომცა, ასეთი იყო:

– როგორი ამინდია გარეთ?

– ძალიან კარგი.

– მართლა?

– დიახ, ზაფხულის კარგი დღეა. კუთვნილ სეირნობაზე გარეთ არ გაყავხართ?

– არა! არც გაზეთებს მაძლევენ, არც რაიმე წიგნს. პირველად ლამის გავგიჟდი, მაგრამ მერე შევეჩვიე.

„ვოსტორნო-სიბირსკაია პრავდაში" (ირკუტსკში გამოდიოდა ასეთი გაზეთი) გახვეული მქონდა რაღაც ნივთები. მივეცი აგეევს. ძველი, ნახევრად დახეული ნომრები იყო, მაგრამ ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონია. მაშინვე სათვალე გაიკეთა და ხარბად დაიწყო კითხვა. ბევრი ვილაპარაკეთ. შევატყვე, ხელისუფლებისადმი და პარტიისადმი ზიზღით იყო გამსჭვალული. არც მე დამიმალავს ჩემი განწყობილება. რას უნდა მოვრიდებოდი? პეშკოვას ცნობით, სამი წელი უკვე მქონდა დამატებული. აგეევს ვკითხე:

– მაინც რას გაბრალებენ?

– არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი ხარო. დაგვისახელე, ვინ იყო შენთან ერთადო. აბა, ვინ უნდა დავასახელო, როცა ამის მსგავსი არაფერი ყოფილა? სამსახურში მხოლოდ ეს ვთქვი: ასეთ ძაღლურ ცხოვრებას სიკვდილი სჯობსმეთქი. ეს სიტყვები დამახვედრეს ჩეკაში და მკითხეს: რა არ მოგწონს საბჭოთა ხელისუფლებისაო და წავიდა, დატრიალდა ჯარა. საოცარ ამბებს მაბრალებენ.

სამი დღის შემდეგ ჩვენს საკანში ღამით შემოაგდეს სუფთად ჩაცმული, ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, ახალწვერგაპარსული, შუახანს გადაცილებული კაცი. ძველი საზაფხულო საბანი და რაღაც ფუთა ჰქონდა. გვარად ვასილიევი იყო, საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა, მგონი „ვოსტოკზოლოტოს“ უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

აგეევი ეკითხება:

– საიდან და რისთვის, ძმობილო?

– სამსახურში წასვლის წინ, ამ დილით, დამაპატიმრეს. მთელი დღე გამომძიებლის კაბინეტში მაყურყუტეს, ჩაიც კი არ დამალევინეს.

აგეევს ელიმება:

– მერე?

– მავნებლობა დამწამეს, ოქროს მოპოვებას განგებ აფერხებდიო. არა, ეს სრული გაუგებრობაა და ალბათ მალე გამათავისუფლებენ.

მთელი ღამე იბორგა. არც ჩვენ დაგვაძინა და არც თვითონ დაუძინია. გათენდა მეორე დღე. ბალანდის ჭამაზე უარი თქვა, ამ ძაღლის სალაფავს როგორ ჭამთო. დაკითხვაზე არც ერთ ჩვენთაგანს არ ეძახიან. ვასილიევი კარებზე მაგრად აბრახუნებს. მოვიდა ზედამხედველი:

– ჩევო?[1]

ქაღალდი და საწერი კალამი მოითხოვა, განცხადება უნდა დავწეროო. ზედამხედველმა შემოულრინა:

– იშ ტი, ჩევო ზახატელ, კონტრა? კოგდა რაზრეშიტ სლედოვატელ, ტოგდა დადიმ![2]

მამალი კომუნისტი გამოდგა ვასილიევი: ახალგაზრდობიდანვე პარტიაში შეეედი და მისი იდეალებისთვის ვიბრძოდი, ბევრი კონტრრევოლუციონერი და კულაკი გამოვამჟღავნეო. ძალიან დაჯერებულად ამბობდა:

– მაია როდნაია პარტია ნე ოსტავიტ მენია ვ ბედე![3]

ერთ დილას გაიყვანეს და ორ დღეს არ გამოჩენილა. ბარგი რაც ჰქონდა, საკანშივე იყო, არ წაულიათ. გვიკვირდა, რა მოხდა. მესამე დღეს ისევ შემოაგდეს საკანში. თავ-პირი დასისხლიანებული ჰქონდა, ტანსაცმელი მტვერში ამოგანგლული, ნაცემი და დალურჯებული იყო. შემოვიდა თუ არა, მაშინვე ნარზე მიწვა, პირი კედლისკენ ქნა და სლუკუნი დაიწყო.

აგეევს იგი თავიდანვე არ მოეწონა. პარტიისა რომ სჯერა, სულელია, მაშ, რა არისო. მაგან ჯერ კიდევ არ იცის, რა სისხლიანიცაა ეს პარტია. სხვებს რომ სცემდნენ, მაგისთანები მაშინ ტაშს უკრავდნენ. ახლა თვითონ ამ დღეშია და მაინც პარტიის იმედი აქვს, სულელია, მაშ, რა არის?

მიუბრუნდა პატიმარს და ეუბნება:

– ვასილიევ, მაგრად გირტყეს?

– დაუზოგავად...

– მდაა... გასაოცარია. ნე პომოგლა როდნაია პარტია?[4]

---

[1] – რა გინდა?

[2] – დახე, რა მომინდომა ამ კონტრამ [კონტრრევოლუციონერმა]? როცა გამომძიებელი გადაწყვეტს, მაშინ მოგცემთ!

[3] – ჩემი მშობლიური პარტია განსაცდელში არ მიმატოვებს.

[4] – არ გიშველა მშობლიურმა პარტიამ?

ვასილიევს არაფერი უპასუხებია. ერთი კვირის შემდეგ წაიყვანეს ჩვენგან და მერე აღარც გამოჩენილა. დავრჩით ისევ ორი: მე და აგეევი. მეათე დღეს ზედამხედველი მეძახის:

– კეკელიძე, მოდი, დაჯექი აქ!

მაგიდასთან თავის პირდაპირ დამსვა. გვარად სტრელნიკოვი იყო (თვითონ გამეცნო ასე). ვლაპარაკობთ რუსულ-ქართულად. ძალიან ტკბილად, ალერსიანად მეპყრობა. მეკითხება, სად დავიბადე, რამდენი წლისა ვარ. მშობლები მყავს თუ არა და სხვა ამგვარი ამბები. ამ შინაურულად გამართულ საუბარში ვკითხე, ქართული სად ისწავლეთ-მეთქი? ასე მიპასუხა:

– ექვს წელიწადს თბილისში ვცხოვრობდი. კარგი ქალაქია. სითბო და მზე ბევრია. არა ჰგავს ციმბირის კლიმატს. არ გენატრება?

უკვე ვხვდები, საითკენაც გარეკავს ახლა. ეს მათი გაცვეთილი მეთოდია და მეც „გაცვეთილად" ვპასუხობ:

– ძალიან მენატრება.

– ახლა რომ გაგიშვან, რას იზამ?

– წავალ შინ, სხვა რა უნდა ვქნა?

– ქართველები გამოუსწორებელი ხალხი ხართ. კიდევ განაგრძობ ჩვენს გინებას?

– არა, არასოდეს! შეიძლება ქებაც კი დაგიწყოთ.

– როგორ დაგიჯეროთ? აი, მე ჩეკისტი ვარ. შენ გაიგე, რომ ვილაცას ჩემი მოკვლა უნდა. მოხვალ და გამაფრთხილებ?

– შეიძლება გაგაფრთხილოთ, შეიძლება – არა.

– რატომ არა?

– მე იმ კაცს დავუშლი, რომ არ მოგკლათ.

– რომ არ დაგიჯეროს, მაინც არ მოხვალ ჩემთან?

– დამიჯერებს.

ასეთ „თამაშობაში" გავიდა ერთი საათი. ბოლოს თავი გააქნია და თქვა:

– ტყუილად ჩაუვლია შენთვის გადასახლების წლებს.

უჯრიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და ახლა უკვე ძალიან ოფიციალური ტონით მეუბნება:

– ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, რომ შენ და შენმა ამხანაგებმა კავშირი გააბით საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტერ ნოე ჟორდანიასთან.

დაცინვით გამეღიმა:

– ეგ კარელინის მოჩმახული ზღაპარია.

– ვინ არის კარელინი?

– თქვენ კარგად იცით, ვინც არის. ვინ მე და ვინ ჟორდანია? არ გიფიქრიათ ამაზე? კავშირი ერთი მიყრუებული სოფლიდან პარიზში ჟორდანიასთან! პირდაპირ სასაცილოა.

დაიჟინა, კავშირი გაქვთ და მალავო. რა თქმა უნდა, იმანაც კარგად იცოდა და მეც, რომ ეს სისულელე იყო და ასეთი „ბრალდება" მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ახალი სამი წლით გადასახლება თუ დაპატიმრება როგორმე „გაემართლებინათ".

ამის შემდეგ მე არავის გამოუძახებივარ. ყველაფერი უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი, გამოძახება-დაკითხვასაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და თა-

ნაც იმისი ცდაც იყო, რომ ვინმე ანკესზე წამოეგებოდა და ჩეკას აგენტი გახდებოდა. ჩვენთან ეს არ გამოუვიდათ.

დამაბრუნეს საკანში. გვაძლევდნენ 400 გრამ ტალახივით პურს და ბალანდას. ამ ბალანდას ის ძაღლები ასე ამზადებდნენ: ცხელ წყალში ჩაყრიდნენ თევზის რამდენიმე თავს, ხარშავდნენ მანამ, სანამ წყალი რაღაც მღვრიე ფერს არ მიიღებდა. ვჭამდით, მეტი რა გზა გვქონდა. ერთ დღეს ასეთი ბალანდა მოგვიტანეს. მყრალი სუნი ასდიოდა. თევზის თავები დამპალი იყო. ეს თავები გადავყარეთ და წვენი კი დავხვრიპეთ. იმ დღეს არაფერი, ღამით ისეთი საშინელი ტკივილი ვიგრძენი, რომ ლამის გამაგიჟა, მეჩვენებოდა, თითქოს ნაწლავებს სამართებლით ჭრიდნენ. ამეშალა მუცელი. აგეევს ვთხოვე, ზედამხვედველი გამოეძახა. იმანაც ატეხა ბრახუნი კარებზე, მაგრამ არავინ მოვიდა. დილით თვალთ მიბნელდებოდა, ჭირის ოფლს მასხამდა. მალე გრძნობა დავკარგე და რა მოხდა შემდეგ, აღარ ვიცი.

როცა თვალი გავახილე, ციხის საავადმყოფოს ერთ დიდ პალატაში ვიყავი. პალატაში ორმოცამდე ავადმყოფი იყო. უმრავლესობა ჩონჩხად ქცეულნი, ლოყებჩავარდნილნი და თვალებჩაღამებულნი. მათ შორის ბლომად იყვნენ პროფესორები და ყველანი პოლიტიკური ბრალდებით („მავნებლობა“).

ათი-თერთმეტი საათი იქნებოდა. თეთრ ხალათში გახვეული ექიმი ქალი მოვიდა ჩემთან. რუსს არ ჰგავს. შავი თვალ-წარბი და შავი თმა აქვს, სახის ნაკვთებიც ნატიფი, სწორი ცხვირი. ჩამოჯდა სკამზე და მაჯას მისინჯავს, რაღაც წამალი გამომიწერა და მამშვიდებს:

– ნუ გეშინია, მალე გამოჯანსაღდები.

არ ვიცი, ამ ქალს შევეცოდე, თუ რა იყო, მგონი, ორმაგ ულუფა საჭმელს მაძლევდნენ, ხშირად მაკითხავდა და მსინჯავდა. ერთ კვირაში უკვე ფეხზე ვიდექი, საკმაოდ მოლონიერებული. ექიმმა ის სიკეთე მიყო, რომ მაშინვე არ გამწერა, ერთ კვირას კიდევ გამაჩერა პალატაში.

ერთ დღეს დავთარი მოიტანა და მთხოვა: აქ ავადმყოფების სიაა, გადამიწერე ახალ რვეულშიო. დავთარში ეწერა ავადმყოფების გვარი და სახელი. გარდაცვლილებს ჯვარი ჰქონდათ დასმული. გარდაცვლილთა შორის სამი ქართველიც ერია. ერთი მათგანის გვარი, მახსოვს, ჯავახაძე იყო. როცა დავთარი და რვეული დავუბრუნე, ვკითხე, სად ასაფლავებდნენ გარდაცვლილებს.

მიპასუხა:

– ციხის კედელთან, გარეთა მხრიდან. როცა რამდენიმე მკვდარი დაგროვდება, ასეთი შემთხვევები კი აქ ხშირია, ამოთხრიან ღრმა ორმოს და ყველას ერთად ყრიან შიგ.

– ჭირისუფალს აცნობებენ?

– მაგისთვის ვის სცალია აქ!

ეს ქალი ძალიან დაინტერესდა, თუ რატომ ვიყავი დაპატიმრებული.

შეძლებისდაგვარად მოვუყევი ყველაფერი. ასე ახალგაზრდებსაც იჭერენო? – გაიოცა. ბოლოს მითხრა, მე ვიცოდი, რომ შენ ქართველი იყავიო.

– საიდან?

– ჩემი ქმარიც ქართველი იყო. ის შარშანწინ ავტოავარიაში დაიღუპა. ორი ბავშვი დამრჩა.

გავჩერდი, რით უნდა მენუგეშებინა? ვერც ის გავუბედე, მეკითხა, რა ეროვნებისა იყო თვითონ.

ერთ დღესაც მოვიდა გაღიმებული და მითხრა:

– კეკელიძე, გილოცავ, განთავისუფლებული ხარ, ქაღალდი უკვე მოსულია, დღეს თუ ხვალ გაგიშვებენ.

„განთავისუფლებული ხარ“ – რომ გავიგონე, ისტერიული სიცილი ამიტყდა. დიდხანს ვერ დამამშვიდა ექიმმა. ბოლოს, როგორც იქნა, დავწყნარდი. პირველი სიხარულიც განთავისუფლებაზე ამაო იყო. მივხვდი, რასაც ნიშნავდა: არა სრულ თავისუფლებას, არამედ ამ ციხიდან განთავისუფლებას და მერე კიდევ სადღაც გადასახლებას სამი წლით.

მეორე დღეს ისევ ჩემს ძველ საკანში მიმიყვანეს. აგეევი ისევ იქ დამხვდა. მოვუყევი, რაც თავს გადამხდა და დავემშვიდობე. ციხის კომენდატურაში „გეპეუს“ მისამართი მომცეს და მითხრეს, იქ გამოვცხადებულიყავი. არავინ არ გამოუყოლებიათ, გაქცევა რომ მდომებოდა, ადვილად გავიქცეოდი, მაგრამ სად? არავითარი საბუთი არ მქონდა, არც ნამდვილი და არც – ყალბი.

კითხვა-კითხვით მივადექი „გეპეუს“ კარებს და მორიგე ჩეკისტს ვეუბნები, ვინც ვარ. კომენდატურაში მიმასწავლა. მივედი და ჰოი, საკვირველებავ და სიხარულო! ყველა ქართველი, ჩემთან ერთად ირკუტსკში ჩამოყვანილი, იქ არის. გადავკოცნეთ ერთმანეთი, გაუთავებლივ ვუყვებით ერთიმეორეს, რაც თავს გადაგვხდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოგვიცხადეს:

– ყოველ დილით აქ გამოცხადდებით აღრიცხვაზე. შეგიძლიათ, წახვიდეთ და ბინა იშოვოთ.

ვიღაც შეეკითხა:

– რამდენ ხანს ვიქნებით აქ?

– რამდენიც საჭირო იქნება. შეიძლება, ათი დღეც მოგიწიოთ აქ ყოფნა. მერე გაირკვევა თქვენი საქმე – ვინ სად.

გახარებულნი წამოვედით. უპირველესად ბაზარს მივაშურეთ. პური არ იყიდებოდა, მაგრამ ბლომად იყო წითელი ბოლოკი თვისა და არაჟანი. ბოლოკს არაჟანში ვანობდით და შიმშილი ასე მოვიკალით, მუცლები ამოვიყორეთ.

დადგა ბინის საკითხი. ჩვენ ოცამდე ვიყავით და ყველას ერთად ბინას ვინ მოგვაქირავებდა. დავნაწილდით სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი. ქალაქის განაპირას ჩამოვუარეთ ეზოებს და ვთხოვდით, ათი დღით ბინა მოექირავებინათ. საოცარია, ქირაობა არ გაგვჭირვებია. ეტყობა, მოსახლეებს ძალიან უჭირდათ, თორემ, თვითონაც შეეწროებულნი, ოთახს როგორ დაგვითმობდნენ? ეს ერთი საკითხი მოვაგვარეთ.

საქმე არაფერი გვაქვს. დავიწყეთ ქალაქის დათვალიერება. საკმაოდ დიდი ქალაქია. უნივერსიტეტებიც არის, მუზეუმებიც. ერთ მუზეუმში (მგონი, რევოლუციის) ვიყავით. იქ ნესტორ კალანდარიშვილის ჩოხა-ახალუხი იყო გამოფენილი და მისი პირადი იარაღიც. სურათებით დაფარულია მთელი კედელი. მათ შორის უამრავი ქართველია, ზოგი 1905 წლის რევოლუციის დროს გადმოსახლებული, ყოფილი კატორღელები და ზოგიც სამოქალაქო ომში ჩართეულნი. უმრავლესობა დახოცილია. მართლაც, ვაჰ, სოფელო, რა ზნე გჭირს, სადაურსა სად წაიყვან.

ერთ დღეს აკაკი უჩანეიშვილი წავიდა და გვიან დაბრუნდა (ერთად ვცხოვრობდით). შეზარხოშებული იყო. ვეკითხები:

– სად იყავი, კაცო, აქამდე?

ელიმება.

– აქაური ქართველები გავიცანი.

– როგორ?

– ქუჩაში მივდიოდი. ვხედავ, ჩემ წინ სამი კაცი მოდის, ქართულად ლაპარაკობენ. ვერ მოვითმინე და გამოველაპარაკე. არ მომეშვნენ და თან წამიყვანეს. მერე ერთმა ოჯახში მიმიწვია. დაუძახა კიდევ რამდენიმე ქართველს და ვახშამი გამიმართა.

– რა ხალხია?

– ნაკატორღალი, ნაციმბირალი. პოლიტიკურები არიან. ზოგიც სამსახურის გამო მოხვედრილან აქ და მერე ჩარჩენილან ამ ქალაქში. ხვალ გაგაცნობ მათ.

მეორე დღეს მართლაც წამიყვანა მათთან. ათამდე ქართველი გავიცანით. მათგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა სამსონ ჟორდანია, ნაკატორღალი, უცოლშვილო, წარმოშობით ლანჩხუთიდან იყო. ცომაია (სახელი არ მახსოვს) და ერთი ქართველი ებრაელი თაფლოშვილი თუ თაფლაშვილი, ქართველების წრეში ტრიალებდა და სულით ქართველობდა. რამდენჯერმე ვახშამი გაგვიმართეს, მათ შორის, თაფლოშვილმაც. თვითონ თამადობდა და არყით საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა. იმ დღეს ძალიან გაგვამხიარულა. ესენი 50–60 წელს მიღწეულნი იყვნენ, უმრავლესობა – დაოჯახებული. ცოლებად რუსის ქალები ჰყავდათ.

სამსონ ჟორდანიამ გვიამბო:

– სულ ახალგაზრდა ვიყავი, რევოლუციურ მოძრაობაში რომ ჩავები. 1906 წელს დამიჭირეს და ხუთი წლით გადმომასახლეს. დავბრუნდი საქართველოში და ისევ განვაგრძე მეფის საწინააღმდეგო საქმიანობა. ისევ დამიჭირეს, ციხე მომახდევინეს და მერე აქეთ გადმომასახლეს. მას შემდეგ აქა ვარ. ქალაქში სამოცამდე ქართული ოჯახია. ერთმანეთს ვიცნობთ და ხშირადაც ვხვდებით.

სამსონს ვკითხე, დედ-მამა ან ნათესავები თუ ჰყავდა საქართველოში. მშობლები დამეხოცნენ, ნათესავები კი მყავსო. ვურჩიეთ, დაბრუნებულიყო სამშობლოში. მანვე გვიამბო, თუ როგორ დააპატიმრა ოციოდე ქართველით თებერვლის რევოლუციის დროს ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი ციხიდან გამოსულმა ბენია ჩხიკვიშვილმა. გვიჩვენა გუბერნატორის რეზიდენციაც, რომლის აივნიდანაც უამრავი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსულიყო ჩხიკვიშვილი. დაბლა ჩამოსული, ხალხმა ის ხელში აიტაცა და „ვაშას“ ძახილით მიაცილეს თავის ბინამდე. აქედან ერთხელ სიტყვა წარმოთქვა ირაკლი წერეთელმაც, რომელიც „ალექსანდროვის ცენტრალში“ იხდიდა სასჯელსო.

ორიოდე სიტყვა ისევ სამსონ ჟორდანიაზე. 1934 წელს, ზაფხულში, შევიარე ჟორესის (ახლა მარჯანიშვილის) ქუჩაზე მდებარე სალუდეში და ერთი კათხა ლუდი მოვითხოვე. ვწრუპავ ნელ-ნელა და ერთ კაცს ვუყურებ; ლუდის ჩამომსხმელად მუშაობს. ღმერთო ჩემო, სად მინახავს ეს კაცი? ვიგონებ, ვიგონებ და ვერ მომიგონებია. რომ მინახავს, ამაში ეჭვი არ მეპარება. ხალხი რომ შეთხელდა, მივედი და ვკითხე:

– ბოდიში, საიდანღაც მეცნობით და გვარს ვერ ვიგონებ.

– სამსონ ჟორდანია ვარ.

გამიხარდა, ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვართვით, მოვიგონე ჩვენი შეხვედრები ირკუტსკში და საქართველოში დაბრუნება მივულოცე.

ნაღვლიანად მიპასუხა:

– ექვსი თვეა დავბუნდი. ვიყავი ლანჩხუთშიც, ზოგმა მიცნო, ზოგსაც სულ გადა-

ვიწყებული ვყავდი. მოვინახულე ნათესავები, პურ-მარილიც ბევრჯერ გამიმართეს, მაგრამ სადამდის? იქ ვერ გავძელი. ყველას თავის გაჭირვება აქვს, დაფეთებული არიან. ერთმანეთის არაფერი გაეგებათ. რაღაც შუღლიც არის მათ შორის. ჩამოვედი თბილისში, ყოფილ კატორღელთა საზოგადოებას მივაკითხე და ეს ადგილი მიშოვეს. აქ ვერ გავჩერდები, ისევ ირკუტსკში უნდა დავბრუნდე. იქ ქართველები ერთმანეთს თავს ვევლებით, აქ კი სხვა ამბებია.

დავუშალე, მაგრამ უარის ნიშნად თავი გააქნია, უნდა წავიდეო. თვე-ნახევრის შემდეგ ისევ შევიარე სალუდეში. სამსონი აღარ დამხვედრია. ალბათ წავიდა და თავისი ბებერი ძვლები ციმბირის მიწაში ჩატოვა.

ცომაია პოლიტიკური არ ყოფილა. დიდხანს მუშაობდა ექსპრესმატარებლის ბუფეტის გამგედ. სამსახურისთვის თავი ახალდანებებული ჰქონდა და ირკუტსკში ოჯახურად დამკვიდრებულიყო. კეთილი და პატიოსანი კაცი გახლდათ. 2-3-ჯერ ოთხიხუთი ქართველი თავის ოჯახშიც მიგვიწვია და იმ გაჭირვების ჟამს შეძლებისამებრ გაგვიმასპინძლდა. მას ძალიან დაუახლოვდა აკაკი უჩანეიშვილი.

ერთ დღეს ჩემი მეგობარი მეუბნება:

– მიშა, გავიქცეთ აქედან.

– სად გავიქცეთ?

– ჩინეთში გავიქცეთ.

გავშტერდი.

– რა საშუალებით და როგორ?

– მაგ საქმეს ცომაია მოაგვარებს.

გამოირკვა, რომ სამი დღის შემდეგ მოსკოვი-ხარბინის მატარებელი ირკუტსკში მოდიოდა. მესამე დღე იმიტომ იყო შერჩეული, რომ ამ დღეს მატარებლის ბუფეტ-რესტორანში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად ქართველების „ბრიგადა“ მუშაობდა. ყველა ჩემი მეგობარიაო, ეთქვა ცომაიას. ისინი ჩაგიყვანენ ხარბინში და მერე საითკენაც გინდათ, იქით წადითო.

დავფიქრდი.

– კი მაგრამ, ფული ჩვენ არა გვაქვს და არც ერთი უცხო ენა ჩვენ არ ვიცით. ხარბინში ვის უნდა მივაკითხოთ?

ცომაიას ამაზედაც ეზრუნა. ხარბინში დიდძალი ქართველებია, ვაჭრობენ და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობენ. მიგასნავლით ორ-სამ კაცთან და ისინი ყველაფერში დაგეხმარებიანო.

აკაკის ძალიან უნდოდა წასვლა. მე ვერ დამიყოლია.

– რა ვქნა, კაცო, დედ-მამა რომ არ ვნახო, გავგიჟდები, საქართველოში რომ არ დავბრუნდე, ჭკუიდან შევიშლები.

– გასაოცარია, ოთხი წელია არც დედ-მამა გინახავს, არც საქართველო. რად არ გაგიჟდი?

– იმედით ვცოცხლობ, აკაკი, იმედით.

– ეგ იმედი იქაც გაგყვება. გარწმუნებ, სამ-ოთხ წელიწადში ბოლშევიკები დაემხობიან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ენასაც შევისწავლით და შეიძლება რომელიმე უმაღლეს სასწავლებელშიც შევრგოთ თავი. არ გინდა, უფრო მეტად გამოადგე საქართველოს? წავიდეთ ხარბინში, იქიდან – საფრანგეთში.

– რატომ საფრანგეთში?

– იქ ქართველები ბლომად არიან. გზა-კვალზე დაგვაყენებენ.

ვყოყმანობდი. ბოლოს აშკარა უარი ვუთხარი, მე საზღვარგარეთ ვერ ვიცოცხლებ, დარდისგან მოვკვდები-მეთქი. მარტო წასვლა არ ისურვა ჩემმა კეთილმა მეგობარმა. ვინ იცის, ხარბინში რომ ჩასულიყო და მერე საფრანგეთში, საქართველოში მეორედ დაჭერას და სიკვდილსაც გადარჩენოდა.

ორი კვირის შემდეგ „გეპეუში“ კომენდატურაში გამოგვიძახეს, რომ სამი დღის განმავლობაში დაგვეტოვებინა ირკუტსკი და წავსულიყავით გადასახლების ახალ ადგილას. ზოგს მინუსინსკი შეხვდა, ზოგსაც აჩინსკი, ზოგს ურალი, მე და აკაკი უჩანეიშვილს – ენისეისკი.

არავითარი ბადრაგი არ გამოუყოლებიათ, „ლიტერიც“ კი მოგვცეს უფასო მგზავრობისათვის. ეს „სიკეთე“ ჰქონდა მაშინ ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ გადასახლებას“. რკინიგზით ჩავედით კრასნოიარსკში. იქ ღამე სადგურში გავათენეთ. მეორე დღეს გემით გავემგზავრეთ ენისეისკში. აღარ მახსოვს, რამდენ ხანში ჩავედით. ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა.

ენისეისკი პატარა ქალაქია მდინარე ენისეისკზე. მოსახლეობა მცირეა. დიდი სამრეწველო საწარმოები არ არის, მაგრამ ის უმნიშვნელოვანესი ცენტრია ხე-ტყის დამუშავებისა. ხერხავენ უზარმაზარ მორებს და მერე გემებით მიაქვთ ზოგი ჩრდილოეთისაკენ – პორტ გორკისაკენ, ზოგიც – სამხრეთისაკენ. გარდა ამისა, მორებისგან კრავენ ტივებს. შეკრულ ტივებს კილომეტრზე მეტი სიგრძე აქვთ, ზედ დგამენ ქოხს, სამი-ოთხი კაცი მიჰყვება და ტივს მიაცურებენ იგარკისაკენ. როგორც ჩანს, იქაც სამხერხაოებია, ფიცრებს საექსპორტოდ აგზავნიან უცხოეთში ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანით.

ენისეისკის ქუჩები ვიწროა და მოუკირწყლავი. ბაზარი არის, მაგრამ ჩემს დროს იქ თაფლის გარდა არაფერი იყიდებოდა. თაფლი გლეხებს მოჰქონდათ კასრებით, კილოგრამს 5-6 მანეთად აფასებდნენ. იყო ერთი უბადრუკი სასადილოც, რომელშიც ბალანდის მსგავს (ცოტა უკეთეს) საჭმელებს ამზადებდნენ. რამდენჯერმე მეც მომიხდა იქ შესვლა. გარდა ამისა, არის რაღაც წვრილ-წვრილი სახელოსნო-საწარმოები. დიდი გასავალი აქვს ბულალტერსა და მოანგარიშეს („გეგმიან“ სახელმწიფოს ეს ძალიან სჭირდება!). როგორც შევატყვე, მოსახლეობა ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობდა.

ჩემს დროს, 1933 წელს, ენისეისკში თავშეყრილი იყო დაახლოებით 260 ქართველი, სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობა-პროფესიის. როგორც მეჩვენება, უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენდნენ (ვგულისხმობ 20–35 წლის ადამიანებს), თუმცა იყვნენ ხანდაზმულნიც, რომელთაგან ზოგიერთს იმპერატორ ნიკოლოზის დროსაც გამოეცადათ ციხეც და გადასახლებაც.

ამოდენა გადასახლებულებში მე და აკაკი ნაცნობ-მეგობრებსაც ვეძებდით და აი, ჩვენ უსაზღვროდ გავიხარეთ, როცა მივაკვლიეთ გაბო ივანიაძეს და გრიშა ჯაშს. ეს ის გრიშა ჯაში იყო, რომელიც „გრუზჩეკას“ საკანში გავიცანი, ხოლო ივანიაძე უფრო ახლოს – მეტეხის ციხეში. გაბო ტივების შეკვრაზე მუშაობდა. გრიშა ჯაშს, როცა მას ოთახში ვეწვიეთ, მაგიდაზე თარგები ჰქონდა გაშლილი და შარვალს კერავდა. თერძობა დაეწყო ამ ნიჭიერ სტუდენტს. სად ისწავლა და როგორ, არ ვიცი. იქვე გრიშას ცოლი მარო ქიქავა ფუსფუსებდა და ქმარს ეხმარებოდა. იგიც პოლიტიკუ-

რი ბრალდებით იყო გადმოსახლებული. ახალშეუღლებულნი იყვნენ. ბავშვი, მგონი, ჯერ არ ჰყავდათ. ბევრი, ბევრი ვილაპარაკეთ და გული მოვიოხეთ. გაბოც და გრიშაც ნაკითხი, განათლებული ადამიანები იყვნენ, უაღრესად კეთილნი და პატიოსანნი. ახლა, როცა მე ამ სტრიქონებს ვწერ, ფეხი უკვე მე-80 წელში მიდგას. ბევრი რამ დამავიწყდა. მაგრამ რაღაც-რაღაცები მაინც მახსოვს. მე ივანიაძესა და ჯაშზე ადრე გამათავისუფლეს და მათი ბედისა შემდეგ ვერაფერი გავიგე. ახლახან გაზ. „თბილისში“ (1990, 16 აპრილი, №87) გამოქვეყნდა თინათინ და გივი ჯაშის მოგონება „სულით არ დაცემულან“. ესენი გრიშა და მაროს შვილები ყოფილან, თავიანთ დედას და მამას იგონებდნენ. იქიდან გავიგე, რომ 1935 წელს ჯაშის ოჯახი საქართველოში დაბრუნებულა. 1937 წელს ისევ დაუჭერიათ და სატუსაღოში თუ გადასახლებაში გარდაცვლილა. გაბო ივანიაძისა კი ვერაფერი გავიგე (იგი ცნობილი ბოლშევიკის, ვანო სტურუას, დისწული თუ რაღაც ახლო ნათესავი იყო, კომუნისტების შეურიგებელი მტერი).

მგონი, მოვლენებს წინ გავუსწარი. დავუბრუნდეთ ენისეისკს. მე და აკაკიმ სადღაც ერთი პატარა ოთახი ვიქირავეთ. იგი მენაღეობას („საპოჟნიკობას“) შეუდგა. საამისო იარაღს ყოველთვის დაატარებდა ფანერისაგან გაკეთებული თავისი ჩემოდნით. მე ორი კვირის შემდეგ ხე-ტყის ქარხანაში დავიწყე მუშაობა რამდენიმე ქართველთან ერთად. ფიცრებს ვაწყობდით შტაბელებად. ამ დალაგებული ფიცრების სიმაღლე 10-12 მეტრს აღწევდა. ძალიან რომ დავიღლებოდით, შტაბელს თავზე მოვექცეოდით და ზოგჯერ იქ გამოვიძინებდით კიდეც.

შავ მუშაობას ის უპირატესობა ჰქონდა (მე სხვა მაინც არაფერი შემეძლო), რომ მუშათა დახურულ სასადილოში საჭმელს უფრო ბლომად იძლეოდნენ. რაც შეეხება ფულს, რაღაც კაპიკებს იმეტებდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ იქ მუშაობას თავი დავანებე და ენისეისკიდან 15 კილომეტრის დაშორებით (ზემო დინებაზე) ტივების შეკვრაზე დავიწყე მუშაობა. აქ ოცამდე ქართველი მუშაობდა. სატივეზე მუშაობას ის სარგებლობა ჰქონდა, რომ საჭმელს აქ კიდევ უფრო ბლომად გვაძლევდნენ. ტივების შეკვრა გრეხილი მავთულებით მძიმე სამუშაოა. ბრეზენტის ხელთათმანები გვქონდა, მაგრამ ის ნაკლებად გვშველოდა. ძალიან ხშირად გვისისხლიანდებოდა ხელები და ფეხები. რას ვიზამდით, კუჭი თავისას ითხოვდა და სხვა გზა არ იყო. სხვათა შორის, ქართველ მუშებს შორის იყვნენ ექიმი-სტომატოლოგიც, ინჟინერიც, პედაგოგიც და სხვა სპეციალობის მქონენიც, მაგრამ თავიანთი შესაფერისი ადგილი ვერსად იშოვეს, არც იყო მათზე მოთხოვნილება. აგვისტოს ბოლომდე იქ ვიმუშავე. სექტემბრის პირველ რიცხვებში ენისეისკიდან მოსულმა გაბო ივანიაძემ მაცნობა, რომ ადგილობრივი „გეპეუს“ უფროსი სასწრაფოდ მიბარებდა.

– ვითომ რა უნდა მაგ ოხერს? – ვეკითხები გაბოს.

– მგონი, შენი განთავისუფლების ქაღალდი მოსულა.

– არ დაიჯერო. ახალი სამი წელი უკვე მოცემული მაქვს. ალბათ სხვაგან გადავყავარ სადმე.

უხალისოდ დავბრუნდი ენისეისკში და გავწიე „გეპეუში“, უფროსს გამოვეცხადე. დამიწყო გამოკითხვა – საიდან ვარ, რა გვარი ვარ, კეკელიძე ჩემი ნამდვილი გვარია თუ გამოგონილი, რომელი სტატიებით გამასამართლეს და ა. შ.

ბოლოს მეკითხება:

– რომ გაგიშვათ ახლა, რას აპირებ შემდეგ?

– თუ შევძელი, სწავლას გავაგრძელებ.

უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო:

– შენ განთავისუფლებული ხარ. ენისეისკს დატოვებ ორ დღეში.

– საცხოვრებელი ადგილი?

– თბილისი.

ის რაღაც ბლანკს ავსებს, მე კი გამოურკვეველობისაგან გაბრუებული ვარ და ვფიქრობ: „ნუთუ ეს ყველაფერი მართალია, თუ მატყუებს და რაღაც მახეს მიგებს?"

ყველაფერი სიმართლე იყო: მე თავისუფალი ვარ! მომცა ქაღალდი, რომელშიც ეწერა, რომ მე სასჯელის ვადის მოსვლამდე გამათავისუფლეს, მივდივარ საცხოვრებლად თბილისში და ეს ცნობა აუცილებელად უნდა ჩავაბარო თბილისში „გეპეუს".

ქაღალდი გამოვართვი. წასვლისას მიმეორებს:

– ორ დღეში დატოვებ ენისეისკს.

– ვერ დავტოვებ ასე უცებ. ფული არ მაქვს. მომეცით „ლიტერი".

„ლიტერი" უფასო მგზავრობის ნებართვაა. კარგა ხანს მაწვალა, მაგრამ ბოლოს ეს „ლიტერიც" მომცა. იმავე დღეს დეპეშა გავაგზავნე მშობლებთან. ამხანაგები მკოცნიან და მილოცავენ თავისუფლებას. ყველანი გაფაციცებით წერილებს წერენ და მეუბნებიან:


– თუ ძმა ხარ, ეს წერილი ჩვენებს მიუტანე, ისიც უთხარი, რომ კარგად ვართ.

15-მდე წერილი გადმომცეს, მათ შორის ერთი ცნობილი ეთნოგრაფის, პროფესორ გიორგი ჩიტაიას, ძმის იყო (მისი სახელი აღარ მახსოვს). დაბრუნების შემდეგ ყველას დავალება პირნათლად შევასრულე.

„ლიტერი" მქონდა, მაგრამ ფული მაინც მჭირდებოდა. დატრიალდა უჩანეიშვილი და ამხანაგებმა სახელდახელოდ შემიგროვეს 150 მანეთი. მეოთხე დღეს გულთბილად გამისტუმრეს. გემით ჩავედი კრასნოიარსკში. იქ ერთი ქართველის მისამართი მქონდა, გვარად გვეტაძე იყო, შუახნის კაცი, სახელი არ მახსოვს. შინ დამხვდა. გამოვემცნაურეთ ერთმანეთს და საუბარი გავაბით. განათლებული, ენების მცოდნე კაცი აღმოჩნდა. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ იმხანად ქალაქში 20-მდე გადმოსახლებული ქართველი ცხოვრობდა. უმთავრესად შავი სამუშაოთი ირჩენდნენ თავს. თვითონ გვეტაძე და მისი ამხანაგი ქალაქში ეზო-ეზო დადიოდნენ და მცხოვრებლებს შეშას უხერხავდნენ და უპობდნენ. ამით ცოტაოდენ რაღაცას ვშოულობთო.

საღამო ხანს პოეზიაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. წამიკითხა ედგარ პოს „ყორანის" საკუთარი თარგმანი ინგლისურიდან. არა უშავდა, კარგი იყო. საკუთარი ლექსებიც გამაცნო და იმედიანად თქვა: როცა გავთავისუფლდები, ჩემს ლექსებს და თარგმანებს თბილისში გამოვცემო. სამწუხაროდ, შემდეგ მე მისი არაფერი გამიგია. ის ღამე მასთან გავათიე.

რკინიგზის სადგურზე დიდხანს მომინია ცდა. სადგური სავსე იყო აღელვებული ხალხით, უმთავრესად ჩამოძენძილი გლეხებით. თან ჰქონდათ ფანერის ჩემოდნები, განუყრელი ბიდონები და სხვა რაღაც-რაღაცები. მშიერი ბავშვები ტიროდნენ და ფეხებში ებლანდებოდნენ მშობლებს. მიდიოდნენ ზოგნი აღმოსავლეთით, ზოგნი – დასავლეთით. ეჭვი არაა, მათი უმრავლესობა შიმშილით და ავადმყოფობით სადღაც ჩაიხოცებოდა.



СПРАВКА

М.П.

მიხეილ კეკელიძის გადასახლებიდან გათავისუფლების ცნობა
კრასნოიარსკი, 20 სექტემბერი, 1933 წელი

საღამო ხანს ჩემი მატარებელიც მოვიდა. ავბობღდი ერთ გაბინძურებულ ვაგონში. მოვთავსდი ზედა საწოლზე და მალე მატარებელიც დაიძრა მოსკოვისაკენ. მიხაროდა და თან სულ მიკვირდა, რატომ გამათავისუფლეს მარტო მე?

ბოლოს მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს მამაჩემის განცხადებების შედეგი იყო. მას შემდეგ, რაც მე გადამასახლეს, მამა პირდაპირ „ბომბავდა" საქართველოს და საკავშირო ცაკ-ს განცხადებებით. მოითხოვდა, რომ მე, როგორც სამხრეთის ქვეყნის შვილს, ახალგაზრდას, სასჯელი საქართველოში ან, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიმე თბილ ადგილას მომეხადა. ბოლოს ჩემს სრულ განთავისუფლებას ითხოვდა იმ მიზეზით, რომ მე ფილტვები სუსტი მაქვს და შეიძლება ტუბერკულოზიც დამემართოს. ერთხელ საქართველოს ცაკ-ს მართლაც გამოუტანია დადგენილება ჩემი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ საკავშირო ცაკ-ს ეს მხედველობაში არ მიუღია. მამა კი განაგრძობდა განცხადებების გზავნას. ვიფიქრე, ჩემი განთავისუფლებაც ალბათ მისი თხოვნის შედეგია-მეთქი. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. შემდეგ თვეებში პოლიტიკურ გადასახლებულთა უმრავლესობა გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნდა.

არ ვიცი, რამ შეუღიტინა ტვინში საბჭოთა მთავრობას და „ოგეპეუს" ასეთ დათმობაზე რომ წავიდნენ, რადგან, როგორც წესი, სასჯელის მოხდის შემდეგ პოლიტგადასახლებულებს ახალ სასჯელს აძლევდნენ. გქონდა სამი წელი? მიირთვი კიდევ ახალი სამი წელი, გაგითავდებოდა ეს ვადაც, დაგაბრალებდნენ რაღაცას და ახალ სამ წელს დაგიმატებდნენ.

1933 წლის ბოლოდან და შემდგომ ორ წელიწადს განთავისუფლება დაიწყეს. რა მიზეზით, ახლაც ვერ გამიგია, თუმცა რა ბედი ეწია დაბრუნების შემდეგ ბევრ მათგანს, ქვემოთ მოგახსენებთ.

როგორც იქნა, ჩავაღწიეთ მოსკოვს. თბილისის მატარებელი კურსკის ვაგზლიდან გადიოდა. გაჭირვებით მივაგენი ამ ვაგზალს. არ გაგიკვირდეთ, მოსკოვში მეორედ ვიყავი, მაგრამ ამ ქალაქზე არც მაშინ და არც ახლა წარმოდგენა არა მაქვს. აბა, საიდან მექნება? პირველად რომ ჩაგვიყვანეს, მაშინვე ბუტირკის ციხეში ამოგვაყოფინეს თავი. ირკუტსკისაკენ რომ წაგვიყვანეს, „შავ მანქანებში“ ვყავდით და რა უნდა დაგვენახა! ახლა მოსკოვში ვარ, მაგრამ მის დასათვალიერებლად ვის ცალია, ან რანაირად?

ყველაზე ადრე, მგონი, მე შევედი მატარებელში. ისევ ზედა საწოლზე მოვთავსდი. ველოდი მატარებლის დაძერას, მაგრამ რატომღაც იგვიანებდა. მე რომ ვაგონში შევედი, არ გასულა დიდი ხანი, რომ შიგ სამი კაცი შემოვიდა. რკინიგზელების ფორმაში იყვნენ. ვზივარ ჩემთვის გაყუჩებული და ვიცქირები ფანჯარაში. ისინი ჩემ ახლოს დასხდნენ, დაიწყეს ლაპარაკი და გული კინალამ ამომივარდა სიხარულით. ქართველები იყვნენ ამ მატარებლის გამყოლები. გამოლაპარაკება მინდა, მაგრამ როგორ დავიწყო? ბოლოს ვკითხე, რამდენ ხანში ჩავალთ თბილისში-მეთქი? ორდღენახევარშიო, მიპასუხეს. შემდეგ საჭმელი ამოიღეს და ჭამას შეუდგნენ. შემეპატიჟნენ. მშიოდა, მაგრამ რატომღაც უარი ვუთხარი.

– საიდან მოდიხარ?

– ენისეისკიდან.

– პატიმარი იყავი?

– არა, პოლიტგადასახლებული.

– რამდენი ხნით?

– მალე ოთხ-ნახევარი წელი შემისრულდება.

ასე გამოვეცნაურეთ ერთმანეთს და საუბარი განვაგრძეთ. როგორც კი ჩემი წლოვანება გაიგეს, თავი გადააქნ-გადმოაქნიეს და გაოცდნენ, ისეთი რა ჩაიდინე, ასე ახალგაზრდა რომ დაგიჭირესო?

შემდეგ ხნიერმა მკითხა, შინ თუ იციან, რომ გაგათავისუფლესო. იციან-მეთქი. ამის შემდეგ დაინტერესდა ჩემი გვარით და როცა ვუთხარი, კეკელიძე ვარ-მეთქი, გაოცებით დამაშტერდა.

– სევერიანე კეკელიძეს თუ იცნობ?

– სად ცხოვრობს?

მითხრა ქუჩა. მაშინ ახლანდელ ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩას სხვა სახელი ერქვა (ადრე შერემეტევის, შემდეგ, მგონი, ნასაკირალის).

– ეგ სევერიანე კეკელიძე მამაჩემია.

ამ სიტყვებზე ხნიერი მომიახლოვდა, გადამკოცნა, ბეჭზე ხელი დამარტყა და ღიმილით მეუბნება:

– სევერიანეს ბიჭი ხარ, არა? ვასო გოგოძესთან რომ დადიოდი, ის ხარ, ხომ? თმები სად დაკარგე, ბიჭო?

გამეცინა და ვეუბნები:

– თმები საბჭოთა ხელისუფლებას შევწირე.

ეს კაცი გვარად ახვლედიანი იყო. ცხოვრობდა გორის ქუჩაზე, №12-ში თუ 14-ში, ჩვენი ქუჩის მახლობლად. იმავე სახლში ცხოვრობდა მამაჩემის გულითადი მეგობარი, ჩვენებური ვასო გოგოძე, რომელთანაც დადიოდა მამა და მეც ხშირად ვყოფილვარ.

ვასოს კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და წიგნებს მაძლევდა. ამაზე მე უკვე ვწერდი ზემოთ. აი, ამის გამო მოხდა ჩვენი გამოცნაურება.

გზაში შვილივით მივლიდნენ. ბაქოს რომ მივუახლოვდით, უამრავი ხილი მიყიდეს და მომცეს. ეს გზა არ გამჭირვებია, ჭუჭყი მაწუხებდა მხოლოდ. ორი დღის შემდეგ თბილისს ჩამოვაღწიეთ. საღამო ხანი იყო, ჩემი სახლის კარებზე რომ დავაკაკუნე.

დაბრუნება

კარი დედამ გამიღო. რომ დამინახა, თითქოს გაოცდა, მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: „შენ ხარ, შვილო?“ დერეფანში მაგიდა და სკამები იდგა. ერთ-ერთზე ბარბაცით დაჯდა, თვალები ცრემლებით აევსო და ნაირწრირულა: „ცოცხალი ხარ, ბიჭო?!“ – „ცოცხალი ვარ, დედა, ცოცხალი!“ განგებ რიხიანად ვუპასუხე, მაგრამ ვატყობ, თვალებზე ცრემლები მეც მომადგა. დავჯექი მის გვერდით. ლოყაზე ხელი მომითათუნა. მხოლოდ ახლა მაკოცა (ჩვენმა მშობლებმა ჩვენი კოცნა მხოლოდ ახალ წელიწადს და აღდგომას იცოდნენ. საერთოდ მოფერება-მოალერსება არ უყვარდათ, მაგრამ, როგორც ახლა ვატყობ, ჩვენზე გადაყოლილები იყვნენ). შევედით ოთახში, მოვიდა ჩემი და-ძმაც. ესენი მიყურებენ, მაგრამ ხმას არ იღებენ. მოვიდა სამსახურიდან მამა. ჩემმა დამ დერეფანში ჩემი ჩამოსვლა მიახარა. შემოვიდა სახეგაბრწყინებული მამა, მომეხვია და თქვა: „ვიცოდი, ყველაფერს გაუძლებდი და დაბრუნდებოდი. აბა, რისთვის ვართ ჩვენ, კეკელიძეები, თუ ქვეყნისთვის თავს არ დავდებთ? მეც ვრევოლუციონერობდი ერთ დროს, სემინარიიდანაც გამრიცხეს, მაგრამ ყველაფერს გავუძელი“. უნდა მოგახსენოთ, რომ მამაჩემს თავისი გვარით წატრაბახება უყვარდა, ხოლო ტობანიერზე უკეთესი სოფელი არსად ეგულებოდა.

ღარიბული ვახშამი გაიმართა (თბილისში გაჭირვება საკმაოდ იგრძნობოდა). მიყურებენ, მაგრამ არავინ მეკითხება, როგორ გავატარე დრო ციხეებსა და ციმბირში, რა მიჭირდა და რა მილხინდა, მხოლოდ ეს მკითხა მამამ, როგორ ვიმგზავრე მოსკოვიდან თბილისამდე. მეც მოვუყევი ახელედიანთან შეხვედრის ამბავი. ძალიან ესია-მოვნა და თქვა: „მაშ, როგორ? ქართველი ქართველს თუ არ მიეხმარება და გვერდით არ დაუდგება, ის რა ქართველია!“

კანტი-კუნტად ვლაპარაკობთ. მეც ვკითხულობდი ნათესავების ამბავს, ჩემი გადასახლებული თანაკლასელების შესახებ თუ იცოდნენ რამე და ა. შ. მოვიდა ძილის დროც. დავწექი, მაგრამ ეს რა მემართება? შამფურივით ვტრიალებ, ხან ერთ გვერდზე გადავბრუნდები, ხან მეორეზე. არ მეძინება და არა! საოცარია, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მთელი ღამე ისე გავათენე, თვალი არ მომიხუჭავს. სულ მიკვირდა, შინ რომ ვიყავი; თან განუწყვეტლივ ვფიქრობდი, როგორ არიან სხვადასხვა მხარეს დაფანტული ჩვენი ბიჭები და რას აკეთებენ ახლა-მეთქი.

პირველად ვერ შევეჩვიე ოჯახში ცხოვრებას. სულ მოუსვენრად ვიყავი. ჩემი ფიქრები ჩემს ამხანაგებს, ციხეებსა და გადასახლებაში გაცნობილ მეგობრებს დასტრიალებდა თავს. საშინელ მარტოობას ვგრძნობდი, მაგრამ რა უნდა მექნა?

მესამე თუ მეოთხე დღეს მამამ მითხრა, რომ უჩანეიშვილის სახელზე ენისეისკში დეპეშით გაგზავნა ჩემგან იქ ნასესხები ფული – 150 მანეთი. ძალიან გამიხარდა. შემდეგ დღეებში შევუდექი წამოღებული წერილების პატრონებისათვის ჩაბარებას.

ბევრმა გაიხარა, იმედიანად რომ ვუყვებოდი მათ ამბავს. ვინახულე ჩემი მეგობრის, ურალში გადასახლებული გრიშა სვანის, მამაც. მას ყოფილ მაშხალის ქუჩაზე პატარა სასაუზმე ჰქონდა, გვერდით მის ბიძაშვილებს – სათონე. გაუმასპინძლებლად როგორ გაგიშვებთო და ვახშამზე დამტოვეს.

თანდათან ჩვენებმაც ამოიდგეს ენა და დამაყარეს კითხვები გადასახლებაში ჩემი ცხოვრების შესახებ. მეც დაწვრილებით ვუყვებოდი ყველაფერს. ასე რომ, რასაც ახლა ვყვები, მათ თითქმის ყველაფერი იცოდნენ, ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

დედაჩემმა საერთოდ ჩემს „მოწესრიგებას“, მგონი, ათი დღე შეალია. დამბანეს, გამომიცვალეს ყველაფერი და ახალი ტანსაცმლით შემმოსეს. ამასობაში გავიდა სამი კვირა. მამაჩემი პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო. ერთ დღეს მეუბნება:

– შვილო, უსწავლელი ხომ ვერ დარჩები? რაღაც უნდა ვიღონოთ.

– ატესტატი არა მაქვს.

– ვიცი, წადი შენს ყოფილ სკოლაში და გამოართვი ცნობა, რომელ კურსზე სწავლობდი. მერე სხვა რამეზეც ვიფიქროთ.

აი, ამ დროს ასეთი რამ მოხდა. სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში მიმდინარეობდა პასპორტების გამოცვლა. მიმდინარეობდა სასტიკი წესების დაცვით. სახლებში შექმნილი იყო „სამეულები“, რომლებსაც ევალებოდათ სიის შედგენა. მასში უნდა შეეტანათ ის პირნი, რომელთაც პასპორტის მიღების ღირსად სცნობდნენ. ჩვენს „სამეულს“ უფროსად კარის მეზობელი კოხრეიძე თავმჯდომარეობდა. მან სიაში შემიყვანა და პასპორტი მომცეს.

ენისეისკში გაცემული ცნობის „გეპეუში“ ჩაბარების შესახებ ლაპარაკიც კი არ სურდა მამაჩემს და მეც, რადგანაც ეს ნიშნავდა ჩეკისტების მეთვალყურეობის ქვეშ ჩემს მუდმივად ყოფნას და ყოველ წუთში რაიმე შარის მოდებას, რასაც ახალი დაპატიმრება მოჰყვებოდა. ამის მაგალითი ბევრი იყო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩემს უბედურებად და საწამებლად გადაიქცა პასპორტი, სამხედრო ბილეთი და ანკეტა. უზარმაზარი სახელმწიფო ჩემისთანა ჭიანჭველისოდენა არსებას ებრძოდა. მეც თავს ვიცავდი ჩემ შესახებ არასწორი ცნობების მიწოდებით, ე. ი. ვატყუებდი ხელისუფლებას, მის ორგანოებს, ცალკეულ პირებს და, უმრავლეს შემთხვევაში, წარმატებითაც. ამან გადამარჩინა.

პასპორტი თუმცა მივიღე, მაგრამ მალე მარცხიც განვიცადე. ვიღაცამ დამაბეზღა, რომ მე, ყოფილ პოლიტპატიმარს, პასპორტი მომცეს. ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა მილიციელი და მიკითხა. მე ფორმიანების დანახვისას ყოველთვის ვიმალებოდი. დედას ეთქვა, შინ არ არისო. დაებარებინა, მილიციის განყოფილებაში გამოვცხადებულიყავი. მილიციის განყოფილება გორის ქუჩაზე მდებარეობდა. მის უფროსად მუშაობდა ვიღაც ბოჭორიშვილი. მამამ არ გამიშვა. ერთი კვირის შემდეგ ისევ მოგვაკითხეს. ახლა მამაჩემი თვითონ წავიდა, რა გნებავთო. უფროსს ძალიან კარგად მიეღო და ეთქვა, მისი (ე. ი. ჩემი) მოსვლა საჭირო არ არის, ოღონდ პასპორტი მოიტანეთ, ერთი ბეჭდის დაკვრა დაგვავიწყდაო. მამა მობრუნდა, ძალიან დაეჭვებული იყო, მაგრამ მაინც წაიღო პასპორტი. უფროსს დაეტოვებინა და მამა მეორე დღისთვის დაებარებინა. მივიდა მეორე დღეს, არ დახვდა. ერთი კვირის მანძილზე ასე ატარეს, ხან ეუბნებოდნენ, არ არისო, ხან არ სცალიაო და ბოლოს ვიღაცას ეთქვა, პასპორტი ჩამორთმეულია და გაუქმებულია, თქვენს შვილს თბილისში ცხოვრება აკრძალული აქვს, ქალაქი ორ-სამ დღეში უნდა დატოვოსო.



ოლღა გიორგაძე (შუაში)

პასპორტმა, გლეხები რომ წინათ „ბაშფორთს“ ეძახდნენ, უთვალავჯერ გამაწამა, მაგრამ რას იზამ, რუსეთის იმპერიისა და მისი მემკვიდრე საბჭოთა ხელისუფლებისათვის ის განუყოფელი ატრიბუტია.

სოფელ რომანოვოში (სოფ. ფილიპოვოს მახლობლად მდებარეობდა) ერთმა გადმოსახლებულმა, ანეკდოტების მოყვარულმა გრიგორიევმა, ერთხელ სიცილით მკითხა:

– თუ იცი, რუსებს ცხვირი რატომ აქვთ მაღლა აწეული?

– არ ვიცი.

– ეს თუ იცი, ქრისტე რატომ გააგდეს რუსეთიდან?

– არც ეგ ვიცი.

– ჰოდა, საქმე ასე იყო. დაადგა ქრისტემ ფეხი რუსეთის მიწას და ხედავს, კაცის ჭაჭანება არ არის, ნახირი კი სავსეა. ეს როგორ, ადამიანი აქ რატომ არ უნდა იყოსო. მიდის გზაზე და წინ დაინახა დიდი ფუნა, ძროხისა თუ ხარის მოსკორილი. ამოჰკრა ფეხი და თქვა: „იყავნ ადამიანი!“ ღმერთი იყო და შეეძლო კაცის გაჩენა. იმ ადგილას, სადაც ქრისტემ ფეხი ამოჰკრა, ახალგაჩენილს ცხვირი აებზუა. გამოეჭიმა ეს კაცი ქრისტეს და იმის ნაცვლად, რომ გაჩენისთვის მადლობა ეთქვა, შეუყვირა:

– ვაშ ბაშპორტ, ბარინ![1]

– არა მაქვსო, – უპასუხა ქრისტემ.

– უპასპორტოდ შემოპარული საეჭვო პირი ხარ, აქედან დაიკარგეო.

რა უნდა ექნა ქრისტეს? დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა. მეც ასე დამემართა მოსკოვშიო. მამაჩემი რევოლუციის შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა. ამის გამო არ მომცეს

[1] – თქვენი ბაშპორტი, ბატონო!

პასპორტი, კონტრრევოლუციონერის შვილი ხარო. ვიმალებოდი და ასე ვცხოვრობდი უპასპორტოდ კარგა ხანს. ბოლოს დამიჭირეს, ათასი ბრალდება წამომიყენეს, მათ შორის, უპასპორტოდ ცხოვრების ბრალდებაც, დიდხანს მაწვალეს და აქეთ მიკრეს თავი. ეხ, მიხაილ, მიხაილ, შენ არ იცი, რა არის პასპორტი!

ღმერთი, რჯული, მაშინ მართლა არ ვიცოდი, რა ძალა ჰქონდა პასპორტს. მერე კი იცოცხლეთ, გავიგე მისი ძალა.

ვარ უპასპორტოდ, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ე. ი. მე ვარსებობ, მაგრამ რომ ნამდვილად ვარსებობ, ამის დამადასტურებელი საბუთი არა მაქვს. მალულად ვცხოვრობდი, უფრო სწორად, სახლშივე ვიმალებოდი. ერთ თვეს არავის მოვუკითხივარ, მერე მოვიდა ვილაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა, მოითხოვა სახლის წიგნი, ათვალიერებს ჩაწერილებს, მაგრამ მე ხომ იქ შეტანილი არა ვარ. ბოლოს იკითხა, სად ვიმყოფებოდი. დედა უკვე გამოიწაფა ასეთ საქმეებში და მშვიდად უპასუხა, ქუთაისში წავიდა იქ საცხოვრებლადო. მე კი ამ დროს მეორე, ჩაბნელებულ, პატარა ოთახში ვიყავი გატრუნული და ველოდებოდი დაუპატიჟებელი სტუმრის წათრევას. როგორც იქნა, წაბრძანდა. ასე გრძელდებოდა ძალიან დიდხანს.

მივაკითხე ჩემს ყოფილ სკოლას. ცნობა უნდა ამეღო. იქ დამხვდა სკოლის მდივან-მემანქანე ქეთო წივწივაძე. ძალიან კარგი, გულისხმიერი ქალი. პირველად ვერ მიცნო, მერე მომეხვია და თავისუფლება მომილოცა. ვუთხარი, რისთვისაც მივედი. ახლავეო, მიპასუხა. სკოლის არქივი მის ხელთ იყო. მონახა ჩემი საქმე და შეწუხებულმა თავი გააქნია:

– იცი რა, კეკელიძე! ალგებრაში ნიშანი არ გიწერია და ამიტომ მეორე კურსის დამთავრების ცნობას ვერ მოგცემ, მაგრამ არის გამოსავალი. მიდი გაბო პაპიტაშვილთან, უთხარი, რაშიც არის საქმე და მომიტანე მისგან ცნობა, რომ ალგებრა ჩააბარე და მერე მოგცემ ოფიციალურ ცნობას, რომ შენ მესამე კურსზე გადახვედი.

გაბო პაპიტაშვილი სკოლაში მათემატიკას გვასწავლიდა, მგონი, „ტრიგონომეტრიის“ სახელმძღვანელოს ავტორიც იყო. მე მათემატიკა არ მიყვარდა. არ ვიცოდი კარგად, რადგან მთელ დროს ჰუმანიტარულ საგნებს ვანდომებდი და დრო მაინც არ მყოფნიდა. პაპიტაშვილი „დამაკმაყოფილებელს“ მაინც მიწერდა, რადგან მოჰქონდა რაღაც რუსული წიგნი მათემატიკის ისტორიაზე, იქიდან შეარჩევდა რომელიმე თავს და იკითხავდა: ვინ თარგმნის? აი, ამ საქმეში გამოვიჩინე თავი და „დამაკმაყოფილებელსაც“ ამიტომ მიწერდა. თავისი საგნის კარგი, საფუძვლიანი მცოდნე, მაგრამ გაუცინარი მასწავლებელი იყო, გაკვეთილზე მე ის გაღიმებული არასდროს მინახავს.

ქეთო წივწივაძემ მომცა მისი მისამართი, საპროტექციო წერილიც გამატანა და ასე „შეიარაღებული“ მივედი მასთან. შინ დამხვდა. მაგიდასთან იჯდა, რაღაცას წერდა. ბოდიში მოვიხადე და ვუთხარი, ვინც ვიყავი და რაზედაც ვაწუხებდი.

დაწვრილებით გამომკითხა, როგორ ვცხოვრობდი გადასახლებაში და რას ვაკეთებდი ახლა. მეც მოვუყევი ყველაფერი და ბოლოს ვთხოვე, მოეცა ცნობა, რომ საგანი ჩავაბარე.

გვერდზე გაიხედა და მეუბნება:

– მიხეილ (სახელით იცოდა ყოველთვის მომართვა), მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მასზეა ყველაფერი აგებული. მათემატიკას ხუმრობა და ზერელობა არ უყვარს. მეც ხომ თავს ვერ გავიმასხრებ და ტყუილად ნიშანს დაგიწერ? ვიცი, შენ ახლა

მომზადებული არა ხარ. წადი, მოემზადე მასწავლებელთან და მერე ჩამაბარე საგანი. ეს შენთვისაც კარგია. ამას სულ ექვსი თვე დასჭირდება. სხვანაირად არ შემიძლია.

მის ლაპარაკს რომ ვისმენდი, მე ამ დროს ფიქრით შინ ვიყავი, კიდევ ხომ არ მომაკითხა მილიციონერმა? როცა მასწავლებლისაგან უარი მივიღე, ერთხელ კიდევ ვცადე ბედი:

– ბატონო გაბრიელ, მე თბილისიდან მაგდებენ, აქ ცხოვრება აკრძალული მაქვს. სოფლად ან სხვა ქალაქში ახლა მომზადების საშუალება არა მაქვს.

ისევ გვერდზე გაიხედა:

– არა, ჩემი პედაგოგიური სინდისი უფლებას არ მაძლევს, „დამაკმაყოფილებელი" დაგიწერო.

– ბატონო გაბრიელ, აუცილებლივ მოვემზადები, როგორც კი ამის პირობები მექნება.

არაფერი მიპასუხა.

წამოვედი გაწბილებული. ფორმალურად ბატონი გაბო პაპიტაშვილი სავსებით მართალი იყო, ადამიანურად რა მოგახსენოთ. „პედაგოგიურ სინდისთან" კომპრომისი მას რა შეურაცხყოფას მიაყენებდა? ბანდიტს, კაცისმკვლელს, ქურდს ან სამშობლოს მოღალატეს ხომ არ ეხმარებოდა?

რა გზა მქონდა, ავიღე ცნობა, რომ მეორე კურსზე ვსწავლობდი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯავახიშვილის ქუჩაზე სრულიად მოულოდნელად ჩემი კლასის ხელმძღვანელს, ვერა გალდავას, შევხვდი. ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა. არ მომეშვა, შინ წამიყვანა და ჩაითა და ტკბილეულით გამიმასპინძლდა.

სხვათა შორის, პაპიტაშვილთან ჩემი შეხვედრის ამბავი მოვუყევი. ამასთან დაკავშირებით ასეთი ამბავი მიამბო:

– შენ და შენი ამხანაგები რომ დაგიჭირეს, მაშინ მეორე სემესტრი მთავრდებოდა. ამ სემესტრის დამთავრების წინ მასწავლებლები მოწაფეთა გამოკითხვა-გამოცდას ატარებდნენ და გადასაყვან ნიშნებს წერდნენ. ასეთი გამოცდა ყველგან არც იყო დამთავრებული. თქვენ რომ დაგიჭირეს, კაპანელმა გამომიძახა და მითხრა, მე რომ მასწავლებლებს ვთხოვო, ჩემთვის უხერხულია, შენ კი ნახე ისინი და სთხოვე, ყველა დაჭერილს დადებითი ნიშნები დაუწერონო. ეს უყოყმანოდ შეასრულეს დავით ასათიანმა, ელენე ფალავანდიშვილმა, გრიგოლ საღარაძემ და ვარლამ ძიძიგურმა. რაც შეეხება პაპიტაშვილს, ცივი უარი მტკიცა, სანამ არ გამოვცდი, ნიშანს ვერავის დავუწერო. შეჯდა ჯორზე და არ ჩამოვიდა. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არაფერი გამივიდა. ამიტომ არის, რამდენიმე თქვენგანს ნიშანი არ უწერია. ნიშნის დაუწერლობა კი იმავე კლასში დატოვებას ნიშნავდა.

გულთბილად გამოვემშვიდობე ჩემს საყვარელ მასწავლებელ ვერა გალდავას, მაგრამ ეს შეხვედრა ჩემი დაბრუნების შემდეგ იყო.

ახლა კი ცნობა მაქვს, რომ მეორე კურსზე ვსწავლობდი და, ვფიქრობ, როგორ გამოვიყენო ეს. საქმე ის გახლდათ, რომ, როცა დავბრუნდი, მე 23-ე წელში ვიყავი გადამდგარი. ჩვეულებრივ სკოლაში ასაკის გამო არ მიმიღებდნენ.

გაიმართა საოჯახო კრება და ასე ვარჩიეთ, როგორმე მოვმზადებულიყავი და ექსტერნად ჩამებარებინა გამოცდები ატესტატის მისაღებად. მაგრამ მოულოდნელად საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა. იმხანად ჩვენთან სტუმრად მოვიდა ჩემი მამიდაშვილის, ზინა ცინცაძის, ქმარი – ვანელი ნოე ქავთარია. იგი ოჯახით ხაშურში

ცხოვრობდა და რკინიგზის მუშფაკის გამგედ თუ დირექტორად მუშაობდა. მან მირჩია, წავყოლოდი ხაშურში, მომაწყობდა მუშფაკში და მერე ატესტატსაც მომცემდა. ცუდი ვარიანტი არ იყო და მეც სიხარულით გავყევი მას. დამსვა გამოსაშვებ ჯგუფში თუ კურსზე და 1934 წლის გაზაფხულზე ატესტატი მე უკვე ხელთ მქონდა. დიდი სიკეთე მიყო ჩემი მამიდაშვილის ოჯახმა.

მუშფაკის სწავლის პერიოდში (სხვათა შორის, კარგად ვისწავლობდი) კვირაში ერთორ დღეს, ხან მეტსაც, თბილისში ვიყავი. მაინტერესებდა, ხომ არ მკითხულობდა ვინმე. იშვიათად, მაგრამ მაინც მამოწმებდნენ თურმე – თბილისში ხომ არ ვცხოვრობდი.

1933 წლის ბოლოს და 1934 წლის იანვარ-თებერვალში გაეთავისუფლებინათ და საქართველოში დაბრუნებულიყვნენ აკაკი უჩანეიშვილი, შოთა ბერძენიშვილი, ლევან ბოჭორიშვილი, შალვა და შუქური ბოკუჩავები, შალვა ყრუაშვილი, მიხა ქურციკიძე, იოსებ ზედელაშვილი, მოგვიანებით ვარდენ ურატაძე და კიდევ სხვები. ვორონეჟიდან დაბრუნდა დათიკო კობალავა, ცოტა ხნის შემდეგ ჩემი თანაკლასელები – გივი ქავთარაძე, გრიშა სვანი და ვაჟა ავალიშვილი. ჩვენ ხომ ერთ საქმეზე ვიყავით დაჭერილნი. ამათ ყველამ იცოდა ჩემი მისამართი და მოვეკითხეთ. ატესტატის მიღების შემდეგ მე თბილისში დავბრუნდი, ნახევრად მალულად ვცხოვრობდი, მაგრამ მალე ყველასთან აღვადგინე კავშირი. თბილისში დარჩნენ უჩანეიშვილი, ბერძენიშვილი და ურატაძე. სხვები თავ-თავიანთ სოფლებში და ქალაქებში წავიდნენ. ყველანი გავაფრთხილე, როგორ მადევნებდნენ თვალყურს და ვურჩიე, წინანდელ (პირვანდელ) საცხოვრებელ ადგილებს მორიდებოდნენ. ზოგს უშველა ამან, ზოგსაც – ვერა.

აქ ქრონოლოგიას დავარღვევ და მოკლედ მოგიყვებით, თუ ვისი ბედი როგორ წარიმართა ჩამოსვლის შემდეგ, არა ყველასი, არამედ ზოგიერთი მათგანის. ერთ დღეს აკაკი უჩანეიშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, პოლიტპატიმრებისთვის ფულს ვაგროვებთ და, რაც შეგიძლია, მომეციო (როგორც ჩანს, მას უკვე დაემყარებინა კავშირი ჩვენს თანამოაზრეებთან). მივეცი სამი თუმანი. გამომშვიდობებისას მითხრა, მალე გნახავ და დაწერილებით მოგიყვები ყველაფერს, რასაც ვაკეთებო. გავიდა ერთი თვე, მაგრამ არ გამოჩენილა. შემხვდა შოთა ბერძენიშვილი და მეკითხება, აკაკისა თუ იცი რამეო? არაფერი ვიცი-მეთქი. შოთამ განაგრძო: მე ოთახში კარის ღრიჭოდან შემოგდებული მისი წერილი დამხვდა. შენი სასწრაფოდ ნახვა მინდაო, მაგამ არ მოსულა, არ ვიცი, რა დაემართა. მერე გავარკვიეთ, დაეჭირათ და სადღაც გადასახლებაში თუ ციხეში გარდაცვლილიყო.

თვითონ შოთა ბერძენიშვილი ერთხანს კარგად მოეწყო, მოზარდ მაყურებელთა თეატრში რაღაც სამუშაო იშოვა. მერე, მგონი, უმაღლესშიც აღიდგინა თავი. შეცდომა მოუვიდა. ხშირად დადიოდა თავის სოფელში. არ მოეწონათ იქაურ კომუნისტებს მისი კარგად ყოფნა. დააბეზღეს (მიზეზს რა გამოულევდა ამათ). სოფლიდან უკან გამობრუნებული, თბილისის ვაგზალში დააპატიმრეს, გადაასახლეს და, როგორც მისმა ბიძაშვილმა ქეთო ბერძენიშვილმა მითხრა, როსტოვის ახლოს რომელიღაც ბანაკში გარდაცვლილიყო.

ჩემი თანაკლასები: ნიჭიერი ბიჭი გივი ქავთარაძე დაბრუნების შემდეგ ცოტა ხანს მონტიორად მუშაობდა, მერე ისევ დააპატიმრეს და გადასახლებაში დაიღუპა. გრიშა სვანს ბუღალტერია შეესწავლა და ჭალადიდის მეურნეობაში აფარებდა თავს. ავალიშვილი ერთხანს რომელიღაც საწარმოში მოეწყო სამუშაოდ, მერე მიატოვა თბი-

ლისი და შუა აზიაში წავიდა. წასვლის შემდეგ მხოლოდ ორჯერ შემხვდა თბილისში, შემდეგ მის შესახებ არაფერი გამიგია.

ვარდენ ურატაძემ, როგორც ზევით მაქვს აღნიშნული, იურიდიული განათლება მიიღო და კარგი ადვოკატის სახელი ჰქონდა. ერთხელ დააპატიმრეს და ორი თვის შემდეგ გამოუშვეს. ამის შესახებ, აი, რა მომიყვა:

– სოხუმიდან მოვდივარ საერთაშორისო ვაგონით (დაბრუნების შემდეგ ერთხანს ის სოხუმში ცხოვრობდა). ოთხადგილიან კუპეში მოვეწყე. თუმცა მგზავრები ბევრნი ჩანდნენ, მაგრამ კუპეში ჩემ გარდა მეტი კაცი არაა. მატარებლის დაძვრის წინ კუპეში ვილაც კოსტიუმიანი შემოვიდა. პორტფელის მეტი ხელთ არაფერი ჰქონდა. მომესალმა და დაჯდა. კარგა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე საკინძე შეიხსნა და თქვა: „ძალიან ცხელა. თუ შეიძლება, ფანჯარას გავაღებო". – კი ბატონო-მეთქი. პორტფელიდან გაზეთი ამოიღო და კითხვა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ გაზეთი უკმაყოფილოდ გადააგდო:

– არაფერი საინტერესო არ წერია. გაუთავებლივ აგინებენ კაპიტალისტებს. ის კაპიტალისტები კი ჩვენზე უკეთესად ცხოვრობენ.

არაფერი მიპასუხნია. მეკითხება:

– ჭადრაკს თუ თამაშობთ?

– ვთამაშობ, მაგრამ ჭადრაკი არ მაქვს.

ვარდენი მართლაც კარგად თამაშობდა ჭადრაკს. ეხლავეო, წამოდგა ეს ჩემი თანამგზავრი და გამყოლს რაღაც უთხრა. მალე ჭადრაკი შემოგვიტანეს. ვითამაშეთ რამდენიმე პარტია. ზოგი იმან მოიგო, უმრავლესობა – მე. მერე გვარი და სახელი მკითხა. ვუთხარი და თვითონაც გამეცნო:

– გიორგი ქართველიშვილი ვარ, ინჟინერი, ტრესტის მმართველის მოადგილედ ვმუშაობ.

თბილისამდე ბევრი ვილაპარაკეთ და თითქმის დამიმეგობრდა კიდეც. უცნაურია, უამრავი გამოცდილება მივიღე ციხე-გადასახლებაში და ამ კაცის მიმართ ოდნავ რაიმე ეჭვიც კი არ აღმძვრია.

თბილისში რომ ჩამოვედით, კარგად ბნელოდა. მითხრა, მე აქ მანქანა დამხვდება, ჯერ მე მივალ სახლში, შემდეგ ჩემი შოფერი, სადაც ისურვებთ, იქ მიგიყვანთო. უარი არ მითქვამს. ვაგზლის წინ მართლაც დახვდა მანქანა, ორი კაციც მიეგება, მოწინებით მიესალმნენ და კარი გაუღეს. მერე მე შემომთავაზეს დაჯდომა. დავჯექი. ხმას არავინ ილებს. მანქანა მიდის. სადღაც რკინის ჭიშკარს მივადექით. დიდი ამბით შეგვიშვეს შიგ. აზრზე არ ვარ, სად ვიმყოფებით. ჩემი პარტნიორი მოჭადრაკე გადმოვიდა და ამ ორ კაცს, სადგურზე რომ დაგვხვდა, ეუბნება: „წაიყვანეთ მესამეში". ყველაფერს მივხვდი, მაგრამ რა იყო ეს „მესამე", მე არ ვიცოდი, საკნის ნომერს ნიშნავდა, თუ მიწისქვეშა სართულს. მკრეს ხელი, მატარეს, მატარეს და რომელიღაც სარდაფში ამომაყოფინეს თავი.

– ვინ იყო ის შენი გამაბედნიერებელი? – გაოცებით ვეკითხები ვარდენს.

– აი, სწორედ ეს არის საინტერესო! გენერალი რუხაძე. აქაური „ენკავედეს" უფროსი.

– რა დაგაბრალეს?

– ჩემი ძმა ტყვეობის შემდეგ პარიზში მოხვდა. იქ „ფიგაროს" რედაქციაში დაიწყო

მუშაობა და ხშირად გვაგინებდა. რა კავშირი გაქვს ძმასთანო, მეკითხებოდნენ. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ბოლოს ისევ რუხაძესთან შემიყვანეს. ფორმა ეცვა. ძალიან თავაზიანად შემხვდა და მითხრა:

– ჩვენ დავრწმუნდით, რომ ძმასთან კავშირი არა გაქვთ. აი, ახლა ასეთ წინადადებას მოგცემთ: თუ წინააღმდეგი არ იქნებით, გაგიშვებთ პარიზში. მოიწვიე შენი ძმა საქართველოში, თავის თვალით ნახოს, რაც ხდება ახლა აქ. თუ მოეწონება, თბილისში დარჩეს, თუ არ მოეწონება, პარიზში წავიდეს. გარწმუნებ, აქ არაფერი საშიშროება არ მოელის. წახვალ?

ცოტა ხანს დავფიქრდი, მერე ვუპასუხე:

– სიამოვნებით წავალ.

– ძალიან კარგი, როცა საჭირო იქნება, გამოგიძახებთ.

წასვლაზე თანხმობას რომ ვეუბნებოდი, თანაც ვფიქრობდი, თუ წავიდოდი, იქ სამუდამოდ დავრჩენილიყავი, თუ არადა, ძმისთვის მაინც მეთქვა, აქეთკენ ფეხი არ ექნა.

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, თვითონ რუხაძე დაიჭირეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ურატაძემ მართლაც მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა. რომ დაბრუნდა, ვკითხე: რა ქენი-მეთქი? ღიმილით მიპასუხა:

– ბიძაჩემის (გრიგოლ ურატაძის) ოჯახში მივედი. იქ ცხოვრობდა ჩემი ძმაც. ცალკე რომ მოვიხელთე, შევეხვეწე, თავი დაანებე გაზეთში კომუნისტების და საბჭოთა ხელისუფლების გინებას. შენ რომ აქ რაღაცას დაწერ, მე იქ მაშინვე ქეჩოში მკიდებენ ხელს და მაჯანჯღარებენ, დაპატიმრებით მემუქრებიან. ეს ერთი. მეორე: მე შენ იმათ დასანახად მოგიწოდებ, რომ სამშობლოში დაბრუნდე, რომ იქ ყვავის ყველაფერი, მშვენიერებაა და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ არ წამოხვიდე, თორემ მაშინვე გაგქაჩავენ და ციმბირში ამოგაყოფინებენ თავს, თუ ეს გაკმარეს. ჩემმა ძმამ გაიცინა, ეგ ყველაფერი შენზე კარგად ვიციო. ვარდენმა გაზეთ „სამშობლოში“ ასეთი „მოწოდების“ წერილი მართლაც გამოაქვეყნა.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ერთი ქართველი ემიგრანტი მამას ყოველთვის სწერდა: – მამა, ყოჩაღად იყავი, მალე გნახავ. ახლა ბალკანეთში ისეთი ამბები ხდება, რომ ყველაფერი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება. ისევ სწერს: – მამა, გაზაფხულზე დიდი ამბებია მოსალოდნელი, ბალკანეთში მდგომარეობა დაიძაბაო. ასე და ამნაირად, კარგა ხნის განმავლობაში განაგრძობდა წერილების გზავნას. სულ ბალკანეთს და ბალკანეთს ახსენებდა.

რამდენ წერილსაც მიიღებდა მოხუცი მამა, იმდენჯერ ჩეკაში წაათრევდნენ და ურტყამდნენ – თქვი, რა კავშირი გაქვს ბალკანეთთანო. ბოლოს გაბრაზებულმა მამამ ვაჟს მისწერა: – შვილო, თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, ბალკანეთს. აბა, რა შენი ჭკუის საქმეა, ბალკანეთში რა ხდება? („ჭკუის“ ნაცვლად მამას უცენზურო სიტყვა ეწერა). მე მინას დღედაღამ თოხს ვურტყამ, იქნებ სამყოფი სიმინდი მოვიწიო და არ მაინტერესებს, ბალკანეთში რა ხდება. მე თავი დამანებე, შენ და შენმა ბალკანეთმა კი, რაც გინდათ, ის ქენითო.

იოსებ ზედელაშვილი ლუდის ქარხანაში მსახურობდა. ლევან ბოჭორიშვილი და მიხა ქურციკიძე, აგრეთვე, ძმები ბოკუჩავები, თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებში წავიდნენ და მერე აღარ შემხვედრიან; რა ბედი ეწიათ, არ ვიცი (შალვა ბოკუჩავა, მგონი, მასწავლებლად მოეწყო სადღაც).

როცა თბილისში დავბრუნდი, მაშინვე მოვიკითხე ჩემთან ერთად დაპატიმრებული ვარა ყვავილაშვილი და ანტისა გოგუაძე. მათ ორ-ორი წელი ჰქონდათ მისჯილი და სასჯელს მეტეხში იხდიდნენ. ვადის გასვლის შემდეგ გაეთავისუფლებინათ. გოგუაძისა ვერაფერი გავიგე. ხოლო ყვავილაშვილს ხშირად ვხვდებოდი და ისევ მეგობრულად ვიყავით. ბოლოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობდა ბუღალტრად. მაგარი გოგო იყო, კომუნისტების შეურიგებელი მტერი.

რაც შეეხება ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, ნიკო ტატიშვილს, მასთან ოჯახში ხშირად დავდიოდი და ისიც დადიოდა ჩემთან. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. დისერტაციაც დაიცვა, ლექსებსაც წერდა. ომში გაიწვიეს, ტყვედ ჩავარდნილიყო და იქ დაილუპა. მისი მშობლები ალექსანდრე და ეფემია (მგონი, ეფემია ერქვა) დიდხანს ელოდნენ შვილს (ოფიციალურად უგზოუკვლოდ დაკარგულებში ირიცხებოდა). გავიდა ერთი წელი, ორი და არავითარი ცნობა. პირველ ხანებში ათასი რამით ვანუგეშებდი და ვაიმედებდი, რომ ადრე თუ გვიან იგი გამოჩნდებოდა, მაგრამ ყოველგვარი იმედი რომ გადაეწურათ, დედამ ვერ გაუძლო დარდს, ბენზინი თუ ნავთი გადაისხა და თავი დაიწვა. ნ. ტატიშვილის სადისერტაციო ნაშრომი და რამდენიმე გამოკვლევა შესავალი წერილით გამოსცა მისმა უახლოესმა მეგობარმა, პროფ. სოლომონ ხუციშვილმა. მანვე ჩააბარა სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმს ნ. ტატიშვილის არქივი, რომელსაც სამწუხარო ბედი ეწია. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

მე რომ პირველად 32-ე სკოლაში ვსწავლობდი, იქ ძალიან დამიმეგობრდნენ დათიკო კობალავა და ვლადიმერ წონელია, ორივე შესანიშნავი, ნიჭიერი ახალგაზრდა. კობალავა ჩვენს საქმეზე იყო დაჭერილი. დაბრუნების შემდეგ იგი საცხოვრებლად თავის ძველ ბინაში არ დაბრუნებულა, ძმასა და ნათესავებს შეაფარა თავი. ამან გადაარჩინა – ჩეკას მეთვალყურეობას კარგა ხანს გაუსხლტა ხელიდან. შევიდა ზოოსაველტერინარო ინსტიტუტში, წარმატებით დაამთავრა და ბოლოს პროფესორიც გახდა, იმავე ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

ვლადიმერ წონელია სულით და გულით ჩვენთან იყო. დაბრუნების შემდეგ ხშირად ვხვდებოდი. ერთხელ საყვედურით მითხრა: არ მენდობოდი, თუ რაში იყო საქმე, თქვენი საიდუმლო რომ არ გამანდეთო? ომში ტყვედ ჩავარდა. კარგა ხანს აწვალეს, მაგრამ გადარჩა. ნიჭიერი ლიტერატორი გახლდათ. ივანე გომართელის ტომეულები გამოსცა. ბევრი ნარკვევი გამოაქვეყნა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებზე. შეკრიბა და გამოსცა მივიწყებულ ქართველ მწერალთა მოთხრობები. ახლა როცა ამას ვწერ (1990 წლის მაისი), ორივე გარდაცვლილია.

ზევით ვარდენ ურატაძეზე რომ ვლაპარაკობდი, მასთან ერთი საუბრის შინაარსის გადმოცემა დამავიწყდა. ვარდენთან ოჯახში მივედი. იგი მაშინ ლარსის ქუჩაზე ცხოვრობდა (შემდეგ კანდელაკის ქუჩაზე გადავიდა). პატარა ბაღი ჰქონდა ეზოში. შიგ მაგიდა და მის გარშემო რამდენიმე სკამი იდგა. მე რომ მივედი, საღამო ხანი იყო. მაგიდას უსხდნენ აკაკი შანიძე და ვარდენი. ჭადრაკს თამაშობდნენ (აკადემიკოსი აკაკი შანიძე მის გვერდით სახლში ცხოვრობდა). მივესალმე და გვერდზე დავჯექი. პარტია რომ დამთავრდა, ბატონი აკაკი ადგა და თქვა:

– დღეს გვეყოფა, დანარჩენი ხვალ განვაგრძოთ.

გამოგვემშვიდობა და წავიდა.

– როგორ თამაშობს? – შევეკითხე ვარდენს.

– საკმაოდ კარგად, ბარი-ბარსა ვართ (თვითონ ვარდენს საჭადრაკო თანრიგი ჰქონდა, მაგრამ რომელი კატეგორიისა, აღარ მახსოვს).

ვერა ალექსანდროვნამ საჭმელი და ორი ბოთლი ღვინო გამოგვიტანა, ბოდიში მოიხადა, საქმე მაქვსო და დაგვტოვა მარტო. ორიოდე ჭიქა რომ დავლიეთ, მე შევეკითხე:

– ვარდენ, აკაკი უჩანეიშვილი დაიჭირეს, შოთა ბერძენიშვილიც, ალბათ ბევრი სხვაც. რა უნდა ვქნათ ჩვენ? მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე საქმიანობას უნდა ვაწარმოებდეთ თუ არა?

ცოტა ხანს დუმდა, მერე მიპასუხა:

– არა!!

– რატომ?

– ჩვენ გამჟღავნებული ხალხი ვართ. ჩეკა თვალყურს გვადევნებს. თუ ვინმესთან კავშირს გავაბამთ, ეს უნდა ჩეკასაც, ადვილად მოხვეტავს ყველას. ჩვენი საქმიანობით ჩვენს თანამოაზრეებს, ჯერ კიდევ შეუმჩნეველ პირებს, დიდ საშიშროებაში ჩავაგდებთ.

– მაგრამ ჩეკას ბევრი ნაციხარი და ნაციმბირალი გადაურჩა! გულზე ხელი დაიკრიფონ?

– გეუბნები, ჩვენ სხვისი სიცოცხლე და თავისუფლება არ უნდა ჩავაგდოთ საფრთხეში. კი, ბევრი დაბრუნებული გადაურჩა ხელახლა დაჭერას, მაგრამ ეს დროებითია. ადრე თუ გვიან ჩვენს კვალსაც მოაგნებენ. მებადური ბადეს რომ გადაისვრის წყალში, ბადეში მსხვილი და წვრილი თევზიც ხვდება. წვრილი თევზი ზოგჯერ გაძვრება ბადიდან, მაგრამ ამის იმედად ვიყოთ? მსხვილებს რა ვუყოთ? ისევ ციხე, გადასახლება ან, უარეს შემთხვევაში, დახვრეტა? ჩვენ ამის საშუალება ჩეკას არ უნდა მივცეთ.

მე დავუსახელე რამდენიმე პირი, რომლებიც თავიანთ წერილებში ზოგჯერ ქარაგმულად, ზოგჯერ აშკარად კომუნისტური რეფორმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ისეთებიც არიან, რომლებიც შეკრებებზე იმნაირი სიტყვებით გამოდიან, რომ გაოცებული ვარ, რატომ არ იჭერენ? სხვებს ხომ ამას არ აპატიებდნენ?

გაეცინა ვარდენს.

– მაგათ ჩეკა არც დაიჭერს. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ უმრავლესობა სატყუარას როლს ასრულებს. ჩეკას აინტერესებს, მათ გამოსვლებზე რა რეაქციას ახდენს ხალხი. ვინ უკრავს ტაშს მათ ვითომდა „ანტიკომუნისტურ პროპაგანდას“. ეს ჩეკასთვის უკვე ცნობილი ხდება. შენ როგორ ფიქრობ, ამ შეკრებებსა და მოხსენება-ლექციებს ცოტა აგენტი ესწრება? ისინი მაშინვე ქმნიან დოსიეს ასეთ საეჭვო პირებზე. ჩვენი ახალი საქმიანობით ჩეკას ხელი არ უნდა შევუწყოთ. ჩვენ უკვე მათი ნიღაბახდილი მოწინააღმდეგენი ვართ.

– მაშ, რა უნდა ვქნათ?

– საჭიროა, თავი გადავირჩინოთ, კომუნისტური რეჟიმისადმი სიძულვილი შევინარჩუნოთ. ჩვენი დროც დადგება. ახლა კი ახალი თაობა უნდა გამოვიდეს ბრძოლის ასპარეზზე.

– შეიძლება, ჩვენ მაგ დროს ვერ მოვესწროთ.

– შეიძლება.

ასეც მოხდა. საქართველოში დაწყებულ ახალ მოძრაობას ის ვერ მოესწრო. სამოც

წელს იქნებოდა გადაცილებული, როცა გარდაიცვალა. მისი სიკვდილი დიდ დანაკლისად მიმაჩნია. სამშობლოსათვის მას ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო თავისუფალ საქართველოში.

მაგრამ დავუბუნდეთ პირადად ჩემს ამბავს. როგორც უკვე აღვნიშნე, ხაშურში ერთ სასწავლო წელს დავრჩი და 1934 წლის ივნისში მუშფაკის დამთავრების ატესტატი მივიღე. ქუთაისში წავედი დეიდაჩემ მარიამ გიორგაძე-ბაკურაძესთან. მამაჩემიც ჩამოვიდა. იმ დროს იქ მილიციის უფროსად მუშაობდა საკანდელიძე (სახელი არ მახსოვს). ის შორეულად გვენათესავებოდა. მამა მივიდა მასთან. რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ საკანდელიძემ მომცა ერთწლიანი პასპორტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მე ვცხოვრობ ქუთაისში და ჩაწერილი ვარ ყაზბეგის ქუჩაზე (იქ ცხოვრობდა დეიდაჩემი).

ამ პასპორტით ვიყავი „შეიარაღებული“ 1954 წლამდე. მაშინვე თბილისში დავბრუნდი იმ ვარაუდით, რომ, თუ ვინმეს შემთხვევით გადავეყრებოდი, ვეტყოდი, თბილისში ერთი დღით ვარ ჩამოსული-მეთქი.

ატესტატისა და პასპორტის საქმე ავად თუ კარგად მოგვარდა. ახლა საქმე უმაღლესში შესვლაზე მიდგა, ეს კი ადვილი აღარ იყო. ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში მე თითქმის დავიწყებული მქონდა ჩასაბარებელი საგნები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულსა და რუსულს. მაგრამ მოულოდნელად საქმე სხვანაირად წარიმართა.

ერთ დღეს ქუჩაში მხვდება ჩემი თანაკლასელი დათიკო დეკანოსიძე. სკოლაში ჩვენ ერთმანეთთან კარგი მეგობრობა გვქონდა. გაუხარდა, გადამეხვია და თავისთან მიმიპატიჟა: და-ძმასთან ცხოვრობდა, მაგრამ თავისი ოთახი ცალკე ჰქონდა გამოყოფილი. შევედით. კედლის თაროები წიგნებით აქვს სავსე. ჩავიკეტეთ და გვიან ღამემდე ვილაპარაკეთ. მე ჩემი მოვუყევი, იმან – თავისი. გამოირკვა, რომ უმაღლესში უცდია შესვლა, მაგრამ არ გამართლებია. მერე ერთხანს დაწყებით სკოლაში უმუშავნია მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ თავი დავანებეო, მითხრა. ახლა ისევ აპირებდა უმაღლესში შესვლას და შემომთავაზა, ერთად ვიმეცადინოთო.

– გაზეთში ვნახე, შემოდგომაზე პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე იქნება მიღება. წავიდეთ და გავიგოთ, რა პირობებია (იმ წელს თბილისის უნივერსიტეტი უკვე დაშლილი იყო ინსტიტუტებად).

უარს როგორ ვეტყოდი. მაშინ ამ ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი ჯავახიშვილის პირველ ნომერში იყო. მთელი პირველი სართული ეკავა. ახლა იქ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაა. ყველანი სამუშაო ადგილზე დაგვხვდნენ. მოვიკითხეთ ისეთი პირი, რომელიც აგვიხსნიდა, თუ რა პირობებში შეიძლებოდა ინსტიტუტში შესვლა. მიგვითითეს ერთ-ერთ კაბინეტზე. იქ ძალიან სიმპათიური და ღიმილიანი კაცი დაგვხვდა. ჩვენ ჩვენი სათხოვარი მოვახსენეთ. იმან გვარები გვკითხა. როცა ჩემი გვარი ვუხსენე, დამაკვირდა.

– თინა კეკელიძე რა არის შენი?

– თუ იმ თინაზეა ლაპარაკი, მე-9 შრომის სკოლაში რომ სწავლობდა, ჩემი დაა. ის მერე სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

– დიახ, სწორედ იმაზეა. მე მას ვასწავლიდი. ძალიან ნიჭიერი და ბეჯითი გოგო იყო. შენ ის ხომ არა ხარ, დაჭრილი რომ იყო?

ტანში გამცრა. არ მესიამოვნა შეკითხვა, მაგრამ რას ვიზამდი: დიახ-მეთქი, – ვუპასუხე. ადგა, ბეჭებზე ხელი მოგვითათუნა და გვითხრა:

– ახლა წადით, ოქტომბერში მოდით და თან მოიტანეთ ატესტატი, ცნობაც, რომ შავ მუშად მუშაობთ სადმე. აგრეთვე განცხადება, თუ რომელ ფაკულტეტზე გინდათ შესვლა.

– რა საგნებში მოვემზადოთ? – ეკითხება დეკანოსიძე, – ჩვენ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე გვინდა შესვლა.

– რაც გითხარით, თქვენ ის შეასრულეთ და დანარჩენს მერე გაიგებთ.

წამოვედით ძალიან დაეჭვებული, მაგრამ რას ვიზამდით? კარებიდან გამოსვლისას ვილაცას ვკითხეთ, ვინ იყო კაბინეტში მყოფი კაცი.

ღმერთმა ყველაფერი კარგი მისცეს პლატონ კვირკველიას. დიდი სიკეთე გვიყო, რაც მერე გამოჩნდა.

გზაში დათიკო დეკანოსიძე მეუბნება:

– ხვალიდან სამუშაოს ძებნას შევუდგეთ.

დავეთანხმე და ასე დავშორდით ერთმანეთს. მეორე დღეს ვერის დაღმართის დასაწყისში შევხვდი დათიკოს. დავუყევით დაბლა. მარცხენა მხარეს, ვერის ხიდთან ახლოს, ღვინის ქარხანაა. წინათ იქ ძმები ტანტების ცირკი იყო. მივაკითხეთ ქარხანას. ველაპარაკეთ ვილაცას, მაგრამ უარი გვითხრეს – მუშები არ გვჭირდებაო. ქარხნის პირდაპირ, მარჯვენა მხარეს, დაბლობში, ხე-ტყის რაღაც საწარმო იყო. მივედით იქ. იქაც უარი გვითხრეს. თუ დურგლობა იცით, მაშინ მიგიღებთო, დურგლობა კი ჩვენ არ ვიცოდით. ამოვბრუნდით უკანვე და ოლღას ქუჩას გავუყევით. დეკანოსიძე მეუბნება, ზოოპარკში მივიდეთ, იქნებ ცხოველების მომვლელად მაინც მიგვიღონო. გზაში აბრეშუმის ფაბრიკას რომ მივუახლოვდით, გადავწყვიტეთ, იქაც გვეცადა ბედი. შევედით. შეგვხვდა ვილაც კაცი, ყურადღებით მოგვისმინა და გვითხრა: აბრეშუმის სამღებროში გვაქვს ადგილი, თუ იქ იმუშავებთო. მაშინვე დავეთანხმეთ. იმ კაცმა კადრების განყოფილებაში მიგვიყვანა. იქ ვილაც ნასვამი რუსი დაგვხვდა და პასპორტი და სამხედრო ბილეთი მოგვთხოვა. დეკანოსიძეს ერთიც ჰქონდა და მეორეც. ჩემი საქმე იყო ცუდად. ვუთხარი, საბუთები თან არა მაქვს, პასპორტს ხვალ მოგიტანთ, სამხედრო ბილეთი კი გამოსაცვლელად მაქვს ჩაბარებული-მეთქი. რაღაც შეყოყმანდა, მაგრამ ჩვენმა გამყოლმა შეუტია:

– გაუფორმე ამათ საშვი, საბუთებს მერე მოგიტანენ. სამღებრო საამქრო ლამის გავაჩეროთ, მუშები გვაკლია.

მართლაც მოგვცეს ცნობები და საშვებიც, რომ ჩვენ აბრეშუმის ფაბრიკაში მუშებად ვართ მიღებული. მეორე დღეს მუშაობას შევუდექით. კადრების განყოფილებაში მერე ჩვენ არ მივსულვართ და არც მათ გავხსენებივართ.

სამღებრო ფაბრიკის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. აქ აბრეშუმის ქსოვილს საწნახლისებურ ხის ჭურჭელში ყრიდნენ. შიგ სხვადასხვაფერად შეღებილი სითხე ესხა. ჩვენ კი ეს ქსოვილი იმდენჯერ უნდა გვეტრიალებინა შიგ, სანამ სასურველ ფერს არ მიიღებდა. სამუშაო პრიმიტიული იყო, არავითარ კვალიფიკაციას არ მოითხოვდა, მაგრამ ძალიან ვიღლებოდით. მუშაობა დილის შვიდ საათზე იწყებოდა და გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

იქ ყოფნა იმით დამამახსოვრდა, რომ მე და დათიკო გოგიტიძე მუჯავისაგან დაწ-

ვას რაღაც იღბლად გადავურჩით. საამქროს უფროსმა დაგვავალა, გოგირდმჟავათი საველე ოცლიტრიანი შუშის ბალონები ერთი კუთხიდან მეორეში გადაგვეტანა. გადაგვქონდა დანიშნულ ადგილას. ასეთი გადატანის დროს ცემენტის სველ იატაკზე მე ფეხი დამიცურდა, ბალონი ძირს დაგვივარდა და დაიმსხვრა. საბედნიეროდ, მისი შხეფები მოპირდაპირე მხარეს გაიფანტა და ამან გადაგვარჩინა.

ასეთ მუშაობაში გავიდა სამი თვე. ავიღეთ ცნობები, რომ ჩვენ აბრეშუმის ფაბრიკის მღებავი მუშები ვართ და მივაკითხეთ პლატონ კვირკველიას ჩვენი შემდგომი ბედის გასაგებად. მან ძალიან კარგად მიგვიღო და გვითხრა, მეორე დღეს მივსულიყავით და ოთხი ფოტოსურათი მიგვეტანა. დავალება შევასრულეთ. თან გაოცებული ვართ, რატომ არ გვეუბნება ეს კაცი, რა საგნებში და როდის იქნება გამოცდები.

როცა მასთან გამოვცხადდით, კანცელარიაში გამოგვყვა და იქ მყოფ ჭაღარა ქალს ეუბნება:

– მიეცით ამათ წიგნაკები, რომ სტუდენტები არიან. მატრიკულებიც გაუმზადე.

ჩვენ გაშტერებული ვართ. ამ კაცის სახელიც და გვარიც უკვე ვიცით.

დეკანოსიძე ეკითხება:

– ბატონო პლატონ, გამოცდები არ უნდა ჩავაბაროთ?

– არა! ბრძანება გვაქვს, მუშები უგამოცდოდ ჩავრიცხოთ დაუსწრებელ ფაკულტეტებზე. ახლა წადით და კარგად იმეცადინეთ. თუ რამე დაგჭირდათ, მე მომაკითხეთ. აგერ, კედელზე ცხრილია გამოკრული და გადმოწერეთ, ლექციები საღამოს საათებში გექნებათ. ჰო, მართლა, პირველი ლექციები ამ შენობაში გექნებათ.

ღმერთო, გაანათლე ამ უაღრესად კეთილი ადამიანის სული. როცა „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ვმუშაობდი, ის ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მისი წერილების ჭირისუფალი მე ვიყავი. ერთმანეთთან ძალიან გულთბილი დამოკიდებულება გვქონდა.

გაბრუებულები და გახარებულები წამოვედით. დავიწყეთ მეცადინეობა. ლექციებს არ ვაცდენდით. პირველი ლექცია ქართულ ენაში არნოლდ ჩიქობავამ ჩაგვიტარა. მონდომებით ვსწავლობდით და თავი არ შეგვირცხვენია.

ორიოდე სიტყვა დავით დეკანოსიძეზე. გულთბილი, პატრიოტი ბიჭი იყო. ნატრობდა თავისუფლებას. ბედმა არ გაუმართლა, ომში გაინვიეს და ერთხანს დაკარგულად ითვლებოდა. მერე მისი უმცროსი ძმა, კინოოპერატორი ოთარ დეკანოსიძე შემხვდა და მითხრა, დათიკოს დალუპვის ოფიციალური ცნობა მივიღეთო. უცოლშვილოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ძალიან დასანანი მეგობარი დავკარგე.

იმ სასწავლო წელს, როცა მე დაუსწრებლის პირველ კურსზე ვსწავლობდი, თბილისში ეკონომიკური გაჭირვება საკმაოდ იგრძნობოდა. ოჯახებს ძლივ-ძლივობით გაჰქონდათ თავი. ასე გაჭირვებულად ვიყავით ჩვენც. კოლექტივიზაციის მარწუხები თანდათან უჭერდა გლეხსაც, მუშასაც და ინტელიგენტსაც. შიმშილი უკვე ბევრს აწუხებდა. სასტიკად ებრძოდნენ „კულაკებს“ სტალინის ბრძანებით. რუსეთში არ ვიცი და საქართველოში სად იყო „კულაკების კლასი“? თუ სოფელში რომელიმე გლეხი შედარებით კარგად ცხოვრობდა, ეს მისი თავაუღებელი შრომის, განუწყვეტელი ოფლის ღვრის შედეგი იყო. ასეთი მშრომელი გლეხი გახლდათ მამიდაჩემ ასინეთის ქმარი ივლიანე ყუბანეიშვილიც (პროფესორ სოლომონ ყუბანეიშვილის მამა). შრომობდა და დაუმადლებელი ლუკმა ჰქონდა ლხინსა და ჭირში. მეზობლებთან თავი არ შეურცხვენია.

ერთ დღეს ის გვესტუმრა. დედამ რაღაც-რაღაცები მოამზადა და მამაჩემის სამსახურიდან მოსვლას ელოდა. სადილს მაშინ გვიან შევექცეოდით. მოვიდა მამაც. გადაკოცნეს სიძე-ცოლისძმამ ერთმანეთი და სადილობას შევუდექით. სამიოდე ჭიქა ღვინო რომ დალიეს, მამა ეკითხება:

– ივლიანე, მოსავალს როგორი პირი უჩანს?

ბიძაჩემმა ხელები გაასავსავა:

– ნუ მკითხავ, შენი ჭირიმე! დავიღუპეთ და ეს არის! კომუნისტებს თუ გადავურჩით, შიმშილობა მოგვიღებს ბოლოს.

– რა მოხდა, კაცო?

– ის მოხდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ გადაგვეკიდა კოლმეურნეობის თემჯდომარე, რაიკომის მდივანი და სიმინდის ნაცვლად ანარხისტი დაგვათესინა. არ მოვიდა ანარხისტი და დავრჩით ცარიელი.

მის ნათქვამზე ყველანი შევეჭვდით. ვერ გავიგეთ, რაზე ლაპარაკობდა ჩვენი სტუმარი.

მამა ისევ ეკითხება:

– რა დაგათესინა, ივლიანე?

– ანარხისტი, ბატონო, ანარხისტი! გვეუბნებოდნენ, კარგიაო. იმდენი იმას შეურცხვა პირი, სიმინდს ის არ სჯობდეს. სიმინდი თუ მაქვს, ღორსაც შევინახავ, ქათმებსაც, ბატებსა და ინდაურსაც. ძროხისთვის ჩალა მექნება. ჩემი სამყოფი ღვინო მომდის და მეტი რა უნდა ჩემს ოჯახს?

მამაჩემს გაეცინა:

– ხო, მართალს ამბობ, ივლიანე, არახისი სიმინდს როგორ შეცვლის?

გაეცინა ყველას. მივხვდით, საყვარელი ბიძა არახისს შეცდომით „ანარხისტს“ ეძახდა.

გაიბა წყნარი, გულითადი ლაპარაკი. ივლიანემ სოფლის გაჭირვებაზე, ათასგვარ უსამართლობაზე ბევრი ილაპარაკა და დაასკვნა:

– ყველა უბედურება, ბატონო, რაც ხდება, ადგილობრივი მამაძაღლების საქმეა. ეს სტალინმა არ იცის, თორემ ამ ძარცვის ნებას და ხალხის ღლეტას მათ როგორ დაანებებს? კაცი არ გამოჩნდა, რომ მისთვის ეთქვა, თუ რა გაჭირვებაში ვართ.

საუბარში ჩავერიე:

– ბიძია ივლიანე, სტალინმა ყველაფერი იცის, რაც ახლა სოფელში ხდება.

– არ დაიჯერო, არ იცის! რომ იცოდეს, ყველა ჩვენს შემაწუხებელს ადგილიდან მოხსნიდა.


გავჯიუტდი:

– იცის, ბიძია ივლიანე, იცის.

– აჰა, ისე გამოდის, რომ ის ნადირი ყოფილა?

– ნადირზე უარესია.

მე მაინც ვერ დავაჯერე ბიძაჩემი. მისი რა მიკვირს, ჩემი საყვარელი მასწავლებელი ია კარგარეთელიც ვერ დავაჯერე. ახლანდელი რუსთველის პროსპექტი რომ იწყება, ყოფილ სასახლის ქუჩაზე (მერე მას კომინტერნის ქუჩა უწოდეს) შემხვდა. ვერ მიცნო. მე თვითონ გამოვემცნაურე. ძალიან გაუხარდა. ქუჩის მეორე მხარეს გადამიყვანა. ერთ კუთხეში მივდექით და დიდხანს ვილაპარაკეთ. დაწვრილებით გა-



კორნელი კეკელიძე სტუმრად ივლიანე ყუბანეიშვილის ოჯახში
ტობანიერი, ივლისი, 1934 წელი

მომკითხა ყველაფერი. მერე გაჭირვებულ ცხოვრებას, ათასნაირ უკანონობას, ხალხში გამეფებულ საშინელ შიშს – არ დამიჭირონო, სიძვირეს, სურსათის ნაკლებობას შეეხო და იმანაც ივლიანესავით თქვა:

– სტალინმა ამის თაობაზე არაფერი იცის, თორემ ხალხს ეგრე როგორ გაწირავდა?

– ბატონო ია, ყველაფერი იცის.

არაფრით არ დამიჯერა. ასე დავშორდით ერთმანეთს.

P. S. ამ თავში ერთ ადგილას მე მოკლედ აღვნიშნე, თუ რა მოუვიდა ზოგიერთ ჩემს ნაციხარ-ნაციმბირალ მეგობარს საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ბევრი მათგანი ხელახლა დაიჭირეს და სად დალიეს მათ სული, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

აქ უნდა შევნიშნო ერთი რამ, რაც მუდამ მაოცებდა და ახლაც მაოცებს. ვერ გამიგია, რაში იყო საქმე, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა „ჩეკა"-„გეპეუ"-„ენკავედე" და „კაგებე" იმ ყოფილ პოლიტიკურ პატიმრებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც 1930-იან და 40-იან წლებში იყვნენ დაპატიმრებული. თუ მათ ბედნიერება ეღირსებოდათ და საქართველოში დაბრუნდებოდნენ, ისინი კვლავ სასტიკად იდევნებოდნენ. მათ ხელახლა აპატიმრებდნენ და ციმბირში ასახლებდნენ ან ციხეებში წლობით ჰყავდათ გამომწყვდეული. თუ შემთხვევით რომელიმე მათგანი დაჭერას გადაურჩებოდა, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ უმრავლესობა პირვანდელ საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა, ზოგჯერ მიატოვებდა და, რასაკვირველია, თავის წარსულსაც გულდაგულ მალავდა, ათასგვარ ანკეტებში არასწორ ცნობებს წერდა, ისე, როგორც მე მთელი სიცოცხლის მანძილზე. ძალიან ხშირად თვით გამოცდილი ჩეკისტებიც კი ვერ ახერხებდნენ მათი ადგილსამყოფლის მიკვლევას და, თუ დაჭერას არა, განუწყვეტლივ თვალთვალს მაინც.

სულ სხვანაირად გამოიყურება 1940-იან წლებში (და შემდგომაც) პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრებულებთან მთავრობისა და „ჩეკას“ დამოკიდებულება მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ათამდე პიროვნების გვარი შემიძლია დავასახელო (უფრო მეტიც), რომლებიც სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდნენ და ადვილად მოეწყვნენ გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ინსტიტუტებსა და სხვა დანესებულებებში. აქტიურად ჩაებნენ სამწერლო და სამეცნიერო საქმიანობაში. შედარებით თავისუფლად ბეჭდავდნენ და ახლაც ბეჭდავენ წერილებს პრესაში. სცემენ წიგნებს. მათ თვიანთი წარსულის დამალვა არ დასჭირვებიათ. არც ხელახლა დაუჭერიათ და გადაუსახლებიათ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტები ჩემთვის უცნობია).

სულ სხვა იყო ჩემი თაობის ბედი. თავი რომ გადაერჩინათ, ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ. ამის შესახებ ზევით უკვე ვილაპარაკე. ხოლო ჩემი თაობის რომელიმე წარმომადგენელი თუ მაინც ახერხებდა სამწერლო და სამეცნიერო დარგში რაღაცის გაკეთებას, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ თავისი წარსული დამალული ჰქონდა.

პირადად მე მასწავლებლობისა და პრესაში მუშაობის გზა იმან გამიხსნა, რომ ჩემი წარსული ნათესავებისა და უახლოესი მეგობრების გარდა არავინ იცოდა. სამსახურში ეს ამბავი იცოდნენ ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა, ბატონმა ვარლამ ძიძიგურმა და პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა, ჩემმა თანასკოლელმა ვალერიან მაჩაიძემ, მაგრამ მათ ამის შესახებ არავისთან კრინტი არ დაუძრავთ, რადგან იცოდნენ, ამას შეიძლება ჩემთვის ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. არც ერთი ცოცხალი არ არის. ღმერთმა მათი სული გაანათლოს!

რედაქციისა და ინსტიტუტის მუშაკებმა მე გამიცვნეს როგორც ლხინის მოტრფიალე, ღვინის მოყვარული და მსმელი, რომელსაც თავისი საქმისა და ქეიფის მეტი ამ ქვეყნად არაფერი აინტერესებდა. ეს ჩემთვის დიდხანს კარგი ფარი იყო (სხვათა შორის, ასეთივე შეხედულებისა იყვნენ ჩემზე კავთისხევში მასწავლებლობის დროსაც).

სტალინის სიკვდილის შემდეგ „ჩეკამ“ მაინც გაიგო და იცოდა ჩემი სამსახურის ადგილი. „ჩეკაში“ გამოძახებულ გიორგი შატბერაშვილს და დავით კობალავას ეკითხებოდნენ, მხვდებოდნენ ისინი მე, თუ არა (ეს მათი ნაამბობიდან ვიცი).

მიკვირდა და ახლაც მიკვირს, ერთხელ მაინც მე რატომ არ გამომიძახა „ჩეკამ“ და ჩემთვისაც ისეთივე კითხვები არ დასვეს, როგორიც შატბერაშვილს და კობალავას დაუსვეს?

ახლა მე ამას ერთი გარემოებით ვხსნი (სწორია თუ არა ეს ვარაუდი, არ ვიცი). უეჭველია, ჩეკას თავისი აგენტები ჰყავდა „სახალხო განათლებისა“ და „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებში, პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტში და იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაშიც (ყველა ეს დაწესებულება ახლაც ერთ შენობაშია მოთავსებული, გარდა „სახალხო განათლებისა“).

მე ამ დაწესებულებათა თითქმის ყველა თანამშრომელთან ახლო ურთიერთობა მქონდა, ბევრთან კი მეგობრულადაც ვიყავი.

როცა რესტორნებში თუ ოჯახებში შევიკრიბებოდით, თუ ყოველთვის არა, ბევრჯერ ალბათ ეს ფარული აგენტებიც მონაწილეობდნენ (ორი-სამის გვარი ერთმა ჩემმა კეთილის მსურველმა დამისახელა, მაგრამ, რადგან ამის უტყუარი საბუთი არა მაქვს, მათ ვერ დავასახელებ. ვინ იცის, იქნებ მთქმელი შეცდა).

მე პოლიტიკაზე ლაპარაკს იმ პერიოდში ყოველთვის გავურბოდი და თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ეს სფერო აბსოლუტურად არ მაინტერესებდა.

მაგალითად, ხშირად იყო ასეთი შემთხვევები. რესტორან „ყაზბეგში“ ვართ რამდენიმე კაცი. ათას რამეზე ვლაპარაკობთ და უცებ ვიღაც პოლიტიკაზე დაიწყებს საუბარს. ერთხანს მდუმარედ ვუსმენ მათ და მოულოდნელად ვყვირი:

– ვის რაში აინტერესებს ეგ ამბები? დავლიოთ რა. დილამდე ხომ არ დავრჩებით აქ?

ან მოულოდნელად ავუხირდებოდი ვიღაცას:

– შენ ნეღან ერთი ჭიქა გამოტოვე. ახლა ორი ჭიქა უნდა დალიო ერთად.

ის თავს იმართლებს, მე არ ვეშვები. მთელი ეს ამბავი სიცილ-ხარხარით მთავრდება და ლაპარაკი გადადის მწერლობაზე, პოეზიაზე, ნიჭზე, უნიჭობაზე, ქალის სილამაზეზე.

და აი, ახლა ვფიქრობ, ეს აგენტები, თუ ჩემ შესახებ ჩეკას რაიმე ცნობებს აწვდიდნენ, რატომღაც მგონია, ჩემზე ცუდს არაფერს ამბობდნენ, საშიშ პოლიტიკურ პიროვნებად არ მსახავდნენ, ღვინოზე გადაყოლილ კაცად მთვლიდნენ და, შეიძლება, ჩეკამაც ეს ირწმუნა და ჩემი „შეწუხება“ საჭიროდ არ ჩათვალა, თორემ ჩემი „საქმე“ წლების შემდეგაც შენახული რომ ჰქონდათ, ეს კარგად გამოჩნდა ჩემთვის პერსონალური პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით (ამაზე ქვემოთ). მოკლედ, ჩემი წარსული დამოკლეს მახვილიით ეკიდა მუდამ ჩემს თავზე. საბედნიეროდ, ყოველთვის ამცდა, გაჭირვებაში კი ბევრჯერ ჩამაგდო.

სოფლის მასწავლებელი

1935 წლის გაზაფხულზე პირველი კურსის ყველა საგანი ჩავაბარე; ჩავაბარე კარგად, „ხუთები“ მივიღე (მაშინ „ხუთის“ ნაცვლად „ფრიადი“ იწერებოდა). ჩვენი დაუსწრებელი განყოფილების ადმინისტრაცია იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილის (ახლა მიხეილ ზანდუკელის) ქუჩის პირველ ნომერში. ამჟამად იქ პირველ სართულზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაა, აგრეთვე, წინათ გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქცია იყო, ახლა კი „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაა. მეორე სართულზე პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლექციებს გვიკითხავდნენ საღამოობით ექვსი თუ შვიდი საათიდან (ნაგულისხმევი იყო, რომ დაუსწრებელი განყოფილება იმ მუშა-მოსამსახურეებს უნდა მომსახურებოდა, რომლებიც დღისით მუშაობდნენ. მათ სწავლა მხოლოდ სამუშაოს დამთავრების შემდეგ შეეძლოთ). ლექციებს უმთავრესად თბილისელები ესწრებოდნენ. ჩვენი ლექტორები იყვნენ: სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა (მერე იგი ივანე გიგინეიშვილმა შეცვალა), დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ნამორაძე, ბარნაბ ხაჭაპურიძე, პანტელეიმონ ბერაძე და სხვანი.

დაუსწრებელმა სწავლებამ შემდეგ ფასი დაკარგა, ჩემი თაობისთვის კი იგი მაშინ სულზე მისწრება იყო. ძირითადად ჩვენ წიგნებით ვამზადებდით საგნებს. შემდეგ, როცა თბილისიდან წავედი, ლექციებს სოფლად მყოფნი მხოლოდ ზაფხულის პერიოდში (არდადეგების დროს) ვისმენდით. ასეთ ვითარებაში ეი წიგნები იყო ჩვენი მთავარი მასწავლებელი. ამიტომაც ის ჯგუფი, რომელთანაც მე ვმუშაობდი, ძალიან კარგად იყო მომზადებული და გონებაგახსნილი, საკმაოდ ფართო განათლების მქონე.

ერთ მაგალითს გავიხსენებ: შუა საუკუნეების ისტორიას ვაბარებდით პროფ.

ალექსანდრე ნამორაძეს. მან, თუ არ ვცდები, უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში დაგვიბარა ფილოლოგები. ოთახში, სადაც გამოცდა უნდა ჩატარებულიყო, დაგვხვდნენ ისტორიის ფაკულტეტის დასწრებული განყოფილების სტუდენტები, 10–12 კაცი. დაახლოებით ჩვენც ამდენივე ვიყავით. ნამორაძემ ცალ-ცალკე დაგვსვა ისტორიკოსები და ფილოლოგები. ბატონმა ალექსანდრემ გამოცდა ასე ჩაატარა. პირველად კითხვა დაუსვა ისტორიკოსებს და თქვა: ვისაც გსურთ, იმან მიპასუხოსო. საოცარი იყო, რატომღაც არავინ ისურვა პასუხის გაცემა (ალბათ ერთმანეთს უცდიდნენ, ჯერ იმან დაიწყოსო). მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, ხომ არ ისურვებთ, კითხვას უპასუხოთო. ჩვენი მხრივ ექვსმა ასწია ხელი, მეც მათ შორის. ბრძანეთო, მითხრა. ვუპასუხე. გულდასმით მისმენდა. მერე რომელიღაც თარიღი დამისახელა, რა მნიშვნელოვანი ამბები მოხდა ამ დროსო. ვუპასუხე. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. პირველად კითხვებს ისტორიკოსებს უსვამდა. თუ პასუხი არ მოეწონებოდა, ჩვენ მოგვმართავდა. ეს „შეჯიბრება“ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. რამდენიმეს გარდა ყველამ „ფრიადი“ და „კარგი“ მიიღო.

ალ. ნამორაძე იშვიათი ინტელიგენტი იყო. დინჯი, თავდაჭერილი. ყველას „თქვენობით“ და „ბატონობით“ მიმართავდა. მაგრამ ბოლოს მაინც შევატყვეთ აღელვება. ღაწვები გაუწითლდა. საკმაოდ გულმოსულად მიმართა ისტორიკოს-სტუდენტებს:

– აი, ესენი (ჩვენზე მიუთითა) მუშაობენ და დაუსწრებლად სწავლობენ, მომავალი ფილოლოგები არიან და ისტორიაში კარგი მომზადება გამოამჟღავნეს. თქვენ რა გემართებათ? ყოველდღე ლექციები გაქვთ, მუშაობით არავინ გაწუხებთ, რაც შეიძლება, ხელს გიწყობენ და სავალალო შედეგით კი წარმოდექით. სირცხვილია, ბატონებო, სირცხვილი! 1455 წელი რომ დაგისახელოთ ვინმემ, იმას ვერ გაარკვევთ, ეს მე-14 საუკუნეა, თუ მე-15. მოემზადეთ და შემდეგ მობრძანდით.

მხოლოდ რამდენიმე მათგანს დაუწერა „დამაკმაყოფილებელი“. მერე უცებ მე მომიბრუნდა:

– თქვენ ლექციების ჩანაწერებით მოამზადეთ საგანი?

– ნაწილობრივ, ბატონო პროფესორო. ძირითადად წიგნებით.

– სად შოულობდით წიგნებს?

– ვშოულობდი ზოგს ნაცნობ-ნათესავებთან. უმთავრესად ბიბლიოთეკებიდან.

გაჩერდა. მერე გარკვევით თქვა:

– ლექციების ჩანაწერებით საგნის მომზადება საკმარისი არ არის. ლექციაზე ლექტორი ყველაფერს ვერ იტყვის, ის მხოლოდ გეზს მოგცემთ. წიგნების კითხვაა საჭირო. აი, საზღვარგარეთ სტუდენტები ხშირად არ ესწრებიან ლექციებს, მაგრამ შესანიშნავად მომზადებული არიან და იცით, რატომ? წიგნებს კითხულობენ, წიგნებს ჩაჰკირკიტებენ. თქვენ კი რატომღაც ეს არ გადარდებთ. სტუდენტს, რომელსაც წიგნი არ უყვარს, რა სტუდენტია? მისგან არც კარგი სპეციალისტი და, თუ გნებავთ, არც კარგი მოქალაქე გამოვა.

დაგვიკრა თავი და გარეთ გავიდა. ეს ყველაფერი იმისათვის მოვყევი, რომ მეჩვენებინა, დაუსწრებლად სწავლა ჩვენთვის წყლის ნაყვა არ ყოფილა. პირიქით, გაცილებით მეტი მივიღე, ვიდრე ველოდი: წიგნის კითხვა უფრო შეგვაყვარა და დამოუკიდებლად მეცადინეობის გემოსაც გვაზიარა. ეს კი ჩემს ბედში მყოფისთვის ფრიად სასარგებლო იყო.



ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, კიტა მეგრელიძე სხდომაზე თბილისი, 1940 წელი

მომცეს ცნობა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის დაუსრებელი განყოფილების მეორე კურსზე გადავედი. მამაჩემს ვუთხარი:

– ჩემგან არც ბუღალტერი გამოვა და არც ინჟინერი, არც ექიმი (ერთხანს მამას უნდოდა, რომ მე ფილოლოგიურზე მესწავლა, მაგრამ საბოლოოდ სურდა, ექიმი გავმხდარიყავი). სადმე რომ მასწავლებლის ადგილს ვიშოვიდე, სიხარულით წავიდოდი, მით უმეტეს, ჩემი საბუთებით თბილისში არ გამაჩერებენ, ასე როდემდე უნდა ვიმალო-მეთქი.

– ვეცდები, საპროტექციოდ ვინმე ვნახოო, – მიპასუხა.

სექტემბრის დასაწყისში სახალხო განათლების კომისარიატში წამიყვანა. კომისარიატი ოპერის გვერდით შენობაში იყო მოთავსებული. ვიღაცამ მითხრა, რომ წინათ იქ კადეტთა კორპუსი იყო. მეორე სართულზე ერთ-ერთ ოთახში შევედით. მაგიდასთან ერთი შუახნის კაცი იჯდა. მამა მიესალმა და უთხრა:

– ვასო, მე რომ გელაპარაკე, იმ საქმეზე მოვედით. ეს ჩემი ვაჟია. თუ თბილისთან ახლოს რომელიმე სოფელში ადგილს გამოუნახავ, ძალიან დაგიმადლებ.

ეს „ვასო“ გვარად ქობულია იყო. საიდან იცნობდა მას მამაჩემი, ვერ გეტყვით. რა თანამდებობა ეკავა, აღარ მახსოვს. გამომკითხა რაღაც-რაღაცები და მითხრა:

– ჩვენ ახლა ისეთი მასწავლებლები გვჭირდება, რომ ახალგაზრდები ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზარდონ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამას?

– ყველანაირად ვეცდები, ისე აღვზარდო ბავშვები, როგორც პარტიას სურს.

ამ სიტყვებზე მამას ჩუმად გაეღიმა (ვასო ქობულიამ, რასაკვირველია, ჩემი წარსულისა არაფერი იცოდა).

– ჩვენი სწავლების მეთოდიკას თუ იცნობთ?

– საკმაოდ.

მეტი არაფერი უკითხავს. მაგიდის უჯრა გამოსწია და საქაღალდიდან რაღაც ფურცელი ამოიღო.

– აი, რა. კავთისხევის სკოლის დირექტორი გვთხოვს, რომ მას აუცილებლივ გავუგზავნოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. არ არის შორს. წადი, ნახე და თუ მოგეწონოს, შემატყობინე, ბრძანებას მერე დავწერ.

კონვერტში წერილი ჩადო და მომაწოდა. არც დაუბეჭდავს. დირექტორს სწერდა, მოილაპარაკეთო და პასუხი მაცნობეთო.

გამომშვიდობებისას მოულოდნელად მკითხა:

– პარტიის წევრი ხართ?

– არა.

– კომკავშირელი?

– არა.

ჩაფიქრდა.

– ეს არ არის კარგი, მაგრამ არა უშავს. კარგად იმუშავე და პარტიაშიც მიგიღებენ. თუ თავს გამოიჩენ, დაგაწინაურებენ კიდეც.

დიდი მადლობა მოვახსენე.

მამა კმაყოფილი, მე გახარებული გამოვედით ოთახიდან. იმავე კვირაში ერთ დილას საგარეუბნო მატარებლით წავედი კავთისხევისაკენ. მგზავრობას სადგურამდე მატარებელი საათ-საათნახევარს უნდება. გზა არ ვიცი, მაგრამ ბევრი კავთისხეველი გადმოვიდა მატარებლიდან, ზოგიერთს გამოველაპარაკე და მათ შევუერთდი. ყველამ ბორანს მიაშურა. მაშინ ხიდი მტკვარზე ჯერ კიდევ არ იყო აგებული, არც გზა – მოასფალტებული. მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. სადგურიდან სოფლამდე 5-6 კილომეტრი იქნება. ცოტა ვაკეზე ვიარეთ, მერე აღმართი დაიწყო და ზეგანზე გავედით. ლაპარაკ-ლაპარაკში გზა მალე დაილია. სოფელს მივადექით. ერთი ჭაღარა კაცი მეკითხება:

– თქვენა რომელი სკოლა გინდათ? დიდი თუ პატარა?

– პატარა რომელია?

– აი, აქა, ჩოჩეთის უბანში. აქ დაწყებითი სკოლაა. დიდი სკოლა ზევითაა, ციხისუბანში. იკითხეთ იქა და მიგასწავლიან. თარხნიანთ ეზოშია.

ეს „დიდი სკოლა" არასრული საშუალო სკოლა გახლდათ, შვიდწლედი. სრულ საშუალო სკოლად ჩემი მისვლის შემდეგ გადაკეთდა. გზაში ბავშვები მხვდებოდნენ და მიმიყვანეს კიდეც სკოლამდე. ეზოში შევედი. ბავშვები კი ჟრიამულობენ ეზოში, მაგრამ სკოლა სადღაა. ერთი ბოსელივით წაგრძელებული შენობაა, კარ-ფანჯრები საკმაოდ შელანძღული. შესასვლელ კარებთან ზარი ჰკიდია. შევედი დერეფანში. იგი თურმე სამასწავლებლო ყოფილა. ერთი გრძელი მაგიდა იდგა. კედელზე კი გაკვეთილების ცხრილი იყო გამოკრული. დირექტორი მოვიკითხე. შუახნის ქალი აღმოჩნდა: თამარ მჟავანაძე. ვუთხარი ჩემი ამბავი და ქობულიასგან გამოტანებული წერილიც გადავეცი. ძალიან გაუხარდა. ვილაცას დაავალა, ნაკაშიძე მოვიდესო. ცოტა ხნის

შემდეგ სამასწავლებლოში შემოვიდა დაახლოებით ჩემი ხნის ძალიან სიმპათიური კაცი. ეს გახლდათ სასწავლო ნაწილის გამგე, მათემატიკოსი ევსევი (ოსიკო) ნაკაშიძე, იასე რაჭველის შვილიშვილი (იასე მეხუზლა-რაჭველი მწერლობაში მონაწილეობდა. ავტორია პუბლიცისტური წერილებისა და მოთხრობებისაც. მას ეკუთვნის „ნომერი ექვსი ჯვრით“. კომერციითაც იყო გატაცებული. მუხრანის ხიდის ერთ-ერთი მშენებელი იყო).

დირექტორი თავის მოადგილეს მიუბრუნდა:

– ევსევი, გაიცანი, ეს ქართული ენისა და ლიტერატურის ჩვენი ახალი მასწავლებელია.

ზარი რომ დაირეკა, სამნი დავრჩით (დირექტორი იმ წაგრძელებული შენობის ბოლო ოთახში ცხოვრობდა ოჯახით. მის პირდაპირ, პატარა ოთახში, ნაკაშიძე იყო დაბინავებული). ყოველნაირად მიქებდნენ სკოლასაც და მასწავლებლებსაც. მთხოვეს, რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავი თბილისიდან.

ვიკითხე, ბინის ქირაობა ძნელია თუ არა-მეთქი.

ოსიკო ნაკაშიძემ მიპასუხა:

– ბინის ქირაობა ჯერ საჭირო არაა. ჩემს ოთახში ერთ ლოგინსაც დავდგამ და ერთად ვიქნებით.

დიდი მადლობა ვუთხარი. თან გამიკვირდა, ასე უცნობ კაცს თავის ოთახში რომ მიშვებდა საცხოვრებლად. ნაკაშიძე შემდეგ ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. იმ ღამით გავიგე, რომ სოფელი უბნებადაა დაყოფილი, სახლები ერთმანეთზე მიჯრით დგას. პატარ-პატარა ეზოებიანია. ამ მხრივ არა ჰგავს იმერეთ-გურია-სამეგრელოს სოფლებს. სკოლას და მის ეზოს ჩამოუდის პატარა მდინარე (უფრო ღელე) კავთურა, რომელსაც ზაფხულობით ფეხდაუსველებლად გაივლის კაცი. წვიმიანობის დროს კი გადარევა იცის და ნაპირებთან მდგარ უზარმაზარ ხეებს ძირფესვიანად თხრის და მიაქროლებს მღვრიე ტალღებით (ამის მომსწრე შემდეგ მე თვითონ გახლდით რამდენჯერმე).

კავთისხევის მოპირდაპირე მხარეს, კავთურას მარჯვენა ნაპირას, სოფელი იდლეთია. ახლო-მახლო სოფლებია თელათგორი, წინარეხი, თვალადი, ეზატი, ნოსტე, ერთაწმინდა, ახალციხე.

სკოლა თარხნიშვილისეულ ეზოში იდგა. სახლი წინათ ორსართულიანი ყოფილა, მაგრამ შემდეგ რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და ბოლოს ისეთი ფორმა მიიღო, როგორზედაც ზევით უკვე მოგახსენეთ. ეზოში ვაშლებისა და ასწლოვანი კაკლების რამდენიმე ძირი კიდევ იყო შემორჩენილი.

ერთი სიტყვით, ჩემმა ახალმა მასპინძლებმა საკმაო წარმოდგენა შემიქმნეს იმ გარემოზე, სადაც მე შემდეგ ცხრა წელიწადი მომინია ყოფნა. იმ ღამეს იქ დამტოვეს, პურ-მარილიც გაიმართა.

სექტემბრის შუა რიცხვებიდან მე უკვე სოფლის სკოლის მასწავლებელი გახლდით და პირველი გაკვეთილიც ჩავატარე მეხუთე კლასში. გამიჭირდა თუ არა პირველად? მხოლოდ ერთ რამეში. გვქონდა პროგრამა, მითითებული იყო, რომელ კლასში ნლიური რამდენი საათი ეთმობოდა შესასწავლ ნაწარმოებს (ან ენაში სხვადასხვა საკითხს), მაგრამ მე არ ვიცოდი, ამა თუ იმ ნაწარმოების ნაწილებისათვის რამდენი საათი დამეთმო. ამის ცოდნა საჭირო იყო, რადგან მეოთხედების მიხედვით გეგმა დგებოდა და

მასში უნდა მიგვეთითებინა საათების რაოდენობა. ეს საკითხი ადვილად მოვაგვარე. თბილისში, ტურგენევის ქუჩაზე, პედაგოგიურ-მეთოდიკური კაბინეტი იყო. იქ ვნახე სანიმუშოდ შედგენილი გეგმა, რომელშიც საორიენტაციოდ საათებიც იყო მითითებული. იმით ვისარგებლე. შემდეგ ჩემი გამოცდილების მიხედვით, საათების რაოდენობაში მე თვით შემქონდა შესწორებები. რა მინდა ამით ვთქვა? არ უარვყოფ მეთოდიკას, მაგრამ თუ მასწავლებელი თავისი საგნის კარგი მცოდნეა, თვითონ შექმნის საკუთარ მეთოდიკას და სწავლების სწორ გზასაც თვითონ შეიმუშავებს.

პირველ წელიწადს არტახებში ვიყავი მოქცეული – ვიცავდი საათების რაოდენობას, შაბლონურად ვადგენდი ყოველდღიურ გეგმას (ამ წესს ყველა საგნის მასწავლებელი იცავდა): წინა მასალის გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა, საშინაო დავალება. შემდეგ წელიწადს მე უკვე ჩემს გემოზე ვატარებდი გაკვეთილებს. ამ საქმეში მე ძალიან მეხმარებოდა კონსტანტინე კაპანელის, ვარლამ ძიძიგურისა და ია კარგარეთელის მიერ ჩატარებული გაკვეთილების გახსენება. თუმცა ინსპექტორ-შემმოწმებლისთვის შაბლონური გეგმა მაინც მზად გვქონდა საჩვენებლად. ის დალოცვილები სწორედ ამ გეგმის გაცნობით იწყებდნენ შემოწმებას. ის კი ავიწყდებოდათ, რომ გეგმა შეიძლებოდა შესანიშნავად ყოფილიყო შედგენილი, ხოლო ჩატარებული გაკვეთილი – ძალიან სუსტი და ბავშვების ჭკუა-გონებისთვის არაფრის მომცემი.

სკოლაში ჩემი მისვლის დროს კლასებს პარალელები არ ჰქონდა. ორი წლის შემდეგ მოზღვავდნენ ბავშვები (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შვიდწლედი სრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა და ზოგიერთ წელს მათი რიცხვი 400-500-ს აღწევდა, ზოგჯერ უფრო მეტსაც). მეცადინეობა ორ ცვლად წარმოებდა. მასწავლებლების დატვირთვა მაშინ 18 საათს შეადგენდა. მე თავიდანვე განაკვეთზე მეტი საათი მქონდა. ვასწავლიდი მეხუთე კლასს და შემდგომ ზევით. მერე, როცა პარალელურები გაიხსნა, ქართული ენისა და ლიტერატურის დამატებითი მასწავლებლის მოწვევა გახდა საჭირო და მოიწვიეს კიდეც.

გარდა ადგილობრივი ბავშვებისა, მოსწავლეები დადიოდნენ მეზობელი სოფლებიდანაც (თელათგორი, თვალადი, ეზატი, შუაუბანი და სხვ.). მათ უმრავლესობას ყოველდღე ხუთი-ექვსი კილომეტრის გავლა უხდებოდა (სკოლაში მოსვლა და შინ წასვლა). საცოდაობა იყო მათი ყურება, განსაკუთრებით, შუა შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში. ძლივს მოტყაპუნობდნენ ტალახსა და თოვლ-ჭყაპში. მოდი და ამის შემდეგ გაუჯავრდი ბავშვს, გაკვეთილზე რატომ დაიგვიანეო. ერთხელ ჩემი სადამრიგებლო კლასის ორ გოგონას დააგვიანდა. მასწავლებელმა ისინი გაკვეთილზე არ დაუშვა და, ისედაც გაციებულნი, მთელი საათი ცივ დერეფანში აყურყუტა. სამასწავლებლოში კი მე მისაყვედურა, შენი მოსწავლეები სისტემატურად აგვიანებენო. გულმოსულად ვუპასუხე: – ეგენი არა მარტო ჩემი, თქვენი მოსწავლეებიც არიან. აბა, თქვენ მოგიწიოთ ყოველდღე თელათგორიდან (კავთისხევიდან 3-4 კილომეტრია) უთენია ადგომა და აქ მობრძანება და მაშინ გაიგებთ, რატომ აგვიანებენ ბავშვები. წავლაპარაკდით, მაგრამ მალე შევრიგდით.

ჩემს დროს ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა კეთილი და საოცრად გულუბრყვილო იყო. ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მათი მშობლები სავაჭროდ თბილისში იშვიათად ჩადიოდნენ და არც შვილები მიჰყავდათ ვაჭრობაში დამხმარედ. სამწუხაროდ, შემდეგში ქალაქმა ბევრი უარყოფითი თვისება შესძინა ახალგაზრდებს.

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველანი ანგელოზები იყვნენ. ერთი ნაწილი (ძალიან მცირე ნაწილი) საკმაოდ გამოქექილები ბრძანდებოდა, მაგრამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წყალობით ისინი მოთოკილები იყვნენ.

ზევით ვთქვი, რომ ბავშვები საოცარი გულუბრყვილობით გამოირჩეოდნენ-მეთქი. ამის მაგალითს შემოგთავაზებთ:

ეს ამბავი ჩემს სადამრიგებლო მეცხრე კლასში მოხდა. ჩვენთან დანიშნეს ახალგაზრდა, ასე 22-23 წლის, გაუთხოვარი ქალი მასწავლებლად, ქალაქიდან ახლად მოვლენილი. ლამაზად ეცვა. მუხლებამდე კაბა, გამჭვირვალე წელზედა. მოვიდა თუ არა, ერთ კვირას არაფერი. მერე ბიჭებმა აურიეს. სულ ხმაურობა და კივილი ისმოდა ოთახიდან. ერთ დღესაც ატირებული შემოვარდა სამასწავლებლოში, ისტერიკა დაეწყო. მართა, იმ კლასში მე აღარ შევალო. დირექტორმა, გრიშა ბოჭორიშვილმა (თამარ მჟავანაძე სხვა სკოლის დირექტორად იყო გადაყვანილი) მითხრა:

– გაარკვიე ერთი, რა ხდება შენს კლასში, რატომ აჯღავლებენ ამ გოგოს.

მეცადინეობა რომ დამთავრდა, კლასში დავიტოვე ჩემი ორი საუკეთესო მოსწავლე – სერგო ჯორჯიაშვილი და შალვა ქასრაძე. ნიჭიერი, ძალიან ნაკითხი, საკუთარი შეხედულების მქონე და მონდომებული ახალგაზრდები. სამწუხაროდ, შემდეგ ორივე დაილუპა ომში. შემიძლია, გაბედულად ვთქვა, რომ მათი სახით ჩვენმა ხალხმა ორი საუკეთესო და თავდადებული მამულიშვილი დაკარგა. და განა მარტო ისინი?

ვკითხე, რა ხდება კლასში. მაშინ დავრწმუნდი, რომ ისინი არა მარტო პატივს მცემდნენ, არამედ ვუყვარდი კიდეც, ამიტომაც ჩემთან გულახდილები იყვნენ.

– ცოტა უხერხულია, მაგრამ თქვენ არ დაგიმალავთ, მასწავლებელო, თუ რატომ ხმაურობენ გაკვეთილებზე. ის ქალი სკამზე რომ დაჯდება, შიშველი ბარკლები მოუჩანს. ბიჭებმა ეს შეამჩნიეს და სულ მას მისჩერებიან. თან ერთმანეთს ელაზღანდარებიან მოურიდებლად, ნახეთ, რა თოვლივით თეთრი კანი აქვსო. ძუძუებიც მთლად გადმოყრილი აქვს, – მითხრა ქასრაძემ, დამიდასტურა ჯორჯიაშვილმაც.

მეტი არაფერი მიკითხავს, ორივე გავუშვი. ყველაფერს მივხვდი. რა უნდა მექნა? ამ საკითხზე მას ვერ დავუწყებდი ლაპარაკს, თქმა კი საჭირო იყო. გამოსავალი ასეთი ვნახე. ჩვენთან მუშაობდა ძალიან დარბაისელი, სამოც წელს მიტანებული, ყველასაგან პატივცემული ანეტა საყვარელიძე. მას მოვუყევი ყველაფერი და ვთხოვე, დაერიგებინა ახალგაზრდა პედაგოგი. ჯერ ბევრი იცინა ჭაღარა მასწავლებელმა, მერე კი დავალება კარგად შეასრულა. მესამე დღიდან ის სულ სხვანაირად მოვიდა სკოლაში. საყვარელიძისათვის კი ეთხოვა, კლასი გამიცვალონო. ეს თხოვნაც შეუსრულეს და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

სკოლაში ჩემი ყოფნის დროს მოხდა ერთი განსაკუთრებული შემთხვევაც. იმ დროს ძალიან გავრცელდა პატეფონები. გაუთავებლად უკრავდნენ ფოქსტროტებს, ვალსებს და სხვა საცეკვაოებს. ბლომად იყო საზღვარგარეთული ფირფიტებიც და უნდა მოგახსენოთ, რომ მე თუმცა მუსიკისაგან შორს ვდგავარ, მოსასმენად სასიამოვნო იყო. ჩვენმა სკოლამაც შეიძინა პატეფონი და შესვენების დროს უკრავდნენ. ახლაც მახსოვს „არგენტინის ღამე", „ჰაუ დუ იუ დუ, მისტერ ბრაუნ", „წვიმა მოდის", „მანდოლე" და სხვ.

და აი, ერთ დღეს სკოლაში რომ მოვიდნენ მასწავლებლები, პატეფონი აღარ დახვდათ, დირექტორის კაბინეტიდან ფირფიტებიც მოეპარათ. აწრიალდა მთელი სკო-

ლა, განსაკუთრებით დირექტორი. მის გზასა და კვალს ვერ მიაგნეს. ასე გავიდა ორი კვირა. რატომღაც ეჭვი გამიჩნდა, რომ პატეფონი გარეშე პირებისაგან არ იქნებოდა მოპარული. მოიპარავდნენ ისინი, ვინც მას ხშირად ისმენდნენ. მანამდე შემიმჩნევია, დირექტორის კაბინეტის ფანჯარასთან ატუზული მოსწავლე ბიჭები. რომელიმე მათგანმა მოიპარა. მაგრამ ვინ? ან რა საბუთი მაქვს, ვინმეს ხელი დავადო?

ერთ დღეს სკოლის ეზოში გავედი, ბავშვები ბურთს თამაშობდნენ და იმას ვუყურებდი. მეორე ცვლა უნდა დაწყებულიყო. ვიდექი ჩემთვის მარტო. უცებ ერთი იდლელი ბიჭი მოვიდა, სამი დიდი წითელი ვაშლი მომაწოდა.

– მიირთვით, მასწავლებელო. ჩვენი ბაღიდან არის.

მადლობით გამოვართვი. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ჩემი „გულის მოსაგებად", „მოსაქრთამავად" იყო მორთმეული. არა, სოფლის სკოლაში ბავშვებს მასწავლებლებისათვის მოჰქონდათ სხვადასხვა ხილი: ვაშლები, მსხლები, კაკლები, ყურძენიც. კლასში მასწავლებლის მაგიდაზე უკითხავად დააწყობდნენ და მერე სხდებოდნენ თავიანთ მერხზე.

პირველად, როცა მეც ასე მომექცნენ, თავშეკავებულად გავჯავრდი, ბავშვებო, არ არის საჭირო-მეთქი, მაგრამ არაფერი გამივიდა. როცა ამის შესახებ ადგილობრივ მასწავლებლებს შევჩივლე, მათ გაიცინეს და მითხრეს, ასეთი წესი აქვთ აქაურებს და რას ვიზამთო. ეს ხილი სამასწავლებლოში იყრიდა თავს და ვისაც სურდა, მიირთმევდა. ეს განსაკუთრებით შემოდგომაზე ხდებოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს იდლელ ბიჭს, ვაშლები რომ მომაწოდა.

– ბიჭო, მივდივარ სკოლიდან. შენ კარგი მოსწავლე ხარ და არ შემარცხვინო, მომავალშიც კარგად ისწავლე.

გაოცდა.

– რათა, მასწავლებელო?

რაკი დავიწყე, როლში შევედი.

– აი, დირექტორმა მისაყვედურა, რომ პატეფონი შენი კლასის მოსწავლეებმა მოიპარეს და მთელ სკოლას თავი მოსჭერითო (არაფერი ამის მსგავსი ბოჭორიშვილს არ უთქვამს).

შეწუხდა ბიჭი, გაწითლდა, დიდხანს იყო გაჩუმებული. მერე თქვა:

– მასწავლებელო, მე ვიცი, ვინც მოიპარა პატეფონი. ისინი იდლელები არიან.

მეწყინა, თანაც გამიხარდა, რომ კვალს მივაგენი.

– ახლა რა ვქნათ, გავრიცხოთ სკოლიდან?

– არა, მასწავლებელო! ისინი ხვალვე მოიტანენ პატეფონს.

ისე ყველაფერი კარგი შეგისრულდეთ, როგორც ეს შესრულდა. მეორე თუ მესამე დღეს პატეფონი ისევ დირექციის კაბინეტში იდგა. „ქურდებს" ეთხოვათ, ასეთ რამეს არასოდეს ჩავიდენთ, ოღონდ მასწავლებელმა დირექტორს და სხვებს არ უთხრას ჩვენი გვარებიო. არც არავისთვის მითქვამს, არც ახლა ვწერ მათ გვარებს. ორივემ დაამთავრა სკოლა. სამწუხაროდ, ერთი მათგანი ომიდან დაავადმყოფებული ჩამოვიდა და მალე გარდაიცვალა. მეორემ კარგი ოჯახი შექმნა, მცხეთაში ცხოვრობს და იქ მსახურობს. სწორედ ამასთან მქონდა ლაპარაკი. მოგვიანებით ვკითხე, რა მიზნით მოიპარეთ პატეფონი-მეთქი, გასაყიდად ხომ არ გინდოდათ?

– არა, მასწავლებელო (ჩემი ყოფილი მოწაფეები, რა ხნისაც არ უნდა იყვნენ, როცა მხვდებიან, ყოველთვის „მასწავლებლოთი" მომმართავენ), პირველად ის გვაინ-



არჩილ ჩაჩიბაია

ტერესებდა, ფირფიტა რანაირად ახერხებდა სიმღერას. მერე სიმღერებმაც დაგვაინტერესა. სკოლაში რომ აურზაური შეიქნა, გვინდოდა, პატეფონი უკანვე მოგვეტანა, მაგრამ შეგვეშინდა და მოსვლა ვერ გავბედეთ.

მთელ ამ ამბავში საოცარი ის იყო, რომ ერთი „ქურდთაგანი" სწორედ ის იყო, ვინც მე ვაშლები მომართვა და მითხრა, მე ვიცი, პატეფონი ვინც მოიპარაო.

ასეც ხდება ხოლმე ცხოვრებაში. ამიტომ ერთი წაბორძიკებით ნუ განვსჯით ადამიანს და წყალწაღებულად ნუ გამოვაცხადებთ. ვინ იცის, ღმერთმა ისინი, ჩვენი ხელშეწყობით, ცხოვრების სწორ გზაზე დააყენოს.

ორ-სამ წელიწადში სახელი გამივარდა, კარგი მასწავლებელიაო, არა მარტო სოფელში, არამედ მთელ რაიონშიც. ამას სრულიად მოულოდნელად ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ. ერთხელ კასპში, ქეჩარუხზე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შეკრება გაიმართა. უნდა გამოსულიყო მასწავლებელი და ელაპარაკა, თუ როგორ ასწავლის საგნებს და რა შედეგებს აღწევს. პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ არჩილ ჩაჩიბაია (სოფელ ახალქალაქის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი, ახლა ის ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორია), განათლების განყოფილების გამგე, ჩემი სკოლის დირექტორი მჟავანაძე და კიდევ სხვები.

დარბაზში სულ ბოლო რიგში ვიჯექი, ჩემთვის ვიყავი მიყურსული კუთხეში და ერთი სული მქონდა, თუ როდის დამთავრდებოდა ეს სხდომა თუ შეკრება (მე კარგად მახსოვდა, რომ ჩემისთანა წარსულის კაცი ყოველთვის ჩრდილში, შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო). გამოვიდა ათამდე მასწავლებელი. აი, საცაა შეკრება უნდა დამთავრდეს. ვხედავ, ჩემი დირექტორი არჩილ ჩაჩიბაიას (შეკრების თავმჯდომარეს) რაღაცას გაცხარებით ელაპარაკება და უცებ, წასასვლელად რომ ვიყავი გამზადებული, ჩაჩიბაია აცხადებს:

– სიტყვა ეკუთვნის კავთისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელ მიხეილ კეკელიძეს.

ელდასავით მომხვდა ეს განცხადება. არ ვარ მომზადებული, არც რაიმე საკითხი მქონდა შერჩეული, რომ ცოტა ხნით მაინც მელაპარაკა. გარდა ამისა, საჯარო გამოსვლას მთელი სიცოცხლე გავურბოდი, სულ მუდამ ჩრდილში ყოფნა მინდოდა და ასეთმა ხელოვნურმა „დამუნჯებამ" საჯაროდ, ზეპირად გამოსვლებს გადამაჩვია. ყოველთვის მეშინოდა, რაიმე არ წამომცდენოდა ისეთი, რომელიც მთავრობის ერთგულ კომუნისტებს არ მოეწონებოდათ. ერთხელ კი გამოვედი საჯარო მოხსენებით და ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ჰოდა, დარბაზი ელოდება ჩემს სიტყვას. რა ვქნა? ღმერთო, შენ მიშველე! უარი არ გამოვიდა. თქვენი მუშაობის გამოცდილებიდან თქვით რაიმეო. და უცებ გონება გამინათდა, მართლა მიშველა ღმერთმა!

უეცრად გამახსენდა კრებული „არილი", რომელშიც არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვათა წერილები იყო მოთავსებული ქართული ენის დიალექტების შესახებ. კარგად მახსოვდა მაგალითები. ვრცლად შევეხე, რა განსხვავება იყო ლიტერატურულ ქართულსა და დიალექტებს შორის, რაში იჩენდა ეს თავს (განსაკუთრებით, პრევერბების ხმარებისას), დავუმატე კავთისხევში გაგონილი ჩემი საკუთარი მაგალითები და დავასკვენი: თუ ქართულის მასწავლებელმა იცის იმ კუთხის დიალექტი, სადაც მოღვაწეობა უხდება, ის შედარებით ადვილად შეძლებს იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც წერით და ზეპირმეტყველებაში შეიმჩნევა (მერე, ამ საკითხზე გაზ. „სახალხო განათლებაში" პატარა წერილიც გამოვაქვეყნე).

ვილაპარაკე დაახლოებით ოცი წუთი. ყურადღებით მისმენდნენ და შევატყვე, ჩემი გამოსვლა და საკითხის ასე დაყენება მოეწონათ. კრების შემდეგ არჩილ ჩაჩიბაია და რამდენიმე მასწავლებელი გამეცნო და შემაქეს. ჩემს დირექტორს კი უხაროდა, რომ ასეთი „კარგი მასწავლებელი" ვყავდი. არჩილ ჩაჩიბაიასთან თბილისში გადმოსვლის შემდეგ ნაცნობ-მეგობრობა არ შემიწყვეტია. სამწუხაროდ, იშვიათად ვხვდებით.

ზევით მე ვახსენე, რომ საჯარო გამოსვლას და „უფროსებთან" გამოჩენას სასტიკად ვერიდებოდი. ასეთმა ტაქტიკამ მე ბევრჯერ გადამარჩინა, მაგრამ ერთ კურიოზულ შემთხვევას მაინც ვერ ავცდი. ერთხელ სოფელში მობრძანდა კასპის რაიკომის მეორე მდივანი, რაღაც საკითხზე კრება უნდა ჩაეტარებინა. ამ კრების ჩატარება მან რატომღაც ჩვენს სკოლაში მოინდომა. ოთახებიდან გამოიტანეს მერხები და გრძელ დერეფანში განალაგეს. კრებას ესწრებოდნენ მასწავლებლებიც, მოსწავლეებიცა და მათი მშობლებიც. კრების დაწყების წინ რაიკომის მდივანმა დირექტორსა და რამდენიმე ჩემს კოლეგას ცალკე მოგვიყარა თავი. გვარები გამოგვკითხა და ბრძანა:

– ჩემ შემდეგ სიტყვით გამოხვალ შენ. შემდეგ ის, იმის შემდეგ ის... და ასე ხუთამდე პედაგოგს მისცა დავალება. ყველას „შენობით" მიმართავდა. ვიფიქრე, გადავრჩი-მეთქი, მაგრამ თურმე არა. ბოლოს მე მომიბრუნდა:

– კრება რომ გაიხსნება, მერე შენ დაასახელებ საპატიო პრეზიდიუმს, პოლიტბიუროს შემადგენლობას. გვარები ასეთი თანმიმდევრობით ჩამოწერეთ.

თვითონ მიკარნახა გვარების თანმიმდევრობა. მერე მეკითხება:

– ხომ იცი, რა უნდა თქვა ყოველი გვარის ხსენებისას?

– დიდი სტალინი!

– ეგ არ კმარა! წინ წაუმძღვარე: „ჩვენი სულის ჩამდგმელი". გაზეთს ხომ კითხულობ? აი, როგორც გაზეთში იწერება, ისე.

ასევე მითხრა მოლოტოვზე, ვოროშილოვზე, კაგანოვიჩზე, რომ ისინი არიან დიდი სტალინის თანამებრძოლნი. ბერიას რომ ახსენებ, არ დაგავიწყდეს თქმა, რომ ის „ქართველი ხალხის საამაყო შვილია“.

ვისმენდი ამ დეგენერატის წრიპინა ხმას და ვნატრობდი: ღმერთო, ერთი ამისთვის მათხლეშინა და მერე თუნდაც მომკლან-მეთქი, მაგრამ ეს გამოსავალი არ იყო.

რა უნდა მექნა? კი, ბატონო-მეთქი, ვუთხარი.

გაიხსნა კრება. ზლაზვნით წამოვდექი და კრების თავმჯდომარეს მივმართე:

– მე მაქვს წინადადება.

ბრძანეთო, – მითხრეს.

– წინადადება შემომაქვს, საპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, კომუნიზმის ხუროთმოძღვარი, ჩვენი მამა და მასწავლებელი, ლენინის ერთგული მოწაფე დიდი სტალინი!

გაისმა ტაში, მაგრამ არა ისეთი მქუხარე, როგორც რაიკომის მდივანი მოელოდა. ასე ჩავედი ბოლომდე. აქ უნდა აღვნიშნო, რომ პოლიტბიუროს სია მე წავიკითხე ჩვეულებრივი ტონით. ვიფიქრე, მოსწავლეები მისმენენ და „აცუნდრუკებული“ არ უნდა მნახონ-მეთქი.

დამთავრდა კრება. დირექტორი და რაიკომის მდივანი ოთახში შევიდნენ. კარგა ხანს იყვნენ იქ. მერე დირექტორი გამოვიდა, სახე ალენილი აქვს, მეძახის.

– რა უნდა!

– რა ვიცი, მაგის დედა ვატირე! – მიპასუხა გაჯავრებით.

შევედი.

– მე თქვენ რა დაგავალეთ? (ახლა „თქვენობით“ მომმართა). საპატიო პრეზიდიუმი უნდა დაგესახელებინათ ხომ?

– დიახ, უნდა დამესახელებინა. მე ყველაფერი ვთქვი ისე, როგორც გაზეთებში იწერება. დავალება, მგონი, კარგად შევასრულე.

– ცუდად შეასრულე! თქვენი ხმა არავის ესმოდა.

– რა უნდა მექნა?

– თქვენს ხმაში სიხარული არ ჩანდა. რატომ? მეორეჯერ, იცოდეთ, ასეთი რამე არ გამოვა. კარგად დაიმახსოვრეთ!

ადგა და წასასვლელად მოემზადა. გრიშა ბოჭორიშვილი შეეპატიჟა, ვახშამზე გვეწვიეთო. არა ქნა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარესთან მივდივარო და წავიდა.

– შენ რა გელაპარაკა?

– კრება ცუდად მოგიმზადებია. ტაშს კანტი-კუნტად უკრავდნენო.

საჯარო გამოსვლა სულით და გულით მე მხოლოდ ერთხელ მხვდა წილად. ეს 1937 წელს იყო, რუსთაველის საიუბილეო დღეებში. მითხრეს, რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ მოხსენება უნდა გააკეთო მშობლებისთვისო. უარს ვერ ვიტყოდი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვიყავი და ეს მევალებოდა კიდეც. იმ დერეფანში, ზევით რომ ვახსენე, ორასამდე კაცმა და ქალმა მოიყარა თავი. იყვნენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. დაახლოებით ორ საათს ვილაპარაკე (მასალები მე ბლომად მქონდა). ყველაფერი კარგად და საინტერესოდ წარიმართა. კმაყოფილი იყვნენ დამსწრენი. ამ მოხსენების აღსანიშნავად ბოჭორიშვილმა პედკოლექტივის სა-

ხელით აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ მაჩუქა წარწერით (ეს წიგნი ახლა ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება).

ორ-სამ წელიწადს კასპის განათლების განყოფილების გამგედ გაბრიელ მეგრელიშვილი მუშაობდა (შემდგომში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო). ერთ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი – დროდადრო თბილისიდან მოჰყავდა პროფესორები და მათ ლექცია-მოხსენებებს გვასმენინებდა ქეჩარუხის კლუბში. ერთხელ მოიწვია პროფესორები: ვარლამ თოფურია, გიორგი თავზიშვილი და სხვები. აქედან ორი მომენტი დამამახსოვრდა. ერთმა მასწავლებელმა ვარლამ თოფურიას ჰკითხა: აი, ჩვენ ვამბობთ ილიას პოემა „განდეგილში“, აკაკის „ბაში-აჩუკში“ და ა. შ.; ნინოშვილის ერთ ნაწარმოებს ჰქვია „ჯანყი გურიაში“. როგორ უნდა ვთქვათ: „ჯანყში გურიაშში“ თუ რომანში „ჯანყი გურიაში“? ბატონი ვარლამი დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა... სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, რა უპასუხა.

გიორგი თავზიშვილმა თავის ლექცია-მოხსენებაში სხვათა შორის თქვა:

– მასწავლებელს თავის მოღვაწეობაში აუცილებლივ შეხვდება ისეთი მომენტები, როცა ბავშვმა გაკვეთილი არ იცის. არაა საჭირო მაშინვე გაჯავრება და ცუდი ნიშნის დაწერა. თუ გინდათ, მისი სინდისი შეაწუხოთ, ღიმილით ასე უთხარით: „ალბათ სადღაც გაგგზავნეს მშობლებმა ან შეიძლება ავად იყავი, თორემ მე იმას ვერ წარმოვიდგენ, რომ შენ გაკვეთილი არ მოამზადო. მერედა ასეთი კარგი ბიჭი (ან გოგო) ხარ! მერწმუნეთ, ეს უფრო იმოქმედებს იმ ბავშვზე, ვიდრე „დამაკმაყოფილებლის“ დაწერა“.

ბევრი ვიფიქრე პროფესორის ამ მოსაზრებაზე, რომელიც ანგარიშგასაწევია. გადავწყვიტე, ეს რჩევა მეც გამომეყენებინა და ჩემთან ასეთი შედეგი გამოიღო.

მეექვსე ჯგუფში მოვიდა სიცოცხლით სავსე, ვერცხლისწყალივით მოძრავი მოსწავლე თენგიზ ონოფრიშვილი, ზარმაცზე ზარმაცი. ყველაფერს შეგისრულებდა, ოღონდ გაკვეთილებს ნუ მოჰკითხავდი. მის მამას, გოლას, და დედასაც ძალიან ახლოს ვიცნობდი. მის ოჯახში პურ-მარილზეც ბევრჯერ ვყოფილვართ. გოლა ჭაღარა, დინჯი კაცი იყო. მისი უფროსი ქალ-ვაჟიც ჩვენთან სწავლობდნენ ზედა კლასებში. ერთი სიტყვით, გოლას ოჯახთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ ეს არ შველოდა თენგიზს. იღებდა და იღებდა „არადამაკმაყოფილებელს“.

ერთხელ გამოვიძახე გაკვეთილზე. ქართული ენის გრამატიკის რომელიღაც საკითხი ჰქონდათ სასწავლად. სწრაფად წამოდგა ბიჭი.

– არ ვიცი, მასწავლებელო!

– რატომ არ იცი, ბიჭო? ალბათ დედამ წისქვილში გაგაგზავნა, გვიან დაბრუნდი და სწავლაც ვერ მოასწარი, ხომ?

თენგიზს თვალები უციმციმებს.

– დიახ, მასწავლებელო! წისქვილში ვიყავ, დიდი რიგი იყო და გვიან დავბრუნდი. გუნებაში ვიფიქრე, იქნებ მართლაც ასე იყო?

– დაჯექი, ცუდ ნიშანს არ გიწერ. გაკვეთილი აუცილებლივ მოამზადე, შემდეგ გკითხავ.

შემდეგ გაკვეთილზე თენგიზი სულ არ გამოცხადდა. გავიდა ერთი კვირა. კლასს აკაკის რომელიღაც ლექსი მივეცი საზეპიროდ. მომდევნო გაკვეთილზე თენგიზს ლექსი ვკითხე.

– არ ვიცი, მასწავლებელო!

– რატომ, ბიჭო?

– ბებომ ნოსტეში გამაგზავნა საქმეზე.

ერიჰა, ეს ბიჭი უკვე ჩემივე „ხერხით" მეთამაშება! მომდევნო გაკვეთილზე ისევ გამოვიძახე. არც ახლა იცოდა.

– რატომ არ ისწავლე, თენგიზ, ასეთი კარგი ლექსი?

– მერედა წიგნი მაქ, მასწავლებელო? საიდან უნდა მესწავლა?

ისევ ვუყვაებ და ვეუბნები:

– თენგიზ, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ. აი, შენს მეზობლად ცხოვრობს ნატო, ვერ სთხოვე წიგნი?

– მერედა მათხოვებდა? ერთხელაც ვთხოვე და უარი მტკიცა, წიგნს დასჯღაბნიო.

– კარგი, მე გამოვართმევ ნატოს წიგნს, ნაიღებ ორი დღით და იცოდე, გაკვეთილს აუცილებლივ გკითხავ, როცა მოხვალ.

თამაშში ჩავები. ველოდები მომდევნო გაკვეთილს. თენგიზი არ გამოცხადდა, მაგრამ როდემდის არ მოვა? ლიტერატურის მომდევნო გაკვეთილები ორჯერ გააცდინა და მერე მობრძანდა.

ოქტომბრის პირველი ნახევარია. ძალიან თბილა, მზიანი, ზაფხულივით დღეები დგას. თენგიზი გამოვიძახე და ოი, საოცრებავ, გაკვეთილი ისევ არ იცის!

– რატომ არ იცი? – ახლა უკვე გულმოსულად ვკითხე.

– ის ლექსი წიგნში არ წერია.

– ნატო, მომიტანე წიგნი!

ბავშვს მოაქვს სახელმძღვანელო და სწორედ ის გვერდი, რომელზედაც ლექსი უნდა იყოს დაბეჭდილი, ამოხეულია. ნატომ ახლა შეამჩნია ეს და ცრემლები წამოუვიდა.

ნერვები მეძაბება. ფეხზე ვდგავარ.

– მოდი აქ ჩემთან!

მოვიდა, წყნარი სახე აქვს, მხოლოდ თვალები უთამაშებს ეშმაკურად. აცვია თოვლივით თეთრი ხალათი, ქამარშემოჭერილი. ფეხზე – პატარა, კოხტა ჩექმები.

– რატომ ამოხიე ფურცელი?

– მე არ ამომიხევია. შეიძლება, სხვამ ამოხია.

– ვინ სხვამ?

– რა ვი, მასწავლებელო!

– აი, ახლა მე შენ მოგცემ „რა ვი"-ს, – გავუშალე და ძალიან მაგრად გავარტყი ყბაში. თითები ამისხლტა, მოხვდა ცხვირზე და ითქრიალა სისხლმა. სისხლი ჩამოდის და ხალათზე ტოვებს წითელ ნაკვალევს. ეტყობა, ძალიან გაფითრებული ვარ. მოსწავლეებსაც ფერი აქვთ დაკარგული. მე ნერვიულობისგან ვკანკალებ, თენგიზი კი დგას ჩემ წინ გაჭიმული, არც გაქცევას ცდილობს, არც თავის მართლებას, არც ტირის. გონებაზე მოვეგე, ცოტა დავმშვიდდი. შევწუხდი, ეს რა მომივიდა-მეთქი. ბიჭს ვუთხარი:

– თენგიზ, ჩახვალ კავთურაზე. დაიბან პირს, გამოირეცხავ ხალათს და მოხვალ მერე ჩემთან.

წყნარად გავიდა. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, შინ გაიქცეოდა. ერთ ბავშვს რომელილაც მოთხრობის კითხვა დავავალე, რომ დრო გასულიყო. არაფრის თავი არ მქონდა. გავიდა ოცი წუთი. უცებ კარები იღება. ჩემდა გასაოცრად თენგიზი გამომეცხადა.

– მოვედი, მასწავლებელო!

რაც ვუთხარი, კარგად შეუსრულებია, მაგრამ ხალათზე სისხლის ნაკვალევი მაინც მკაფიოდ ჩანს. საათს დავხედე. გაკვეთილის დამთავრებას სამი წუთი აკლია. ავდექი და თენგიზს ვუთხარი:

– ახლა წადი სახლში. თანაც გოლას უთხარი, კეკელიძე მასწავლებელმა მცემა-თქო.

სამასწავლებლოში ყველას გავაგებინე, რაც თავს გადამხდა. ზოგს გაეცინა, არაფერიაო; ზოგიც შეწუხდა, მშობლებმა შეიძლება იჩივლონო. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ველარაფერს ვუშველი წამხდარ საქმეს. თანაც გულს უფრო მტკენს, რომ მიყვარს ეს მამაძაღლი, ცოცხალი ბავშვია. ღმერთო ჩემო, რამ გამოიყვანა ასეთი ზარმაცი, უნიჭო მაინც იყოს.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, მეორე ცვლის დაწყების წინ, სკოლის კარებთან რამდენიმე მასწავლებელი ვიდექით. უცებ შუკაში გამოჩნდა გოლა, დიდ კომბალს იბჯენს, ჩვენკენ მოემართება და ყვირის:

– კეკელიძე მასწავლებელო, კეკელიძე მასწავლებელო!

მეგობრებმა ხელი მკრეს და სამასწავლებლოში შემაგდეს: კაცო, რა იცი, რა გუნებაზეა, თავში არ გთხლიშოსო. შემოვიდა გოლა დერეფანში, ყველას მიესალმა და მერე თქვა: კეკელიძე მასწავლებელი მაჩვენეთ, მის მარჯვენას ვენაცვალე. ჩემს ხელს არაფრად აგდებდა ჩემი ლაწირაკი და აბა, ახლა ნახეთ, როგორ მოუხდა კეკელიძის ალიყური, უთენია წამოვარდა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგაო.

ერთი თვე ისე გავიდა, თენგიზისთვის არაფერი მიკითხავს. ერთხელ, როცა კლასში კითხვა დავსვი, გაკვეთილს ვინ მოყვება-მეთქი, სხვებთან ერთად ამ ბიჭის აწეული ხელიც დავინახე. ვკითხე, მართლა იცოდა. გამეღიმა და მასაც გაეღიმა. ასე შევრიგდით. გასაოცარი ცვლილება მოხდა. ჩემი საგნების კი არა, სხვა საგნების სწავლაც დაიწყო. სასწავლო წელი ისე დამთავრდა, რომ ცუდი ნიშანი არ გამოჰყოლია. ამით იმისი თქმა სულაც არ მინდა, რომ სხვებმაც მე მომბაძონ და ბავშვებს სილა გაულაწუნონ ყბაში. ეს ჩემს ცხოვრებაში მაინც არასასიამოვნო ფაქტი იყო.

მერვე კლასიდან ჩემი თენგიზი მამამ სკოლიდან გაიყვანა და არ ვიცი, წინამძღვრიანთკარის თუ სხვა მსგავს სასწავლებელში მიაბარა. მერე შემთხვევით ერთი ჩემი ნამოწაფრისაგან გავიგე, რომ თენგიზს უმაღლესიც დაემთავრებინა. შემდეგ ის ჩემი თვალსაწიერიდან დაიკარგა.

გავიდა 15–18 წელიწადი. ერთ დღეს რესტორან „გემოს“ წინ (იქ ახლა მეტრო „რუსთაველის“ სადგურია) გიორგი შატბერაშვილი შემხვდა. სალაპარაკო ჩვენ ყოველთვის ბევრი გვქონდა და გადავწყვიტეთ, რესტორანში გვესადილა. ასეც მოვიქეცით. მოვატანინეთ ორი ბოთლი ღვინო და საჭმელი. შუადღე იყო. რესტორანში ოთხი-ხუთი მაგიდა თუ იქნებოდა დაკავებული. ერთ კუთხეში სამი ახალგაზრდა იჯდა და სადილობდა. დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ, რაც მე და გიორგი დალოცვას შევუდექით, ჩვენთან მოდის ოფიციანტი და სინზე უდევს 2 ბოთლი ღვინო, შემწვარი ტაბაკა, კიტრი, ბოლოკი, წიწმატი, ყველი. ჩვენთან მოიტანა და გვითხრა: აი, იმ ახალგაზრდებმა გამოგიგზავნესო. შევხედე მათ. ვერც ერთი ვერ ვიცანი, ვერც შატბერაშვილმა იცნო. ოფიციანტს ვუთხარით, რომ ახალგაზრდებს რაღაც შეეშალათ და უკანვე გავაბრუნეთ. ოფიციანტი იმათთან მივიდა და რაღაცას ელაპარაკება. ისევ ჩვენთან მობრუნდა და მოგვახსენა: კეკელიძეს გავუგზავნეთო. მივიღეთ ძღვენი. შო-

რიდან მადლობის ნიშნად თავი დავუკარით. მაგრამ ეს არ კმარა, მით უმეტეს, არ ვიცით, ვინ არიან. საჭიროა მისვლა და მადლობის თქმა. მივედი, მადლობა გადავუხადე და ვკითხე, საიდან მიცნობთ-მეთქი. აი, ეს გიცნობთო, მიპასუხა ერთმა და შუა ადგილას მჯდომზე მიუთითა. ვაკვირდები, თითქოს საიდანღაც მეცნობა თვალებით, მხოლოდ თვალებით. ვინ არის, ჩემ წინ კოხტაულვაშებიანი ახალგაზრდა რომ დგას, ვერაფრით გავიხსენე.

– ვერ მიცანით, მასწავლებელო? – მეკითხება ის.

– ვერა, ვერ გიცანი.

– თენგიზი ვარ, ონოფრიშვილი.

გადავკოცნე, ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. გამომშვიდობებისას სიცილით ვკითხე:

– შენ ჩემზე ნაწყენი არა ხარ?

– რატომ, მასწავლებელო?

– აი, ერთხელ სისხლი რომ გადინე. გახსოვს?

– როგორ არ მახსოვს, მაგრამ არც მაშინ, არც შემდეგ თქვენდამი წყენა გულში არ ჩამიდვია. ვიცოდი, ჩემი სიკეთე გსურდათ. ჩვენ ყველას გვიყვარდით, მასწავლებელო.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

როგორც ზევით აღვნიშნე, სკოლაში და სკოლის გარეთაც კარგ მასწავლებლად მთვლიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, „ფოლკლორშიც" კი მოვხვდი. ეს არ ვიცოდი და სრულიად შემთხვევით გავიგე. ერთ დღეს სკოლაში მიმავალმა გზის შესამოკლებლად შუკაში შევუხვიე. ამ შუკაში ჯანჯალაშვილების, აღაპიშვილებისა და სხვა გვარების ოჯახები ცხოვრობდნენ. შუა გზა გავიარე თუ არა, სიმღერის ხმა გავიგონე. ფანდურზე ამღერებდნენ. იმ ხანებში ფანდური ძალიან გავრცელდა სკოლაშიც და მოსახლეობაშიც. ჩვენმა დირექტორმა სპეციალურად ცეკვისა და სიმღერის მასწავლებლებიც კი მოიწვია. ვხედავ, ორი მოსწავლე გოგონა კიბეზე სხედან და „ჰარალეს" დასძახიან. მე შემეძლო, გზა განმეგრძო, მაგრამ შევჩერდი, რადგან ჩემს გვარს მოვკარი ყური. ნუთუ მომეჩვენა? – ვფიქრობ გაოცებული. დავუგდე ყური და აი, რა მოვისმინე:

კეკელიძე მობრძანდება
თავი თეთრი ტუფლებითა,
ხელში ჟურნალი უჭირავ
გატენილი ორებითა.
ჰარალე, ჰარიარალე.
კეკელიძე ბატონო,
დიდი ჭკუის პატრონო,
შენ რომ ორი დამინერე,
როგორ გამოვასწორო.
ჰარალე, ჰარიარალე.
კეკელიძის ნიჭი მომცა,
დირექტორის შანსები.
გავაშელის ტანი მომცა
და მენაბდის წარბები.
ჰარალე, ჰარიარალე.

უცებ ჭიშკარს მივადექი და მათ თვალწინ გამოვეჭიმე. ჯერ დაიბნენ, მერე წამოხტნენ, შეჰკივლეს – „უი, ჩვენი მასწავლებელიო“ და გაქცევა მოინდომეს, მაგრამ სად წავიდოდნენ, მათი გვარიც ვიცოდი და სახელიც. განგებ გაჯავრებით ვუთხარი:

– თქვენ რა, მასწავლებლების გამასხარავება მოინდომეთ? აი, მოხვალთ სკოლაში და როგორ უნდა ორიანების გამოსწორება, მაშინ გაგაგებინებთ. ერთი ამათ უყურეთ, დირექტორის შანსები მოუნდათ, გავაშელის ტანი, მენაბდის წარბები!

ესენი ჩვენი სკოლის მასწავლებლები იყვნენ. გავაშელი მაღალი იყო, მენაბდეს ლამაზი წარბები ჰქონდა, დირექტორი ბოჭორიშვილი ხომ მართლაც „შანსიანი“ იყო. თვითონვე იტყოდა ხოლმე: „ისეთი ლაპარაკი ვიცი, რომ ხიდან ყვავს ჩამოვაგდებო“. თითქმის სიმართლეს ამბობდა.

გოგოები ღელავდნენ, ლამის ატირდნენ და პირობას მაძლევენ, რომ აწი აღარ იმღერებენ. გამეცინა და ვუთხარი:

– გეხუმრეთ, ბავშვებო. იმღერეთ, რამდენიც გინდათ. და თუ არ იმღერებთ, აი, ორიანებს მაშინ მართლა მიიღებთ. ჰოდა, იმღერეთ, რამდენიც გინდათ, იმღერეთ, არავინ დაგიშლით.

ამ ლაპარაკის დროს საიდანღაც ოჯახის უფროსი გამოჩნდა.

– მობრძანდით, მასწავლებელო. დააშავეს რამე ამ მამაძაღლებმა?

რატომღაც მშობლებს, უმრავლეს შემთხვევაში, ასე ეგონათ, რომ თუ მათთან მივიდოდით, ეს მათი შვილების წესრიგის დარღვევასთან იყო დაკავშირებული.

– არა, ნიკო, ესენი ძალიან კარგი ბავშვები არიან, კარგადაც სწავლობენ.

– აგაშენა ღმერთმა! შემობრძანდით, ოჯახი დამილოცეთ.

– ნიკო, სადაცაა გაკვეთილები დაიწყება.

– დიდხანს არ გაგაჩერებ, შენი ჭირიმე, – თან გასძახა, – დედაკაცო, არაყი და მწნილი, კაკალიც მოაყოლე.

გოგოები გაიქცნენ. ცოტა ხანში თავსაფარწახვეულმა ჭაღარა ქალმა ოჯახის უფროსის ბრძანება შეასრულა. პატარა ჭიქები არყით ავავსეთ (აქაური არაყი ერთნახადია და ისეთი სიმაგრე არა აქვს, როგორც დასავლურს).

ოჯახი დავულოცე და ტკბილი სიტყვები ვუთხარი. მასპინძელმა კიდევ შეივსო ჭიქები. ახლა მისი შვილები დავლოცე. წასვლა დავაპირე. ნიკო არ მეშვება:

– ღმერთი სამობითაა, მასწავლებელო! ახლა მე ვიტყვი: ღმერთო, შინ მშვიდობით მოიყვანე ომში წასული ჩვენი ბიჭები!

მეტი არაფერი უთქვამს. დავლიეთ და დავემშვიდობე.

ამ ჩემს ნიკოს ყაყიტას და საწყალი პეტრეს[1] გული ჰქონდა. კეთილი იყო, უბოროტო და ალალ-მართალი. ახლა კი სადღა არიან ასეთი გლეხები? თითო-ოროლას თუ შეხვდებით სადმე. ჩვენი უბედურება ხომ გლეხის გადაგვარებით დაიწყო, რასაც საფუძველი „კომუნიზმის მშენებლებმა“ ჩაუყარეს. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, თუ ვითარება შეიცვალა ქართველ გლეხსაც დაუბრუნდება პატიოსნება და კეთილშობილება.

ჩემი იქ ყოფნის დროს სკოლაში სხვადასხვა პერიოდში მასწავლებლობდნენ სიმონ ჭელიძე, მელქის მუჯირი, შალვა დავითულიანი, შალვა ძიძიგური, ანეტა საყვარელიძე, ნადია დიდებულიძე, ევგენი შუბლაძე, გიორგი შატბერაშვილი, რუბენ შენგელია,

[1] ავტორი აქ გულისხმობს სოფრომ მგალობლიშვილისა („ყაყიტას ქურდები“) და ილია ჭავჭავაძის („სარჩობელაზედ“) პერსონაჟებს.



გიორგი შატბერაშვილი მასწაულებლებთან და მოსწავლეებთან
კავთისხევი, 1940-იანი წლები

პოხრო პაპიაშვილი (ცნობილი მოჭიდავე, ფიზკულტურას ასწავლიდა), დოცენტი რომან ფიცხელაური (თბილისიდან მოვიდა), ელენე ცინცაბაძე, თამარ კუკავა (ახლა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი), ზევით მოხსენიებული გავაშელი, მენაბდე და კიდევ სხვებიც, რომელთა გვარებს ვერ ვიხსენებ. უკანასკნელ წლებში დირექტორად იყო გრიშა ბოჭორიშვილი.

მეტ-ნაკლებად ყველა კარგი მასწავლებელი იყო. უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდან გახლდათ. ახლა კი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თითქმის მთლიანად ჩვენი ნამოწაფრებისაგან შედგება.

ზოგიერთ მასწავლებელზე მინდა შევჩერდე. ჭელიძე და შატბერაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი წყალობით მოვიდნენ ამ სკოლაში. სიმონ ჭელიძე 1936 წელს გავიცანი ნაციმბირალი შოთა ბერძენიშვილის ოჯახში (როგორც ზევით ვთქვი, შოთა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო ფილიპოვოდან). სიმონი ციხეში ორჯერ ნაჯდომი იყო. დაუსწრებელზე სწავლობდა. იმ ხანებში კლასების მომატებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ისტორიის მასწავლებლის მოწვევა. სიმონს ეურჩიე, ვისთვისაც უნდა მიემართა და ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჩვენთან დანიშნეს მასწავლებლად. ჩვენ იდეური მეგობრობა გვაკავშირებდა და გულითადად ვმეგობრობდით და ვმეგობრობთ ახლაც.

შატბერაშვილის საქმე კი ასე იყო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ერთხანს, მგონი, ლამისყანაში მასწავლებლობდა და მერე – კასპში. მე მას არ ვიცნობდი. ერთხელ გაზაფხულზე, სოფლის ცენტრში, გადმოხურულში თავშეფარებული ვიყავით მე და ივანე შატბერაშვილი (გიორგის მამა). მარტის ბოლო რიცხვები იყო. თბილი ამინდი იდგა, თოვლი დნებოდა და სახურავიდან წვეთები მიწაზე ეცემოდა.

ვანო ხანში შესული იყო, დარბაისელი, ტკბილად მოლაპარაკე, მგონი, თვალადის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა. მე მასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა. შვილის ამბავი ვკითხე. მიპასუხა:

– კარგად არის. მაგრამ მინდოდა ოჯახში ყოფილიყო (თვალადს გულისხმობდა). არ მოხერხდა მისი აქეთკენ გადმოყვანა.

– რა მიზეზით?

– ადგილები ყველგან დაკავებულია, ვინმეს ხომ არ შეეცილება.

ერთხანს გავჩუმდი და მერე ასეთი ვარიანტი შევთავაზე:

– აი, რა, ბატონო ვანო! მე ორ ცვლაში ვასწავლი, 36 გაკვეთილი მაქვს. ასევე დატვირთულია ევგენი შუბლაძეც. მე ჩამოვიკლებ ნახევარ განაკვეთს, ნახევარსაც ევგენი. მოაგვარეთ საქმე განათლების განყოფილებასთან და გადმოვიდეს ჩვენთან სამუშაოდ.

ვანოს გაუხარდა. მაინც ეჭვიანად მეუბნება:

– ეგ ძალიან კარგი იქნება, მაგრამ დირექტორი? ხომ იცი, ჩემი შვილი დაჭერილიც იყო და გადასახლებულიც. ამ დაწყევლილ დროში ასეთ კაცს ყველა გაურბის.

– ნუ გეეჭვება. დირექტორი თანახმა იქნება. სცადე!

ეს საქმეც კარგად დამთავრდა. განათლების განყოფილების გამგეს ეთქვა: მასწავლებლები თუ თავისი სურვილით ჩამოიკლებენ საათებს, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

კარგად არ მახსოვს, მგონი, 1939 წლიდან გიორგი შატბერაშვილმა ჩვენს სკოლაში დაიწყო მუშაობა. ფრიად განათლებული კაცი იყო. მალე ძალიან დავმეგობრდით. მის ოჯახში, თვალადში, ქალბატონ ნათელას (გიორგის მეუღლე) დიასახლისობით ბევრი პურ-მარილი მიგვიღია, ასევე წინარეხშიც, გიორგის სიმამრის ოჯახში. ერთხელ ვკითხე, რაზე დაგიჭირეს-მეთქი. ასე მიპასუხა:

– დაჭერას ჩვენს დროში იოლად ახერხებენ. პირველად ლექსაობა (ასე თქვა: „ლექსაობა“) კომკავშირული პათოსით დავიწყე. ასე შვებოდა ყველა და მეც მათ მივბაძე. მერე, წლები რომ მომემატა, მიეხვდი, მთლად ასე არ იყო საქმე, როგორც ამბობდნენ. 18-19 წლისამ პიესა დავწერე – „დუშმანი“. რუსთაველის თეატრში მივიტანე და ახმეტელმა დადგა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზ. „კომუნისტში“ ჩემ წინააღმდეგ დაიბეჭდა დიდი წერილი „კულაკური აგიტაცია სცენიდან“. ავტორი ვინ იყო, არ მახსოვს. ამას კიდევ სხვებიც მიჰყვნენ და მიწასთან გამასწორეს, კულაკობას იცავს და მათ ბედს მისტირისო. მაშინ გადავრჩი. რა დრო იყო, ხომ იცი? ყველანი გამირბოდნენ. თვით ისეთებიც კი, რომლებსაც მეგობრებად და კეთილმოსურნეებად ვთვლიდი. ანტისაბჭოთა ელემენტად მომნათლეს. ეს ხომ იცი, რასაც ნიშნავდა, კაცს რომ „ელემენტად“ მონათლავენ? შემდეგ ერთი ლექსი დავწერე. რატომღაც ანტისაბჭოურად ჩათვალეს და ისევ მაგარი გინება დამიწყეს. მაგის პოეზიას სხვა სუნი უდისო, წერდნენ.

– მერე?

– მერე კიდევ ერთი ლექსი დავბეჭდე. სათაურის ქვეშ მინერილი ჰქონდა „ვუძღვნი თ. ჩ-ს“. მიჩივლა ვიღაცამ, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ქალიშვილს უძღვნა ლექსიო. დამიბარეს „ჩეკაში“, „დუშმანიც“ გამახსენეს, ეს ლექსიც. ამა და ამ ადგილას ჩვენს წინააღმდეგ გილაყბიაო, მითხრეს. სწორი კი მითხრეს, ერთ ადგილას, ცოტა ნასვამი ვიყავი, ამათი გინებით გული ვიჯე-

რე. ჩანს, ჯაშუშები ძალიან გამრავლებული იყო. მერე დამიჭირეს და გადამასახლეს, გამოუსწორებელი ელემენტი ხარო.

– კიდევ კარგი, ადვილად გამოგიშვეს.

– ალექსანდრე სვანიძე დამეხმარა. იგი აქაური მონასელიძის ქვისლია, მამაჩემის მეგობარი. მოსკოვშიც რამდენჯერმე იყო ჩემი გულისთვის.

მაშ, ასე! ყველაფერი გასაგებია. ვის რა გული უძგერს, ჩემთვის ცნობილია. ირკვევა, რომ ამ სკოლაში ვართ: ერთი ნაციხარი – მე, მეორე – სიმონ ჭელიძე, მესამე – გიორგი შატბერაშვილი. განსხვავება ისაა, რომ გიორგის ამბავი ქვეყანამ იცის (დამალვაც რომ უნდოდეს, მაინც ვერ დამალავს). სიმონისა და ჩემი კი – არა. ჩვენ ამ მხრივ უცნობები ვიყავით.

როგორც ვთქვი, გიორგი შატბერაშვილთან გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. ძალიან ხშირად გვისაუბრია ისეთ საკითხებზე, რომელზედაც სხვა გარემოში კრინტსაც არ დავძრავდით. არ გამოსულა არც ერთი მისი წიგნი, რომ ჩემთვის არ ეჩუქებინა გულთბილი წარწერით. ერთ-ერთ მათგანზე კი ასეთი წარწერა გააკეთა:

გადაქცეულნი გულცივ მონებად,
ტირანის ნებას ვართ მიჯაჭვული,
და გვავიწყდება, რომ გველოდება
სხვა საქართველო, ჩვენი მსაჯული.

მაგრამ არა, ჩვენ ყოველთვის გვახსოვდა, რომ მოვიდოდა სხვა საქართველო და განგვსჯიდა. ამიტომაც ვცდილობდით, რაც შეიძლება პირნათლად დავრჩენილიყავით, რათა წყევლა-კრულვით არ მოეხსენებინათ ჩვენი სახელი ჩვენს შთამომავლებს, ჩვენს მომავალ თაობას.

მომავალმა განსაჯოს, შევძელით თუ არა ეს.

ევგენი შუბლაძის შესახებაც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. ქართულს ასწავლიდა. ის ჩვენთან ძალიან დაახლოებული არ ყოფილა, მაგრამ თავისი ქცევით და ხანდახან თითო-ოროლა სიტყვით აშკარად ამჟღავნებდა კომუნისტებისადმი სიძულვილს. ეს ჩემთვის სავსებით გასაგები გახდა ერთ გარემოებასთან დაკავშირებით. ხშირად არა, მაგრამ დროდადრო რაიკომიდან პარტორგანიზაციას (სკოლაში იყვნენ პარტიულებიც, მათ შორის, დირექტორიც) საყვედური მოსდიოდა, ცუდად მუშაობთ, ამ ხნის მანძილზე ერთი კაციც კი არ მიგიღიათ პარტიაშიო.

ჩააცივდნენ ევგენი შუბლაძეს: აი, ანკეტას მოგცემთ, შეავსე და პარტიაში უნდა მიგიღოთო. შუბლაძემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რა დროს ჩემი პარტიაა, პარტიაში ყოფნა რომ მდომოდა, განა ჩემს სოფელში ვერ შევიდოდი (მგონი, სოფელ კეთილარიდან იყო). თუ სკოლიდან ჩემი წასვლა გინდათ, წავალო. თავი დაანებეს. ძალიან პატიოსანი კაცი იყო. მისმა ძმამ, ენუქი შუბლაძემ, რომელიც საქწიგნში მუშაობდა, მითხრა, ევგენი ომში გაიწვიეს და დაილუპაო.

ახლა ჩვენი სკოლის დირექტორი გრიშა ბოჭორიშვილი მინდა გაგაცნოთ. განათლებით ზოოტექნიკოსი იყო. საშუალოზე მაღალი, თხელი. შესანიშნავად მღეროდა, უკრავდა პიანინოზე. საკმაოდ კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა, ძალიან ბევრი ლექსიც – ზეპირად. მისი გატაცება იყო ლხინი და ყოველთვის თამადობა უწევდა. კარგი თამადა იყო, მაგრამ ერთი ცუდი ზნე თუ ჩვეულება სჭირდა. მუდამ ცდილობდა,

სუფრაზე პირველი ყოფილიყო ცეკვა-სიმღერაშიც, დაკვრაშიც და სადღეგრძელოების თქმაშიც. ხშირად ეს სუფრის წევრებს ძალიან აღიზიანებდათ, მაგრამ მაინც იტანდნენ.

თავის ყოველ სადღეგრძელოს ლექსებით და სიმღერით ამთავრებდა. მოკლედ, მასთან ყოფნისას თქვენ კარგად დადგმულ სპექტაკლს ნახულობდით.

ზევით აღნიშნული მაქვს, რომ ის პარტიის წევრი იყო, მაგრამ იმდენი სიკეთე თქვენ, რამდენიც მას პარტიაც უგინებია და „სოციალიზმ-კომუნიზმიც" (რა თქმა უნდა, შინაურულ წრეში). ხშირად უთქვამს: „პარტიაში შემთხვევით შევედი. არ დაგიმალავთ, ცოტათი წინ წასვლა მინდოდა და პარტბილეთის გარეშე კი ეს შეუძლებელი იყო. ცუდი კი ჩემს სიცოცხლეში არავისთვის მიქნია, ამისგან დამიფაროს ღმერთმა".

ჩვენს ჯგუფთან გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა. მე მგონი, ის გრძნობდა, რატომ არ შევდიოდი პარტიაში, მაგრამ ამის გამო ჩვენი შევიწროება არასოდეს უცდია. ღმერთმა ასეთ პარტიულებსაც გაუმარჯოს, ვფიქრობდი გულში.

ბევრჯერ შემოუჩივლია:

– მე და ცხვრების და ძროხების სპეციალისტი? ეს სამართალია? მე ფილოლოგი უნდა ვყოფილიყავი. რა მინდოდა ზოოზე?

დამიმშვიდებია:

– არაფერი დაგიკარგავს, ლიტერატურა იცი და ლექსების თქმის ჩემპიონი ხარ. შენი თამადობა ერთ რამედ ღირს! ყველას სიამოვნებს.

ერთხელ შემომიჩნდა, ერთი ისეთი ლექსი მომინახე, სუფრის აშლის წინ გამოსამშვიდობებელ სადღეგრძელოს რომ მოუხდებაო. დავუსახელე რაღაც ლექსები, არ მოეწონა. მერე ვუთხარი, მგონი, მამია გურიელს უნდა ჰქონდეს ისეთი ლექსი, შენ რომ მოგეწონება-მეთქი. გურიელს ასეთი ლექსი არ აქვს, მე დავწერე, გურიელის სახელს ტყუილად ამოვეფარე. მოეწონა ჩემს დირექტორს ეს ლექსი და სუფრის აშლისას ბოლო სადღეგრძელოს ყოველთვის ამ ლექსით ამთავრებდა. ერთხელ ამ ლექსმა ძალიან შიში მაჭამა (შეიძლება იმის გამოც, რომ ჩემისთანა წარსულის კაცს ყველაფერი ელანდება და გაზვიადებულად ეჩვენება). აი, ეს ლექსიც:

გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო თქმული გამთენიისას
ღამენათევ მალხინართა სუფრიდან აშლის წინ

მეგობრებო, წასვლის დროა,
სინათლე ჩანს გარეთ მკრთალი,
ჰა, საცაა მზეც ამოვა,
მზე ნათელი, გულმართალი,
მხოლოდ ერთი ყანწიც მოვა
ჯიხვის რქისგან განათალი.

დღეგრძელობა ჩვენს სამშობლოს
წინაპართა ძვლებს და სახელს,
მამულისთვის მებრძოლ მხედრებს,
მათ დამლოცველს და მათ მნახველს,
მათ სიცოცხლე – სიკვდილი მტრებს,
საქართველოს ავად მზრახველს.

გაიზარდოს ის ყმაწვილი,
აკვნიდან რომ შემოგვცინის,
გვაპატიოს, ტკბილი ძილი,
რომ დავუფრთხეთ ჩვენი ლხინით.
ჰქონდეს სიბრძნე ავთანდილის
და ღიმილი თინათინის.

გაუმარჯოს ამ ჩვენს წასვლას,
სიხალისეს და ტკბილ ლხენას,
გაზაფხულზე ვაზის გასხვლას,
შემოდგომით მაჭრის დენას.

დღეგრძელობა საქართველოს,
დღეგრძელობა ქართულ ენას,
სიხარული ნათელ ვარსკვლავს,
ჩვენს წასვლას და თქვენს დარჩენას.

დირექტორი, ამასთან ერთად, ზოგჯერ იყო ცინიკოსიც, იუმორის მქონეც, ხანდახან მეტისმეტად ყიამყრალიც (როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე), ლაპარაკში მოურიდებელი და ზოგჯერ – გაუფრთხილებელიც.

ერთხელ ჩვენს სკოლაში განათლების კომისარიატიდან შემოწმებაზე მოვიდა ინსპექტორი, ბუნებისმეტყველი ნიკო ჯაფარიძე (იყო მეორე ნიკო ჯაფარიძეც, ქიმიკოსი), ხანში შესული, დარბაისელი კაცი. წერილებსაც აქვეყნებდა პედაგოგიურ პრესაში. და აი, რა მოჰყვა ერთხელ ამ ლექსის თქმას. სოფელ ეზატში (კავთისხევის ახლოსაა) ჩვენი მოსწავლის მშობელმა დაგვპატიჟა ორი მასწავლებელი და დირექტორი. მაისის ბოლო რიცხვები იყო, მზიანი ამინდი. 15-მდე კაცს მოეყარა თავი. სტუმრებს შორის აღმოჩნდა პარტრაიკომის მუშაკი მეზერნოვი. არ ჰქონდა კარგი სახელი. თამადობდა გრიშა ბოჭორიშვილი. ექსტაზში შევიდა, როგორც ქართულ სუფრაზე ხდება ხოლმე, სადღეგრძელოების ობიექტები ცამდე აიყვანა ქება-დიდებით. მეზერნოვის სადღეგრძელო რატომღაც ზერელედ, აგდებულად დალია და ასე დაამთავრა: „ისე გაგიმარჯოს, როგორც ღირსი იყოო“. რაიკომის მუშაკმა არ შეიმჩნია, მაგრამ ჩანდა, მისდამი ასეთი დამოკიდებულება ძალიან ეწყინა. საკმაოდ მოვილხინეთ. გამთენია არ იყო, მაგრამ ბოლო სადღეგრძელო ბოჭორიშვილმა მაინც ამ ლექსით დაამთავრა. გზაში, უკან რომ ვბრუნდებოდით, მეზერნოვი ეკითხება დირექტორს:

– ამხანაგო გრიშა, ამ სიგრძე ლექსში სტალინი და ბერია რატომ არ არის ნახსენები?

ბოჭორიშვილმა მკვახედ უპასუხა:

– იცი შენ, ვისი დაწერილია ეს ლექსი? მამია გურიელისაა!

– გურიელისაა თუ ვიღაცასი, საბჭოთა ჰაერს რომ სუნთქავს, საბჭოთა პურს რომ ჭამს? ვითომ არ მოსწონს ჩვენი ქვეყანა?

ბოჭორიშვილი გაცეცხლდა:

– გურიელი არც საბჭოთა ჰაერს სუნთქავს, არც საბჭოთა პურს ჭამს.

მეზერნოვმა ნიშნის მოგებით უპასუხა:

– მაგას ვამბობ მეც. გურიელი ჩვენი კაცი არ უნდა იყოს. ალბათ ფაშისტებს

ელოდება. ამას უნდა მიმხვდარიყავი შენ. პარტიის წევრი ხარ. ასეთ ლექსებს არ უნდა ამბობდე.

ერიჰა, საქმე ცუდად მიდის! დირექტორმა მთლად გააფრინა:

– გურიელმა არც ფაშიზმი იცის და არც კომუნიზმი. არც სტალინი და არც ახლანდელი ომი.

– ეს როგორ, ამხანაგო გრიშა?

– ეს ასე, ამხანაგო ლევან! გურიელი დიდი ხნით ადრე მოკვდა, ვიდრე ჩვენი საყვარელი ბელადები ასპარეზზე გამოვიდოდნენ, ვიდრე საბჭოთა კავშირი შეიქმნებოდა, ვიდრე ეს საშინელი ომი დაიწყებოდა. ის წინასწარმეტყველი ხომ არ იყო, რომ წინასწარ სცოდნოდა, ვინ შეექო და ვინ დაეგმო?

რაიკომის მუშაკი კარგა ხანს შეჩერდა. რა იცოდა მან, ვინ იყო მამია გურიელი, როდის ცხოვრობდა და როდის მოკვდა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და თქვა:

– მაგ ლექსს მაინც უნდა დაემატოს ბელადების სახელები. მე ასე გირჩევ, თორემ შეიძლება ცუდად წავიდეს საქმე.

ის თავის გზას გაუდგა, ჩვენ ციხისუბანს მივაშურეთ, ახლო-ახლოს ვცხოვრობთ. ეზოში გულმოსულად ეუსაყვედურე დირექტორს:

– გრიშა, გაანებე თავი ამ ლექსების თქმას. ხომ ხედავ, რა გითხრა იმ ჩათლახმა? შენ რაღაც უბედურებაში გამხვევ!

– შენ რა შუაში ხარ?

– იმ შუაში ვარ, რომ ეგ ლექსი გურიელმა კი არა, მე დავწერე. რა ეშმაკმა შემაცდინა, არ ვიცი.

გაჩერდა. მაგრად შემანჯღრია და სიცილით თქვა:

– ნუ გეშინია, წერე, წერე ასეთი ლექსები. თუ პოეტი არ გამოხვალ, წერას უკეთესად ისწავლი. გახსოვს ღვანკითელისა და აკაკის გაშაირება?[1] ჰოდა ასე, წერე, ნუ გეშინია. ის კი ფეხებსაც ვერ მოგვჭამს.

გაკვეთილები დაწყებული იყო. სამასწავლებლოში შემოვიდა ბატონი ნიკო ჯაფარიძე. გამოგვეცნაურა და თქვა, რამდენიმე გაკვეთილს მინდა დავესწროო. აი, ცხრილი და აირჩიეთ, რომელ კლასში ისურვებთ დასწრებასო, უპასუხა ბოჭორიშვილმა.

ნიკო მივიდა ცხრილთან და კითხულობს. ხელი დაადო ზოოლოგიისა და ბოტანიკის გაკვეთილებს.

– ვინ ასწავლის ზოოლოგიას? – იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

– მე ვასწავლი.

– ძალიან სასიამოვნოა. ექსკურსიებს თუ აწყობთ, ყმაწვილო?

– აბა, არ ვაწყობ?

– მაინც სად?

– ღელეში.

– ღელეში?

– ღელეში.

---

[1] იგულისხმება გავრცელებული ისტორია პოეტისა და გულწრფელი პატრიოტის, ვარდენ ყიფიანისა (ფსევდ. „ღვანკითელი“) და აკაკი წერეთლის პოეტური „გაშაირების“ შესახებ: „შენ საჩხერის არწივი ხარ, / მე – ღვანკითის შევარდენი, / შენც პოეტი, მეც პოეტი, / შენ აკაკი, მე ვარდენი“, და აკაკის პასუხი: „წერე, წერე, ჩემო ვარდენ, / მტერს დაასე ისარიო, / თუ მწერალი არ გამოხვალ, / წერას მაინც ისწავლიო“.

– ჰმ... – რაღაც ორჭოფულად ჩაიქირქილა ინსპექტორმა.

– ჰმ... – გაიმეორა დირექტომაც და გაახურა: – ჩემმა მოწაფეებმა შესანიშნავად იციან ზოოლოგია. აი, ახლავე გამოვუძახებ ორ-სამ ბავშვს. ჩავლენ ღელეში და ცოტა ხანში მოგვიყვანენ ჭიაყელებს, კიბორჩხალებს, ხვლიკებს, ლიფსიტებს, გნებავთ, გველსაც კი.

ნიკომ ხელები გაასავსავა.

– არაა საჭირო, ყმაწვილო, არაა საჭირო! ბოტანიკას ვინ ასწავლის?

– მე ვასწავლი.

ნიკომ რატომღაც ისევ იკითხა:

– ექსკურსიებს თუ აწყობთ, ბატონო?

– ვაწყობ, აბა არ ვაწყობ? ყოველდღე ტყეში არიან.

– ეს როგორ?

– ფიჩხებისთვის, შეშისათვის მიდიან. გარწმუნებთ, ბატონო ნიკო, ჩვენზე კარგად იციან, რომელ ბალახსა და ყვავილს რა ჰქვია, როგორ ამოდის და როდის ჭკნება. სამკურნალო მცენარეებსაც კარგად ცნობენ და ბლომადაც აგროვებენ, განსაკუთრებით, რადიქსვალერიანს. ხეებზე ხომ ნუღარ იტყვით, არაფერი ეშლებათ.

მოჰხვია დირექტორმა ხელი მხარზე და შეიყვანა კაბინეტში. იქ ყოველთვის იყო ხილი. პირი გაისველეთო, შეიპატიჟა. მერე დირექტომა სხვა საკითხზე გადაიტანა საუბარი.

– სიძვირეა ხომ თბილისში?

– ცეცხლი ეკიდება ყველაფერს, ყმაწვილო! განსაკუთრებით სურსათ-სანოვაგეს.

– აქაც გაძვირდა ყველაფერი, მაგრამ რაღაც-რაღაცები მაინც იშოვება უფრო შეღავათიანად.

ინსპექტორი მხოლოდ სხვა მასწავლებლის ორ გაკვეთილს დაესწრო და წასვლა მოისურვა.

დირექტორი გაოცდა:

– სად უნდა წახვიდეთ? „ლინეიკები“ საღამომდე არ იქნება! ერთად ვისადილოთ და მერე გაგამგზავრებთ.

ასეც მოხდა. თან ერთი სიკეთეც მიაყოლა. ადგილობრივ მასწავლებლებს რაღაცას მოელაპარკა და მალე სკოლაში გაჩნდა 12 კილოგრამამდე ფქვილი, 5-6 კილო ლობიო, ნიგოზი, ხილიც. პირველად ძალიან იუარა ბატონმა ნიკომ, მაგრამ მერე მიიღო ეს ძღვენი. ომის წლები იყო და ფქვილსაც და ლობიოსაც დიდი ფასი ჰქონდა. გავამგზავრეთ ჩვენი სტუმარი, მაგრამ დაგვრჩა ინსპექტორისა და დირექტორის საუბარი ექსკურსიებზე – „ღელეში“ და „ტყეში“.

რუს მწერალ პომიალოვსკის, მგონი, სოფრომ მგალობლიშვილსაც, თავიანთ „მოგონებებში“ მოთხრობილი აქვთ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობდა. იმაზედაც აქვთ საუბარი, რომ ბავშვები ზოგიერთ თავიანთ მასწავლებელს ზედმეტი სახელით ნათლავდნენ. ეს ზედმეტი სახელი მათ ზოგჯერ სიძულვილით ჰქონდათ შერქმეული, ზოგჯერ სიყვარულით, ზოგჯერაც სრულიად ნეიტრალური იყო და რაღაც ვითარებას უკავშირდებოდა. რაკი ისევ სკოლის შიგნით ვტრიალებ, მეც მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სკოლაშიც ჰქონდა რამდენიმე მასწავლებელს შერქმეული ზედმეტი სახელი: „ზეთი“, „შანსი“, „დახრჩობილი“,

„მძიმე მაქ“, „გახვრეტილი“. ეს ჩემი ზოგიერთი მოსწავლისგან გავიგე (ზევით უკვე ვთქვი, რომ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მე არაფერს მიმალავდა).

ერთხელ რომელიღაც კლასს გაკვეთილი უცდებოდა. ბავშვები ხმაურობდნენ და დერეფანში გავედი. რამდენიმე ბიჭი ოთახის კართან იდგა და ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. ვკითხე:

– ვისი გაკვეთილი გიცდებათ?

– ზეთის, მასწავლებელო.

ამის მთქმელს მეორე ამხანაგმა თავში ხელი წაჰკრა და შეუყვირა:

– არ იცი, ვის ელაპარაკები?

ბავშვები კლასში შევიყვანე და დავაწყნარე. მაშინ არაფერი მიკითხავს, ვის ეძახიან „ზეთს“, რადგან ცხრილი როცა ვნახე, ჩემთვის გასაგები გახდა – „ზეთს“ მათემატიკის ერთ მასწავლებელს უწოდებდნენ. ახლა დამაინტერესა, რატომ უწოდებდნენ მას ასე.

გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ ჩემს მოსწავლეს ვკითხე, რატომ მონათლეთ ამ სახელით ის კარგი მასწავლებელი-მეთქი?

– ეგ სახელი კერესელიძის გოგომ შეარქვა და მერე ყველა ასე ეძახის.

– რატომ?


– მასწავლებელო, ის რომ გაკვეთილს გვიტარებს ან გველაპარაკება, სულ თავპირი ჩამოსტირის. ეგ გაღიმებული ან გაცინებული ჩვენ არ გვინახავს. ასე ეგონება კაცს, თვალებიდან ზეთი ჩამოსდის.

მათემატიკის მასწავლებელი დავიცავი, მაგრამ დასკვნა კი ასეთი უნდა გამოვიტანოთ: გაკვეთილზე ერთხელ მაინც რომ არ გაუცინებს ბავშვებს, არ გაუღიმებს კლასს, არ გაეხუმრება რომელიმე ბავშვს, ის რა მასწავლებელია?

ყველაზე საინტერესო მაინც „მძიმე მაქ“ იყო. პირველად ვერ გავიგე, რატომ უნდა შეერქმიათ მასწავლებლისთვის „მძიმე მაქ“ ან რას ნიშნავდა ეს. საქმე კი თურმე ასე იყო: ომიანობის წლებში სახელმძღვანელოებისა და რვეულების დიდი გაჭირვება იყო. ზოგჯერ კლასში ამა თუ იმ საგნის 2-3 სახელმძღვანელო თუ იქნებოდა, ეს დიდ ბედნიერებად ითვლებოდა. ამიტომ ხშირად მასწავლებლები შესასწავლ მასალას ბავშვებს ზეპირად კარნახობდნენ.

და აი, ერთი მასწავლებელი დადის დაფის წინ და კარნახობს წინადადებებს. შერწყმული და რთული წინადადებებიც ხშირად ისმის მისგან. ხშირადვე უწევს იმის თქმა, რომ რომელიმე სიტყვის შემდეგ მძიმე (,) უნდა დაისვას და ამბობს: „მძიმე მაქ“, ე. ი. მანდ მძიმე დასვითო. ბავშვებმა ეს „მაქ“ „მაქვს“ სიტყვის ვარიანტად აღიქვეს და ეშმაკურად „გაიგეს“ ისე, როგორც „მძიმე მაქვს“. რასაკვირველია, მერე ყველანი მიხვდნენ, რომ აქ მძიმის დასმაზე იყო ლაპარაკი და არა რაიმე სიმძიმის ქონაზე. მაგრამ „მძიმე მაქ“ მაინც დარჩა მათ ცნობიერებაში და ამ სიტყვებითვე მონათლეს მასწავლებელიც.

ქვემოიმერულ დიალექტში (გურულშიც) „მაქ“ სიტყვა სასაუბრო მეტყველებაში ორი მნიშვნელობით იხმარება: „მაქვს“ და „მანდ“. მაგალითად, „შენს გაზრდას, მაქ დოქი დგას და მომაწოდე“ (აქ „მანდ“ მნიშვნელობით), ხოლო შეიძლება მოისმინოთ ასეც: „შე კაცო, მაქ და არ გასესხებ ფულს?“ (აქ კიდევ „მაქვს“ მნიშვნელობით). ეს ისე, სხვათა შორის.



არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია

დასკვნა კი აქ დაბეჭდილი გამოდის: ყველა მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, ლიტერატურული ქართულის ელაპარაკებოდეს ბავშვებს. „შანსი" დირექტორს გულისხმობდა. სხვა შემრჩენელ სახელებსაც თავისი წარმომშობი მიზეზები ჰქონდა.

ქართულ ლიტერატურას ვიცი საბელმძღვანელოებით ვასწავლიდი, არ მახსოვს. რაც შეეხება ქართულ ენას (გრამატიკას) პირველად ვასწავლიდი ილია სიხარულიძის „ქართული ენით" (რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა). ორი თუ სამი წლის შემდეგ იგი შეცვალა აკადემიკოს აკაკი შანიძის „ქართულმა ენამ".

სიხარულიძის „გრამატიკა" გაცილებით უფრო დასაძლევი, მეთოდიკურად უფრო გამართული იყო ბავშვებისთვის. ჩემი აზრით, მას უფრო პრაქტიკული განხრა ჰქონდა. არ იყო გადატვირთული ზედმეტი თეორიული საკითხებით. რაც შეეხება შანიძის სახელმძღვანელოს, მასში შემოკლებულად თითქმის მთელი ქართული გრამატიკა იყო წარმოდგენილი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტი ამ წიგნით აბარებდა საგანს და დადებით ნიშანსაც იღებდა. ბავშვებს (და მასწავლებლებსაც) ძალიან უჭირდათ ამ წიგნით სარგებლობა. პირადად მე ამ წიგნს ჩემებურად „ვთარგმნიდი" და მასალას ისე ვანვდიდი მოსწავლეებს. ეს კი საჭირო არ უნდა იყოს მაშინ, როცა წიგნი არსებობს. მაპატიეთ ჩემი კრიტიკული აზრი, მაგრამ უნდა ვთქვა, შანიძის სასკოლო სახელმძღვანელო არ არის უზადო. ის გასამარტივებელია (ერთხელ განათლების სამინისტრომ კონკურსიც გამოაცხადა ახალ სახელმძღვანელოზე, მაგრამ მასში არავინ მიიღო მონაწილეობა).

ერთხელ ამ საკითხზე „სკოლა და ცხოვრების" რედაქციაში ვარლამ თოფურიასთან მქონდა საუბარი. გულისტკივილით ვუთხარი, რომ თუ ჩვენმა საშუალო სკოლადამთავრებულებმა ცუდად იციან სალიტერატურო ქართული ენა, ეს სახელმძღვა-

ნელოს სიძნელის ბრალიცაა-მეთქი. დამეთანხმა: მართალია, სახელმძღვანელო ისე არაა დაწერილი, როგორც უნდა იყოს, სახელმძღვანელო სხვა კუთხით უნდა აიგოსო.

მაშინ მე მას ვკითხე:

– რატომ თქვენ არ წერთ სახელმძღვანელოს? დარწმუნებული ვარ, ის უფრო მისაწვდომი და გასაგები იქნება ბავშვებისთვის.

ვარლამ თოფურია სათვალეს წმენდდა. შეჩერდა, გაწითლდა და მიპასუხა:

– რასა ბრძანებთ? ბატონ აკაკის წინ როგორ გადავუხტები, ჩემი მასწავლებელია, დიდი მეცნიერია.

კი, ბატონო, ვინ უარყოფს, რომ დიდი მეცნიერია, მაგრამ სახელმძღვანელო რომ მეტისმეტად „მძიმე მოსანელებელია“, ესეც ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება გამომყვა ჩემი პრაქტიკული მოღვაწეობიდან. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ გაზ. „სახალხო განათლებაში“ მე შენიშვნები გამოვთქვი. ახლა აღარ მახსოვს, რას ვწერდი. მართალი იყო ჩემი შენიშვნები თუ არა, არ ვიცი, მაგრამ საკითხი ხომ მაინც დავსვი: სახელმძღვანელო ან ძირეულად გადაკეთდეს, ან ახალი დაიწეროს. განათლების სამინისტრომ გამოყო კომისია, რომელშიც შედიოდნენ პროფ. მ. თალაკვაძე, ივ. გიგინეიშვილი და სხვ. კომისიის წევრებს ეთქვათ: ვიცნობთ ბატონ მიხეილ კეკელიძეს, ნიჭიერი კაცია, მაგრამ მისი შენიშვნები მიუღებელიაო.

კარგი და პატიოსანი, შენიშვნები მიუღებელია, მაგრამ ეს სასკოლო სახელმძღვანელო რომ მოსწავლეებს კარგად ვერ ემსახურება, მაინც ფაქტად მიმაჩნია.

სკოლასთან დაკავშირებით თუ რაიმე გამახსენდა კიდევ, ქვემოთ მოგახსენებთ.

№18

ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს, 1935-36 წლებში, თბილისში ჩამოვიდა ბასკების ფეხბურთელთა გუნდი. მან ორი მატჩი გამართა თბილისის „დინამოსთან“. თბილისელებმა ორივე შეხვედრა წააგეს. ერთ-ერთ მათგანს (არ მახსოვს, პირველს თუ მეორეს) მეც დავესწარი. ფეხბურთი და ჭადრაკი ბავშვობიდანვე მიყვარდა, მოყვარულის დონეზე. ბასკების გუნდში ნამდვილი დიდოსტატები იყვნენ, თუმცა ჩვენებსაც არ უთამაშიათ ცუდად. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბორის პაიჭაძე. კარგად მახსოვს, როგორ გაუსხლტა იგი თავის მეტოქეებს ბრწყინვალე დრიბლინგით და უახლოვდებოდა მოწინააღმდეგის კარს. ამ დროს მას რომელიღაც ბასკი უკნიდან წამოეწია და, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, პაიჭაძეს მაისურსა და ტრუსში ჩაავლო ხელი შესაჩერებლად და ტრუსი ნახევრად ჩახადა, რამაც მაყურებელთა სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

ამ მატჩის სანახავად სოფლიდან საგანგებოდ ჩამოვედი. შუადღისას ბილეთის შესაძენად სტადიონს მივაშურე, მაგრამ მაშინვე იმედი გადამეწურა – ზღვა ხალხი ირეოდა. სალაროებთან მიახლოების არავითარი საშუალება არ იყო. დარჩა ბილეთის შოვნის ერთადერთი გზა, გადამყიდველების მონახვა. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა: ისინი სტადიონიდან მოშორებით, მოფარებულში სარფიანად ვაჭრობდნენ. მათაც უამრავი ხალხი ეხვია გარს. როგორც იქნა, ერთ-ერთ მათგანს მივუახლოვდი და 50 მანეთად ბილეთი ვიყიდე (ეს 50 მანეთი მაშინდელი კურსის მიხედვით საკმაოდ დიდი თანხა იყო).

გახარებული წამოვედი და ახლა რომ წერეთლის პროსპექტი იწყება, სტადიონის მოპირდაპირე მხარეს, ბაღში შევედი. იქ მაშინ ღია ჯიხურები ჩაემწკრივებინათ, ვაჭრობდნენ საჭმელ-სასმელით, მაყალზე მწვადებსაც აშიშხინებდნენ. ყოველ ჯიხურთან მაგიდები და სკამები იდგა. ვიფიქრე, აქ შევისვენებ, ცოტა რამეს შევჭამ და ამასობაში ნელ-ნელა დროც გავა-მეთქი. ამ დროს მესმის:

– მიშა, მიშა, მომიცადე!

მივიხედე უკან და დავინახე ქვემო ხანდაკის (სადგურ კავთისხევიდან 2-3 კილომეტრზე იქნება, მარჯვენა მხარეს) დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი ალ. მახარაძე. ერთხანს ზოგიერთი დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ჯამაგირის მისაღებად ჩვენს სკოლებში მოდიოდნენ. აქ გავიცანი იგი. გიტარაზე კარგად უკრავდა და მღეროდა. ლხინშიც ბევრჯერ მოგვიწია ერთად ყოფნა. ძალიან დამიახლოვდა და მთხოვა, შვილი მომენათლა. უარი არ ვუთხარი, როგორც შესაფერი დრო დადგება, ბავშვი მოვნათლოთ-მეთქი.

ერთ მაგიდას მივუსხედით, საჭმელი და ორი ბოთლი რვა ნომერი კახური მოვატანინეთ (კარგი ღვინო იყო, მერე გააფუჭეს). ვლაპარაკობთ ათას რამეზე, თითო ბოთლი გამოვცალეთ და ერთიც მოვითხოვეთ. ცხელოდა და მეტის დალევა არ შეიძლებოდა. უცებ ვხედავ, ეს ჩემი მეგობარი ტირის. გაშტერდი, რა მოხდა, რა დაემართა ამ კაცს? მე მინახავს რუსები (ქართველებშიც შევხვედრივარ), როცა დათვრებიან, ტირილს იწყებენ, გულზე ხელს იბრაგუნებენ და მოთქვამენ, არავის ვუყვარვარ ამ ქვეყანაზე, ყველასგან მიტოვებული ვარ და სხვა ამდაგვარი. მაგრამ ამას რა მოუვიდა? ნუთუ ერთმა ბოთლმა დაათრო ეს ჯანიანი ბიჭი?

გაოცებით შევეკითხე:

– რა გატირებს, კაცო?

– ცუდად არის ჩემი საქმე.

ვიფიქრე, ოჯახში ალბათ რაღაც უსიამოვნება მოუვიდათ-მეთქი და ვანუგეშე:

– დამშვიდდი, ცოლი და ქმარი წალაპარაკდებიან, მაგრამ მალე ისევ შერიგდებიან. არა გრცხვენია, მაგისთვის ტირი?

საწყლად შემომხედა:

– ნეტავ, მართლაც ეგრე იყოს!

– რა დაგემართა?

– ჩეკა გადამეკიდა.

არ მახსოვს მაშინ „გეპეუ“ იყო თუ „ენკავედე“. უბრალოდ ყველას მათ მე ჩეკისტებს ვუწოდებ, ხოლო რითაც გამოირჩეოდნენ ჩეკისტები, ეს ყველამ კარგად იცის.

„ჩეკა გადამეკიდაო“, რომ მითხრა, ტანში ამბურძგლა. ერიჰა, აქ რაღაც ამბავია! ცხადია, სასიამოვნო არაფერი იქნება.

– მაინც რა უნდათ შენგან? – შევეკითხე ხმადაბლა.

ღვინო მოსვა და მიპასუხა:

– ორი კვირის წინათ ჩეკას უფროსმა გამომიძახა და მკითხა: შენ საბჭოთა ხელისუფლების მტერი ხარ თუ მოყვარეო. მოყვარე-მეთქი, ვუპასუხე. ადგა, გაიარ-გამოიარა, წელზე რევოლვერი შეისწორა და მეუბნება:

– თუ მოყვარე ხარ, მალე გამოჩნდება. ერთ საქმეს დაგავალებთ და ის უნდა შეასრულო.

მე ხმას არ ვიღებ, ის კი განაგრძობს:

– ჩვენს მთავრობას და პარტიას უამრავი მტერი ჰყავს. მოღალატენი, ნაძირლები ახლა სოროებში მიიმალნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩვენ მათ სოროებიდან გამოვათრევთ და დავხვრეტთ. აი, ქვემო ხანდაკშიც არიან ჩვენი მტრები და ისინი შენ უნდა გამოამჟღავნო.

ფერდაკარგულმა ძლივს ამოვიღე ხმა:

– მე როგორ უნდა გამოვამჟღავნო? მე მოსული კაცი ვარ. სოფლელებს ჯერ კარგადაც არ ვიცნობ.

უცებ შემომიტია:

– ხმა, კრინტი! გაიცნობ, მამაძაღლო, და იმ თვეში სამ კაცს ჩამაბარებ. ჩვენ გეგმა გვაქვს. არ შეასრულებ და შენ თვითონ აგიყვან პირველად. ახლა ლაპარაკი არ იყოს! წახვალ და ერთი თვის შემდეგ პირადად შენით გამოცხადდები ჩემთან! შენი ნომერი იქნება 18. მისაღებში მორიგეს ეტყვი, №18 მოვიდა-თქო და გამოგატარებენ. სახელისა და გვარის თქმა საჭირო არ არის.

გაჩერდა მახარაძე, ისევ მოსვა ღვინო და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს:

– აბა, მითხარი, ვის უნდა დავადო ხელი? არც ჩემთვის, არც მთავრობისთვის ვინმეს ცუდი არ გაუკეთებია და, გინდა თუ არა, ხელი დაადეო, თქვი: ხალხის მტერიაო. ეს რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი, მხოლოდ ღმერთმა იცის! მთელი ღამეები არ მძინავს!

რა ვურჩიო ამ კაცს? კი ვურჩევ, არაფერზე არ დაეთანხმო-მეთქი, მაგრამ რომ არ ვიცი მისი გამძლეობის ამბავი? ვაითუ მაშინვე თქვას, კეკელიძემ ასე დამარიგაო.

ძლივს წავილუღლუღე: – როგორც შენმა სინდისმა გამოჭრას, ისე მოიქეცი-მეთქი.

სტადიონზე შევედით. ის სამხრეთის ტრიბუნებისკენ წავიდა, მე – აღმოსავლეთისკენ.

რასაკვირველია, მასთან ნათელ-მირონობაზე ლაპარაკი იმის შემდეგ, რაც მისგან გავიგე, ჩემთვის შეუძლებელი იყო. ნელ-ნელა დავშორდით ერთმანეთს. არ ვიცი, როგორ წავიდა მისი საქმე. მასთან შეხვედრას ვერიდებოდი და, როცა ხანდახან მაინც შევხვდებოდი, ამ საკითხზე არც მას და არც მე კრინტი არ დაგვიძრავს.

ჩეკას უფროსად მაშინ კასპის რაიონში მგონი კუკუტარია ბრძანდებოდა.

სკოლის გარეთ

გარდა სკოლისა, ჩვენ სკოლის გარეთაც გვქონდა საკუთარი ცხოვრება. ყველას გვეშინოდა, არ დავეჭირეთ. ეს ძალიან ადვილად შეიძლებოდა 1931–1937 და მომდევნო წლებში. გავიხსენებ ერთ მაგალითს, რომელიც სკოლაში მითხრეს. სოფელში ცხოვრობდა მასწავლებელი ქალი ღვამბერია. ის ადგილობრივ მცხოვრებ აგრონომ კოტეტიშვილზე იყო გათხოვილი და შვილებიც ჰყავდა. ერთ დღეს ხმა გავარდა, დაიჭირესო. მიზეზი? საღამო ხანს ახალგარდაცვლილი მამამთილისა თუ რომელიღაც ახლობლის საფლავზე მისულიყო და ყვავილები მიეტანა. დააბრალეს, საღამოობით სასაფლაოზე ანტიკომუნისტურ კრებებს აწყობსო. სამი წელი მიუსაჯეს. კიდევ კარგი, ვადის გასვლის შემდეგ გაათავისუფლეს და ოჯახს დაუბრუნდა, თორემ უარესიც შეიძლებოდა, ისევ დაუმატებდნენ ახალ სამ წელს. გამკითხავი ვინ იყო?

შიში, ნერვიულობა და ეკონომიკური გაჭირვება თანდათან მატულობდა ყველგან და, მათ შორის, ცხადია, სოფელ კავთისხევშიც. ეს დიდი, ისტორიული სოფელია, მთლიანად ქართული მოსახლეობით. იყო რამდენიმე კომლი, რომლებიც სომხებად იწერებოდნენ, მაგრამ აბსოლუტურად არაფრით განსხვავდებოდნენ ქართველი გლეხებისაგან. მათი დედაენა ქართული იყო და ბავშვებიც სკოლაში ქართულად სწავლობდნენ. სომხური მათთვის უცხო ენა იყო. ეს სომხური ოჯახები, ჩემი აზრით, წმინდა ქართველები იყვნენ, რაღაც მიზეზით გრიგორიანულ სარწმუნოებაში გადასული.

ამ საკითხზე, თუ რა ნიადაგზე ხდებოდა ეს, მე წერილიც გამოვაქვეყნე „სკოლა და ცხოვრების“ დამატებაში – „ისტორია-გეოგრაფია სკოლაში“ (1982 წ.). ახლა ერთ ფაქტსაც დავუმატებ.

ჩემი სახლის პირდაპირ თბილისში ცხოვრობს ოთხმოცი წლის ბაგრატ დათუაშვილი. თავისი ბინის წინ, ქუჩაში, ვაზები ჩაჰყარა, გაახარა და თვალის ჩინივით უვლის. როცა გამოვემცნაურე, გავიგე, იდლელი ყოფილა (კავთისხევის მოსაზღვრე სოფელი). მე ვკითხე, დათუაშვილები მოსწავლეები მყავდა და ერთი-ორი დავუსახელე, შენი ხომ არაფერია-მეთქი. – მეო, – მიპასუხა, – კოლექტივიზაციის დროს სოფლიდან გამოვიქეცი, თბილისში დავსახლდი და რკინიგზაზე დავიწყე მუშაობა. მას შემდეგ სოფელთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვს. ახლა ვცხოვრობ ჩემთვის, მაგრამ ერთი სადარდებელი მიმყვებაო.

გაოცებით ვკითხე:

– რა სადარდებელი მიგყვება, ბაგრატ?

– პასპორტში მიწერია, თითქოს მე სომეხი ვიყო. ახლა რომ აღწერა იყო (1988 წელს) სომხად ჩამწერეს.

– დათუაშვილი სომხად როგორ იქეცი, შე კაი კაცო?

– საქმე ასე იყო. 1911 წელს ვარ დაბადებული იდლეთში. რა ვიცი, რა უბედურების გამო, იმ წელს ჩვენში ქართველი მღვდელი არ ყოფილა. მოუნათლავს ხომ არ დამტოვებდნენ? საიდანღაც მოიყვანეს სომხის ტერტერა და იმ წელს დაბადებულები მან მოგვნათლა და ყველანი დავთარში სომხებად ჩაგვწერა. ასაკში რომ შევედი, მერე მივაქციე ჩემს „სომხობას“ ყურადღება და აბა, აქ იყო მერე, რომ დატრიალდა ჯარა. ყველგან მეუბნებოდნენ: დაგვიმტკიცე, რომ მამა-პაპანი ქართველები გყავდნენო. მე უცოდინარი კაცი ვარ, ვერაფრით დავუმტკიცე, რომ ქართველი ვარ, დათუაშვილი, იდლეთში დაბადებული, მამაც და დედაც ქართველები მყავდნენ. დავრჩი ასე. ახლა, მგონი, რაღაც შეიცვალა, მაგრამ რალა დროს? ჯანი არ მომდევს მილიციაში და სხვაგან სარბენად.

აი, ასე გადაიქცეოდნენ ქართველები სომხებად საქართველოში და, მათ შორის, იდლეთ-კავთისხევშიც.

მოსახლეობა კეთილი და სტუმართმოყვარეა, ძველი ტრადიციების დამცველი. მე რომ 1935 წელს კავთისხევში მივედი, ასეთმა ფაქტმა მიიქცია ჩემი ყურადღება. მივდივარ ორლობეში ან შუკაში. ეზოში დიასახლისი პურს აცხობს, თონიდან შოთები ამოაქვს. მე გზას განვაგრძობ და უცებ მესმის:

– მასწავლებელო, მოითმინეთ!

შევჩერდი. შავებში ჩაცმული ქალი მიახლოვდება. მოაქვს ცხელი პური, ერთი პეშვი კაკალი და მეუბნება:

– მიირთვით ახალი პური, შეგერგოთ!

მადლობა გადავუხადე და პური გამოვართვი. ეს მე პირველად ისე მეგონა, რომ რაკი მასწავლებელი ვიყავი, მიცნო და ცხელი პური იმიტომ მომაწოდა-მეთქი. როცა ეს სამასწავლებლოში მოვყევი, ადგილობრივ მასწავლებლებს გაეცინათ: – არაო, – მითხრეს, – აქ წესია, თუ ეზოს წინ მგზავრი გაივლის, ვინც არ უნდა იყოს ის, ნაცნობი თუ უცნობი, ცხელ პურს აუცილებლივ შესთავაზებენო.

ამის მომსწრე შემდეგში მე ხშირად ვყოფილვარ, მაგრამ იმის მოწმეც გავხდი, რომ ორ წელიწადში, გაჭირვების მატებასთან ერთად, ეს წესიც თანდათან გადავარდა. უკვე პურის მცხობელი შავოსანი დიასახლისი იმას კი არ ამბობდა, მოითმინეთ, ცხელი პური მიირთვითო, არამედ ცდილობდა, სადმე მიმალულიყო, ვიდრე მგზავრი ჩაივლიდა.

გულკეთილია ქართველი გლეხკაცი, უცნობისა და უცხოსათვის არაფერი ენანება. გულღიად იღებს ყველას. ამასთან, ერთი შემთხვევა გამახსენდა. სოფელ სიმონეთში ვიყავი ჩემს სიძე დავით ღვინეფაძესთან ოჯახში. ორი დღე დავრჩი. გასაგებია, რა დღეშიც ვიქნებოდი. პურ-მარილი არ გვაკლდა. მესამე დღეს დილის საუზმეს სმა გადაება. საკმაოდ დავთვერი. ცხელი ზაფხული იყო. ავიჩემე, თბილისში აუცილებლივ უნდა ვავიდე-მეთქი. გადამყვნენ ჩემი და და სიძე, ხვალ ერთად წავიდეთო. მაგრამ ხომ იცით მთვრალი კაცის ამბავი? შევჯექი ჯორზე და წამოვედი. შუადღეა. სიცხისგან იწვის ყველაფერი. გზაში წყურვილისაგან ლამის გავგიჟდე, მაგრამ მოსახლეები შორი-შორს არიან და მათთან მისვლა კიდევ უფრო გამიჭირდება. მთავარ გზაზე გასვლამდე ორი-სამი კილომეტრი იქნება. მივდივარ, ცალკე სიცხე, ცალკე წყურვილი და ცალკე დალოცვილი ღვინო მაწუხებს, ლამის წავიქცე. მაგრამ, როგორც იქნა, გზა გავლიე. მოსახლეებიც უფრო ახლო-ახლოს არიან ერთმანეთთან. მივადექი ერთ ეზოს. შუაში უზარმაზარი ცაცხვი დგას. ხის ძირას გრძელი ქვის ლოდი დევს. სახლის ახლოს ჭაა. ერთი ჭიქა წყალი! მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი! წყურვილმა გამახელა და გამომაფხიზლა კიდეც. შევიდე თუ არა ეზოში? თავმოყვარეობამ მაინც შემაჩერა. ბედად ეზოში პატარა გოგო გამოვიდა, ცხრა-ათი წლისა. დავუძახე და ვთხოვე, ერთი ჭიქა წყალი დამალევინე-მეთქი. ახლავე, ბატონოო, და გაიქცა ყვირილით:

– დედააა, სტუმარია, სტუმარი!

– ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის. ერთი ჭიქა წყალი მინდა დავლიო.

– შემობრძანდით, ბატონო! შარაზე ხომ ვერ იქნებით? ახლავე მოგართმევთ წყალს.

შევყევი. დაღლილი ვარ. მაშინვე ქვის ლოდზე ჩამოვჯექი. წავიდა დიასახლისი, ჭიდან ვედრით წყალი ამოიღო, გრაფინი შეავსო და ლამბაქზე დადებული ჭიქაც მოაყოლა. პატარა გოგოც ჩვენ გვერდით დგას და გვიყურებს. დედა რატომღაც გაუჯავრდა:

– წადი, შე სასიკვდილე! მამაშენი ბოსტანშია და დაუძახე, სტუმარია-თქვა, უთხარი.

გოგო სწრაფად გაიქცა. შევწუხდი.

– არა, ბატონო! მე სტუმარი არა ვარ, მგზავრი ვარ, თბილისში მივდივარ. წყურვილმა შემაწუხა.

სიტყვაც არ მქონდა დამთავრებული, შუახნის კაცი მომიახლოვდა. თავზე – იმერული ტილოს ქუდი, პერანგისამარა, ერთ-ორ ადგილას დაკერებული შარვალი და საბურავისგან შეკერილი ჯაღანები. ნუ გაგიკვირდებათ, ომის წლები იყო. მოვიდა და მომესალმა:

– კაი გამარჯობა, ბატონო!

– ღმერთმა გაგიმარჯოთ! წყურვილმა შემაწუხა და თქვენ მოგადექით.

არ ვიცი, მე მომეჩვენა თუ რა იყო, წყალი გემრიელი და ძალიან ცივი იყო. მგონი, მეოთხე ჭიქას ვსვამდი. თანდათან ვფხიზლდებოდი.

– აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ.

– არა ვარ აქაური. ჩემს სიძესთან ვიყავი სიმონეთში.

სახელი და გვარი დავუსახელე.

– ჰო, ვიცი, გამიგია. კაი სახელი აქვს, კაი ექიმია. ღმერთმა გაუმარჯოს!

ამ ლაპარაკში რომ ვართ, გოგომ პატარა, დაბალი სუფრა მოიტანა. გამოჩნდა დიასახლისი. ცხელი ჭადები, მწვანილი და ჭყინტი ყველი სუფრაზე დაალაგა, მერე პრასის მწნილი შემოუმატა და ერთი დოქი ღვინოც წინ დაუდგა მასპინძელს.

საოცრად უხერხულად ვიგრძენი თავი. წასვლა მინდა და ვერ ვახერხებ, ისე დამაბა ამ ენაწყლიანმა იმერელმა. ღვინით ჭიქა შემივსო. ხელები გავასავსავე, ღვინოს ვერ დავლევ-მეთქი.

– რავარც გაგიხარდებოდეთ, ბატონო, ისე მიირთვით. თქვენი ფეხი ჩემს ეზოში პირველადაა. ოჯახი დამილოცეთ.

რა გზა მქონდა? ნელ-ნელა შემიყოლია და სამლიტრიანი დოქი გამოვცალეთ. მერე, როგორც იქნა, მოვახერხე გამომშვიდობება. თვითონ გამომყვა. შარაზე შემხვედრი მანქანა გააჩერა და მე სადგურისკენ გამისტუმრა, თანაც მომაძახა:

– აქეთკენ თუ მოგიწიათ ყოფნა, ნუ დამკარგავთ, აუცილებლად მნახეთ.

მერე მე ის აღარასოდეს შემხვედრია.

ასეთ გლეხებს თქვენ შეხვდებოდით გურია-სამეგრელოშიც, ქართლსა და კახეთში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ღმერთო დიდებულო, რომელ საუკუნეში იყო ყველაფერი ეს? ცხელი პური რომ მომაწოდა, მე იმ ქართველ ქალს არ ვიცნობდი, წყალი და ღვინო რომ დამალევინა, მე იმ ქართველ კაცს არ ვიცნობდი, მაგრამ მე შევიცანი მათი ქართული გული. ეს ყველაფერი ორი-სამი საუკუნის წინანდელი ამბავი არ გეგონოთ. ეს ჩემს მახსოვრობაში მოხდა. ახლა? ახლა რამ გადაგვაჯიშა? ნუთუ ეს სიკეთით სავსე ჩვეულებები აღსდგება ისევ? აღსდგებაო, მომესმის ზეციდან ხმა. იმ დროის მოსვლის სადღეგრძელო იყოს, მისი მრავალჟამიერი.

სოფელში ინტელიგენციის საკმაო რაოდენობა იყო. ჩვენი სკოლის ოცდაათამდე მასწავლებელი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ექიმი თერაპევტი, სტომატოლოგი, ფოსტის მოხელეები, ბიბლიოთეკარი, პროვიზორი. ზაფხულობით თბილისიდან ბრუნდებოდნენ აქაურები, რომლებიც ქალაქში სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ. თითქმის ყველასთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა (მე ჩემს მეგობრებს ვგულისხმობ), განსაკუთრებით, ექიმებთან და პროვიზორ ვანო ბეჟუაშვილთან, რომელიც იმერელი იყო და ცოლად ვანელი ლასხიშვილის ქალი ჰყავდა. მასთან ხშირად გვიპურმარილია. ადგილობრივი მასწავლებლებიც დროდადრო, გაჭირვების მიუხედავად, შლიდნენ სუფრას და გვეპატიჟებოდნენ. ჩვენთან გიორგი შატბერაშვილი რომ მოვიდა, მისი სიმამრის ოჯახში, სოფელ წინარეხში, ბევრჯერ გაგვითენებია ღამე. გიორგის ოჯახიც ბევრჯერ დაგვილაშქრავს. მოსწავლეთა მშობლებთანაც დაახლოებული ვიყავით.

მე რომ ვუკვირდები, ომის წლებმა ყველაზე მძიმედ ქალაქის მუშებსა და მოსამ-



მიხეილ კეკელიძე და შალვა დავითულიანი კავთისხევი, ოქტომბერი, 1938-1939 წლები

სახურეებზე, განსაკუთრებით, ინტელიგენციაზე იმოქმედა. გაჭირვებულთ ქალაქიდან მოჰქონდათ, რაც კი გააჩნდათ და ადგილობრივ მოსახლეებში ჰყიდნენ ან ცვლიდნენ სურსათ-სანოვაგეზე. კოლმეურნეობა გლეხებს თითქმის არაფერს აძლევდა, მაგრამ საკარმიდამო მიწით გაჰქონდათ თავი. ვაზს უვლიდნენ, ღვინოს აყენებდნენ და თითო ღორის გასუქებასაც ახერხებდნენ. თანაც თითო ძროხა მაინც ყველას ჰყავდა, რძე და მაწონი იშოვებოდა. მაგრამ რძის ნაცვლად ჩვენ ღვინოს ვირჩევდით. სუფრასთან ათასგვარ რამეზე ვლაპარაკობდით. მე ვფიქრობ, სუფრამ და ღვინომ ბევრი ტანჯვა და დარდი გადაატანინა ქართველ კაცს, ბევრჯერაც შეუმსუბუქა ტკივილი.

ერთხელ ისე მოხდა, ერთი თვე გავიდა, გარდა სკოლისა, ერთმანეთს სუფრაზე ვერ შევხვდით, ღვინო ვერ ვიშოვეთ საყიდლად. პოხრო პაპიაშვილთან, ჩვენს საყვარელ მეგობართან, ცნობილ მოჭიდავესთან, მისვლაც შეგვრცხვა. რამდენჯერმე უკვე ვიყავით მასთან. რომ ავწრიალდით, მაშინ ჩვენი სკოლის მასწავლებელმა, შალვა დავითულიანმა თქვა, ღვინოს მე ვიშოვი, თქვენ პურ-მარილი გააწყვეთო. იმ დროს მე, ნაკაშიძე და ჭელიძე როსტიაშვილის სახლში ვცხოვრობდით (მისი შვილი ცნობილი მოჭიდავე იყო). ჩვენთან მოვიდნენ შატბერაშვილი და ბოჭორიშვილიც. ვიშოვეთ მწვანილი, ხახვი, ოხრახუში, ერთ კილომდე ყველი, რამდენიმე ცალი ქურიკანა (სიმინდისა და ხორბლის ფქვილის ნარევისაგან გამომცხვარი პური). ჩვენმა დიასახლისმა, რომელიც მარტოდ ცხოვრობდა, ერთი ქილა პომიდვრის მწნილიც შემოგვაშველა და მეტიც ჩვენ არაფერი გვინდოდა. ველოდებით შალვას. მოვიდა და მოიტანა ორი ლიტრა წითელი ღვინო.

– ეს რაა, შალვა? ორი ბოთლი ღვინო გვეყოფა ექვს კაცს?

– მეტი იქნება, მეტი! – გვიპასუხა და წავიდა. ცოტა ხნის მერე ერთი დიდი ვედრო წყაროს წყალი შემოიტანა.

– რად გინდა, კაცო, ეს?

– ამას ახლა მე ღვინოდ ვაქცევ.

წამოავლო ერთ ბოთლს ხელი და ვედროში ჩაუშვა. წყალი ღია ვარდისფრად შეფერადდა.

– ა, ბატონო, სვით, რამდენიც გინდათ. მეორე ვედროსაც მე მოვიტან, როცა გათავდება, თქვენ არ შეგაწუხებთ.

დაუწყეს ბიჭებმა მეგობრულად ლანძღვა: შე ასეთო, შე ისეთო, რატომ მოგვატყუეო. მაგრამ სუფრას მაინც შემოვუსხედით. შევუდექით სმას და სადღეგრძელოების თქმას. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, შუაღამემდე სიცილ-საუბარში გავატარეთ.

არ მინდა, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს სულ პურ-მარილით ვიყავით დაკავებული. სრულიადაც არა. მე, შატბერაშვილი და ჭელიძე, რომლებმაც ერთმანეთის წარსული კარგად ვიცოდით, ძალიან ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოს ბედზე, პოლიტიკასა და ლიტერატურაზე. სხვა საქმიანობითაც ვიყავით ხანდახან გატაცებული, კერძოდ, ხალხური ლექსების ძებნითა და მოპოვებით. ამაზე მე მოგონებაც გამოვაქვეყნე „დროშაში“, რომელსაც ცოტა ქვემოთ გაგაცნობთ. მანამდე სხვა რამეს მინდა შევეხო. ეს არის ჩემი ომში გაწვევა და ყოფნა, რომელიც გაგრძელდა 1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის ზაფხულამდე, ე. ი. მთელი ერთი სასწავლო წელი.

ვიდრე ომში ჩემს ყოფნაზე მოგიყვებოდეთ, მცირე რამ ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებსა და მრწამსზეც უნდა მოგახსენოთ. ჩვენ არ ვეკუთვნოდით იმ გულუბრყვილოთა ან უცოდინართა ჯგუფს, რომლებსაც სჯეროდათ, თითქოს 1921 წლის თებერვალში ქართველმა მუშებმა და გლეხებმა „მოაწყვეს აჯანყება და დაამხეს საძულველი ბურჟუაზიული მთავრობა“, ან უფრო ხშირად, როგორც კომუნისტურ პრესაში და მოხსენებებში ამბობდნენ – „გამყიდველი მენშევიკური მთავრობა“. „მენშევიკური“ მათ ტერმინოლოგიაში უფრო დაცინვით, ზიზღით და სიძულვილით იხსენიებოდა.

ახლა, ე. წ. „საჯაროობის პერიოდში“, განსაკუთრებით კი საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, როცა იმ წლების (1918–1921) მთავრობასა და მის საქმიანობას ეხებიან, ბევრი ფინია აყეფდა, გულზე ხელს იბრაგუნებს და კომუნისტურად აგინებს „მენშევიკურ“ მთავრობას, ვითომც სურთ, დაამტკიცონ, რომ მათ მეტი ჭკუა აქვთ და საქართველო უფრო მეტად უყვართ, ვიდრე, ვთქვათ, ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს, კარლო ჩხეიძეს, ევგენი გეგეჭკორს და ათასობით სხვას, რომლებსაც ციხე-გადასახლებაში დალიეს სული ან დაიხვრიტნენ და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ.

ეს კუდქიცინა ფინიები, წარსულზე რომ ჭირისუფლებივით გაჰყვირიან, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ გველისთავიან წითელ მანდატებს, გულის ჯიბეში რომ ატარებდენენ და რომლის წყალობითაც და ბოლშევიკური მთავრობისადმი ერთგულებით კარიერა გაიკეთეს: თანამდებობები, წიგნების ბეჭდვა, აგარაკები, თეთრი პური და ხიზილალაც მათ სახლში იყო ათეული წლების მანძილზე და ახლა უყურეთ, როცა ხალხმა გამოღვიძება დაიწყო, მათაც ფეხი გამოჰყვეს, მეც ნახირ-ნახირაო, იმ მიზნით, რომ მომავალ თაობებს დაუმტკიცონ, თითქოს ეს ქამელეონებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, თითქოს კომუნისტური რეჟიმის დროს მათ „საშინლად ავიწროებდნენ“, „გასაქანს არ აძლევდნენ“.

ვისაც გასაქანს არ აძლევდნენ, ისინი დაიღუპნენ, უმრავლესობამ კი ვერ თქვა თავისი სათქმელი, რადგან „კონტრრევოლუციონერისა“ და ნაციხარ-ნაციმბირალის დამღა ჰქონდათ მიკერებული. ისინი თავიანთი ნიჭითა და ცოდნით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმათ, რომლებიც კომუნისტურ რეჟიმს კარგად შეეწყვნენ, მაგრამ არ იკადრეს დამპყრობლებთან თანამშრომლობა და რევერანსების გაკეთება.

ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს (ნაწილს და არა მთლიანად!), ახლა კომუნისტური რეჟიმისაგან „დაჩაგრულად და შევიწროებულად“ რომ მიიჩნევს თავს, ცხოვრებისა და მოღვაწეობის კარგი პირობები ჰქონდათ: ინიშნებოდნენ გამომცემლობათა დირექტორებად, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებად, დაუბრკოლებლივ ცემდნენ თავიანთ წიგნებს (მრავალათასიანი ტირაჟით), ტრიალებდნენ მთავრობისა და პარტიის უმაღლეს წრეებში, ხან „განვითარებულ სოციალიზმს“ ასხამდნენ ხოტბა-დიდებას, ხან „მომწიფებულ სოციალიზმს“ და, რომ დასცლოდათ, „ჰუმანურ, დემოკრატიულ სოციალიზმსაც“ დაუკრავდნენ ტაშს. თან თავისუფალი საქართველოს მთავრობის, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატების გინებით გულს მოიოხებდნენ.

საოცარია, ბევრი ერთმანეთისგან ვერ არჩევს სოციალ-დემოკრატების „მეუმცრესთა“ და „მეუმრავლესთა“ ფრთას (ჭოლა ლომთათიძე ასე ხმარობს ამ სიტყვებს). იქნებ არჩევენ კიდეც, მაგრამ არ სურთ, რომ „გაარჩიონ“. თუ არა ეს ჭკუანაღრძობობა, რით უნდა აიხსნას ერთ-ერთი ახალი ჭირისუფლის სიტყვები, გაზეთში დაბეჭდილი: „ნოე ჟორდანიამ და ფილიპე მახარაძემ დაღუპეს საქართველო“. ხედავთ, თავისუფალი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, ფილიპე მახარაძესთან კავშირში დაღუპა თავისუფალი საქართველო!

და ეს იცით, რატომ არის ნათქვამი? იმისათვის, რომ თავს ლაფი დაასხან დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ლიდერებს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

თითქოს არ ყოფილიყოს 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე), თითქოს არ ყოფილიყოს სკოლების გაეროვნულება, ქართული ენის თავის უფლებებში აღდგენა, ქართული უნივერსიტეტის გახსნა (მეტყვიან, ეს კერძო ინიციატივით მოხდაო. ამ კერძო ინიციატივას მაშინდელი მთავრობა უწყობდა ხელს. რამდენიმე თვის შემდეგ ეს უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა) და, ბოლოს, თითქოს არ ყოფილიყო 1921 წლის თებერვალ-მარტის მართლაც სამამულო ომი დამპყრობელი წითელი რუსეთის არმიასთან. ამ არმიებს (და არა მარტო მე-11 არმიას) წინ მოუძღოდნენ ლენინისა და ჯუღაშვილ-სტალინისაგან ნაქეზებული ორჯონიკიძე, მახარაძე, მდივანი, ელიავა, ღოღობერიძე, ორახელაშვილი, ციწცაძე და სხვანი, რომლებმაც გაყიდეს საქართველო, დაიპყრეს ჩვენი მიწა-წყალი და მძიმე ფიზიკური და სულიერი ბორკილები დაადგეს ქართველ ხალხს.

და თურმე მათთან ალიანსში ყოფილა ნოე ჟორდანია! მოდი და ნუ წამოიძახებ: სადა ხარ, სინდისო? მაგრამ სინდისი ამის მთქმელთ არა აქვთ და არც ექნებათ, თორემ სიჩუმეს ირჩევდნენ.

ამ ბოლო დროს ბევრს წერენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით. ჩემთვის უდავოა, რომ საქართველოს სულიერი მამა და მოძღვარი მოკლა სოციალ-დემოკრატების იმ ფრთამ, რომელსაც „მეუმრავლესებს“ (ბოლშევიკებს) უწოდებდნენ. ილიას სისხლში ხელები აქვთ გასვრილი ფილიპე მახარაძეს, სერგო ორჯონი-

კიძეს და მათ ძმაბიჭებს. აი, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი. მაგრამ ზოგიერთები ისე წარმოადგენენ ფაქტებს, თითქოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთი მთლიანი პარტია იყო, თითქოს პარტია არ იყო გაყოფილი „მეუმცირესეებად“ და „მეუმრავლესეებად“ („მენშევიკებად“ და „ბოლშევიკებად“). ბრალი მთლიანად ედება სოციალ-დემოკრატიულ პარტიასო. პირდაპირ საოცარია ფაქტების ასეთი გაყალბება. ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს, სამგლოვიარო მიტინგზე, „მეუმცირესეთა“ სახელით სამძიმრის სიტყვით გამოვიდა კარლო ჩხეიძე. „მეუმრავლესთაგან“ (ბოლშევიკებისაგან) არავინ გამოსულა. ნუთუ ეს გარემოება იმაზე არ მიგვითითებს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია სინამდვილეში ორი პარტიაა, ორივეს ბრძოლის თავ-თავისი გზა ჰქონდათ?

იმასაც ამბობენ, რომ ნოე ჟორდანიას და მის მომხრეებს „ხონჩით“ მიართვეს თავისუფლება და შემთხვევით ჩაიგდეს ხელთ ძალაუფლება (ნეტა ვინ იყვნენ ისინი, რომლებიც „ხონჩით“ არიგებდნენ თავისუფლებას?). ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდა და იძულებული გახდა, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინაო.

სამწუხაროდ, ჩვენში ობიექტურად შესწავლილი არ არის საქართველოს სხვადასხვა პარტიის მუშაობა-მოღვაწეობა. მათი ლიდერების იდეური მრწამსი ან ის ცვლილებები, რომლებიც მათმა შეხედულებებმა განიცადეს. ეს საკითხები რომ მონოგრაფიულად იყოს დამუშავებული, მაშინ ტყუილის მთქმელებს ბურთი პირში ჩაეჩრებოდათ, ხოლო ახალგაზრდებს საშუალება ექნებოდათ, თვით გაეკეთებინათ დასკვნები, თუ ვინ ვინ იყო, რისთვის და როგორ იბრძოდნენ და რა შეხედულებისანი იყვნენ ამა თუ იმ საკითხზე.

აი, გუშინ მე მივიღე გაზ. „თბილისის“ ნომერი (1990 წ., 9 ივნისი), რომელშიც გამოქვეყნებულია წერილი „პრინცი მაჩაბელი“. მასში მოყვანილია მიხაკო წერეთლის „მოგონებების“ ნაწყვეტები. ავტორს „მოგონება“ გამოუქვეყნებია ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში („ქართველი ერი“, 1955-1956, №1).


„მოგონება“ მრავალმხრივ საინტერესოა, კერძოდ, ნოე ჟორდანიას ეროვნული შეხედულების გასარკვევად. აი, რამდენიმე ამონაწერი მიხაკო წერეთლის „მოგონებიდან“:

„1908 წელს შევადგინეთ ფარული ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობისა“. მოვიხსენიებ გარდაცვალებულთა სახელებს. ესენი იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, პეტრე სურგულაძე, ვალერიან გუნია, მიხეილ ადამაშვილი (შემდეგ მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი), სიმონ ყიფიანი და სხვანი...

1914 წელს „ომის დასაწყისშივე შედგა ჟენევაში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით. წევრები იყვნენ: ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე, ნ. მაღალაშვილი და თვით მოგონების ავტორი მ. წერეთელი.

იგინი ჩამოვიდნენ ბერლინში, დადვეს ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასთან, რომლის ძალითაც გერმანია იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას... იღებდა ვალდებულებას მისი დახმარებისა და დაცვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში შველას და ყოველგვარ დახმარებას.

თვით საქართველოში ეროვნული პარტიები, ყოველ შემთხვევაში, მათი მოქმედი ნაწილები ჩვენ მხარეზედ იყო... გიორგი მაჩაბელმა ორჯერ მოიარა საქართველო



საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიაში. სხედან: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი; დგანან: სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი
ბერლინი, სასტუმრო ადლონი, ივნისი, 1918 წელი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩამოგვიტანა უტყუარი ამბები ჩვენ თანამგრძნობთაც და საზოგადო მდგომარეობისაც და ამ ამბავთაგან უაღრესად გამამხნევებელი და იმედის მომცემი იყო სოლიდარობა ჩვენთან და გამხნევება შემოთვლილი თვით სოც.-დემ. პარტიის ლიდერის ნ. ჟორდანიას მიერ. ეს ნიშანი იყო, რომ ყველაზე ძლიერმა მიმართულებამ საქართველოში ბუნებრივად იბრუნა პირი საქართველოს მიზნისადმი. ამაში სრულად დავრწმუნდი, როდესაც რუსეთის დამარცხების შემდეგ და რევოლუციის დასაწყისში მე თვით ვიყავი საქართველოში 1917 წელს საიდუმლოდ. ამასთანავე, ვიცოდით, რომ იმავე ლიდერმა (ნ. ჟორდანიამ) მარტივი გაფიცვა გამოუცხადა მისი პარტიისავე გაზეთის რედაქციას ჩვენი „ავანტიურისტებად და მოსყიდულებად“ გამოცხადების გამო“.

ყოველივე ამას წერს დიდი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ წერეთელი. იგი არც სოციალ-დემოკრატების პარტიას ეკუთვნოდა და არც თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ, როგორც უაღრესად კეთილსინდისიერი მოღვაწე, ობიექტურად აღნიშნავს ფაქტებს. მე მგონი, თვითმხილველს, პოლიტიკური და იდეური ბრძოლის მონაწილეს, უფრო დაეჯერება, ვიდრე ახალგამოჩეკილ „პოლიტმოღვაწეებს“, რომლებმაც არც ბრძოლის ისტორია იციან და არც უნარი შესწევთ, თეთრი შავისაგან გაარჩიონ.

და კიდევ ერთი ამონაწერი რევაზ გაბაშვილის „მოგონებიდან“ („რაც მახსოვს“, მიუნხენი, 1957):

„გიორგი მაჩაბელს მე შევახვედრე ბევრი ჩვენი ამხანაგი და ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, მოვიწვიეთ ქუთაისში, ვასო ფ-შვილის ბინაზედ, „სოციალ-დე-

მოკრატიულ“ და „სოციალისტ-ფედერალისტების“ წარმომადგენელნი სათათბიროდ. შევიკრიბენით ფარულად, რასაკვირველია, ჩვენგან, ე. ი. „ქართული ეროვნული პარტიიდან“ – შალვა ამირეჯიბი და მე, „სოც. დემოკრატიული პარტიიდან“ – ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი, „სოც. ფედერალისტებისგან“ – სამსონ ფირცხალავა და გიგო რცხილაძე... გამართულ მსჯელობაში (მსჯელობა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ეხებოდა – მ. კ.), მე და შალვა ამირეჯიბმა მაშინვე განვაცხადეთ, რომ... ვიზიარებთ „განმათ. კომიტეტის“ მოქმედებას, მთლად ვემხრობით და აქამდისაც ვმუშაობდით ამავე მიმართულებით. ნოე ჟორდანიამ დაუმატა: „თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთო“ (გაზ. „თბილისი“, 1992, 19 ივნისი).

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას რაც უნდოდა (საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სრული დამოუკიდებლობა), ცნობილია, და ცხადია, ეს ძალიან კარგად იცოდა ნოე ჟორდანიამაც. თუ ის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო (რასაც ზოგიერთნი ხშირად გაჰყვირიან ახლა), მაშინ რატომღა განაცხადა: „ჩვენ (ე. ი. სოციალ-დემოკრატები – მ. კ.) ხელს არ შეგიშლით, იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთ“?

ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი ღრმად და ობიექტურად უნდა იყოს შესწავლილი და მხოლოდ შემდეგ გაკეთდეს დასკვნები წინასწარ აკვიატებული აზრების გარეშე.

ზემოთ მე ჩემი მეგობრების პოლიტიკურ მრწამსზე ვლაპარაკობდი. გვინდოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო, მაგრამ ეს არ მოხდება, თუ რუსეთის წითელი იმპერია არ დაინგრა. მაგრამ რა დაანგრევს მას? ქართველი ხალხის ბრძოლამ, მისი საუკეთესო შვილების თავგანწირვამ 1923 წელს, 1924 წლის აგვისტოში და შემდეგ, არალეგალური მუშაობის პირობებში, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მსხვერპლი კი აურაცხელი იყო. ერთადერთ გამოსავალს ვხედავდით ომში რუსეთის დამარცხებაში, თუკი რაიმე მიზეზით ომი დაიწყებოდა. სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ ომში რუსეთი დამარცხდებოდა და საქართველო თავისუფლებას და დამოუკიდებლობას მოიპოვებდა.

ომი საშინელია, უამრავ მსხვერპლს მოითხოვს, ამ ომში ჩვენი თანამოაზრენიც, საქართველოს შვილებიც იღუპებიან (ჩემთვის მარტო ნიკო ტატიშვილის გახსენებაც კმარა), მაგრამ რას ვიზამთ? სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება გვინდა! წითელი ურჩხულის დამარცხება კი ომის გარეშე შეუძლებელია, ჩვენისთანა პატარა ერი რუსეთს ვერ მოერევა, ამიტომ სხვა დიდმა ძალამ უნდა გასრისოს დამპყრობლები.

ასეთი შეხედულების ვიყავით ომის დაწყების წინ.

ომში

1939 წლის სექტემბერში, პირველ თუ ორ რიცხვში (ზუსტად არ მახსოვს), მე და სიმონ ჭელიძე საგარეუბნო მატარებლით თბილისში ჩამოვედით. კარგად დაბნელებული იყო. სქელი ნისლიც ჩამოწოლილიყო ქალაქში. ვხედავთ, ბევრ ადგილას ხალხია შეჯგუფებული. ელნათურების შუქზე ვიღაც გაზეთს ხმამაღლა კითხულობს და ყველანი დაძაბულად უსმენენ (იმ დღეს, როგორც ჩანს, გაზეთი გვიან გამოვიდა).

გაოცებულნი ვართ. რა მოხდა ნეტავ? მივუახლოვდით ერთ ჯგუფს და გავიგეთ, ჰიტლერის გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ჯარმა გადალახა საზღვრები და ვარშავისკენ მიიწევსო. ეს ომი პოლონეთთან „დანციგის კორიდორის“ საბაბით დაიწყო. მსმენელები გაცხოველებით კამათობდნენ, ათასნაირ აზრებს გამოთქვამდნენ და ბოლოს ვიღაცამ თქვა: აი, ნახავთ, გერმანია ჩვენც დაგვიწყებს ომსო. მე და ჩემი მეგობარი ვაგზლის შესასვლელში ერთ საათს დავრჩით, ჩვენებურად ვაანალიზებდით ამ ცნობას და ჩვენც იმ დასკვნამდე მივედით, რომ გერმანია პოლონეთში არ გაჩერდებოდა და რუსეთსაც შემოუტევდა. ეს ვარაუდი გამართლდა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, წელინადი და ცხრა თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე გერმანიის არმიები ევროპას იპყრობდნენ.

1941 წლის 22 ივნისს, კვირადღეს კი დაიწყო ომი რუსეთთან (საბჭოთა კავშირთან). მაშინ ჩვენ სასწავლო წელი თითქმის უკვე დამთავრებული გვქონდა (ოფიციალურად სწავლა უნდა შეწყვეტილიყო 25 ივნისს), ამიტომ ყველანი ჯერ კიდევ ადგილზე ვიყავით. იმ კვირადღეს სახლში ვიყავი და ჩემს პატარა ვაჟს ვეთამაშებოდი. ბარდაანთ უბანში (იქ ვცხოვრობდი) ვიღაცამ ამბავი მოიტანა: რადიოთი მოვისმინე, გერმანიამ ომი გამოგვიცხადა და მისი ავიაცია ჩვენს ქალაქებს ბომბავსო. მეზობლებმა ერთხანს არ დაიჯერეს, ფოსტას მივაშურეთ, იქ გვინდოდა გაგვეგო სინამდვილე. ფოსტასთან ხალხს მოეყარა თავი. ტელეფონით ელაპარაკებოდნენ კასპს, საიდანაც დაგვიდასტურეს, რომ რადიოთი გადმოცემული ცნობა ნამდვილია. ომი დაიწყო. აქ მე და ჩემი მეგობრები ორმაგმა გრძნობამ შეგვიპყრო: არის შანსი, დამპყრობელი რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და იმის დიდი შანსიც არის, რომ ჩვენ ყველანი ამ ომში დავიღუპოთ და თავისუფალი საქართველოს ხილვას ვერ მოვესწროთ (თავისუფალ საქართველოში ცხოვრება კი ძალიან გვინდოდა). ისიც ძალიან გვაწუხებდა, თუ რა სისხლის ფასად დაუჯდებოდა ეს ომი საქართველოს, ქართველ ხალხს, პირადად ჩვენი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს, მაგრამ კიდეც რომ გვდომოდა, ომს ჩვენ ვერ შევაჩერებდით, იგი უკვე მძვინვარებდა.

ომის გამოცხადებიდან მეორე თუ მესამე დღეს კასპიდან გვიბრძანეს, რომ მოსახლეობის სახლები აგვეწერა, გაგვეგო, ვის რამდენი ოთახი ჰქონდა, რათა, თუ თბილისიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოხდებოდა, მათი ნაწილისათვის საცხოვრებელი ბინები მიგვეჩინა. მე მომამაგრეს ერთი უფროსი კლასის მოსწავლე ტუშურაშვილი და თვალადსა და გოსტიბეში დავალების შესასრულებლად გაგვაგზავნეს. სხვა მასწავლებლებსაც ასეთივე დავალება მისცეს.

ამ დროს ჩვენ ყველანი სოფელში ვიყავით. ოჯახური მდგომარეობა ჩემი მეგობრებისა ასეთი იყო: ნაკაშიძემ ორი წლის წინათ ცოლი შეირთო და თბილისში გადავიდა. ჭელიძეც დაოჯახდა, შატბერაშვილიც ცოლშვილიანი იყო. მეც დაოჯახებული ვიყავი და უკვე ვაჟი მყავდა, რომელსაც რობერტი დავარქვი, რამაც მამაჩემის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. შემომიტია: რა, შენ ქართული სახელი ვერ მონახე? რასა პრანჭიაობთ, ეს რობერტიო, ის ჰამლეტიო, ოფელიაო, დეზდემონაო და ასე მიჰყევით ბოლომდე. დრო მოვა, ალბათ შაჰ-აბაზსაც დაარქმევთ შვილებს. არავითარი რობერტი მე არ ვიცი, მაგ ბიჭს ზურაბი ჰქვიანო. ამის შემდეგ მას ზურაბი დაერქვა. რობერტი სამხრეთ პოლუსის მკვლევრის, ტრაგიკულად დალუპული რობერტ სკოტის, პატივსაცემად დავარქვი. ამ დროს მე უკვე წაკითხული მქონდა გრიგოლ რობაქიძის

მიერ თარგნილი შტეფან ცვაიგის „კაპიტან სკოტი“. მგონი, „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა, აგრეთვე, ნ. ლებედევის რუსულად გამოცემული წიგნის, „დედამიწის დაპყრობის“, ის ნაწილი, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ პოლუსების დაპყრობას ეხება. ეს ნაწილი მოწაფეობის დროს ვთარგმნე. ის მამაჩემის წყალობით ჩემი ციმბირში ყოფნის დროს „სახელგამმა“ გამოსცა 1932 წელს (ამ დროიდან უბედური სკოტისადმი უდიდესი სიბრალულითა და სიყვარულით განვიმსჭვალე). ივლისში ცოლშვილი სოფელში წავიყვანე, მე კი მაშინვე კავთისხევში დავბრუნდი.

გამოცხადდა მობილიზაცია, გაჰყავთ ხალხი. ჩვენ, მასწავლებლებს, ჯერ არ გვეხებიან, მაგრამ აგვისტოს ბოლოს კასპის სამხედრო კომისარიატიდან უწყება მომივიდა, იქ გამოვცხადებულიყავი. ომში წასვლა არც მიხაროდა (როგორც ზოგიერთები ტრაბახობენ) და სრულებით არ მსურდა. ეს ომი ჩვენთვის, ქართველებისთვის, სამამულო ომი არ ყოფილა, ის სტალინისა და მისი კომუნისტური რეჟიმის შესანარჩუნებლად წარმოებდა. თუ როგორი იყო ეს რეჟიმი, ყველასათვის ნათელი გახლდათ და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ერთი სიტყვით, ომში წასვლა არ მსურდა, მაგრამ რას ვიზამდი? ჩემისთანა წარსულის მქონე კაცი მას ვერ გაექცეოდა და, თუ გაექცეოდა, „კონტრრევოლუციონერს“ რაც მოუვიდოდა, ესეც ცხადი იყო.

ამით სრულებით არ მინდა დავამცირო იმ ქართველი მეომრების ამაგი და ვაჟკაცობა, რაც მათ ომში გამოიჩინეს. ტრაგედია მხოლოდ ის იყო, რომ ისინი ებრძოდნენ მიხაკისფერ ფაშიზმს წითელი ფერის ფაშიზმის გადასარჩენად. მაგრამ ისტორიას სჩვევია ასეთი დახლართული სიტუაციების შექმნა, სადაც ადამიანები მხოლოდ პაიკების, „ჭანჭიკების“ როლს ასრულებენ და მათ არავინ არაფერს ეკითხება: სურთ თუ არ სურთ, ეს პაიკები უნდა გადაადგილდნენ ომის ქარცეცხლში და იბრძოლონ თავგანწირულად საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

სამხედრო კომისარიატში პირველად არ გამოვცხადდი. ამით რამდენიმე დღე მოვიგე, მაგრამ სექტემბერში ისევ მომივიდა უწყება. რა გზა მქონდა? ზურგჩანთაში ჩავალაგე, რის ჩალაგებაც კი შეიძლებოდა და გავემგზავრე კასპში. ჩემთან ერთად გამოძახებული იყვნენ დიმიტრი ჯობაძე და ნიკო ნანიკაშვილი (ახლო სოფლებში მასწავლებლობდნენ). აგრეთვე ოცამდე სოფლის მცხოვრები, რომელთა უმრავლესობას ვიცნობდი.

კასპში ანკეტები შეგვივსეს და გვითხრეს, ამ ღამეს აქ, ეზოში, გაათევთ და დილით ქუთაისში ნახვალთო. მართლაც, ის ღამე გარეთ, მიწაზე, გავათენეთ (კარგი ამინდი იყო). მეორე დღეს ჩვეულებრივი მატარებლით წაგვიყვანეს. მატარებელი სადგურ ბროწეულაში გაჩერდა. იქ დაახლოებით ერთ საათს დავყავით და შემდეგ ფეხით დავადექით ქუთაისის გზას. გზაში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც გამაოცა. მოსახლეობას გზის პირას უამრავი ბროწეული ჰქონდა დარგული. ნაყოფი ჯერ კიდევ მკვახეა. უეცრად ჩემ წინ მიმავალი, ბოშად ქცეული ერთი ჯგუფი დაერია ბროწეულებს, გლეჯდნენ უმწიფარ ნაყოფს, დაუნდობლად ამტვრევდნენ ტოტებს, არც ღობეს ინდობდნენ, მკვახე ბროწეულებს ერთმანეთს გამეტებით ესროდნენ და თან იგინებოდნენ. მოსახლეები ღობეს მოადგნენ, გაკვირვებით უცქეროდნენ მათ, მაგრამ არაფერს ამბობდნენ.

რა მოხდა, რა ღმერთი გაუწყრათ? მაშინ ვერაფრით ავხსენი მათი მოქმედება. ახლა კი ვფიქრობ, გაბოროტებულები იყვნენ, იცოდნენ, სასიკვდილოდ მიდიოდნენ და

გული ბოლმით ჰქონდათ სავსე, ვიღაცაზე ჯავრი უნდა ეყარათ. ჯავრის ამოსაყრელად ის საცოდავები ბროწეულებს დაერივნენ და შინაგანი ბოლმა ასე გადმოანთხიეს.

ქუთაისში ქალაქის განაპირას, მდინარე წყალწითელას ახლოს, მიგვიყვანეს. ვიღაცამ თქვა, საღორიის ტყეში ვართო. მე ქუთაისში სტუმრად რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, მაგრამ ამ ტყეში არასოდეს ვყოფილვარ. სინამდვილეში ტყე არსად იყო, ალბათ ძველი სახელი შერჩა ამ ადგილს, სადაც რამდენიმე შენობა და ყაზარმა იდგა. აქ იყო საარტილერიო პოლკი. შეველიდით მავთულხლართებიან ეზოში და ერთ ადგილას გაგვაჩერეს ყველანი. რამდენიმე სამხედრო და ორი სამოქალაქო პირი მაგიდას მისხდომოდნენ. გვიძახებდნენ სათითაოდ და განათლებას გვეკითხებოდნენ. ვისაც უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება გექონდა, ცალკე გამოგვყვეს, თქვენ საარტილერიო პოლკში ხართ ჩარიცხულიო. სხვები (უმრავლესობა) ასევე დაანაწილეს. მაშინვე ცალკე გამოგვყვეს ორმოცამდე კაცი, ერთ ბარაკთან მიგვიყვანეს, ლეიბისპირები მოგვცეს და გვითხრეს, თივით გატენეთ და ლეიბად გამოიყენეთო. თივის ზვინი ორას მეტრზე იდგა. ბრძანება შევასრულეთ და ერთ ბარაკში შეგვიყვანეს, სადაც „ნარები“ ორ სართულად იყო ჩამწკრივებული. შიგ საკმაოდ ბლომად იყვნენ ჯარისკაცები. ჩვენ ადგილი მოგვიჩინეს და გვითხრეს, საჭმელს დილიდან მიიღებთო. მაგრამ საჭმლის ხასიათზე არავინ იყო, დაღლილ-დაქანცულებს მკვდრებივით ჩაგვეძინა. მე მოვხვდი ტოპოდაზვერვის ოცეულში. უმცროს სერჟანტებად და სერჟანტებად გვამზადებდნენ, კურსანტებად მოგვნათლეს. ამ პოლკში დავყავი 1942 წლის იანვრამდე, ვიდრე ფრონტზე გაგვაგზავნიდნენ.

რას ვაკეთებდით?

ყოველდღე ტარდებოდა პოლიტმეცადინეობა, რასაც კომისრები ატარებდნენ. მათი უმრავლესობა გაუნათლებელი და უვიცი იყო. ისინი დაგეშილი ძაღლებივით დაძრწოდნენ და რატომღაც სასტიკად გვიკრძალავდნენ მოსახლეობასთან კონტაქტს. მივყავდით აჯამეთის ტყეში და იქ გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გამოგვეყენებინა ცეიჩის მილი, რა არის მასშტაბი, რომლის ახსნაც საოცრად გაუჭირდა უფროს ლეიტენანტს, ვიდრე ერთი ჯარისკაცი ინჟინერი, გვარად, როგორც მახსოვს, კობახიძე, არ ჩაერია საქმეში, ვერავის გააგებინა, თუ რა არის მასშტაბი.

პოლკში ნახევარზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. იყვნენ რუსებიც, მოჰყავდათ შევსება სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ძალიან გავრცელებული იყო მკბენარები და ქურდობა (განსაკუთრებით საჭმლის). ქართველებს ხშირად აკითხავდნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ოჯახის წევრები, ნათესავები, მოჰქონდათ იმდენი საჭმელი, რომ ერთ კვირას ეყოფოდა კაცს. ქართველები გულალალად უწილადებდნენ რუსსაც, სომეხსაც, აზერბაიჯანელსაც და ყველა სხვას. გადარჩენილ ნაწილს მეორე დილა-თვის ინახავდნენ, მაგრამ მეცადინეობიდან რომ ბრუნდებოდნენ, ერთი ფინჩხაც აღარ ხვდებოდათ.

ტოპოდაზვერვის ოცეულს, რომელშიც მე ჩამრიცხეს კურსანტად, ცხენები მოგვამაგრეს, წყალწითელაში უნდა დაგვებანა და სუფთად გვყოლოდა. აღვირის ნაცვლად მავთულები იყო გამოყენებული. უნაგირი ხომ თვალითაც არ გვინახავს. მე ძალიან მიჭირდა ცხენზე შეჯდომა, მაგრამ ბიჭები მშველოდნენ. როცა ცხენებს თავლაში მივიყვანდით, რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი დამთხვეული ლეიტენანტი მოდიოდა, ცხენს გავაზე დაჰკრავდა თითს და გაზეპირებულივით ამბობდა: „პლოხო, ოჩენ პლო-

ხო"[1] და ვისაც ცხენი ებარა, აძლევდა რიგგარეშე განაწესს („ნარიად ვნე ოჩერედი"[2]). ეს იმას ნიშნავდა, რომ კურსანტს ზედიზედ რამდენჯერმე ყარაულში აგზავნიდნენ, ეზოს აგვევინებდნენ ან საპირფარეშოს აწმენდინებდნენ. რატომღაც თვალში ამომილო, დაცინვით მეტყოდა: „ტი ჩტო, ინტელიგენტ და? პალცი ნე ხოჩეშ პაჩკატ და?"[3]

ორ დღეში ათი რიგგარეშე მომცა. ყარაულში ყოფნა, ვიდრე თბილი დღეები იდგა, მაინცადამაინც ძნელი არ იყო, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში, ყინვიანი ამინდის დროს, თუ ცივი ქარიც ქროდა (ქარი კი იქ ხშირად იცოდა), გარეთ ყოფნისას თვალებიდან სიმწრის ცრემლი გვცვიოდა. ქუთაისის იმ გარეუბანში საშინელი ცივი ქარები პირდაპირ ძვლებს გვიხვრეტდა. ჩვენი დახეული შინელი (მაზარა) და ხალათ-შარვალი ვერ გვიფარავდა.

მთელი იქ ყოფნის დროს ნამდვილი ზარბაზანი თვალით არ გვინახავს. თოფის დაშლას და აწყობას გვასწავლიდნენ, მაგრამ სასროლად არასდროს გავუყვანივართ. ყარაულში ყოფნისას კი ხუთ ცალ ვაზნას გვაძლევდნენ თვლით და მერე უკანვე უნდა ჩაგვებარებინა.

გული მომდიოდა, ჯარში ვარ, ომისათვის გვამზადებდნენ და ერთხელ თოფიც არ გვასროლინეს, ეს რა უბედურებაა? ჰოდა, ერთხელ, შუაღამისას, ყარაულში რომ ვიდექი და სიცივისაგან ვკანკალებდი, შაშხანიდან ზედიზედ სამჯერ გავისროლე ჰაერში. მე არ ვიცოდი, რა მოჰყვებოდა ამას. უცებ განგაშის ნიშანი მესმის. ჩემკენ მორბის თხუთმეტიოდე ჯარისკაცი, წინ უფროსი ლეიტენანტი მოუძღვის და მიყვირის:

– რა მოხდა?

მეც არ დავიბენი და ვუპასუხე:

– ვილაც კაცი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. ვუყვირე: „პაროლი", ხმა არ გამცა და ბუჩქებში მიიმალა. ვესროლე, მაგრამ, როგორც ჩანს, დავაცილე.

ლეიტენანტმა ჯარისკაცებს უბრძანა, გაფანტულიყვნენ და ყოველი ბუჩქი შეემოწმებინათ. ორი-სამი საათი ეძებდნენ „შპიონს", მაგრამ რაც არ იყო, რას ნახავდნენ?

მეორე დღეს ჯარში გაცნობილი ჩემი მეგობრები შალვა ბოსიტაშვილი და სანდრო კვანტალიანი მეკითხებიან, იმ სკვარამ ღამეში როგორ დაინახე შპიონიო?

გამეცინა:

– არც შპიონი დამინახავს და არც მგელი. უბრალოდ, მომინდა თოფის გასროლა და გავისროლე.

ბევრი იცინეს. მეორე დღეს პოლიტმეცადინეობაზე ამ ფაქტს შეეხნენ და აღნიშნეს, ჯაშუშებით გარშემორტყმული ვართ და ძალიან ფხიზლად იყავითო.

ერთ დღეს ბოსიტაშვილმა (იგი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო და ჯარისკაცებსაც ავარჯიშებდა), მწკრივში რომ ვიდექით და აჯამეთის ტყისაკენ მივყავდით სამეცადინოდ, მომაძახა: მგონი, სევასტი გარდაიცვალაო. საღამოს რომ მოვბრუნდი, ვკითხე, ვინ არის სევასტი-მეთქი? გულიანად იცინა, მგონი, სევასტოპოლი დაიკავეს გერმანელებმა. ისე სწრაფად მოდიან, რომ ომი ჩვენ შეიძლება არც მოგვინიოსო. შენ პირს შაქარი-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ ასე არ მოხდა, საშინელი ომი წლების მანძილზე გაგრძელდა და უამრავი ხალხი შეიწირა.

---

[1] ცუდია, ძალიან ცუდია!

[2] რიგგარეშე განწესი.

[3] შენ რაო, ინტელიგენტი ხარ, ხომ? თითების დასვრა არ გინდა, ხომ?

ქუთაისში ყოფნის დროს მნახულობდნენ ჩემიანები და ყველანი მარიგებდნენ, „თავს გავფრთხილებოდი“. კარგია თავის გაფრთხილება, მაგრამ როგორ, როცა ტყვიას სეტყვასავით გაყრიან და ჭურვები შორი-ახლოს სკდება, ზოგს თავს აცლის, ზოგს მუცელს უფატრავს?

მე მაინც ვპირდებოდი ყველას, რომ „ძალიან ფრთხილად“ ვიქნებოდი და არაყსაც არ დავლევდი. გავრცელებული იყო ხმა, რომ იერიშის წინ ჯარისკაცებს არაყს აძლევდნენ „გაბედულების მისაცემად“ და ისინიც „ურას“ ძახილით თავს აკლავდნენ მტერს. სხვაგან არ ვიცი და ჩვენ „ზოლოტაია ბალკაში“ კვირაში ერთხელ იერიშის გარეშეც გვაძლევდნენ ხან არაყს და ხანაც შამპანურს თითო ჩაის ჭიქას (ქვემოთ მოგახსენებთ, თუ საიდან გაჩნდა ეს „შამპანური“).

ერთფეროვანი დღეები დღეებს მისდევდა. თანდათან დაიწყეს ხალხის ფრონტზე გაგზავნა. მათ შორის, ჩემი მეგობრებისაც. ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა, სად მოხვდებოდნენ ისინი, მაგრამ გეოგრაფიული პუნქტის (ქალაქის, სოფლის) დასახელება აკრძალული იყო. თუ წერილში ვინმე დაწერდა, სამხედრო ცენზურა მას შლიდა.

მე მოვნახე გამოსავალი. მამაჩემს და რამდენიმე მეგობარს ვუთხარი, წერილი აკროსტიხის სახით წაეკითხათ და იქ ამოეკითხათ გეოგრაფიული პუნქტის დასახელება. ასე, მაგალითად, გზიდან მე წერილი გამოვგზავნე შინ, სადაც აკროსტიხით იკითხებოდა „ფოთი“, შემდეგ „სევასტოპოლი“, „ტუაფსე“ და ა. შ. ჩემი ამხანაგებიც (სანამ ქუთაისში ვიყავი) მატყობინებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს. სამიოდე წერილი ახლაც შენახული მაქვს და სადღაც ჩემს ქალაქებშია. ცენზურა ამას ვერ ამჩნევდა.

1942 წლის იანვრის დასაწყისში ჩვენ მოგვცეს ჯერ უმცროსი სერჟანტის, მერე სერჟანტის წოდება. ერთ კვირაში (როცა ექვსი რიგგარეშე მქონდა უფროსებისაგან, რადგან მათ ბრძანებებს ცუდად ვასრულებდი) გამომიძახეს და მითხრეს, ფრონტზე მიდიხარო.

14 იანვარს, შუადღისას, ქუთაისის ყაზარმებიდან გამოგვიყვანეს ორასამდე კაცი. ქუთაისის სადგურის ერთ-ერთ ჩიხში მატარებელი დაგვხვდა. იქ ბლომად იყვნენ სხვა ყაზარმებიდან ჩვენამდე მოყვანილი ჯარისკაცები. იმავე საღამოს ფოთში ჩავედით. 15-ში გემში ჩაგვსხეს, დღე და ღამე აქ გავატარეთ. გემი გაჭედილი იყო ჯარისკაცებით. ამბობდნენ, 3-4 ათასამდე ვართო. 16-ში დილით თბომავალი „აფხაზეთი“ (მგონი, ასე ერქვა) დაიძრა, მაგრამ სად მივდიოდით, არ ვიცოდით. გემს ფინიასავით მიჰყვებოდა ერთი კატარღა (ვითომ ჩვენი გემი უნდა დაეცვა მტრის თავდასხმისაგან). ერთხელ რამდენჯერმე გაისროლა, მაგრამ რას ესროლა, ვერ გავიგეთ. ზოგმა თქვა, მცურავ ნაღმს ესროლა ასაფეთქებლადო. რამდენად სწორი იყო, არ ვიცი.

გემზე საშინელი სივიწროვეა. ქიმზე ჩამოკიდებულ ნავებშიც კი სხედან ჯარისკაცები. მე ერთ კუთხეში, როგორც იყო, მივიჭეჭყე. ჩემ გვერდით აღმოჩნდა ორი ჯარისკაცი. გავეცანით ერთმანეთს. ერთი ორმოცამდე წლის გლეხი იყო, გვარად ზარნაძე (სახელი არ მახსოვს), მგონი, წყალტუბოსა თუ ქუთაისთან ახლო მდებარე რომელიღაც რაიონის მკვიდრი. მეორე – გრიშა კაპანაძე, ახალგაზრდა კაცი ლაგოდეხიდან, ფინეთის ომში ნამყოფი, ერთი თვალი დაზიანებული ჰქონდა.

ვკითხე, ფინეთთან ომში როგორ მოხვდი-მეთქი. ასეთი რამ მიამბო:

– ჯარში ომის დაწყებამდე ვიყავი გაწვეული. ტანკისტი ვარ, მემიზნე. ჩვენი ნაწილი მალე ფრონტზე გადაისროლეს და მაშინვე ბრძოლაში ჩავებით. ფინელები მაგრად

იცავდნენ თავს. მე ბოღმისაგან გულზე ვსკდებოდი, რატომ უნდა მოვკვდე ახლა აქ? ვისთვის ვიბრძვი? ფინელებმა რა დამიშავეს-მეთქი, მაგრამ რა გზა მქონდა, ვისროდი ტანკიდან წინ, მაგრამ გაურკვეველი მიმართულებით.

ერთ დღეს შეგვასვენეს, რადგან ათამდე ტანკი დავკარგეთ. ჩემი ტანკიც მცირედ დაზიანებული იყო. ტანკიდან გადავედით და ბიჭებს რაღაცას ველაპარაკებოდი, თუთუნს ვწევდით. უცებ ჩვენი ჯგუფის უფროსი რუსი კაპიტანი მოვარდა, ნასვამი იყო, დედა შეგვაგინა (იცი, ალბათ, რაც არის რუსული დედის გინება!) და დაიღრიალა: თქვე ლაჩრებო, თუთუნის წევის დროა? ტანკი მართეთ! მერე მე მომბრუნდა, სადაური ხარო. ქართველი ვარ-მეთქი, – ვუპასუხე. ქართველები ყველანი ლაჩრები და დარმოედები ხართ, თქვენ დედას ასე და ისე ვუქენიო. ვერ მოვითმინე და მეც ვუყვირე: ლაჩრები და პიანიცები რუსები ხართ, დედას ნუ იგინები, თორემ განახებ-მეთქი.

გადაირია, გაცოფდა, რევოლვერი ამოიღო და მიყვირა: „მოლჩატ, სვოლოჩ, ატო ზასტრელიუ კაკ სობაკუ!“[1] დიდხანს იღრიალა და მერე გაგვშორდა. განანებ-მეთქი, დავპირდი და ვანანე კიდეც.

– რანაირად?

გაეცინა.

– ერთ საღამოს, იერიშზე გადასვლა რომ გვიბრძანეს, მე უკან ჩამოვრჩი. მის ტანკს ვხედავდი. იმ ორომტრიალში რამდენჯერმე ვესროლე და მოვარტყი. ცეცხლი გაუჩნდა, მე სხვა ტანკებს შევერიე და წინ წავედი. სიკვდილის ღირსი იყო და თუ მოკვდა, ხომ კარგი.

ზარნაძე კი სულ სხვა რამეზე წუხდა. თავს აქნევდა და ხანდახან მუხლებზე ირტყამდა ხელს.

– რა დაგემართა, კაცო?

– დევილუპე, ბატონო, დევილუპე! ახალჩაყრილი ვენახი დამრჩა შინ, ციცქა და ცოლიკაური, კარგად იხარა, ნიშანი უკვე მომცა. ვინ მოუვლის ახლა მათ? ცოლი ავადმყოფი მყავს, ბიჭი კი ჩემზე ადრე გაიწვიეს ჯარში და სად არის, არ ვიცი. თითისხელა გოგოს კი, სახლში რომ დამრჩა, რა შეუძლია?

ასეთ საუბარში განვაგრძობდით გზას.

18 იანვარს, ადრე დილით (ჯერ კიდევ ბნელოდა), სევასტოპოლის ნავსადგურში შევედით, ნაპირზე გადმოგვსხეს და ერთ ყაზარმაში მოგვათავსეს. ქალაქის საკმაო ნაწილი დანგრეულია. ხანდახან ისმის კანტი-კუნტი სროლა. აქვე ვუყურებ პირველად გერმანელთა თვითმფრინავის თავდასხმას სევასტოპოლის ნავსადგურზე. ღამე იყო, გაისმა თვითმფრინავის გუგუნი. ქალაქის დამცველებმა იგი პროჟექტორების ჯვარედინ სინათლეში მოაქციეს და საზენიტო ქვემეხებმა ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. თვითმფრინავი ძალიან ცდილობდა, თავი დაეღწია პროჟექტორებისათვის, ხან მარჯვნივ უხვევდა, ხან მარცხნივ, მაგრამ დასხლტომას ვერ ახერხებდა. უცებ ტყვიასავით წამოვიდა დაბლა. ვიფიქრე, ჩამოაგდეს-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. ის ძალიან დაბლა დაეშვა და სწრაფად გაუჩინარდა. მალე მოისმა აფეთქების ხმა. სევასტოპოლში რამდენიმე დღეს დავრჩით. განუწყვეტლივ ისვრის არტილერია.

სასადილოდ რომ მივყავდით, სამზარეულოში ქართველი ბიჭები გავიცანით. გვით-

[1] – მოკეტე, არამზადავ, თორემ ძაღლივით მიგახვრიტავ!

ხრეს, ორ თვეზე მეტია, აქ ვმუშაობთო. ჩვენდამი სიყვარული იმით გამოამჟღავნეს, რომ საჭმელს რამდენიც გვინდოდა, იმდენს გვაძლევდნენ. იმათაც გვითხრეს, თავს გაუფრთხილდითო. ღმერთო ჩემო, რანაირად უნდა გაუფრთხილდე ომში თავს? ერთი როყიო ტყვია რომ მოგხვდეს, მაშინ? გაუფრთხილებლობით იქნება ეს?

ქართველმა ჯარისკაცებმა ისიც გვითხრეს, რომ ბევრი ჯარისკაცი ისე კვდება, რომ ტყვიის გასროლასაც ვერ ასწრებს. ვიდრე ფრონტის ხაზს მიაღწევდეს, მანამ დაბომბვაში ხვდება და იღუპება. ისევ გაგვიმეორეს, ფრთხილად იყავითო. აგაშენათ ღმერთმა, ვიქნებით ფრთხილად!

ჩვენ მე-15 ბატარეად მოგვნათლეს. პირველი, მეორე და მესამე ოცეული უკვე წაიყვანეს ფრონტზე. მათ შორის არიან ჩემი ქუთაისელი ნაცნობ-მეგობრებიც. ქუთაისში ორი პატარა ბლოკნოტი შევიძინე (რკინის ფირფიტები აქვს ყდებად). თავიდანვე გადავწყვიტე, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ამბები ჩამეწერა შიგ. ცუდად თუ კარგად, ეს შევასრულე.

ახლა გთავაზობთ ზოგიერთ ამონაწერს ამ დღიურიდან. როგორც ზევით მოგახსენეთ, სევასტოპოლში 18 იანვარს ჩავედით.

რა მოხდა შემდეგ?

„21 იანვარი. ღამე არტილერიისა და ნაღმმტყორცნების კანტი-კუნტი სროლა ისმოდა. დილიდან გაძლიერდა. შუადღისათვის სროლა ისე გაძლიერდა, რომ განუწყვეტელი ჭექა-ქუხილის სახე მიიღო. ნაშუადღევს სროლა შესუსტდა. მე-15 ბატარეიდან ფრონტზე წაიყვანეს I-II-III ოცეულები. მათ შორის იმყოფებიან ჩემი ნაცნობებიც ქუთაისის საარტილერიო პოლკიდან. საღამოს ამინდი გაფუჭდა.

22 იანვარი. საშინელი ცუდი ამინდია. თოვს, ქარი ქრის. ყინვა 20–25 გრადუსი იქნება. ისმის იმათი წუწუნიც, რომლებიც ქუთაისში ამბობდნენ: „რა ყოფილა ეს ქუთაისი, ტალახი, წვიმა, ქარი. ფრონტზე სჯობს, ფრონტზე!“ გული მიკვდებოდა, როცა ასეთ სიტყვებს ზოგიერთი ქართველისგანაც ვისმენდი...

23 იანვარი. გუშინ სალათებზე ჩვენი სახელი და გვარი დაგვაწერინეს. ყველას ჟრუანტელი უვლის. საშინელ ცუდ ხასიათზე ვარ. ეს მეორედ არის, თავის მოკვლაზე ვფიქრობ (ერთხელ სოფელ ფილიპოვოში, 1930 წელს). მაწუხებს საშინელი კითხვა: მოვკვდე, მაგრამ რისთვის?

დღეს მიგვიყვანეს მოწინავე ხაზზე. ჩვენი ბატარეიდან ყველა სხვადასხვა ადგილას გააგზავნეს. 28 კაცი დაგვტოვეს საშტაბო ბატარეაში. პირობები შედარებით უკეთესია. დახვედრილები გვეუბნებიან, ჯერჯერობით ჩვენ არ მოგვინევს უშუალოდ ომში მონაწილეობაო. ისე კი ჩვენს სადგომებს თავს დასცქერის გერმანელ-რუმინელთა ჯარი. მთაზე არიან, ჩვენ დაბლობში ვიმყოფებით. რომ მოინდომონ, ხომ გაგვულეტენ, მაგრამ ინტენსიურად არ ისვრიან. რაშია საქმე? მდგომარეობა უცვლელია ფრონტზე. ყინვა 30 გრადუსია. ჩვენ ოთახებში ვიყინებით. რა ამბავია სანგრებში? ამ დილით შტაბიდან მოსულებმა კვლავ შეგვივსეს ანკეტები.

26 იანვარი. 25 იანვარს ღამით საშინელი სროლა ატყდა. ძალიან გარკვევით ისმის თოფისა და ტყვიამფრქვევის ხმა. რა ითქმის ქვემეხებზე? ჩვენ თავზე ზუზუნით გადადის ყუმბარები. ცეცხლის კვალი ჰაერში შესამჩნევია.

ჩვენ ვიმყოფებით სოფელში, რომელსაც „ზოლოტაია ბალკა“ ეწოდება. აქვეა შტა-

ბიც. მოსახლეობისაგან დაცლილია. ბევრია ვენახი. ჩვენი სადგომიდან უშუალოდ ფრონტის ხაზამდე 2,5-3 კილომეტრი იქნება. გერმანელები ყველაფერს უცქერიან. ჩვენი მოძრაობა მათთვის შესამჩნევია. ისინი სიმაგრეში სხედან, რომლის ალება, როგორც ზოგიერთი ამბობს, ყოვლად შეუძლებელია.

მოკლედ, როგორც ჩანს, მე ფრონტზე ვარ (არ მჯეროდა აქამდის!), მხოლოდ უშუალოდ მონაწილეობას ომში არ ვიღებ. 29 კაციდან აქ 7 გამომთვლელი დაგვტოვეს. დანარჩენები სპეციალობის მიხედვით აქვე დაანაწილეს და სხვადასხვა ბინაში გადაიყვანეს. ლეიტენანტი გვეუბნება, რომ ჩვენ ფრონტის პირობებში ვიმეცადინებთ (მეცადინეობას ის დავალებების შესრულებას უწოდებდა). ჯერ არაფერი დაგვიწყია. ბევრი ქართველია აქ. გაცნობილებიდან უმრავლესობა გაზეთ „ჰორიზონტის" ხალხია. ჯგუფში, რომელსაც მე ეხელმძღვანელობ, 5 ქართველია.

4 თებერვალი. განვლილ რამდენიმე დღეში მნიშვნელოვანი იყო გააფთრებული სროლა ერთ-ერთ ღამეს. გერმანელები გრიგალისებურ ცეცხლს უშენდნენ ერთ უბანს. ჩვენ იძულებული გავხდით, ოთახიდან ბლინდაჟებისთვის შეგვეფარებინა თავი. რამდენიმე მოსახლე, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილა, აქვე აფარებს თავს სროლის დროს (უმეტესობა ბავშვები და ქალებია). ნატრობენ დიდ ყინვას და თოვლს, რადგან ასეთ ამინდში თითქმის სრული სიმშვიდე მყარდება. მართლაც საოცარია, როგორც კი გამოიდარებს ხოლმე, სიმაღლე 212-დან (გერმანელ-რუმინელებს უკავიათ) განუწყვეტელი ბათქია ჩვენს პოზიციებზე. საკმარისია, მოილრუბლოს ან აცივდეს, რომ სროლა შეწყდეს. გუშინ ორმა „მესერშმიდტმა" ძალიან მშვიდობიანად გააკეთა წრე ჩვენს განლაგებაზე და კურსი სევასტოპოლისაკენ აიღო (თვითმფრინავებს ესროდნენ, მაგრამ უშედეგოდ).

11 თებერვალი. განვლილ დღეებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მოთმინება მეკარგება. მოხდეს, რაც მოსახდენია, მხოლოდ ჩქარა!

19 თებერვალი. დღეს საღამოს 7 საათიდან მე მორიგე ყარაულის უფროსად ვარ. რანაირი დახლართულია ცხოვრება, რანაირ მდგომარეობაში არ ჩავარდება თურმე კაცი! გაინტერესებთ, რაშია საქმე? თუ ცოცხლად მნახოთ, მკითხეთ ამ ღამის ისტორია".

რაკი ცოცხალი გადავრჩი და, თუმცა იმ ღამეზე არავინ მეკითხება, მე მაინც გიამბობთ, რაც მოხდა. ისიც უნდა გითხრათ, რომ „დღიურების ჩანაწერებში" ბევრი რამ გამომრჩა, ბევრის ჩაწერას ვერ ვასწრებდი (ვწერდი ჩუმად, სხვების შეუმჩნევლად, მეშინოდა, თუ ვინიცობაა ბლოკნოტს ჩამომართმევდნენ, რაიმე კუდი არ გამოებათ).

ჯერ რამდენიმე სიტყვა იმ ფრონტისპირა სოფელზე, სადაც მე ვიყავი. „ზოლოტაია ბალკა" სევასტოპოლიდან დაახლოებით 10-12 კილომეტრზე იქნება. დაბლობშია. სამი-ოთხი მოსახლეა დარჩენილი. რა მიზეზით, არ ვიცი. დიდძალი ვენახია გაშენებული. ომის დაწყებამდე აქ მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფო მეურნეობა ყოფილა. აქვეა შამპანურის დამამზადებელი რამდენიმე ქარხანა უზარმაზარი სარდაფებით. ჩემი იქ ყოფნის დროს ეს სარდაფები სავსე იყო შამპანურით სავსე ბოთლებით. ზევით რომ ვახსენე, ფრონტზე ხანდახან შამპანურსაც გვაძლევდნენ-მეთქი (თითო ჩაის ჭიქას), ამ სარდაფებიდან იყო.

ამ სოფლის მდებარეობა უკეთ რომ წარმოიდგინოთ, თბილისისა და მთაწმინდის მდებარეობას შეადარეთ. მხოლოდ ჩვენი ქალაქი ქვაბულშია, მთაწმინდა კი ახლო-

საა, ზევიდან დაჰყურებს. „ზოლოტაია ბალკა“ ველზეა, სიმაღლე 212 კი ზევიდან დასცქერის დაბლობს და სოფლიდან დაშორებულია ორი-სამი კილომეტრით. 212-ე სიმაღლის გვერდით უსასრულო მთებიც არის. ორჯერ ჩვენმა ლეიტენანტმა ფუკალოვმა, რომელსაც თელავის საარტილერიო კურსები ჰქონდა დამთავრებული და ქართველებს გულთბილად გვეპყრობოდა, ჩვენი ტოპოდაზვერვის გამომთვლელები ზედ ფრონტის ხაზზე, სანგრებში ჩასაფრებულ ქვეითებამდე მიგვიყვანა. შაშხანები კი გვქონდა, მაგრამ შედარებით სიწყნარე იყო და მხოლოდ ათამდე ვაზნის გასროლა მოგვინია. მერე ვზომავდით, ვანგარიშობდით და პლანშეტზე გადაგვქონდა მთების სიმაღლე და დაბლობის რელიეფი ჩვენი ტოპოდაზვერვის იარაღ-ინსტრუმენტებით. ცნობები შემდეგ ფუკალოვს მიჰქონდა შტაბში, იყენებდნენ რაიმეში თუ არა, არ ვიცი.

ამ სოფელში იყო განლაგებული 404-ე საარტილერიო პოლკის შტაბი. იმ შტაბზე ვიყავით მიმაგრებული ჩვენ. პოლკს მეთაურობდა პოლკოვნიკი ბაბუშკინი.

თითქმის ყოველ სახლთან ყარაულები იდგა, უპაროლოდ ფეხს ვერ გადადგამდი სადმე. მე რამდენჯერმე მომიწია მორიგე ყარაულის უფროსობა. ჩემი მორიგეობის დროს (განსაკუთრებით ღამით) უნდა შემემოწმებინა, თუ რამდენად ფხიზლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ყარაულები.

ერთხელ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მორიგი შემოვლის დროს დავინახე სახლთან ჩამომჯდარი ახალგაზრდა ჯარისკაცი, თოფი გვერდზე მიეყუდებინა და გემრიელად ხვრინავდა. თოფი ავიღე და ჯარისკაცი გავაღვიძე. გულში გამეცინა და თანაც შემეცოდა ეს 18–20 წლის ბიჭი. განგებ გულმოსულად ვეუბნები:

– შენ სამხედრო სასამართლოს გადაგცემენ და იქ აგებ პასუხს!

შინელის კალთაზე ჩამავლო ხელი და მეხვეწება: „უფროსო, ნუ იზამთ ამას, მაპატიეთ, ძალიან დაღლილი ვიყავი“.

თოფი უკანვე მივეცი. ეს ახალგაზრდა ყაბარდოელი თუ ინგუში იყო, გვარად, მგონი, შუკაევი თუ შიბუევი. ამის შემდეგ ძალიან დამიახლოვდა და ყოველნაირად ცდილობდა, ჩემი მორიგეობის დროს ჩემთან ყოფილიყო. მეც არ ვიშორებდი მას და იქ ვაყენებდი ყარაულად, სადაც ჩემი ბინა და ბლინდაჟი იყო.

10 თებერვალს, ღამით, მორიგეობისას სახლთან შუკაევი მყავდა დაყენებული. მე შემოვლის შემდეგ ოთახში შევედი, ნარზე წამოვწექი და მახორკას ვაბოლებდი. უცებ შუკაევის ხმა მესმის:

– ამხანაგო უფროსო სერჟანტო, თქვენ გკითხულობენ!

სწრაფად გამოვედი. ჩემ წინ ხუთი სამხედრო გამოჩნდა. კიბეზე ამოვიდნენ და ოთახში შემოვიდნენ. დარაბებდახურულ ოთახში ჭრაქი ბუჟტავს. მკრთალ სინათლეზე ვხედავ უფროს ლეიტენანტს, სერჟანტს და სამ ჯარისკაცს. ჩაუყენებიათ შუაში ორი კაცი უიარაღოდ და ხელისკვრით შემოიყვანეს ოთახში. ვაკვირდები მათ და გავფითრდი, კინაღამ გული წამივიდა. ჩემ წინ ზარნაძე და გრიშა კაპანაძე იდგნენ, გემზე რომ გავიცანი და თითქმის დავმეგობრდით, კარგა ხანს სევასტოპოლშიც ერთად რომ ვიყავით. ისინი ტალახით არიან მოსვრილნი. გაოცებით მიყურებენ. ლეიტენანტი მეუბნება:

– ესენი დეზერტირ-პერებეჟჩიკები[1] არიან. მტრებთან გადავიდნენ, დავალებით უკანვე გამობრუნდნენ, მაგრამ ჩვენმა დაზვერვამ დააპატიმრა. თქვენი პირადი პასუ-

[1] „პერებეჟჩიკი“ – მტრის მხარეზე გადასული.

ხისმგებლობით ხვალ დილამდე ბლინდაჟში ან სარდაფში ამყოფეთ. დილით მოვლენ შტაბიდან და წაიყვანენ. თუ საჭიროდ ცნობთ, კიდევ გამოუძახეთ ყარაულს.

ხელი ავუწიე და მოვახსენე:

– არის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

ისევ ეზოში ჩავედით. შუკაევს ვუთხარი, კაპანაძე და ზარნაძე სახლის ქვეშ, სარდაფში ჩაეყვანა. სარდაფში ჩასასვლელი კიბესთან ახლოს იყო. კიბეზე ჩამოვჯექი, გაშტერებული ვარ. რა მოხდა? თუ გადავიდნენ, უკან რისთვისღა დაბრუნდნენ? ღმერთო ჩემო, რა ეშველება ამათ?

შუაღამისას შუკაევს ვუბრძანე, სახლთან არავინ მოეშვა, თუნდაც პაროლი ეთქვათ. მე სარდაფში ჩავედი. ზარნაძე და კაპანაძე იატაკზე ისხდნენ. დრო არ დამიკარგავს და კაპანაძეს ვკითხე:

– გრიშა, რა მოხდა?

ისიც მიყვება:

– ფრონტის ხაზზე მიგვიყვანეს თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე, გერმანელების მხარეს გადავსულიყავი. ვუთხარი ამასაც (ზარნაძეზე მიუთითა), გადავსულიყავით ერთად. დამეთანხმა. ყოველდღე გერმანელების მხრიდან გვესმოდა ქართული გადმოცემა: „ქართველებო, გადმოდით ჩვენს მხარეს. დამპყრობელი რუსეთისათვის რატომ იკლავთ თავს? არ გინდათ, თავისუფალ საქართველოში იცხოვროთ? სირცხვილია, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა გაჯობეს თქვენ. გამოფხიზლდით და ჩვენს მხარეს გადმოდით. ჩვენ საქართველოს განთავისუფლებისათვის ვიბრძვით“ (ასეთი გადმოცემა მეც ხშირად მომისმენია, ძალიან კარგად ისმოდა ყველაფერი).

– მერე რა მოხდა?

– მერე ჩვენ შედარებით იოლად გადავლახეთ ფრონტის ხაზი და უკვე მეორე მხარეს აღმოვჩნდით. იქ ოცამდე ქართველი დაგვხვდა. იყვნენ უკრაინელებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, რუსებიც. კარგად მიგვიღეს. მეორე დღეს გერმანელების შტაბში მიგვიყვანეს. ვილაც ოფიცერი გვეკითხება:

– თუ არიან ჯარისკაცებში ჩვენს მხარეს გადმოსვლის მსურველები?

– მე რამდენიმეს ვიცნობ, რომლებსაც კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა სურთ.

ამის შემდეგ ოფიცერი ვილაცებს დიდხანს ელაპარაკა და ბოლოს მოგვცა წინადადება, გავბრუნებულიყავით უკანვე და ვისაც სურვილი ექნებოდა, მათ მხარეზე გადაგვეყვანა. უკან ჩვენი მზვერავები გადაგიყვანენო. არ გვესიამოვნა, მაგრამ იმდენი გვიჩიჩინეს, რომ ბოლოს დავთანხმდით. უკან გამობრუნებულებს გზა აგვებნა და ჩავვარდით. დაგვაპატიმრეს და აქ მოგვიყვანეს. აი, ასე იყო საქმე.

– რა გინდათ ახლა, რომ მოგაწოდოთ?

– არაფერი. მახორკას თუ გვიშოვი, კარგი იქნება.

ამოვედი სარდაფიდან, ერთი შეკვრა მახორკა მქონდა, ერთიც შუკაევს გამოვართვი და პატიმრებს ჩავუტანე. თან ერთი ბუხანკა პური და შაქრის რამდენიმე ნატეხიც მივაყოლე. ესენი გადავეცი მათ და ვუთხარი:

– თქვენი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ყოველთვის თქვით და რომ გაწამონ, მაშინაც გაიმეორეთ, რომ გზა აგებნათ და შემთხვევით აღმოჩნდით ფრონტის იქითა მხარეს. როცა ამაში დარწმუნდით, უკანვე გამობრუნდით და თქვენს ამხანაგებთან შეერთებას ცდილობდით.

მეორე დღეს კარგად გათენებული იყო, მათ წასაყვანად რომ მოვიდნენ. კიბესთან დავხვდი მათ. ზარნაძეს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, კაპანაძე კი პირქუშად გამოიყურებოდა. შემხედეს და ჩუმად ჩაილაპარაკეს:

– მშვიდობით!

– მშვიდობით! ყოჩაღად იყავით! არ დაგავიწყდეთ, რომ გზა აგებნათ.

დაზვერვის ლეიტენანტმა გულმოსულად იკითხა:

– ჩტო ანი ბალტაიუტ?[1]

მე ვუპასუხე:

– ისინი ამბობენ, რომ დამნაშავენი არ არიან და შემთხვევით გზა აებნათ.

– ტამ რაზბერუტსია, ვინოვატი ილი ნეტ.[2]

ისინი სევასტოპოლში წაიყვანეს. მერე მათი ბედის შესახებ არაფერი ვიცი.

შუკაევთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მინდა მოვიგონო, მაგრამ მანამდე ამასაც მოგახსენებთ, რაც მე გადამხდა ერთ დღეს. ყარაულში ვდგავარ. მიახლოვდება პოლკის კომისარი, ყოვლად საზიზღარი კაცი. მიღიმის და მოდის ჩემკენ. რომ მომიახლოვდა და პირისპირ დამიდგა, მოულოდნელად ხელიდან შაშხანა გამომტაცა და მიყვირის:

– რატომ პაროლი არ მკითხე?

– ძალიან კარგად გიცნობთ, პოლკის კომისარი ბრძანდებით და ამიტომ არ გკითხეთ პაროლი.

– ვალდებული იყავი, პაროლი გეკითხა. ამას შტაბში მოვახსენებ და პასუხს გაგებინებ.

– ამხანაგო კომისარო! თქვენ ყველა პირადად გიცნობთ ნაწილში და პაროლი ამიტომ არ გკითხეთ.

არ ვიცი, რა გაიფიქრა, იქნებ ის მოეწონა, რომ ვუთხარი, თქვენ ყველა პირადად გიცნობს-მეთქი. გამაფრთხილა: ეს უკანასკნელი იყოს. პოლკოვნიკი ბაბუშკინიც რომ მოდიოდეს, იმასაც პაროლი ჰკითხეო.

ასე დავშორდით ერთმანეთს.

ეს ყველაფერი მოვუყევი შუკაევს და ვუთხარი, ფრთხილად ყოფილიყო. მან ღიმილით მიპასუხა:

– ხარაშო, ია ემუ პოკაჟუ![3]

რა „პოკაჟუს“ გულისხმობდა, არ უთქვამს. თებერვლის ერთ თოვლ-ჭყაპიან დღეს, ცივი ქარი რომ ქროდა და მიწა ატალახებული იყო, შუკაევი ყარაულში იდგა. მოულოდნელად მისკენ წამოსულა კომისარი. შუკაევს უყვირია: „პაროლ!“

კომისარს ღიმილით უპასუხნია:

– შენ რა, ვერა მცნობ? პოლკის კომისარი ვარ.

– პაროლ, ა ტო ზასტრელიუ![4]

შუკაევმა მას ესროლა (უფრო სწორად, როგორც მან მითხრა მერე, ჰაერში გაისროლა).

---

[1] – რას ბურტყუნებენ?

[2] – იქ გაარკვევენ, დამნაშავეები არიან თუ არა.

[3] – კარგი, მე იმას ვაჩვენებ!

[4] – პაროლი, თორემ ტყვიას დაგახლი!

– ლოჟის ნა ზემლიუ, ა ტო უბიუ![1] – მეორე ტყვიაც მიაყოლა ჰაერში.

შეშინებული კომისარი მიწაზე გაშხლართულა და უყვირია „პაროლი".

სროლაზე მოცვივდნენ შტაბის ოფიცრები და ნახეს ტალახში ამოგანგლული კომისარი. დაიწყო გამორკვევა, რა მოხდა და როგორ მოხდა. შუკაევი დაჟინებით იმეორებდა: – მე როგორც მასწავლეს, ისე მოვიქეცი, ყველას პაროლი მოჰკითხეო. ამხანაგმა კომისარმა კი, სანამ მიწაზე არ გაიშხლართა, პაროლი არ მითხრაო.

ზოგიერთს უნდოდა ჯარისკაცის დასჯა, მაგრამ მერე რატომღაც თავი შეიკავეს. იგი სიცილით მეუბნებოდა:

– ტოვარიშჩ სერჟანტ! უსტროილ ია ბანიუ კომისარუ და?[2]

– კანეჩნო უსტროილ, შუკაევ, ხოროშო უსტროილ![3]

ორივე მაგრად ვიცინოდით.

სახლში, სადაც ჩვენ ღამეს ვათევდით, ორი დიდი ოთახი იყო. იქითა ოთახში ოცამდე ჯარისკაცი იმყოფებოდა, აქეთაში – თხუთმეტამდე, მათ შორის, ჩვენი ტოპოდაზვერვის ექვსი კაცი. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გექონდა. კარები შუაში, როგორც წესი, გახსნილი იყო და ერთმანეთის ლაპარაკი კარგად გვესმოდა. მეორე ოთახში ძალიან ბობოქრობდა და სარდლობას, ხელისუფლებასაც უშვერად აგინებდა ერთი უკრაინელი, გვარად ძიუბა. იგი ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა.

ერთ დღეს ჩვენი ტოპოდაზვერვის წევრი ბუჟგულაშვილი პოლკის კონტრდაზვერვის უფროსთან გამოიძახეს. დაბრუნდა ორი საათის შემდეგ. შევეკითხე, რატომ გამოგიძახეს-მეთქი? რაღაც დაბნეულად მიპასუხა და მითხრა:

– ჩვენ არაფერი არ უნდა დავმალოთ, ვინ რას ლაპარაკობს აქ. შეიძლება შენც გამოგიძახონ. მე უფროსს ვუთხარი, რომ ჩვენს შორის (ქართველებს გულისხმობდა) შენ შედარებით უკეთესად იცი ენა და ვინ რას ლაპარაკობს, ის გეტყვით-მეთქი.

სიბრაზისაგან ლამის გული გამისკდა, მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს.

მეორე დღეს, საღამოს, მართლაც გამომიძახა კონტრდაზვერვის უფროსმა. გამომკითხა გვარი, სახელი, ეროვნება, განათლება, მყავს თუ არა მშობლები, ცოლშვილი, სად ცხოვრობენ და რას აკეთებენ. მხოლოდ არ უკითხავს, მსჯავრდებული ვიყავი თუ არა.

შემდეგ ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– თქვენ გსურთ თუ არა, წითელმა არმიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვოს ამ ომში?

– რა თქმა უნდა!

– მაშინ დაგვეხმარეთ.

– მე ფრონტის ხაზზე ვარ. რასაც მიბრძანებენ, შევასრულებ. რაც მევალება, შეძლებისდაგვარად ვაკეთებ.

– ეგ ვიცით. ლეიტენანტ ფუკაევის წარდგინებით თქვენ უფროსი სერჟანტის წოდება მოგენიჭათ. გილოცავთ!

– გმადლობთ!

---

[1] – დაწექი მიწაზე, თორემ მოგკლავ!.

[2] – ამხანაგო სერჟანტო, დედა ვუტირე თუ არა კომისარს?

[3] – ცხადია, უტირე, შუკაევ, კარგადაც უტირე!

– აი, რა, ამხანაგო უფროსო სერჟანტო! მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ჯარისკაცები ბუზღუნებენ. ზოგი აშკარად ჩვენს წინააღმდეგ ლაყბობს და დეზორგანიზაცია შეაქვს ჯარში. ჩვენ ეს ძირშივე უნდა აღვკვეთოთ. დაგვეხმარეთ!

– რით, ამხანაგო უფროსო?

– ითანამშრომლეთ ჩვენთან. აი, თქვენთან არის ჯარისკაცი ძიუბა. ვიცით, რასაც ლაყბობს ის და ისინიც, ვინც მასთან მეგობრობენ.

– ძიუბასთან არაფერი საქმე არ მქონია. ის ტოპოდაზვერვაში არ ითვლება. არც არასოდეს დავინტერესებულვარ, რას ლაპარაკობს ის, ამიტომ მაგ საქმეში ვერ გამოგადგებით.

აქამდე ჩვენი საუბარი ძალიან ზრდილობიანად მიმდინარეობდა. ამის შემდეგ მან ხმას აუწია და „შენობით“ დამიწყო ლაპარაკი.

– ერთი სიტყვით, არ გინდა დაგვეხმარო? სანანურად არ გაგიხდეს მერე!

გულმოსულმა გამომიშვა უკანვე.

ღმერთო ჩემო! როგორ გავდა ყველაფერი ეს რაზმაძესთან საუბარს „გრუზჩეკაში“ 1929 წელს, კარელინთან შეხვედრას და საუბარს ბრატსკიში 1931 თუ 1932 წელს, სტრელნიკოვთან საუბარს ირკუტსკში 1933 წელს! სად დაიგეშნენ და როგორ ერთნაირად დაიგეშნენ ასე?

როცა ოთახში დავბრუნდი, ბუუგულაშვილი მეკითხება:

– რაზე ლაპარაკობდით?

– არაფერზე, უფროსი სერჟანტის წოდება მომანიჭეს და ის მომილოცა. თანაც მითხრა, თუ ასევე კარგად განვაგრძობდი ტოპოდაზვერვაში მუშაობას, მალე უმცროსი ლეიტენანტის წოდებასაც მომანიჭებდნენ.

– სულ ეგ იყო?

– სულ ეგ იყო.

მიხვდა ჩემი თანამოსაუბრე, რომ მასთან ლაპარაკი არ მსურდა. ეს არ შეიმჩნია მაშინ, მაგრამ შემდეგში მისი ქცევა მარწმუნებდა, რომ ის კარგ გზაზე აღარ იდგა, ჩუმ-ჩუმად ყველას გვითვალთვალებდა.

მიდიოდა დღეები. დროდადრო ჩვენს სოფელს ყუმბარებიც ხვდებოდა, მაგრამ ერთხანს დიდ ზიანს ვერ გვაყენებდა. ერთხელ ფუკალოვმა ხუთი კაცი შეგვარჩია და ზედ ფრონტის ხაზზე მიგვიყვანა. ვხედავდით სანგრებს, ჩამალულ ჯარისკაცებს, მაგრამ მაშინ შედარებით სიწყნარე იყო, მხოლოდ კანტი-კუნტი სროლა ისმოდა. მისი ხელმძღვანელობით სიმაღლე 212-თან კიდევ ორი მთის სიმაღლე გავზომეთ და უკან გამოვბრუნდით. გზაში მოგვესმა, რომ სოფელს ქვემეხებს უშენდნენ. სოფელში რომ დავბრუნდით, ჯარისკაცებმა გვითხრეს, ერთი ჭურვი ბლინდაჟს მოხვდა და ორი კაცი მოგვიკლაო. ფუკალოვმა, რომელიც ჩემთან თითქმის მეგობრობდა, მითხრა:

– ნავიდეთ, გავიგოთ, რა მოხდა.

გავყევი სანნაწილში. იქ ვნახეთ ერთი მიცვალებულის გვამი. გარეთ ესვენა და გადაფარებული ჰქონდა შინელი და საწვიმარი მოსასხამი. იქვე იდგა შუა ხნის სანიტარი მამაკაცი. ფუკალოვმა სთხოვა, გვანახე, ვინ არისო. იმანაც ბურტყუნით გვიპასუხა:

– ჩეგო სმოტრეტ, უ ოდნოგო გოლოვა ოტორვანა, უ დრუგოვო კიშკი ვილეტელი.[1]

[1] – რა უნდა ნახოთ, ერთს თავი აქვს მოწყვეტილი, მეორეს ნაწლავები გადმოუცვივდა.

მეორე მკვდარი არ ჩანდა. იგი, მძიმედ დაჭრილი, საავადმყოფოში წაეყვანათ. ფუკალოვმა გადასწია საწვიმარი მოსასხამი და თვალთ დამიბნელდა. თავი მართლაც რამდენი ძარღვით იყო მიბმული კისერზე. იგი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა, გვარად ოსმანოვი იყო, სამოცი წლისა იქნებოდა, ყირიმელი თათარი, რომელიც რატომღაც სოფელში იყო დარჩენილი. მეორესაც მივაკითხეთ სანნაწილში. იგი აღმოჩნდა დიმიტრი ფირცხალაიშვილი (მე ის ლანჩხუთის სადგურში მყავდა გაცნობილი, პროფესიით მასწავლებელი). ორივენი ჩემს ოთახში ხშირად დადიოდნენ, გარეთაც ვხვდებოდით და კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ფირცხალაიშვილი, როგორც მითხრეს, მეორე დღეს გარდაიცვალა.

იგი ხშირად მეუბნებოდა: აი, ომი გათავდება, წავალთ გემით საქართველოში, შენ ჩემთან მოხვალ სტუმრად. ჩვენ დაგხვდებით გურული ხაჭაპურებით, შემწვარი გოჭით, ბაჟეში ჩაწყობილი ვარიკებით და ნატურალური ადესით. ჰო, რა ვქნათ ახლა, ზოგს ადესა არ მოსწონს, მაგრამ თუ კარგად დამწიფებულს დაკრეფ, გემრიელი ღვინო დგებაო.

სამწუხაროდ, არ გაუმართლდა.

როგორ მიდიოდა დღეები? ახლა ამას ჩემი „დღიურის“ ამონაწერებით გაგაცნობთ.

„27 თებერვალი. ღამის 11 საათია. პოსტზე ვარ. სიმაღლე 212-დან გერმანელებმა მოაწყვეს რადიოგადაცემა ქართულ ენაზე. გარკვევით ისმოდა ყველაფერი.

2 მარტი. დღეს საღამოს მივიღე დედაჩემის წერილი თბილისიდან. რამდენი სიხარული და იმედი გამოინვია ჩემში გაურკვეველი ხელით დაწერილმა სტრიქონებმა.

უთარიღო მარტის დღე. ჩემი ფრონტზე მოსვლის ორი კვირის შემდეგ კვლავ შეავსეს ანკეტა. ეს უკვე მერამდენედ მეკითხებიან, თუ რა მიზეზით ვიყავი დაპატიმრებული. აშკარად მეთვალყურეობის ქვეშ ვარ, მაგრამ ამას სჩადიან ისე უხეშად და მოუქნელად, რომ გულში მეცინება.

20 მარტი. მეცადინეობაზე ვიყავით („მეცადინეობას“ უწოდებდნენ რაიმე სამხედრო დავალების შესასრულებლად წასვლას ფრონტის ხაზზე ან მის მახლობლად). მე პირველად ვუცქირე თვითმფრინავის ჩამოგდებას და საჰაერო ბრძოლას. პირველად ჰაერში გამოჩნდა გერმანელთა 4 თვითმფრინავი. საზენიტო არტილერია გააფთრებით აწარმოებდა სროლას. ერთ-ერთ მათგანს ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა (ეტყობოდა, ნამსხვრევი ბენზინის ბაკს მოხვდა). ცეცხლმოდებული თვითმფრინავი მიწას დაეჯახა. დანარჩენებმა მშვიდობიანად დააღწიეს თავი. გერმანელებს ნავსადგურში ტანკები ჩაეძირათ“.

მარტში ასეთი რამ მოხდა. ლეიტენანტმა ფუკალოვმა მითხრა, რომ შტაბში მოსულია ნკო-ს (თავდაცვის სახალხო კომისარიატი) ბრძანება №242, მაგრამ არ ვიცი, რას ეხებაო. თუ რას ეხებოდა, სულ მალე გაირკვა. სათითაოდ იძახებდნენ შტაბზე მიწერილ ჯარისკაცებსაც და მეთაურებსაც და ეკითხებოდნენ, პასუხისგებაში ნამყოფი იყვნენ თუ არა და რა მიზეზით. მეც გამომიძახეს. შტაბში ცალკე ოთახში შემიყვანეს ვიღაც სათვალეებიან მაიორთან. მკითხა სახელი, გვარი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შლის წინათ შევსებულ ჩემს ანკეტას და მეკითხება:

– თქვენ ადრე პოლიტიკურ საქმეზე ყოფილხართ დაპატიმრებული.

– დიახ, ვიყავი.

– რა მუხლით?

– 58-ე მუხლით. მე-10 და 11-ე პუნქტით.

მაიორი გაოცებით მიყურებს.

– ოჰო, ეს ძალიან მაგარი საქმეა. თქვენი ოჯახიდან ან ნათესავებიდან სხვები ხომ არ ყოფილან დაპატიმრებულნი?

მე ჩეკისტებთან, სამხედრო კომისარიატში და, საერთოდ, ეგრეთ წოდებულ „ორგანოებში" არასდროს დამიმალავს ჩემი წარსული, რადგან თუ დავმალავდი, მაინც გაიგებდნენ და მერე სხვანაირ კუდს გამოაბამდნენ, რა მიზნით დამალეო და ა. შ. ვმალავდი მხოლოდ სამსახურში, რადგან რომ არ დამემალა, ისე სათოფეზეც არ გამიკარებდნენ ნაციხარსა და ნაციმბირალს დაწესებულებათა ხელმძღვანელები და კადრების განყოფილება. ახლა დასამალი არაფერი მქონდა და მაიორს ვუპასუხე:

– დაპატიმრებულებიც იყვნენ და დახვრეტილებიც.

– ჩამოთვალეთ და სახელიც და გვარიც დაასახელეთ.

– 1924 წელს დახვრიტეს ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი ალექსი კეკელიძე აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

– ეს რა აჯანყება იყო?

– საქართველოში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

– კიდევ?

– 1937 წელს დახვრიტეს ჩემი ღვიძლი ბიძა ანდრო კეკელიძე.

– ვინ იყო?

– ბოლო დროს ფინანსისტი. მანამდე ძველი არმიის ოფიცერი.

– კიდევ?

– ჩემი ბიძა, დეიდის ქმარი, ბენო ბაკურაძე. დახვრიტეს 1937 წელს. მისი ქალიშვილი დაიჭირეს და გადაასახლეს. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, გადასახლებულია ბიცოლაჩემი თამარ აბაშიძე, ანდრო კეკელიძის ცოლი.

– თქვენ რამდენ ხანს იყავით ციხე-გადასახლებაში?

– დაახლოებით ხუთი წელი.

ყველაფერ ამას გულმოდგინედ იწერდა მაიორი. ბოლოს მითხრა:

– როგორ მოხვდით ფრონტზე?

– მობილიზაციით, ამხანაგო მაიორო.

მეტი არაფერი უკითხავს. გავიდა კარგა ხანი. მე გადამავიწყდა კიდეც ეს ამბავი. ჩვეულებრივი დაკითხვა მეგონა, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა. ამონაწერი ჩემი „დღიურიდან":

„21 მარტი. მოულოდნელად დილით გამომიცხადეს, რომ ჩემი ბარგით მივდივარ დივიზიის შტაბში. იქ თბილი ტანსაცმელი გამხადეს. რაში იყო საქმე, სრულებით არ ვიცოდი. სხვადასხვა ნაწილიდან მოიყვანეს კიდევ მრავალი სხვა. ისევე შეავსეს ანკეტები და მიგვიყვანეს შემდეგ იმ შენობაში, სადაც პირველად მივედით 18 იანვარს. ჩემისთანები ათასობით აღმოჩნდა. თითქმის ყველა პასუხისგებაში ნამყოფი ხალხია.

ამ დღეს სიკვდილს ძლივს გადავურჩი. სოფელში, სადაც ჩვენი ნაწილი იდგა, ჩემი გამოსვლის დროს (დილის 8 საათზე) გამოჩნდა თვითმვრინავი, რომელიც ძალიან დაბლა მოფრინავდა. ჯარისკაცებით სავსე იყო შარაგზა. ყველა ამბობდა – ჩვენიაო. გერმანელებისა აღმოჩნდა. ტყვიამფრქვევს მაგარი ცეცხლი გაუხსნა. ზევით მე რამ-

დენჯერმე აღვნიშნე, რომ გერმანელები ქვემეხს არ გვიშენდნენ-მეთქი. უკანასკნელ ხანებში კი სოფელი ძლიერი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ იმყოფება. ხშირია მსხვერპლი.

...უკანასკნელ ათ დღეში ფრონტი გამოცოცხლებას იწყებს. ძლიერ აქტიურობას იჩენს გერმანელთა ავიაცია და არტილერია. თვითმფრინავების ბრძოლას ჰაერში ასეთი ხასიათი ჰქონდა: თვითმფრინავი თვითმფრინავს გვერდში ჩაუქროლებდა ან ცდილობდა, უკან მოქცეოდა და ტყვიამფრქვევს უშენდა. საზენიტო ამ დროს არ ისვრის. რამდენჯერმე განმეორდა ეს უშედეგოდ. გერმანელთა 8 თვითმფრინავმა გზა განაგრძო. ჩვენი მხრიდან მონაწილე თვითმფრინავებიც თავის აეროდრომისაკენ გაეშურნენ.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უფრო სამმა რამემ გამოიწვია ჩემი წარმოდგენის, ფანტაზიის გაქარწყლება. ეს იყო: 1. წარმოდგენა ზღვის შესახებ. 2. ომზე და 3. თვითმფრინავების ბრძოლაზე. სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა მანამ, სანამ მათ ვნახავდი.

27 მარტი. ჩემისთანები ერთ-ერთ ბარაკში და ახლო შენობებში 1000-მდე ყოფილან შემდგარი სხვა ჯგუფებიც. ჩვენი ჯგუფი ორ ნაწილად გაყვეს. ჩვენ გვეწოდება III როტა, A. ამბობენ, ეს მუშათა ბატალიონიაო. რა ვიცი, რა არის. ფაქტი კია, ძალლურ პირობებში ვიმყოფებით. ხმა დადის, კავკასიაში უნდა გაგვაგზავნონო. ვნახოთ. ჯოჯოხეთურად მძიმედ გაიარა უკანასკნელმა ექვსმა დღემ. თუ წასაყვანი ვართ, წაგვიყვანონ, მხოლოდ მალე".

აქ ერთი რამ უნდა გავიხსენო: როცა სოფლიდან სევასტოპოლისკენ მიმავალ გზას დავადექი, სულ მარტოდმარტო მივდიოდი. თოვლი იდო გზაზე, სიარული არ გამჭირვებია. ერთ ადგილას შევისვენე. აქ წამომეწია ერთი ჯარისკაცი. შესახედავად რუსს არ ჰგავს. მივესალმეთ ერთმანეთს. საიდან ხარ-მეთქი, ვკითხე. მახინჯაურიდანო, მიპასუხა. შემდეგ ასეთი ლაპარაკი გაიბა:

– რა გვარი ხარ?

– მუჰამედ ბაგრატ-ოღლი.

– თათარი ხარ?

ეწყინა.

– აჭარელი ვარ, ქართველი ვარ.

– რა ვიცი, სახელიც და გვარიც თათრისა გაქვს.

– ეგ ჩემი ბრალი არ არის. ჩვენ ბაგრატაშვილები უნდა ვიყვეთ, მაგრამ გვარის გამოცვლა აქამდე ვერ მოვახერხეთ.

– რატომ გამოგიყვანეს ფრონტიდან?

– ანკეტაში ვუპასუხე, რომ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი თურქეთში ჩემს ნათესავებთან. ეს არ მოეწონათ.

აი, რა მიამბო გზაში ამ ბაგრატაშვილმა:

– საავიაციო ნაწილში ვიყავი. ერთხელ ჰაერში მაგარი ბრძოლა გაიმართა. გერმანელების ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ერთის ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა, მეორიდან მფრინავი გადარჩა, მძიმედ იყო დაჭრილი. მიცვივდნენ მთვრალი ჯარისკაცები, გამოათრიეს ნამსხვრევებიდან. ვიფიქრე, სანნაწილში წაიყვანენ-მეთქი. იმათ კი დაჭრილი ორმოში ჩააგდეს. ახალგაზრდა ქერა ბიჭი იყო, ლამაზი. სისხლი სდიოდა ყელიდან. ვილაცამ დანა დუნდულაში ჩასცხო, ერთხელ, ორჯერ. ვერ მოვითმინე და

შევუყვირე, რას სჩადი, შე ულმერთო-მეთქი. შენ ვინა გკითხავსო, მომაყვირეს და ცემა დამიწყეს. ბარბაცით გავშორდი იქაურობას. შემდეგ რამდენიმე გასროლა გავიგონე. მოკლავდნენ იმ საცოდავს.

ამის შემდეგ სევასტოპოლამდე თითქმის უხმოდ განვაგრძეთ გზა. მძიმე ფიქრები მოგვერია.

ბაგრატაშვილი შვიდკლასდამთავრებული იყო, კარგი საამხანაგო ახალაზრდა გახლდათ. გროზნოში ერთად ვმუშაობდით. თბილისშიც მნახა და ჩემი წამოსვლის შემდეგ რა დღეშიც იყვნენ ბიჭები, იმათი ამბავიც მომიყვა.

„29 მარტი. საღამოს 9 საათზე გამოვედით გემით სევასტოპოლიდან. გემის სახელწოდება ვერ გამოვარკვიეთ. 31-ში, დილის 4 საათზე, მივედით ტუაფსეში. ქალაქს აქაც ხშირად ბომბავენ. მცხოვრებლების გადმოცემით, 23-24 რიცხვში პორტში ჩაეძირათ ერთი სამხედრო და ერთი სამგზავრო გემი.

გზაში ჩემთან ერთად ბევრმა გამოსცადა ე. წ. „ზღვის ავადმყოფობა“. იქითა გზაზე ეს არ მიგრძვნია. გულისრევა, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე მეტად ცუდ გუნებაზე აყენებს კაცს.

ქალაქი პატარაა და არც მაინცდამაინც ლამაზი. ჩვენ, როგორც ამბობენ, გვაგზავნიან არმავირში. არ ვიცი, რამდენად სწორია. ჩვენი მესამე როტა – A მუშათა ბატალიონი იქნება, მგონი. ჩემმა წარსულმა მხოლოდ ერთხელ მიშველა: სიკვდილის მოჯადოებული წრიდან ზურგში გადმოგვიყვანეს.

2 აპრილი. 1 აპრილს, ღამის ორ საათზე, გავემგზავრეთ არმავირისკენ, სადაც მივედით იმავე დღეს, ღამის სამ საათზე“.

როცა ტუაფსედან არმავირისკენ მატარებლით მივემგზავრებოდით, ვაგონში ბოლო მხარეს ვიჯექი და ორ მეგობარს ველაპარაკებოდი. წინა მხარეს უცებ ცეკვა და სიმღერა გაჩაღდა. ერთი შინელიანი და თბილქუდიანი ჯარისკაცი ბუქნას უვლიდა. მთელი ვაგონი აჰყვა მას. როგორც იქნა, დაწყნარდნენ. ბუქნას რომ უვლიდა, ის ჯარისკაცი ხანდახან ჩემს მხარეს იცქირებოდა და, როგორც მომეჩვენა, მილიმოდა კიდეც. ბოლოს იგი მომიახლოვდა და მომესალმა:

– გამარჯობა, მასწავლებელო!

– გაგიმარჯოს, ვერ გიცანი.

– სადგურ კავთისხევამდე ბევრჯერ წამიყვანიხარ ჩემი ლინეიკით.

– ვერ გიხსენებ, კაცო!

შუბლზე ჩამოფხატული ქუდი მოიხადა. დავაკვირდი. კი, ნამდვილად ის „მელინეიკეა“, რომელსაც ცუდ, ტალახიან ამინდში ბევრჯერ წავუყვანივარ, მაგრამ არც სახელი და არც გვარი არ მახსოვს.

– ვეშაპიძე ვარ, ქვემოზანდაკელი.

გამიხარდა. ბევრი ვილაპარაკეთ. ბოლოს მეკითხება:

– სად მივყვავართ, რა გველის ჩვენ?

– იმაზე უარესი არაფერი, რაც სევასტოპოლში გველოდა. ღმერთი მოწყალეა.

ხალისიანი კაცი იყო. ეს მან წამოიწყო ვაგონში ცეკვაც და სიმღერაც. ღმერთო ჩემო, სად არ შეხვდება კაცი კაცს!

„ქალაქი არმავირი ჭუჭყიანია და უშნო. დაბომბვას ეს ქალაქიც განიცდის თურმე.

საღამოს რვა საათზე საბარგო მატარებლით გაგვამგზავრეს გროზნოსკენ. აქ მივედით შუადღის ორ საათზე. ირკვევა, აქ გეტოვებენ. ამჟამად მთელი ორი დღის მშივრები ვყრივართ იატაკზე და ველოდებით ვახშამს, რომელსაც დაგვპირდნენ, მოგცემთო. ხალხი (ჯარისკაცები) გახარებულიცაა და გაბოროტებულიც. მაინც ყველა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფრონტს ეს სჯობია. სიკვდილი აქაც მოსალოდნელია, მაგრამ გადარჩენის შანსი მაინც მეტია. აქ ნავთის მრეწველობაა განვითარებული. ბევრი ქარხანაა. რა მოხდება, რომ რამდენიმე ბომბი ჩამოაგდონ აქ? გაზეთის ამბავი 21 მარტიდან არაფერი ვიცი. ჩვენს ფრონტზე რაც ხდება, გასაგებია. მაინტერესებს, რა ხდება წყნარი ოკეანის აუზში. მიხარია, რომ საქართველოსთან ახლოს ვარ. ამგვარად ირკვევა, რომ ჩვენ არ გვენდობიან, იარაღს არ გვაძლევენ, მაგრამ სამუშაოდ კი გამოგვიყენებენ. ასე იყოს!

5 აპრილი. ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ გასაოცარია. ჯარისკაცებს გვიწოდებენ, მოითხოვენ მუშაობაში სამხედრო დისციპლინას, მაგრამ ჯარისკაცის ულუფას არ გვაძლევენ. პატიმრებს ბევრ რამეში ჩამოვგავართ, მაგრამ მთლად პატიმრებიც არა ვართ, თავისუფალი მოქალაქის ზოგიერთი უფლებით ვსარგებლობთ, მაგრამ მოქალაქეებად არ ვითვლებით. ეკონომიკური ცხოვრება ძლიერ დაცემულია. გროზნოში ბაზარზე ღორის ქონი ღირს 170 მანეთი, ქათამი – 100–120 მანეთი, ინდაური – 200 მანეთი. მოკლედ, საშინელი სიძვირეა. როგორ იკვებება მუშა, რომელიც 300–400 მანეთს იღებს თვეში და თანაც ათასნაირი გადასახადი აქვს, ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს.

დღეს I და II ოცეული გაგვაგზავნეს სამუშაოდ. ვშლით, ვანგრევთ რკინიგზის ხაზს, ჩიხებს... რა მიზეზით, არ ამბობენ, მაგრამ ჩემთვის გასაგებია. 80 კაცამდე ვიყავით, მაგრამ არ გაგვიკეთებია 10 კაცის საქმე. ყველა აღრენილია, ყველას შია, ისმის საშინელი, ბინძური და გაბოროტებული გინება ყველა ენაზე.

უთარილო დღე. ისეთ პირობებში ვარ, რომ ფრონტის ამბები აქ შედარებით დამშვიდებით შემიძლია მოვიგონო. ჯერ მე არ ვიცი, რა კვალს დატოვებს ეს ომი პირადად ჩემს ცხოვრებაზე, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ჩემს ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებიც ფრონტზე არიან.

9 აპრილი. სევასტოპოლში მე გავიცანი ერთი ქართველი – გიორგი შავიძე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქერჩში ცხოვრობდა და რომლის ცოლიც ამჟამად ამავე ქალაქში მსახურობს. მამაჩემი წერილით მატყობინებს, რომ ჩემი და თინა ქერჩში არის“.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ჩემი და ექიმი-პედიატრი იყო. მსახურობდა ჩხარში, საიდანაც ჯარში გაიწვიეს, რაღაც გადასამზადებელი კურსები გაატარეს და პირდაპირ გაგზავნეს ქერჩში. მისი ბოლო წერილები ქერჩიდან მოვიდა. იმ დროს ქერჩი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გერმანელებს დაკავებული და ამიტომ მამას შავიძის ცოლის მისამართი გავუგზავნე, რათა თინას მასთან დაემყარებინა კავშირი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა: ქერჩი გერმანელებმა აიღეს და მთელი დივიზია დაატყვევეს. ჩემი და თინა სხვებთან ერთად უკრაინაში, ქალაქ ვოზნესენსკში გადაიყვანეს და იქ, როგორც ექიმისათვის, ნება მიეცათ ადგილობრივ საავადმყოფოში ემუშავა. ქერჩში გაიცნო მან ქირურგი დავით ღვინეფაძე (დავით კლდიაშვილის დისწული). დაბრუნების შემდეგ ისინი შეულლდნენ.

„რას წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება გროზნოში? არ გვეუბნებიან აშკარად, თორემ ჩვენ ვიმყოფებით საკონცენტრაციო ბანაკში, ოდნავ შერბილებული რეჟიმით. საშინელი არეულობაა. ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. კვება ყოვლად საზიზღარი... ჩვენ გვამუშავებენ ლიანდაგების ასაყრელად, სხვადასხვა მიმართულებით ქალაქში და ქალაქის მუშათა უბნებში. ხანდახან ნავთსახდელ ქარხნებში რკინეულობისა და დამტვრეული, გაფუჭებული ინსტრუმენტების გადასაყრელად.

ამ დილით ჩვენი ჯგუფი, რომელიც 100 კაცისაგან შედგებოდა, დაყვეს ოცეულებად სპეციალობის მიხედვით (ზეინკლები, შოფრები, დურგლები, ქვაზე მომუშავეები და სხვ.), თქვენი მორჩილი მონა – შავ მუშათა ოცეულში. ვათრევ შპალებს, ვხსნი ჭანჭიკებს, ვთხრი მიწას და ვეწევი ისეთ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ შავ მუშას აქვს. ბევრმა არ იცის, თუ რანაირი ცხოვრებაა ეს. მაგონდება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდან“ მემკვიდრის აღზრდა. ორბელიანი ბრძენია. ჩემი თავი საკმაოდ გამოცდილი მეგონა, რამდენი რამე გავიგე ახლა ჯარში.

სამშობლო! აქვს თუ არა საერთოდ ადამიანს სამშობლო? ვისაც ამაში ეჭვი შეაქვს, მან უნდა გამოსცადოს მარტოობა გადასახლებაში და ჯარში ყოფნა სხვა ქვეყანაში. მაშინ ასეთ სულელურ კითხვას არ დასვამს. მე მესმის არჩილ მეფის მწუხარება: „მე რა ვქნა უცხომ უცხოს კარს“. რა ძნელია სამშობლო ქვეყნის მოშორება! სისხლი? სისხლიც არსებობს. ეს თუ ასე არ არის, მაშ, რად ეძებს ქართველი ქართველს, სომეხი სომეხს, უკრაინელი უკრაინელს, რუსი რუსს? გამოსცადეთ და დარწმუნდებით.

10 აპრილი. დღეს მთელი დღე გროზნოს ვათვალიერებ. საქართველოს გავლენა საკმაოდ ეტყობა ამ ქალაქს. რომ რუსეთი არა, ეს გავლენა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. თეატრში მიდის ვიღაცის დრამა „თამარი“ ირაკლი გამრეკელის გაფორმებით, „გრანდიოზულ კონცერტში“ მონაწილეობს ნიკოლაძე და ს. თბილისკი, რომელიღაც თეატრში მიდის გამრეკელის და ნახუცრიშვილის „გულადი კიკოლა“, კავკასიის ქუჩაზე სვირის ღვინოების სარდაფია.

შემხვდა ბევრი ჩეჩენი, ინგუში, ლეკი და მთის ებრაელი, რომლებიც ქართულად ავად თუ კარგად ლაპარაკობდნენ და გულთბილად მესალმებიან.

საქართველოს აქვს ინტერესი ჩრდილოეთ კავკასიისადმი და მომავალში ამ საკითხში მან თავისი სიტყვა უნდა თქვას, რადგან ეს თვით საქართველოს ბედთან არის დაკავშირებული.

ვნახე ჩეჩენ-ინგუშეთის სახელმწიფო შენობა. უბადრუკი რამ არის. ამაში ეს პატარა ერები არ არიან დამნაშავენი. სხვათა ზრუნვის შედეგია.

ბაზარში ბევრი ვიხეტიალე. დავთვერი. ღვინო (წყალნარევი) ღირს 30 მან. ლიტრი. მაღაზიები დაცარიელებულია.

14 აპრილი. გუშინ მე და ბაქანიძე ბაზარში ვიყავით (სევასტოპოლში და იქიდან წამოსვლის შემდეგ გროზნოშიც. მე მეგობრულად ვიყავი დაკავშირებული ოზურგეთელ ალბერტ ბაქანიძესთან, ჭაქვინჯელ სპირიდონ ჯიქიასთან, ახალციხელ ბირჭაძესთან. ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით – მ. კ.). ორივემ ვიყიდეთ სხვადასხვა წიგნი. ჯარში ჩემი გაშვების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, რომ წიგნი ვიყიდე. ერთი სქელი ტანისა (ჯიველელგოვის „მიქელანჯელო“), მეორე, პატარა – „ჰანიბალი“. ჯიველელგოვისა მე წაკითხული მაქვს „დანტე“. ცივად დაწერილი იყო. ვნახოთ, ეს როგორი იქნება.

16 აპრილი. ეს სამი დღეა, ჩვენი საქმე სხვანაირად შეტრიალდა. პირველად ჩვენი გაგზავნა უნდოდათ გროზნოდან 100 კილომეტრის მოშორებით ყაზარმული წესით, მაგრამ გუშინ გამოგვაცხადეს მობილიზებულ მუშებად ფაბრიკა-ქარხნებისთვის, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოგვცეს დროებითი სამხედრო ბილეთები და დაგვირიგეს პურის წიგნაკები. ხვალიდან ვიწყებთ მუშაობას. ქართველები ყველანი ერთად ვართ. დღეს 11 სთ. 45 წ. გროზნოში გამოცხადდა საჰაერო განგაში.

19 აპრილი. ჩვენთვის დიდი წვალებით გაიარა უკანასკნელმა სამმა დღემ. 17-ში გუდერმესიდან მეორე სადგურში (ყადი-იურტიდან ბაქოს მიმართულებით) სამუშაოდ წაგვიყვანა ვიღაცამ. ორი აული გავიარეთ. ვნახეთ ადგილი, სადაც უნდა გვემუშავა. ქართველებს არ მოგვეწონა ეს და უკანვე გამოვიქეცით გროზნოში. იმავე ღამეს კრეკინგ-ქარხანაში (№1) დავიწყეთ მუშაობა. ჩვენ ვართ მედუღაბეების ბრიგადა და ამ ბრიგადას, რომელიც ქართველებისაგან შედგება, მე ვხელმძღვანელობ. წუხელ ღამის ცვლაში ვმუშაობდით. დღესაც, ამ საღამოს, გავდივართ კიდევ ღამის ცვლაში. პირობები ისეთია, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს, მაგრამ სადაც სამუშაოდ გაგზავნას გვიპირებდნენ, იმას სჯობია და ჩვენ ჯერჯერობით ამით კმაყოფილნი ვართ.

21 აპრილი. ამ დილით, სამუშაოს გათავების შემდეგ, რამდენიმე კაცი ქალაქში ნავედით საჭმლის საშოვნელად. ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. უკან დაბრუნების დროს ეზოში გავიცანი ორი ჩეჩენი. ერთი მთლად ახალგაზრდაა. 7 კლასი ახალდამთავრებული აქვს. ბევრი მელაპარაკა ჩეჩნების ყოფა-ცხოვრებასა და ახლანდელი პირობების შესახებ. მე მას ვაძლევ ჩემს თბილისის მისამართს და ვეუბნები, რომ შეუძლია, ყოველთვის წერილი მომწეროს ან მესტუმროს, თუკი მოისურვებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა.

22 აპრილი. დღეს, შუადღისას, ქალაქში ორჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში. ახლა 4.30 საათია. კვლავ გამოცხადდა საჰაერო განგაში. ქალაქი ბღავის.

27 აპრილი. 18 აპრილის საღამოდან განუწყვეტლივ ვმუშაობთ კრეკინგ-ქარხნის (№1) ეზოში ქარხნის მშენებლობაზე ღამ-ღამობით, 12-12 საათის განმავლობაში (საღამოს 7-დან დილის 7-მდე). უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვასრულებთ მიწის სამუშაოებს, პირველ დღეებში კი ვმუშაობდით ბეტონზე. ძალიან ვიღლები. ხელები მართლა მუშისა გამიხდა. მკვდარივით ვიძინებ ხოლმე.

30 აპრილი. ძლიერ აშკარად იჩინა თავი სიძულვილმა, ერთი მხრივ, რუსებსა (ნაწილობრივ უკრაინელებიც) და სხვა ეროვნებებს შორის. დიდი სიძულვილია ჩეჩენ-ინგუშებსა და რუსებს შორის. ამის მოწმენი ხშირად ვართ ჩვენ გროზნოში. რუსები ვერ გვიტანენ ჩვენც, ქართველებს, ათასნაირ ამბებს ავრცელებენ ჩვენ შესახებ (მოქალაქენიც და ჯარისკაცებიც). ხშირად მოგვდის ჩხუბი რიგში დგომის დროს, რაც მაშინვე ნაციონალურ საკითხს გადაენასკვება ხოლმე (ბრალს გვდებენ, ქართველები არ იბრძვიან ისე თავგამეტებით, როგორც ჩვენო. ფრონტზე უამრავი შემთხვევა არის, როდესაც ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ლეკები და თვით რუსებიც კი ჯგუფ-ჯგუფად გადადიან გერმანელთა მხარეზე). სხვისას უფრო ხედავენ, ვიდრე თავისას.

4 მაისი. გუშინწინ, შუადღისას, მე მოწმე ვიყავი ჩეჩნებისა და ინგუშების რბევისა, რომელიც მოაწყვეს რუსმა ჯარისკაცებმა რუსი მცხოვრებლების მოწონებით. ერთი 40–45 წლის ჩეჩენი სცემა 8 ჯარისკაცმა, რომლებიც არყით იყვნენ გალეშილები. ამას მოჰყვა საშინელი ჩხუბი და წივილ-კივილი, რომელმაც 2 საათს გასტანა. ვინ ვის

სცემდა შემდეგ, გაუგებარი იყო. ჩეჩნები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, მაგრამ იშვიათ სიმშვიდეს იჩენდნენ და ჩხუბს თავს არიდებდნენ, გულში კი რას ფიქრობდნენ, მე არ ვიცი.

მოკლედ, ჩეჩენ-ინგუშებსა და რუსებს შორის დიდი სიძულვილია ჩამოვარდნილი. 1941 წლის დეკემბერში გროზნოს მახლობელ აულებში ამბოხება მომხდარა, რომელიც სისხლში იქნა თურმე ჩახრჩობილი. მასობრივად არიდებენ თავს სამხედრო სამსახურს, ძალიან ბევრი ყოფილა ტყეში გაქცეული.

ჩეჩნები ქართველებს კარგად ეპყრობიან და გულთბილად საუბრობენ მათთან. ხშირია შემთხვევა, რომ ქართველებს ვერ არჩევენ ჩეჩნებისაგან (გარეგნულად ჩვენ ჩამოვგავართ ერთმანეთს) და ჩეჩნურად ელაპარაკებიან. როგორ ელიმებათ ხოლმე, როცა გაიგებენ, რომ ქართველები ვართ. ქართველებს ეუბნებიან: გზას გასწავლით და მთიან საქართველოში გადაგიყვანთ, რუსებთან როგორ ჩერდებითო.

დღეს, შუადღის 2 საათზე, გროზნოში გამოცხადდა საჰაერო განგაში. გერმანელების ორმა თვითმფრინავმა ქალაქს თავზე გადაუფრინა და აღმოსავალეთისაკენ გაემართა. ერთი მათგანი მეც დავინახე, დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა. თვითმფრინავებს საზენიტო კარგა ხანს ესროდა, მაგრამ უშედეგოდ.

22 მაისი. უკანასკნელ დღეებში დიდი ცვლილება მოხდა. ბევრი ჩვენი ჯგუფიდან გამოძახებულ იქნა სამხედრო კომისარიატში და კვლავ გაგზავნეს ფრონტზე. ქართველებიდან ცისკარაული გუშინ დილით გაემგზავრა. გაბოროტებული იყო. გუშინწინ გამოუძახეს ბაქანიძესაც. ყველაფრით გამზადებული იყო. სამხედრო კომისარიატში ეკითხათ: რა მიზეზით იყავით გამოყვანილი ფრონტიდანო. იმასაც ეთქვა: პოლიტიკური სარჩულითო. ეთქვათ: შენ წადი და თქვენი კანტორის სპეცგანყოფილების უფროსი მოვიდესო. მისულიყო და მას მიეტანა კანტორაში ბაქანიძის სამხედრო ბილეთი, რომელიც პატრონს ჩააბარა. ძალიან სასიხარულოდ დაგვირჩა, განსაკუთრებით მე. ეტყობა, ყოფილი პოლიტპატიმრები არ გაჰყავთ.

ჯარისკაცის განცდა ფრონტზე... ყოველი ჯარისკაცი, როცა ფრონტზე მიდის ან იქ იმყოფება, ხედავს რა ათასობით სხვებს, ასე ფიქრობს: ამოდენა ხალხში რაღა მაინცდამაინც მე მომხვდება ტყვია? ვის არა აქვს სიკვდილის შიში? არსებობს ასეთი ვინმე? არავინ! თვით რწმენით მებრძოლიც კი შეპყრობილია ამ შიშით. ამით აიხსნება ნორმალური მდგომარეობიდან გამოსვლის ცდა თითქმის ყოველი ფრონტელის მიერ (ფრონტზე 100 გრამ არაყში ათ თუმანს აძლევდნენ, ზოგჯერ – მეტსაც).

მე ქვეით ჯარში არ ვყოფილვარ. არ ვიცი, რას განიცდის შეტევაზე გადასული ჯარისკაცი. ვფიქრობ, ინსტინქტით მოქმედებს. მაგრამ ერთი შევნიშნე: ქვეით ჯარისკაცს ქვემეხისა ეშინია უფრო, მაშინ როდესაც არტილერისტებს (ყოველ შემთხვევაში იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებდი) თოფის ტყვიის უფრო ეშინიათ.

ერთხელ მე ვუცქირე, თუ როგორ იქნა განადგურებული გერმანელთა არტილერიის მიერ ერთ-ერთი ჩვენი ბატარეა (სოფლიდან ორ კილომეტრზე იდგა). ეს იყო თებერვალში. ჩემთან ერთად ამას დაესწრო ილია ბაკურაძე და სხვები. საშინელება იყო. ბევრს, რომელთაც თავი ზედმეტად ვაჟკაცურად ეჭირათ, ფერი დაეკარგათ.

25 მაისი. გუშინ გაზეთში წავიკითხე ქერჩის დაცემა. ბევრი ვილაპარაკეთ ამხანაგებმა. სად არის თინა ან რა მოუვიდა ნეტავ მას? (მისი მისამართის მიხედვით ირკვეოდა, რომ იგი ქერჩთან ახლოს იყო). შავიძე ძლიერ წუხს ცოლ-შვილის გამო



თინა კეკელიძე (დგას)
ხაშური, 1931-1932 წლები

და ნერვიულობს. საღამოს მე, შავიძე, ჯიქია, ბაგრატაშვილი და ბაქანიძე ქალაქში ერთ სარდაფში ჩავედით (ქვედა საქარელებს აქ ღვინის სარდაფი აქვთ გახსნილი). გვარიანად შევზარხოშდით, თუმცა ღვინო არ ვარგოდა (სირცხვილია, რომ ქართულ ღვინოდ ასაღებდნენ მას. ეს იყო გაკეთებული ღვინო, უცნაურად შეფერილი, ხალხი კი ბუზიით ეხვეოდა).

1 ივნისი. ფრონტზე რაღაც დიდი ცვლილებები იწყება. მამაკაცების კრიზისია. ქალაქში ქალების ბატალიონების წერთნაა. ფრონტიდან სხვადასხვა მიზეზით დაბრუნებული ხალხის რეგისტრაცია ტარდება ისევ. 30 მაისს ვიყავი გამოძახებული სამხედრო კომისარიატში. მკითხეს დაპატიმრების მიზეზი. ვუთხარი. ბილეთი დამიბრუნეს და გამომიშვეს. ძლიერ ბევრი გაინვიეს ისევ ჯარში (ისეთები, რომლებიც თვითონ არ მსხდარან პოლიტნიადაგზე, მაგრამ რაღაც აკავშირებდათ პოლიტიკურთან – მამის დაჭერა, ძმის დაჭერა, საზღვარგარეთ ნათესავის ცხოვრება და ა. შ.).

შიმშილი... ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გაგვიგონია: „მოკვდა შიმშილით", „შიმშილობაა ჩამოვარდნილი" და სხვ. მე 1930 წელს მეტეხში ექვსი დღე ვიშიმშილე პროტესტის ნიშნად. ხშირად შემხვედრია შემდეგ – თითო, ორ-ორი დღე თითქმის არაფერი მიჭამია. ძლიერ შეეწუხებულვარ, მაგრამ ეს შიმშილი არ არის ის შიმშილი, რომელიც ხალხს ანადგურებს.

შიმშილი მაშინ არის საშინელი, როცა თვეობით გრძელდება, ცოტ-ცოტა ჭამა, უცხიმოდ, ორგანიზმი იფიტება, ადამიანს მარტო კანიღა შერჩება, ჩონჩხებად ქცეულნი აჩრდილებივით დადიან. ენისეისკში მე ვნახე (1933 წ.), როგორ იხოცებოდნენ შიმშილისაგან ბავშვები და მოხუცები, როგორ დაეცემოდნენ ხოლმე ქუჩაში ტყვიანასროლივით.

აქ ერთხელ მე ვნახე, როგორ ატირდა დევივით ვაჟკაცი შიმშილისაგან. შიმშილის საშინელი აჩრდილი დადის ქალაქში. ფერდაკარგული, გაძვალტყავებული, ჩონჩხადქცეული ბევრი მოქალაქე მხვდება".

შემდეგ ვითარება ასე წარიმართა:

ფრონტი მოუახლოვდა გროზნოს, უკვე გარკვევით ისმის ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვეველების ხმა. ქალაქში არეულობაა. მოსახლეობა გარბის. სხვადასხვა მიმართულებით გადაჰყავთ ჯარის ნაწილები. ჩვენები სამუშაოდ აღარ გაჰყავთ. სადღაც გაქრა ჩვენი კანტორის უფროსი. ბევრს იბარებენ სამხედრო კომისარიატში და წინადადებას აძლევენ, სადაც გინდათ, იქ წადითო. დამიბარეს მეც და ასეთივე წინადადება მომცეს.

– სად წავიდე ასე უსაბუთოდ? – ვეკითხები უფროს ლეიტენანტს.

– მოგცემთ ახალ სამხედრო ბილეთს. სამი თვის ვადით. სადაც მიხვალ, იქაურ სამხედრო კომისარიატში ჩააბარებ. მერე იმათ იციან.

– სად შეიძლება წასვლა?

– ურალისაკენ. თუ გინდა, შინ წადი.

– მე თბილისში მინდა წასვლა. სამგზავრო მატარებლით შეიძლება წასვლა?

ლეიტენანტი კარგი ადამიანი აღმოჩნდა და დამარიგა:

– თბილისისაკენ სამგზავრო მატარებელი არ გადის, მაგრამ მოძრაობენ სატვირთოები ბაქომდე. გადი სადგურში, რომელიმეში ჩაჯექი და წადი. ბაქოდან შენ იცი შენი საქმე.

გამოვემშვიდობე ჩემს მეგობრებს, რომლებიც ისევე ელოდნენ გამოძახებას და ისე მოვიქეცი, როგორც მირჩიეს. სადგურში რამდენიმე ლიანდაგზე მართლაც იდგა სატვირთო მატარებლები. ღია ვაგონებში ზოგში ხორბალი ეყარა, ზოგში – თივა, ზოგშიც – ათასი სხვა რამ. კითხვა-კითხვით გავიგე, რომ ერთ-ერთი მატარებელი ბაქოში მიდიოდა. თივიან ვაგონში მოვთავსდი და ოთხი დღის მერე ბაქოში ვიყავი (გზაში მატარებელი ორჯერ გააჩერეს მთელი დღით). ბაქოდანაც ასეთივე წესით ვიმგზავრე თბილისამდე. სახლში რომ მნახეს ოჯახის წევრებმა, გაოცდნენ. გაუხარდათ და, მგონია, შეეშინდათ კიდეც (არ ვიცი, იქნებ გამოპარული ვეგონეთ). როცა ავუხსენი, რომ მუშათა ბატალიონი, რომელშიც ბოლო დროს მე ვიყავი, დაშალეს და ყველა თავისუფლად გაუშვეს-მეთქი, დამშვიდდნენ. ახლა მათთვის სადარდებელი მხოლოდ თინას ბედი იყო. მაგრამ სადარდებელი მეც გამიჩნდა. რა ვქნა, ამ დროებითი სამხედრო ბილეთით გამოვცხადდე კასპის სამხედრო კომისარიატში? ვაი, თუ ისევ მიკრან თავი ფრონტზე! მით უმეტეს, რომ არც დაჭრილი ვიყავი და არც დაავადმყოფებული. გამახსენდა ისიც, რომ გროზნოდან ხელმეორედ გააგზავნეს ხალხი ფრონტზე.

გაურკვევლობაში ვიყავი. გადაწყვიტე, ჯერ კავთისხევში ჩავსულიყავი. აგვისტოს ბოლო კვირა იყო. ვაგზალში სრულიად მოულოდნელად ჩემი სკოლის დირექტორი გრიგოლ ბოჭორიშვილი შემხვდა. ძალიან გაუხარდა. გადავკოცნეთ ერთმანეთი და მეკითხება:

– დაჭრილი ხომ არ იყავი?

– არა.

– აბა?



მიხეილ კეკელიძე
1940-იანი წლები

რა ვქნა, გავუტყდე და ვუთხრა, რომ ნაპატიმრალ-ნაციმაბირალი ვარ ანტიკომუნისტური მუშაობის გამო და ამიტომ ჯარიდან დამითხოვეს-მეთქი, თუ სხვა რამ მოვიგონო? ეს ბოლო ვარიანტი ვარჩიე.

– გროზნოში ტიფით გავხდი ავად. იმდენად დავსუსტდი, რომ ჩემი ჯარში დატოვება უსარგებლოდ ჩათვალეს და შინ გამომიშვეს.

არ ვიცი, დაიჯერა თუ არა ჩემი ნათქვამი, მაგრამ მეტი არაფერი უკითხავს და მითხრა, კავთისხევში მივდივარ და ჩემთან ერთად წამოდიო. საღამო ხანს უკვე სკოლაში ვიყავით. დაგვხვდა რამდენიმე მასწავლებელი. დიდი სიყვარულით შემხვდნენ. მალე სხვებიც მოვიდნენ. გაიმართა გულთბილი საუბარი, რასაც ვახშამი მოჰყვა. პირველ სექტემბერს ისევ გაკვეთილზე ვიყავი (ორმა მასწავლებელმა გაკვეთილები ჩამოიკლეს და ერთი განაკვეთი შემხვდა). ზუსტად ერთი წელი გავიდა ჩემი წასვლიდან – 1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის სექტემბრამდე. ისევ მასწავლებლობას შევუდექი.

„შენ ტკბილო ქართლო, კახეთო“

გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს მასწავლებლები თავისებურად ატარებდნენ, ზოგს რა გატაცება ჰქონდა და ზოგს – რა. მე იმ პერიოდში მაინტერესებდა ერთი საკითხი: რატომ არის, რომ ამ კუთხეში დაბადებულ დიდ მოურავ გიორგი სააკაძეზე, სახელოვან სარდალსა და მამულიშვილზე (მე ასეთად მიმაჩნია ის) ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ან არაფერია თქმული, ან სულ რამდენიმე ნიმუშია და იმათაც გიორგი ლეონიძე ანტონ ფურცელაძის მონოგრაფიის გავლენის შედეგად შექმნილად მიიჩნევს. მე კი სულ ვფიქრობდი: გიორგი სააკაძე ჩვენს ისტორიაში დიდი პიროვნება

გახლდათ. მას ხალხი გვერდს ვერ აუვლიდა. თუ არ მოსწონდათ, უნდა ეძაგებინათ (ისე, როგორც ზურაბ ერისთავი), თუ მოსწონდათ, სიმპათიით უნდა ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი, რაც ფოლკლორშიც უნდა ასახულიყო. ამ საკითხზე ერთხელ თვალადელ მასწავლებელ ივანე შატბერაშვილთან მქონდა ლაპარაკი და მიპასუხა: მაგ საკითხზე არ დავფიქრებულვარ, ისე კი ორიოდე სტროფი მეც მახსოვს რაღაცო, და ჩამაწერინა ლექსი „დიდ მოურავმა ხმალს უთხრა", რომელიც მერე გამოვაქვეყნე კიდეც.

როცა მისი ვაჟი გიორგი შატბერაშვილი ჩვენს სკოლაში მოვიდა მასწავლებლად, მასთანაც მქონდა ამაზე ლაპარაკი. გადავწყვიტეთ, ახლო-მახლო სოფლები მოგვევლო და, თუ რამ საინტერესო იქნებოდა დიდ მოურავთან დაკავშირებით, ჩაგვეწერა.

ეს წერილიც „შენ ტკბილო ქართლო, კახეთო" იმაზედაც მოგვითხრობს, თუ როგორ დაიწყო ჩვენი პირველი გასვლა სოფლად. იგი ჟურნალ „დროშაში" ამ სათაურით დაიბეჭდა და აქ ხელახლა უცვლელად წარმოგიდგენთ.

სექტემბრის თბილი და წყნარი დღე იყო, მზიანი. კავთისხევის საშუალო სკოლის სამასწავლებლოში ვსხედვართ გიორგი შატბერაშვილი და მე. აქვე არიან სხვა მასწავლებლებიც. პირველი ცვლის მეექვსე გაკვეთილი გამოვიდა. მეორე კი ჯერ არ დაწყებულიყო. ვისვენებდით, ათას რამეზე ვლაპარაკობდით. ბავშვების ჟრიამულით ეზო ივსებოდა.

– რამდენი გაკვეთილი გაქვს მეორე ცვლაში? – მკითხა გიორგიმ.

– პირველი-მეორე. შენ?

– მარტო ერთი, პირველი. იცი, რა გითხრა? დაგელოდები ერთ გაკვეთილს, მერე დავტოვოთ ჩვენი აკადემია და წავიდეთ ლექსების საძებნელად, ეზო-ეზო, კარდაკარ... რას იტყვი?

მაშინ ჩვენ დიდ მოურავზე ხალხური ლექსებისა და თქმულებების შეგროვებით ვიყავით გატაცებული. „აკადემიას" კი ხუმრობით კავთისხევის საშუალო სკოლას ვეძახდით, რომელიც კავთურის პირას თარხნიშვილისეულ ყოფილ სახლში იყო მოთავსებული. შენობა სკოლისათვის შეუფერებელი იყო, რამდენჯერმე გადაკეთებულ-გადმოკეთებული, მაგრამ ძალიან კარგი მასწავლებლებით დაკომპლექტებული. მასწავლებელთა შორის მუდამ მეგობრული, ხალისიანი განწყობილება სუფევდა. ყველაფერი შედარებითია ამ ქვეყნად; ჩვენც, როგორც ჩანს, შედარებით კარგად ვმუშაობდით, რადგან დროდადრო გვაქებდნენ.

– წავიდეთ, მაგრამ სად წავიდეთ, ვის მივადგეთ ნაშუადღევს? – ვუპასუხე ყოყმანით.

– შორს ნუ წავალთ. აქვე თვალადში ვეწვიოთ ძია კოტეს. მიზეზიც გვაქვს მისასვლელი.

– მაინც?

– მისი გოგონა ჩვენთან სწავლობს. გავიგოთ, როგორი ოჯახური პირობები აქვს. მერე მამამისი საუბარში ჩავითრიოთ, – ღიმილით მიპასუხა გიორგიმ.

ჩვენს საქმიანობაში, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ძიება-შეგროვებაში, მოწაფეებიც გვყავდა ჩაბმული. მათ დიდი სამსახური გაგვიწიეს, თანაც ხალისიანად, სიყვარულით. კოტე ონოფრიშვილის გოგონას, რომელიც მაშინ მეექვსე თუ მეშვიდე კლასში სწავლობდა, გიორგისთვის ეთქვა: მამაჩემმა ძალიან ბევრი ლექსი და თქმულებები იცისო.

შევთანხმდით წასვლაზე. ზარიც დაირეკა და კლასებს მივაშურეთ...

საცალფეხო ბილიკით მივყვებით კავთურის ნაპირებს. მე არ ვიცი, რა დავარქვა კავთურას: მდინარე, ნაკადული თუ ღელე. ახლა ძალიან დაპატარავებულია, ზოგან ისეა შევიწროებული, რომ მარჯვე ბიჭი მეორე ნაპირს ფეხდაუსველებლად გადაახტება. გაზაფხულის პირზე და შემოდგომის წვიმების დროს კი გადარევა იცის: რამდენჯერ მინახავს, როგორ მოჰქონდა ფესვებიანად მოთხრილი უზარმაზარი ხეები კავთურას, რომლის ხეობაც ისტორიული ნაშთებითაა მოფენილი. კავთურაზე იმიტომ ვლაპარაკობ ამდენს, რომ გიორგი შატბერაშვილს იგი ძალიან უყვარდა. არც გასაკვირია, ბავშვობა მის ნაპირებთან ჰქონდა გატარებული. ჩემ წინ მიდიოდა და ღიღინებდა თავისებურად გადაკეთებულ ერთ ხალხურ ლექსს „მინდორ, მინდორ მივდიოდი“:

კავთურ-კავთურ მივდიოდი,
ხბოს ვეძებდი, ბოჩოლასა,
განა მართლა ბოჩოლასა,
ბიჭს ვეძებდი, ქოჩორასა.

ორივე ნაპირის გაყოლებით გლეხებს ბაღები აქვთ. მწიფე ყურძენი, ატმები, ვაშლები, ათასნაირი ხილი ჩანს. აქა-იქ ბაღებში მოფუსფუსე ქალები და მოხუცი კაცები საქმიანობენ. სადღაც კაკალს ბერტყავენ და ტყლაშა-ტყლუშის ხმა ისმის. გიორგის ყველა იცნობს. მეც საკმაოდ მიცნობდნენ. თვალს შეგვასწრებდნენ თუ არა, ღობისკენ მოეშურებოდნენ და გულალალად გვთავაზობდნენ ხილს. აი, ერთი მათგანიც მოადგა ღობეს და გვთხოვა:

– მასწავლებელო! მოითმინეთ თქვენი ჭირიმე, აი ყურძენი, ატამი, ახალი კაკალი მიირთვით.

– გმადლობთ დეიდა, გმადლობთ!

იქვე ულვაშჩამოგრეხილი გლეხი გაჩნდა და ცოლს საყვედურით მიმართა:

– დედაკაცო, ე დასაყოლებელი კი გვაქვს, მაგრამ რას დააყოლონ, ჰა? აბა, შვილი დამილოცეთ!

საიდანღაც ბოთლით არაყი გამოაძრო და პატარა ჭიქა აავსო.

– აბა, გიორგი მასწავლებელო, დაგვლოცე!

გიორგის სახე უცინის. იცის, რა გაახარებს ყველაზე უფრო მასპინძელს.

– ღმერთმა ოჯახი გიდღეგრძელოთ. თქვენი შვილი ესტატე შინ ჯანსაღად დაბრუნებული გვენახოს და მის ქორწილში ყანწები დაგვეცალოს!

აი, ძია კოტეს სახლიც. ეზოში არავინ ჩანს. გიორგიმ ჩვენს მოსწავლეს დაუძახა – კაცი არ გვეპასუხება. კიდევ ძახილი, მაგრამ ამაოდ, არავინ ჩანს.

– კაცო, ასეთ დროს შინ ვინ იქნება? ათასი სამუშაოა აქვთ! მოდი, შენს სიმამრს შევუაროთ წინარეხში. იმ არყის შემდეგ, ლუარსაბისა არ იყოს, მე რალაც კაი გუნებაზე ვარ! – სიცილით ვუთხარი გიორგის.

სოფელი წინარეხი თვალადთან ახლოსაა. იქ ცხოვრობდა გიორგის სიმამრი იოსებ ქეშელაშვილი, გამრჯე და პურმარილიანი კაცი. წინათაც ბევრჯერ ვყოფილვართ მის ოჯახში კავთისხეველი მასწავლებლები.

გიორგიმ წარბი ასწია.

– სიმამრზე ახლოს აქვე არა ვცხოვრობ? ყველაფერს გავახერხებთ, მაგრამ კაი იყო, გვენახა ეს დალოცვილი კოტე, იქნებ რამე იცოდეს.

ერთი კიდევ შეუძახა გიორგიმ მასპინძელს და უცებ სახლის უკანა მხრიდან ჩვენი მოსწავლე გამოჩნდა. გვიცნო თუ არა, მაშინვე ჩვენკენ გამოიქცა.

– ახლავე, მასწავლებელო, ახლავე მამას დავუძახებ.

შინ შეგვიპატიჟა და თვითონ სახეგაბრწყინებული ისევ მიიმალა. სახლს გვერდით ბალი ჰქონდა. ძია კოტე თურმე ვაზებში ფუსფუსებდა.

– შემოგვიკურთხებს ეგ ჩვენი კოტე ახლა! – ეუთხარი გიორგის.

– რამდენიც უნდოდეს იმდენი გვაგინოს, თუკი რაიმეს გვეტყვის.

გარეთ ეზოში მორი ეგდო. იმაზე ჩამოვსხედით. ათიოდე წუთის შემდეგ გამოჩნდა კოტე, საკმაოდ გაჭაღარავებული. ჩვენთან მოსვლამდე შვილს დაუძახა. მერე დავინახეთ: გოგონამ დოქით წყალი მიუტანა, მამას ხელები დააბანინა. კოტეს წინსაფარი ჰქონდა გაკეთებული. იმით ხელები შეიმშრალა და ჩვენკენ წამოვიდა. შორიდანვე დაკვირვებით შეგვათვალიერა. ფეხზე წამოვუდექით და მივესალმეთ. ღმერთმა გაგიმარჯოთო, გვიპასუხა. გვიყურებდა და რაღაც შეწუხებული ჩანდა. გიორგიმ უხერხულობიდან გამოიყვანა.

– ძია კოტე, ვანო შატბერაშვილის შვილი ვარ, სკოლაში ვმუშაობ, ესეც მასწავლებელია (ჩემზე მიუთითა), შენს გოგოს ვასწავლით.

– ოჰო, კაი დაგემართოთ, რომ მობრძანდით! – იქვე ჩვენს გვერდზე ჩამოჯდა და განაგრძო, – ტყვილა არ გაირჯებოდით, ნურაფერს დამიმალავთ, რა დააშავა ამ გოგომ?

გაოცებული გოგო ხან ჩვენ შემოგვცქეროდა, ხან – მამას. სახეზე ვატყობდი, მზად იყო, ტირილი დაეწყო.

აი, ხათაბალა თუ გინდა, ეს არის! ტყუილ-უბრალოდ გული გავუხეთქეთ მამასაც და შვილსაც. ამიტომ არც ვაცივე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი დაფიქრებულ მასპინძელს:

– ძია კოტე! თქვენი შვილი კარგი მოსწავლეა (ტყუილი არ მითქვამს, მართლაც ასე იყო), წესიერი, ზრდილობიანი, თავაზიანი. ჩვენ იმიტომ შეგაწუხეთ, რომ თქვენზე გვითხრეს, ბევრი ხალხური ლექსი იცის ზეპირადო, ჩვენ ამ ლექსების ჩაწერა გვინდა.

ბინდდებოდა. ქვევიდან ამომხედა კოტემ. ცოტა გულმოსულად მიპასუხა:

– რას ამბობ, კაცო? რის ლექსი, რა ლექსი? რა მელექსება? არაფერიც არ ვიცი და თქვენც მაგისთვის არ გაირჯებოდით. დედაკაცი სულ ავადმყოფობს, მეც არ შემიძლია. მაგ ნაბოლარას ვერ მივხედეთ, სკოლაში ვერ მოგაკითხეთ. დააშავებდა ეგ ეშმაკის ფეხი რამეს.

ძია კოტეს გულისწუხილი რომ გაიგოთ, ესეც უნდა მოგახსენოთ. მას გოგო იმ ასაკში შეეძინა, როცა კარგად გაჭაღარავებული იყო, თუმც არც იმ ხნისა, ბეკინა სამანიშვილი რომ გახლდათ. ნაბოლარას ეძახდა და განსაკუთრებით უყვარდა თურმე. ცუდს მისგან არ მოელოდა და ორი კაცის სტუმრობამ ააფორიაქა.

გიორგი შატბერაშვილი წამოდგა, მის მიერვე გამოთლილი ჯოხი, რომლის თავიც რაღაც ფანტასტიკურ ცხოველს გამოხატავდა, დაიბჯინა და თქვა:

– ღმერთსა და რჯულს ვიმოწმებ, მაგ გოგოს არაფერი დაუშავებია, მშვენიერი ბავშვია და კარგადაც სწავლობს. მოვედით, შე კაი კაცო, იმისთვის, რომ დაგლაპარაკებოდით, ძველი ამბები მოგვეგონებინა და რაღაცები გვეკითხა შენთვის. გვითხრეს, დიდ მოურავზე ლექსები იცისო. რაკი ჩვენი მოსვლა გეწყინა, კარგად ბრძანდებოდეთ!



ლევან შატბერაშვილი, გიორგი შატბერაშვილი და კოტე ონოფრიშვილი
თვალადი, ზაფხული, 1960 წელი

როგორც იქნა, მასპინძელს გაელიმა. გოგოს შეხედა და უთხრა: წადი, სახლს მიხედე და ჩვენც ახლავე მოვალთო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

– კაცო, თქვენი მოსვლა კი არ მენყინა, გოგოზე გაჯავრებული ვიყავ, ხომ არ დააშავა რამე-მეთქი. კაი სიტყვისთვის მადლობელი ვარ. გამახარეთ ეს ბერიკაცი. წასვლაზე კი რა მოგახსენოთ, ჩემს სახლში ერთი ჭიქა ღვინო შესვით. ლექსები კი არ ვიცი, სულ ჭორი უთქვამთ. აბა, მომყეთ!

ბოლო სიტყვები ისეთი კილოთი გვითხრა, რომ თავპატიჟი არ გამოგვიდვია. წინ წაგვიძღვა და მივყევით.

ოთახში სუფრა გაშლილი იყო. ლამპის სინათლეზე დავინახეთ შემოდგომის ბარაქით ავსებული მაგიდა. მოიტანეს თონიდან ახალამოტანილი ქართული პურები, საოცრად სურნელოვანი, ორთქლი ასდიოდა. დატეხილი კაკლებით ვეებერთელა ჯამი აევსოთ. გიორგიმ პურს კიდე წაატეხა და კაკალთან ერთად მადიანად ილუკმებოდა. მშრალი ხორცისთვის პირველად ხელი არ უხლია.

მეც შემეპატიჟა:

– ნახე, ცხელი პური და ახალი კაკალი რა გემრიელია!

არც მე ჩამოვრჩენილვარ, მართლაც ძალიან გემრიელი იყო.

შემოვიდა ძია კოტე, სამხელადიანი დოქი გვერდით მოიდგა და ჭიქები შეგვივსო. სადღეგრძელო-სადღეგრძელოს მოსდევდა. ღვინო მოგვეკიდა, აგვაჭიკჭიკა ჩვენცა და ჩვენი მასპინძელიც. გაგვამხიარულა ყველანი.

გიორგიმ მიჩურჩულა:

– დახე, ბიჭო! არც ისე პირქუში ყოფილა ჩვენი მასპინძელი, როგორც პირველად მეჩვენა.

მართლაც ასე იყო. ძია კოტე ქართველი გლეხი იყო, გამრჯე, ცოტა-ცოტა რაღაცებზე დაეჭვებული, ადვილად გულს არ გაგიხსნიდა, მაგრამ თუ გაგიხსნიდა, მერე სულით და გულით მოგენდობოდა. სასმისი არ დაუკლია, თვითონ თამადობდა. როცა ბლომად ჭიქები დავცალეთ, კოტემ წაიღიღინა, დაბალი ხმით სიმღერა დაიწყო. ავყევით ჩვენც, როგორც შეგვეძლო (კარგი ხმით და სიმღერის ცოდნით ვერ დავიკვეხნიდით).

მოხუცი მასპინძელი კი სულ უფრო და უფრო ეშხზე მოდიოდა და უცებ დაიწყო:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
მთელი ველი და მინდორი
სულ ფეხით გადალახეთო.
გახსოვდეთ ენა მშობლური,
ეს კარგად შაინახეთო,
ვისაც გიწიოთ სიკვდილმა,
ქართულად დაიმარხეთო,
თქვენი ნაცომი ჩოხები
სახსოვრად შაინახეთო.

შეჩერდა და დაბალი, ბოხი ხმით განაგრძო:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
დაბრუნებულიც გნახეთო.

აღტაცებული ვუსმენდით მასპინძელს.

– ჩავიწეროთ, გოგი, ეს ლექსი, ჩავიწეროთ! ეს ლექსი მე არსად წამიკითხავს, – მივმართე მეგობარს.

გიორგის სიხარულისა და ღვინისაგან სახე უბრწყინავს. ჯიბიდან რვეული ამოიღო, ფანქარი მოიმარჯვა და იკითხა:

– ძია კოტე, ვითომ რაზეა ეგ ნათქვამი?

კოტეს რვეულისთვის ყურადღება არ მიუქცევია და თქვა:

– რაზეა და ჩვენს უბედურებაზეა ნათქვამი, გიორგის დროზეა ნათქვამი, აი, მოურავი რომ იყო, ტყვედ წაყვანილ ქართველებზეა ნათქვამი.

– კიდევ იმღერე, ძია კოტე, იმღერე!

კოტეს ხვეწნა-მუდარა აღარ სჭირდებოდა. მან რამდენჯერმე იმღერა „შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო“. ლექსი უკვე ზეპირად ვიცოდით.

გიორგიმ რვეული გაშალა და წერა დაიწყო. მასპინძელმა ირიბად გადახედა.

– ვანოს ბიჭო, რასა წერ შენა?

– ლექსსა ვწერ, ძია კოტე, ლექსსა, ახლა რომ თქვი. შენ კი პირველად ცივი უარი გვტკიცე. ვითომ რათა?

მასპინძელმა დაღვრემილად შემოგვხედა.

– ეჰ, შვილო, ამ ვაი-უბედურების დროს ვის ელექსებ-ეშაირება?

მერე ღიმილით დაუმატა:

– გადავიწყებული მქონდა, ღვინომ გამახსენა.

ავდექით, ჭიქები ავივსეთ და მასპინძელს დღეგრძელობა, სიკეთე ვუსურვეთ. წასვლისას ვთხოვეთ:

– თუ სხვა სიმღერაც იცი, ერთი ისიც მოგვასმენინე.

არ გაჭირვეულებულა და მოულოდნელად ისევ გიორგი სააკაძეზე გვითხრა სხვა ლექსი, რომელიც ასე იწყება:

გიორგიმა და პაატამ
შექმნეს ლამაზი ფიქრები,
უთხრა პაატამ გიორგის:
შენ წადი, მე აქ ვიქნები.

ესეც ჩავიწერეთ.

ეზოს რომ საკმაოდ დავშორდით, გიორგიმ მითხრა:

– აბა, ახლა ჩვენთან მივდივართ. ნათელა რაღაცას მოგვიხერხებს.

ნათელა გიორგის მეუღლეა. ხშირად გაუწევია ჩვენთვის კეთილი მასპინძლობა. ნასვამი ვიყავი, უარი რაზე უნდა მეთქვა? შატბერაანთ ოჯახისკენ გავწიეთ და მთელი გზა ჩვენებურად, ისე, როგორც შეგვეძლო, ვმღეროდით:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო...
შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
დაბრუნებული გნახეთო.

შემდეგაც ბევრჯერ მომისმენია გიორგისაგან სუფრაზე ეს მართლაც, ძია კოტესი არ იყოს, ჩვენს უბედურებაზე ნათქვამი ლექსი-სიმღერა.

თვალადის შემდეგ სხვადასხვა დროს ჩვენ მოვიარეთ კასპის რაიონის სოფლები ნოსტე, ერთაწმინდა, ახალციხე, ახალქალაქი. ლექსებს გარდა, ჩავიწერეთ პატარ-პატარა თქმულებებიც მოურავსა და მოურავთან დაკავშირებით. სოფელ-სოფელ ასე სიარულს ჩვენ სიცილით როჭიკობას ვეძახდით.

ჩვენ მიერ შეგროვილი მასალა პირველად გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში, შემდეგ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. გიორგი შატბერაშვილმაც შეიტანა თავისი წერილების კრებულში „ნაფიქრი“. ბოლოს ვახტანგ სიდამონიძემ ეს მასალაც და კიდევ სხვაც ცალკე პატარა წიგნად გამოსცა.

„საქმე ცუდად არის“

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქად და სოფლად ომის გამო დიდი გაჭირვება იყო, ხანდახან ოჯახები მაინც ახერხებდნენ პატარ-პატარა პურ-მარილის გამართვას (ეს ქართველი კაცის შინაგანი ბუნება და გადაულახავი მოთხოვნილებაა).

სოფელშიც ასე ხდებოდა. ერთხელაც (შეიძლება ეს 1943 წელს იყო) ექიმმა სტომატოლოგმა ქალმა მალაციძემ ვახშამზე დაგვპატიჟა გ. ბოჭორიშვილი, გ. შატბე-

რაშვილი და მე (ს. ჭელიძე თბილისში იყო წასული). ჩვენ რომ მასთან მივედით, იქ დაგვხვდნენ ექიმი პ. ბარაბიძე, აფთიაქის გამგე ვ. ბეჟუაშვილი, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ვ. შაყულაშვილი და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთა გვარებს ვერ ვიხსენებ. სულ 12-მდე სტუმარი. თამადობა, როგორც წესი, გრიშა ბოჭორიშვილს ხვდა წილად (არც დაანებებდა სხვას. კიდეც რომ არ აერჩიათ, ბოლოს და ბოლოს, თამადობას მაინც თვით იგდებდა ხელთ).

იმ პირობებში სუფრასაც და ღვინოსაც არა უშავდა-რა. გახურდა სმა, სადღეგრძელოები, ლექსების თქმა (ამ საქმეში თამადამ განსაკუთრებით ისახელა თავი). ბოლოს ღვინო ყველას მოგვეკიდა, მაგრამ მე და შატბერაშვილი ზედმეტს მაინც არ ვლაპარაკობდით (ეს ომს და პოლიტიკას ეხება).

უცებ საკმაოდ მთვრალი ჩვენი დირექტორი-თამადა წამოდგა და ამბობს:

– მე არ ვიცი, ეს ომი რით გათავდება. ამიტომ გიტოიასაც გაუმარჯოს და სოსიასაც. ალავერდი ყველასთან ვარ.

ზოგმა გაიცინა, ზოგმა რაღაც ჩაიბურტყუნა, მაგრამ სადღეგრძელო მაინც დაილია. გიორგის და მე ჩვენი წარსულის გამო არ მოგვეწონა ეს სადღეგრძელო, მაგრამ რას ვიზამდით, ჩვენც დავლიეთ, მაგრამ უხმოდ.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ ხანებში ბევრგან გიტოიას ჰიტლერს ეძახდნენ, სოსოია კი „ჩვენი ბელადი, უმაღლესი მთავარსარდალი" სტალინი იყო.

გავიდა ორი კვირა, თითქმის მიგვავიწყდა ეს შემთხვევა, მაგრამ მოულოდნელად თავი შეგვახსენა და საფიქრალი გაგვიჩინა. ერთ დილას სკოლაში გიორგი შატბერაშვილი რაღაც დაღვრემილ-დაფიქრებული მოვიდა, არ იყო ჩვეულებრივ გუნებაზე.

– ავად ხომ არა ხარ? – ვკითხე.

– არა!

– აბა, რა გჭირს?

– გაკვეთილების მერე გეტყვი.

გათავდა პირველი ცვლა. მე და გიორგი შინისაკენ მიმავალ გზას გავყევით.

– რა მოხდა, აღარ იტყვი? ოჯახში რაიმე უსიამოვნება ხომ არ გაქვს?

– არა! საქმე უარესად არის, საქმე ცუდად არის!

ბარდაანთ უბნისაკენ შუკას რომ დავადექით, გიორგიმ შემაჩერა და მეუბნება:

– წუხელ ელენე შეშაბერიძემ ღამით მნახა და გამაფრთხილა, კორინთელი თქვენს საქმეს იძიებს და ფრთხილად იყავითო.

ელენე შეშაბერიძე ექთანი იყო, ჩვენთან ძალიან დაახლოებული, მისი შვილები – ქალ-ვაჟი – ჩვენთან სწავლობდნენ, კორინთელი კი „ენკავედეს" ადგილობრივი (რაიონული) განყოფილების უფროსი გახლდათ.

– რასთან დაკავშირებით, თუ იცი?

– ბოჭორიშვილის სადღეგრძელოსთან დაკავშირებით. აი, გახსოვს, გიტოიას და სოსოიას გაუმარჯოსო, რომ წამოაყრანტალა? კონტრრევოლუციონერები ჰიტლერის სადღეგრძელოს სვამდნენო, ეთქვა ერთ ადგილას კორინთელს. ისინი სკოლაში არიან თავმოყრილიო.

– შეშაბერიძემ საიდან გაიგო?

– არ ვიცი, არ მიკითხავს, არც მას უთქვამს, მაგრამ შვილები დაიფიცა, კორინთელი თქვენ წინააღმდეგ რაღაცას აპირებს და თავს გაუფრთხილდითო.

ეს „თქვენ“, პირველ რიგში, შატბერაშვილი, სიმონ ჭელიძე და მე ვიყავით. შატბერაშვილი რომ დანაპატიმრები იყო, ქვეყანამ იცოდა, ჭელიძისა და ჩემი – არა. მაგრამ ამის გაგებას რა უნდოდა, თუკი კორინთელი მოინდომებდა.

– რა ვქნათ ახლა?

– თუ დაგვკითხავენ, უარს ვიტყვით, რომ ასეთი სადღეგრძელო არ დალეულა.

– არა, მაგას არ გეკითხები. ბოჭორიშვილს ვუთხრათ, თუ არა?

ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს დავასკვენით, რომ დირექტორს ყველაფერი ვუთხრათ. ასეც მოვიქეციოთ და კარგიც ვქენით. გიორგიმ მწარე ღიმილით უთხრა მას:

– ამ ცეცხლში შენ ჩაგვყარე და შენვე გამოგვიყვანეო.

ბოჭორიშვილი ამის გაგონებაზე აფეთქდა, დედის და მამის სულს აგინებდა კორინთელს, ბოლოს მუქარაზე გადავიდა: მაგ ძაღლიშვილს მე ვუჩვენებ, როგორ უნდა ჩვენი საქმის ძიებაო. მიზანს მიაღწია კიდეც. იმავე დღეს ცეკას მდივან ჩარკვიანს დეპეშა გაუგზავნა, კორინთელი პატიოსან მასწავლებლებს, ინტელიგენციას პროვოკაციას უწყობს და ამით სურს, ორდენი დაიმსახუროსო. სთხოვდა პირადად მიღებას და ამ საქმის გარკვევას. გავიდა რამდენიმე დღე, პასუხი არ მოსულა. ისევ დეპეშა მას და ახლა უკვე – რაიკომის პირველ მდივანს (მგონი გვარად ქველაძეს თუ ქორქაძეს). მოითხოვდა საქმეში ჩარევას და კორინთელის მიერ მოსალოდნელი პროვოკაციის აღკვეთას. თბილისიდან ისევ არავითარი პასუხი მოსულა, რაიკომის პირველი მდივანი კი, მგონი, ნახა. ყოველ მეორე დღეს დეპეშას გზავნიდა თბილისში. აქედანაც რომ არაფერი გამოვიდა, თვითონ წავიდა ქალაქში და მიადგა ცეკას შენობას, მაგრამ არ შეუშვეს. მაშინ მას ისტერიკა მოსვლია (უფრო სწორად, „გაითამაშა“) და კარებთან დაუწყია ყვირილი: მე პარტიის წევრი ვარ. უფლება მაქვს პირველი მდივნის ნახვისა. საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება და თუ მასთან არ შემიშვებთ, აქვე თავს მოვიკლავო.

ისეთი ღრიალი აუტეხია, რომ გარეთ რამდენიმე თანამშრომელიც გამოცვენილა. როლში შესული ბოჭორიშვილი ყვირილს უმატებდა და იმუქრებოდა, აქვე თავს მოვიკლავო.

დიდი ჩოჩქოლი ამტყდარა, ქუჩაში გამვლელებსაც მოუყრიათ თავი. ბოლოს, როგორც იქნა, ჯერ მისაღებ ოთახში, შემდეგ კი ჩარკვიანის კაბინეტშიც შეუშვეს.

მაინც რა მოხდა? როგორ გაიგო კორინთელმა, სუფრაზე რაც ითქვა? ყველაფერი ეს ჩვენთვის შემდეგ გახდა ცნობილი. სოფლის საბჭოში ეგრეთ წოდებულ „აღმასრულებლად“ მუშაობდა ვილაც ყიყილაშვილი. ეძებდა საბჭოს თავმჯდომარეს – შაყულაშვილს, რომელიც სუფრას უჯდა. უსწავლებიათ, იქ იქნებაო. ამოსულა მეორე სართულზე, სადაც მალაციძეს ამბულატორიის გვერდით ბინა ჰქონდა. დამდგარა კარებთან და ჩვენს ლაპარაკს, სადღეგრძელოებს ყურს უგდებდა. აი, ამ დროს მოუსმენია მას თამადის „ტოსტი“.[1] აღმასრულებელმა და სხვებმაც კარგად იცოდნენ, „გიტოიას“ და „სოსოიას“ ვისაც ეძახდნენ. გაქცეულა ეს ვაჟბატონი კასპში და კორინთელისთვის უთქვამს, მალაციძის ოჯახში ჰიტლერის სადღეგრძელო დალიესო.

რამდენიმე დღის შემდეგ მას გამოეძახა ვანო ბეჟუაშვილი და ეთქვა:

– ჩვენ ვიცით, რაც მოხდა სუფრაზე. ჩამოწერე იქ მყოფთა გვარები და დაწვრილებით აღნიშნე, ვინ რა სთქვაო.

---

[1] სადღეგრძელო.

არ ვიცი, ბეჟუაშვილმა რა უპასუხა. იგი ერთი დღე-ღამე საკანში ჰყავდათ დამწყვდეული. შემდეგ კორინთელს გამოეშვა ასეთი სიტყვებით:

– ახლა სახლში გიშვებ. რაც გითხარი, ყველაფერი შეასრულე, თორემ შენ დახვრეტა არ აგცდება და შენს ცოლ-შვილს ციმბირი. ხმა, კრინტი არსად დაგცდეს, რომ აქ იყავი, თორემ ჩემით მოგკლავ!

შინ დაბრუნებულ ვანოს თავისი ცოლისთვის, შესანიშნავი ადამიანისთვის, ანიკო ლასხიშვილისთვის, ეთქვა ყველაფერი. ქალბატონი ანიკო მაშინვე თბილისში გაეშურა და ჩამოიყვანა თავისი მაზლები – შალვა და გოგიტა ბეჟუაშვილები (ორივე მსახიობი იყო). ამათ მაგისთვის ეთქვათ:

– შამფურზე რომ წამოგაგონ, არაფერი დაადასტურო, ჩვენს ბიჭებს (ეს „ბიჭები" ჩვენ ვიყავით!) ცუდი არაფერი შეემთხვეთ. ახლა კი რაიკომის მდივანთან წადი და უთხარი, რომ კორინთელი გემუქრება და გაიძულებს, ტყუილი საქმე დაუდასტურო.

ეს რჩევა ჩვენმა მეგობარმა ვანომ შეასრულა და ძალიან კარგიც ქნა. საქმე ის გახლდათ, რომ ქველიძე და კორინთელი ერთმანეთზე გადაკიდებული იყვნენ. როცა ბეჟუაშვილისაგან ყველაფერი მოისმინა, აღშფოთებულიყო და კორინთელისთვის დაერეკა: შენი წამოწყებული საქმე მთელმა რაიონმა იცის, პროვოკაციებს თავი დაანებე, თორემ ჩარკვიანსაც პირადად ვნახავ და შენი უსუსური საქმიანობის შესახებ ბევრ სხვა რამესაც მოვუყვებიო. ვანოს ჩვენთვის პირადად არაფერი უთქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, მან და მისმა ცოლმა დაავალეს ელენე შეშაბერიძეს (ბეჟუაშვილის ოჯახთან დაახლოებული იყო), ჩვენთვის ეცნობებინა ყველაფერი.

ერთი სიტყვით, დაპატიმრებას გადავრჩით, მაგრამ შევატყვეთ, რომ სოფელში მეტი გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ვინ იცის, რა შარს მოგვდებდნენ. ერთ დღეს გიორგიმ მითხრა: აქედან ჩვენი წასვლის დროა, აქაურობას უნდა გავეცალოთო. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ შატბერაშვილი ოჯახით თბილისს გადავიდა. 1944 წლის ზაფხულიდან მეც წავედი თბილისში 1933 თუ 1934 წელს გაცემული ერთწლიანი ქუთაისური პასპორტით და გროზნოში მოცემული დროებითი სამხედრო ბილეთით. არც ერთს ძალა არ ჰქონდა, ამიტომ თბილისში პატრულებს გვერდს ვუვლიდი. აღარ ვიცოდი, ასეთი საბუთებით ვის მივდგომოდი ან რა უნდა მეკეთებინა.

სინანულით გამოვემშვიდობე სკოლას, სადაც მე ჩემი ახალგაზრდობის რამდენიმე წელი გავატარე. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის შეჩვეული გარემოდან ამოვარდნა, მაგრამ რა უნდა მექნა? მშვიდობით, სკოლავ, მშვიდობით, ბავშვებო! მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარდით!

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში

თბილისში რომ დავბრუნდი ჩემი გაოხრებული საბუთებით, უმთავრესად შინ ვიყავი და უნივერსიტეტში მინიმუმის ჩასაბარებლად ვემზადებოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ამ საქმეში ომამდე მე წამაქეზა ჩემმა მეგობარმა, ნიკო ტატიშვილმა. ომის დროს მინიმუმისათვის ვის ეცალა. ახლა კი ძალაუნებურად მას მივუბრუნდი. გარეთ იშვიათად გავდიოდი, ვერიდებოდი, პატრულებს არ გადავყროდი და რაიმე უბედურებაში არ გავხვეულიყავი. 1945 წლის გაზაფხულზე უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ გერმანია დამარცხებისათვის იყო განწირული. იმავე წლის 9 მაისს მან კაპი-



სხედან: დიმიტრი გურგენიძე, ვარლამ ქაჯაია, გრიგოლ საჯაია;
დგანან: გიორგი შალამბერიძე, მიხეილ კეკელიძე
თბილისი, სამაიას ბაღი, 1969 წელი

ტულაციაზე ხელი მოაწერა. ომი დამთავრდა. ახლა მე თავისუფლად დავიწყე გარეთ სიარული და ერთხელ გაზ. „სახალხო განათლების" რედაქციას მივაკითხე, რაღაც წერილი მივიტანე. ამ რედაქციაში ჩემი მუშაობის შესახებ ერთ მოგონებაში სადღაც დავბეჭდე, მაგრამ ახლა ვერ მივაგენი. სამაგიეროდ, გთავაზობთ ამ ამონაწერს მეორე წერილიდან, რომელიც გრ. საჯაიას ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი და დაიბეჭდა „სკოლა და ცხოვრების" 1986 წლის მეოთხე ნომერში:

„1945 წლის ივლისის ბოლოს გაზ. „სახალხო განათლებაში" (მაშინ მას ჯერ კიდევ „საბჭოთა მასწავლებელი" ერქვა) წერილი მივიტანე (მანამდე სოფლიდან ფოსტით გამოგზავნილი ორი წერილი უკვე დამიბეჭდეს ამ გაზეთში). მორიდებით შევაღე რედაქციის კარი და მაგიდასთან დავინახე წერით გართული კაცი. ვიცანი ჩემი ყოფილი მასწავლებელი ვარლამ ძიძიგური. მე კი ვიცანი, მაგრამ მან ვერ მიცნო, ძალიან დიდი ხანი არ გვენახა ერთმანეთი. ნაიკითხა წერილი. ბოლოს ხელმოწერა რომ ნახა, გაღიმებულმა მკითხა:

– კაცო, ეს შენა ხარ, მეცხრე შრომისსკოლელი? შენი იყო ის წერილები, წინათ რომ დავბეჭდეთ?

– დიახ-მეთქი! – ძლივს ვუპასუხე.

– აქ მომიცადეო, – მითხრა, წამოდგა და წერილიანად რედაქტორის, გრიგოლ საჯაიას, კაბინეტში შევიდა. ცოტა ხანში მეც იქ დამიძახეს. ვხედავ შედარებით ახალგაზრდა კაცს, მაყვალივით შავთმიანს, ტანწვრილს (მერე დასქელდა) და საკმაოდ ლამაზი სახისას. ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა რაღაცები გაიხსენა, ანეგდოტებიც მიაყოლა და ბევრი ისაუბრა, საოცრად კარგი განწყობილება შექმნა. მერე გავიდა და დაგვტოვა.

ყველაფერი გამომკითხა რედაქტორმა და სრულიად მოულოდნელად შემომთავა-

ზა, რედაქციაში დამეწყო მუშაობა. მე ჩემი მიზანი მქონდა და გულწრფელად ვიუარე. არაფერში ხელი არ შეგეშლება, ჩვენთან ძალიან კარგი ხალხი მუშაობსო, და ვარლამ ძიძიგურის გარდა ჩამოთვალა: სოლომონ ცაიშვილი, ანდრო თევზაძე, ტიტე სარიშვილი, ვარლამ ქაჯაია და კიდევ სხვები. – ვიფიქრებ-მეთქი, ვუპასუხე; – არაფერი ფიქრი მაგას არ უნდაო, მითხრა, ახლა წადი, დროდადრო შემოიარე, გაეცანი ჩვენს თანამშრომლებს, ხოლო 24 აგვისტოს აუცილებლად ჩემთან შემოდიო. – კარგი-მეთქი, ვუპასუხე და დამშვიდობების შემდეგ გაოცებულმა შინისკენ გავწიე. ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ რედაქციაში მუშაობის ცდუნებამ მძლია და გადავწყვიტე, რედაქტორის სურვილს დავყოლოდი. მართლაც, რამდენიმეჯერ შევიარე რედაქციაში, თითო-ოროლა სიტყვა ყველამ მითხრა და ხალისიანად შემხვდა. შემხვდა რედაქტორიც, არც უკითხავს, რა გადაწყვიტეო, პირდაპირ მომახალა:

– 24 აგვისტოს ჩემთან მოხვალ, თბილისის რაიონის (ახლა რომ გარდაბნის რაიონი ჰქვია) მასწავლებელთა თათბირს დაესწრები და ინფორმაციას გააკეთებო.

ეს დღეც დადგა. სოლიდურობისათვის მამაჩემის ძველი, საკმაოდ შელანძღული პორტფელი ავიღე, ქაღალდები ჩავაწყვე და რედაქტორთან შევედი. ვდგავარ და ხელში პორტფელი მიჭირავს. მიყურებს გრიგოლ საჯაია ღიმილით.

– რა არის, კაცო, ეს?

პორტფელია-მეთქი, ვუპასუხე.

– რად გინდა მერე?

გავჩერდი, რა ვუპასუხო, არ ვიცი.

– ბლოკნოტი გაქვს?

უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

მაგიდის უჯრა გამოსწია, ბლოკნოტი ამოიღო და მომაწოდა.

– კოსტიუმის ჯიბეში ჩაიდე! აი, ეს არის შენი პორტფელი.

– ფანქარი გაქვს?

მაქვს-მეთქი.

– აჰა, ეს ფანქარიც შენ, რედაქციის ფანქრით წერე. ესეც შენი პორტფელი!

როგორც მახსოვს, იმ ხანებში ავტოკალმები იშვიათი ხილი იყო. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ დაუმატა:

– ეს ავტოკალამი ვიღაცამ მაჩუქა, მაგრამ ვერ მოგცემ, ვერ გიცნობ ჯერ კარგად. შეიძლება, წერილებს კარგს წერდეს კაცი, მაგრამ ჟურნალისტური ნიჭი არ აღმოაჩნდეს. აი, ახლაც ამ თათბირებზე ზოგი ჭკვიანურს იტყვის, ზოგიც იბჟუტურებს რაღაცას. შენზეა დამოკიდებული, რას მიაქცევ ყურადღებას და როგორ დაგვაინტერესებ.

რედაქციაში მუშაობის ჩემი დებიუტი ურიგო არ გამოდგა. სექტემბრიდან უკვე შტატში ვიყავი ჩარიცხული“.

როგორც ახლა ვფიქრობ, რედაქციაში ჩემი მიღების შესახებ რეკომენდაცია ვარლამ ძიძიგურმა გამიწია, თუმცა ეს მე მისთვის არ მითხოვია, თავისი ინიციატივით მოქმედებდა.

გაზ. „სახალხო განათლებაში“ ჯერ ლიტმუშაკად დამნიშნეს, შემდეგ განყოფილების გამგედ დამაწინაურეს. ვწერდი უბრალო კორესპონდენციებს, რეცენზიებს წიგნებზე, ზოგჯერ შედარებით სერიოზულ წერილებს. ხანდახან „მ. ქართველიშვილის“ ფსევდონიმითაც. ეს ფსევდონიმი რამდენჯერმე გამოვიყენე „სკოლა და ცხოვრებაშიც“

(ამ ხელმოწერით ჟურნალში დაიბეჭდა მ. ქართველიშვილის სტატიებიც, უმთავრესად ბიოლოგიის საკითხებზე. ქართველიშვილი იმ ავტორის ნამდვილი გვარი იყო).

საერთოდ ფსევდონიმებს გავურბოდი, მაგრამ თითო-ორჯერ გამოქვეყნებული მაქვს „მ. ტობანიძე", „ზ. ვარდოსანიძე" და, აღარ მახსოვს, კიდევ რომელი, მაგრამ, როგორც ვთქვი, ძალიან იშვიათად.

რედაქციის თანამშრომლებს შორის კარგი დამოკიდებულება სუფევდა. განსაკუთებით მეგობრულად ვიყავი სოლომონ ცაიშვილთან, გივი ნიორაძესთან, ვარლამ ქავჯაიასთან და, ცხადია, ჩემს ყოფილ მასწავლებელ ვარლამ ძიძიგურთანაც. საკმაოდ ხშირად იმართებოდა ქართული ლხინი და ბევრ საინტერესო საკითხზე ვმასლაათობდით.

გაზეთში მუშაობის პერიოდიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ორი მომენტი, რომლებმაც ძალიან ამაღელვა. ორივეს შესახებ აქ გთავაზობთ ჩემს ნაამბობს. ერთს ეწოდება „უძაღლესი საბჭოს თავმჯდომარე" და მეორეს „მეფე და მხატვარი".

P. S. ერთიც უნდა დაეუმატო. ერთხელ შეხვედრისას რედაქტორმა მკითხა, ჯარში თუ იყავიო? არა-მეთქი, ვუპასუხე. მე ჩემი მოსაზრება მქონდა, თუ რატომ ვიუარე. რა ვიცოდი, მერე რას შემეკითხებოდა (სად ვიყავი, რამდენ ხანს, როგორ გამოგიშვეს ჯარიდან და ა. შ.). ამაზე საუბარი არც მასთან და არც სხვებთან მე არ მსურდა და ასეც ვიქცეოდი შემდეგ. რაც შეეხება ანკეტას, ის მხოლოდ 8 თვის შემდეგ შემავსებინეს, შიგ ბევრი არასწორი ცნობა ჩავწერე და ამ სახით გააგზავნეს განათლების სამინისტროში. შემდეგ ანკეტებში პირველად შევსებული ანკეტის მონაცემებს ვწერდი (პირველი ანკეტის ასლი დატოვებული მქონდა).

„უძაღლესი საბჭოს თავმჯდომარე"

არ მახსოვს კარგად, 1946 თუ 1947 წელი იყო, როცა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს ვიღაც გოგუა. იგი, მგონი, ნამყოფი იყო კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორად. ამის შესახებ ბრძანებულება ყველა გაზეთში დაიბეჭდა და, მათ შორის, ჩვენს გაზეთშიც. ერთი კვირის შემდეგ რედაქციაში მობრძანდა ორი ტიპი (სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი), რომლებმაც რედაქტორი იკითხეს, მის კაბინეტში შევიდნენ და დაახლოებით იქ საათ-ნახევარი დაჰყვეს. მერე გამოვიდნენ და მოლუშულნი წავიდნენ. ცხადად ჩანდა, ავტორები არ იყვნენ.

ისინი წავიდნენ თუ არა, მაშინვე კაბინეტში შეეედი. მაგიდასთან ზის რედაქტორი, ჭარხალივით გაწითლებული. ვკითხე:

– რა ამბავია, რა მოხდა?

– ვირის აბანოში რომ მიგვაბრძანებენ ყველას, ის მოხდა.

მე ჩემზე გადმოვიტანე ეს ყველაფერი (დანაპატიმრები, უპასპორტო და უსამხედრობილეთო, ორივე დიდი ხნის წინათ ვადაგასული, თბილისში ცხოვრების ნებადაურთველი) და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო.

– მაინც რატომ?

– აი, ამიტომ! წაიკითხე ბრძანებულება. წერია: „გოგუა დაინიშნა უძაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ".

„უძაღლესი საბჭო", „უძაღლესი საბჭო", – ვბუტბუტებ ჩემთვის.

– ეს როგორ მოხდა?

– აბა, რა ვიცი? ეჭვი აქვთ, რომ ეს ვიღაც ჩვენი თანამშრომლის მიერაა განგებ გაკეთებული. ეძებენ და ჩხრეკენ ყველაფერს.

დაძმარებული დავბრუნდი შინ. „ეს დამპლები მთელი სიცოცხლე დამდევენ. მეც ვატყუებ მათ, რითაც კი შეიძლება და აქამდე თავი მოვიტანე. ახლა კი გავები-მეთქი", – ვიფიქრე. მთელ ტანზე დამაწყებინა ქავილი. ნერვიულობისაგან რაღაც ავადმყოფობა დამემართა. რა ვქნა? რა ვქნა? გავხდე ავად და მოვშორდე რედაქციას, თუ ჩვეულებრივ განვაგრძო სამსახურში სიარული? ეს ბოლო გადაწყვეტილება ვარჩიე.

მივდიოდი რედაქციაში, მაგრამ ვაი იმ მისვლას. ეს ამბავი მთელმა რედაქციამ გაიგო. ყველა ჩაფიქრებულია, ძალით ლაპარაკობენ, ძალით იღრიჭებიან. ყველაფერი ხელოვნურად ხდება.

მეორე კვირას ისინი თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ, მაგრამ ცოტა ხნით. მე კი ჩემი მემართება: – აი, სადაცაა გამომიძახებენ და დამიწყებენ დაკითხვას! მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი კარგად დამთავრდა. სტამბაში შენახული აღმოჩნდა გაზეთის ეგზემპლარი, რომელიც მანქანიდან პირველად ჩამოიბეჭდა. იქ დაბეჭდილია: „უმაღლესი საბჭოს". დაასკვნეს და მართლაც ასე უნდა მომხდარიყო: ბეჭდვისას, ბარაბანის ტრიალის დროს, „მ"-ს თავი მოსტყდა და მივიღეთ „ძ", რის შედეგადაც იკითხებოდა „უძაღლესი საბჭო" (რისი ღირსიც ნამდვილად იყო ის საბჭო!).

მეორე შემთხვევა უმტკივნეულოდ არ დამთავრებულა. ჩვენთან, რედაქციაში, როგორც ზევით აღვნიშნე, მუშაობდა ცნობილი პედაგოგი ვარლამ ძიძიგური, მეთოდიკური ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მგონი, 1948 წელი იყო. ვარლამ ძიძიგურმა გამოსცა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო საღამოს სკოლებისათვის. მასში შეტანილი იყო ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია". გავიდა ცოტა ხანი და ამ წიგნთან დაკავშირებით შეიქნა მითქმა-მოთქმა, ის ყოფილა დახატულიო, ნაცარს ქექავსო და ა. შ. სახელდობრ, რაზე იყო ლაპარაკი, პირველად ვერ გავიგე. ერთი-ორჯერ მობრძანდნენ ტიპები, ჩაიკეტებოდნენ ოთახში და აწარმოებდნენ ძიძიგურის დაკითხვას. მერე რედაქციაში აღარ მოსულან. თავიანთ დანესებულებაში იბარებდნენ. ასე გაგრძელდა ერთი თვე. მანამდე კი ვარლამისგან გავიგე (ის ყველაფერში მენდობოდა. ჩემი თავგადასავალი კარგად იცოდა), რომ წიგნში იყო ასეთი ილუსტრაცია: ნაცარქექია ქექავს ნაცარს და ეს ნაცარქექია სტალინი ბრძანდებოდა. მაჩვენა ჩუმად ერთი ეგზემპლარი. თუ გახსოვთ, სტალინის ახალგაზრდობის სურათი, ჭრელი ყელსახვევი რომ უკეთია, ზუსტად ისეთი. როგორ მოხდა-მეთქი? – ვკითხე. – არ ვიცი, მიპასუხა. მართლა არ იცოდა, თუ მე დამიმალა, ვერ გეტყვით. დაჭერას კი იმით გადარჩა, რომ მაკეტში ეს სურათი არ ყოფილა და ალბათ ყველაფერი მხატვარს ან სხვა ვინმეს დაბრალდა, მაგრამ, მგონი, არავინ დაუსჯიათ, რადგან თვითონ მთავრობის წევრებმა, რომლებმაც ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს ეს სახელმძღვანელო, ამ საქმის გახმაურება სასურველად არ მიიჩნიეს.

მიუხედავად ამისა, ვ. ძიძიგური მაინც იძულებული გახდა, დაეწერა განცხადება განთავისუფლების შესახებ. იგი რედაქციიდან წავიდა. ერთი წლის თუ წლინახევრის შემდეგ ის სახალხო განათლების მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, სადაც მეც მოვიხდა მუშაობა სამი წლის განმავლობაში. ამაზე შემდეგ.

ერთხანს ჩვენს რედაქციაში მუშაობდნენ ტყვედყოფილები გრიშა ზაქარაია და ვახტანგ სიხარულიძე. ორივე პარტიაში იყო აღდგენილი.



გრიგოლ სვანი და მიხეილ კეკელიძე
თბილისი, 1965 წელი

ნატყვევარების დაჭერა და გასახლება რომ დაიწყეს (მგონი, 1950 თუ 1951 წელს), ესენი, თუმცა არ დაუჭერიათ, მაგრამ აიძულეს, განცხადება დაეწერათ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. მათი და მათი მსგავსი პირების „იდეოლოგიურ სფეროში“ მუშაობა შეუძლებლად მიაჩნდათ.

ამაში რედაქტორს ბრალი არ მიუძღოდა. მას რაიკომი და, ალბათ სხვა რომელიმე ორგანოც, აძალებდა, რომ რედაქცია „საეჭვო ელემენტებისაგან“ გაეწმინდათ.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, მათ რომ სცოდნოდათ ჩემი წარსული, მე ვინმე გამაჩერებდა იქ? ამიტომაც ბევრჯერ ვიყავი აფორიაქებული, ვნერვიულობდი, მაგრამ ამ უზარმაზარ ურჩხულთან, „საბჭოთა უძლეველ სახელმწიფოსთან“, უთანასწორო, საშიშ „თამაშში“ გამარჯვებული გამოვედი. თუმცა უცნაური კია, ორგანოები მე თვალყურს მადევნებდნენ, მაგრამ არც ერთხელ გამოუძახებივარ. როგორც ჩანს, მე ისეთი პატარა ლიფსიტა ვიყავი, რომ მათი ბადის უჯრებში ადვილად ვძვრებოდი. შეიძლება იყო სხვა მიზეზიც, რაც მე არ ვიცი. ჩემი მეგობრები – გიორგი შატბერაშვილი და დავით კობალავა კი რამდენჯერმე დაიბარეს და ჩემზე ეკითხებოდნენ, სად არისო. ამაზე თავის ადგილას ვიტყვი.

მეფე და მხატვარი

„მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალი თვალით. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

– მინდა, მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო; თუ

ბრმა დავხატო, მომკლავს: ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არის მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი".

ეს იგავი დიდ სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის და ერთხელ მე ის ძალიან გამომადგა გაზეთის რედაქციაში მუშაობის დროს უცნაურ შემთხვევასთან დაკავშირებით. დილით რედაქტორმა, გრიშა საჯაიამ გამომიძახა და მითხრა:

– გორში უნდა წახვიდე და წერილი უნდა მომიმზადო.

– რასთან დაკავშირებით? ამ თებერვალში მგზავრობა არაფერი სასიამოვნოა.

– საქმე მოითხოვს ამას. თათბირზე ვიყავი და ვალერიან ბაქრაძემ გაგვლანძღა, გაზეთი არაფერს წერს, როგორ მთავრდება მიმდინარე სასწავლო წელი და როგორ ემზადებიან ახლისთვისო.

– რა დროს ახალი სასწავლო წელია?

– კაცო! გაიგე შენ, უფროსმა რომ გითხრას, მუხას ვაშლი ასხიაო, უნდა დაუჯერო. შენ წერა შეგიძლია და ქოთანს კარგად გამოაბამ ყურს. სამაგიეროდ განყოფილების გამგედ დაგნიშნავ.

– რად მინდა განყოფილების გამგეობა? რაში გამომადგება?

– სახელი გექნება.

მე მართლა არ მსურდა „გამგეობა", რადგან ლიტმუშაკის თანამდებობაზე ვიყავი და ჯამაგირი 650 მანეთი მქონდა. თუ გამგედ დამნიშნავდნენ, 50 მანეთს ვკარგავდი – იქ 600 მანეთი მექნებოდა (ასეთ უცნაურობას ჰქონდა მაშინ ადგილი). იმ დროს 600-650 მანეთი რაღაც თანხად ითვლებოდა. ფულის რეფორმა რომ მოხდა, ეს უდრიდა 60-65 მანეთს თვეში. მძიმე ცხოვრება გვქონდა, ჰონორარიც არ იყო დიდი.

– მაგ საკითხზე მერე ვილაპარაკოთ. როდის წახვალ?

– იქნებ სხვა გაგეგზავნათ?

– მე შენ შეგარჩიე. ბევრი რამე მეც არ მინდა, მაგრამ მაკეთებინებენ. მივლინების ქაღალდს და სამგზავრო ფულს ბუღალტერთან მიიღებ. აბა, შენ იცი!

კარებთან რომ მივედი, მომაბრუნა და მითხრა, დაჯექიო. გაოცებული დავჯექი.

– კაცო, შენ გორში მიდიხარ. ჩამოიარე სკოლებს და ნახავ, რაც ხდება, მაგრამ ეს არ კმარა.

– რა უნდა ვქნა?

– გორში სტალინის სახლია. აუცილებლივ უნდა ნახო. მაღალ რეგისტრებში უნდა გამოხატო შენი სასიხარულო შთაბეჭდილებები, რაც შეიძლება მაგარი ეპითეტებით.

ეს სიტყვები ტყვიასავით მომხვდა გულში. მე და სტალინის ქება? ეს შეუძლებელია. ხოტბა-დიდება შევასხა იმას, ვისაც საქართველოს დამლუპველად ვთვლიდი? არა, არა, ეს შეუძლებელია! მაგრამ რა ვქნა? თუ წასვლაზე უარს ვიტყოდი, რედაქტორთან ჩემი ურთიერთობა გაფუჭდებოდა, შეიძლება, ეს რედაქციიდან ჩემი წასვლით დამთავრებულიყო, რაც სრულებით არ მსურდა. ყველასთან შეჩვეული ვიყავი და ჟურნალისტური მუშაობაც მომწონდა.

შინ დაღონებული დავბრუნდი. გადავწყვიტე, ავადმყოფობა მომემიზეზებინა და ერთ კვირაში ვილაც სხვას გააგზავნინდნენ, მაგრამ ეს მეტისმეტად ხელოვნური მო-

მეჩვენა. დავწექი და დიდხანს არ დამეძინა. მერე სრულიად მოულოდნელად რატომღაც მომაგონდა ორბელიანის „მეფე და მხატვარი“, რომელიც დასაწყისში მოვიყვანე და თქვენ უკვე წაკითხული გაქვთ. სულელივით გამეცინა და დავმშვიდდი.

ჩავედი გორში. განათლების განყოფილებაში მომამაგრეს ინსპექტორი ნიკო ჩუბინიძე. მასთან ერთად დავდიოდი სოფლის სკოლებში. ვიყავი ვარიანშიც, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელში. ვეცნობოდი მდგომარეობას. სახარბიელო ვითარება არსად იყო, მაგრამ ცუდი მაინც არ დამინერია. რა უნდა ექნათ გაჭირვებულ მასწავლებლებს? ისინი ხომ ვერ ააშენებდნენ ახალ სასკოლო შენობებს, ძველებიდან კი ბევრი ნახევრად დანგრეული იყო.

ავად იყო თუ კარგად, ლიბერალური წერილი დავწერე, მაგრამ ეს არ კმაროდა, „ყველა ჩვენ გამარჯვებათა სულის ჩამდგმელის და ორგანიზატორის“ სახელიც უნდა წერილში სადღაც ჩამეჩხირა. შევედი სახლ-მუზეუმში. ვიღაც გოგო შემხვდა და მეკითხება:

– თქვენ მუზეუმის დათვალიერება გინდათ?

– არა, მე მინდა გადავათვალიერო დელეგაციათა ჩანაწერები მათი შთაბეჭდილებების შესახებ.

– ჩანაწერების რამდენიმე წიგნი გვაქვს. რომელს გაეცნობით?

– სულ ბოლო რომელიც არის.

მომიტანა სქელი წიგნი. ვკითხულობ ჩანაწერებს. გულისამრევია ეს ჩანაწერები. მლიქვნელობა ცამდე ასული. რა ეპითეტებს, რა შედარებებს არ შეხვდებით აქ! ერთერთი შევარჩიე და გადმოვწერე მთლიანად.

ბოლოს ჩემს წერილში აღვნიშნე, რომ ბელადის სახლ-მუზეუმის სანახავად უამრავი ხალხი დადის, თავიანთ შთაბეჭდილებებს სიხარულით გამოხატავენ და ნიმუშად ერთ-ერთ მათგანს აქვე წარმოგიდგენთ-მეთქი.

დავბრუნდი თბილისში. რედაქტორმა წაიკითხა წერილი და მოიწონა. ჩემი აზრით, მას ერთი თვალი კი არა – ორივე დაეუხუჭე. სხვის მიერ დაწერილი ქება-დიდება გადმოვწერე და ისე მივართვი. ჩემი საკუთარი სახოტბო სიტყვები „ბელადის“ სადიდებლად არ დამიხარჯავს.

ამას ის მოჰყვა, რომ რედაქტორმა მალე განყოფილების გამგედ დამნიშნა და ხელფასიც შემიმცირდა, 50 მანეთი დამაკლდა, სამაგიეროდ, სახელი გექნებაო, მანუგეშა. მაგრამ სახელი არც მაშინ მომიპოვებია და არც შემდგომ, თუმცა უკვე დაებერდი. ვიყავი ჩემთვის გაყუჩებული და ათეული წლების განმავლობაში ველოდებოდი, რა მოხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში. არავის ვახსოვდი, მაგრამ თურმე მთლად ასე არ ყოფილა საქმე – ვახსოვდი ჩეკას, რაც ჩემი მეგობრების, გიორგი შატბერაშვილისა და დავით კობალავასაგან, გავიგე.

ერთ დღეს შატბერაშვილმა რედაქციაში შემოიარა და მითხრა, ცოტა ხნით რუსთაველზე გავისეირნოთო. გავისეირნეთ. გზაში ასეთი რამ მომიყვა: სამი დღის წინათ მილიციიდან კაცი მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილა, ხვალ დილით აუცილებლივ მილიციაში მოდით, საქმე გვაქვს გასარკვევიო. გავოცდი, მილიციას რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან? მილიციაში გამოვცხადდი. შემიყვანეს ერთ ოთახში, რომელშიც ვიღაც კაცი დამხვდა და მითხრა, მე „ენკავედედან“ ვარ და ცოტა ხნით იქ უნდა წამოგვყვეო. გავყევი, მანქანა დაბლა ელოდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მე უკვე ჩეკაში



სხედან: მარიკა ელიავა-ჩიქოვანი, გერონტი ქიქოძე
დგანან: პოლიკარპე მურლულია, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი
თბილისი, 1945 წელი

ვიყავი, დიდ ოთახში შემიყვანეს. იქ ჩემთვის უცნობი ჭაღარა კაცი დამხვდა, ფორმა ეცვა. დავჯექიო, შემომთავაზა. დავჯექი. შემდეგ მეუბნება:

– ორი კვირის წინ მწერალთა კავშირის ბაღში იდექით თქვენ, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი და ერთიც კიდევ (გიორგიმ მისი გვარიც მითხრა, მაგრამ მე ახლა ვერ გავიხსენე). რაზე ლაპარაკობდით?

– მართლა იყო ასეთი შემთხვევა? – ვეკითხები გიორგის.

– კი, მართლა იყო. უარი არ მითქვამს.

ის ისევ მეკითხება:

– რაზე ლაპარაკობდით? ჩვენ ვიცით, რაზედაც ლაპარაკობდით, მაგრამ გვინდა, თქვენ დაგვიდასტუროთ.

– ვლაპარაკობდით მწერლობაზე, ხელოვნებაზე. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ წიგნებზე.

– კიდევ რაზე ლაპარაკობდით?

– მეტს არაფერზე.

– ჩვენი პარტია და მთავრობა არ გიგინებიათ?

– არა! საერთოდ პარტიასა და მთავრობაზე კრინტიც არ დაგვიძრავს.

უცებ ეს ჭაღარა კაცი, რომელიც აქამდე შედარებით ზრდილობიანად მელაპარაკებოდა, აფეთქდა, ხმას აუწია და შემომიტია:

– ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი! გეტყობა, შენ ჭკუა ვერ ისწავლე სამი წლის გადასახლებით. ახლა თუ სიმართლეს არ იტყვი, კამჩატკას უკან დაგატოვებინებ. თქვი სიმართლე, რაზე ლაპარაკობდით?

მე იგივე გავუმეორე. ასე გაგრძელდა დაახლოებით საათ-ნახევარს. ის – თავისას, მე – ჩემსას. ბოლოს დამანება თავი და მოულოდნელად მეკითხება:

– შენი მეგობარი კეკელიძე სადა ბრძანდება?

– თქვენ ჩემზე კარგად იცით, სადაც არის და სადაც მუშაობს.

– ხვდებით ერთმანეთს?

– კავთისხევში, როცა ერთად ვმუშაობდით სკოლაში, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, ამჟამად კი იშვიათად.

– ახლა წაბრძანდი! თუ საჭირო იქნება, კიდევ გამოგიძახებთ. ენას კბილი დააჭირე და არსად თქვა, რომ აქ იყავი, თორემ შენი საქმე ცუდად წავა.

მეც წამოვედი. ცუდ გუნებაზე ვიყავი. ვინ მიიტანა ამბავი? თუ ეს ჩეკას ვარაუდი იყო მხოლოდ? სიტყვის მიმტანი ან ჩვენთაგანი იყო, ან სხვამ დაგვინახა, ცალკე რომ ვლაპარაკობდით და ჩეკაში დაგვაბეზღა. მე ეს უფრო სიმართლედ მეჩვენება. ალბათ ვილაც აგენტს ეჭვი გაუჩნდა, ეს დანაპატიმრები ხალხი რატომ განცალკევდნენ (გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი და მეც სხვადასხვა დროს დაპატიმრებული ვიყავით).

– მაინც რაზე ლაპარაკობდით?

– რა ვიცი, კაცო! ბევრ რამეზე, იმაზეც რომ კომუნისტური რეჟიმი ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ლამის დაგვახრჩოს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეო. ყველაფერი გითხარი, ფრთხილად იყავი. მაგათ ყველა დანესებულებაში აგენტები ჰყავთ.

მეორეჯერ დათიკო კობალავას დაერეკა ჩემთვის. იმ დღეს რედაქციაში არ ვყოფილვარ. თვითონ მოსულიყო და დაეტოვებინა ბარათი, აუცილებლივ შენი ნახვა მინდა და როგორმე მნახეო (ეს ბარათი შენახული მაქვს). მაშინვე გავეშურე მასთან (იმ დროს იგი ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მუშაობდა). არც მივსალმებივარ, ისე ვკითხე:

– რა იყო, დათიკო, რა მოხდა?

– გუშინწინ ჩეკაში გამომიძახეს. მკითხეს, რაზე იყავი დაჭერილი, შენთან ერთად ვინ იყვნენ, ახლა რას აკეთებო. მეც ზერელედ ვუპასუხე, ჩემზე კარგად იცით ყველაფერი და რაღას მეკითხებით-მეთქი. მერე ერთი პროფესორის გვარი დამისახელეს და მკითხეს, დერეფანში რომ სტუდენტებს შემოიკრებს, რაზე ლაპარაკობსო. მე ვუთხარი, რომ მასთან ახლო ურთიერთობა არა მაქვს და არც ის ვიცი, დერეფანში რაზე ლაპარაკობენ. მერე მოულოდნელად მეკითხება:

– ძველ ამხანაგებს თუ ხვდები?

– მაინც ვის?

– აი, თუნდაც კეკელიძეს. თქვენ ხომ მეზობლები ხართ.

მართალი ეთქვა იმ მამაძაღლს. დავით კობალავა ჩემი სახლიდან მეოთხე სახლში ცხოვრობდა, მხოლოდ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. ისიც კი იცოდნენ, რომ მეზობლები ვიყავით.

– მე ახლა იქ აღარ ვცხოვრობ, სხვაგან გადავედი, ამიტომ კეკელიძეს იშვიათად ვხვდები.

ისიც გაეფრთხილებინათ, აქ თუ იყავი, არსად თქვაო და გაეშვათ.

– აი, ეს მინდოდა მეთქვა შენთვის, – მითხრა მეგობარმა და თან ისიც დაუმატა: – ფრთხილად იყავიო.

ფრთხილად, ფრთხილად იყავიო! ასე მაფრთხილებდნენ ყოველთვის ჩემი კეთილის მოსურნენი. როდემდე და რანაირად ვიყო ფრთხილად?

ჩეკას რომ ვახსოვდი, ეს კიდევ ერთი ფაქტიდანაც ჩანს. 60 წლისა რომ გავხდი, მაშინვე პენსია არ გამიფორმებია, ანკეტების შევსება მაფიქრებდა, მაგრამ პენსია ბოლოს მაინც გავიფორმე. გავიდა რამდენიმე წელი და ბიჭები მეუბნებიან, პერსონალურ პენსიაზე წარგადგენთო. ასეთ რამეებს ვერიდებოდი (არც ერთ ანკეტაში არ მქონია ჩაწერილი, რომ დანაპატიმრები ვიყავი). დიდხანს ვიუარე, მაგრამ მერე ვიფიქრე, ამ უარის თქმით რაღაც ეჭვები არ აღძრულიყო თანამშრომლებში. წარვადგინე საბუთები. გადის ერთი თვე, ორი, სამი, ექვსი, მაგრამ არავითარი პასუხი არ ჩანს. ჩემ შემდეგ პერსონალურ პენსიაზე ვინც წარადგინეს, ამათ ყველას გაუფორმეს პენსია, მე კი – არა.

ერთ დღეს რედაქციაში ტელეფონით დამირეკეს. მელაპარაკება ქალი, რომელსაც არ ვიცნობ.

– კეკელიძე ხართ?

– დიახ.

– მე მთავრობის საპენსიო განყოფილებიდან გირეკავთ, თვალთვაძე.

– გისმენთ, ბატონო!

– თქვენი საბუთები განვიხილეთ და რაღაც მინდა დავაზუსტო. როცა პერსონალურ პენსიას ვუნიშნავთ ვინმეს, ამის შესახებ ორგანოებს ვეკითხებით. იქიდან გვაცნობეს, რომ 1930 წელს გადასახლებული ყოფილხართ. მართალია?

ტანში გამცრა. კიდევ კარგი იმ დროს ოთახში არავინ იყო, თორემ აუცილებლივ შემამჩნევდა, რომ ფერი შემეცვალა. დამალვა აღარ შეიძლებოდა.

– დიახ, ქალბატონო! იყო ასეთი შემთხვევა ჩემი მოწაფეობის დროს. მაშინ პატარები ვიყავით და გაუგებრობის გამო დაგვაპატიმრეს. თუ არ მეკუთვნის, ნუ დამინიშნავთ პერსონალურ პენსიას.

უცებ ის ქალი საოცრად მოლბა და ტკბილად მეუბნება:

– ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება. ეს ისე, სხვათა შორის გკითხეთ.

ღმერთმა ააშენოს ის ქალი! დამინიშნეს პერსონალური პენსია 135 მანეთი. შეიძლება ჩემდამი ასეთი სიკეთე იმანაც გამოიწვია, რომ, როგორც შემდეგ მითხრეს, მამამისი, მგონი, გადანასახლები ყოფილა.

ისე კი მინდა იცოდეთ, თვალთვაძესთან საუბარი ჩემი გადასახლებიდან 55 წლის შემდეგ მოხდა (ადამიანის ერთი სიცოცხლე!). დოსიე ჩემზე (და ალბათ უამრავ ჩემისთანებზე) ისევ შენახული აქვთ ჩეკაში. ძალიან საინტერესო იქნება მათი გაცნობა, მაგრამ როდის? ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნდა წერილები იმ პირებზე, რომლებზედაც „მასალები“ დამსმენებს ჩეკაში მიჰქონდათ, მაგრამ დამსმენებს და შპიონებს არ ასახელებენ იმ მიზეზით, რომ მათ შთამომავლობა დარჩათ და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიანო. ვითომ ეს საბუთია? მაგრამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ.

„შენ რა, გინდა დამიჭირონ და დამხვრიტონ?“

1941 წლის სექტემბერ-დეკემბერში ქუთაისში ვიყავი ჯარში. ერთ ღამეს დამესიზმრა, თითქოს ხელში მეკავა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (კორნელი კეკელიძის გამოცემა). წიგნი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. ალბათ რომელიმე გაზეთში წავიკითხე ცნობა მისი ახლო მომავალში გამოსვლის შესახებ და სიზმარიც ამის შედეგი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით პატარა ლექსი დავწერე, მამაჩემს

გავუგზავნე და ვთხოვდი, წიგნი ჩემთვის ეშოვა. მამას ეს ლექსი კორნელისთვის მიეტანა (ლექსი მის არქივში ინახება).

გავიდა ხანი. ბიძაჩემთან ვარ. რაღაც-რაღაცები ვილაპარაკეთ. მოულოდნელად მეკითხება:

– მართლა დაგესიზმრა „ისტორიანი“?

– მართლა.

– ლექსიც დაწერე?

– დავწერე.

– პოეტობას აპირებ?

– ჩემგან პოეტი არ გამოვა. ვწერ ჩემთვის, გასართობად.

– ეგ კარგია, როცა კაცი ხვდება, რომ მისგან პოეტი არ გამოვა. ჩვენ უბედურება გვჭირს, ყველა ქართველი ლექსსა წერს.

– თქვენც წერდით ლექსებს?

გამილიმა, ალმაცერად შემომხედა.

– აბა, როგორ? განა მე ქართველი არა ვარ? ულექსოდ როგორ გადავრჩებოდი. ვწერდი სემინარიაში ყოფნისას. ვწერდი და ვხევდი, თუმცა ზოგიერთს არა უშავდა. მაგრამ მივხვდი, რომ ჩემგან პოეტი არ გამოვიდოდა და დროზე დავანებე თავი. კარგიც ვქენი. პოეტობა ღვთაებრივი ნიჭია. აი, აკაკი რომ იყო, ისეთი ნიჭი უნდა. შეიძლება კაცი მთელი სიცოცხლე დღედაღამე ლექსებს წერდეს, მაგრამ პოეტის სახელს მაინც ვერ დაიმკვიდრებს. მოკვდება ის და მოკვდება მისი ლექსებიც. ამისი მაგალითი უამრავია. თუმცა რა, თუ ლექსების წერა უხარია, წეროს. ოღონდ მის ბეჭდვაზე ნუ შეიწუხებს თავს და ნურც სხვას შეაწუხებს მათი კითხვით.

ეს შეხვედრა რატომ გავიხსენე, შემდეგ გამოჩნდება. 1946 თუ 1947 წლის აპრილში, რიცხვი არ მახსოვს, „სახალხო განათლების“ რედაქციაში კორნელი კეკელიძემ დამირეკა და მითხრა, მასთან მივსულიყავი რაღაც საქმეზე. სამსახური დამთავრდა თუ არა, მაშინვე მასთან გაეწიე. ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ცხოვრობდა, 102-ე ნომერში. შევედი მის სამუშაო კაბინეტში, მივესალმე და მორიდებით დავჯექი. კორნელიმ ქაღალდებიდან ერთი დაწერილი ფურცელი გამოაძრო და წინ დამიდო. მერე მეკითხება:

– შენ ლადო ბზვანელი გაგიგონია?

– გაგონებით გამიგონია, მაგრამ პირადად არ ვიცნობ. ისე, ვიცი, რომ გაზეთებში აშუქებდა აკაკის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში. მერე წიგნადაც გამოსცა. ქუთაისში პედაგოგიურ გაზეთსაც სცემდა. მის შვილს, მხატვარ-კარიკატურისტ „დონს“, კი ახლოს ვიცნობ.

– ჰოდა, ეგ ბზვანელი გვარად ნაცვლიშვილია. ერთ ხანს მეც და მამაშენსაც დაწყებით კლასებში გვასწავლიდა. მოვიდა ჩემთან და მთხოვა, 75 წლისა ვხდები, ორიოდე სიტყვა ჩემზე დაწერეო. აი, დავწერე და წაიღე, იქნებ თქვენმა გაზეთმა დაბეჭდოს.

ნაწერი გამოვართვი და კოსტიუმის ჯიბეში ჩავიდე. მერე ვკითხე:

– ბზვანელი კარგი მასწავლებელი იყო?

– კარგი! ჩვენ, ბავშვები, პატივს ვცემდით და გვიყვარდა. მაგრამ ჩემი ნამდვილი გზის გამკვალავი პოლიევქტ კვიცარიძე იყო. შესანიშნავი პედაგოგი, ქართული ლიტერატურა მან შემაყვარა.

ბიძაჩემი გახალისდა, სახე გაუბრწყინდა. მეც უფრო გაბედულად ჩავები მასთან საუბარში.

– როგორ გასწავლიდათ?

– მე არ ვიცი, საერთოდ პროგრამა ჰქონდა თუ არა. მისი ქართულის გაკვეთილი ხანდახან ისტორიის გაკვეთილად გადაიქცეოდა. ძალიან საინტერესო იყო. საოცარია, არ მახსოვს, სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში გვქონდა თუ არა, მგონი, არა. სხვადასხვა წიგნი შემოჰქონდა, იქიდან გვიკითხავდა რომელიმე ნაწარმოებს, მერე ჩვენ გვაძლევდა წასაკითხად და მოსაყოლად. ერთხელ წმინდა ნინოს ცხოვრება წაგვიკითხა, საინტერესო კომენტარები დაურთო. გაკვეთილის დამთავრებისას წიგნი მომცა. დამავალა, გულდასმით წამეკითხა და, რასაც ვერ გავიგებდი, ჩემთვის აღმენიშნა, მომდევნო გაკვეთილზე გავერკვეთო. შენ რომ წაიკითხავ, მერე წიგნი ამხანაგებს მიეცი წასაკითხად, თორემ ისინი დაიჩაგრებიან, გაკვეთილი შენ გეცოდინება და იმათ არაო. გაკვეთილი ყოველთვის კარგად ვიცოდი. ბეჯითობა რომ შემატყო, სახლშიც მიბარებდა და დამატებით ლიტერატურას მაძლევდა. აქ გავეცანი კარგად შოთას, ილიას, აკაკის. მე თავიდანვე ძველი ლიტერატურით ვიყავი გატაცებული, ამ საქმეში კვიცარიძე ძალიან მაქეზებდა და მეუბნებოდა, კარგად თუ ისწავლი, შენგან კაცი გამოვაო.

ბიძაჩემს გაეცინა.

– არ შემირცხვენია ჩემი მასწავლებელი. მგონი, გამოვედი კაცი.

ვეუბნები:

– ბიძაჩემო, დაწერეთ მოგონებები თქვენს მასწავლებლებზე, სკოლაზე, ნაცნობ-მეგობრებზე, ათასი ვინმე შეგხვედრიათ ცხოვრებაში.

ირიბად შემომხედა.

– ვისთვის? რა საინტერესოა ჩემი მოგონებები ამ ახალ დროში? მერედა, შეიძლება ყველაფრის დაწერა?

– დასაბეჭდად არ ვგულისხმობ, იყოს დაწერილი და ინახებოდეს თქვენთან ოჯახში.

არაფერი მიპასუხა. უვახშმოდ არ გამიშვა ბიცოლაჩემმა, შესანიშნავმა, განათლებულმა მანდილოსანმა მინადორა კასრაძემ. დავემშვიდობე და წამოვედი. კორნელის მცირე მოგონება ლადო ბზვანელზე დაიბეჭდა გაზ. „სახალხო განათლებაში“. სათაურად, მგონი, „საყვარელი პედაგოგი“ ჰქონდა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. მე უკვე „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ვმუშაობდი. ერთ დღეს ჩემთან შემოვიდა მოხუცი კაცი, სათვალეებიანი, სიმპათიური და მიკითხა. სკამი შევთავაზე. დაჯდა და აღელვებული მეუბნება:

– მე ლადო ბზვანელი ვარ. ახლა კორნელისთან ვიყავი და შენთან გამომაგზავნა. სევერიანეს შვილი ყოფილხარ და ძალიან გამიხარდა. მამაშენს მე ვასწავლიდი. გაჭირვება მაქვს და დამეხმარე.

ვიფიქრე, ალბათ წერილი აქვს დასაბეჭდი და იმაზე მიმანიშნებს-მეთქი. სულ სხვა რამე მითხრა:

– აკაკი რომ რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობდა, ქუთაისური ქართული გაზეთების კორესპონდენტად მე ვახლდი. ყველაფერი მისხალ-მისხალ მაქვს აღწერილი. მერე წიგნადაც გამოვეცი. ახლა გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი ალავიძე, გადაიწერა ჩემი წიგნი და თავის სახელით გამოსცა. უნდა ვუჩივლო.

ვკითხე, თუ გქონდა ლაპარაკი ალავიძესთან-მეთქი?



ლადო ბზვანელი
1939 წელი

– ლაპარაკი მქონდა და ჰონორარის ნაწილიც მომცა, მაგრამ მე ჩემი სახელის დაბრუნება მინდა.

დავამშვიდე.

– ბატონო ლადო! რაკი ჰონორარის ნაწილი აგიღიათ, ახლა აზრი არა აქვს ჩიეილს. შერიგდით, ალავიძეს შეცდომა მოსვლია, რომ წინასწარ არ მოგელაპარაკათ, ახალგაზრდა კაცია, არ ღირს ამ საქმეზე სასამართლოში სიარული, უმჯობესია, თქვენი წიგნის ახალ გამოცემაზე იფიქროთ.

ბევრი ველაპარაკე და შედარებით დამშვიდებული წავიდა. მერე რამდენჯერმე ჩვენთან ოჯახშიც მოვიდა. მამაჩემი და ის ძველ ამბებს იხსენებდნენ.

ბზვანელთან ამ შეხვედრამ გამახსენა, რომ ბიძაჩემმა მასზე პატარა წერილი დაბეჭდა. გავიფიქრე, მივალ და კიდევ ვთხოვ, თავის მასწავლებლებზე და სხვა ამბებზეც მოგონებები დაეწერა. ერთი კვირის მერე მივედი. გამომკითხა ქალაქის ამბები. ზოგიერთი ისეთი რამ ვუთხარი, რომ ბევრი იცინა. მეც ეს დრო შევურჩიე და განმეორებით ვთხოვე, დაეწერა მოგონებები. მომიბრუნდა და სერიოზულად მეუბნება:

– შენ რა, გინდა, დამიჭირონ და დამხვრიტონ?

– რასა ბრძანებთ!

– იმას ვბრძანებ, რომ თუ მოგონებებს დავწერ, ყველაფერი ზუსტად და შეულამაზებლად უნდა დავწერო. ვთქვათ, დავწერე და ვილაც ოხერს ხელთ ჩაუვარდა. კარგ ხეირს დამაყრიან, აი! მე კომუნისტებს არაფერში არ ვენდობი. ეგენი დაუნდობელი ხალხია. ახლაც ბევრჯერ წამომაძახებენ და მაყვედრიან, დეკანოზი იყავიო. მერე რა, კაცის მკვლელი ხომ არ ვიყავი?

ცოტა შეჩერდა და მერე განაგრძო:

– ჩამაცივდი, დაწერე, დაწერეო! არ გამოვა, ჩემთვის საშიშია.

– ბიძია, საშიში ეპიზოდები გამოტოვეთ.

– ეგ რა მოგონებები იქნება? თუ დავწერ, უნდა დავწერო, რომ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს მემორანდუმის ტექსტი ჩემი დაწერილია. მე გადავეცი კათალიკოს ამბროსის, მასთან შეთანხმებული ვიყავი. იმან კი გადასცა ინგილო ივანიცკის, რომელმაც მემორანდუმი საზღვარგარეთ გაიტანა. ჰო, მართლა! როცა ამბროსის და კალისტრატეს ასამართლებდნენ, პროცესს მეც ვესწრებოდი. სულ მუდამ ტანში მბურძგლავდა, ჩემი გვარი არ წამოსცდეთ-მეთქი. გადავრჩი. ამბროსის ერთხელაც არ ვუხსენებივარ. სხვებმა კი, კალისტრატე ცინცაძის გარდა, მემორანდუმის შედგენაში ჩემი წვლილის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამბროსი ყოველმხრივ ვაჟკაცურად მოიქცა. ღმერთო, მისი სული გაანათლე! ჰმ... დაწერეო! მაშინ უნდა დავწერო, 1924 წელს, აგვისტოში, ჩემი შვილი რომ დახვრიტეს, იმხანად მე და მინადორა ქემერტში ვიყავით. ხუთი დღე ვყავდით შინაურ პატიმრობაში. მერე თბილისში დაბრუნების ნება მოგვცეს. იმავე ღამეს სამი ჩეკისტი მობრძანდა და მითხრეს: ახლავე დაწერე, რომ მენშევიკების ავანტიურას გმობ, თორემ შენი საქმე ცუდად წავაო. აბა, წარმოიდგინე, ჩემი მდგომარეობა. ის საქმე, რომელსაც ალექსი (კორნელის უფროსი ვაჟი – მ. კ.) შეეწირა, უნდა დამეგმო! რის ავანტიურა? ეს იყო ქართველი ხალხის აჯანყება რუსების, კომუნისტების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ცუდად დამთავრდა. დამაწერინეს, სხვა გზა არ მქონდა. ამ დღეში მარტო მე არ ჩავუგდივართ, ყველას, ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ ინტელიგენტს, აწერინებდნენ, ავანტიურას ვგმობთო. მაშინდელ გაზეთებში ბევრს ნახავ ასეთ განცხადებებს. ყველაფერი ეს სიკვდილის შიშით დაწერილია. ღმერთო, რა საშინელი დღეები იყო! ჰოდა, ისიც უნდა დავწერო, თუ როგორ დამესხა თავს უნივერსიტეტში მსუბუქი კავალერია და მიბრძანებდნენ, ამის შემდეგ მღვდლებსა და წმინდანებზე წერას თავი გაანებე, პროლეტარულ მწერლებზე წერე. იქნებ, შენ პროლეტარული სახელმწიფო და პროლეტარული მწერლობა არ მოგწონს, ამაზე გვიპასუხე. თვალები გაიწმინდე და კარგად დაინახე, დრო შეიცვალა, ქვეყნის ბატონ-პატრონი მუშა ხალხია და ვინც მას არ ემსახურება, ის სიცოცხლეს გამოესალმებაო.

სხვათა შორის, ამ თავდასხმის დროს ვილაცას სურათი გადაუღია. მაგიდასთან ზის კორნელი. გაფართოებული თვალებით მაღლა იყურება. გარს კი 6-7 „კავალერისტი“ ახვევია. მათ შორის ორი გოგოა. ეს სურათი ჩემს დას ჰქონდა. ბოლოს ჩემს ქალაქებში ინახებოდა. სამწუხაროდ, ისე გამებნა, რომ ვეღარ მივაგენი. „კავალერისტების“ ეს თავდასხმა 1929 წელს უნდა მომხდარიყო.

კორნელიმ განაგრძო:

– შენი ჭკუით, ისიც უნდა დავწერო, როგორ ვთხლიშე სემინარიაში ჯუღაშვილს, ახლანდელ იმპერატორ სტალინს? თუ გამიხსენა, კაი დღეს დამაყრის.

შევეკითხე, ეს როგორ მოხდა-მეთქი?

– ჯუღაშვილთან სემინარიაში ერთხანს კარგი დამოკიდებულება გვქონდა. მისთვის რაღაც ნაწერებიც მიმიცია და გამოუყენებია კიდეც. უნიჭო არ ყოფილა, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ამხანაგებში პირველობას ჩემულობდა. აი, თქვენი თაობა რომ იტყოდა ახლა – ყოჩობდა, ხშირად თავხედურადაც იქცეოდა. ჩემს დროს სემინარიაში ბევრი მასზე ნიჭიერიც და უფრო მცოდნენიც იყვნენ, მაგრამ ჯუღაშვილს



კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ბესარიონ ხელაია), მიტროპოლიტი ანტონი (ალექსი გიორგაძე), კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე)
1927 წლამდე

ჰქონდა ისეთი რაღაც, რაც სხვებს არ გააჩნდათ. ვთქვათ, სიჯიუტე და გასაოცარი თვითდაჯერებულობა. ცხოვრებაში გამოჩნდა კიდეც. მასზე ნიჭიერებს თავს აცლიდა და გზიდან დაუნდობლად იშორებდა. ერთ დღეს, დიდი დასვენების დროს, კლასში დავრჩი, გარეთ არ გავსულვარ, რომელიღაც ბიბლიისოდენა წმინდანთა წიგნს ვკითხულობდი. უცებ ოთახში გიჟივით შემოვარდა ჯუღაშვილი, ორი ბიჭი ახლდა. მოვარდა ჩემთან და მეუბნება, აქ მარტოკა რომ ზიხარ ბაიყუშივით, მაგის კითხვას ეს წიგნი ნაიკითხო სჯობიაო და წიგნი ცხვირთან მომიტანა. ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია" იყო. მე ვუთხარი, ეს წიგნი შენზე ადრე მაქვს წაკითხული-მეთქი. კიდევ ნაიკითხე და უკეთ გაიგებო. ბიჭოს, ეს მასხრადაც მიგდებს, მგონი. წამოვდექი, ეს ჩემი დიდი წიგნი ისეთი ძალით ვთხლიშე თავში, რომ დაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა. გავარდა და კარებიდან მომაძახა, მე შენ ამას არ შეგარჩენო. ასე იყო საქმე. ჯერ-ჯერობით, როგორც ხედავ, შემრჩა. არასოდეს გავხსენებივარ, თორემ მართლაც არ შემარჩენდა. და რომ არ გავხსენებივარ, ამისი ბერიას დიდი მადლობელი ვარ.

– როგორ, ბიძია?

– როგორ და ასე. ჩემი ლიტერატურის ორივე ტომი სტალინურ პრემიაზე წარადგინეს აქაურებმა, უფრო სწორად, წარდგენა უნდოდათ. როგორც ჩანს, ესენი ყველაფერს ბერიას უთანხმებდნენ. მასაც ეთქვა: „ესღა გვაკლია ახლა, მღვდელსაც პრემია მივცეთო". ამის შემდეგ წარდგენას ვინ გაბედავდა? ძალიან კარგი მოხდა. რომ წარედგინათ, სტალინი ნახავდა და თავში ჩარტყმასაც გაიხსენებდა, ზოგიერთ სხვა რამესაც, რაც მას არ ესიამოვნებოდა. რა ვიცი, რას მიზამდა!

ამ ჩვენს საუბარს ვახშამი მოჰყვა. კორნელი კარგ გუნებაზე იყო. ერთ ბოთლამდე ღვინოც დალია. სხვადასხვა სასაცილო ამბავს ჰყვებოდა.

უცებ შეჩერდა, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და ეშმაკური ღიმილით მეუბნება:

– იცი, ბიჭო! ამ ხელზე რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზს უკოცნია.

– თქვენ შეხვედრიხართ ერთმანეთს?

– აბა, როგორ მაკოცებდა ხელზე, რომ არ შევხვედროდით? ეს 1912 წელს მოხდა. იმპერატორი თბილისში ჩამოვიდა. ჩვენს სკოლაშიც მოვიდა. დიდი მოწიწებით ხელზე მაკოცა და ქათინაურებიც მოაყოლა:

– ქართველები მამაცი, მეომარი ხალხია. ქრისტიანობაც ჩვენზე ადრე მიიღეთ და ესეც საამაყო უნდა იყოს თქვენთვის. მითხრა, რომ ჩვენი ტახტის დიდად ერთგული ხართ ყველანიო.

ერთგულებაზე რა გითხრათ და ქართველები რომ მამაცები იყვნენ და ქრისტიანობაც რომ რუსებზე ადრე მივიღეთ, ეს კი სიმართლე თქვა. ამ სიმართლისთვის მე ნიკოლოზს პირჯვარიც გადავსახე. შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს არ დამეძინა. საწყალი მამაჩემი გამახსენდა. რას წარმოიდგენდა ის, უბრალო მედავითნე, რომ მის შვილს, ჭადით და ყველით გაზრდილს, ხშირად წულაში წყალიც რომ შესდიოდა, რუსეთის იმპერატორი ხელზე მოწიწებით ემთხვეოდა. ასე იყო ეს საქმე!

კორნელი შეჩერდა, წითელი ღვინით სავსე ჭიქა სიამოვნებით გამოსცალა და გაიგრძო:

– ჰო, მართლა, ერთი ამბავიც გამახსენდა, რაზედაც მთელი თბილისი იცინოდა.

– რა ამბავი, ბიძია?

– ვაგზალზე იმპერატორს ოფიციალურად უნდა დახვედროდნენ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი დათა ნიჟარაძე, თბილისის გუბერნიის წარმომადგენელი კოტე აფხაზი და ქალაქის თავი, სომეხი ხატისოვი. ხატისოვი სულ ცდილობდა თურმე, წინ მოქცეულიყო და პირველი მისალმებოდა იმპერატორს. ნიჟარაძე კი სიბრაზისაგან თურმე გულზე სკდებოდა. ჩამოდგა მატარებელი, გაიღო ვაგონის კარი და ამ დროს ნიჟარაძემ მოულოდნელად ხატისოვს კისერში ჩაავლო ხელი, უკან მოისროლა, წინ აფხაზი დაიყენა, გვერდით თვითონ დაუდგა და ისე მიესალმნენ იმპერატორს. გაოგნებულმა ხატისოვმა მხოლოდ რამდენიმე წინადადების თქმა ძლივს მოახერხა.

– ბიძაჩემო, ყველაფერი ეს რომ დაწეროთ, განა რა არის ამაში საშიში?

– კაცო! შენ თავი გამანებე, ეშმაკივით ნუ შემომიჩნდი! დავწერ, მერე ვიღაც ოხერი წაიკითხავს და ქვეყანას მოსდებს, აი, დეკანოზი კეკელიძე მონარქისტიც ყოფილა, იმპერატორ ნიკოლოზს ფეხზე კოცნიდაო. მე შენ გეტყვი და, თავის მართლების საშუალებას მოგცემენ.

არაფერი გამოვიდა, არ გაჭრა ჩემმა თხოვნამ!

ახლა ერთი შემთხვევაც უნდა გავიხსენო...

ერთ დღეს ქუჩაში ჩემი მამიდაშვილი, პროფ. სოლომონ ყუბანეიშვილი, შემხვდა და ღაწვებანითლებული მეუბნება:

– კაცო! ბიძაშენი კორნელი თურმე სემინარისტობის პერიოდში ლექსებსაც წერდა. ამ ლექსებმა ისეთ კაცთან მიმიყვანა, რომ, თუ ჩვენგან გახმაურდა, დახვრეტა არ აგვცდება.

გაოცებულმა ვკითხე:

– მაინც ვისთან?



კონსტანტინე კეკელიძე, თამარ ბაქრაძე, მიხეილ კეკელიძე
თბილისი, ოქტომბერი, 1979 წელი

მერე გეტყვი, ახლა მეჩქარებაო და წავიდა. ეს მისი ნათქვამი გადამავიწყდა. ჩემს მამიდაშვილს თუმცა ვხვდებოდი, მაგრამ კორნელის ლექსებზე არაფერი მიკითხავს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კორნელი ძალიან დაინტერესებული იყო თავისი გვარის წარმომავლობით. ჩვენ აშოტ კეკელას ჩამომავლები ვართო, იტყოდა ხშირად ხუმრობით. ეძებდა რაღაც საბუთებს. სოლომონ ყუბანეიშვილს (თავის დისწულს) ავალებდა სოფელში მცხოვრები ჩვენი ხანდაზმული ნათესავებისგან ჩაეწერა, რაც კი რამ იცოდნენ ამის შესახებ. ერთი ასეთი კაცი გახლდათ კონსტანტინე (კოწია) კეკელიძე, ბიძაჩემისა და მამაჩემის თანატოლი, ჩვენს ოჯახებთან დაახლოებული ნათესაურადაც და მეგობრულადაც. კოწია კეკელიძეს დიდი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ძალიან კარგი მეხსიერების პატრონი იყო, საინტერესო ამბებსაც ჰყვებოდა. 1905 წელს რევოლუციის დროს წითელიშვილის რაზმში იბრძოდა. თვითონ მისი ხელით ნაწერი „მოგონება“ ჩემთან ინახება, ხოლო მანქანაზე გადაბეჭდილი მონაყოლიც (უეჭველია, ჩაწერილია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თუმცა ხელნაწერი არ ახლავს) ჩემთანაა.

მანქანაზე გადაბეჭდილი ერთი ცალი ამ რამდენიმე წლის წინათ გადმომცა კოტე კეკელიძემ (კორნელის შუათანა ვაჟმა). არსებობს თუ არა ამ „ნაშრომის“ სხვა ეგზემპლარი, მე არ ვიცი.

ახლა გაგაცნობთ კოწია კეკელიძის „ნაშრომის“ იმ ადგილს, რომელიც სოლ. ყუბანეიშვილის ნათქვამს „კორნელი თურმე სემინარიაში ლექსებს წერდაო“, ეხმაურება:

„ქუთაისის სკოლის დამთავრების შემდეგ კორნელი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმ დროს იქ სწავლობდა იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი.

1945 წელს ვარ თბილისში კორნელისთან. კორნელიმ მითხრა, წამოდი ჩემთან უნივერსიტეტში, იქ გაგაცნობ ჩემს ამხანაგებს. მეც წავედი. რომ მივედით ანასტასი-

ევის ქუჩაზე, იქ შეგვხვდა ერთი კაცი. კორნელიმ და იმ კაცმა დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი. უცნობმა უთხრა კორნელის: სოსომ შემოგითვალა, ჩამოდი ჩემთან მოსკოვშიო. კორნელი ამის თქმაზე გაბრაზდა და გულმოსულად უთხრა:

– მაშინ კარგი კორნელი ვიყავი, როცა ჩემი დაწერილი ლექსები თავის სახელით რომ მიართვა ილია ჭავჭავაძეს და ახლა არაფერი არ დავრჩიო: თუ ჩემი ნახვა უნდოდა, მოსკოვში ვიყავი კონფერენციაზე და არ მნახა, გვერდი ამიარა, ეხლაც ალბათ რაიმეს ელის ჩემგან და ამიტომაც მიხმობს, თორემ ისევ ის კორნელი ვარ, როგორიც ვიყავი.

ეს კაცი, რომელმაც კორნელის ამბავი მიუტანა, იყო ხაშურიდან – პეტრე კაპანაძე".

ასეთია ნაამბობი, მაგრამ სინამდვილეში როგორ იყო ლექსების საქმე, ან სახელდობრ რომელ ლექსებზეა ლაპარაკი, ახლა ღმერთიც ვეღარ გაარკვევს.

კორნელის რომელიმე ლექსი მე არ მინახავს, არც მის არქივშია დარჩენილი რაიმე. არსებობს მხოლოდ რუსულად გამოცემული „ლეილ-მაჯნუნიდან" თარგმნილი ერთი სტროფი:

შეაბი ქალსა მახვილი წელზე,
ქალად დარჩება ის სარეცელზე.
თუნდ ძუ ლომივით ჰქონდეს მას ძალი,
მაინც ქალადა შობილა ქალი (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 778. სქოლიოში აღნიშნულია: „ქართული თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის").

1979 წელს, „სკოლა და ცხოვრების" მეათე ნომერში, გამოქვეყნდა ჩემი წერილი „მაღალი ჩინარი, რომელსაც მუხის ფესვები აქვს". გთავაზობთ ამ წერილს შემოკლებით, რადგან ის კორნელი კეკელიძეს ეხება:

„ბიძაჩემთან შეხვედრების დროს ჩემთვის ბევრი რამ იყო დასამახსოვრებელი. საუბრისას დაწვრილებით გამომკითხავდა ხოლმე ოჯახის ამბებს, შემდეგ სხვა საკითხებზედაც გადავიდოდა და, თუკი რამე ვიცოდი, მომაყოლებდა. საქმე ის არის, რომ თვითონ ყოველთვის ვერ ახერხებდა, დასწრებოდა მისთვის საინტერესო შეკრებას ან სხდომას, რომელიც საჯაროდ ტარდებოდა და მწერლობისა და მეცნიერების სფეროს ეხებოდა.

როცა ვეტყოდი, ამა თუ იმ საღამოზე ვიყავი-მეთქი, გახალისდებოდა და მეკითხებოდა: ვინ გამოვიდა, რა თქვა, ვინ ვის შეეკამათა, რა საბუთები მოიყვანა და ა. შ. მეც ძალიან დეტალურად და, შეძლებისამებრ, ობიექტურად გადმოვცემდი მომხსენებელთა და მოპაექრეთა აზრებს. იგი გულისყურით მისმენდა, სიტყვას არ მაწყვეტინებდა, მაგრამ ხანდახან ვერ მოითმენდა, თავს გააქნევდა და ისროდა რეპლიკას: „ეს სრული გაუგებრობაა" ან „ეს სწორია".

ასეთი საუბრების დროს მან რამდენიმე ჭკუის სასწავლი გაკვეთილი მომცა ქართულ ენაში. ორიოდე მაგალითს მოგახსენებთ. ერთხელ მასთან საუბრისას რაღაც ამბავთან დაკავშირებით ვიხმარე გამოთქმა „ფეხოსანი ჯარი". მაშინვე შემაჩერა და მკითხა:

– რა თქვი, ბიჭო?

– ფეხოსანი ჯარი, – ვუპასუხე ოდნავ გაოცებულმა.

– რას ნიშნავს ფეხოსანი ჯარი?

– ჯარს, ფეხით რომ გადაადგილდება, ჯარისკაცი ფეხით რომ დადის.

– მაგას ქვეითი ჯარი ჰქვია. თქვენ რომ დაგიჯეროთ კაცმა, თურმე შეიძლება

ასეც ვთქვათ: ცხვიროსანი, ყუროსანი, მკლავოსანი, მუცლოსანი ჯარი. კარგად დაიმახსოვრე: ქვეითი ჯარი!

მე კი დავიმახსოვრე, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ცნობილი ლიტერატორი, მწერალი ახლაც წერს – „ფეხოსანი ჯარი“.

მეორედ ასეთი შემთხვევა იყო... რალაცას ვყვებოდი და ვთქვი: „სახეზე მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო“. ბიძაჩემმა თვალები მოჭუტა, სახეზე ხელი მოისვა და სიცილით მკითხა:

– ერთი მითხარი, ეგ შენი კაცები რომელ ადგილას არიან მოკალათებული, შუბლზე, ცხვირზე თუ ნიკაპზე? მეორეჯერ ასეთი სისულელე არ გამაგონო!

არც მითქვამს მერე. პრესაში კი ეს მართლაც უაზრო გამოთქმა ახლაც საკმაოდ ხშირად გვხვდება. ასევე ვერ იტანდა გამოთქმას: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან“. დაცინვით იტყოდა ხოლმე:

– მაინც რამდენ კილომეტრზე ბრძანდება მთქმელი „იმ აზრისაგან“, ჰა?

საოცარია, როგორ იკიდებს ფეხს ეს უაზრო კალკები ქართულში.

ამის შემდეგ მასთან საუბრისას ვცდილობდი, ყოველთვის ფრთხილად ვყოფილიყავი. მაგრამ ერთხელ „სამაგიეროს გადახდის“ სურვილი დამებადა მამაჩემისა და მისი საუბრის მოსმენის შემდეგ.

საქმე ასე იყო. საღამოხანს, ნასადილევს, ოთახში ძმები დარჩნენ. მე მოშორებით კუთხეში რომელიღაც ჟურნალს ვათვალიერებდი.

უცებ ბიძაჩემს გულიანად გაეცინა.

– გახსოვს, კაცო, მამაჩვენის გაჯღარკული, ზურგგადატყაული ცხენი?

– კი მახსოვს, მაგრამ შენ რამ გაგახსენა ახლა ის საცოდავი პირუტყვი?

– კაცო! „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვნახე. გავშტერდი, ისე ჰგავდა ჩვენს ცხენს პლატონის ნათხოვარი ცხენი. პეტრე რომ ვიყავი, ბიჭი, მამაჩემი ხურჯინის ერთ თვალში ფქვილს ჩადებდა, მეორეში – სამ წველა ყველს და ერთ დედალს. მე ცხენზე შემსვამდა და გავწევდით ქუთეისისკენ. მარა რაი, ნახევარზე მეტ გზას მეც ფეხით მივდიოდი, ჩვენი ცხენი ძლივს დაჩაქჩაქებდა.

– მასე დავყავდი მეც ცხონებულს.

– ღორჯოებს რომ ვიჭერდით ყუმურში, გახსოვს? ჰმ... მაგაზე გამოჩურჩუტებული თევზი დედამიწაზე არაა. რუსულად მაგას „კარლიკოვი სომ“ ჰქვია.

ათას რამეზე ილაპარაკეს. მოიგონეს „სანყალი“ დათიელე, რომელიც ყალიონს განუწყვეტლივ „აპლაკუნებდა“, ვიღაც „შარვალგამოხეული პეტრულე, რომელსაც ყველაფერი მოუჩანდა“ და მის დანახვაზე ქალები გარბოდნენ. ალადასტურის ღვინოსაც ხოტბა შეასხეს და თანდათან ქვემო იმერულ დიალექტზე გადავიდნენ.

მე რომ არ მცოდნოდა, თუ ვინ იყვნენ ისინი და თვალი დამეხუჭა, ვიფიქრებდი, ორი ხანდაზმული იმერელი გლეხის საუბარს ვისმენ-მეთქი, აი, ნისქვილში რომ შეხვდებიან ერთმანეთს ან ეზოში პატარა სამფეხა სკამებზე თუ ჯორკოებზე სხედან და წარსულს სიყვარულით და თანაც ნაღვლიანად იგონებენ. მაგრამ ეს ასე არ იყო. ერთი ფილოლოგი-აკადემიკოსი გახლდათ, მეორე – საკმაოდ განათლებული მისი ძმა, რომელიც ცხრაასიან წლებში საინტერესო სტატიებს აქვეყნებდა ქართულ გაზეთებში.

ერთი თვის შემდეგ ბიძაჩემთან მოვხვდი. გამახსენდა ძმების საუბარი და ვკითხე:

– ბიძია კორნელი, თქვენ რამდენჯერმე გამისწორეთ ქართული. მართალი ბრძან-

დებოდით, მაგრამ მამაჩემთან საუბრისას თქვენ სანახევროდ იმერულად უქცევდით, ზოგიერთი სიტყვა შეცდომით თქვით.

გაელიმა, ულვაში მოიწინწკნა და მიპასუხა:

– ჩემი და შენი შეცდომები ერთნაირი არაა. მე შეცდომები კი არ მომდიოდა, არამედ ისე ვლაპარაკობდი, როგორც ყმაწვილობაში შევითვისე. ბავშვობაში დაბრუნება მენატრება ხანდახან, ძალიან მენატრება და ვბრუნდები კიდეც, როცა მამაშენთან მარტო ვრჩები, თორემ შენზე ნაკლებ როდი ვიცი (ამ სიტყვების თქმისას ირიბად შემომხედა), რომ „პატარა“ და „ქუთაისი“ უნდა ითქვას და დაიწეროს. ჩემი ხნისა რომ გახდები, მაშინ გაიგებ, რა სანატრელია ბავშვობის დაბრუნება!

ხმა არ ამომიღია. გაოცებული შევცქეროდი მის დიდ, ნათელ შუბლს და გულში ვიმეორებდი: „ბავშვობაში დაბრუნება მენატრება, ძალიან მენატრება!“

ალბათ ასეა საერთოდ. მზის ჩასვლის წინ ყველანი ნატრობენ ბავშვობაში დაბრუნებას და იმ სოფელს თუ ქალაქს, სადაც პირველად თვალი აახილეს და ცა დაინახეს.

ბიძაჩემს უყვარდა სიტყვების ეტიმოლოგიურად გაშიფრვა. თუ ვკითხავდი რაიმეს, პასუხს არ დაიზარებდა. ორიოდე მაგალითს გავიხსენებ:

მისი მშობლიური სოფლის, ტობანიერის, ერთ უბანს ადგილობრივი მცხოვრებლები „კინტოულას“ ეძახდნენ და ახლაც ეძახიან. ბავშვობიდანვე მიკვირდა, რა კავშირი უნდა ჰქონოდა „კინტოს“ ამ კუთხესთან?

როცა ვკითხე ამ სიტყვის მნიშვნელობა, ბიძაჩემმა ასე განმარტა იგი:

– „კინტო“ აქ არაფერ შუაშია. ამ ადგილის ნამდვილი სახელწოდებაა „კინწოულა“ და არა „კინტოულა“. „კინწოულა“ კინწიდან მოდის და მაღალ ადგილს ნიშნავს. კინწი კისრის სინონიმია. ადამიანის სხეულზე „თავის“ შემდეგ „კინწი“ ყველაზე მაღლაა. ჩვენმა წინაპრებმა ალბათ რაღაც ასეთი გააზრება დაუდეს საფუძვლად ამ სიტყვას.

ეს მართლაც ასეა. სოფლის ეს უბანი მთაზეა შეფენილი. ხაშურში ჩემს მამიდაშვილთან ყოფნის დროს კი ბიძაჩემმა ამ ადგილის სახელწოდების შესახებ თქვა, რომ მისი პირვანდელი სახელი „ხაშმური“ უნდა იყოსო (სიტყვა „ხაშმიდან“ – ჭაობიანი, ციებ-ცხელებიანი ადგილი).

როცა ბიძაჩემი კარგ გუნებაზე იყო, ხანდახან შევაპარებდი კითხვას, თუ რა აზრისა იყო ამა თუ იმ მეცნიერზე. ზოგჯერ ისე შევაქებდი რომელიმეს, რომ ცამდე ავიყვანდი, ზოგს კი განგებ დავაკნინებდი. მინდოდა, ცოტათი გამეღიზიანებინა კიდეც. ამას მაშინვე ხვდებოდა, რა მიზნითაც ჩავდიოდი და გაბრაზების ნაცვლად ჩაიცინებდა. ზოგჯერ სიტყვას ბანზე ამიგდებდა, სულ არაფერს მეტყოდა, ზოგჯერაც გულს გახსნიდა და ბრძანებდა:

– უდიდესი მეცნიერია ნიკო მარი. პრობლემების ისეთი გამოწვლილვითი და ღრმად შესწავლა, როგორიც მისთვის იყო დამახასიათებელი, მისაბაძია. მარის კაპრიზები, ზოგჯერ ახირებული ჯიუტობა და ადამიანური შეცდომები ვერასოდეს დაჩრდილავს მის განუზომელ დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. ძალიან დიდი მეცნიერია ივანე ჯავახიშვილი, პირდაპირ საოცარია ის კოლოსალური ერუდიცია, რომელიც მას აქვს. ქართული ისტორიული მეცნიერება მის ბეჭებზეა დაყრდნობილი. ასევე უნდა ითქვას აკაკის შესახებაც (აკადემიკოს აკაკი შანიძეს გულისხმობდა). იგი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი დედაბოძია. მართალია, ამ ბოლო დროს



კორნელი კეკელიძე ნათესავებთან.
ტობანიერი, ივლისი, 1934 წელი

ჩემს ანტონს კბილი მაგრად გაჰკრა, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობას ხელს არ უშლის. ანტონი მაინც დიდ ანტონად რჩება (გულისხმობდა XVIII საუკუნის უდიდეს მოღვაწეს, ანტონ კათოლიკოსს).

– ბიძია კორნელი, თქვენი აზრი ამ მეცნიერებზე აქამდეც ვიცოდი. მე სხვები უფრო მაინტერესებს.

– შენ შემოჩენილი ხომ არა ხარ? არა მკითხო აწი არაფერი! ყველა კარგი მეცნიერია, ვინც მეცნიერებას პატიოსნად და გულწრფელად ემსახურება.

დიდი პატივისცემით ახსენებდა ყოველთვის მოსე ჯანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიასა და კალისტრატე ცინცაძის (საქართველოს კათოლიკოსის) სახელებს.

მწერლებიდან (რუსთაველზე არაფერს მოგახსენებთ, ეს თავისთავად იგულისხმება) მისთვის პირდაპირ ღმერთებს წარმოადგენდნენ ილია და აკაკი, უსაზღვროდ აფასებდა დავით გურამიშვილს, ვაჟას და დავით კლდიაშვილს. ამ უკანაკნელის „სამანიშვილის დედინაცვალს" უბრწყინვალეს კლასიკურ ნაწარმოებად მიიჩნევდა. ძალიან გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესთან. იგი, ტიციან ტაბიძეც ჩვენი ოჯახის ნათესავები იყვნენ. ვიდრე გალაკტიონთან მისი შეხვედრის ერთ ეპიზოდს მოვიგონებდე, ისევ აკაკიზე უნდა მოგახსენოთ. ვიღაცის წერილი წაეკითხა აკაკიზე, არ მოსწონებოდა და საშინლად გაჯავრებული იყო. ალბათ ამის გამო იყო, რომ ჩემთან „გული მოიფხანა" და თქვა:

– აკაკი წერეთელი საოცარი მოვლენაა. მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგულება სხვა პოეტი, რომელიც ერის სულსა და გულში ისე შეჭრილიყოს, როგორც აკაკი, ისე გულში ჩამწვდომად გამოეხატოს ქართველი ხალხის ტკივილები, სიხარული

და მისწრაფებანი, როგორც გამოთქვა აკაკიმ. ნამდვილად ეროვნული პოეტია. წარმოუდგენლად ნათელია მისი პოეზია. ამ კაშკაშა სინათლემ ისე დააბრმავა ზოგიერთი მისი შემფასებელი კრიტიკოსი, რომ მოლიპულ გზაზე დააყენა. ამიტომ ყველას, ვინც აკაკის შემოქმედებაზე წერას დაიწყებს, ვურჩევ, წინასწარ რამდენჯერმე წაიკითხოს ქართველი ერის საამაყო შვილის, იაკობ გოგებაშვილის, სტატია „იალბუზი ქართული პოეზიისა“, განსაკუთრებით, მისი დასაწყისი.

ბიძაჩემის, კორნელი კეკელიძის, აზრის ნათელსაყოფად მკითხველს შევახსენებ ამ სტატიის დასაწყისს. იაკობი წერს:

„წარმოიდგინეთ მაღალი მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუსიკალური შხუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა. მასში მშვენივრად იხატება ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავის სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიმჭირვალეს, მოტყუებაში შეჰყავხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია, მაგრამ აი, ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი და მან ძირის ნახევრობამდისაც ვერ უწია. ეს ზღვა თხელი გეჩვენებათ... იმიტომ, რომ საარაკო კამკამი გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის ბავშვიც და ეს უფრო გატყუებს“.

საბედნიეროდ, ასეთი „მოტყუებულნი“ ძველადაც და ახლაც მხოლოდ თითოროლა იყო, მაგრამ მათი სახელის გაგონებაც არ სურდა ბიძაჩემს, რაოდენ დიდი დამსახურებაც ჰქონოდათ სხვა დარგში.

ორიოდე სიტყვა გალაკტიონისა და კორნელის შეხვედრაზე...

ერთხელ, ახალი წლის მეორე თუ მესამე დღეს, მისალოცად მივედი ბიძაჩემთან. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. ბიცოლაჩემმა, მინადორა კასრაძემ, მითხრა, კორნელი კაბინეტშია, არ გაჯავრდება, შედიო (არ უყვარდა, როცა მუშაობას ვინმე შეაწყვეტინებდა). შევედი კაბინეტში. დიდ საწერ მაგიდასთან ტყავგადაკრულ სკამზე იჯდა. ბეჭებზე თავშალი ჰქონდა მოხურული. მაგიდაზე რაღაც წიგნი ჰქონდა გაშლილი და კითხულობდა. დაკვირვებით შემომხედა. როცა მივუახლოვდი, ხელები გაასავსავა და შემომძახა:

– არ მომეკარო, არ მაკოცო! მოლოცვისთვის მადლობელი ვარ.

პირველად ვიფიქრე, ალბათ გრიპი აქვს და მე მიფრთხილდება-მეთქი. შორიდან ხელი გამართულად გამომიწოდა და მითხრა, დაჯექიო. დავჯექი და ვკითხე:

– ბიძია, გაცივდით, გრიპი გაქვთ?

– გრიპზე უარესი მაქვს, გრიპზე უარესი!

ქათქათა ცხვირსახოცით შუბლსა და ლოყებს იწმენდდა. მთლად კარგ გუნებაზე არ იყო. შეკითხვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაძლევდა, მაგრამ, როცა ქალაქში მოარული ორი უმტკივნეულო ჭორი, ჩემგან კიდევ უფრო გაბერილი, მის კაბინეტში დავახეთქე, იცოცხლეთ, იმან ჩემზე გული მოიბრუნა და კითხვა-კითხვაზე დამაყარა.

– რა უთქვამს, ბიჭო, რაო? უყურე ერთი შენ, რას არ მოიგონებს ეს მოცლილი ხალხი! მერე, მერე?

მერე მეც ვკითხე, საახალწლო მილოცვის ცერემონიალი რატომ ჩამიშალეთ-მეთქი.



კორნელი კეკელიძე და მინადორა კასრაძე

გაიცინა.

– კაცო! სწორედ შენს მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე წავიდა აქედან გალაკტიონი. ადრე მესტუმრა, დიდხანს იჯდა ჩემთან. მკოცნა და მლოშნა, მეფერებოდა, ბეჭებზე ხელებს მხვევდა და ისევ მკოცნიდა. დამახრჩო ხაშისა და არყის სუნმა.

მათი საუბარი, ბიძაჩემის თქმით, დიალოგის სახით თუ წარმოვიდგენთ, ასეთი ყოფილა:

გალაკტიონი: ახალ წელს გილოცავ, კორნელი, მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად იყავი.

კორნელი: შენც მრავალს დაესწარი, ჩემო გალაკტიონ, ჩვენი ერის გასახარად.

გალაკტიონი: მაგარი ხარ, კორნელი, მაგარი! მეც მაგარი ვარ! ჩვენ, ტობანიერელები, მაგრები ვართ! ჩვენ იოლად ხელს ვერ წამოგვკრავს ვინმე.

კორნელი: (ვითომ ვერ მიხვდა, რა „სიმაგრეზე" ლაპარაკობდა დიდი პოეტი). მაგარი და ყოჩაღი შენა ხარ, გალაკტიონ! ჩემთან შედარებით ახალგაზრდა ხარ. მე კი სიბერე ძალიან მომერია. ხომ გახსოვს რუსთაველის სიტყვები: სიბერე მჭირს, ყველა ჭირზე უარესი.

გალაკტიონი: (ღიმილით) ჩემო კორნელი, სიბერეც რომ იყოს, ვერაფერს დაგვაკლებს. ჩვენ ტანმაღალი ჩინარები ვართ, ფესვები კი ჯმუხი მუხისა გვაქვს, შორიდან კარგად ვჩანვართ, ძალიან კარგად. ჩინარები კი ჩვენს სოფელში მართლაც მაღლები და ლამაზებია (კორნელის სიტყვით, ამის შემდეგ თვალებგაბრწყინებულმა გალაკტიონმა წარმოთქვა ტობანიერისადმი მიძღვნილი უსათაურო ლექსი, როელიც ასე იწყება: „ტობანიერის ჩინარები ისევ შრიალებენ". აქ უნდა შევნიშნო, რომ გალაკტიონს ტობანიერი თავის მშობლების სოფლად მიაჩნდა. აქ იყო გამოთხოვილი მისი მამიდა,

რომლის ოჯახშიც ხშირად იმყოფებოდა. ტობანიერი უნდა გაევლო მას, თავის დედის სოფელ ყუმურში რომ მისულიყო).

ამ საუბრის დროს კორნელის მეუღლეს კაბინეტში შეაქვს გოზინაყი, ტკბილეულობა, ხილი და კონიაკი. გალაკტიონს მხოლოდ ერთი ნაჭერი გოზინაყი აუღია, ამდგარა და კიდევ უთქვამს:

– ასე ტკბილად დამიბერდი, ჩემო კორნელი! ახლა მე შენი ნახვის მეტი არაფერი მინდოდა. კორნელი, მე ხვალ დილით შემოგივლი აქ, წამომყევი. მეტეხის ხიდთან საუკეთესო ხაშს აკეთებენ. მოდი, ხაშზე დავლოცოთ ერთმანეთი. აუცილებლივ შემოგივლი და წაგიყვან!

შემკრთალი კორნელი რაც შეიძლება მტკიცედ უპასუხებს:

– აჰ, არა, გალაკტიონ! ავადა ვარ, ხაში მწყენს, შენ მიირთვი. ღმერთმა შეგარგოს!

– არა! აუცილებლივ შემოგივლი, ხაში ძალიან კარგია!

კიდევ დაუკოცნია კორნელი და ისე წასულა, რომ ერთი ჭიქა არაფერი დაულევია. ბიძაჩემი ხელებს შლიდა და მეუბნებოდა:

– რა ვქნა ახლა, ხვალ თუ მომადგა კარზე? უნდა დავემალო, მეტი გზა არა მაქვს! ისე საინტერესო კი იქნებოდა, მე და გალაკტიონი სადღაც სამიკიტნოში ხაშს ვჭამთ და არყიან ჭიქებს ერთმანეთს ვუჭახუნებთ. არ გადავრევდით ხალხს?

შეჩერდა და გაიცინა. მერე დაუმატა:

– თუ ხვალ მეწვია, დიდხანს ჩამაცივდება, ხაშზე წამოდიო. იცის ასეთი ახირება. უმჯობესია, დავემალო.

მაგრამ დამალვა არ დასჭირვებია. მეორე დღეს გალაკტიონი არ მისულა.

ბიძაჩემი გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ვნახე. მანამდე ორი-სამი თვე იავადმყოფა. კაბინეტში ჰქონდა გაშლილი ლოგინი. ბალიშზე მიყრდნობილი იწვა. ცუდ გუნებაზე არ ყოფილა. შედარებით კარგად გამოიყურებოდა, რაღაც-რაღაცები მკითხა. მერე იქვე მყოფ ეკატერინე კეკელიძეს (ოჯახის ახლობელსა და ძალიან სიმპათიურ ადამიანს) უთხრა:

– ეკა! პორტფელში აკაკი შანიძის მიერ მოტანილი წიგნი ჩადევი (აკაკი შანიძეს, მგონი, სომხეთიდან ჩამოეტანა ეს წიგნი, ანბანის წარმოშობას ეხებოდა). არ დაგავიწყდეს, ფანქრებს წვერი წაუთალე. „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნიც“ ჩადევი პორტფელში. ორივეს კრწანისში წავიკითხავ. შემდეგ მე მითხრა: ვნახოთ, აბა, როგორი რომანი დაწერე! ტყავს გაგაძრობ, თუ არ მომეწონა.

მხრები ავიჩეჩე, არ ვიცი, როგორია-მეთქი.

იმედი ჰქონდა, რომ ორ-სამ დღეში კრწანისში გადავიდოდა და ზაფხულს იქ გაატარებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. სულ უფრო და უფრო ცუდად შეიქნა, მკურნალობა აღარ შველოდა. 1962 წლის 7 ივნისს, საღამოს თერთმეტის ნახევარზე, მისი გულისფეთქვა სამუდამოდ შეწყდა.

ეზოში და ეზოს გარეთ გაგონილი

ეს ეზო (ივანე ჯავახიშვილის №1. ახლა მიხეილ ზანდუკელის სახელი მიეკუთვნა) რედაქციების, პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის საერთო ეზოა. იგი პირველ ხანებში კარგად იყო მოვლილი, მწვანე ნარგავებით და ყვავილე-



სიმონ სხირტლაძე და მიხეილ კეკელიძე
თბილისი, თებერვალი, 1958 წელი

ბით დამშვენებული. ერთ კუთხეში ძელსკამები იდგა და იქ უყვარდა ყველას ჩამოჯდომა და ათას რამეზე ლაპარაკი. თუ კარგი ამინდი იდგა, იქ მსხდომთ ყოველთის დაინახავდით დილიდან საღამომდე. მიდიოდა ერთი ჯგუფი, მაგრამ მას მალე ცვლიდა მეორე. ამ დაწესებულებათა თანამშრომლებს ყველას ახლოს ვიცნობდი, ბევრთან მეგობრულადაც ვიყავი. მეც ძალიან მიყვარდა იქ ჯდომა, ხან მარტო მოსმენა, ხანაც ცხარე კამათ-საუბარში ჩაბმა. იმ ადგილს, სადაც ვიკრიბებოდით, ზოგი ღიმილით „აკადემიას“ ეძახდა, ზოგიც „ასოშაიტედ პრესის სააგენტოს“, რადგან აქ ყოველგვარი ახალი ამბის გაგება შეიძლებოდა. რას არ გაიგონებდით აქ? ანეგდოტებს, ქალაქში მოარულ ჭორებს, კურიოზულ შემთხვევებს, ზოგჯერ წარსული პოლიტიკური ცხოვრების საშინელებას, რომელიც აღშფოთებას ინვევდა და მზად იყავი აფეთქებისათვის, მაგრამ თავს იკავებდი. საქმე ის იყო, რომ ზოგჯერ მთქმელი თვით იყო ამ საშინელი ამბის ჩამდენი და მოურიდებლად ჰყვებოდა თავის „საგმირო“ საქმეს. მოკლედ, საინტერესო საუბრები გვქონდა და ახლაც გრძელდება, მხოლოდ ძველი თაობა ახალმა შეცვალა. ზოგიერთ ეპიზოდს გავიხსენებ.

ზაფხულის მზიანი დილაა. ამ დაწესებულებათა თანამშრომლები ადრე მოსულან. სხედან ძელსკამებზე დოცენტი ვარლამ ქაჯაია, გივი ნიორაძე, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე, სიმონ სხირტლაძე (იგი მაშინ ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდა), ვალერიან მაჩაიძე. იქვე დგანან სხვებიც. დგას დოცენტი ემელიან გიორგაძეც (იგი ინსტიტუტში მუშაობდა). ძალიან კარგი, პატრიოტი კაცი, პირში მთქმელი. მეც მივუახლოვდი მათ. დავით ლორთქიფანიძე პათოსით ლაპარაკობს:

– დიდი უბედურება გვეწვია, ძმებო! სტალინი დავკარგეთ, მაგრამ სამაგიეროდ ცოცხალი გვყავს ქართველი ხალხის საამაყო შვილი ბერია, დიდი სახელმწიფო მოღვაწე!

ამ სიტყვებზე ემელიან გიორგაძემ ბრაზიანად გადააფურთხა და სწრაფად გაგვშორდა. გავიდა დრო. ბერია დაიჭირეს და მოსპეს. ცნობა ამის შესახებ პრესაში უკვე გამოქვეყნდა. ყველანი ამ ფაქტის შესახებ ლაპარაკობენ. ერთხელაც ძელსკამებზე

თითქმის იგივე შემადგენლობა ზის, ზევით რომ ვახსენე. იქ ვარ მეც და ემელიან გიორგაძეც. ბატონი დავითი ლაპარაკობს გაცხარებით:

– ხომ ვამბობდი, ძმაო, მე, ბერია ჟანდარმი და ჯალათია-მეთქი. ხომ დადასტურდა ახლა ეს ყველაფერი?

გიორგაძეც და ლორთქიფანიძეც ვანის რაიონიდან არიან. ემელიანე არ ეპუება თანამდებობით უფროს დავითს (ინსტიტუტის დირექტორი იყო) და პირში ახლის:

– დათიკო, კაცმა რამე უნდა დაგიჯეროს შენ?

– რა გინდა, ჩემო ძმაო, რას მეჩხუბები, რა გაწყენინე?

– შენ არ ამბობდი, ბერია ქართველი ხალხის საამაყო შვილიაო?

– არა, ძმაო, მე ეგ არ მითქვამს! მე ყოველთვის ვამბობდი, რომ იგი დაუნდობელი ჟანდარმია.

– აი, ეს ხალხია მოწმე, რომ ამბობდი!

– არა, ძმაო, მე ეგ არასოდეს მითქვამს.

უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. წამოდგა დავითი და კიბეს აუყვა თავის კაბინეტისაკენ. ემელიან გიორგაძე კი ბობოქრობდა:

– ა, ელაპარაკე ახლა ამისთანა ორპირ კაცს! არც სტალინს და არც ბერიას ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანია. ეგ კი მაგათზე ლოცულობდა. ახლა თავის ხატებს აფურთხებს და თავი კარგ კაცად მიაჩნია.

მალე ამ თემაზე ლაპარაკი სხვა ამბებმა შეცვალეს. ზევით ვახსენე, რომ ზოგჯერ კურიოზულ შემთხვევებსაც იგონებდნენ და გულიანად იცინოდნენ. ერთხელ ძელსკამზე ვსხედვართ მე, ვარლამ ქაჯაია და ემელიან გოგინავა, რომელიც კარგა ხანს პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, ბოლოს კი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. ფაქიზად ჩაცმა უყვარდა. ნატრობდა თავისუფლებას და საქართველოსთვის თავდადებული იყო. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ერთი ჩვენი მეზობელი ერისადმი მწარე სიტყვებიც ხშირად წარმოუთქვამს, მათგან ღალატი ყოველთვის მოსალოდნელიაო.

ვარლამი ემელიანეს ეუბნება:

– ამ საღამოს ვახშამზე დაგპატიჟებ, ოღონდ მოყევი, რაც გორში დაგემართა.

გოგინავას გაეცინა.

– მე თვითონ დაგპატიჟებ, მხოლოდ მაგას ნუ მომაყოლებ.

ქაჯაია არ გაჩერებულა და ასეთი რამ მომიყვა. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთი სტუდენტის მშობლებმა რამდენიმე ლექტორი დაგვპატიჟეს. წავედით, ეს ჩვენი ძმაც იქა ბრძანდებოდა, ახალ კოსტიუმში გამონკებილი. თამადად ავირჩიეთ. გაახურა ემელიანემ სადღეგრძელოები საქართველოზე, ქართველ ხალხზე, ქართველ სტუდენტებზე. ოჯახის უფროსი სუფრაზე არ იყო, ცოტა გვიან შემოგვიერთდა. მისი შემოსვლა ემელიანემ ჩაის ჭიქით აღნიშნა.

– მეგობრებო, დღეს ჩვენ ვიმყოფებით ძირძველ ქართულ ოჯახში, რომელსაც არ დაუკარგავს ჩვენი დიდებული ტრადიციები, სტუმარ-მასპინძლობის მადლი და ლაზათი. ოჯახის უფროსო, შენ გენაცვალე მაგ ქართულ ულვაშებში, შენ გენაცვალე მაგ არწივისებურ ქართულ გამოხედვაში!

შეჩერდა ემელიანე. ახლა გაახსენდა, რომ ოჯახის უფროსისთვის სახელი არ უკითხავს.

– მასპინძელო, თუ შეიძლება თქვენი სახელი მიბოძეთ!

მასპინძელი ჩია კაცი იყო. არც დაგრეხილი ულვაშები ჰქონდა და არც არწივისებური გამოხედვა. რაღაც დაბნეული ჩანს და ძლივს ლუღლუღებს:

– ერვანდ ტერ-გრიგორიანც.

ემელიანე დაიბნა. სკამზე დაჯდა და გულზე ხელი იტაცა.

– შეტევა მაქვს! ჰაერი არ მყოფნის!

შეეშინდათ. აივანზე გავიყვანეთ და იქ გვიჩურჩულა:

– არაფერი მტკივა, ოღონდ აქედან მალე წამიყვანეთ.

ჩვენ რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ ვთქვით და წამოვედით. ემელიანე გზაში გვაგინებდა, თქვე ოხრებო, რამდენი ქართული სადღეგრძელო გამაფუჭებინეთო.

უბედურად დაიღუპა ემელიან გოგინავა, შედარებით ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი. გორში სალამოს მუცლის არეში ტკივილი ეგრძნო სტუდენტების გამოცდის დროს. გამოცდა არ მიუტოვებია, უფიქრია, ყველას გამოვცდი და მერე წავალ თბილისშიო. მატარებელმა გაასწრო, ის ღამე გორში დარჩა და აი, აქ გაუსკდა ბრმა ნაწლავი. თბილისში ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ უკვე გვიან იყო, პერიტონიტი დაემართა. ოპერაციის შემდეგ 10–12 დღე იცოცხლა. მე და გივი ნიორაძემ ნაოპერაციევი ვნახეთ. ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. მაჯაში ხელი ჩამავლო და სუსტი ხმით გვითხრა:

– ბიჭებო, როგორ მენანება თქვენთან განშორება!

დერეფანში ექიმი თინა ქუთელია ვნახე (პროფ. მ. კანკავას მეუღლე). ჩემი და და ის სამედიცინო ინსტიტუტში ერთად სწავლობდნენ. იმ დროიდან ვიცნობდი. ვკითხე, რამე იმედი არის თუ არა გადარჩენისა. გვიპასუხა: მხოლოდ სასწაულს შეუძლია მისი გადარჩენაო. სასწაული კი არ მომხდარა.

გზაში გივი ნიორაძე მეუბნება:

– გასაოცარია, წარმოუდგენელია, რომ ჩვენს დროში კაცი აპენდიციტით მოკვდეს!

და აი, ნახეთ ბედისწერა: თვითონ გივი ნიორაძეც ზუსტად აპენდიციტმა იმსხვერპლა.

ახლა რასაც მოგიყვებით, დავით გურამიშვილისა არ იყოს, ამ ამბის მოყოლისას ყოველთვის „ტანში მზარავს“. ერთხელ, ნაშუადღევს, შეჩვეულ ძელსკამზე ვზივარ მარტო. აღმართზე მოდის ერთი ჩემი ნაცნობი უჩაძე. მე მას კარგა ხანია ვიცნობ, ჩემთან შინაურულად არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წერილის დაბეჭდვაში დავეხმარე და ვახშამზეც წავყევი რესტორანში. კიდევ მოიტანა რაღაც სტატია. უჩაძემ დამინახა, მომიახლოვდა, მომესალმა და ჩემ გვერდით ჩამოჯდა. მოვიკითხეთ ერთმანეთის ჯანმრთელობა. მკითხა, ჩემი მეორე წერილის საქმე როგორ არისო. დაიბეჭდება-მეთქი, ვუპასუხე. ამ დროს ეზოში გაიარა ძალიან ლამაზმა ქალიშვილმა. ღიმილით ვთქვი, ნეტავი მაგის ბედნიერ ქმარს-მეთქი, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია: „ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი“. ავყევით-დავყევით რაღაც ამ თემაზე და მეუბნება:

– ლამაზი ქალი ბევრია ქვეყანაზე, მაგრამ მე რომ სამტრედიაში ერთ ქალს ვიცნობდი, იმის მსგავსი არსად შემხვედრია.

– მზეთუნახავი, არა?

– ჰო, მზეთუნახავი. ჯიშიანი იყო, თავადის გვარისა. ქმარი და ორი მცირეწლოვანი გოგო-ბიჭი ჰყავდა. ჩამივარდა ეს ქალი გულში, მაგრამ ვერსაიდან ვერ მივუდექი.

როგორც იქნა, ბოლოს მომეცა ამისი საშუალება. სამტრედიაში სამეულის უფროსად დამნიშნეს. ეს 1924 წელს იყო. ხომ იცი, რაა სამეული? მისი გადაწყვეტილებით იხვრიტებოდა ხალხი.

– მერე?

– მერე გავქაჩე იმ ქალის ქმარი.

– რა დანაშაული ჰქონდა?

– ფეხებზე არ მეკიდა მისი დანაშაული? მე მისი ცოლი მაინტერესებდა. ჩვენს ხელში ვინც მოხვდებოდა, იმას სიცოცხლე არ ეწერა. ეს ყველამ იცოდა. ერთ საღამოს ჩემი ნახვა ისურვა იმ ქალმა. გაფითრებული იყო. დაეცა მუხლებზე და მეუბნება:

– ბატონო გერონტი! ჩემი ქმარი უდანაშაულოა, მთავრობის საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი მოუმოქმედია. ნუ დაგვღუპავთ, ნუ დააობლებთ ბავშვებს.

მე ვუყურებ მას, ერთი სული მაქვს, როდის მოვხვიო წელზე ხელი და ტახტზე წავაწვინო, მაგრამ თავი შევიკავე, ვაითუ კივილი ატეხოს. ვუთხარი, სამეული გაარჩევს მის საქმეს და შეიძლება, იქ დაგეხმარო. ერთი დღის შემდეგ შემოიარეთ-მეთქი. მოვიდა, ისევ მეხვეწება, არ დაგვღუპო, ჩემი ქმარი უდანაშაულოაო. დავიბარე კიდევ ღამით. ვუთხარი: სამეულმა შენს ქმარს დახვრეტა მიუსაჯა. შესაძლოა, მე იგი გადავრჩინო. ამის თქმაზე მორთო ტირილი, წაუვიდა გული და ტახტზე გადაესვენა. ამ მომენტით ვისარგებლე და, რაღა ბევრი გავაგრძელო, ვიხმარე ის ქალი.

ვუსმენ ამ გათახსირებულის ლაპარაკს და ტანში მბურძგლავს.

– მერე რა ქენი, გადაარჩინე ის კაცი? – ძლივს ამოვილულღლულე.

– ერთი შენც, მოგცლია! მისი ქმარი დავაპატიმრეთ თუ არა, მეორე დღეს დავხვრიტეთ. სია მეოთხე დღეს გამოვაკარით.

– ქალი ისევ დადიოდა შენთან?

– აღარ, დახვრეტილთა სიაში რომ ამოეკითხა ქმრის გვარი, იმ ღამესვე თავი ჩამოეხრჩო.

მთელი უბედურება და საშინელება მარტო ის საზიზღრობა კი არ არის, რაც ამ პირუტყვმა ჩაიდინა, არამედ ცინიზმი, უდარდელობა, სიცილ-ქირქილი, რომლითაც ეს ამბავი მომიყვა.

მე ქრისტიანი ვარ, ვიზიარებ ქრისტეს მოძღვრებას, შეიძლება, ეკლესიური არ ვარ, რიტუალებს ვერ ვიცავ, მაგრამ მაქვს მოყვასის სიყვარული, მიტევების უნარიც, მაგრამ ასეთ მხეცს მე არასოდეს არაფერს ვაპატიებდი. არის შეცოდებანი, რომელთა პატიება არ შეიძლება. ახლაც ცუდი ფიქრები დამიტრიალდა თავში. ბოლოს ძალა მოვიკრიბე და წამოვდექი, ვერ ვარ რაღაც კარგად-მეთქი, ვუთხარი და გავეცალე. მართლა ცუდად გავხდი, მეგონა, წამაღებინებდა...

ერთხელ ამ ჩვენს „სააგენტოში" ექიმი სერგო ჯაჯანიძე შემხვდა. იგი ჩემს დასთან ერთად სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში. ჩემი დისა და მისი ქმრის, ქირურგ დავით ღვინეფაძის, ოჯახში ხშირად დადიოდა. ყველანი გულს ვიფხანდით „კომუნიზმის მშენებლების" გინებით და საქართველოს ბედზე ვმსჯელობდით. აი, ამ დროიდან ვიცნობდი მას. გავაბით ლაპარაკი ათას რამეზე. ამ დროს ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან გამოვიდა ბ-ა. მის დანახვაზე ჯაჯანიძემ ფერი დაკარგა და ჩუმად მკითხა:

– ეს ვაჟბატონი აქ მუშაობს?

დიახ-მეთქი, ვუპასუხე.



მიხეილ კეკელიძე

– იცი, მაგან რა გვიყო? საზღვარგარეთ გაქცევა დავაპირეთ რამდენიმე ახალგაზრდამ. ეგეც ჩვენთან იყო. ყველაფერი მზად გვქონდა. საზღვარზე გადასასვლელად რომ მივედით, მოულოდნელად თავს დაგვეხსნენ და დაგვიჭირეს. ჩანდა, გაცემული ვიყავით. ჩვენ სამ-სამი წელი მოგვცეს. მაგისთვის კი ხელი არ უხლიათ. არც ერთ ჩვენთაგანს ეჭვი არ შეპარვია, რომ მისი წყალობით ჩავცივდით.

არ მიკითხავს, რომელ წელს იყო ეს.

ასეთი საუბარიც მომისმენია. ჩემს მეგობარ ლადოსთან ერთად მივდივარ რუსთაველის პროსპექტზე. უცებ ის შეჩერდა და სიხარულით წამოიძახა:

– ღმერთო ჩემო, ამას ვის ვხედავ!

ჩვენ წინ გამოჩნდა შუახანს გადაცილებული კაცი. ლადო მივიდა მასთან, გადაეხვია და აღელვებით ეკითხება:

– ცოცხალი ხარ, ვიქტორ? კარგად ხარ?

– ცოცხალი ვარ, ისედაც არა მიშავს-რა.

ლადო და ვიქტორი ადრე თურმე ერთ ინსტიტუტში მუშაობდნენ. ვიქტორი პარტიის აქტიური წევრი იყო, „ბელადებზე“ ლოცულობდა, მაგრამ არ უშველა, ტროცკისტობა დააბრალეს და ათი წლით გადაასახლეს.

ვიქტორის თქმით, მას მაგრად სცემეს, სულ დაალილავეს და შემდეგ უთხრეს:

– რაც მეტს დაასახელებ შენს თანამოაზრეებს, სასჯელი შეგიმსუბუქდება, თუ არა, დახვრეტა არ აგცდება.

ვიქტორს ჩამოუწერია ოცამდე კაცი, ბრალიანიც და უბრალოც, ნაცნობიც და ზოგი უცნობიც, რომელთა გვარიც გახსენებია.

– მერე რა უყვეს იმათ? – ეკითხება ლადო.

– აბა, რა ვიცი? იქნებ ყველა დაიჭირეს, ზოგი შეიძლება დახვრიტეს კიდეც.

– მერე, რას ერჩოდი იმათ, შე კაი კაცო? ისინი ხომ არაფერ შუაში იყვნენ?

– ამით თავი გადავირჩინე. შენც შემთხვევით გადამირჩი.

ამის თქმაზე ვიქტორს გაეცინა.

– როგორ? – ეკითხება აღელვებული ლადო.

– თვალწინ მედექი, მაგრამ შენი გვარი ვერ გავიხსენე, თორემ შენც ჩემ გვერდით იქნებოდი, ბედი გქონია.

ვიქტორს ისევ გაეცინა.

ლადოს ტუჩები აუცახცახდა, ცივად გამოემშვიდობა მას და გზას გაუდექით. ლადო კახელი იყო, მაგრად შეიგინა და თქვა:

– მე კი როგორ მეცოდებოდა ეგ ვირიშვილი! რამდენი ხალხი დაუღუპავს მაგ ძაღლს, ოღონდ თავისი ბინძური სიცოცხლე გადაერჩინა!

არაფერი მითქვამს. ჩემთვის ვფიქრობდი: განა მიზანი ამართლებს ყოველგვარ საშუალებას? სიცოცხლის გადარჩენის ან სასჯელის შემსუბუქების მიზნით სხვების დალუპვა? რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს ამას?

და ერთიც. მე ძალიან გამაოცა, რა გულახდილად, ცინიკურად ჰყვებოდა თავის „ვაჟკაცურ საქმეებზე“ ეს ყოფილი „პოლიტმატიმარი“. დარწმუნებული ვარ, ის კიდეც რომ არ დაეჭირათ, ისედაც ბევრს „ჩაუშვებდა“ ჩეკას სარდაფებში და შეიძლება მანამდეც დაბეზღებული ჰყავდა ბევრი. არაფერს არ ნიშნავს, რომ იგი დაიჭირეს. ეს კომუნისტების ჩვეულებრივი ხერხი იყო, თავისიანებისავე გაწირვა, რათა ხალხისთვის შიშის ზარი დაეცათ. მავრმა გააკეთა თავისი საქმე, იგი უნდა წავიდეს. ახალი მავრები იყო საჭირო. შემდეგ ამათაც წინამორბედთა ბედი ელოდათ. საბუთი რამდენიც გინდათ, უთვალავია. განა ჩეკისტები არ ჟუჟავდნენ თავიანთ ძმებ ჩეკისტებს? კომუნისტები – კომუნისტებს? ალალი იყოს ეს მათზე, მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ ისინი, ამავე დროს, ფიზიკურად სპობდნენ პატიოსან, მამულიშვილ ქართველებსაც. ამაზე პასუხი არ უნდა აგონ?

სახალხო განათლების მუზეუმში

როცა ვარლამ ძიძიგური მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, დამიბარა და შემომთავაზა, მასთან გადავსულიყავი სამუშაოდ. მეც „სახალხო განათლების“ რედაქციაში გატარებული წლები საკმაოდ მივიჩნიე და საჭიროდ ჩავთვალე „ადგილის გამოცვლა“. 1950 წლიდან 1953 წლის ზაფხულამდე მუზეუმში ვმუშაობდი. შტატში ბევრი მუშაკი არ ყოფილა. ჩემს დროს იქ მუშაობდნენ ძალიან სიმპათიური და კეთილი ადამიანები: მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი, ერთხანს დოცენტი ვარლამ ქაჯაია (იგი მანამდე ამ მუზეუმის დირექტორი იყო), ფონდების გამგე მარიამ მაჭავარიანი, ბიბლიოთეკის გამგე ანიკო სამადაშვილი. იყო ბუღალტერი და სამნეო ნაწილის გამგეც. მუზეუმი მოთავსებული იყო ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სკოლის პირველ სართულზე (მარცხნივ). იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: საექსპოზიციო დარბაზი და ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მდიდარ წიგნად ფონდს შეიცავდა. საკმაოდ ბევრი იყო საარქივო მასალები, მათ შორის, ძალიან საინტერესოც. საკმარისია, თუნდაც დავასახელოთ გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის არქივი. აქვე იყო დაცული ავტოგრაფი აკაკი წერეთლის რუსულად დაწერილი მოგონებისა ტარას შევჩენკოზე და სხვ. ამ ავტოგრაფის ფოტოპირი მე მაქვს (მუზეუმი ამჟამად გადატანილია ჩიტაძის ქუჩაზე, პირველი საშუალო სკოლის შენობაში).

ჩვენთან ხშირად დადიოდნენ გიორგი თავზიშვილი, გივი ნიორაძე, დავით ლორ-

თქიფანიძე, ტიტე სარიშვილი, სიმონ სხირტლაძე და სხვანი, ე. ი. ყველა, ვინც საქართველოში სახალხო განათლებისა და ისტორიის საკითხებზე მუშაობდა.

ვ. ძიძიგურის ინიციატივით მუზეუმი ღვაწლმოსილი პედაგოგებისაგან იძენდა განათლებისა და სკოლის ისტორიასთან დაკავშირებულ მასალებს, ნივთებს, უნიკალურ სახელმძღვანელოებს. აწერინებდა მათ „მოგონებებს" და საპონორარო ხელშეკრულებით იძენდა. ამ გზით მუზეუმში დიდძალი საინტერესო მასალებია დაგროვილი.

ვ. ძიძიგურმა გარს შემოიკრიბა მხატვრები – აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, კოტე ხუციშვილი და სხვანი, რომლებმაც შექმნეს სახელოვანი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების მთელი რიგი პორტრეტებისა (ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე, ნ. ლომოური და ა. შ.).

მუზეუმის შეკვეთით დახატა აპ. ქუთათელაძემ ცნობილი სურათი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომა". ამ სურათთან დაკავშირებით ს. ნაციაშვილმა არასწორი ცნობები გამოაქვეყნა პრესაში. სიმართლის აღსადგენად მე ვუპასუხე წერილით, რომელიც შემოკლებით გაზ. „სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა.

ერთი კარგი საქმე, რასაც დირექტორმა ჩაუყარა საფუძველი, იყო გამოჩენილი ქართველი მასწავლებლებისადმი მიძღვნილი კრებულების გამოცემა. მის სიცოცხლეში გამოვიდა ორი კრებული, მის შემდეგ – მესამეც. კრებულებში შესულია ცნობილი, ნაკლებ ცნობილი ან მთლიანად მივიწყებული მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ნარკვევები (ბიოგრაფია, მოღვაწეობა, ლიტერატურის დასახელება). ამ მუშაობაში აქტიურად ვიყავით ჩაბმული სოლომონ ცაიშვილი და მე, აგრეთვე, გარეშე ავტორებიც.

„კრებულების" მეშვეობით დადგინდა ბევრი მოღვაწის ბიოგრაფია, საქმიანობა და მოღვაწეობის ხასიათი. შემდეგში ამ „კრებულებით" უხვად სარგებლობდნენ სხვები, მაგრამ რატომღაც წყაროს არ უთითებდნენ და ისე გამოდიოდა, თითქოს მათი დამსახურება ყოფილიყო ამა თუ იმ ფაქტის გაშიფრვა თუ მოვლენის ახსნა-განმარტება. ეს, რასაკვირველია, არაეთიკური საქციელია, მაგრამ რას იზამ, ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში.

მუზეუმში მუშაობის დროს ვარლამ ძიძიგურის მეშვეობით მე პირადად გავიცანი თედო სახოკია და სამსონ ფირცხალავა. როცა მათ ბატონმა ვარლამმა ჩემი თავი გააცნო და უთხრა, „არაფრის მოგერიდოთ, ჩვენი კაციაო", ისინიც არ მომრიდებიან და თავის აზრებს და გულისტკივილს ჩემთან შეხვედრების დროს დაუფარავად გამოთქვამდნენ.

აი, ერთ-ერთი საუბარი, რომელსაც მე დავესწარი. მობრძანდა ბატონი თედო სახოკია. დირექტორმა თავის კაბინეტში მიიწვია. ცოტა ხნის მერე მეც დამიძახა. მისალმების შემდეგ სახოკიამ მკითხა:

– კორნელის ძმისწული ყოფილხარ. როგორ არის ბატონი კორნელი?


– კარგად, ბატონო თედო!

– ძალიან სასიამოვნოა. მე და კორნელი საეკლესიო საქმეში ერთად ვმუშაობდით. ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაგვიყარეს მოღალატეებმა. ვაი, ჩვენი ბრალი, ვის ხელშია ქვეყანა!

ვარლამ ძიძიგური საუბარში ჩაერია.

– ნიკოლოზს რომ ებრძოდით, თუ იფიქრებდით მაშინ, ასე წავიდოდა საქმე?





თედო სახოკია
17 ოქტომბერი, 1942 წელი

– საქმე კარგად წავიდა, მაგრამ მოღალატეთა წყალობით 1921 წელს თავისუფლება დავკარგეთ. ნიკოლოზს თუ ვებრძოდით, საქართველოს თავისუფლება გვინდოდა, ჩემო ვარლამ, იარაღიც იმიტომ შემოგვქონდა.

დირექტორს გაელიმა.

– ნახევარზე მეტი დაჰკარგეთ. ასე იყო ხომ?

სახოკიამ თავი ასწია.

– მთლად მასე არა! იარაღის ნაწილი კი მართლაც დავკარგეთ. ჩვენებმა საზღვარგარეთ გემი „სირიუსი" დაიქირავეს. გაჭირვებით ნაყიდი იარაღით დატვირთეს და ფოთისკენ გამოეშურნენ, მაგრამ ფოთში ხომ ვერ გადმოტვირთავდნენ? სადღაც ნაპირი შეარჩიეს და იარაღი გადატვირთეს. საიდუმლო ადგილი მარტო მე და კიდევ რამდენიმე კაცმა ვიცოდით. ერთეულ პირებს ვაგზავნიდით დანიშნულ ადგილას და იქ ჩვენი კაცი მათ თოფებსა და ვაზნებს აძლევდა. ძალიან ეფრთხილობდით, მაგრამ ქალაქში მაინც დაირხა ხმა, იარაღი შემოზიდესო. მესამე დღეს ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა და მითხრა: მე მტკიცე რევოლუციონერი ვარ და მიშუამდგომლე, თოფი მომცენო. უარი ვუთხარი. მეორე დღესაც მოვიდა, თან ვიღაც ახლდა. არ მომეშვნენ და მეც შევცდი, გზა ვასწავლე და ჩვენებს შევუთვალე, მიეცათ მათთვის იარაღი. დილით თურმე ეს ლაწირაკები ფოთის ქუჩებში დასეირნობდნენ. მხარზე გადაეკიდათ ჩვენგან მიცემული თოფები. პოლიციას თუ ჟანდარმერიას მაშინვე გაეთოკათ. ამათაც მაშინვე დაფქვეს ყველაფერი და ის ადგილიც ასწავლეს ჟანდარმერიას, სადაც იარაღი გვქონდა გადამალული. კიდევ კარგი, ნახევარზე მეტი გაცემული გვქონდა. დანარჩენი ჟანდარმერიამ ჩაიგდო ხელთ.

ძიძიგურს ელიმება. ეტყობა, ხშირად აქვს ეს ამბავი მოსმენილი, მაგრამ მაინც ეკითხება:

– მერედა ვინ იყო ის თქვენი გამაბედნიერებელი „მტკიცე რევოლუციონერი?"

– ძაღლჩამკვდარი სერგო ორჯონიკიძე ბრძანდებოდა, შემდეგ ჩვენი სისხლით რომ ვერ გაძღა.

თედოს ბაგეები აუკანკალდა, როცა ეს ბოლო სიტყვები თქვა.

სამსონ ფირცხალავას ორ-სამჯერ შევხვდი. მთლად გაჭაღარავებული იყო, ძალიან სანდომიანი შესახედაობისა. იგი ყოველთვის მაშინ მოდიოდა, როცა მის დაწესებულებაში შესვენება იყო – დღის პირველი საათიდან ორამდე. ერთხელაც ასეთ დროს მობრძანდა ბატონი სამსონ ფირცხალავა. ძიძიგური და ის ძველ ამბებს იგონებდნენ. მეც სიამოვნებით ვუსმენდი. დროდადრო ჩვენი სტუმარი საათს დახედავდა. დირექტორმა ჰკითხა:

– რა, სამსონ, ძალიან გეჩქარება?

– მე კი არ მეჩქარება, ჩემი პოლიციელი დირექტორი მაჩქარებს.

– როგორ პოლიციელი?

– აი, ის პროლეტარული პოეტი რომ ყოფილა, სანდრო ეული. მე მისი არაფერი არ წამიკითხავს. ის გახლავთ ჩემი მბრძანებელი (საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი – მ. კ.). ზის ბაიყუშივით და იმის აღრიცხვას უნდება, ვინ რამდენი წუთით დაიგვიანა, როდის წავიდა და როდის დაბრუნდა. ყოვლად უვიცი კაცია. ძალიან მიჭირს, მაგრამ რა ვქანა, სად წავიდე? ლუკმა-პურის ფული ხომ უნდა ვიშოვო?

მძიმე დუმილი ჩამოვარდა.

– ნანობ? – ეკითხება ძიძიგური.

– ვნანობ თუ არა ჩამოსვლას? არ ვიცი, ვერ გავარკვიე. იცი, რა გითხრა? ქართველი კაცი, ვიდრე იძულებით არ მოშორდება სამშობლოს, მანამ ვერ გრძნობს, თუ რა არის მისთვის საქართველო.

ცოტა ხანს შეჩერდა სამსონი. მერე განაგრძო:

– იმ ზაფხულს თბილისიდან პარიზში ჩამოვიდა ორი კაცი. დაგვიწყეს ლაპარაკი, დაბრუნდით სამშობლოში, ნახეთ თქვენი ნათესავები, მეგობრები. გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა, ახალგაზრდობა, მოინახულეთ თქვენი დაბადების ადგილები. არავითარი ხიფათი თქვენ არ გელოდებათ, პირიქით, ყველანი სიხარულით შეგხვდებიან. დაბრუნდით და საქართველოს, რითაც შეგეძლებათ, დაეხმარეთ.

ეს სიტყვები ჩვენზე მოქმედებდა. ქართველი ემიგრანტების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტეთ დაბრუნება. მანამდე კი ასეთი რამ მოხდა: ერთი კაცი გავგზავნეთ ნოე ჟორდანიასთან. გვინდოდა, გაგვეგო მისი აზრი ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. ნოეს ზოგიერთი ემიგრანტი აკრიტიკებდა, საქართველოს კარგად ვერ მოუარაო. ისე კი მას ყველანი დიდ პატივს სცემდნენ.

ჟორდანიას ჩვენი მოციქულისთვის ეთქვა: ეგ ისეთი საკითხია, რომ ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს – წავიდეს თუ აქ დარჩეს. პირადად მე ასეთი აზრისა ვარ: ბოლშევიკები მზაკვარი, დაუნდობელი და სინდისგარეცხილი ხალხია. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, დანარჩენი თქვენ თვითონ იცით, როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცითო. ჩვენ მაინც დაბრუნება გადაეწყვიტეთ და იცი, რატომ?

ჩვენ დაღვრემით ვუსმენთ ბატონ სამსონს.

– ქართველი კაცი უცხოეთში იძულებით ყოფნისას სნეულდება ნოსტალგიით. საშინელი ავადმყოფობაა. გენატრება შენი ბავშვობის, შენი ჭაბუკობის წლები. იგონებ



სამსონ ფირცხალავა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალა-მინდვრებს, ღელეებს, მწვანე ეზოებს, სადაც გითამაშია და ნატრობ, ღმერთო, ერთხელ კიდევ მანახე ის ადგილები და მერე თუნდაც მაშინვე მიიღე ჩემი სული. იგონებ სამშობლოში დარჩენილ იმ მეგობრებს, რომლებთანაც გიმოღვაწია, რომელთაგან ზოგი თავისით გარდაიცვალა, ზოგიც დახვრიტეს, ზოგიც გააციმბირეს და გული მეთუთქება, მაგრამ იდუმალი ძალა მაინც სამშობლოსკენ გეწევა. ვერ გავძელი ბოლომდე იქ, გავგიჟდებოდი, რომ არ წამოვსულიყავი. ჩამოვედი, აქ მირჩევნია სიკვდილი.

შეუსრულდა სურვილი სამსონ ფირცხალავას! მალე დაიჭირეს ქართველმა ჩეკისტ-კომუნისტებმა და ციხეში წამებით ამოხადეს სული.

ვიდრე ეს ბრწყინვალე ინტელიგენტი, ქართული კულტურის უანგარო მოღვაწე დაილუპებოდა, რამდენიმე ხნით ადრე ბატონმა ვარლამმა ერთი სიკეთე გაუწია მას. დაავალა, დაეწერა მოგონებები ხონის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლის პერიოდზე. ფირცხალავამ დაწერა ეს „მოგონებები“ (ხუთი რვეული) და მას ჰონორარის მაქსიმუმი გამოუწერეს. „მოგონებები“ მუზეუმში ინახება.

აქ ერთი ამბავი მინდა მოვიგონო. ერთხელ მუზეუმში რამდენიმე მეგობარმა ძიძიგურის კაბინეტში მოიყარა თავი. ათას რამეზე ლაპარაკობდნენ და, რასთან დაკავშირებით, არ მახსოვს, ერთ-ერთმა თქვა: ჭეშმარიტება და სიმართლე იმის მხარეზეა, ვისაც უმრავლესობა უჭერს მხარსო. ზოგი დაეთანხმა, ზოგიც – არა. ძიძიგურმა ასეთი რამ გაიხსენა (რამდენად სწორია, არ ვიცი). 1905 თუ 1906 წელს ილიას წინააღმდეგ კამპანია იყო გაჩაღებული. რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა წერილი, მას 101 მუშა აწერდა ხელს. მოითხოვდნენ, ილიას წერაზე (ლიტერატურულ მოღვაწეობაზე) აეღო ხელი. ილიას აჩვენეს ეს წერილი და უთხრეს, ხედავთ, ბატონო ილია, რამდენი კაცი აწერს ხელს, ეს საკმაოდ ბევრიაო. ილიას გაეცინა თურმე და უპასუხა: ბევრი როდია ყოველთვის სიმართლის მაჩვენებელი. წავალ, სოფლებს ჩამოვივლი და ხალხს ვკითხავ, დედამიწა რაზე დგასო. გარწმუნებთ, ნახევარ საქართველოზე მეტი მეტყვის: დედამიწა ხარის ან კამეჩის რქაზე დგასო, მაგრამ სწორი და მართალი იქნება ეს?

ამ საკითხზე მერე ხშირად მიფიქრია: ყოველთვის უმრავლესობის მხარეზეა სიმართლე, თუ შეიძლება პირიქითაც მოხდეს, ჭეშმარიტებას უმცირესობა ქადაგებდეს და უმრავლესობა ცდებოდეს? ერთნი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე უმცირესობაში არიან, მაგრამ სიმართლეს ამბობენ, ჭერშმარიტებას ქადაგებენ, ხოლო უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის გამო ბრმავდება ფანატიზმის, უვიცობის გამო და არასწორად აფასებს და ჭვრეტს მოვლენებსა და ფაქტებს.

რამდენიმე სიტყვა ვარლამ ძიძიგურზე... ძველი მოღვაწე იყო, სტატიების, მეთოდიკური ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. თავის დროზე, მგონი, ფედერალისტებისა თუ ეროვნულ-დემოკრატების პარტიაში იმყოფებოდა, ყოველ შემთხვევაში, თანაუგრძნობდა მათ. სიმართლეს წერდა, ამიტომ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მისდამი ბევრი კეთილად იყო განწყობილი, მაგრამ მოძულენიც ჰყავდა. აი, ისინი ავრცელებდნენ ხმას, ძიძიგური „დიდი კვაჭია“, „საქმის გაიმასქნება იცის“, „მოხერხებულიაო“.

მისი „კვაჭობისა“ და „გაიმასქნების“ შესახებ მე არაფერი ვიცი, თუმცა მოწაფეობიდანვე ვიცნობდი. ის ვიცი მხოლოდ, რომ ყველასათვის ხელის გამწვდომი და დიდი დამხმარე იყო. რაც შეეხება მის მოხერხებულობას, ეს კი ნამდვილია.

აი, ერთი მაგალითიც თვითონ მისგან ნაამბობი და ბევრისთვის შეიძლება უკვე ცნობილი. ვარლამ ძიძიგური მათხოჯში (მის მშობლიურ სოფელში) სახალხო სახლის მშენებლობას ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ფული მალე შემოაკლდათ და არც ადგილობრივი ხელისუფლებისაგან იყო მოსალოდნელი დახმარების გაწევა.

ამ დროს (ეს, მგონი, 1925 თუ 1926 წელს იყო) თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ რიკოვი, ჩიჩერინი, კალინინი და სხვა „ტუზები“. რასთან დაკავშირებით, მე არ მახსოვს. ოპერის თეატრში შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ ხელმძღვანელებთან. ვარლამს გადაუწყვეტია მათი ჩამოსვლით ესარგებლა, კალინინი ენახა და დახმარებისთვის ფული ეთხოვა. მათხოჯიდან ჩამოიყვანა რამდენიმე გლეხი და მათთან ერთად ოპერისაკენ გასწია. მიდამო გაჭედილია მილიციელებით და უსაშვოდ შიგნით არავის უშვებენ. მიადგა ერთ კარს გლეხების თანხლებით და არ შეუშვეს. და აი, აქ იწყება სცენა. მეორე შესასვლელთან ჯიქურ გაიარა გუშაგების მწკრივი, მოუბრუნდა მათ, მიუთითა გლეხებზე და მბრძანებლურად განაცხადა:

– ეგენი ჩემთან არიან, გამოატარეთ!

გუშაგებმა ალბათ იფიქრეს, დიდი ვინმეაო, ხელის აწევით მიესალმენ და ყველანი გაატარეს.

შევიდნენ თეატრში. სად მონახეს დასაჯდომი ადგილები, არ ვიცი. ანტრაქტზე ვ. ძიძიგური გლეხებთან ერთად მიუახლოვდა კალინინს და ეუბნება:

– მიხეილ ივანიჩ, ესენი ახალი ქვეყნის მშენებლები არიან, მაგრამ ძალიან გაჭირვებით ცხოვრობენ. ეს დელეგაცია იმისთვის გეახლათ, რომ ჩამობრძანდეთ ჩვენს სოფელში და ადგილობრივ გაეცნოთ ჩვენი ცხოვრების მძიმე პირობებს.

კალინინს ყველა კარგად მიუღია, დიდხანს უსაუბრია მათთან და დაჰპირებია, რომ აუცილებლივ ჩავიდოდა მათხოჯში. ჩასულა კიდეც! აქ ბატონმა ვარლამმა იმის ნათელსაყოფად, თუ რა ღარიბად ცხოვრობენ იმერელი გლეხები, იგი შეიწვია ერთ სამზარეულო სახლში, სადაც კერიასთან დედაბერი იჯდა და თბებოდა. ქალი წამოდ-

გა. კალინინი ათვალიერებს გაჭვარტლულ კედლებს, ფეხმონჯღრეულ სამფეხა სკამს, თიხის ჯამებს და იძახის: „მდა... მდა... პლოხო, ოჩენ პლოხო!".[1]

– მიხაილ ივანიჩ, აი, ნახეთ, რას ჭამენ ეს ღატაკები.

ბატონი ვარლამი მიუახლოვდა კერიას, ქოლგის წვერი ჰკრა ნაცარში და იქიდან ამოაძვრინა ღადარში გამომცხვარი ჭადი (ეს ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული). „ოჩენ პლოხო, ოჩენ პლოხო", – იძახის „ვსესაიუზნი სტაროსტა".[2] მერე სახალხო სახლის მშენებლობა აჩვენეს და აქ სთხოვეს მას, ფულადი დახმარება გაეწია მშენებლობისათვის. კალინინი დაჰპირებოდა ფულს და მართლაც გადმოეგზავნა კიდეც რამდენიმე ათასი მანეთი.

აი ის, რაც დამამახსოვრდა თვითონ ბატონი ვარლამის ნაამბობიდან. უფრო ზუსტად, ეს ამბავი შეიძლება თვით მას ჰქონდეს აღწერილი თავის „მოგონებებში".

ვარლამ ძიძიგური იყო მეგობრების მოყვარული, უყვარდა მათთან ლხინი, თუმცა თვითონ თავშეკავებით სვამდა, არ ერიდებოდა ფულის ხარჯვას. ჩემთან მოწაფეობიდანვე კეთილად და სიყვარულით იყო განწყობილი.

სახალხო განათლების მუზეუმში ჩემს ყოფნას უსარგებლოდ არ ჩაუვლია. იქ ყოფნის დროს გამოვაქვეყნე ორი მონოგრაფია „გორის სამასწავლებლო სემინარია" და „დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში". სემიონოვი იყო გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი. ქართველ მასწავლებლებთან ძალიან გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა. მისი ინიციატივით ქართული ენა სემინარიაში სავალდებულო საგნად იქნა გამოცხადებული.

P. S. 1991 წლის დეკემბესა და 1992 წლის იანვარში თბილისში მომხდარი ბრძოლების დროს რუსთაველის პროსპექტზე შენობები დაინგრა. დაინგრა პირველი საშუალო სკოლაც. ამ სკოლის ერთ ფლიგელში მოთავსებული იყო სახალხო განათლების მუზეუმი. დანგრეულ პირველ სკოლაზე ბევრს წერენ გულისტკივილით და სამართლიანადაც. საზოგადოებამ ის კი არ იცის, რომ სამუდამოდ დაინვა და დაიღუპა მუზეუმში თავმოყრილი უმდიდრესი არქივები, პედაგოგებისა და მწერლების გამოუქვეყნებელი „მოგონებები", იკონოგრაფიული ფონდი, ეპისტოლური მასალები, უძლიერესი ბიბლიოთეკა, რომელშიც უამრავი უნიკალური წიგნი ინახებოდა. სკოლის შენობას აღადგენენ, მაგრამ სახალხო განათლების მუზეუმში თავმოყრილი სიმდიდრე კი სამუდამოდ დაკარგულია. ეს ჩვენი დიდი უბედურებაა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. საქართველოს საკეთილდღეოდ მომხდარ ყველა ცვლილებას სულით და გულით მივესალმები. უაღრესად ვაფასებ თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მაგრამ ვერ ვიტან ფანატიკოსებს, ვერ ვიტან „კერპებს", რომელთაც ჰგონიათ, რომ საქართველო მათგან იწყება და მათ გარეშე ქვეყანა მოისპობა. ტყუილია, არ დაუჯეროთ „გაღმერთების" მსურველთ. საქართველო კერპების გარეშეც დააღწევს თავს გაჭირვებას. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს ვერ შეიგნო.

უკანასკნელი ხანის მოვლენებზე მე ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ ჩემი მხრივ მათზე მსჯელობის დრო ახლა არ არის.

---

[1] ცუდია, ძალიან ცუდია!

[2] სრულიად საკავშირო მამასახლისი.

ჯერჯერობით ისევ რედაქციაში ვმუშაობ, მაგრამ ალბათ მალე თავს დავანებებ. მადლობელი ვარ რედაქციის ყველა მუშაკისა, რომლებმაც აქამდე შემინახეს, თორემ 81 წლის კაცს აქამდეც უნდა დამენებებინა თავი.

„სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში

ამ ჟურნალში მე 1953 წლიდან ვმუშაობ. მაშინ მას „კომუნისტური აღზრდისათვის“ ეწოდებოდა (სახელის შეცვლა გრ. საჯაიას დამსახურებაა).

როგორ მოვხვდი მე ამ ჟურნალში?

1953 წლის მაისია. სახალხო განათლების მუზეუმში ვმუშაობ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. ტელეფონი რეკავს. ყურმილს ვიღებ და მესმის:

– მე გივი ვარ, ნიორაძე. ახლავე ინსტიტუტში მოდი, გადაუდებელი საქმე მაქვს.

– რაშია, ბატონო გივი, საქმე?

პასუხად იგივე მესმის. არ მოვეშვი, ვიდრე არ ვათქმევინე.

– კაცო, რა გააჭირვე საქმე? პედაგოგიური ჟურნალის გამოცემას ვიწყებთ. შტატში შენც მყავხარ შეყვანილი.

– მერე სამინისტრო?

– მუზეუმიც და ჟურნალიც ორივე სამინისტროსია.

– კიდევ ვინ არის?

კიდევ ვარლამ ქაჯაია. მგონი, იცნობ, ჰა? – გივი იცინის და განაგრძობს: მეტი არა მცალია. კეთილი ინებე და მობრძანდი აქ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

მეც „კეთილი ვინებე და მივბრძანდი“ იმ პატარა ლამაზ ეზოში, სადაც ერთ შენობაში მოთავსებული იყო პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა და გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქცია. ამ ეზოში მე „შინაური კაცი“ ვიყავი მუზეუმში გადასვლამდე. „სახალხო განათლების“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა 1945 წლის სექტემბრიდან.

გაზეთში შესანიშნავ კოლექტივს მოეყარა თავი. ყველა გულისხმიერი, საქმის მცოდნე, მომლხენი და გულკეთილი ადამიანი იყო. უცხოობა არ უგრძნობინებიათ ჩემთვის. ყველანი გულთბილად მექცეოდნენ. ოქტომბერში თუ ნოემბერში რედაქციის შტატში მიიღეს ყოფილი ფრონტელი გივი ნიორაძე. ახლაც კარგად მახსოვს მისი მოსვლა მწვანე თუ მომწვანო ფერის ჯარისკაცური მაზარა ეცვა, კალთებშემოლანძღული. ომში ფეხში დაჭრილიყო. ოპერაციის შემდეგ ფეხი მცირედ დამოკლებოდა და სიარულის დროს ოდნავ კოჭლობდა, თუმცა თუ ძალიან არ დაუკვირდებოდი, ვერც შეამჩნევდი. ყოველთვის სუფთად გაპარსული იყო და სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. ძალიან ნაკითხი, ფართო განათლებისა და უაღრესად სათნო ადამიანი იყო. მოხდა ასე, რომ რედაქციაში მისი მოსვლის პირველსავე დღეს პატარა პურმარილი გაიმართა, ერთმანეთი ადღეგრძელეს, დალოცეს და იმის შემდეგ გივი ნიორაძე სულით და გულით შეიყვარა ყველამ. ისიც ყველას პატივს სცემდა და ბევრი მათგანი მასაც გულწრფელად უყვარდა. ამათ შორის, მგონი, მეც ვიყავი. თითქმის ოთხი წელი ვიმუშავეთ ერთად „სახალხო განათლების“ რედაქციაში. შემდეგ მე „სახალხო განათლების“ მუზეუმში გადავედი, გივი ნიორაძე კი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, მაგრამ ყოველთვის



ოთარ დოლაბერიძე, ლადო მახარაძე, გივი ნიორაძე, შოთა იაშვილი, დიმიტრი გურგენიძე

ნარწერა ფოტოზე: *ჩემი უახლოესი მეგობრები. ყველა გარდაცვლილია. „ვაჰ, სოფელო...“ მე ცოცხალი ვარ. 1992 წ. 7 დეკემბერი. მ. კ.*

ახლოს ვიყავით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. როცა მას ჟურნალის რედაქტორობა დაავალეს, მეც არ გამოვრჩენივარ, განათლების სამინისტროსთვის უკვე შეეთანხმებინა, რომ მე მუზეუმიდან ჟურნალის რედაქციაში გადმოვეყვანეთ. ასეც მოხდა.

1953 წლის მაისის მიწურულისათვის შტატი უკვე დაკომპლექტებული იყო და გაცხოველებით მუშაობდა პირველი ნომრის გამოსაცემად. რედაქციის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: რედაქტორი გივი ნიორაძე, პასუხისმგებელი მდივანი ვლადიმერ მგალობლიშვილი, პედაგოგიკის განყოფილების გამგე ვარლამ ქაჯაია, სასკოლო განყოფილების გამგე (საბუნებისმეტყველო საგნები) გიორგი ქველაძე, სასკოლო განყოფილების გამგე (ჰუმანიტარული საგნები) მიხეილ კეკელიძე, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე ოთარ დოლაბერიძე.

მაშინ ჩვენი ჟურნალი, გარდა პედაგოგიკური სტატიებისა, მეთოდიკურ წერილებსაც ბეჭდავდა, ყველა სასწავლო საგანს ემსახურებოდა და ამიტომაც იმდროინდელ ჟურნალში დიდაქტიკის რომელიმე საკითხის გარჩევასთან ერთად ხშირად იხილავთ ქართული ენის ან ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენის, ან სხვა საგნებისადმი მიძღვნილ წერილებს ერთიმეორის მიყოლებით. მაგრამ ერთი ჟურნალისათვის ძალიან ძნელი იყო, ყველა საგანს ჯეროვნად გამოხმაურებოდა. ზოგჯერ ერთ რომელიმე საგანს წელიწადში მხოლოდ ერთ წერილს თუ მიუძღვნიდნენ. ამიტომ ნომერში მასალების მოხვედრისათვის არაიშვიათად ძალიან ცხარე კამათიც და დავაც იმართებოდა სარედაქციო თათბირებზე. მაგრამ ამაო იყო ყველაფერი, ამ კამათიდან არაფერი გამოდიოდა – ჟურნალის ექვს ფორმას არაფერი ემატებოდა და წერილების ბეჭდვაც ცალკეულ საგნებზე შეზღუდული რჩებოდა. ახლა, საბედნიეროდ, სხვა

ვითარებაა, თითქმის ყველა საგანში ძირითადი ჟურნალის, „სკოლა და ცხოვრების“, ბაზაზე გამოდის ყოველკვარტალური სამეცნიერო-მეთოდიკური დამატებები და ეს გარემოება სკოლისადმი მეტი დახმარების საშუალებას იძლევა.

მუშაობას შევუდექით. რამდენადაც მახსოვს, მასალების გაჭირვება იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს საქმეც მოგვარდა. მასალები აიწყო და კორექტურის კითხვა დავიწყეთ. პირველი ნომრის მასალები თითქმის ყველა მუშაკმა წაიკითხა გ. ნიორაძის დავალებით. რედაქტორი შიშობდა, რაიმე შეცდომა არ გაგვეპაროს, პირველი ნომრის გამოსვლისთანავე მკითხველთან არ შევრცხვეთო.

1953 წლის ივლისში გამოვიდა აღდგენილი ჟურნალის პირველი ნომერი და სავაჭრო ქსელში სტამბიდან გატანამდე რამდენიმე ეგზემპლარი რედაქციაში მივიტანეთ. ყველა გახარებული ვიყავით, გვილოცავდნენ გაზ. „სახალხო განათლების“ მუშაკები – ჩვენი მეგობრები, ინსტიტუტის თანამშრომლები. ვატრიალებდით ხელში, ვსინჯავდით ყოველმხრივ, სინჯავდნენ სხვებიც, მაგრამ არაფერი, არავის არაფერი შეუნიშნავს, ყველა გახარებული და კმაყოფილი იყო. საღამო ხანს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჩვენი სიხარული „ყაზბეგში“ თუ „გემოში“ (კარგად არ მახსოვს) სუფრასთანაც აღვნიშნეთ.

მეორე დღეს რედაქციაში ფეხი შევდგი თუ არა, წინ გ. ნიორაძე შემეფეთა, სახემოღუშული, გულმოსული. გამიკვირდა: გივი და ასე მოღუშული ან გაბრაზებული? ეს მას არ ახასიათებდა. რაც უნდა ნანყენი ყოფილიყო, ძალიან მორიდებით და ტაქტიანად ეტყოდა ადრესატს სათქმელს.

– რა მოხდა? – შევეკითხე დანახვისთანავე.

– მობრძანდი და ნახე, რაც მოხდა!

შემიყვანა თავის ოთახში, გადამიშალა ჩვენი ჟურნალის ბოლოსწინა გვერდი და მეუბნება:

– წაიკითხე!

ვკითხულობ ერთხელ, ორჯერ, მაინც ვერაფერს ვამჩნევ.

– მერე რა, რომ წავიკითხე?

თითი დაადო დიდი ასოებით შავად აწყობილ ქვესათაურს. ვკითხულობ: „ყვითელი ეშშაკის[1] ქალაქი“.

– როგორ? რანაირად?

– არ ვიცი. ვილაცამ დამირეკა სტამბიდან სიცილით, „ეშშაკით“ რატომ გამოხვედით ასპარეზზეო. მივდივარ სტამბაში, იქნებ, გვერდი გამოვაცვლევინო, ან ნავაშლევინო ის ასოები ისე, რომ აღარ იკითხებოდეს.

ამ დროს ვარლამ ქაჯაია შემოვიდა. ხალისიან გუნებაზე იყო. ყველაფერი ცოდნოდა. გაიცინა და უთხრა:

– დაძმარებული კი არა, გახარებული უნდა იყო, ჩემო გივი!

– ვითომ რატომ?

– ვისია ეგ წერილი?

რედაქტორმა უთხრა, ვისიც იყო.

– ჰოდა, ის ისეთი ჯიუტი კაცია, შეიძლება ვირზეც შევესვით ყველანიო.

---

[1] „ეშაკ“ („იშაკ“) (რუს.) – ვირი.



მიხეილ კეკელიძე
ნარწერა ფოტოზე: დარტყმა – მოსაგები სელა კეთდება

გაელიმა გივის. ღიღინით თქვა:

– ვერიდებოდი ღოლოსა, შემხვდა ჟურნალის ბოლოსა.

საქმე ის არის, რომ კორექტურა გაიპარა. უნდა ყოფილიყო: „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“ და „ეშმაკის“ ქალაქი მივიღეთ. სტამბა ვერაფერში დაგვეხმარა. მთელი ტირაჟი (10 000 ცალი) ჩვენს ცემენტისიატაკიან ოთახში გადმოვზიდეთ. შევიარაღდით ფანქრებით, სამართლებლის პირებით და დავიწყეთ მეორე „შ“-ს მოფხეკა და „მ“-ს გამოყვანა. ერთი კვირა გაგრძელდა ეს „ფრიად სასიამოვნო“ მუშაობა. გვეხმარებოდნენ ჩვენი მეგობრებიც – გაზეთისა და ინსტიტუტის მუშაკები. შეიძლება ვინმემ თქვას: განა რა მოხდა ასეთი? ყველა მიხვდებოდა, რომ კორექტურა იყო, თუ მაინცადამაინც მეორე ნომერში მიგეცათ განმარტებაო. ცხადია, ასეც შეიძლებოდა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ჩვენს მდგომარეობას, პირველი ნომერი გამოდიოდა და მეტისმეტად გვწყინდა თვალში მოსახვედრი მარცხი.

გ. ნიორაძე რედაქტორად 1957 წლამდე დარჩა. შემდეგ შეთავსებებთან დაკავშირებით ის იძულებული გახდა რედაქციაში მუშაობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ყოველთვის ჩვენთან იყო. არ შეიძლებოდა დღეში ორ-სამჯერ არ შემოეხედა ჩვენთან, საღამო ხანს არ გამოევლო და ათასაგვარ საუბართან ერთად ერთი-ორი ხელი ჭადრაკიც არ ეთამაშა რომელიმესთან (ასე გრძელდებოდა მუდამ მის გარდაცვალებამდე).

გ. ნიორაძის შემდეგ რედაქტორად ვლადიმერ მგალობლიშვილი დაინიშნა. თავაუღებელი მუშა იყო. შეეძლო დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ემუშავა. ბრწყინვალე მოქართულე იყო. განათლებით ის ფილოლოგი არ ყოფილა, მაგრამ ქართული შესანიშნავად იცოდა. გობრონ აგარელის (ციცქიშვილის) მონაფედ თვლიდა თავს ამ დარგში და ყოველთვის მადლიერებით იხსენიებდა მას.

ჟურნალის ახლანდელი რედაქტორი გრიგოლ საჯაია გაზ. „სახალხო განათლების" რედაქციიდან გადმოიყვანეს 1964 წლიდან. 1966 წელს ჟურნალის დამატებების ნებართვაც მან „გამოსტაცა" ცეკას.

ზევით აღვნიშნე, რომ პირველ ხანებში საჟურნალო მასალები ნაკლებად შემოდიოდა. მკითხველს შევახსენებ, რომ ჩვენი ჟურნალი პედაგოგიურია და სტატიებიც პედაგოგიკური ხასიათის იყო საჭირო, თორემ სხვა ხასიათის წერილები უამრავი იშოვებოდა. ასეთი ვითარება კარგა ხანს გაგრძელდა. განსაკუთრებით უჭირდა პედაგოგიკის განყოფილებას. ვ. მგალობლიშვილი ყველას გვისაყვედურებდა, რომ ავტორებთან სუსტად ვმუშაობთ. განსაკუთრებით პრაქტიკოს მასწავლებლებთან. არ ვასწავლით, რა წერონ და როგორ წერონ, რას მიაქციონ მთავარი ყურადღება და სხვ. იმ ხანებში განსაკუთრებით მძიმე საყვედურები ხვდებოდა თ. ოდილავაძეს და ერთხელ, მან თათბირზე განაცხადა:

– ბატონო ვლადიმერ, გაძლევთ პირობას, რომ დღეიდან მუშაობას გარდავქმნი. ავტორებთან გულდასმით ვიმუშავებ და მაღალხარისხოვან მასალებსაც მოგაწვდით ჩემი (პედაგოგიკის) განყოფილებიდან.

– თეიმურაზ, ასეთ დაპირებებს შენ ხშირად იძლევი, მაგრამ მასალები არ არის, რაც არის, ისიც საცოდაობაა.

ვიღაცამ ჩაურთო:

– მთლად თეიმურაზის ბრალი არ არის. საერთოდ დაბალია წერის კულტურის დონე.

– მეც ვიცი, რომ დაბალია და ვეცადოთ, ავამაღლოთ როგორმე.

თეიმურაზმა ისევ თქვა:

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ბატონო ვალოდია, რომ დღეიდან მუშაობას გარდავქმნი.

როცა განყოფილებათა ოთხივე გამგე ჩვენს ოთახში შევედით, ჩვენს მეგობარს ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ვუთხარით:

– ბიჭო, რას ჰპირდები ისეთ რაიმეს, რასაც, სულ ერთია, ვერ შეასრულებ?

თეიმურაზი იღიმება.

– ბიჭებო, აი მიყურეთ, გარდავქმნი, გარდავქმნი მუშაობას!

ამით გათავდა იმ დღეს ჩვენი საუბარი. მეორე დღეს გაფაციცებულ მუშაობაში ვართ. დილის საათებია. მოდის ვილაც შუახნის ავტორი, თეიმურაზს კითხულობს. ისიც დიდი თავაზიანობით ღებულობს მას, გვესმის მისი სიტყვები: სწორედ თქვენი ნახვა მინდოდა, თქვენი წერილის შესახებ უნდა მოგელაპარაკოთო. დაიწყო ეს მოლაპარაკება და დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. შეგვაწუხა, თეიმურაზს ვანიშნებთ, დაამთავროს თავისი „დამოძღვრა". ის ყურადღებასაც არ გვაქცევს და განაგრძობს:

– აი, აქ ჩაუმატეთ (ასეთი და ასეთი რამ).

ავტორი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.

– ეს ციფრები მეეჭვება, კიდევ ერთხელ შეამოწმეთ.

ავტორი თავს უქნევს.

– კაცმა რომ თქვას, რად უნდა ამდენი ციტატა? ეს ამოვიღოთ. წერილი მოიგებს.

ავტორი თავს უქნევს.

როგორც მოგახსენეთ, ასე გაგრძელდა დიდხანს და ბოლოს გაისმა:



მიხეილ კეკელიძე და გიორგი შალამბერიძე ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ რედაქციის წინ თბილისი, 8 თებერვალი, 1978 წელი

– აი, ბატონო, თქვენი სტატია! როგორც აქ შევთანხმდით, ისე გადააკეთეთ ყველაფერი და მომიტანეთ.

ავტორი დგება და ამბობს:

– დიდად მადლობელი ვარ ასეთი ყურადღებისათვის. ერთი კვირის შემდეგ გასწორებულ და გადაბეჭდილ სტატიას მოგართმევთ.

წავიდა ავტორი. სახეგაბრწყინებული თეიმურაზი სათვალეს წმენდს და სიცილით გვეუბნება:

– ვოტ კაკ ნადა რაბოტაც ს ავტორამი![1] მომბაძეთ მე!

ჩვენც სიცილით ვეუბნებით:

– ძალიან დიდი მოთმინება გამოიჩინე, თეიმურაზ, ყოჩაღ!

თეიმურაზი უცებ დადუმდა, გაფითრდა და გარეთ გავარდა. მყისვე მისი ყვირილი შემოგვესმა:

– ამხანაგო, ამხანაგო! მობრუნდით რედაქციაში!

გაოცებული ვართ ყველანი. ეზოს ჭიშკართან მისული ავტორი დაბრუნდა და მორჩილად დაუდგა თეიმურაზს წინ. იგი შუბლიდან ოფლს იწმენდს და ქშენით ამბობს:

– ეს სტატია, ამხანაგო, თქვენი არ ყოფილა, სხვისია! თქვენი სტატიის შესახებ, თუ მობრძანდებით, ხვალ მოვილაპარაკოთ.

ავტორი წავიდა. ჩვენ სიცილით ვიხოცებით და ვეკითხებით: „ვოტ კაკ ნადა რაბოტაც ს ავტორამი!“ ეს ამბავი მაშინვე მთელ რედაქციას მოედო. ყველანი იცინიან. ერთ ექვს თვეს ჩვენც გვეყო სალაღობოდ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ

[1] – აი, როგორ უნდა ავტორებთან მუშაობა!

ახლაც მიკვირს, რატომ უსმენდა ყურადღებით ის ავტორი თეიმურაზს, თანხმობის ნიშნად რატომ ხრიდა თავს, ან რომ მიჰქონდა სხვისი წერილი, რა უნდა გაესწორებინა შიგ? პირდაპირ საოცარია!

რედაქციაში ათასნაირი ხასიათის, გუნება-განწყობილების ხალხი მოდის. ზოგი ძალიან ახლობელია, მეგობარია და თუ საჭიროა, თამამად ეუბნები:

– თუ ძმა ხარ, ხელს ნუ მიშლი! ახლა საჩქარო სამუშაო მაქვს და მერე მოდი!

ასე შემეძლო მეთქვა, მაგალითად, სიმონ სხირტლაძისთვის, ჯოდორ დადიანისთვის, შოთა იაშვილისთვის და ბევრი სხვისთვის, რომლებიც ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ. მაგრამ არის ერთი წყება ადამიანებისა (არა, ეს ავტორები არ არიან), რომელთაც რედაქცია გასართობ ადგილად მიაჩნიათ, დასხდებიან და თავის შინაურ ამბებს (ათასჯერ მოყოლილს) გაუთავებლივ ჰყვებიან. როცა ეს მობეზრდებათ, ტელეფონს ჩამოეკიდებიან და ნაცნობსა და უცნობს საათობით ურეკავენ.

ერთხელ ისეთი ვითარება შეიქნა, რომ მუშაობა ვეღარ შევძელით (ერთ ოთახში ოთხი ვისხედით). ვიღაცასთან ყოველთვის იყო ვინმე. ზოგჯერ ოთხივესთან ერთდროულად იყრიდნენ თავს ან ავტორები, ან გასართობად მოსული პირები. რედაქტორს ვუთხარით, რომ გაგვეკეთებინა წარწერები კარებზე (როგორც ეს სხვა რედაქციებშია ახლაც): „ავტორებთან მოლაპარაკება ორი საათის შემდეგ“ და ოთახში კი გაგვეკრა განცხადება: „გთხოვთ, უსაქმოდ ნუ გაჩერდებით“. დაგვეთანხმა და გავაკეთეთ ასე. ველოდებით, რა შედეგს გამოიღებს. არ ვიცი, ვისზე როგორ იმოქმედა, ორმა ჩემმა ნაცნობმა კი არაფრად ჩააგდო. დილის 11 საათია. მაგიდებთან ვსხედვართ და ვმუშაობთ. არ ვარგა ამ დროს გამოთიშვა, სამუშაოდან მოწყვეტა. ჩვენი ნაცნობ-მეგობარი კი უკვე ტელეფონს უზის და რომელიღაც „გასტრონომში“ რეკავს, ახალი ხორცი არის თუ არა. კარგა ხანს ვუთმინე და მერე ვუთხარი:

– კაცო, შენ კარებზე განცხადება თუ ნაიკითხე? „ავტორებთან მოლაპარაკება 2 საათის შემდეგ“.

– მერე მე წერილი მოგიტანე თუ? მე სულაც არ ვარ ავტორი.


– აბა, ის წაიკითხე კედელზე: „გთხოვთ, უსაქმოდ ნუ გაჩერდებით!“

– ეს ჩემზე კი არა, თქვენზეა ნათქვამი, ვინც აქ ხართ! თქვენ არ უნდა გაჩერდეთ უსაქმოდ, რადგან მთავრობისგან ჯამაგირს იღებთ. მე კი დღეს თავისუფალი ვარ.

გაგვეცინა და ხელი ჩავიქნიეთ. მას შემდეგ ჩვენი რედაქციის კარები ყოველთვის ღიაა მომსვლელთათვის. მობრძანდით დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე!

1966 წლის ივნისიდან ხორცი შეისხა დიდი ხნის ნატვრამ. გამოსვლა დაიწყო „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალურმა დამატებებმა: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „რუსული ენა ქართულ სკოლაში“, „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“, „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში“, „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“.

რედაქციაში ბევრ ვინმეს გავეცანი, დიდსაც და პატარასაც, სახელოვან მეცნიერსა და პრაქტიკოს მასწავლებელსაც. ბევრ მათგანს ჰქონდა რალაც თავისებურება, რაც მათ სხვებისაგან განასხვავებდა. ერთ-ერთ მათგანზე მინდა ყურადღება შევაჩერო. რედაქციაში რამდენჯერმე მოვიდა ცნობილი კრიტიკოსი, ღვაწლმოსილი ლიტერატორი ბატონი იპოლიტე ვართაგავა. მე მას რედაქციაში მოსვლამდეც ვიცნობდი,



იპოლიტე ვართაგავა
თბილისი, 1944 წელი

„სახალხო განათლების“ მუზეუმში დადიოდა და წარსულის ბევრ საინტერესო ამბავს ყვებოდა. მუზეუმმა მისი „მოგონებების“ რამდენიმე ტომი შეიძინა (ხელნაწერი იყო).

ერთხელ რედაქციაში წერილი გამოგზავნა (კონკრეტულად არ მახსოვს, რა საკითხს ეხებოდა). რატომღაც არ დაიბეჭდა და, როგორც ჩანს, პასუხიც დროზე ვერ მიიღო. ძალიან მკვახე წერილი მივიღეთ მისგან (ეს წერილი ახლა ჩემთან ინახება). სხვათა შორის, წერდა, რომ ძველად რედაქტორები ახლანდელზე ნაკლებნი არ ყოფილან ჭკუითა და ცოდნით, მაგრამ ისინი თავს იწუხებდნენ და პასუხს ავტორს დროზე აძლევდნენ, განუსჯელად კალათში არ ყრიდნენო. ერთი სიტყვით, ცხარე წერილი იყო.

იმ ხანებში გამოვიდა იპ. ვართაგავას „მოგონებების“ პირველი წიგნი. ერთმა ჟურნალისტმა ეს „მოგონებები“ მიწასთან გაასწორა – აი, რა უმსგავსო რამ იბეჭდებაო. მე ჩვენს ჟურნალში ამ წიგნზე პატარა, გულთბილი ბიბლიოგრაფიული წერილი გამოვაქვეყნე. აღვნიშნე, რომ ავტორი რასაც წერს, წერს გულწრფელად, სიყვარულით და შეულამაზებლად.

ერთ დღეს მობრძანდა ბატონი იპოლიტე. დიდი პატივისცემით მივიღეთ. მეუბნება:

– მადლობელი ვარ შენი, რომ ჩემს წიგნზე ტკბილი სიტყვა თქვი. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ რაკი მოხუცი ვარ, ადვილია, თავში ჯოხი გირტყან. არა, არ გამოვა ასე! მე როგორც შემეძლო და შემიძლია, ჩემს ქართველ ხალხს, ქართულ მწერლობას ისე ვემსახურებოდი და ახლაც ვემსახურები. იმ ბოროტაძეს (ასე თქვა! თათარიშვილ-ეკალაძეს გულისხმობდა), დრო მოვა, ქვეყანა მიაფურთხებს, ჩემს ღვაწლს კი ღირსების მიხედვით დააფასებს.

ძალიან აღელდა. დასამშვიდებლად ვუთხარი:

– ბატონო იპოლიტე! იმ ნაწერს კაცი ყურადღებას არ მიაქცევს. თქვენ თქვენი

მოღვაწეობა ჩვეულებისამებრ განაგრძეთ. ყოველთვის დაფასებული იყავით და ახლაც დიდად გაფასებენ.

დიდხანს არ გაჩერებულა. წამოდგა, საშუალოზე მაღალი იყო, ზორბა, სიბერეში ღრმად შესული. მომეჩვენა, რომ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულმა რეცენზიამ მის წიგნზე გადაავიწყა წინანდელი წყენა. ყოველ შემთხვევაში, თავის გამოუქვეყნებელ წერილზე ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს. ერთი თვის შემდეგ კიდევ მოვიდა. მომიტანა პასუხი მის განმაქიქებელ ჟურნალისტ-კრიტიკოსის საწინააღმდეგოდ, არა დასაბეჭდად, არამედ გასაცნობად (ამ პასუხის ასლები სხვა რედაქციებისთვისაც გაეგზავნა). ერთი სიტყვით, დავმეგობრდით.

არ ვიცი, კიდევ მომეცემა თუ არა საშუალება, ვთქვა რაიმე ამ საინტერესო მოღვაწის შესახებ. ამიტომ გავიხსენებ ერთ ჩვენს საუბარს სახალხო განათლების მუზეუმში.

იპ. ვართაგავამ ლ. ბოცვაძის „განათლებაში" გამოაქვეყნა კრიტიკული წერილების სერია: „მთის შვილის ვაჟას სიმღერა" (მგონი, ასეა). ავტორი ბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა და, სხვათა შორის, რამდენადაც მახსოვს, იმასაც წერდა, რომ პოემები „სტუმარ-მასპინძელი" და „გველის მჭამელი" თითქოს მთლიანად ხალხურ თქმულებებს ეფუძნებოდეს, მის ხაზს მიჰყვებოდეს და ძნელი გასაგებია, რა არის მათში საკუთარი თვითონ მგოსნისა.

პოემების ასეთმა შეფასებამ გამოიწვია ვაჟა-ფშაველას წერილი: „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი". ეს არის ბრწყინვალე წერილი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ვაჟას შემოქმედების, კერძოდ, ხალხური პოეზიისადმი მისი დამოკიდებულების გასაგებად. ვაჟას პასუხი ალაგ-ალაგ საკმაოდ მკვახე ტონითაა დაწერილი.

ამ საკითხზე ბატონ იპოლიტესთან საუბარი ჩემთვის ცოტა უხერხული იყო, მაგრამ მოგვიანებით მაინც მოვახერხე, გამეხსენებინა მისი წერილები და ვაჟას პასუხიც. ვკითხე:

– ბატონო იპოლიტე! თქვენ ვაჟას საპასუხოდ ხომ არ დაგიბეჭდავთ რაიმე?

უარის ნიშნად თავი გააქნია. მერე თქვა:


– მე რასაც ვფიქრობდი, იმას ვწერდი.

წამოდგა და განაგრძო:

– ისე, ჩემი დიდი მადლობელი უნდა იყვნენ ვაჟას მკვლევარები და კრიტიკოსები, მთელი ქართული მწერლობა. ჩემი წერილები რომ არა, ვაჟას პასუხიც არ დაიწერებოდა. მასში დიდმა მგოსანმა შემოქმედებითს ქურაში ჩაგვახედა და მომავალ კრიტიკოსებს გზა უჩვენა, რომლითაც უნდა ევლოთ.

სავსებით მართალი თქვა. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

მე არაფერი მითქვამს გრ. საჯაიას შემდეგდროინდელ რედაქტორებზე (პ. შამათავა, არჩ. გოგელია...), არაფერი მითქვამს იმათ შესახებ, რომლებიც გარკვეულ პერიოდებში ჟურნალში მუშაობდნენ (არჩ. უშვერიძე, ზ. ცუცქირიძე, გ. სანდამიშვილი, ნ. შატაიძე, მ. თავდიშვილი, ბ. ჯაფარიძე, ვ. გაგუა და სხვ.) და ადგილის გამოცვლის შემდეგაც ჩემთან მეგობრობა არ გაუწყვეტიათ. არაფერი მითქვამს რედაქციის ახლანდელი მუშაკების შესახებაც, მაგრამ ვიმედოვნებ, მათ ირგვლივ ცალკე წერილში მექნება საუბარი.



ნოდარ ტაბიძე, მიხეილ კეკელიძე,
ბეჟან ჯაფარიძე
თბილისი, სამაიას ბაღი, 1966 წელი

ვიცოდეთ თუ არ უნდა ვიცოდეთ?

ბოლო წლებში ბევრი წერილი და მოგონება ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში, რომლებშიც აღწერილია, თუ რა გადახდათ თავს მოგონებათა ავტორებს ან მათ ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს ჩეკას ჯურღმულებში, ციხეებსა და გადასახლებაში, ვის რა წვლილი მიუძღოდა მათს ტანჯვა-წამებაში და, ბოლოს (უარეს შემთხვევაში), დახვრეტაში. უმრავლესობა კონკრეტულად არ ასახელებს დამსმენ-დამბეზღებლების, ჩეკისტებისა თუ არაჩეკისტების გვარებს ან კიდევ (ხანდახან) ინიციალით აღნიშნავს (თუმცა კარგად იციან, ვინც იყვნენ მათი „გამაბედნიერებელნი").

ისმის საკითხი: უნდა გამომჟღავნდეს, თუ არ უნდა გამომჟღავნედეს ის პიროვნება, ვინც სისაძაგლე ჩაიდინა თავის გადარჩენის მიზნით ან, უბრალოდ, „მოხალისეობის" ჟინით შეპყრობილმა გასცა, დააბეზღა, ცილი დასწამა პეტრესა თუ ივანეს და ამ დაბეზღების შედეგად დაბეზღებულნი ზოგი გადაასახლეს, ზოგიც – დახვრიტეს?

დამბეზღებელთა და მწამებელ ჩეკისტთა გვარების გამჟღავნებას ზოგიერთი ეწინააღმდეგება, ზოგი – არა.

რატომ?

ჩემი ვარაუდით, რედაქციების ან წერილთა ავტორების აზრით (ეს უფრო გამოკვეთილად ჩანს) წარსულის ცოდვები წარსულს ეკუთვნის და ახლანდელ თაობაში, დაღუპულ-დახვრეტილთა შთამომავლობაში გამოიწვევს შურისძიების წყურვილს. გარდა ამისა, ნაჩეკისტარ-„ნაშპიონარ" პირთ დარჩათ შთამომავლობა, რომელიც პატიოსნად ემსახურება სამშობლოს და, როცა ისინი გაიგებენ თავიანთი ბაბუების, მამა-ბიძების საძრახის საქციელს, საშინელ სულიერ ტრავმას მიიღებენო.



მიხეილ კეკელიძე, სიმონ სხირტლაძე
თბილისი, 1968 წელი

მე შურისძიებისაკენ არავის მოვუწოდებ. თვითონ მოინანიონ თავიანთი ცოდვები. მაგრამ მე მინდა, სიმართლე ვიცოდე. მე არ მინდა ტაში დავუკრა და ხოტბა შევასხა მათ, ვინც ამის ღირსნი არ არიან. მათ შთამომავლობას კი არავინ ემუქრება. იყონ და იღვაწონ სამშობლოსათვის, საქართველოს საკეთილდღეოდ. მამა-პაპის ცოდვებისათვის მათ პასუხს არავინ სთხოვს და ვერც მოსთხოვს. ღმერთმა სიკეთე მისცეთ!

კიდევ ვიმეორებ, შვილები არავითარ პასუხს არ აგებენ მამების საქციელზე, ისევე, როგორც მამები შვილების საქციელზე. კარგ მამას შვილი თუ წამხდარი გამოუვიდა, ძალიან დასანანია, მაგრამ რას ვიზამთ, დიდი აკაკისა არ იყოს, „მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“


ასევე, შვილების რა ბრალია, თუ მათი მამა-პაპები სიბინძურეში ხელის გასვრას, ზოგი ნებსით და ზოგიც უნებურად, არ ერიდებოდნენ? შვილები, შეიძლება, საამაყო მამულიშვილებიც გახდნენ და ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია, ბოროტად წამოვაძახოთ – ასეთი და ასეთი მამის შვილი ხარო! ყველა მხოლოდ თავის მოქმედებასაქციელისათვის აგებს პასუხს ერის წინაშე.

ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ. სიმონ სხირტლაძემ გამაცნო მასწავლებელი კაპიტონ ლაშხი (რაჭველი) და მითხრა: ამ ჩემმა მეგობარმა გადასახლებაში რვა წელი გაატარაო.

– რაზე-მეთქი? – ვკითხე.

გაეცინათ. მერე ლაშხმა მიპასუხა:

– სკოლაში თვე-ნახევრის ხელფასზე მოგვანერინეს ხელი ობლიგაციების შესაძენად. მერე სახლში მომადგნენ და კიდევ მომთხოვეს, ოჯახის სახელითაც მომენერა ხელი ობლიგაციებზე. მე უარი ვუთხარი, სკოლაში მაქვს ხელი მონერილი-მეთქი.



მიხეილ კეკელიძე

მოაწერე ხელი, შენთვის ჯობსო. ისევ უარი ვუთხარი. მაშინ ერთმა თქვა: ხელი მოაწერე, ფულს მოიგებო.

მე სიცილით ვუპასუხე:

– მაკე ძროხა მყავს, მგონი, მეათე თვეშია, ხბო კი ჯერ არ მოუგია და საბჭოთა ობლიგაციით მოვიგებ მე რამეს?

გულმოსულნი წავიდნენ და დამემუქრნენ. მეორე დღეს ლაშხი დააპატიმრეს. ბრალდება: ხალხში ანტისაბჭოთა აგიტაცია ობლიგაციების გავრცელების წინააღმდეგ. შედეგი: რვა წლით გადასახლება.

თუ სხვა ფაქტებიც გაინტერესებთ, საკმაოდ მაქვს, ამ მხრივ „გაჭირვება" არ არსებობს.

სიმართლის თქმა და ფაქტების გამომზეურება იმიტომაც არის საჭირო, რომ ადამიანები გაფრთხილდნენ, არ ჩაიდინონ ისეთი რამ, რაც მათ სახელს შავ ლაქად დააჩნდება, თუნდაც ეს სიკვდილის ფასად დაუჯდეთ.

დიდი ქართველი ქრისტიანი და მიმტევებელი, ბრწყინვალე პოეტი, საქართველოსთვის სულიერად და ფიზიკურად ნატანჯ-ნაწამები დავით გურამიშვილი წერდა:

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

და ეს აფორიზმიც მას ეკუთვნის: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად".

დიახ, ვერ ვიტყვით! რა ვალდებულია ქართველი ხალხი, რა ვალდებული ვარ მე და ათიათასობით ჩემნაირი, „კახაბერად" (დიდ მამულიშვილად, სამშობლოსათვის

თავდადებულად, სპეტაკ, პატიოსან ადამიანად) მოვიხსენიოთ ის ან ისინი, თაყვანს ვცემდეთ და ხოტბას ვასხამდეთ მათ, რისი ღირსნიც არ არიან? ეს იმიტომ, რომ სიმართლე არ ვიცით, სიმართლე არ სურთ გაგვიმხილონ. ამ 70 წლის განმავლობაში ბევრი ცრუ კახაბერი გამოჩნდა ასპარეზზე და საჭიროა, ხალხმა, საქართველომ იცოდეს, ვინ იყო „ნამდვილი კახაბერი“ და ვინ – „ცრუ კახაბერი“. ბალღამი უნდა გამოიწუროს, რათა სულიერად განვიწმინდოთ და ზეცისაკენ ავმაღლდეთ.

ყველაფერი უნდა გამოაშკარავდეს. საჭიროა, სპეციალური საარქივო ჟურნალის დაარსება, რომელშიც, დაწყებული 1921 წლიდან, ჩეკას ყველა საიდუმლოება, მისი „საგმირო საქმენი“ გამომზეურდება. ეს მომავალ თაობებსაც ჭკუას ასწავლის და მუდამ ყურში ჩასძახებს:

„ფრთხილად, ქართველო! პატიოსნად განვლე შენი ცხოვრების გზა, ვინაიდან არა რაი არს დაფარული ამქვეყანად. ეს ყველაფერი გახსოვდეს!“

დავამთავრე!

ცხოვრება ძალიან რთულია. ვინც პატიოსნად, კეთილსინდისიერად გაივლის ცხოვრების გზას, პატივისცემის ღირსია. განსაკუთრებულს ისინი არაფერს ითხოვენ, მხოლოდ თქვან საქართველოსთვის, ჩვენი ძვირფასი სამშობლოსთვის უანგაროდ მოყვარულ მებრძოლ ქართველზე:

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

1992 წ. 31 ოქტომბერი

თბილისი

მიხეილ კეკელიძის 80 წლისთავის გამო[1]

შემთხვევით თუ არაფერი ხდება, ალბათ საგულისხმოა, რომ მიხეილ კეკელიძეს 80 წელი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს შეუსრულდა. იუბილე, უპირველეს ყოვლისა, ოთხმა შვილმა და შვიდმა შვილიშვილმა მიულოცა.

ბევრი ფიქრობს, ბედნიერი მაშინ არის კაცი, როცა მისი ესმის ადამიანებს. ამ მხრივ მიხეილ კეკელიძე, მართლაც ბედნიერი კაცია. მან, დიახაც რომ კაცურად განვლო ცხოვრება. წუთისოფლის გზაზე მას არასოდეს უძებნია თავისი ნიჭისა და უნარის შესაფერი თანამდებობები, იქნებ იმიტომ, რომ ვერც წარმოიდგენდა ბევრ სხვათა მსგავსად, როდესმე პრინციპებისთვის ელალატა და დროისათვის ხარკი გადაეხადა.

ერთხელ, საკმაოდ დიდი ხნის წინ, როდესაც საბავშვო მოთხრობების წიგნი გამოსცა, ერთ-ერთმა გამოჩინებულმა მწერალმა უთხრა – შემოდი მწერალთა კავშირშიო. თან დასძინა – ერთი კაცი გვინდა მოვიშოროთ და ჩვენი ჯგუფის წევრი გახდებიო. ბატონ მიხეილს გაღიმებია – ამ საქმისთვის არ გამოგადგებითო.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში, სადაც სიცოცხლის თითქმის ნახევარი გაატარა, დღესაც ტრადიციაა – ახალ თანამშრომელს ბატონი მიხეილის ოთახში სვამენ – კაცობას გასწავლისო...

„კაბადონი-8“-ის რედაქციის თანამშრომლები ვულოცავთ მიხეილ კეკელიძეს 80 წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს, მკითხველს კი ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

– ოთხმოცი წელი, ბატონო მიხეილ, საკმაო დროა ალბათ ცხოვრების ავ-კარგის გასარჩევად...

– მართალს ბრძანებთ, არაა ცოტა, მაგრამ რა? ასე მეჩვენება, თითქოს მხოლოდ ერთი დღე იყოს გასული. ჩემი მეგობრების წრე კი შაგრენის ტყვავივით ვიწროვდება, მგონი, მარტო მე დავრჩი. დავკარგე უახლოესი მეგობრები: ნიკო ტატიშვილი, გიორგი შატბერაშვილი, სიმონ სხირტლაძე, გრიგოლ სვანი, ვაჟა ავალიშვილი, გივი ქავთარაძე, ვალერიან მაჩაიძე და სხვანი. ზოგი ომში დაიღუპა, ზოგი გადასახლებაში, ზოგიც უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ხანდახან საოცარ მარტოობას ვგრძნობ, თუმცა, ახალგაზრდა მეგობრებიც საკმაოდ მყავს, მაგრამ, რა დასამალია, ძველებთან უფრო ბევრი რამ მაკავშირებდა.

– ბატონო მიხეილ, ამ 80 წლის განმავლობაში საქართველოს თავზე არაერთი ცოდვის კევრი დატრიალდა, აქედან ყველაზე უფრო რა დაგამახსოვრდათ?

– მოსაგონებელი ბევრია, მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩამრჩა 1919, 1921, 1924 და 1937 წლები. 8-9 წლისა ვიქნებოდი, ერთხელ მამამ მთელი ოჯახი უნივერსიტეტამდე რომ მიგვიყვანა. იქიდან წყნეთის ქუჩას გავყევით. ზღვა ხალხი მიდიოდა. გზაში მამას ვიღაც ნაცნობი შეხვდა, გადაკოცნა და უთხრა: „გილოცავ 26 მაისს, გილოცავ საქართველოს მკვდერთით აღდგომას!“ მაშინ მივხვდი, რაღაც ზეიმზე მივდიოდით. ასეც იყო. მე მგონია, სადაც ახლა ვაკის პარკია, ფერდობზე უთვალავი ხალხი იდგა. დაბლაც მთელი სივრცე ხალხით იყო სავსე. მინდორზე „შევარდნელები“

[1] ინტერვიუს დასათაურება ჩვენია – რედ.

ლამაზ ვარჯიშებს აჩვენებდნენ. ხალხი 1919 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველ წლისთავს ზეიმობდა. ჩვენ ქვემოთ ჩასვლა ვერ მოვახერხეთ და ისევ ფერდობზე დავრჩით. უცებ ჩოჩქოლი შეიქნა. ჩვენს ახლოს ეტლი გაჩერდა. ხალხი შემოეხვია და ყვავილები დააყარა. ეტლის სახურავი გადაწეული იყო, შიგ თითქმის სულ გაჭაღარავებული კაცი იჯდა, მარტოდმარტო. საოცრად მშვიდი, წყნარი სახე ჰქონდა. ასეთივე დამამშვიდებელი სახე ჰქონდა კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძესაც, რომელიც ბევრჯერ მინახავს. უცებ ხალხმა იხუვლა: „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!", „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!", „ნოე ჟორდანის გაუმარჯოს!". ეტლში, თურმე, ნოე ჟორდანია იჯდა. მქუხარე ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა.

1921 წლის თებერვალში, მოგეხსენებათ, შავი დღე გაუთენდა საქართველოს, რუსეთის მე-11 არმიამ, ქართველ მოღალატეთა ხელშეწყობით და მეთაურობით, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები გადმოლახა. ტაბახმელასთან რომ ბრძოლები იყო, სროლის ხმა დიდუბეშიც გვესმოდა. საშინელ გუნებაზე ვიყავით ყველანი. ერთ დღეს, რიცხვი არ მახსოვს, დედაჩემი ნამტირალევი, გაფითრებული მოვიდა. ახლანდელ უზნაძის ქუჩაზე რომ საავადმყოფოა, იქ ჩვენი ნათესავი იწვა. მასთან საჭმელი მიეტანა. იქ შესწრებოდა, თუ როგორ გამოიტანეს დახოცილი ქართველი ჯარისკაცების 15-მდე კუბო. პროცესიას ძაძით მოსილი ქალები და ხალხი მდუმარედ, თავჩაქინდრული მიჰყვებოდა თურმე. ბევრი ვიტირეო, თქვა დედამ და ისევ აუვარდა ტირილი.

25 თებერვლამდე რამდენიმე დღით ადრე მამამ რუსთაველის პროსპექტზე წაგვიყვანა. იქ ხშირად დადიოდა ფრონტზე მდგომარეობის გასაგებად. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო თავმოყრილი და ცდილობდა, გაეგო უკანასკნელი ამბები. დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლია, მრგვალი სარეკლამო ბარი იდგა. მასზე კარიკატურა იყო გამოკრული (ლენინი და ტროცკი ერთმანეთს თავში სტაფილოს ურტყამდნენ, ჰქონდა რაღაც წარწერა, მაგრამ არ მახსოვს რა), ჩვენც კარიკატურის სანახავად გავეშურეთ. უცებ ვიღაცამ მამას ხელი მოჰკიდა, მიესალმა და უთხრა: ეს კარიკატურა ჩემი დახატულიაო, მამაჩემის შეკითხვაზე კი, როგორი მდგომარეობაა ფრონტზეო, ბრაზიანად უპასუხა: „ვერ შემოვლენ ეგ ძაღლიშვილები ჩვენში! ვერ მოესწრებიან ამას! აი, შეხედე, ვის სურს ჩვენი დაპყრობა!"

გავიხედეთ პროსპექტზე. ორმოცამდე ტყვე ნითელარმიელი მოჰყავდათ ჩვენებს. ჩამოფხატულ-ჩამოძონძილები, მაგრამ მათ შორის ჩანდნენ ჩექმებიანი სისხლისმსმელებიც, რომელთაც ეცვათ გალიფე-შარვალი, ტყავის „ტუჟურკა" და ეხურათ ტყავის ქუდები. ეს ალბათ წითელი არმიის „კომისრები" იყვნენ.

გამომშვიდობების შემდეგ ვკითხე მამას, ის კაცი ვინ იყო-მეთქი. მიპასუხა: ეს პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილია, გვარად სირბილაძეო. რა საოცრება არ ხდება ცხოვრებაში! მიწიშვილმა შემდეგ ლექსი უძღვნა სერგო ორჯონიკიძეს, სწორედ იმას, რომელიც დამპყრობლებს წინ მოუძღოდა. ალბათ შიშის გამო, მაგრამ არ უშველა, მაინც იმ ბანდიტების მსხვერპლი გახდა.

1924 წლის აგვისტოში ბოლშევიკებმა სისხლის ზღვა დააყენეს საქართველოში. გაულიტეს ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი: უამრავი უმონყალოდ დახვრიტეს, მათ შორის ჩემი ბიძაშვილი ალექსი კეკელიძე, კორნელი კეკელიძის უფროსი ვაჟი. იგი მხოლოდ 18 წლისა იყო. შედიოდა იმ ქართველი ახალგაზრდების ჯგუფში, რომლებიც

თბილისში აჯანყების დაწყების ნიშანს ელოდნენ. არ გაუმართლდათ. მაშინ ბიძაჩემი და ბიცოლა მინადორა კასრაძე ქემერტში ისვენებდნენ. იქ დაეპატიმრებინათ და ერთი კვირა ცოლ-ქმარი გამომწყვდეული ჰყავდათ ოთახში. მერე გაეთავისუფლებინათ და თბილისში დაბრუნების ნება მიუციათ. ეს თვითონ კორნელის ნაამბობიდან ვიცი.

სიტყვამ მოიტანა და ერთხელ კორნელის ვუთხარი, მოგონებებს თუ წერ-მეთქი. გაეცინა – მოგონებები რომ დავწერო და ვინმემ დამაბეზღოს, ციმბირი სანატრელი გამიხდებაო. მერე კი რამდენიმე საიდუმლო გამანდო. თურმე 1922 თუ 23 წელს (კარგად არ მახსოვს, რომელი წელი მითხრა) გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სახელით ინგილო მღვდელმა რაფიელმა წაიკითხა საქართველოს მემორანდუმი, რომლითაც პროტესტს უცხადებდნენ საბჭოთა მთავრობას და მოითხოვდნენ საქართველოდან ჯარების გაყვანას. საინტერესოა, რომ ეს მემორანდუმი მღვდელმა თურმე ხელჯოხით გაიტანა უცხოეთში – ამოეღრუტნათ და შიგ ჩაუმალავთ. აი, ამ მემორანდუმის ავტორი ყოფილა ბიძაჩემი კორნელი კეკელიძე, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის თხოვნით შეუდგენია ტექსტი. ამ ფაქტს დღემდე მეც საიდუმოდ ვინახავდი. მის დანარჩენ ნაამბობს, მოგონებების წიგნს რომ გამოვაქვეყნებ, იქ წაიკითხავთ.

ცხადია, არც 1937 წელს ჩაუვლია უკვალოდ. 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს ბიძაჩემი ანდრო კეკელიძე, შესანიშნავი ადამიანი, ღრმად განათლებული იურისტი, ყოფილი ოფიცერი, დიდი პატრიოტი. მე ის ძალიან მიყვარდა. მისი ცოლი თამარ აბაშიძე ათი წლით გადაასახლეს. რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკში იხდიდა სასჯელს. გაუძლო აუტანელ ტანჯვა-წამებას, თუმცა, საშინელი სანახავი იყო, როცა საქართველოში დაბრუნდა, ნახევრად დაბრმავებული. დახეული დაბამბული ქურთუკი და შარვალი ეცვა ამ არისტოკრატ ქალს! სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია.

დახვრიტეს მეორე ბიძა ვენედიქტე ბაკურაძეც, დეიდაჩემის ქმარი, ხოლო მისი ქალიშვილი – რვა წლით გადაასახლეს. მოკლედ, რომ იტყვიან, ყველაფერი ეს ჯოჯოხეთია მოსაგონებლად. ჩვენს ოჯახში, ისე როგორც უთვალავი ქართველის ოჯახში, შიში და ცრემლი იყო გაბატონებული.

– თქვენ ზევით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ახსენეთ...

– კალისტრატე ცინცაძე ჩვენ გვენათესავებოდა, სოფელ ტობანიერიდან იყო. იგი მამიდაჩემის მაზლი გახლდათ. უაღრესად განათლებული ადამიანი, სათნო და კაცთმოყვარე, მიმზიდველი და სპეტაკი სახე ჰქონდა. გათეთრებული თმა-წვერი უხდებოდა და ხანდახან ფრესკიდან გადმოსულ წმინდანს ჰგავდა. ერთხელ მასთან მივედი სიონში. ძველად გამოცემული „დაბადების“ პირველი და მეორე ტომი მინდოდა შემეძინა. ვიცოდი, თითო-ოროლა ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი. გამომკითხა შინაურების ამბავი და მერე მითხრა: არ გეშინია მაგ წიგნების წაღებაო? არ მეშინიაო, ვუპასუხე. აბა, იცოდე, ჩეკა ყოველთვის ამოწმებს, ასეთი შინაარსის წიგნები ვის მიაქვსო. დაწერე ახლა განცხადება ჩემს სახელზე, რომ სამეცნიერო მუშაობის მიზნით გჭირდება და გთხოვთ, ნება დამრთოთ მისი შეძენისა-თქო.

დავწერე და მივართვი. ვიღაც მღვდელს გამოუძახა და უთხრა: ეს განცხადება

საქმეებში ჩააკერე, ამას კი „ბიბლია" გამოუტანეო. ოფიციალურად უნდა გადამეხადა 25 მანეთი. ფული მქონდა, მაგრამ არ დამანება, თვითონ გადაიხადა.

მერე მაჩვენა მანქანაზე გადაბეჭდილი თავისი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე" და მითხრა, ივანე ჯავახიშვილს და ბიძაშენს ეს ნაშრომი გასაცნობად გავუგზავნე და ორივეს მოწონება დავიმსახურეო.

შემდეგ ეს გამოკვლევა კ. ეკაშვილის ფსევდონიმით „მრავალთავში" დაიბეჭდა შემოკლებით. რატომ შემოკლებით, არ ვიცი.

– ცოტაოდენი რამ თქვენი ბიოგრაფიიდან.

– დავიბადე ქვემო იმერეთის სოფელ ტობანიერში, ისტორიულ საჩინოში. მაქვს ფილოლოგიური განათლება. ცხრა წელინადი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშაობდი კავთისხევის საშუალო სკოლაში. 1945 წლიდან გაზეთ „სახალხო განათლებაში", შემდეგ საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში ვიმსახურე. 1953 წლიდან დღემდე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციაში ვმუშაობ. ერთი სიტყვით, 38 წელი ფეხმოუცვლელად ამ რედაქციაში ვარ.

ჩემი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთადერთი ჯილდო მივიღე – იაკობ გოგებაშვილის მედალი, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდებაც მაქვს მონიჭებული.

– თქვენს შემოქმედებაზე რას იტყვით?

– არაფერი დიდი და ღირსშესანიშნავი შემოქმედება მე არ მაქვს. მოკლედ მაინც მოგახსენებთ: ეწერდი ლიტერატურული და პედაგოგიური ხასიათის წერილებს, გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც სახალხო განათლების ისტორიას და ამ დარგში მომუშავე მოღვაწეებს ეხება.

50-იან წლებში „საბლიტგამმა" გამოსცა ჩემი საბავშვო მოთხრობების ორი კრებული, 1962 წელს „ნაკადულმა" – ისტორიული რომანი „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი", 1970-იან წლებში – „ჯვარცმული ქვეყანა". ამჟამად ერთ გამომცემლობაში მიტანილი მაქვს ისტორიული რომანი „შავი ღრუბლები". ვნახოთ, დაიბეჭდება თუ არა, საერთოდ, ჩემთვის დაბეჭდვის საკითხი ძალიან ძნელად გადასალახავი კედელია. აი, ერთ მაგალითს გეტყვით, 1974 წელს „საბჭოთა საქართველოში" მივიტანე „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი" ხელახლა გამოსაცემად. მაშინდელმა გამომცემლობის დირექტორმა, ბატონმა ელგუჯა მაღრაძემ გეგმაში შეიტანა. მალე ის ახალმა დირექტორმა შეცვალა. გადიოდა წლები, უარს არ მეუბნებოდნენ, მაგრამ არც ბეჭდავდნენ. ერთი სიტყვით, რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო. მას შემდეგ 14 წელი გავიდა. გამომცემლობას ახლა „საქართველო" ჰქვია, დირექტორიც ახალია. ვნახოთ, რა მოხდება, მასაც ველოდები, სანამ ცოცხალი ვარ.

– რედაქციებში მუშაობის წლებიდანაც ბევრი რამ გექნებათ მოსაგონარი...

– რა თქმა უნდა, შეიძლება ბევრი რამის გახსენება – კარგისაც და ავისაც. მე მხოლოდ ერთზე მოგახსენებთ. 1946 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თაემჯდომარედ დაინიშნა ვინმე გოგუა. ბრძანებულება ამის შესახებ „სახალხო განათლებაშიც" დაიბეჭდა პირველ გვერდზე. მეორე დღეს რედაქტორი გრიგოლ საჯაია სადღაც დაიბარეს. მოვიდა გვიან, ჭარხალივით გაწითლებული, აღელვებული. მომიხმო თავის კაბინეტში, მაჩვენა გაზეთის ნომერი და მითხრა ბრძანებულება წაიკითხეო. წავიკითხე და თვალს არ ვუჯერებ, „უმაღლესი საბჭოს" ნაცვლად დაბეჭ-

დილია „დაინიშნა უძაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ“. ორი კვირის განმავლობაში ამ საქმეს იკვლევდა რამდენიმე კაცი. ბოლოს გაირკვა, რომ „მ“-ს ბეჭდვის დროს თავი მოსტეხოდა და „უმაღლესის“ ნაცვლად „უძაღლესი“ გამოვიდა. ასე გადავრჩით ღვთის წყალობით, თორემ ცუდად წავიდოდა ჩვენი საქმე.

– რა მიგაჩნიათ ნამდვილ ბედნიერებად?

– თავისუფლება, თავისუფლად აზრის გამოთქმის საშუალება, თავისუფალი შრომა და იმ სფეროში მოღვაწეობა, რომელიც სულით და გულით გიყვარს.

გარდა ამისა, უაღესად ვაფასებ თავმდაბლობას. რაც უნდა „მაღალი“ იყოს კაცი, მით უფრო „მდაბალი“ უნდა იყოს, ისე როგორც როსტევანი.

– რა არ მოგწონთ ადამიანის ქცევაში?

– ბევრი რამ, განსაკუთრებით კი, ქამელეონობა, იანუსობა და მლიქვნელობა, როგორც პოლიტიკაში, ისე მწერლობაში.

– დასასრულ, ერთი კითხვაც: რა გახარებთ და რა გაწუხებთ?

– უწინარესად ძალიან მახარებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მართალია, სრულ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ ძნელი და მძიმე საბრძოლო გზაა გასავლელი, მაგრამ თვით ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისა უაღრესად მნიშვნელოვანია. დაე, მრავალმა გაიგოს, რომ თავისუფლების წყურვილი ქართველ ერში არ ჩამკვდარა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობას, განგაშის ზარები პირველებმა მათ ჩამოკრეს და ყველას აჩვენეს, რომ საქართველო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს". გავიღვიძეთ და თავისუფლებისათვის იბრძვის 70 წლის მანძილზე ბორკილდადებული ქართველი ერი. ამის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება, რამდენიც არ უნდა ანთხიოს გესლი წითელმა გველეშაპმა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს 32-ე სკოლაში სიმღერას მიხეილ კავსაძე გვასწავლიდა. ლამაზი, კოხტა კაცი იყო. ყოველთვის ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ერთხელ სალამურზე რაღაც ლეგენდას გვიყვებოდა და რატომღაც ვკითხე „დიდებას“ რატომ არ გვამღერებთ-მეთქი. მანიშნა, გაჩერდიო. შემდეგ დამიმარტოხელა და მითხრა, „დიდების“ სიმღერა ახლა არ შეიძლება, ორივეს დაგვიჭერენ. მალე მოვა ჩვენი დროც და ყველა ერთად დავაგუგუნებთო, „მალე“ არა, მაგრამ, აგერ, 80 წლის გავხდი და ძლივს მოვესწარი ამ სანატრელ დროს, ჩემი მასწავლებელი კი, სამწუხაროდ, დიდი ხანია ცოცხალი აღარაა...

მგონი, ყანჩაეთის „ჟამ-გულანზეა“ ასეთი მინაწერი – თუ საქართველოს ერისთაებსა და დიდებულებს ერთობა ჰქონოდათ, ჩვენს ქვეყანას მტერი ვერაფერს დააკლებდა. დიახ, „ერთობა ჩვენთვის ტახტია, სხვებისთვის სახჩობელაო“ – ასე გვიანდერძა დიდმა აკაკიმაც.

საჭიროა ერთმანეთის დანდობა, პირადული წყენის დავიწყება და საერთო ფერხულში ჩაბმა საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჩვენს საუბარს არჩილ მეფის სიტყვებით დავამთავრებ: „განვიდევნოთ გულისწყრომა, დავიშრიტნეთ გულისთქმანი... ცრუი რისმე ენოვნება, რომელს ძალუძს დიდოვნება“.

ესაუბრა ჯემალ კასრაძე

(გაზ. „კაბადონი - 8“, № 21, 23 მაისი, 1991 წელი)

ძაფი ნერვის არ იყო მასში არაქართული

არიან ადამიანები, რომლებსაც ბუნებამ განსაკუთრებული მისია დააკისრათ: თავად უჩინარნი და უჩინონი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარშემომყოფებზე, იმ პროცესებზე, რაც მათი თანდასწრებითა და მონაწილეობით მიმდინარეობს. ეს ადამიანები საგანგებოდ როდი ირჯებიან ამგვარი გავლენის მოსახდენად. პირიქით, მათ ხშირად გაცნობიერებულიც კი არა აქვთ ეს მოვლენა, რადგან მათდა უნებურად, მათი პიროვნების გარშემო ისეთი „მაგნიტური არე" იქმნება, რომელიც თავის ორბიტაში იქცევს ყველას, ვისაც რაიმე კონტაქტი ჰქონია მათთან.

ასეთი ადამიანი იყო მიხეილ კეკელიძე – მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგიკის დარგის მკვლევარი და მასწავლებელი ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

იშვიათად მინახავს კაცი, რომელშიც ისე რელიეფურად ყოფილიყო გამოხატული ქართული ხასიათი, როგორც ეს მიხეილ კეკელიძის პიროვნებაში იყო წარმოდგენილი. იგი ქართველი იყო თავისი ნაწერებით, პირადი ცხოვრებით, სუფრასთან...

ინტელიგენტურ, მწიგნობრობის ტრადიციების მქონე ოჯახში დაბადებულს, წიგნის სიყვარული, მისი ყადრი ბავშვობიდანვე დაებადა და ბოლომდე გაჰყვა. მისი ერთადერთი სიმდიდრე, რასაც კაცის ხელი მოეკიდებოდა, წიგნები იყო. მავანთა და მავანთა მსგავსად ბატონ მიხეილს წიგნების შეგროვების მანია კი არ სჭირდა, იგი ცხოვრობდა და თანამშრომლობდა წიგნებთან. ამიტომ იყო, რომ სადაც კი გამოჩნდებოდა, ვერ აიცდენდა ხოლმე შინაურისა თუ გარეშეთა კითხვებს: ბატონო მიხეილ, ძია მიშა, ეს როგორ იქნება, ის რას ეწოდება... და ისიც არიგებდა უფასოდ და უშურველად თავის დიდ ცოდნას.

ნათქვამია, ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო. ეს გამოთქმა ბატონ მიხეილთან მიმართებაში აზრს ჰკარგავდა. მას უამრავი მეგობარი და მოყვარე ჰყავდა, მაგრამ ჯერ არავის სმენია მისთვის ვინმეს ემტროს, სადმე მტერი ჰყოლოდეს. ვინც მას კარგად გაიცნობდა, უთუოდ დარწმუნდებოდა, რომ მტრების მოპოვებას, კარგი კაცობის გარდა, სხვა რამეც სჭირდება. ეს სხვა რამე, ალბათ, პირველ ყოვლისა, პიროვნული პრეტენზიაა, მიხეილ კეკელიძეს პრეტენზიულობის ნატამალი არ გააჩნდა. მის სიტყვა-პასუხში, საქციელში, სხვათა ნამოქმედარისადმი დამოკიდებულებაში, თვით ჩაცმა-დახურვაშიც აშკარად ჩანდა უპრეტენზიობა. მისთვის უცხო იყო შეგნება – „უჩემოდ ვინ იმღერეთა" და მგონია, აქ უკვე აღარ იყო ტიპური ქართველი.

დიდხანს და ახლოს ვიცნობდი ბატონ მიხეილს და არასოდეს შემიმჩნევია რაიმე რელიგიურობა, მაგრამ უანგარობა და ქრისტიანული მიმტევებლობა, შემწყნარებლობა და თავმდაბლობა (რაც უკვე ვახსენე) ისე უხვად ჰქონდა, როგორც ეს ღრმადმორწმუნე ქრისტიანს შეჰფერის.

მომხდარა ისე, რომ მავანს ხელი წასცდენია და რომანის სათაური მოუპარავს მისთვის, მეორეს მისი გამოკვლევიდან მთელი თავები გადაუწერია, მაგრამ ბატონ მიხეილს განგაში არ აუტეხავს. მხოლოდ თავისებურად ჩაცინებდა ხოლმე და იტყოდა, სჭირდებოდა, ალბათ, საწყალს და რა ექნაო. არ თამაშობდა იგი ამგვარ კეთილშობილებას. გრძნობდნენ ამას ადამიანები და, აბა, რანაირად გაუჩნდებოდა ასეთ კაცს მტერი?

კაცი, როგორც წესი, რომელიმე თაობას ეკუთვნის, ამა თუ იმ თაობის მსოფლმხედველობისა და რწმენის გამომხატველია. ბატონი მიხეილი ამ მხრივაც გამორჩეული პიროვნება იყო. მის უამრავ მეგობარს შორის უწვერულვაშონიც იყვნენ და მხცოვნებიც. ეს თვისება იმასაც ამტკიცებს, რომ კაცი ასაკობრივად კი არ ეკუთვნის რომელიმე თაობას, არამედ შეგნებითა და გაგებით. მიხეილ კეკელიძე იმ შეგნებისა და მსოფლმხედველობის მფლობელი იყო, რომელიც ყველა თაობის ჯანსაღი და ღირსეული ადამიანების მისწრაფებებს გამოხატავდა და გამოხატავს. მას არასოდეს უღალატია თავისი მრწამსისათვის, არასოდეს მოქცეულა ამა თუ იმ თაობაში გაბატონებული პოლიტიკური კონიუნქტურის ტყვეობაში და ამიტომაც არ მიეკუთვნებოდა რომელიმე თაობას ტრადიციული გაგების მიხედვით.

მიხეილ კეკელიძე 1911 წელს, ხარება დღეს დაიბადა. ზემოთ აღვნიშნე, რელიგიური არ იყო-მეთქი, მაგრამ თავისი დაბადების დღე რომ ხარებას ემთხვეოდა, ასე მგონია, ეამაყებოდა. ლიტერატურული ნიჭიერებით გამორჩეულმა ახალგაზრდამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და თუმცა ეროვნული მეცნიერების კორიფეს, კორნელი კეკელიძის ძმისშვილისა და თვითონაც ერთობ ნიჭიერი კაცისათვის ძნელი არ იყო მეცნიერების სარბიელზე გასვლა, მან სხვა გზა აირჩია – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა დაიწყო შუაგული ქართლის ულამაზეს სოფელ კავთისხევის სკოლაში. იქ მან რამდენიმე წელი იმუშავა და იგი ამ სოფელში უბრალოდ, მხოლოდ მასწავლებელი როდი იყო. თავის კოლეგასა და მეგობართან, გიორგი შატბერაშვილთან ერთად სოფლის განმანათლებელი, სოფლად ინტელიგენტობის დამამკვიდრებელიც გახლდათ, რაც ასე სჭირდებოდა 30–40-იანი წლების ქართულ სოფელს. ამდენი წლის შემდეგ, კავთისხევში დღესაც ახსოვთ მისი სახელი და კეთილი საქმეები.

1945 წლიდან ბატონმა მიხეილმა თავისი საქმიანობა გაზეთ „სახალხო განათლებას“ დაუკავშირა, 1953 წლიდან კი, როდესაც ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ აღადგინეს და რომელსაც შესანიშნავი მოქალაქე და მოღვაწე გივი ნიორაძე ჩაუდგა სათავეში, იგი ამ რედაქციის შეუცვლელი მუშაკი გახდა. აქ სიტყვა „შეუცვლელი“ შემთხვევით არ მიხსენებია. ოთხი ათეული წლის განმავლობაში იგი არა მარტო უცვლელი წევრი იყო რედაქციისა, არამედ შეუცვლელიც. ისეთ ადამიანებს, როგორიც მიხეილ კეკელიძე იყო, შემცვლელი არა ჰყავთ და როდესაც ისინი მიდიან, მათ ადგილზე დიდი და ამოუვსები სიცარიელე რჩება.

ჯერ კიდევ კავთისხევის მასწავლებლობისას დაიწყო ბატონმა მიხეილმა სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობა: წერდა მოთხრობებს, ნოველებს. მას განსაკუთრებით იტაცებდა ისტორიული ხასიათის თემები, კერძოდ, ქართლ-კახეთის დრამატიზმითა და, ხშირად, ტრაგიზმით დატვირული ისტორია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან, ხელი მოეკიდა საქართველოს ისტორიის ისეთი საინტერესო და ტრაგიკული პერიოდის მხატვრული დამუშავებისათვის, როგორიც არის პერიოდი მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე.

მიხეილ კეკელიძის რომანების გმირები არიან სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, პატარა კახი და მთელი კოჰორტა ქართველი მამულიშვილებისა, რომლებმაც დიდ ისტორიულ გზა-გასაყართან ჩაყარეს თავიანთი ძვლები საქართველოს უკვდავების იმედით.

დიდი ისტორიული ქარტეხილების პერიოდს უძღვნა მან თავისი შესანიშნავი ტრილოგია – „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“, „ჯვარცმული ქვეყანა“, „შავი ღრუბლები“.

სამწერლო და პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად მიხეილ კეკელიძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა პედაგოგიური აზრის განვითარების პრობლემებზე, გამოიკვლია და დაასისტემა ბევრი გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და ქართულ სკოლასთან დაკავშირებული არაქართველის ღვაწლი და ამაგი. მის შესანიშნავ მონოგრაფიულ გამოკვლევას – „გორის საოსტატო სემინარიას“ გვერდს ვერ აუვლის ქართული განათლების სისტემის ისტორიის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი. თითოეული ეს ნაშრომი ცალ-ცალკე სავსებით იკმარებდა სამეცნიერო ხარისხებისა თუ წოდებების მოსაპოვებლად, მაგრამ იგი არ გახლდათ ამის კაცი... ის კი არა და, სამი სქელტანიანი რომანისა და ბევრი მოთხრობის ავტორი მწერალთა კავშირის წევრიც არ იყო.

ერთხელ ვკითხე ბატონ მიხეილს, რატომ არ ხართ მწერალთა კავშირის წევრი-მეთქი (მე მაშინ ისეთ ხალხსაც ვიცნობდი, ჯერ რომ არაფერი ჰქონდათ დაწერილი და ავანსად იყვნენ მიღებული მწერალთა კავშირში). რად მინდაო, – გაეცინა, – უკეთესი მწერალი გავხდები თუ რაო? პრივილეგიები კი არის და ერთობ სარგებლიანიც, მაგრამ სამაგიეროდ კრებებზე დაგსვამენ და ისეთ რამეზე აგაწევინებენ ხელს (დასტურს მოგთხოვენო!), რაც შენს მრწამსს არ შეესაბამებაო, – მითხრა და მისგან სხვაგვარ პასუხს არც მოველოდი.

ბატონმა მიხეილმა ისეთი ეპოქა გამოიარა, რომელიც ათასი სატანური განსაცდელით იყო აღსავსე. ძნელია, მოიძებნოს მისი ხნის კალმის მსახური კაცი, რომელსაც პოლიტიკური კონიუნქტურისათვის ხარკი არ გადაეხადოს, თავისი სინდისისა და მრწამსის წინააღმდეგ თუნდაც ერთი სტრიქონი მაინც არ დაეწეროს. მიხეილ კეკელიძემ მოახერხა ის, რომ კუპრივით ეპოქიდან ისე გამოსულიყო, ერთი ლაქაც კი არ გამოჰყოლოდა. ერთობ ძნელი იყო ეს, პირადი ცხოვრების, საკუთარი კეთილდღეობის გაწირვას მოითხოვდა და იმიტომ, თუმცა, ბატონ მიხეილს პირად კეთილდღეობაზე ისეთი წარმოდგენა როდი ჰქონდა, როგორც სხვებს. მისთვის პირადი ბედნიერება იყო სუფთა სინდისი, სულიერი და შინაგანი თავისუფლება, მეგობრების გულწრფელი სიყვარული და ის პატივისცემა, რომლის უკან რაიმე ანგარიში თუ ანგარება არ იმალება. ასეთი ბედნიერებით იყო იგი ყელამდე სავსე და რას დაგიდევდათ იმას, თუ რა ეცვა და როგორი ავეჯი ედგა მამაპაპისეულ ძველ ბინაში, ვახუშტის ქუჩაზე.

ერთი თავშესაქცევი ამბავი მინდა გაგიხსენო (თუ ეს თავშესაქცევია!). ერთხელ ბატონმა მიხეილმა ისე, სხვათა შორის, თქვა, არც ერთ ჩემს სტატიასა თუ წერილში ლენინი და სტალინი არ მიხსენებიაო. თუმცა მისგან ტრაბახი და სიცრუე წარმოუდგენელი იყო, მაინც შევეკამათეთ მე და გურამ ხანდამიშვილი („სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ვმუშაობდით მაშინ!): როგორ, ძია მიშა, 1945 წლიდან პრესაში ხართ, ასეულობით წერილი დაგიწერიათ და ბელადების სახელები ერთხელ მაინც როგორ არ წამოგცდებოდათო, – გავიკვირვეთ ჩვენ. აბა, თუ არ გჯერათ, ეძებეთ და თუ მაგ „ცოდვას“ მიპოვით, ერთ კარგ პურმარილს ვკისრულობო, – საქმე გაგვიჩინა ბატონმა მიხეილმა.

აზარტში ჩავვარდით და მართლა დავუწყეთ ძებნა ძველ საგაზეთო თუ საჟურნალო კომპლექტებში ძია მიშას „გრეხებს“. კარგად რომ დავიღალეთ, აი, ბედმა გამიღიმა: გაზეთი „სახალხო განათლება“, 1949 წლის 28 ნოემბრის ნომერი, მთელი გვერდი უკავია მიხეილ კეკელიძის სტატიას – „გორი“. არიქა, გურამ, მოდი, ნიძლავი მოვიგეთ-მეთქი, – გავძახე ხანდამიშვილს. მანაც დახედა თუ არა, თვალები გაუბრწყინდა. აბა, რა იქნებოდა, ერთ თვეში დიდი სტალინის 70-ე წლისთავია და ამხელა წერილში გორზე, სტალინი როგორ არ იქნებოდა ნახსენები...

დავიწყეთ კითხვა, ჩავედით ბოლომდე, სადაა სტალინი? მეორედ წავიკითხეთ, მაგრამ რაც არ არის, რას ეძებ?

სხვათა შორის, იმ გაზეთის რედაქტორი მაშინ გრიგოლ საჯაია იყო...

გაოცებულნი დავრჩით. გავვოცდებოდით, აბა, რა იქნებოდა, რაც ჩვენ ლენინისა და ბრეჟნევის სახელები გვქონდა ნახსენები ჩვენს წერილებში...

„სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში რამდენიმე ათეული წელიწადი ერთი დაუწერელი კანონი მოქმედებდა – ახალმიღებულ თანამშრომელს ჯერ ბატონი მიხეილის ოთახში დასვამდნენ ხოლმე. ორი მიზეზი ჰქონდა ამგვარ მოქმედებას: ჯერ ერთი, მის გვერდით მყოფ კაცს ერთბაშად გამოაჩნდებოდა ყველა ნაკლი და ღირსება კაცურ-კაცობის მხრივ და, მეორე, მისი პიროვნების „მაგნიტური ველი“ უებარი განსაწმენდელი იყო, თუ ამის საჭიროება იქნებოდა. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე დღესაც სიამაყით ამბობს ხოლმე – ბატონ მიხეილთან ერთად ვმუშაობდიო. ამ თქმაში მადლობაც არის, აღიარებაც და კიდევ სხვა რამ, რომელსაც, ზოგადად, კარგ კაცთან ურთიერთობის მონატრება ჰქვია.

მიხეილ კეკელიძე 1996 წელს გარდაიცვალა. იგი საქართველოს დამოუკიდებლობას მოესწრო, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა, მაგრამ იმ საქართველოს ვერ მოესწრო, რომელსაც ათეულობით წლების განმავლობაში ელოლიავებოდა ფიქრსა და ოცნებაში. მისი ოცნების საქართველოში ქართველებისათვის მამული იყო უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი.

ეს ერთობ პოპულარული კაცი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ოფიციალური ჯილდო და წოდება არ მიუღია. მას ეს არც უნდოდა, მაგრამ ენციკლოპედიას რომ გაეშლი ხოლმე და... ვინ აღარ არის იქ?

თითო-ოროლა ოცობედა ნარკვევის ავტორებიც კი, მაგრამ წოდებებითა და ჯილდოებით აღჭურვილები ადვილად იმკვიდრებენ ადგილს ისტორიის ფოლიანტებზე, ჭეშმარიტ მამულიშვილებს იშვიათად გამოუჩნდებათ ხოლმე ქომაგნი.

თუმცა, რა გასაკვირია, ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ქვეყნის ღალატით ბევრად უფრო დიდი სახელის მოხვეჭა შეიძლება, ვიდრე მისთვის თავდადებით.

ზურაბ ცუცქირიძე

(გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 8-15 ივნისი, 2001 წელი)

პირთა საძიებელი

აბაშიძე – ალექსი კეკელიძის მეგობარი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე – გვ. 66.

აბაშიძე თამარ – ანდრო კეკელიძის მეუღლე, 1937 წელს გადასახლებული – გვ. 212, 282.

აგარელი (ციცქიშვილი) გობრონ (1899–1951) – მწერალი, მთარგმნელი – გვ. 270.

აგეევ – პატიმარი – გვ. 133, 134, 135, 137.

ავალიშვილი ვაჟა – მიხეილ კეკელიძის კლასელი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 69, 72, 73, 74, 76, 77, 80, 82, 87, 91, 93, 97, 150, 280.

ავალიშვილი ნიკო – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 72.

ავალიშვილი ნინო – გვ. 12.

ალავიძე მიხეილ (1916-1996) – მწერალი, კრიტიკოსი – გვ. 242, 243.

ამირეჯიბი შალვა (1887–1943) – მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი (1918-1921), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 197.

ამბროსი (ხელაია ზოსიმე) (1861–1927) – სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1921–1927) – გვ. 46, 47, 244, 282.

ანტონ I (ბაგრატიონი თეიმურაზ) (1720–1788) – სასულიერო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1744–1756, 1763–1788) – გვ. 251.

არველაძე მიხეილ (მიშა) – პატიმარი – გვ. 82, 105.

აროშიძე (არონიშიძე) – პატიმარი – გვ. 122.

არჩილ II (ბაგრატიონი) (1647–1713) – იმერეთის მეფე (1661–1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698), კახეთის მეფე (1664–1675), პოეტი – გვ. 9, 216, 284.

ასათიანი დავით – ფსიქოლოგიის მასწავლებელი – გვ. 33, 38, 149.

აფხაზი კონსტანტინე (კოტე) (1867–1923) – ილია ჭავჭავაძის დისწული, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის (1918) გენერალ-მაიორი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917–1919), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე (1921–1923), დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი (1922-1923), საყოველთაო ეროვნული აჯანყების მზადებისთვის დახვრიტეს – გვ. 246.

ახვლედიანი – გვ. 144, 145.

ბაბუშკინ – პოლკოვნიკი – გვ. 206, 208.

ბაგრატ-ოღლი (ბაგრატაშვილი) მუჰამედ – ჯარისკაცი – გვ. 213, 214, 219.

ბაკურაძე ვენედიქტე (ბენო) (†1937) – მიხეილ კეკელიძის ბიძა, დახვრიტეს – გვ. 212, 282.

ბაკურაძე ილია – ჯარისკაცი – გვ. 219.
ბარაბაძე პ. – ექიმი კავთისხევში – გვ. 228.
ბარათაშვილი ვახტანგ – მარიკა ბარათაშვილის ძმა – გვ. 54, 66.
ბარათაშვილი მარიამ (მარიკა) (1908–2008) – მწერალი – გვ. 54, 66.
ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817–1845) – პოეტი – გვ. 34.
ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო) (1874–1937) – იურისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 47.
ბაქანიძე ალბერტ – ჯარისკაცი – გვ. 216, 218, 219.
ბაქრაძე ვალერიან (1901–1971) – პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1937–1947) – გვ. 236.
ბაქრაძე კატო (ბურჯანაძე ეკატერინე) (1885–1972) – მწერალი, პედაგოგი – გვ. 35.
ბედელაშვილი იოსებ – პატიმარი – გვ. 121.
ბეჟუაშვილი გოგიტა – მსახიობი – გვ. 230.
ბეჟუაშვილი ვანო – კავთისხევის აფთიაქის გამგე – გვ. 228, 229, 230.
ბეჟუაშვილი შალვა (1893–1971) – მსახიობი – გვ. 230.
ბერაძე პანტელეიმონ (1901–1968) – ფილოლოგი, მთარგმნელი – გვ. 161.
ბერია ლავრენტი (1899–1953) – სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1931–1938), საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1938–1945), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი – გვ. 71, 72, 171, 181, 245, 255, 256.
ბერუაშვილი – მიხეილ კეკელიძის სკოლელი – გვ. 72, 73, 76.
ბერძენიშვილი შოთა – პატიმარი – გვ. 122, 124, 125, 150, 154, 177.
ბერძენიშვილი ქეთო – გვ. 150.
ბზვანელი (ნაცვლიშვილი) ლადო (1871–1953) – პუბლიცისტი, პედაგოგი – გვ. 241, 242, 243.
დონი (ნაცვლიშვილი დავით) (1899–1971) – მხატვარ-კარიკატურისტი – გვ. 241.
ბიბინეიშვილი ბართლომე (ბარონ) (1883–1837) – რევოლუციონერი, პუბლიცისტი, რევოლუციის მუზეუმის (1933–1936), სახელმწიფო გამომცემლობის (1933–1936), საჯარო ბიბლიოთეკის (1936–1937) დირექტორი – გვ. 75, 81.
ბილანიშვილი ალექსანდრე – მიხეილ კეკელიძის სკოლელი – გვ. 67, 68.
ბირჭაძე – ჯარისკაცი – გვ. 216.
ბოკუჩავა შალვა – პატიმარი – გვ. 114, 122, 130, 133, 150, 152.
ბოკუჩავა შუქური – პატიმარი – გვ. 114, 122, 130, 133, 150, 152.
ბოსიტაშვილი შალვა – ჯარისკაცი – გვ. 201.
ბოცვაძე ლუარსაბ (1866–1919) – პუბლიცისტი, პედაგოგი – გვ. 275.
ბოჭორიშვილი გრიგოლ (გრიშა) – კავთისხევის სკოლის დირექტორი – გვ. 167, 168, 171, 177, 179, 181, 182, 192, 220, 227, 228, 229.
ბოჭორიშვილი ლევან – პატიმარი – გვ. 121, 150, 152, 176.
ბოჭორიშვილი – მილიციის განყოფილების უფროსი – გვ. 146.
ბრეჟნევ ლეონიდ (1907–1982) – საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი (1966–1982) – გვ. 288.

ბუაჩიძე ბენიტო (1905–1937) – კრიტიკოსი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი – გვ. 48.
ბუდაგოვსკი ფედია – პატიმარი – გვ. 115.
ბუილლიშვილი ანტონინა – გეოგრაფიის მასწავლებელი – გვ. 34, 75.
ბუჟგულაშვილი – ტოპოდამზერი – გვ. 209, 210.
ბუტულაშვილი ელენე – მათემატიკის მასწავლებელი – გვ. 33.

გაბაშვილი ეკატერინე (1851–1938) – მწერალი – გვ. 32, 33.
გაბაშვილი რევაზ (რეზო) (1882–1969) – პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 33, 196.
გაბისონია მარკოზ – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 102, 103.
გაგუა ვლადიმერ (1927–1982) – პედაგოგი, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" პედაგოგიური განყოფილების გამგე – გვ. 276.
გავაშელი – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 176, 177.
გავრილა – უკრაინელი პატიმარი – გვ. 115.
გალდავა ვერა – პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – გვ. 34, 79, 149.
გამსახურდია კონსტანტინე (1893–1975) – მწერალი, მთარგმნელი, აკადემიური ასოციაციის წევრი – გვ. 48, 49.
გამრეკელი ირაკლი (1894–1943) – მხატვარი, სცენოგრაფი – გვ. 216.
გაფრინდაშვილი ვალერიან (1889–1941) – მწერალი, მთარგმნელი, ცისფერყანწელი – გვ. 48, 49, 60.
გარსიაშვილი მარიამ (მარი) – პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – გვ. 30.
გვეტაძე – გვ. 142.
გვოზდევ პეტრე – გვ. 126, 127, 128.
გეგეჭკორი ევგენი (1881–1954) – სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა (1918–1920) და იუსტიციის (1921) მინისტრი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 193, 197.
გეგეჭკორი ალექსი (საშა) (1887–1928) – რევოლუციონერი, ბოლშევიკი, პარტიული მოღვაწე – გვ. 50.
გელაშვილი გია (1937–) – ისტორიკოსი, მთარგმნელი – გვ. 10.
გელაშვილი გიორგი – პატიმარი – გვ. 88, 91, 99, 100.
გელენიძე – ბრატსკის მილიციის უფროსი – გვ. 113, 114.
გენებაშვილი – პატიმარი – გვ. 92.
გეორგიევსკი – პატიმარი – გვ. 96.
გიგინეიშვილი ივანე (1909–1982) – ენათმეცნიერი, პედაგოგი – გვ. 161, 186.
გიორგაძე-ბაკურაძე მარიამ – მიხეილ კეკელიძის დეიდა – გვ. 155.

გიორგაძე გერმანე – მღვდელი, მიხეილ კეკელიძის ბაბუა – გვ. 15, 16, 17.
გიორგაძე გრიგოლ (1879–1937) – იურისტი, სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი (1918–1919), დახვრიტეს – გვ. 81.
გიორგაძე ემელიან – პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი – გვ. 255, 256.
გიორგაძე ივანე – მასწავლებელი, მიხეილ კეკელიძის დედის ბიძა – გვ. 16.
გიორგაძე ილია – მიხეილ კეკელიძის დედის ბიძა – გვ. 16.
გიორგაძე ოლღა (დაფინე) – მიხეილ კეკელიძის დედა – გვ. 14, 15, 25, 45, 53, 55, 56, 58, 65, 66, 69, 88, 145, 146, 148, 158, 211, 281.
გიორგაძე პარმენ – მიხეილ კეკელიძის დედის ბიძა – გვ. 55.
გიორგაძე პიმენ – მიხეილ კეკელიძის დედის ბიძა – გვ. 16.
გიორგაძე – გვ. 64.
გიორგი XI (ბაგრატიონი) (1651–1709) – ქართლის მეფე (1676–1688, 1703–1709) – გვ. 9.
გიულდენშტედტ იოჰან (1745–1781) – გერმანელი მოგზაური, მეცნიერი, ცხოვრობდა საქართველოში (1771–1772) – გვ. 10.
გოგებაშვილი იაკობ (1840–1912) – მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 32, 196, 237, 252, 283.
გოგელია არჩილ (1941–) – ჟურნალისტი – გვ. 276.
გოგინავა ემელიან – გვ. 256, 257.
გოგიტიძე დათიკო – გვ. 156.
გოგოძე ვასო – სევერიანე კეკელიძის მეგობარი – გვ. 51, 54, 55, 144, 145.
გოგუა ვასილ (1908–1967) – ინჟინერი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – გვ. 233, 283.
გოგუაძე ანტისა – მიხეილ კეკელიძის კლასელი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 69, 77, 80, 87, 91, 153.
გომართელი ივანე (1875–1938) – ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი – გვ. 29, 153.
გორკი მაქსიმ (პეშკოვ ალექსეი) (1868–1936) – რუსი მწერალი, პუბლიცისტი – გვ. 132.
გრანელი (კვირკველია) ტერენტი (1897–1934) – პოეტი – გვ. 45, 128.
გრიგორიევ – პატიმარი – გვ. 147.
გუნია ვალერიან (1862–1938) – მსახიობი, რეჟისორი, პუბლიცისტი – გვ. 196.
გურამიშვილი დავით (1702–1792) – პოეტი – გვ. 34, 35, 251, 257, 278.
გურიელი მამია (1836–1891) – პოეტი – გვ. 180, 181, 182.

დადიანი დემნა – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 92.
დადიანი ჯოდორ (1922–1998) – ფილოლოგი, პედაგოგი, მეცნიერი – გვ. 60, 273.
დავითულიანი შალვა – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 176, 192.
დათუაშვილი ბაგრატ – გვ. 189.
დაისელი ვანლერ (ბაბუაძე) (1903–1932) – პოეტი – გვ. 88, 89, 90, 91, 93, 94.

დანელია პლატონ – პატიმარი – გვ. 121, 129.
დევდარიანი სეით (1897–1937) – ფილოსოფოსი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1919–1921), დახვრიტეს – გვ. 25, 76.
დევდარიანი – გვ. 76.
დეკანოსიძე დავით – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 155, 156, 157.
დეკანოსიძე ოთარ – კინოოპერატორი – გვ. 157.
დემეტრაძე შალვა (1907–1971) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე – გვ. 60.
დიდებულიძე ნადია – პედაგოგი – გვ. 177.
დოლაბერიძე ოთარ – გაზეთის „სახალხო განათლება" თანამშრომელი – გვ. 268.
დოსითეოს (წერეთელი) (†1820) – სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე, ქუთათელი მიტროპოლიტი (1781–1820), დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს წინამძღოლი, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების გამო დააპატიმრეს და მოკლეს – გვ. 47.
დოლონაძე სანდრო – მომღერალი – გვ. 96, 97.
დუდუჩავა – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 111.

ეკალაძე ბ. (თათარიშვილი ბენო) – მკვლევარი – გვ. 37, 274.
ელეფთერი – მეზობელი ტობანიერში – გვ. 16.
ელიავა შალვა (1883–1937) – რევოლუციონერი, პარტიული მოღვაწე, საქართველოს (1923–1927) და ამიერკავკასიის (1927–1930) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, დახვრიტეს – გვ. 50, 55, 194.
ელიზაროვა-ულიანოვა ანა (1864–1935) – ლენინის და – გვ. 121.
ერეკლე II (ბაგრატიონი) (1720–1798) – ქართლის მეფე (1744–1762), ქართლ-კახეთის მეფე (1762–1798) – გვ. 39, 64, 286.
კირიონ II (საძაგლიშვილი გიორგი) (1855–1918) – ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917–1918) – გვ. 23, 24.
ერისთავი ზურაბ (†1629) – არაგვის ერისთავი (1620–1629), გიორგი საააკაძის ცოლისძმა – გვ. 222.
ესენინ სერგეი (1895–1925) – რუსი პოეტი – გვ. 68.
ეული სანდრო (ქურციძე ალექსანდრე) (1890–1965) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, მწერალთა კავშირის მდივანი (1934–1937) – გვ. 263.
ექვთიმე გენათელი (შარვაშიძე) (†1822) – მიტროპოლიტი, ჯუმათისა (1736–1776) და გელათის (1776–1820) ეპისკოპოსი – გვ. 47.

ვაზგენ I (პალჩიან ლევონ) (1908–1994) – სომხეთის კათოლიკოს-პატრიარქი (1955–1994) – გვ. 125.
ვანიძე ლ. – მიხეილ კეკელიძის სკოლელი – გვ. 67, 68, 75.
ვარდინ ილია (მგელაძე ილარიონ) (1890–1941) – რევოლუციონერი, კრიტიკოსი, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი, პარტიული მოღვაწე – გვ. 48.

ვართაგავა იპოლიტე (1872–1867) – კრიტიკოსი, მწერალი, პედაგოგი – გვ. 273, 274, 275, 276.
ვასაძე აქვსენტი – პატიმარი – გვ. 114, 122.
ვასილიევ – პატიმარი – გვ. 134, 135.
ვაჟა-ფშაველა (რაზიკაშვილი ლუკა) (1862–1915) – მწერალი – გვ. 251, 275, 276.
ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696–1784) – ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის შვილი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი – გვ. 9.
ვახტანგ V, შაჰნავაზი (ბაგრატიონი) (†1675) – ქართლის მეფე (1659–1675) – გვ. 9.
ვახტანგ VI (ბაგრატიონი) (1675–1737) – ქართლის გამგებელი (1703–1714), მეფე (1716–1724), პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, მეცნიერი – გვ. 286.
ვაჭარაძე – პატიმარი – გვ. 129.
ვერმიშევ გრიგორი (1894–1973) – სომეხი მწერალი, საქართველოზე რომანის „ამირსპასალარი" ავტორი – გვ. 125.
ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ (1892–1926) – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, 1921 წლიდან ემიგრანტი, პარიზში მოკლა ავთანდილ მერაბიშვილმა – გვ. 56, 70.
ვეშაპიძე – პატიმარი – გვ. 214.
ვიქტორ – გვ. 259
ვიქტორ (ბიქტორია) – მეზობელი ტობანიერში – გვ. 16
ვოზნესენსკაია – პატიმარი – გვ. 122.
ვოროშილოვ კლიმენტ (1881–1969) – რუსი სამხედრო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (1953–1960) – გვ. 171.

ზარგინავა – „ჩეკა"-ს (საგანგებო კომისია) თანამშრომელი – გვ. 77, 78.
ზარნაძე – ჯარისკაცი – გვ. 202, 203, 206, 207, 208.
ზაქარაია გრიგოლ (გრიშა) – გაზეთის „სახალხო განათლება" თანამშრომელი – გვ. 234.
ზედელაშვილი იოსებ – პატიმარი – გვ. 129, 150, 152.
ზოლოტნიცკი ისააკ – ებრაელი პატიმარი – გვ. 116.
ზომლეთელი (ქურციძე) ნოე (1880–1938) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი – გვ. 48, 49.

თავდიშვილი მურმან – მწერალი – გვ. 276.
თავზიშვილი გიორგი (1902–1963) – პედაგოგი, კრიტიკოსი – გვ. 172, 260.
თალაკვაძე მარიამ (1902–1992) – ენათმეცნიერი, პედაგოგი – გვ. 186.
თაყაიშვილი ექვთიმე (1862–1853) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 251.
თევზაძე ანდრო (1912–1974) – პოეტი – გვ. 232.
თამარ მეფე (ბაგრატიონი) (1160–1210/13) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან – გვ. 11, 125.
თაფლოშვილი (თაფლაშვილი) – გვ. 138.
თბილისკი ს. – გვ. 216

თვალთვაძე – საპენსიო განყოფილების თანამშრომელი – გვ. 240.
თოდრია სილიბისტრო (სილია) (1880–1836) – მწერალი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1926) – გვ. 50.
თოიძე მოსე (1871–1953) – მხატვარი – გვ. 34.
თოფურია ვარლამ (1901–1966) – ენათმეცნიერი, პედაგოგი – გვ. 170, 172, 185, 186.
თოფურიძე დიომედე (1871–1937) – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, დახვრიტეს – გვ. 33.

იაშვილი პაოლო (პავლე) (1894–1937) – პოეტი, ცისფერყანწელი – გვ. 48, 49, 60.
იაშვილი შოთა – გვ. 273.
იაშვილი – პატიმარი – გვ. 109, 110.
ივანიაძე გაბო – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 82, 87, 97, 105, 140, 141.
იმნაძე ვლადიმერ – სამხედრო პირი, გენერალი – გვ. 61.
ინგილო-ივანიცკი რაფიელ (1886–1966) – იურისტი, პუბლიცისტი, სასულიერო პირი, 1922 წლიდან ემიგრანტი – გვ. 244, 282.
ინოჩენცი – ტანვარჯიშის მასწავლებელი – გვ. 34.

კაგანოვიჩ ლაზარე (1893–1991) – რუსი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 171.
კავსაძე მიხეილ (1880–1951) – მომღერალი, გალობის მასწავლებელი – გვ. 26, 284.
კალანდაძე სიმონ – პატიმარი – გვ. 110, 111, 112.
კალანდარიშვილი ნესტორ (ციმბირელი პაპა) (1865–1922) – ანარქისტი, რევოლუციონერი – გვ. 125, 137.
კალინინ მიხეილ (1875–1946) – რუსი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 265, 266.
კალისტრატე (ცინცაძე) (1866–1952) – სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932–1952) – გვ. 17, 22, 28, 46, 244, 251, 281, 282.
კანკავა მიხეილ (მიშა) – ენათმეცნიერი, პედაგოგი – გვ. 88, 93, 94, 257.
კანკავა – პატიმარი – გვ. 95.
კაპანაძე გრიშა – ჯარისკაცი – გვ. 202, 206, 207, 208.
კაპანაძე პეტრე (1866–1949) – რევოლუციონერი, პედაგოგი – გვ. 248.
კაპანელი (ჭანტურია) კონსტანტინე (1889–1952) – მწერალი, პედაგოგი – გვ. 33, 34, 35, 36, 37, 43, 74, 79, 149, 166.
კაპანელი მარი – კონსტანტინე კაპანელის ქალიშვილი – გვ. 36.
კარავაევ – ბრატსკის „გეპეუ"-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) უფროსი – გვ. 113, 122.
კარგარეთელი ია (1867–1939) – კომპოზიტორი, მომღერალი, ფოლკლორისტი – გვ. 34, 38, 39, 40, 41, 158, 166.
კარელინ – ბრატსკის „გეპეუ"-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) უფროსი – გვ. 122, 123, 130, 131, 135, 210.

კასრაძე მინადორა – კორნელი კეკელიძის მეუღლე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – გვ. 30, 65, 101, 242, 244, 252, 282.

კასრაძე ჯემალ (1945–) – ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი – გვ. 5, 284.

კაუცკი კარლ იოჰან (1854–1938) – გერმანელი ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი – გვ. 50.

კაშმაძე შალვა (სილეორეან) (1904–1955) – მკვლევარი, მუსიკოსი – გვ. 94.

კაჭახიძე დიმიტრი – პატიმარი – გვ. 121.

კახიანი მიხეილ (1896–1937) – სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1922–1930) – გვ. 50, 53.

კაჩუხაშვილი ივანე (ვანო) – მე-9 სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე – გვ. 84, 85.

კაჩუხაშვილი თოთა – განათლების სამინისტროს თანამშრომელი – გვ. 84.

კედია სპირიდონ (1884–1948) – პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, 1922 წლიდან ემიგრანტი, ჟურნალის „სამშობლოსათვის“ (1925) და გაზეთის „საქართველოს გუშაგი“ (1932) დამაარსებელი – გვ. 62.

კეკელა აშოტ – მიხეილ კეკელიძის წინაპარი – გვ. 247.

კეკელია არჩილ – პატიმარი – გვ. 88.

კეკელიძე აკაკი – მიხეილ კეკელიძის ბიძა – გვ. 14, 21.

კეკელიძე აკვირინე – მიხეილ კეკელიძის მამიდა – გვ. 14, 17, 18.

კეკელიძე ალექსანდრე – მიხეილ კეკელიძის ძმა – გვ. 13, 24, 77, 101, 145.

კეკელიძე ალექსი (1906–1924) – კორნელი კეკელიძის შვილი, დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის – გვ. 65, 66, 212, 244, 281.

კეკელიძე ანდრო (†1937) – მიხეილ კეკელიძის ბიძა, ოფიცერი, ფინანსისტი, დახვრიტეს – გვ. 14, 21, 22, 23, 25, 51, 52, 55, 85, 91, 212, 282.

კეკელიძე ასინეთ – მიხეილ კეკელიძის მამიდა – გვ. 14, 20, 21, 157.

კეკელიძე ბესარიონ – მიხეილ კეკელიძის ბიძა – გვ. 23.

კეკელიძე გიორგი – მიხეილ კეკელიძის წინაპარი – გვ. 14.

კეკელიძე დავით – მიხეილ კეკელიძის დიდი ბაბუა – გვ. 14.

კეკელიძე ეკატერინე – მიხეილ კეკელიძის ნათესავი – გვ. 254.

კეკელიძე ვანო – მეტალურგი, მიხეილ კეკელიძის ნათესავი – გვ. 70, 71, 72.

კეკელიძე თინა – ექიმი, მიხეილ კეკელიძის და – გვ. 13, 17, 74, 25, 27, 101, 145, 155, 190, 215, 219, 220, 257, 258.

კეკელიძე ილია (ილიკო) – კორნელი კეკელიძის შვილი – გვ. 17, 30.

კეკელიძე კონსტანტინე (კოტე) – კორნელი კეკელიძის შვილი – გვ. 17, 247.

კეკელიძე კონსტანტინე (კოწია) – მიხეილ კეკელიძის ნათესავი – გვ. 247.

კეკელიძე კორნელი (1879–1962) – დეკანოზი, ლიტერატურათმცოდნე, თეოლოგი – გვ. 5, 10, 14, 17, 18, 21, 22, 23, 24, 30, 34, 46, 47, 65, 240, 241, 242, 244, 245, 246, 247, 248, 249, 251, 252, 253, 254, 261, 281, 282, 286.

კეკელიძე მართა – მიხეილ კეკელიძის მამიდა – გვ. 14.

კეკელიძე მარკოზ – მიხეილ კეკელიძის წინაპარი – გვ. 14.

კეკელიძე მეთოდე – მღვდელი, მიხეილ კეკელიძის მამის ბიძაშვილი – გვ. 22.

კეკელიძე ზურაბ (რობერტ) – მიხეილ კეკელიძის შვილი – გვ. 198.

კეკელიძე სამსონ – დიაკვანი, მიხეილ კეკელიძის ბაბუა – გვ. 14, 21, 22.

კეკელიძე სევერიანე – პედაგოგი, მღვდელი, მიხეილ კეკელიძის მამა – გვ. 5, 11, 13, 14, 15, 18, 21, 22, 23, 24, 27, 28, 30, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 63, 64, 66, 69, 70, 73, 77, 78, 85, 88, 93, 96, 118, 119, 143, 144, 145, 146, 155, 158, 163, 164, 198, 199, 202, 215, 232, 240, 241, 242, 243, 247, 249, 280, 281.

კელენჯერიძე ნინო – მე-9 სკოლის ბიბლიოთეკარი – გვ. 34, 42, 43.

კერენსკი ალეკსანდრ (1881–1970) – რუსი პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 70.

კერესელიძე ლეო (1885–1943) – სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, ჟურნალისტი, 1906–1918 წლებში და 1921 წლიდან ემიგრანტი, ორგანიზაციის „თეთრი გიორგი" დამაარსებელი და მდივანი (1924–1943) – გვ. 196.

კერესელიძე გიორგი (1885–1960) – პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, 1906 წლიდან ემიგრანტი – გვ. 196.

კერესელიძე – მიხეილ კეკელიძის მოსწავლე – გვ. 184.

კვანტალიანი სანდრო – ჯარისკაცი – გვ. 201.

კვინიტაძე გიორგი (1874–1970) – სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდალი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 56, 61, 62, 63.

კვირკველია პლატონ – პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი – გვ. 156, 157.

კვიცარიძე პოლიევქტ – პედაგოგი – გვ. 241, 242.

კილაძე ალექსანდრე (საშა) – პატიმარი – გვ. 122, 130.

კიროვ (კოსტრიკოვ) სერგეი (1886–1834) – რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 96.

კლდიაშვილი დავით (1862–1931) – მწერალი – გვ. 215, 251.

კობალავა დავით (დათიკო) – მიხეილ კეკელიძის მეგობარი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 27, 69, 76, 91, 150, 153, 160, 235, 237, 238, 239.

კობახიძე არეთა – პედაგოგი – გვ. 26.

კობახიძე – ინჟინერი – გვ. 200.

კოზორინ – უკრაინელი მწერალი – გვ. 118.

კორინთელი – „ენკავედე"-ს (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) კასპის რაიონული განყოფილების უფროსი – გვ. 228, 229, 230.

კოტეტიშვილი ვახტანგ (1893–1937) – კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიური ასოციაციის წევრი – გვ. 131, 188.

კოტეტიშვილი – აგრონომი – გვ. 188.

კოციუბინსკი მიხაილ (1864–1913) – უკრაინელი მწერალი – გვ. 104.

კოლუაშვილი მიხეილ (1892–1924) – პარიტეტული კომიტეტის წევრი, დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის – გვ. 64.

კოხრეიძე – გვ. 146.

კრუპსკაია ნადეჟდა (1869–1938) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარი, ლენინის მეუღლე – გვ. 121

კუკავა თამარ (1921–2007) – ფილოსოფოსი, პედაგოგი, მთარგმნელი – გვ. 177.
კუკუტარია – კასპის „ჩეკას" (საგანგებო კომისია) უფროსი – გვ. 188.
კუხალაშვილი (კუხალეიშვილი) თადე – პატიმარი – გვ. 88.

ლადო – მიხეილ კეკელიძის მეგობარი – გვ. 259.
ლაზარე – მეზობელი ტობანიერში – გვ. 17.
ლასხიშვილი ანიკო – გვ. 191, 230.
ლაშხი კაპიტონ – პედაგოგი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 277, 278.
ლებედევ ნიკოლაი (1846–1888) – მწერალი – გვ. 199.
ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (†1709) – ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის შვილი და ვახტანგ VI-ის მამა – გვ. 9.
ლენინ (ვლადიმირ ულიანოვ) (1870–1924) – რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე, ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის დამაარსებელი, ოქტომბრის რევოლუციის ორგანიზატორი, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1922–1924) – გვ. 56, 121, 171, 194, 281, 287, 288.
ლეჟავა ანდრია (1870–1937) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილე (1924–1930), დახვრიტეს – გვ. 49.
ლეჟავა პლატონ – გამომძიებელი – გვ. 85, 86, 91.
ლეონიძე გიორგი (1899–1966) – პოეტი, ცისფერყანწელი – გვ. 221.
ლისიაკ მიკოლა – უკრაინელი პატიმარი – გვ. 115, 118, 119.
ლომთათიძე ჭოლა (1879-1915) – მწერალი – გვ. 133, 193.
ლომიძე გიორგი (1914–1999) – ლიტერატურათმცოდნე – გვ. 49, 67.
ლომოური ნიკო (1852–1915) – მწერალი – გვ. 261.
ლორთქიფანიძე გრიგოლ (1881–1937) – პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის განათლების (1920) და სამხედრო (1920-1921) მინისტრი, რეპრესირებული – გვ. 103.
ლორთქიფანიძე დავით (1905–1986) – პედაგოგი, მეცნიერი – გვ. 255, 256, 260.
ლორია თომა – სევერიანე კეკელიძის მეგობარი – გვ. 63, 66.

მაზნიაშვილი გიორგი (1870–1937) – მხედართმთავარი, გენერალი, აფხაზეთისა და თბილისის (1918), ახალციხისა და ახალქალაქის (1919) გენერალ-გუბერნატორი, თბილისის გარნიზონის მეთაური, დახვრიტეს – გვ. 56.
მალაციძე – ექიმი – გვ. 227, 229.
მამუჩაშვილი – პატიმარი – გვ. 92.
მარგალიტაძე ვანო – პატიმარი – გვ. 122, 129.
მარი ნიკო (1864–1934) – ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი – გვ. 250.
მაჩაბელი გიორგი (1885–1935) – ქიმიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, გამომგონებელი, პარფიუმერი, ემიგრანტი – გვ. 196.

მაჩაბელი ივანე (1854–1898) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 29.
მაჩაიძე ვალერიან (†1979) – პედაგოგი – გვ. 118, 160, 255, 280.
მაღალაშვილი ნესტორ (1881–1937) – პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის“ წევრი, „ქართული ლეგიონის“ შტაბის უფროსი, „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი, 1921 წლიდან ემიგრანტი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დახვრიტეს – გვ. 196.
მაღრაძე ელგუჯა (1927–1999) – მწერალი – გვ. 283.
მაჭავარიანი ალექსანდრე (ალიკო) – პატიმარი – გვ. 100.
მაჭავარიანი მარიამ – სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ფონდების გამგე – გვ. 260.
მახარაძე ფილიპე (1868–1941) – სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (1931–1936) – გვ. 50, 52, 55, 194.
მახარაძე ალექსანდრე – კავთისხევის სკოლის გამგე – გვ. 187, 188.
მახ ერნსტ (1838–1916) – ავსტრიელი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი – გვ. 75.
მგალობლიშვილი ვლადიმერ (1906–1978) – ეკონომისტი, ისტორიკოსი, პედაგოგი – გვ. 268, 270, 271.
მგალობლიშვილი სოფრომ (1851–1925) – მწერალი – გვ. 176, 183.
მდივანი ბუდუ (პოლიკარპე) (1877–1937) – რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დახვრიტეს – გვ. 55, 194.
მეგრელიშვილი გაბრიელ – კასპის განათლების განყოფილების გამგე – გვ. 172.
მეზერნოვ – კასპის პარტრაიკომის მუშაკი – გვ. 181.
მელიქაძე (მელქაძე) – „ჩეკა“-ს (საგანგებო კომისია) საიდუმლო განყოფილების უფროსი – გვ. 85, 98.
მენაბდე – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ, 176, 177.
მერეჟკოვსკი დმიტრი (1866–1941) – რუსი მწერალი, ფილოსოფოსი – გვ. 35.
მელვინეთუხუცესი ნინო – ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე – გვ. 12.
მიკოლა – უკრაინელი პატიმარი – გვ. 115.
მირიან – პატიმარი – გვ. 91.
მიქაბერიძე ალექსანდრე (1866–1943) – მწერალი, პედაგოგი, იურისტი – გვ. 9.
მიქელაძე ეკატერინე (კატო) (1878–1942) – პუბლიცისტი – გვ. 35.
მინიშვილი ნიკოლო (სირბილაძე ნიკოლოზ) (1896–1937) – მწერალი, ცისფერყანწელი – გვ. 56, 281.
მუავანაძე თამარ – კავთისხევის სკოლის დირექტორი – გვ. 164, 167, 169.
მუავია გრიგოლ (გრიშა) – პატიმარი – გვ. 88.
მოლოტოვ (სკრიაბინ) ვიაჩესლავ (1890–1986) – რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 171.
მონასელიძე – გვ. 179.
მუჯირი მელქის – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 176.

ნადირაძე კოლაუ (ნიკოლოზ) (1895–1991) – პოეტი, ცისფერყანწელი – გვ. 59, 60.
ნავთლულელი (კირაკოზოვ) შაქრო (1878–1960) – სომეხი პოეტი – გვ. 49.
ნაკაშიძე ნინო (1872–1963) – მწერალი, ჟურნალისტი – გვ. 68.
ნაკაშიძე ევსევ (ოსიკო) – კავთისხევის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე – გვ. 164, 165, 192, 198.
ნამორაძე ალექსანდრე (1891–1858) – ისტორიკოსი – გვ. 161, 162.
ნანიკაშვილი ნიკო – მასწავლებელი – გვ. 199
ნაციაშვილი ს. – ჟურნალისტი – გვ. 261.
ნახუცრიშვილი გიორგი (1902–1992) – მწერალი, დრამატურგი – გვ. 216.
ნებიერიძე ალექსანდრა – მე-9 სკოლის გამგე – გვ. 30.
ნემსაძე კოტე – გერმანულის მასწავლებელი – გვ. 34.
ნეჩაი ვლადიმირ – პოლონელი პატიმარი – გვ. 116.
ნიკო – კავთისხევის მკვიდრი – გვ. 176.
ნიკოლაძე – გვ. 216.
ნიკოლაძე გიორგი (1888–1933) – მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი, პირველი ქართული სატანავარჯიშო სკოლის „შევარდენი" (1888–1933) დამაარსებელი – გვ. 71.
ნიკოლოზ II (რომანოვ) (1868–1918) – რუსეთის იმპერატორი (1894–1917) – გვ. 120, 121, 140, 246, 261, 262.
ნინიძე კირილე (1878–1937) – იურისტი, პოლიტიკური მოღვაწე, დახვრიტეს – გვ. 47.
ნინოშვილი (ინგოროყვა) ეგნატე (1859–1894) – მწერალი – გვ. 172.
ნიჟარაძე ბესარიონ (თავისუფალი სვანი) (1852–1829) – ეთნოლოგი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, სასულიერო პირი – გვ. 22, 23.
ნიჟარაძე დავით (დათა) (1856–1922) – გენერალი, ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1910–1919) – გვ. 246
ნიორაძე გივი – გაზეთის „სახალხო განათლება" თანამშრომელი – გვ. 233, 255, 257, 260, 267, 268, 269, 270, 286.
ნოვიკოვა ი. – გვ. 121.
ნუცუბიძე შალვა (1888–1969) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი – გვ. 37.

ოდილავაძე თეიმურაზ – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 271, 272, 273.
ოდიშელიძე ილია (1865–1925) – სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი (1920–1921), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 56, 61, 62.
ომელიანსკი ტარას – უკრაინელი პატიმარი – გვ. 115.
ონოფრიშვილი გოლა – კავთისხევის მკვიდრი – გვ. 172.
ონოფრიშვილი თენგიზ – მიხეილ კეკელიძის მოსწავლე – გვ. 172, 173, 174, 175.
ონოფრიშვილი მოსე – კავთისხევის მკვიდრი – გვ. 222.

ორახელაშვილი მამია (ივანე) (1881–1937) – პარტიული მოღვაწე, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1920–1922), დახვრიტეს – გვ. 53, 55, 194.
ორბელიანი გრიგოლ (1804–1883) – პოეტი, გენერალი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 36.
ორბელიანი სულხან-საბა (1658–1725) – მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 18, 286.
ორჯონიკიძე სერგო (1886–1837) – რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე – გვ. 53, 55, 56, 60, 73, 194, 262, 281.
ოსმანოვ – თათარი ჯარისკაცი – გვ. 211.
ოსმინცევ – რუსი პატიმარი – გვ. 116.
ოცხელი იოსებ (1865–1919) – პედაგოგი, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი (1918–1919) – გვ. 261.
ოძელაშვილი არსენა (მარაბდელი) (დაახლ. 1797–1842) – ბატონყმობის ნინააღმდეგ მებრძოლი გლეხი – გვ. 38.

პაიჭაძე ბორის (1915–1990) – ფეხბურთელი – გვ. 186.
პაპიაშვილი პოხრო – მოჭიდავე – გვ. 177, 192.
პაპიტაშვილი გაბრიელ – მათემატიკის მასწავლებელი – გვ. 33, 148, 149.
პაპიტაშვილი ვასილ (ვასო) – ქიმიის მასწავლებელი – გვ. 33.
პაპუაშვილი გ. – მიხეილ კეკელიძის სკოლელი – გვ. 67, 68.
პეშკოვა (ვოლჟინა) ეკატერინა (1876–1965) – რუსი სამართალდამცავი, მაქსიმ გორკის ცოლი – გვ. 132, 133.
პო ედგარ (1809–1849) – ამერიკელი მწერალი – გვ. 142.
პისტი – გვ. 19.
პომიალოვსკი ნიკოლაი (1835–1863) – რუსი მწერალი – გვ. 183.
პუგაჩოვ ემელიან (1742–1775) – დონის კაზაკი, 1773–1775 აჯანყების მეთაური რუსეთში – გვ. 104.

ჟიჟილაშვილი – კავთისხევის საბჭოს ალმასრულებელი – გვ. 229.
ჟორდანია თედო (1854–1916) – ისტორიკოსი, პედაგოგი – გვ. 251.
ჟორდანია ნოე (1868–1953) – პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – გვ. 28, 29, 30, 56, 58, 61, 62, 74, 90, 131, 135, 193, 194, 195, 196, 197, 263, 281.
ჟორდანია სამსონ – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 138, 139.

რაზმაძე – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 38.
რაზმაძე – „ჩეკა"-ს (საგანგებო კომისიის) თანამშრომელი – გვ. 77, 78, 79, 80, 81, 82, 210.

რაჭველი იასე (მეხუზლა იოსებ) (1860–1919) – მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი – გვ. 165.
რევია ლეონტი – პოლიტიკური პატიმარი, მათემატიკის მასწავლებელი – გვ. 83, 85, 86, 87.
რიკოვ ალექსი (1881–1938) – რუსი პოლიტიკოსი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1924–1930) – გვ. 265.
რობაქიძე გრიგოლ (1880–1862) – მწერალი, პუბლიცისტი – გვ. 29, 48, 49, 198.
როსტომაშვილი დავით – კირენსკის პატიმართა რაზმის უფროსი – გვ. 125.
როსტიაშვილი – გვ. 192.
რუსთაველი შოთა (XII-XIII საუკუნეები) – პოეტი – გვ. 116, 171, 242, 251, 253.
რუხაძე ნიკოლოზ (1905–1952) – გენერალ-ლეიტენანტი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (1948–1952) – გვ. 151, 152.
რცხილაძე გრიგოლ (გიგო) (1876–1934) – პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი – გვ. 197.

სააკაძე გიორგი (დიდი მოურავი) (დაახ. 1580–1629) – მხედართმთავარი, პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 64.
სააკაძე პაატა (†1625) – გიორგი სააკაძის შვილი – გვ. 227.
საბაშვილი ნესტორ – პატიმარი – გვ. 88.
საკანდელიძე – ქუთაისის მილიციის უფროსი – გვ. 155.
სალარიძე ლავრენტი – ექიმი, სევერიანე კეკელიძის მეგობარი – გვ. 51, 52, 53, 54, 96.
სამადაშვილი ანიკო – სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე – გვ. 260.
სანაძე კორნელი (1907–1985) – მხატვარი – გვ. 34.
სანდამიშვილი გ. – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 276.
სარიშვილი ტიტე (1908–?) – პედაგოგი – გვ. 232, 261.
საღარაძე გრიგოლ – მიხეილ კეკელიძის ქიმიის მასწავლებელი – გვ. 33, 79, 149.
საყვარელიძე ანეტა – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 167, 176.
საყვარელიძე გიორგი – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 92.
საყვარელიძე უჩა – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 92.
საჯაია გრიგოლ – პედაგოგი, გაზეთის „სახალხო განათლება" და ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" რედაქტორი – გვ. 231, 232, 236, 267, 271, 276, 283, 288.
სახოკია თედო (1868–1956) – მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი – გვ. 261, 262, 263.
სემიონოვ დმიტრი (1835–1902) – რუსი პედაგოგი, მწერალი – გვ. 266.
სვანი გრიშა – მიხეილ კეკელიძის კლასელი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 30, 37, 44, 69, 79, 80, 97, 280.
სვანიძე ალექსანდრე (1886–1941) – ისტორიკოსი, სტალინის ცოლისძმა, დახვრიტეს – გვ. 179.
სიდამონიძე ვახტანგ – გამომცემელი – გვ. 227.
სიმონია გრიშა – პატიმარი – გვ. 88, 96.

სიმონია სანდრო – პატიმარი – გვ. 88.
სიხარულიძე ილია (1889–1963) – პოეტი, პედაგოგი – გვ. 185.
სიხარულიძე ვახტანგ – გაზეთის „სახალხო განათლება" თანამშრომელი – გვ. 234.
სკოტ რობერტ ფოლკონ (1868–1912) – ბრიტანელი სამეფო საზღვაო-ფლოტის კაპიტანი, პოლარეთის მკვლევარი, სამხრეთ პოლუსის აღმომჩენი – გვ. 198.
სოლომონ I (ბაგრატიონი) (1737–1784) – იმერეთის მეფე (1752–1784) – გვ. 88.
სოლომონია ილია – მიხეილ კეკელიძის მასწავლებელი – გვ. 34.
სტალინ (ჯუღაშვილი იოსებ) (1878–1953) – სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი (1922–1953) – გვ. 132, 157, 158, 159, 160, 170, 171, 181, 182, 194, 199, 228, 234, 236, 244, 245, 247, 248, 255, 256, 287, 288.
სტრელნიკოვ – ციხის ზედამხედველი – გვ. 135, 210.
სტურუა ივანე (ვანო) (1870–1931) – რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 141.
სუდინა ალექსანდრა (1875–1920) – მიხეილ კეკელიძის ხატვის მასწავლებელი, მოსე თოიძის ცოლი – გვ. 34.
სულთანიშვილი კლავდიოს – „ჩეკა"-ს (საგანგებო კომისია) გამომძიებელი – გვ. 84, 98.
სურგულაძე პეტრე (1873–1931) – პოლიტიკური მოღვაწე, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 196.
სურმანიძე იბრაგიმ – პატიმარი – გვ. 128.
სხირტლაძე სიმონ (1912–1974) – მწერალი, პედაგოგი – გვ. 255, 261, 273, 277, 280.

ტაბიძე აბესალომ (1889–1948) – პედაგოგი, გალაკტიონ ტაბიძის ძმა – გვ. 18.
ტაბიძე გალაკტიონ (1891–1959) – პოეტი – გვ. 15, 18, 45, 49, 50, 251, 252, 253, 254.
ტაბიძე ნოდარ (1931–2016) – მწერალი, ჟურნალისტი, გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილი – გვ. 18.
ტაბიძე ტერეზა – მიხეილ კეკელიძის ბებია – გვ. 15.
ტაბიძე ტიციან (ტიტე) (1895–1937) – პოეტი, ცისფერყანწელი – გვ. 15, 48, 49, 60, 251.
ტანტები ლეო და კონსტანტინე – თბილისის ცირკის ხელმძღვანელები – გვ. 156.
ტატიშვილი ნიკო – ფილოლოგი, მიხეილ კეკელიძის მეგობარი – გვ. 35, 69, 72, 73, 101, 118, 128, 153, 197, 230, 280.
ტერ-გრიგორიანც ერვანდ – გვ. 257.
ტროცკი (ბრონშტეინ) ლევ (1879–1940) – რუსი რევოლუციონერი, თეორეტიკოსი, წითელი არმიის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი – გვ. 56, 259, 281.
ტუშურაშვილი – მიხეილ კეკელიძის მოსწავლე – გვ. 198.

უზნაძე დიმიტრი (1887–1886) – ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი – გვ. 161.
უკრაინკა ლესია (კოსაჩ ლარისა) (1871–1813) – უკრაინელი მწერალი, ცხოვრობდა საქართველოში (1905–1913) – გვ. 104.

ურატაძე გრიგოლ (გრიშა) (1878–1959) – პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, 1922 წლიდან ემიგრანტი – გვ. 124, 152.
ურატაძე ვარდენ (ვარლამ) – პოლიტიკური პატიმარი, ადვოკატი – გვ. 122, 124, 129, 150, 151, 152, 153, 154.
უჩაძე გერონტი – გვ. 257, 258.
უჩანეიშვილი აკაკი – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 124, 125, 133, 137, 139, 140, 141, 142, 145, 150, 154.
უშვერიძე არჩილ – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 276.
უშვერიძე ბესარიონ – მიხეილ კეკელიძის დიდი ბაბუა – გვ. 14.
უშვერიძე თებრონე – მიხეილ კეკელიძის ბებია – გვ. 14.

ფალავანდიშვილი ელენე – მიხეილ კეკელიძის რუსულის მასწავლებელი – გვ. 33, 79, 149.
ფალავა გიორგი (გოგიტა) (1895–1924) – პოლიტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, დახვრიტეს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის – გვ. 94.
ფირალიშვილი გოდერძი (1768–1823) – პოეტი, მთარგმნელი, კალიგრაფი – გვ. 39.
ფირცხალავა სამსონ (1872–1952) – პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ემიგრანტი (1922–1946) – გვ. 197, 261, 263, 264.
ფირცხალაიშვილი დიმიტრი – ჯარისკაცი – გვ. 211.
ფიცხელაური რომან – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 177.
ფონ პაპენ ფრანც (1879–1969) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის რაიხკანცლერი (1932) – გვ. 125.
ფუკალოვ – რუსი ლეიტენანტი – გვ. 206, 209, 210, 211.
ფულარიანი – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 26, 27.
ფურცელაძე ანტონ (1839–1913) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი – გვ. 221.
ფ-შვილი ვასო – გვ. 196.

ქავთარაძე გივი – მიხეილ კეკელიძის მეგობარი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 69, 72, 77, 80, 87, 91, 97, 150, 280.
ქავთარაძე კოტე (1879–1941) – მხატვარი, ფოტოგრაფი – გვ. 28.
ქავთარია მიხეილ (1929–1919) – ფილოლოგი, მკვლევარი – გვ. 18
ქავთარია ნოე – მიხეილ კეკელიძის მამიდაშვილის მეუღლე – გვ. 18, 149.
ქართველიშვილი მ. – ბიოლოგი – გვ. 151.
ქარსელაძე – პატიმარი – გვ. 99.
ქასრაძე შალვა – მიხეილ კეკელიძის მოსწავლე – გვ. 167.
ქაჯაია ვარლამ (1906–1970) – პედაგოგი, მეცნიერი – გვ. 232, 233, 255, 256, 260, 267, 268, 269.
ქეთინო – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 42.
ქეშელაშვილი იოსებ – გიორგი შატბერაშვილის სიმამრი – გვ. 223.

ქეშელაშვილი ნათელა – გიორგი შატბერაშვილის მეუღლე – გვ. 227.
ქვარიანი სიმონ (1868–1946) – მწერალი, ისტორიკოსი – გვ. 64.
ქველაძე გიორგი – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" სასკოლო განყოფილების გამგე – გვ. 268.
ქველაძე (ქორქაძე) – კასპის რაიკომის პირველი მდივანი – გვ. 229, 230.
ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ) (1884–1963) – მწერალი – გვ. 238.
ქიქავა მარო – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 140, 141.
ქიქოძე გერონტი (1885–1960) – მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი – გვ. 238.
ქიქოძე პლატონ (1905–1937) – მწერალი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი – გვ. 48, 49.
ქობულია ვასო – განათლების კომისარიატის თანამშრომელი – გვ. 163, 164.
ქუთათელაძე აპოლონ (1899–1972) – მხატვარი – გვ. 261.
ქუთელია თინა – ექიმი – გვ. 257.
ქურასპედიანი ალექსანდრე – პატიმარი – გვ. 88.
ქურციკიძე მიხა – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 121, 130, 150, 152.
ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი (1889–1947) – მწერალი – გვ. 49.

ღალანიძე შალვა – პატიმარი – გვ. 88.
ღვამბერია – მასწავლებელი – გვ. 188.
ღვინეფაძე დავით – ექიმი, მიხეილ კეკელიძის სიძე, დავით კლდიაშვილის დისშვილი – გვ. 190, 191, 215, 258.
ღვინიაშვილი ანიკო (1904–1981) – ლიტერატურათმცოდნე – გვ. 44.
ღოლობერიძე ლევან (1896–1937) – სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1930), დახვრიტეს – გვ. 194.

ყაუხჩიშვილი მარიამ (1866–1939) – პედაგოგი – გვ. 33.
ყაუხჩიშვილი სიმონ (1895–1981) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, პედაგოგი – გვ. 161.
ყვავილაშვილი ვარა – მიხეილ კეკელიძის კლასელი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 69, 73, 78, 87, 91, 153.
ყიფიანი (ღვანკითელი) ვარდენ (1869–1929) – პოეტი – გვ. 182.
ყიფიანი სიმონ – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – გვ. 196.
ყიფშიძე (ფრონელი) ალექსანდრე (1862–1916) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 196.
ყორანაშვილი გურამ (1940–) – ისტორიკოსი – გვ. 61.
ყრუაშვილი შალვა – პატიმარი – გვ. 150.
ყუბანეიშვილი ივლიანე – მიხეილ კეკელიძის მამიდის, ასინეთის მეუღლე – გვ. 21, 157, 158, 159.
ყუბანეიშვილი სოლომონ (1901–1986) – ლიტერატურათმცოდნე, მიხეილ კეკელიძის მამიდაშვილი – გვ. 14, 21, 157, 246, 247.

შავიძე გიორგი – გვ. 215, 219.
შამათავა პეტრე (1911–?) – პუბლიცისტი, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ რედაქტორი (1956–1957) – გვ. 276.
შამილი (1797– 1871) – დაღესტან-ჩეჩნეთის იმამი, კავკასიის მთიელთა გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური – გვ. 20.
შანიძე აკაკი (1887– 1987) – ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი, ფოლკლორისტი – გვ. 153, 172, 185, 186, 250, 254.
შარაძენიძე – მიხეილ კეკელიძის ნათესავი – გვ. 12.
შატაიძე ნუგზარ (1944–2009) – მწერალი, დრამატურგი – გვ. 276 .
შატბერაშვილი გიორგი (1910–1965) – მწერალი – გვ. 160, 174, 177, 178, 179, 191, 192, 193, 198, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 235, 237, 238, 280, 286.
შატბერაშვილი ივანე – გიორგი შატბერაშვილის მამა – გვ. 177, 178, 222, 224, 226.
შაყულაშვილი გიორგი – პატიმარი – გვ. 88.
შაყულაშვილი ვ. – კავთისხევის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე – გვ. 228, 229.
შევჩენკო ტარას (1814 -1861) – უკრაინელი მწერალი, მსახიობი – გვ. 104, 119, 260.
შენგელია რუბენ – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 177.
შეშაბერიძე ელენე – ექთანი – გვ. 228, 230.
შექსპირ უილიამ (1564–1616) – ინგლისელი დრამატურგი, პოეტი – გვ. 19, 20, 116.
შინატეხელი (მანთაშოვ) გიორგი (1866–1941) – სომეხი პოეტი – გვ. 49.
შუბლაძე ევგენი – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 177, 178, 179.
შუბლაძე ენუქი – გვ. 179.
შუკაევ (შიბუევ) – ჯარისკაცი – გვ. 206, 207, 208, 209.

ჩაკვეტაძე გიორგი – გვ. 60.
ჩარკვიანი კანდიდ (1904–1994) – სახელმწიფო მოღვაწე, მწერალთა კავშირის მდივანი (1937-1938), ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1938–1953) – გვ. 229, 230.
ჩაჩიბაია არჩილ (1909–1995) – მწერალი, პედაგოგი – გვ. 169, 170.
ჩემბერლენ ოსთინ (1863–1937) – ბრიტანელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე – გვ. 64.
ჩერნოვ ვიკტორ (1873–1952) – რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე – გვ. 23.
ჩიგოგიძე მიშა – პატიმარი – გვ. 82.
ჩიტაია გიორგი (1890–1986) – ისტორიკოსი, ეთნოგრაფი – გვ. 142.
ჩიტაია – პატიმარი, გიორგი ჩიტაიას ძმა – გვ. 142.
ჩიქობავა არნოლდ (1898–1985) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი – გვ. 157, 161, 170, 185.
ჩიჩერინ გიორგი (1872–1936) – რუსი პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, მუსიკათმცოდნე – გვ. 265.
ჩიჯავაძეები – თავადები – გვ. 9.
ჩოლოყაშვილი ქაქუცა (1888–1930) – სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური (1922–1924), 1924 წლიდან ემიგრანტი – გვ. 12, 178.

ჩორბაძე მარიამ – ქართულის მასწავლებელი – გვ. 31.
ჩუბინიძე ნიკო – გორის განათლების განყოფილების ინსპექტორი – გვ. 237.
ჩხარტიშვილი გრიშა – პატიმარი – გვ. 86.
ჩხეიძე გ. – ამბროსი ხელაიას და კალისტრატე ცინცაძის სასამართლოს თავმჯდომარე – გვ. 47.
ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864–1926) – სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 70, 193, 195.
ჩხენკელი აკაკი (1874–1959) – პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918–1919), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 193.
ჩხიკვიშვილი ბენიამინ (ბენია) (1879–1924) – პოლიტიკური მოღვაწე, თბილისის ქალქისთავი (1919), ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი (1920), ემიგრანტი (1921–1924), აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრიტეს – გვ. 64, 138.

ცაავა (ცანავა) – „ჩეკა"-ს (საგანგებო კომისიის) თანამშრომელი – გვ. 77.
ცაიშვილი სოლომონ (1900–1957) – ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი – გვ. 232, 233, 260, 261.
ცინცაბაძე ელენე – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 177.
ცვაიგ შტეფან (1881–1942) – ავსტრიელი მწერალი – გვ. 199.
ცინცაძე ალი – მიხეილ კეკელიძის ნათესავი, მე-7-ე სკოლის დირექტორი – გვ. 83.
ცინცაძე ამფილოქე – მღვდელი, მიხეილ კეკელიძის მამიდის, ამფილოქეს მეუღლე, კალისტრატე ცინცაძის ძმა – გვ. 17, 22.
ცინცაძე გიორგი (ჟორა) – მიხეილ კეკელიძის მამიდაშვილი – გვ. 19, 20.
ცინცაძე ზინა – მიხეილ კეკელიძის მამიდაშვილი – გვ. 149.
ცინცაძე კონსტანტინე (კოტე) (1886–1931) – იურისტი, რევოლუციონერი, პარტიული მოღვაწე – გვ. 55, 194.
ცისკარაული – ჯარისკაცი – გვ. 218.
ცომაია სოქილა – პატიმარი – გვ. 92.
ცომაია – პატიმარი – გვ. 138, 139.
ცუცქირიძე ზურაბ – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 5, 276, 288.
ცხვედაძე ნიკო (1845–1911) – პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი – გვ. 32.

ძიძაძე – გვ. 37.
ძიძიგური ვარლამ (1889–1957) – პედაგოგი, პუბლიცისტი – გვ. 33, 41, 79, 149, 160, 166, 231, 232, 233, 234, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266.
ძიძიგური შალვა – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 176.
ძიძიგური შოთა (1911–1994) – ენათმეცნიერი – გვ. 79.
ძიუბა – უკრაინელი ჯარისკაცი – გვ. 209, 210.

წერეთელი აკაკი (1840–1915) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 31, 32, 34, 67, 104, 116, 172, 182, 241, 242, 251, 252, 260, 277, 284.
წერეთელი გიორგი (1842–1900) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 32.
წერეთელი ირაკლი (კაკი) (1881–1959) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, 1923 წლიდან ემიგრანტი – გვ. 138.
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) (1878–1965) – ისტორიკოსი, ლინგვისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი (1918–1919), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 29, 196.
წიფწივაძე ქეთო – სკოლის მდივან-მემანქანე – გვ. 73, 148.
წონელია ვლადიმერ – მიხეილ კეკელიძის კლასელი – გვ. 27, 153.
წულაძე – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 83.

ჭავჭავაძე ილია (1837–1907) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 29, 34, 67, 104, 116, 172, 176, 194, 195, 242, 248, 251, 264.
ჭელიძე დიომიდე – პატიმარი – გვ. 122, 128, 129, 130.
ჭელიძე ოთარ (1905–1999) – მწერალი, მთარგმნელი – გვ. 60.
ჭელიძე სიმონ – კავთისხევის სკოლის მასწავლებელი – გვ. 176, 177, 179, 192. 193, 197, 198, 228, 229.
ჭიაურელი მიხეილ (1894–1974) – რეჟისორი – გვ. 34.
ჭიჭინაძე ბესარიონ (ბესო) (1887–1937) – ინჟინერი, ჰიდროენერგოპროექტის ტრესტის მმართველი, დახვრიტეს – გვ. 51.
ჭრელაშვილი სტეფანე (სანო) (1857–1917) – პუბლიცისტი – გვ. 23.
ჭუმბურიძე ზურაბ (1926–) – ენათმეცნიერი, პედაგოგი – გვ. 9.

ხანდამიშვილი გურამ – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 287, 288.
ხატისოვ ალექსანდრე (1874–1945) – თბილისის ქალაქისთავი (1910–1917) – გვ. 246.
ხაჭაპურიძე ბარნაბ – ფსიქოლოგი – გვ. 161.
ხახიშვილი ნიკო – დიპლომატიური კურიერი, პოლიტიკური პატიმარი – გვ. 88, 90.
ხახუტაშვილი ანა (1886–1960) – საბავშვო მწერალი – გვ. 31, 32.
ხეჩუაშვილი გიგო (1879–1960) – მწერალი, დრამატურგი – გვ. 49.
ხიდისთაველი (კალანდაძე) სიო (1888–1969) – მწერალი – გვ. 49.
ხომერიკი ნოე (1883–1924) – პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინათმოქმედების მინისტრი (1918–1920), დახვრიტეს – გვ. 64.
ხუციშვილი კონსტანტინე (კოტე) – მხატვარი – გვ. 261.
ხუციშვილ სოლომონ (1908–1995) – ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი – გვ. 95, 153.
ხუნდაძე სილოვან (1860–1928) – პედაგოგი, პუბლიცისტი – გვ. 31, 261.
ხუხუნაიშვილი ალექსანდრე – პატიმარი – გვ. 120.

ჯავახაძე – პატიმარი – გვ. 136.
ჯავახიშვილი ივანე (1876–1840) – ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე – გვ. 250, 254, 283.
ჯავახიშვილი (ადამაშვილი) მიხეილ (1880–1937) – მწერალი, ჯგუფის „არიფიონი" წევრი – გვ. 48, 196.
ჯალაღანია რაჟდენ – პოლიტიკური პატიმარი – გვ. 87, 98, 100.
ჯანაშვილი მოსე (1855–1934) – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პედაგოგი – გვ. 9, 251.
ჯანელიძე ვანო – მიხეილ კეკელიძის ნათესავი – გვ. 118, 119.
ჯაფარიძე ბეჟან – ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" თანამშრომელი – გვ. 276.
ჯაფარიძე ნიკო (1892–1980) – ქიმიკოსი, პედაგოგი – გვ. 181, 182, 183.
ჯაფარიძე ნიკო – ბუნებისმეტყველი, განათლების კომისარიატის ინსპექტორი – გვ. 181.
ჯაფარიძე უჩა (1906–1988) – მხატვარი – გვ. 261.
ჯაში გივი – გვ. 141.
ჯაში გრიშა – პატიმარი – გვ. 82, 87, 105, 140, 141.
ჯაში თინათინ – გვ. 141.
ჯაში მარო – გვ. 141.
ჯაჯანიძე სერგო – ექიმი – გვ. 258.
ჯივილეგოვ ალექსეი – მკვლევარი, მთარგმნელი – გვ. 216.
ჯიქია სპირიდონ – ჯარისკაცი – გვ. 216, 219.
ჯობაძე დიმიტრი – მასწავლებელი – გვ. 199.
ჯორჯაძე არჩილ (1872–1913) – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი – გვ. 29, 32.
ჯორჯიაშვილი სერგო – მიხეილ კეკელიძის მოსწავლე – გვ. 167.
ჯუღელი ვალიკო (1887–1924) – პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, „დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი, დახვრიტეს – გვ. 56, 64, 94.

ჰაინე ჰაინრიხ (1797–1856) – გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი – გვ. 119.
ჰიუგო ვიქტორ (1802–1885) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი – გვ. 73, 74, 76, 79.
ჰიტლერ ადოლფ (1889–1945) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის ფიურერი და რაიხსკანცლერი, ნაცისტური პარტიის ლიდერი – გვ. 197, 228, 229.